

თინა შიოშვილი • კლარჯული ფოლკლორი





BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITES  
CENTRE FOR KARTVELIAN STUDIES

TINA SHIOSHVILI

HISTORIAL  
SOUTH GEORGIAN  
FOLKLORE

II

K L A R G I A N  
FOLKLORE

TBILISI – 2017



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კუპანიდან რულ გეგნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

თინა შიოშვილი

ისტორიული  
სამხრეთ საქართველოს  
გეკირსიფვიერება

II

კლარჯული  
ფოლკლორი

თბილისი – 2017

მონოგრაფია ეძღვნება ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირ-  
ძველი კუთხის – კლარჯეთის ზეპირსიტყვიერების შესწავლას.

ჟამთა სიაგის გამო ერთიან ქართულ წიადს მოწყვეტილი კლარჯეთის ზეპირ-  
სიტყვიერების შესწავლა, მათი ისტორიული მესხიერებისათვის თვალის გადევნება  
სასიამოვნო რეალობას გადაგვიშლის: კლარჯთა სულიერების ყლორტები კვლავაც  
მშობლიური ნიადაგის ღალიან-ბარაქიანი ტუტუთი იკვებება; მათი ფოლკლორული  
შემოქმედება და წეს-ჩვეულებები მამა-პაპათა ჩვევებში გამოზრდილი ძველქა-  
რთული სამყაროა, რაც კლარჯელი ჩვენებურების „გურჯობის“ უტყუარი ნიშანია.

მონოგრაფია პირველი ცდაა კლარჯული ფოლკლორული შემოქმედების აკადე-  
მიური გამოცემისა. იგი სათანადოდ დაეხმარება ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს,  
ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია დედასამშო-  
ბლოსაგან წაგვრილი ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი.

რედაქტორი პროფესორი **მამია ფალავა**

რეცენზენტები: პროფესორი **ქლავაშა მაკარაძე**,  
პროფესორი **რამაზ ხალვაში**

UDC (უაკ) 821.353.1-91+398.5 (=353.1)  
შ-678

ISBN 978-9941-0-9485-9

© თინა შიოშვილი – 2016



## წინათქმა

ოთხ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც ქამთა სიავემ დედასამშობლოს მოსწყვიტა მისი ძირძველი კუთხეები; ოსმალურმა იმპერიულმა ბოროტებამ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მანამდე არაერთგზის დარბეული ქართული სახელმწიფოებრიობისა და სულიერი კულტურის კერა – ისტორიული მესხეთი და მისი პროვინციები საბოლოოდ მიიტაცა, რითაც ფიზიკურად და სულიერად გახლიჩა ივერთა უძველესი ქვეყანა... და დადგა უნდობარი „უქამო ქამი“, როცა „შვილი დედასთან ველარ მივიდა“ და აღარც ფეოდალური აწეწილობისა თუ გარეშე მტერთაგან დაუძლურებულ დედას შესწევდა ძალა, ებრუნა მტრად მოვლენილი მეზობლებისაგან უღვთოდ წაგვრილ შვილებზე...

თანდათანობით ობლდებოდნენ და იძარცვებოდნენ, იშლებოდნენ და მუნჯდებოდნენ მშობლიურ ჰანგებს დანატრებული დიდი გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეებისა თუ მოწაფეთა მოწაფეების მიერ რუდუნებით აგებული ქართული ეკლესია-მონასტრები... თურქულ გარემოცვას ნებსით თუ უნებლიეთ ეგუებოდა და ნებდებოდა მრვალტანჯული ჩვენი სისხლი და ხორცი... და გადიოდა დრო, თუმცა მონატრება ორივე მხარეს დარჩენილთათვის საუკუნეთა დინებას შერწყმული უდიდესი ტკივილი იყო...

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის გამარჯვებით დამთავრებული რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპი (1877-1878) ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებით აღინიშნა, რამაც მოიტანა დანატრებული ჩვენებურების ნახვის, უძველესი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობის დაუოკებელი სურვილი. ეს მისწრაფება რუსული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ინტერესებსაც თანხვდებოდა, რადგანაც სან-სტეფანოს ზავისა და ბერლინის კო-

ნგრესის გადაწყვეტილების შედეგად რუსეთის მიერ შემოერთებული ისტორიული ქართული მიწა-წყლის ერთიან სივრცეში მოსაქცევად ქართველთა ძალისხმევაც საჭირო გახდა. ჯერ კიდევ 1874 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ბემო აჭარაში, შავშეთში, არტანუჯში, ლივანასა და ლაბეთში მოეწყო ჩვიდმეტი კაცისაგან შემდგარი სამთვიანი ექსპედიცია გრიგოლ გურიელის ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდა გიორგი ყაბბეგიც; 1878-1921 წლებში ისტორიული ქართული პროვინციები მოინახულეს და უაღრესად ფასეული ცნობები დაგვიტოვეს დიმიტრი ბაქრაძემ, ბაქარია ჭიჭინაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ნიკო მარმა, სერგი მესხმა, ალესანდრე ნათაძემ, დავით წერეთელმა, ივანე გვარამაძემ, ივანე ჯაიანმა, ალექსანდრე ყიფშიძემ, სოლომონ ასლანიშვილი-ბაგრაძე და სხვებმა. მართალია, მათი უმეტესობა რუსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, მაგრამ რუსული მუნდირის ქვეშ ძალუმად უძგერდათ ქართული გულები, ხოლო მათი პუბლიკაციები, თვით უკიდურესად სამხედრო ხასიათისანიც კი, ფასდაუდებელი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის მემკვიდრეობაა, რამდენადაც გვაცნობენ ახალშემოერთებული ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასა და ჩვენი მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი ძეგლების იმდროინდელ ვითარებას. ყოველივე ამან კიდევ უფრო გააცხოველა ურთიერთმისწრაფება და ერთმანეთის ხელახალი შეცნობის სურვილი.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ახალშემოერთებულ ძირძველ კუთხეთა შორის კლარჯეთი ერთ-ერთი გამორჩეულია და ბუნებრივია ინტერესი „კლარჯეთის ქვეყნისადმი“, მისი ყოფიერებისა და სულიერების ყოველი კუთხე-კუნჭულისადმი. ამ საშვილიშვილო საქმეს, როგორც აღვნიშნეთ, ბევრმა ქართველმა მოღვაწემ დაახარჯა თავისი მამულიშვილური ძალისხმევა, თუმცა ნიკო მარის მიერ 1904 წლის ზაფხულში მოგზაურობისას ჩაწერილი კლარჯული ბეპირსიტყვიერების ნიმუშები (შავშურთან ერთად) განსაკუთრებულად ძვირფასია ქართული ფოლკლორისტიკისათვის.

ამბობენ, ისტორიას კურობები უყვარსო... არც გამთლიანებული ქართული სულის გეიმი გაგრძელებულა დიდხანს - 1921 წლიდან

რუსულ-თურქულმა ვერაგულმა გარიგებამ ისტორიული ქართული კუთხეები (აჭარის გარდა) კვლავ თურქთა მფლობელობაში გადაისროლა... კვლავ ჩამოეშვა რკინის ფარდა... ისევ მონატრება... ისევ ყოველთა ქართველთა სულის ტკივილიან ამოძახილად გაისმა გოგლა ლეონიდის სულშიჩამწვდომი სიტყვები:

ისე დავბერდი,  
ვედარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...  
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...  
როდის მოუვა მათ გაბაფხული?..

ის სანუკვარი გაბაფხული, რაბედაც პოეტი მიანიშნებდა, ჯერ კიდევ ძალიან შორს არის... მაგრამ მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნის მიწურული თურქეთ-საქართველოსათვის კეთილგონივრულ-კეთილმეზობლური ურთიერთობით აღიბეჭდა, სარფგადაღმელი ჩვენებურების ხილვა გვეღირსა და მათაც გაიხარეს ჩვენი ნახვით... ესოდენ დანატრებულ ჩვენებურებთან კულტუროლოგიური ურთიერთობის პირველი სიხარული კი ბედმა პროფესორ შუშანა ფუტყარაძეს არგუნა. მან, პირველმა ქართველ მეცნიერთაგან, იმოგზაურა ისტორიულ ქართულ კუთხეებში და ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებში, რის შედეგადაც ერთობ ხვავრიელი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური მასალა დააფიქსირა (ფუტყარაძე, 1993), რომელთა შორისაც კლარჯული ზეპირსიტყვიერება ერთ-ერთი გამორჩეულია.

ისტორიული კლარჯეთისა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მიგრირებული კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა 2005-2015 წლების კომპლექსური ექსპედიციების ფარგლებში.

ეს წიგნიც, ძვირფასო მკითხელო, ამ ექსპედიციებისას მონაპოვარ ფოლკლორულ მასალას ეფუძნება; მასალას, რომელიც კლარჯ

ჩვენებურთა სულის სიღმრიდან ერთობ ნაცანჯი „დედის ენით“ ამო-  
ხეთქილი გულისნადებია, საუკუნეთა ტევრში გამოტარებული ნა-  
ფიქრ-ნააზრევიან, სათუთად რომ გადაგვინახეს და ნდობით, იმედით  
გაგვიზიარეს, რათა გვახსოვდეს და გვიყვარდეს თურქულ გარემოში  
წინაპართა სულიერი სიმდიდრის მოდარაჯე ჩვენი კლარჯელები,  
რომლებმაც კარგად იციან, რომ „აზნი ვართ“, დამშვიდობებისას კი  
ერთ-ერთი დიდებული ქალბატონის ბავით ამოთქვეს: „- ჩვენი მე-  
მლექეთი შეინახოს ღმერთმა!“



სოფ. მარმარაშინდას ეკლესია, 2013 წ.

ნაწილი ჰიტველი  
**ბეიოკვლევა**



## შრომის ლექს-სიმღერები

საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უხვად დაუნჯებულ იდეურ-ესთეტიკურსა და ზნეობრივ ტრადიციებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია შრომითი ტრადიცია. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთელ მანძილზე, ზნეობრივი ნიაღვრების ყველა ეტაპზე, შრომისმოყვარეობა უმაღლეს სათნოებად, ხოლო შრომისადმი დამოკიდებულების საკითხი ყოველგვარი სოციალური ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იყო და არის მიჩნეული. ჩვენში ყოველთვის იცოდნენ პატიოსანი შრომის ფასი და შეგნებული ჰქონდათ, რომ „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“ (გამსახურდია, 1984: 129).

შრომისადმი ქართველი კაცის ისტორიული დამოკიდებულება შესანიშნავად აისახა ეროვნული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში, განსაკუთრებით კი – შრომის პოეზიაში. შრომის ლექს-სიმღერები ქართველთა (ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხის) ერთგვარი მატრიანა, რომელშიც ნათლად ჩანს საზოგადოების განვითარების, ადამიანთა უძველესი საწარმოო კოლექტიური ურთიერთობებისა და მათი შემეცნებითი ევოლუციის კვალი; ამავე დროს, შრომის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებში ჩაქსოვილია მშრომელთა გუნება-განწყობილებანი, მათი ფსიქოლოგია, რაც საუკეთესოდ წარმოაჩენს ეთნოსის ხასიათს.

საქართველოში, როგორც რელიეფურად ნაირგვარ ქვეყანაში, ძველთაგანვე შრომის თითქმის ყველა სახეობაა ცნობილი; შესაბამისად, ქართული ზეპირსიტყვიერება შრომის ლექს-სიმღერათა სიუხვითა და მრვალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ხალხური მხატვრული სიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის საგანძურის შექმნაში.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია შრომის ლექს-სიმღერებით, რომელთა ტრადიციებიც „ხანგრძლივი ისტორიული ყოფისა

და შრომის პროცესში შემუშავდა“ (ოქროშიძე, 1963: 9). ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ერთიანი ქართული სივრცის ნაწილი იყო დღეისათვის, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სამშობლოს მონყვეტილი უმშვენიერესი და უდიდესი ნაწილი – ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი – მესხეთი და მისი ისტორიული პროვინციები, რომელთა შორის კლარჯეთი ყოველთვის იყო მონინავე თავისი კულტურული და სოციალური პოტენციალით; ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა 2007 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ამჟამად ბსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის) და 2013-2015 წლებში ამავე ცენტრის მიერ ისტორიულ კლარჯეთში და, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკის შიდა გუბერნიებში მონყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს (ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფალავა). კლარჯეთის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერება ძალზე საინტერესო აღმოჩნდა როგორც ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, ისე ზოგადქართულ, განსაკუთრებით კი შავშურ და აჭარულ, ფოლკლორთან ძირეული სიახლოვის თვალსაზრისით.

კლარჯული შრომის ლექს-სიმღერების შესწავლით ნათელი ხდება, რომ, მიუხედავად უცხო ენობრივ-კულტურულ გარემოში საუკუნობრივი ცხოვრებისა, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა ზეპირპოეტური შემოქმედება ერთიანი ზოგადქართული კულტურული სივრცის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩა ხსოვნა შრომაში კოლექტიური დახმარებისა და შრომის პროცესში შესასრულებელი ნადური სიმღერებისა. კლარჯელებს ერთმანეთისადმი დახმარება სცოდნიათ შრომის თითქმის ყველა სახეობაში. სოფელ ერეგუნას („ერენქოი“) მკვიდრმა – 95 წლის ფატყუმე გორმიშმა (ჰაჯიოღლი) სიამოვნებით გაიხსენა ნადის ტრადიცია: „– ვიცოდით ნადები სიმინდი რჩვენაზე, რთვიხან, სიმინდი მოთხრაზე სამარგელში, პური მოთიბვაზე“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს); 62 წლის ქლასკურელმა გულხანუმ ათანმა აგვისხნა: „– შიშა სანიკელაჲ, მარგლა-ჩერგნაჲ, სიმინდი მოთხრაში



ვიციოდით ნადი. მეციყრებოდით ნადებში, საქმელ გავაკეთებდით, ვჭამდით“ (ჩაინერა თინა შიოშვილიმა 2013 წელს).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მსგავსად, ბუნებრივია, ნადში თავშეყრილი მუშაკნი კლარჯეთშიც ასრულებდნენ ტრადიციულ ნადურ სიმღერებს, თუმცა, ამ არქაული ტრადიციის შენარჩუნება არც ისე ადვილი იყო. როგორც თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძე გვამცნობდა მურღულელთა მაგალითზე, ოსმალურ მმართველობას მურღულელთათვის ერთგულება შეუმჩნევია და ხეობის მმართველობა მათთვისვე ჩაუბარებია. ამას შედეგად ის მოჰყოლია, რომ „...მეტად გამჭრიახე, ფანატიკოს სასულიერო კაცთა მეოხებით მურღულში სრულიად ამოვარდნილა ქართული ჩვეულებანი და ქართული სიმღერებიც კი გამქრალა, თუმცა მურღულელი ძველად ძლიერ განთქმული ყოფილა სიმღერით; ამათი ჰანგი ყველასათვის მოსანონი ყოფილა“ (ჭიჭინაძე, 2013: 250-251).

ქართული სიტყვის ამოსაფხვრელად, როგორც ზ. ჭიჭინაძეს მოუთხრეს იქაურებმა, ხოჯებს „ხალხი დაურწმუნებიათ, რომ ვინც ქართულად იმღერის, ის სჯულის მცნებას დაარღვევს და მას მაჰმედი სამოთხეში აღარ შეუშვებსო“ (ჭიჭინაძე, 2013: 251).

მართალია, მუსლიმური რელიგიის მსახურთ ეს მუქარა მიამიტ ჩვენებურთა ერთ ნაწილში გასვლიათ, მაგრამ, ბოლომდე მაინც ვერ მიუღწევიათ სანადელისათვის. ამ თვალსაზრისით ზ. ჭიჭინაძე ერთ კომიკურ ამბავსაც გვატყობინებს: „...სიმღერის მოსპობა არც ეგრე ადვილია, არ შეიძლება, ცოტა რამ მაინც არ დარჩეს ხალხში. ამ დღეებში ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰყოლია, მუშებს თავიანთებურის ქართულის ხმებით დაუწყიათ ყანურის მღერა; ამ სიმღერაში ხოჯაც აჰყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს:

– ხოჯა, აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო?! თქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!

– ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ, რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო, – მიუგო ხოჯამ (ჭიჭინაძე, 2013: 251).

კლარჯ ჩვენებურთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ისინი, საბედნიეროდ, თითქმის ბოლო დრომდე ინარჩუნებენ ხსოვნას უძველესი შრომის სიმღერებისას, ნადის დროს მათი მამა-პაპანი რომ მღეროდნენ, თუმცა, დღეს კლარჯეთში ნადები აღარ იმართება

და, ბუნებრივია, ქართული მუსიკალური ხელოვნების ეს არქაული უბანიც მივიწყებისათვის არის განწირული.

ტრადიციულად ნადურები ორპირულად (ორი გუნდის პრინციპით) სრულდებოდა. „– ნადებში გოგო ბიჭ გამოუთქმევდა, ბიჭი გოგოს გამოუთქმევდა“, – გვითხრა სოფელ თხილაზროს მკვიდრმა 38 წლის მელაჰათ ასლანმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს). ნადური ლექს-სიმღერების ორპირულად შესრულების ტრადიციაზე გაამახვილა ყურადღება, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალმა – საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ იქრამიეში (ხატილა) მცხოვრებმა 80 წლის მეჰმედ დურსუნოღლუმ: „...სამინდი თოხნაში სამითანე გაღმით იყო, სამითანე – გამოღმით და უძახდენ ერთმანებ“ (ჩაინერა თ. შიოშვილმა 2013 წელს).

ნადური ლექს-სიმღერების ორპირული შესრულების თაობაზე პროფ. მამია ფალავას საინტერესო ცნობა მიაწოდა სოფელ ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში, მცხოვრებმა 79 წლის შაბან გუმანიძემ 2013 წლის 4 აგვისტოს: ყანაში, თოხნის დროს, ნადი ორად იყოფოდა; ერთი ნაწილი „ვოჰოჰ“ იტყოდა, მეორე ნაწილი კი ამოიძახებდა სხვადასხვა სიტყვებს:

- ვოჰოჰ!
- ვაშლი!
- ვოჰოჰ!
- ბალი!
- ვოჰოჰ!
- ბლაცვი!

ბოლო ამოძახილი მუშაკთა გამხიარულებას ისახავდა მიზნად. „ვიცინებდით, ვიძახებდით... რაცხა გინდებიან, ვიძახდით. თესვიხან ვიმღერებდით კაცები, ჩერგნიხან ქალები იტყოდენ“.

იმავე მთქმელისაგან მ. ფალავას მიერ ჩანერილი მეორე ნადური ლექს-სიმღერაც ტრადიციულია როგორც საშემსრულებლო თვალსაზრისით (ემყარება ორი გუნდის პრინციპს), ისე ლაზურში ფართოდ გავრცელებული ნადური სიმღერის მუსიკალური ფრაზის – „ჰეჰამო“ – გამოყენებითაც, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ ქართული ხალხური ნადური სიმღერები ფოლკლორული სინკრეტიზმის მატარებელია:

- ჰეამო, ჰეამო!..
- დაცხე თოხი,  
გეჲ, გამოჲ!..
- ჰეამო, ჰეამო!..
- ბიჭებო, კაჲ ისაქმეთ,  
ერთი დღით არ მოკდებით!
- ჰეამო, ჰეამო!..

დაბა მურღულში 2014 წელს 62 წლის ჰესიბე ალფაისაგან ჩანე-რილი ნადური ლექს-სიმღერა დასტურია იმისა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ნადში მოწვეული კლარჯები მათზე დაკისრებულ მოვალეობას:

ნადი შევტყვე, გადმოველ,  
გადმევიარე სახური;  
ცხოლოფუნას გავაგდე  
ზროხები და ახორი...

(შიოშვილი, 2014: 70)

კლარჯეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ქართლაში დაფიქსირებული ნადური ლექს-სიმღერა (მთქმელი ნურიე ილდირიმი) ნადისადმი კლარჯი მშრომელის ტრადიციულ ერთგულებასა და ორგანიზებულობაზე მიუთითებს:

ბარიდან აქ გადმოველ,  
ნადი არი, თუ – არა;  
იქით-აქეთ გევხედე –  
ფადი არი, თუ – არა.

(შიოშვილი, 2014: 70)

ბოლო სტრიქონები მოწმობს, რომ ნადში შეყრილ მუშაკთა შორის ახალგაზრდები თავიანთ გულისსწორსაც ეძებდნენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამგვარი განწყობაა გამოხატული, აგრეთვე, სოფელ ისკებში პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს 60 წლის ასიე ალფაისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

გოგვები გაჩელტილან,  
ე რა დიდი ნადია!

მარწყვებმა თვალი ირთო,  
დღეს მაისის შვიდია!  
ალთუნი და გუმიში  
გულზე დაგიკიდია...

ლექს-სიმღერას ახლავს მთქმელისეული განმარტება: „—უნინ იყო, ნად იქმოდა მოყრილი გოგვები“.

კოლექტიურ შრომას, ტრადიციისამებრ, ამშვენებდა სიმღერები, რომლებიც, ბუნებრივია, ორპირული შესრულებისა იყო. სოფელ ერეგუნაში („ერენქოი“) 95 წლის ქალბატონის – ფატყუმე გორმიშისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელსაც, მთქმელის განმარტებით, „მღერიან ნადის დროს“, პირდაპირი მონოდებაა შრომის პროცესის თანმდევი სიმღერის შესრულებისა:

ერთი დრამი ვიმღეროთ,  
ლამაზ იყო ყედედამ.  
თელი აინუშები  
მეყყარნევით ორდიდამ.  
ომრში არ დამვიწყდება  
ამსოჲ ლამაზ ნადიდამ.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 152)

კოლექტიური შრომის სისწრაფესა და სიკეთეზე მიუთითებს 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ სოფელ ებრიკაში („ერენქოი“) 61 წლის ემო ღურმიშისაგან (შაქიროლლი) ჩანერილი ნადური ლექს-სიმღერა, რომელშიც ნადში მონაწილე სატრფოსადმი გამომხატული ნაზი გრძნობებიც არის გადმოცემული:

ევიარე, რამ არ იყო,  
ჩამევიარე – დარგულაო;  
ვინმე თუ ვერ გევემეტავ,  
შენ ჩემი ხარ ბულბულიო!

მთქმელის განმარტებით, ეს სიმღერა სიმინდის ნადში შესრულებულა: „— სიმინდის ნადი გვეკონდენ და ჩვენი ემიაშვილი მივიდა და ეს თქვა“.

ნადის თავმოყრა ნებისმიერ საქმიანობაში ტრადიციულად გულისხმობდა ნადის წევრთა გამასპინძლებას, რაც სათანადოდ არის

გამოხატული ქართულ ხალხურ შრომის ლექს-სიმღერებში. ამ თვალსაზრისით ნადი სტუმარმასპინძლობის ტრადიციის გამოცდა-განმტკიცების საუკეთესო საშუალებაც იყო (შოიშვილი, 2009: 51-53). „მანიღების“, ანუ ნადის წევრების, გამასპინძლების ტრადიცია კლარჯულმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა.

„...ჩვენ დროს ნადები იქნებოდა. კარგად ჩვეცვაბდით, დევწყებდით ჭრას. იქიდან ბიჭები გიყურებდენ და სეირობდენ. გურჯიჯაჲ ჰიჩ არ გვიმღერია, ჩვენზე დიდვანებს უმღერიან. ჩვენ თურქქა ვიმღერებდით. სიმინდის ნადზე ოდომას მოვხარშავთ, მინის ხაპს მოვხარშავთ, ქადებს გავაკეთავთ, ყურძენს მოვწყვიტავთ“, – აგვიხსნა სოფელ ქართლაში მცხოვრებმა 67 წლის ვილდან ერყილიჩმა (ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს).

სადილსა და სამხარს მასპინძელი ყანაშივე მიართმევდა ნადის წევრებს, ანუ მონადეებს, იგივე „მანიღებს“, ვახშამს კი – ოჯახში. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ნადურ ლექს-სიმღერათა თემატიკაში, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, კლარჯეთშიც შესულა ნადის წევრთა დანაყრების მოტივი, რასაც ერთგვარი იუმორისტული ელფერი დაჰკრავს. ამის დასტურია სოფელ ბუჯურში 74 წლის ქალბატონის – აიშე შეიხოლლუსაგან ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ჰაიდე, ვისაქმით ყანაში!..

ერთხელა დავჯდეთ ყანაშიო –

ერთხელაც საჭმელი ვჭამოთო!

(შოიშვილი, მახარაშვილი, 2014: 14)

მსგავსი განწყობილებაა გამოხატული სოფელ ავანაში („ავჯილარი“) დაფიქსირებულ ნადურ სიმღერაშიც (მთქმელი ემრიე ეფენდოლი, ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს):

მელესაჲ, ელესაჲ,

ყანა გათავდა,

არ მოიდა თეთრი ქესა.

სშირად მასპინძელს ნადის წევრები შეახსენებდნენ, რომ დროულად ეზრუნა მათ დაპურებაზე. სოფელ ერეგუნაში („ერენქო“) 35 წლის ფატყუმე გორმეშისაგან ჩანერილ ნადურ ლექს-სიმღერაში დამშეული ნადი მოითხოვს საჭმელს:

ე რა ზორ მომემშია,  
საჭმელი მომიტანე!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 153)

ნადის წევრთა გამასპინძლება კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებსაც სცოდნიათ, რასაც ადასტურებს 2013 წლის 9 ივლისს ჩვენ მიერ ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურლულში („სირეთი“) მცხოვრები 68 წლის ქალბატონის – სემაჰათ შექირისაგან ჩანერილი ნადური ლექს-სიმღერა:

მოვდა პურის საჭარი,  
ახლა იქნება ნადი;  
ე რა ზორ მომემშია,  
მომიტანევით ჭადი!

ნადის წევრებს გამხნევებაც სჭირდებოდათ. ასეთია სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში, 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ოპირული შესრულების ლექს-სიმღერა (მთქმელი მიერიე ქესუმი):

– ჰეამო, ჰეამო!  
– დაცხე თოხი, გეე, გამოა!  
– ჰეამო, ჰეამო!  
– ბიჭებო, კაე ისაქმეთ!  
– ჰეამო, ჰეამო!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 153)

მთქმელის განმარტებით, ამას მღეროდნენ ყანის თოხნაში: „ნადში იტყოდენ, ყანის თოხნაში. ნადში გაიყოფიან, ერთი თერეფი „ჰეამოს“ იტყოდა, მეორე თერეფი სიტყვებ იტყოდა“.

ნადის მოწვევა კლარჯეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, შრომის მრავალ სახეობაში იცოდნენ: მკაში („პური ჭრაში“), ყანის თოხნაში („ყანი ფხეკაში“), „სიმინდი ფხეკაში“, „სიმინდი ტეხვაში“, „სიმინდი გარჩევნაში“, „სიმინდი ტეხვაში“, ლობიოს თოხნაში („ფხეკაში“) და მორწყვაში, ლობიოს რეგვაში, „თუთუნი დანყობაში“, ანუ „თუთუნი ასხმაში“, თხილის კრეფაში და სხვა.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც ბოლო დრომდეა შემორჩენილი შრომაში კოლექტიური დახმარების უძველესი ქა-

რთული ნეს-ჩვეულება ნადი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერის – ნადურის, იგივე ყანურის, ანუ თოხნურის – ხსოვნა.

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურკვეთის („მამური“) მკვიდრმა – 69 წლის ოსმან შიმშექმა გვიამბო: „– მოკრეფილი ხალხი ნადი ეტყვიან. ნადში მომხმარებელ „მანიდი“ ეტყვიან. „მანიდია“, ვინც გეხმარება; ერთი დღე შენც მიეხმარები. სიმინდი ტეხვაზე ნადი იქამ; ბელით ვიცოდით ნადი, პური ჭრაში ვიცოდით, ყანი ფხეკაში. მანგალი იყო ჭრაში. ქალები ჭრიან პურ. ახლა მაქინა ჭრის. ქალები სიმინდი ფხეკა იქმენ, ლობიო რეგვა, ფხეკა, მორწყვა“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს); იმავე პროვინციისა და რაიონის სოფელ აივასფუნარში (ძველი ჩათალტაში) მცხოვრებმა 70 წლის აიშე ეროლმა კი გვითხრა: „– ნადი ვიქმოდით... პური ჭრის ნადი ვიქმოდით, სიმინდის რჩევნის, სიმინდი ტეხვის; მარგლას ნადი ვიქმოდით; ყანებ ვთხრიდით, ნად ვიქმოდით“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს).

ბუნებრივია, ამგვარი თავშეყრილობანი გარკვეულ გართობასაც გულისხმობდა, რასაც ახლდა როგორც უშუალოდ შრომის პროცესთან დაკავშირებული, ასევე – სატრფიალო, საყოფაცხოვრებო და სხვა ჟანრის ლექს-სიმღერები.

„– ნად იქმოდენ, ერთმანეთ დეეშველებოდენ; თუთუნი სხმაში, თუთუნი დანყობაში, სიმინდი გარჩევნაში, პური მოჭრაზე, მიწი თხრაზე იქმოდენ“, – გაგვაცნო „ძველების“ საქმიანობა ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთეს („დოშმე“) მკვიდრმა, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალმა ჰასან ქალიონჯუმ (ხაბაძე) და სიამოვნებით აღნიშნა, რომ ამგვარ „დაშველებაში“ გოგონები და ბიჭები ერთმანეთს შეათვალიერებდნენ ხოლმე და ლექსობდნენ: „– თუთუნი წყობაში გოგუები ერთ სექვზე ზიან, ბიჭები – აქეთ სექვზე; ქალები მუშაობენ, ბიჭები – არა. ერთმანეთ უყურებენ; ბიჭები მოვლენ, გოგუებ უყურებენ; ბიჭი გამუღულქსავს, გოგო მუუტრიალავს“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 10 ივლისს).

ასეთივე სახალისო იყო მკის პროცესიც; კლარჯებმა მკაშიც იცოდნენ ნადი: „– ვიქმოდით ყანის ნადები, პური ჭრაში ვიქმოდით“, – აგვიხსნა ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში მცხოვრებმა 76 წლის მეჰმედ გუნეიმ (ფალაზოლი).

„– პური ჭრაზე ვიმღერებდით. ბიჭებ დევნახავდით, გიმიხარდებოდენ. ოო, რა ნადები ვიქმოდით!.. გევდოდით ნაპირი, ვიფერხულებდით... მე გამამითქვა ბიჭმა. მე არ გამოუთქმევდი, შემცხვებოდა“, – გაგვანდო „საიდუმლო“ საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში მცხოვრებმა 76 წლის ქალბატონმა სააფინაზ ჰალაილემ (ხაბაძე) და დანანებით დასძინა: „– ნევდოდით პური ჭრაზე... მემრე თლათ გააგდეს, მაქინებმა დეინყეს...“.

ნადების დროს შეაპარებდნენ ხოლმე ვაჟები თვალჟუჟუნა გოგონებს, „შენი თავი მიყვარსო“. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ იქრამიეს (ხატილა) ხოჯამ – 80 წლის მეჰმედ დურსუნოღლუმ ბრძანა:

„– თუთუნი ასხმა იყო ძაფზე, სიმინდი ბევრი იყო. ... ედა, გოგოს უძახის ბიჭმა:

– სოილე რუმინანაანა,

სოილე დერდუნებანა.

შენი თავი მიყვარს!..

(ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს)

აქტიური პოზიცია ნადურების შესრულებისას, მთქმელთა უმეტესობის განმარტებით, ვაჟებს ეკავათ; თავდაპირველად ისინი მიუმღერებდნენ კდემამოსილ გოგონებს. „– ნადში ბიჭები გოგოებ მიუმღერებდნენ“, – გაგვანდო „საიდუმლო“ ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ ალაჩამში (ძველი თეშვიგიე) მცხოვრებმა 81 წლის ჯემალ დემირმა (ოლდაშოღლი); „ძველებისაგან განაგონი“ გაგვიმეორა საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში (იქბალიე) მცხოვრებმა 18 წლის ფურკან თემიზჯემ: „– ნადებზე სიმინდ გაარჩევდენ. ბიჭები, გოგოები ერთმანებ უყურებდენ. ბიჭებმა გამოუთქმიდენ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს).

დღეისათვის, როგორც ჩვენებურები აღნიშნავენ, ნადები ძირითადად აღარ იმართება: „...ნევდოდით პური ჭრაზე. მემრე თლათ გააგდეს, მაქინებმა დეინყეს...“ (მთქმელი სააფინაზ ჰალაილე, 76 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში („იქბალიე“). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს).



კლარჯების ნადი, როგორც ყველა სახის ნადი საქართველოში, ორი გუნდის პრინციპს ემყარება და, ბუნებრივია, ნადური ლექს-სიმღერებიც, ტრადიციისამებრ, ორპირული შესრულების იქნებოდა. ამის თაობაზე 80 წლის ხატილელმა ხოჯამ – მეჭმედ დურსუნოლლუმ გვითხრა:

„– სიმინდი თოხნაში სამი თანე გაღმით იყო, სამი თანე – გამოღმით და უძახდნენ ერთმანებ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს).

კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლებს შორის დაცულ შრომის ლექს-სიმღერებში შესამჩნევია შრომის სხვადასხვა სახეობათა თანმიმდევრობის წარმოჩენაც, რაც ერთგვარი მაორგანიზებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო გლეხობისათვის. 68 წლის „გარმონჯისაგან“ – ჯელალ დილდარისაგან (მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის ქართეფეს რაიონის სოფელ ნუსრეთიეში) დაფიქსირებულ შრომის სიმღერაში სწორედ ამგვარ გეგმურ მოქმედებაზეა საუბარი:

მოთავდა სიმინდობა,  
ახლა მოვდა პურობა.  
ორი წლის თოსუმია,  
დეინყო ახლა ხტომობა.

ამ ლექსს, მთქმელის განმარტებით, „სიმინდი გარჩევიხან მღეროდენ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 12 ივლისს).

შრომაში თადარიგიანობა კლარჯი ჩვენებურების თვისება ყოფილა. სოფელ ნუზჰეთიეში (ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონი) მცხოვრები 60 წლის სინან დემირისაგან ჩვენ მიერ 2013 წლის 10 ივლისს ჩანერილი შრომის ლექს-სიმღერა ამის ნათელი დასტურია:

პური თესვაზე წევდეთ  
დღე და ღამე გაყრიხან;  
ყალოზე შენ ისაქმე  
კოჭველები აყრიხან.

გაზაფხულის დადგომა და კვირტის („კუკულის“) გამოსვლა კი კლარჯ მეურნეთა ერთგვარი მაორგანიზებელი და სტიმულის მიმცემი მოვლენა იყო. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ 63 წლის ბეიჰან აქი-

ნისაგან (მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიეში) 2013 წლის 11 ივლისს ჩანერილი ლექს-სიმღერა:

მოვდა მარტი პირობა,  
გამოვდა კუკულობა.

ამ ლექსის ვარიანტია იმავე სოფელში ჩვენ მიერ პროფესიონალი მომღერლის – 74 წლის ნაილ დემირელისაგან (ბენდეროლლი) ჩანერილი სამკალი ლექს-სიმღერაც:

მოვდა პურის საჭარი,  
გამოვდა კუკულობა.

სიმინდის ყანის თოხნის, ანუ მარგვლის, ლექს-სიმღერა დავაფიქსირეთ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურღულში („სირეთიე“) სემაჰათ შექირისაგან 2013 წელს:

– მოვდა სიმინდის მარგლა,  
ახლა იქნება ნადი.  
არ მიყვარს შენი თავი,  
შენაც აქედან ნადი!

ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ეს ნიმუშიც დასტურია იმისა, რომ ნადურებში, ტრადიციულად, უშუალოდ შრომის თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტების გარდა, იმღერებოდა სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, იუმორისტული ხასიათის ლექს-სიმღერები. ნადის მოახლოება კი გოგო-ბიჭების უცილობელ თავშეყრას გულისხმობდა; ამიტომაც გოგონები ერთგვარ „თადარიგს“ იჭერდნენ და ვაჟს, ვისკენაც გული არ მიუწევდათ, ამგვარად მიუღებდნენ.

მკა, კლარჯთა შორის გავრცელებული ტერმინით – „პური ჭრა“, იგივე „პურის საჭარი“, როგორც საქართველოს ყველა რეგიონის მკვიდრთათვის, ჩვენებურ მშრომელთათვისაც უდიდესი სიხარულის მომგვრელი იყო, რადგანაც ოჯახებში არსობის პურის ხვავი შედიოდა. „პურის საჭარიც“ კლარჯ მონადეთა სახალისო ასპარეზი იყო. „ხვალ ნადი მაქო, პური ჭრაში წამოხვიდეთნათო“, გოგვებ ასე ეტყოდნენ. პურ მანგალით ვჭრიდით, ელოგით ვჭრიდით. უმღერი-

ან: „მოვდა პური საჭარი, გოგუებო, ნამოდითო!“ უმღერიან კიდე: „ჰორირამა, ლემანი, ამან ყავსა ჯემალი!“ – სიამოვნებით გვესაუბრა უკვე მივიწყებულ ხალხურ ტრადიციაზე ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში (ძველი საალიჰიე) მცხოვრები 80 წლის სულთან ოზი (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 18 ივლისს).

2007 წლის 31 ივლისს კლარჯეთში, სოფელ ბუჯურში („აქანთამ-ქოი“) 70 წლის ქალბატონისაგან – ხატიჯე ილმაზისაგან ჩავიწერე სამკალი ლექს-სიმღერა, რომელიც მთქმელმა სიმღერით შეასრულა, თუმცა იქვე მიაჩნდა, რომ იგი ინდივიდუალური შესრულებისა არ არის, კოლექტიურია:

„– პური ჭრაში მღეროდენ, ყანაში ნადი იყო. პური ჭრაში ვიმღერებდით“:

სოილე რუმიანაანა,  
სოილე რუმიანაანა.  
მოიდა პურის საჭარი,  
მოიდა პურის საჭარი!  
დევეჭიროთ ორალეზი,  
დევეჭიროთ ორალეზი!  
სოილე რუმიანაანა,  
სოილე რუმიანაანა.  
ჰაიდე, ნევედეთ ყანაში,  
ჰაიდე, ნევედეთ ყანაში!  
მოიდა პურის საჭარი,  
მოიდა პურის საჭარი!  
მოიდენ არხატაშეზი,  
მოიდენ არხატაშეზი!  
სოილე რუმიანაანა,  
სოილე რუმიანაანა!

(შიოშვილი, 2009: 53)

ამ ლექს-სიმღერის ტექსტიდანაც ჩანს, რომ კლარჯეთში მკას „პურის ჭრას“ უწოდებენ, მკის დროს კი – „პურის საჭარს“. სიმღერა, როგორც მთქმელმაც განმარტა, ნადურია, რაზედაც უნდა მიაჩნებოდეს როგორც ფრაზათა განმეორება, რომლებიც ტრადიცი-

ულად ორი გუნდის (ორი ხმის) მიერ უნდა შესრულებულიყო, ასევე სიტყვები – „მოიდენ არხატაშები“ (მოვიდნენ ამხანაგები), რაც ნადის წევრთა შეკრებაზე მიუთითებს.

ყანის კოლექტიური მკის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა სწორედ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეშია დაფიქსირებული; ეს არის X საუკუნის ლიტერატურული ძეგლი – გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელშიც მოთხრობილია შემდეგი: გრიგოლის საძმოს წევრი ბერი ეპიფანე მივიდა დიდ ფეოდალთან – აბუსალადთან „უამსა მკისასა როჭიკისა თხოვად ხანძთი-სათვის“. აბუსალადმა უთხრა:

„– ძმათა შენთა დღესა შინა ერთსა რაჲ მკონ, მიმიცემია“.

ეპიფანემ შეკრიბა საძმოს წევრები – „ძმანი თჳსნი კეთილად მომკალნი“, მივიდნენ „გუნათლეს სიტყვსაებრ პირველთქუმულისა და იწყეს მკად კეთილსა ყანასა ვიდრე განზოგებადმდე დღისა მის ფრიადითა გულსმოდგინებითა“ (მერჩულე, 1987: 594).

ძალზე გულმოდგინებით მუშაობდნენო ხანძთელი ბერები და-ღამებადმის, – გვაუწყებს გიორგი მერჩულე; იგი არსად იხსენიებს შრომის (სამკალ) სიმღერას (და ეს არც შედიოდა სასულიერო მწერლის ინტერესში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ჩვენთვის საინტერესოა როგორც არქაული სურათი კოლექტიური შრომის პროცესისა, სადაც ანალოგიურ შემთხვევაში ერისკაცთა შორის უსათუოდ შესრულდებოდა სამკალი ლექს-სიმღერა; იქნებ ჩვენ მიერ ბუფჯურში ჩანერილი „პურის საჭარის“ წინამორბედი, მაგრამ, ალბათ, – უფრო მეტად შემკული ქართული ლექსიკით.

როგორც ცნობილია, ქართული ხალხური სამკალი ლექს-სიმღერები შესრულების თვალსაზრისით მუხლობრივია. ჩვენ მიერ კლარჯეთში დაფიქსირებული „პურის საჭარი“ სიმღერა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, კოლექტიური მკის დასაწყისში შესასრულებელია და მას უსათუოდ შრომის დაწყების მაორგანიზებელი ფუნქცია ექნებოდა; სწორედ ამაზე მიუთითებს კლარჯული სამკალი ლექს-სიმღერის სტრიქონები: „მოიდა პურის საჭარი“ (მოვიდა მკის დრო), „დევიჭიროთ ორალეები“ (დავიჭიროთ ნამგლები), „მოიდენ არხატაშები“ (მოვიდნენ ამხანაგები, იგივე ნადის წევრები). მართალია, ლექს-სიმღერაში შესულია ცალკეული თურქული ლექსემები,

მაგრამ ის მაინც ძვირფასია ჩვენთვის, როგორც სამკალში შესასრულებელი ერთ-ერთი უძველესი ქართული ნადური ლექს-სიმღერა, რომელიც კლარჯმა ჩვენებურებმა შემოინახეს.

ჩვენში ყანის მკისა და თიბვის დროს და, აგრეთვე, ფერხულებში ტრადიციულად იმღერებოდა თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული არქაული ლექსი „...ლეკებმა რომ დამიჭირეს...“ („...სამი ქალი თივას თიბდა...“).

ლექსის ხნოვანებაზე ისიც მიუთითებს, რომ მის გამოძახილს, ზეპირსიტყვიერების სხვა მრავალ ნიმუშთან ერთად, ვხვდებით დავით გურამიშვილთან. თავისი ხალხის სულიერ კულტურასთან სიყრმიდან ნაზიარები პოეტი „დავითიანში“ ლექსების მიერ მისი დატყვევების ამბავს რომ მოგვითხრობს („დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყობა“), მშობელი ხალხის ზეპირპოეტური ნიალიდან სესხულობს ამ დრამატული ვითარების გადმოცემის ვერბალურ სურათს:

შემიპყრეს, წამომიყვანეს,  
წელ-ფეწს მომიდვეს გენია,  
გარდმომატარეს ასი მთა,  
მინდორი ცხრა იმდენია...

(გურამიშვილი, 1964: 72)

არქაული ხალხური სამკალი ლექს-სიმღერის („...ლეკებმა რომ დამიჭირეს...“) თანახმად, რომლის დასაწყისიც, სიტუაციური თანხედენილობის გამო, დავით გურამიშვილის უკვდავი სტრიქონების შთაგონების წყარო გამხდარა, მთიბელები ქალები არიან და ლექსის პათოსიც სწორედ ეს არის – მთქმელს უკვირს ცელიანი ქალების ხილვა. ლექსში აღწერილია მთიბელ ქალთა ცელების წკრიალი და ხმაშენყობილი სიმღერა შრომის პროცესში.

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთი გუდამაყრული ვარიანტი ამგვარია:

მე რომ ლეკებმ დამიჭირეს,  
დამდგომ იყო კათათვისა.  
სამი მთა გადამავლივეს,  
სამივ კავკასიონისა.  
ჩერქეზთ მინდორ გადმახედვეს,  
ნისლი იდგა შავი ზღვისა.

სამი ქალი თივას სთიბდა,  
სამივ ჩერქეზთ ბატონისა.  
სამთავ ეჭირა ცელები,  
პირი ქონდა აღმასისა.  
მარმარილოს სალესები,  
იმით მოუწყობდეს პირსა.  
სამნივ ისე დასძახოდნენ,  
როგორც ანგელოზი ცისა.

(ქ.ხ.პ., X: 134-135)

მთქმელის შენიშვნით, ლექსს მღერიან თიბვაში, ყანის მკაში ან ფერწისაში. იგი კოლექტიური შესრულებისაა და საქართველოს ყველა კუთხეში იმღერებოდა ნადის დროს (ქ. ხ. პ., X: 509).

ლექს-სიმღერის ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უმეტეს ვარიანტებში უშუალოდ მთიბელი ქალების მწყობრი მუშაობის აღწერამდე გვეძლევა ცნობა იმის შესახებ, რომ მთქმელი, ანუ მხილველი ამ პროცესისა, დატყვევებულია ლექთა მიერ, მიჰყავთ (აღბათ დაღესტანში), გადაატარეს „ასი მთა“ და სწორედ იქ, მთაში, ჩერქეზეთის მინდორში, იხილა მთიბელი ქალები; თუმცა, დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულ ზოგიერთ ვარიანტში ფრაზა „ლექებმა რომ დამიჭირეს“ აღარ გვხვდება და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, და ლექსი პირდაპირ იწყება ჩერქეზეთის მინდორის წარმოდგენით („გადვიხედე ჩერქეზ მინდორს“).

ამ სიმღერის არქაულობასა და ძველი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განფენილობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ვარიანტი დავადასტურე კლარჯეთში, მურღულის ხეობაში; 2007 წლის 1 აგვისტოს თავისოფელში („ბაშქოი“) 79 წლის ეზიზ ალა (სულეიმან) ბაიდინისაგან (კამკამიძე) ჩავინერე ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი, რომლის დასაწყისიც ტრადიციული ქართული ფირალის ეპოსის ნიმუშია: ვინმე დათიკო „ტრაჟნიკებს“ შეუპყრიათ და მიჰყავთ; გადაატარეს ასი მთა კავკასიონისა და იქ ნახა სწორედ ჩერქეზთა ბატონის მთიბელი ქალები. ლექსის მთლიანი სახე ასეთია:

მშვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,  
აღარ გყავთ შენი დათიკო!



კი ეს უბრალოდ მინდორია („გავიხედე ჩეს მინდორსა“). ერთ-ერთი სრულყოფილი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

ლეკებმა რომ დამიჭირეს,  
დამდეგ იყო მკათათვისა.  
ასი მთა გადამატარეს,  
მთები კავკასიონისა.  
გავხედე ჩერქეზ მინდორსა,  
ნისლი იდგა შავი ზღვისა;  
სამი ქალი თიბას თიბდენ,  
სამივ ჩერქეზ ბატონისა.  
ხელში ეჭირათ ცელები,  
პირი ქონდა აღმასისა.  
მარმარილოს სალესავით  
იმით მოუწყობდენ პირსა.  
სამნივ ისე დასძახოდენ,  
როგორც ანგელოზი ცისა.  
არ მენახა, გამიკვირდა  
მუშაობა დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე №277: 17-18)

ისევე როგორც კლარჯულში, აჭარულ ვარიანტებშიც დატყვევებულს ასი მთის გადალახვა უწევს. ლექსის საინტერესო ვარიანტი 1959 წელს მკვლევარმა ჯემალ ნოლაიდელმა ჩაინერა ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში იბრაიმ ნოლაიდელისაგან (ა. ხ. პ., 1969: 49). მისი განხილვისას მკვლევარი წერდა: „როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს ლექს-საჩივარი შექმნილი უნდა იყოს კავკასიის მთის კალთებთან. საქართველოშიც გვხვდებოდა შემთხვევები, რომ ქალი გენახათ თესვაში, თოხნასა და მარგვლაში, მკასა და ტევვაში, კრეფაში და სხვა, მაგრამ ცელვა ძირითადად მამაკაცების საქმეს წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომ გაჰკვირვებია მოტაცებულ ტყვეს, როცა ცელით მომუშავე ქალები დაუნახავს; თუმცა, აჭარის მთიან მხარეში სათიბავშიც მონაწილეობდნენ ქალები“ (ნოლაიდელი, 1971: 106-107). აქვე აღვნიშნავთ, რომ თიბვაში ქალთა მონაწილეობით გამონვეული გაკვირვება ძირითადად აჭარულ ვარიანტებშია გამოთქმული; სოფელ წყავროკაში დაფიქსირებული ვარიანტის



მსგავსად, სოფელ ქაქუთში ჩანერილ „საჩივარშიც“, რომელიც, მთქმელის განმარტებით, გურული სუფრული სიმღერაა, გამოხატულია ას მთაგადავლილის გაცემა მთიბელი ქალების ნახვით:

...სამივ ისე დასძახოდნენ,  
როგორც ანგელოზი ცისა.  
არ მენახა, გამიკვირდა  
მუშაობა დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე №277: 18)

ერთ-ერთ შუახევურ (სოფ. ფურტიო) ვარიანტში ნათქვამია:

...მარმარილოს სალესავით  
მათ მოუწყობდეს და პირსა;  
არ მენახოს, გამიკვირდა  
მუშაობა ანგელოზი დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე №171: 74)

ჩვენ მიერ კლარჯეთში, სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი), ჩანერილი შრომის ლექს-სიმღერა უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს აჭარულ ვარიანტებთან, რაც სრულიად ბუნებრივია მეზობელ კუთხეთა ზეპირსიტყვიერების ტრადიციულ ურთიერთობაში; ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს ისტორიულ კუთხეთა შემოერთების შემდეგ ინტენსიური მისვლა-მოსვლა იყო აჭარასა და კლარჯეთს შორის, რაც ბუნებრივია, ხელახალი კულტურული დიალოგის საშუალებასაც იძლეოდა, მით უფრო – ყველაზე უფრო ქმედითი და პოპულარული ხალხური პოეზიის დონეზე.

სამკალი ლექს-სიმღერები შემოუნახავთ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებსაც. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბორჩხაში მცხოვრები 60 წლის ნაფიე ჩელიქისაგან ჩვენ მიერ 2013 წლის 8 ივლისს ჩანერილ მის ბავშვობისდრიონდელ ნადურ ლექს-სიმღერაში ყურადღება გამახვილებულია მკის დროის, ანუ „პურის საჭარის“, მოსვლაზე, როცა გლეხობაში „ნასლა-მოსლა“ იწყებოდა, რაც ნადის შეკრების ფაცაფუცსა და სამზადისზე მიუთითებს:

მოვდა პურის საჭარი  
ნასლისა და მოსლისა.

სოილე რუმინანაანა,  
სოილე დერდუნი ბანა.

„– ნადში ვმღერობდით ღარჭობაში, პური ქრაში“, – დააზუსტა მთქმელმა.

მკის პროცესი საქართველოს ყველა რეგიონში გულისხმობდა თავთავების შეკონვას, ანუ ძნების გაკეთებას. თადარიგიანი კლარჯი მეურნე ამაზედაც მიუთითებდა ნადის მონაწილეს, რაზედაც მეტყველებს 2013 წლის 18 ივლისს ჩვენ მიერ საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეში 76 წლის მელაათ ქიბარი-საგან ჩანერილი ლექს-სიმღერა:

მოდი და პური კოჭე,  
გიგიკეთავ ბალღული.  
ეგერ, თუ არ კოჭევი,  
ნუ გინდა მაგ საღღული!

როგორც აღვნიშნეთ, ერთობლივი, კოლექტიური შრომა ადამიანთათვის სიხარულისა და სიამოვნების მომტანიც იყო. ამიტომაც ნადებში ხშირად იმღერებოდა სახუმარო-იუმორისტული ლექს-სიმღერები. კლარჯ ჩვენებურთა შთამომავლებს შორის ამ თვალსაზრისით ძალზე პოპულარული ყოფილა „პურის საჭარი“, ანუ სამკაული, ლექს-სიმღერის – „...მოვდა პურის საჭარი...“ – ერთგვარი იუმორულ-პაროდიული ვარიანტი:

მოვდა პურის საჭარი,  
თავი გადაგაჭარი!

ვარიანტი:

მოვდა პურის საჭარი,  
თავი გადამაჭარი!

ამგვარი გასამხიარულებელი სტრიქონები ჩავინერე ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიეში (მთქმელი ნაილ დემირელი), საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეში (მთქმელი მელაათ ქიბარი) და ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბორჩხაში (მთქმელი ომერ დურუ). ომერ დურუს ცნობით, ამგვარ სიმღერებს მის ბავშვობაში მღეროდნენ: „– ნადებზე იმღერავდენ. ღარჭი ვიყავ, იქიდან მახსოვს“).

ნადში მხიარულებისა და განტვირთვის შესატანად სხვადასხვა იუმორისტულ ამბებსაც ჰყვებოდნენ კლარჯი ჩვენებურები. ქოჯა-ელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ლუთფიეს მკვიდრმა – 75 წლის აჰმედ სუბარმა, რომლის წინაპრებიც აქ ართვინის რეგიონის სოფელ მურღულიდან წამოსულან, გვიამბო:

„– ერთი ბერი ყოფილა, სოფელი არი ახუნარი, გურჯი – ანეს ანეს სოფელი, ჩემ ნენეს სოფელი. ნადზე წასულან, სიმინდი ნადზე წასულან და იქ უმღერია. ტ...ზე ამოსლია ფუფული ბერსა. უმღერის, უთქვამს ფუფულსა: „– შენ მოგჭრი და ჩინარი ძირში ჩაგაგდებო!“ ის კი გაათავა სიმღერა და ნენემ უთხრა: „– იცოცხლე, ნენევ, რა ლამაზად იმღერეო!“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 11 ივლისს):

სამწუხაროდ, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ვერ დავამონმეთ კალოური, ანუ უშუალოდ კალოზე შესასრულებელი, ლექს-სიმღერები, თუმცა, ზემოთ განხილულ ნადის სამზადის ლექსში მთქმელი მიუთითებს, თუ ვინ უნდა ისაქმოს კალოზე („ყალოზე“):

...ყალოზე შენ ისაქმე  
კოჭველები აყრიხან.

საყურადღებოა ისიც, რომ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებში კალოს ლენვისა და ხორბლის განიავების მთელი პროცესის ხსოვნა დავაფიქსირეთ. კლარჯთა სამეურნეო საქმიანობის ამ სახეში მთლიანად არის შემორჩენილი ქართული ტერმინოლოგია, რადგანაც თურქები მიწის მუშაკნი არასდროს ყოფილან და, ბუნებრივია, სათანადო ტერმინოლოგიაც არ აქვთ შექმნილი; ამიტომაც ჩვენებურების მეტყველება ამ სფეროში წმინდა ქართულია, შეუბღალავია:

„– კალო'ნა გავლენოთ“, – იტყოდენ. კევრში მოაბემდით ცხენ, ვარონიებდით, გავლენევდით, გუუმბრიავებდით; ბზეს ქარი წეილებს, ბზე და პური გეირჩევა. გავკაზმევდით; „კალო გავკაზმოთ“, – იტყოდენ. ბზეს ჩავყრით საბზელში, პურ ჩავყრით ბელელში. ნალიაში სიმინდ ჩავყრით“ (მთქმელი ჰასან ქალიონჯუ (ხაბაძე), მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 10 ივლისს).

კლარჯელებს ნადის მოწვევა სცოდნიათ მოძალებული საფე-იქრო საქმის დროსაც. ერთად თავშეყრილი ქალები ართავდნენ

მატყელს ან კანაფს, ქსოვდნენ საჭირო ტანსაცმელს და საოჯახო ნივთებს. აჭარელთა მსგავსად, ამას „ხერტლის ნადს“ ეძახიან. „– ხერტლის ნადზე კანაფსა დავართევდით, მატყელს დავართევდით, შალ მოვქსოვდით...“, – გაიხსენა 80 წლის ბუჯურელმა ქალბატონმა ჰაჯერ ილმაზთურქმა (ჩაინწერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს).

სამწუხაროდ, საფეიქრო ნადში სამღერი თემატური ლექს-სიმღერები ვერ დავაფიქსირეთ, თუმცა მთქმელები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამგვარ სიმღერებს ასრულებდნენ: „– ნადებს ვიქმოდით მატყლის დართვისას. სიმღერას ეტყვიან“, – გვითხრა სოფელ ჯივანში მცხოვრებმა 85 წლის ქალბატონმა აიშე გორმეზმა (ჩაინწერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს). ბუნებრივია ხერტლის ნადის შესახებ იციან კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებმაც. „უნინ იყო ხერტლის ნადი, უნინ საჩეჩელი იყო, მატყელი ჩეჩევედით, კირისთავი იყო“, – გაიხსენა 80 წლის სულთან ოზმა (მცხოვრები ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში (ძველი საალი-ჰიე). ჩაინწერა თინა შიოშვილმა 2014 წელს.

ქოჯაელის პროვინციის ქართვეს რაიონის სოფელ ნუსრეთი-ეში მარადიდელი მუჰაჯირების შთამომავლებს შორის დავაფიქსირეთ ხორბლის თესვის თემატიკის შემცველი ლექს-სიმღერა (მთქმელი სინან დემირი, 60 წლის), რომლითაც ნადის ნევრებს მოუწოდებენ, დილაადრიან გაეშურნენ სამუშაოდ:

პური თესვაზე ნევდეთ  
დღე და ღამე გაყრიხან,  
ყალოზე შენ ისაქმე...

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 84)

ნადის ნევრების, ანუ მონადეების, მობილიზებას ემსახურება, აგრეთვე, ჩვენ მიერ 2013 წელს საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ჩანერილი სამკალი ლექს-სიმღერაც, რომელსაც იუმორისტული ელფერი დაჰკრავს:

მოვდა პური საჭარი,  
თავზე გადაგაჭარი!

მოდი და პური კოჭე,  
გიგიკეთავ ბალღული.  
ეგერ თუ არ კოჭევი,  
ნუ გინდა მაგ საღლოლი.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 84)

კლარჯეთში, როგორც მესაქონლეობით მდიდარ მაღალმთიან რეგიონში, ბოლო დრომდეა გავრცელებული წველის ლექს-სიმღერები, რომელთა შემსრულებლებიც, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ქალები არიან; ისინი განსაკუთრებული სიტბოთი და მზუნველობით ეკიდებიან მეწველ ძროხას, დედის ტოლფასი სიტყვით („ნენე“ // „ნენი“) მიმართავენ, ეფერებიან. სოფელ მარადიდში („მურათლი“) 46 წლის ქალბატონის – ემინე ოზთურქისაგან (საღიროდლი) 2014 წელს ჩანერილ წველის ლექს-სიმღერაში, სააღერსო სიტყვებთან ერთად, ფურს სთხოვენ, რძე გამოიმეტოს:

დადექი, ნენევ,  
ძე მომეცი, ნენეე!  
ყირმიზავ, ძე მომეცი!..

სოფელ ერეგუნას („ერენქოი“) მკვიდრი – 86 წლის ვეფსიე ილდიზი კი სიმშვიდისაკენ მოუწოდებს მეწველ ძროხას, გამამხნევებული შორისდებულთი მიმართავს, რათა მოაწველინოს და ტლინკი არ უთავაზოს:

ჰა, ნენი, ჰა, ნენი,  
ჭლიკი არ დამარტყა!  
მოგწველო, ნენი!..

„– ამ სიტყვებით მუუფერებდით ძროხას“, – განგვიმარტა ქალბატონმა ვეფსიემ 2014 წლის ზაფხულში. ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი უფრო ადრე, 2007 წლის ზაფხულში, დავაფიქსირეთ ამავე სოფლის მკვიდრის – 95 წლის ფატყუმე გორმიშის თქმით:

ჰა, ნინი, ჰა, ნინი,  
ჭლიკი არ დამარტყა,  
მოგწველო!..

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 153)

სოფელ ფეთეკოში (ძველი გურბინი) მცხოვრები 65 წლის საბრძოლო გურდუი (პავლიაშვილი) კი „ძროხას მუუმღერავს“:

ჩემი გოგო დელია,  
თვალეზიდა მ ბელია.

კლარჯე მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც დავაფიქსირეთ წველის ლექს-სიმღერა. ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიჰიე) მცხოვრებმა სულთან ოზმა (ჩაუშოლი), რომლის წინაპრები ბორჩხის გურბინიდან გადმოხვენილან, 2014 წელს ჩაგვანერინა წველის ლექს-სიმღერა, რომელიც, მოფერების ნაცვლად, საყვედურის კილოს შეიცავს „ტლინკება“ ფურისადმი:

რა ზორ ტლინკება ფური ხარო,  
რაფერ მოქწველო შენაო?!

კლარჯი ქალების განსაკუთრებული ალერსიანი დამოკიდებულება მენწველი ძროხისადმი საერთოქართული პათოსის გამოძახილია: ფურს თუ არ მოეფერე, რძეს გადამალავს, არ მოიწველება. ასე სწამთ კლარჯელებსაც და ამიტომაც „უკუტკუტებენ“ ძროხას, ეფერებიან, ათასგავარ საალერსო სახელს უწოდებენ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ხალხის რწმენით, ამ ლექს-სიმღერებს გარკვეული პროფილაქტიკურ-მაგიური დანიშნულება ენიჭებათ. ფურისადმი ამგვარ დამოკიდებულებას იჩენს მსოფლიოს მრავალი უძველესი ხალხი (Бюхер, 1923: 288); საქართველოს ყველა მესაქონლე რეგიონშიც ფურისადმი განსაკუთრებულ სიბოძასა და მზრუნველობას იჩენენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეთნოლოგ ვახტანგ შამილაძის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ძროხის წველის პროცესში აჭარელი მემთევრე და მეახორე ქალები „სპეციალურ სიმღერას ასრულებდნენ“, რაც ფურზე დადებითად მოქმედებდა, ძროხა უფრო თვინიერი ხდებოდა და „რძესაც სიამოვნებით იძლეოდა“ (შამილაძე, 1964: 249).

ამდენად, კლარჯე ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი წველის ლექს-სიმღერები და მათი შესრულების ტრადიცია საერთოქართული გენეზისისაა.

ამრიგად, როგორც საქართველოს ისტორიულ კუთხეში – კლარჯეთში, ისე კლარჯეთიდან თურქეთის შიდა რეგიონებში გადასახლებული კლარჯი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილია კოლექტიური შრომის ძველი ქართული ტრადიცია – ნადი და ამ შრომითი თავშეყრის დროს სამღერი ლექსები, ანუ ნადურები, რომელთა სახელდებაცა და შესრულების წესიც ზოგადქართულის იდენტურია. ძირძველი ქართული რეგიონის – კლარჯეთის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში სხვა ტრადიციულ ქართულ წეს-ჩვეულებებთან და მათთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებასთან ერთად, შრომითი ტრადიციების შემონახვა განაპირობებს თურქულ გარემოცვაში მცხოვრები ჩვენებურების ეროვნული იერსახის შენარჩუნებას, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი უცილობელი პირობაა.



სოფ. ბუჯური, 2007 წ.  
საქორწილო ტკბილეულის სამზადისი

## პატრიოტული ლირიკა

მდიდარი ტრადიციების მქონე მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია პატრიოტული პოეზია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სულიერად აკაჟებდა და ზრდიდა გამუდმებით თავდაცვით ომებში მყოფი ჩვენი ქვეყნის პატრიოტ ვაჟკაცებს, გმირულ სულისკვეთებას უნერგავდა, მამულის მოვლა-პატრონობის ჭეშმარიტ გზას უნათებდა „იავნანებიდან“ მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე. „ეროვნული თვითმყოფადობისა და საერთოქართული ცნობიერების ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგიის შენარჩუნებაში, საგმირო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პატრიოტული ხასიათის ხალხურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ქართველთა თავგანწირვა მამულისადმი და მისი მსახურების ზნეობრივი კოდექსი“ (შიოშვილი, 2011: 144).

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია პატრიოტული ლირიკის უბადლო ნიმუშებით, რომლებიც, პროფესორ ქსენია სიხარულიძის მართებული შენიშვნით, „იყო ერთგვარი დიდი სკოლა, დაუნერვლი, მაგრამ ქართველი კაცის გულის ფიცარზე აღბეჭდილი და სულში ჩაღვრილი სახელმძღვანელო; ეს იყო საზნეობო ზეპირი წიგნი, ჭკუის სასწავლებელი, გამამხნევებელი და სულის ამამალებელი“ (სიხარულიძე, 1965: 6)“. ბუნებრივია, ამგვარი ღირსსახსოვარი პატრიოტული ლირიკის არაერთი ნიმუში შეიქმნებოდა ისტორიულ კლარჯეთშიც, რომელიც, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის სხვა რეგიონებთან ერთად, ქართული სულიერების მძლავრი კერა იყო; ხოლო მისი ბობოქარი ისტორიული რეალიები – არაერთი გმირის, ზნესრული მამულიშვილის წარმოჩენის ბუნებრივი ასპარეზი. უდავოა, რომ გარდასულ ეპოქათა სახალხო მთქმელები უშურველად შეასხამდნენ ხოტბა-დიდებას მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს, სახალხო სიმღერებში აიტაცებდნენ სამშობლოსადმი



მათი თავგანწირვის მაგალითებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამოისობით, აქაურთა მეხსიერებას აღარ შემორჩენია არც რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული პატრიოტული სულისკვეთების ხალხური ლექს-სიმღერები და არც გამირობა-ვაჟკაცობასა თუ მამულიშვილობაზე საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ განზოგადოებულ შეხედულებათა ამსახველი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ქართული ეპოსის კვლევისას პროფესორი ზურაბ კიკნაძე დანაწევრებით შენიშნავს, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ დასტურდება ისტორიული ხასიათის ეპოსი, „...არ ჩანს ისტორიული გმირის სახელი, რომლის გარშემო რეალური ისტორიის თავისებურად გარდაქმნილ საგმირო ამბავთა ციკლიზაცია მომხდარიყოს, თუმცა, საქართველოს ისტორია არცთუ ღარიბია ჰეროიკული ეპოქებით, ბრძოლებით და, შესაბამისად, ისტორიული გმირებით“ (კიკნაძე, 2008: 76). ამგვარი გმირები, რომელთა ეპიკური თავგადასავლებითა და ქვეყნისადმი თავდადების მაგალითებით თაობები აღიზარდნენ, მკვლევარს, უპირველეს ყოვლისა, სწორედაც საქართველოს ამ უძველეს კუთხეში – კლარჯეთში ეგულება: „ჩვენ ვერ ვიფიქრებთ, რომ ხალხის ეპიკური ცნობიერება გულგრილი დარჩენილიყოს იმ ეპოქალური სასიკეთო თუ საბედისწერო ძვრების მიმართ, რომლებიც არაერთგზის განუცდია ქვეყანას; ვერ ვიფიქრებთ, რომ ზეპირსიტყვიერმატიანეს არ აესახოს ესპანეთის რეკონკისტის (არაბებისაგან ქვეყნის გამოხსნის) ანალოგიური, უაღრესად დაძაბული, ხანა აშოტ კურაპალატისა და მის თანამდგომთა გმირული ეპოქა, რაც ქართული მინების კვლავ შემოკრებით დასრულდა, მაგრამ ესპანური „ჩემი სიდის“ მსგავსი ხალხური პოემა, სადაც უკვდავყოფილი იქნებოდა თაობათა ხსენებაში „ჩემი აშოტი“, არ დასტურდება... ან თუნდაც, უფრო ადრეული ეპოქა ფარნავაზისა, რომლის არქეტიპული დროის, როგორც „ძლიერი ჟამის“, მეფობის და სხვა სულიერ ღირებულებათა, მრავალ სიახლეთა დასაბამური ჟამის კვალი წერილობითმა ისტორიამ შემოინახა, ხალხის ხსოვნას კი ვერ შემორჩა. რა მიზეზით? მიზეზი მარტივია: ვრცელია „კოლექტიური“ მეხსიერება, მაგრამ ის უსაზღვრო და დაუშრეტელი არ არის... თაობათა მონაცველობასთან ერთად იცვლება... ძველი გადადის, მის ნაცვლად ახალი მკვიდრდება...“ (კიკნაძე, 2008: 76).

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ გარდასულ ეპოქათა კლარჯული ხალხური პატრიოტული პოეზიის იმ ნაკადზეც, რომლის ერთ-ერთი მთავარი ადრესატი, ალბათ, აშოტ დიდი კუროპალატიც იქნებოდა და მისი წინა თუ მომდევნო ეპოქათა პატრიოტი ქართველებიც, თუმცა, თაობათა მონაცვლეობას დედასამშობლოსაგან ამ კუთხის მოწყვეტა და რელიგიური კონფესიის შეცვლაც დაემატა, რამაც, ბუნებრივია, კლარჯეთის მკვიდრთა ისტორიული მიხსიერებაც ერთგვარად შეასუსტა და ეროვნულ-პატრიოტული იდეალებისადმი ტრადიციული ერთგულებაც. „...მათთვის საუკუნეთა განმავლობაში გაუცხოვდა ერთიანი ქართული სივრცე, ხოლო მუსულმანურ სამყაროში ჩარჩენილთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებიც გაუფერულდა; ახსოვდათ, რომ „გურჯები“ იყვნენ, მაგრამ ნებისთ თუ უნებლიეთ ქართულ ტრადიციებთან გარკვეულმა გაუცხოებამ და სამშობლოსადმი მსახურების შეგნებული ნებელობის არქონამ მათ პატრიოტულ სულისკვეთებას გარკვეული დალი დააჩნია“ (შიოშვილი, 2011: 145). მიუხედავად ამგვარი ისტორიული ბედუკუღმართობისა, კლარჯე ჩვენებურთა ცნობიერებაში საუკუნეთა განმავლობაში დაგუბებულმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ გამოძახილი მაინც ჰპოვა საკუთარი „გურჯობის“ შენარჩუნებასა და გურჯული ლექს-სიმღერებისადმი ერთგულებაში, გაღმა დარჩენილ თანამომეტადმი სწრაფვასა და სიყვარულში, მათთან შეხვედრის ნატვრაში, გაღმა-გამოღმა დარჩენილი გურჯების დამაკავშირებელი ხიდის აგების სურვილში. „ჩვენ არსაიდან მოსულები არ ვართ, აქაც საქართველო იყო!“ – გვითხრა სოფელ ისკებში მცხოვრებმა სახალხო მთქმელმა შერაფეთთინ თურანმა (ჩაინერა რ. ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს). ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ კლარჯე ჩვენებურთა ზოგად მეტყველებასა თუ ხალხურ პოეზიაში ხშირად მოიხსენიება ბათუმი („ჰაიდე, ნევდეთ ბათუმში...“, „ბათუმიდან მოვსულვართ“, „ბათუმიდან მოსულა“ და ა. შ.), რაც კლარჯებისათვის, შავმელთა მსგავსად, „მემლექეთთან“, დედასამშობლოსთან ასოცირდება.

კლარჯთა საანდაზო მეტყველებას ღირსსახსოვრად შემორჩენია მონატრება თვისტომისა: „– ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო“, – გვითხრეს კლარჯებმა და სასოებით ამოთქვეს ლოცვა: „– ჩვენი მემლექეთი შეინახოს ღმერთმა!“

აღსანიშნავია, რომ კლარჯულ ხალხურ საქორწილო ლექს-სიმღერებში დედოფლის მშვენიერების ხაზგასასმელად მას ბათუმი-

დან მოყვანილად, ბათუმელად სახავენ, რაც, აგრეთვე, გარკვეული სისხლის ყივილია:

ბათუმიდან მოსული,  
სანთელჩი ამოსმული!  
გელინ, შენი ლოყებზე  
ვარდები ამოსული!

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიე-ში კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლის – ბეიჰან აქინისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ამ ლექს-სიმღერაში „ბათუმიდან მოსულის“ ეპითეტად ქცევა, რითაც ცდილობენ, სათანადოდ შეამკონ პატარძალი, დასტურია ჩვენებურთა პატრიოტული სულისკვეთებისა, ბათუმის და ზოგადად საქართველოს მიმართ მათი ამაღლებული გრძნობისა.

ჩვენებურებს რომ ბათუმი ყველაზე ლამაზ ქალაქად, ხოლო ბათუმელები ყველაზე ლამაზებად მიაჩნიათ, მონმობს 2014 წელს ჩვენ მიერ ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ ალაჩამში (ძველი თეშვიგე) 81 წლის ჯემალ დემირისაგან ჩანერილი სიტყვები: „– იქ, გურჯისტანში, ლამაზი ინსნები არიან. აქ ისე ლამაზები არ არიან. ტელევიზიონში ვნახე“.

ქართველობა („გურჯობა“), ქართული სულის ყივილი კლარჯი ჩვენებურებისათვის წინაპრებთან, მამა-პაპათა ხსოვნასთან არის დაკავშირებული; „ჩვენ არსაიდან მოსულები არ ვართ, აქაც საქართველო იყო!“ – გვითხრა სოფელ ისკებში მცხოვრებმა სახალხო მთქმელმა შერაფეთინ თურანმა (ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს). ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ კლარჯ ჩვენებურთა ზოგად მეტყველებასა თუ ხალხურ პოეზიაში ხშირად მოიხსენიება ბათუმი („ჰაიდე, წევდეთ ბათუმში...“, „ბათუმიდან მოვსულვართ“, „ბათუმიდან მოსულა“ და ა. შ.), რაც კლარჯელებისათვის, შავშელთა მსგავსად, „მემლექეთთან“, დედასამშობლოსთან ასოცირდება.

„მემლექეთისადმი“ სიყვარული და მისი მონატრება მარტო ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერებაში როდი გამოსჭვივის; ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიეში კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლის – ბეიჰან აქინისა-

გან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ამ ლექს-სიმღერაში „ბათუმი-დან მოსულის“ ეპითეტად ქცევა, რითაც ცდილობენ, სათანადოდ შეამკონ პატარძალი, დასტურია ჩვენებურთა პატრიოტული სულისკვეთებისა, ბათუმის და ზოგადად საქართველოს მიმართ მათი ამაღლებული გრძნობისა. ისინი სასოებით იხსენებენ წინაპრებს, რომელთაგანაც ძვირფას მემკვიდრეობად მიიღეს მშობლიური ენა და ამ ენაზე შესასრულებელი „გურჯიჯა სიმღერები“, ამდენი ხანია, თავგამოდებით რომ ერთგულობენ და ცდილობენ, თავადაც შემოუნახონ შთამომავლობას. ამის დასტურია 2007 წელს სოფელ ჯივანში (ჯვანი) მცხოვრები 85 წლის ქალბატონის – აიშე გორმეზისაგან (ჰელიმოლლი) ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც, ქართული სიმღერების შესრულება მამის („ბაბოს“) ხათრისთვის ხდება და ეს ხათრია, სწორედ, ქართული გენის დაუოკებელი ყივილი:

ერთი-ორი დევევიროთ  
გურჯიჯა სიმღერაზე!  
ერთი-ორი მოვიაროთ  
ჩემ ბაბოს ხათრითვინო!

თურქულ-ქართული ურთიერთობების დათბობამ, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურმა თანამშრომლობამ და ხალხის ინტენსიურმა მისვლა-მოსვლამ კიდევ უფრო გამოაღვიძა კლარჯ ჩვენებურთა ეროვნული სულისკვეთება; გაღმა-გამოღმა დარჩენილი ნათესაობის გამოცოცხლებამ ათქმევინა სოფელ დევსქელის მკვიდრს – 80 წლის ჰაჯერ ილმაზთურქს (შამილოლლი) – შემდეგი სტრიქონები:

თავზე ააზმა მბურია,  
ოა, გაკერე, ოა;  
ჩემი გურჯებში წასლა და  
რატომ გიკვირან, გოიამ?

(ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს)

მდინარე ჭოროხის გაღმა-გამოღმა დარჩენილი ქართველობა დიდი ხნის მანძილზე შორიდან ელაციცებოდა ერთმანეთს; საგულდაგულოდ დაგმანული მავთულხლართები კირნათ-მარადიდელთა სულებში ჩახლართული ტკივილი იყო... ბოლო ხანებში შუ-

აგაყოფილი სოფლის სანუხარი თითქოს ოდნავ შენელდა, რაკი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეძლეს დანატრებულმა ნათესავ-მოკეთებმა, თუმცა, ამისათვის ძალზე შორი გზა უნდა მოიარონ; არადა, როგორც მარადიდში (მურათლი) მცხოვრები ცნობილი ავტორ-მთქმელი ნიზათ ოზთურქი (თიკნაძე) ოცნებობს მის მიერ გამოთქმულ ლექსში, რომელიც მთელს სოფელში იციან, კირნათი-დან მარადიდანმდე ხიდის აშენება ამ პრობლემას მოაგვარებდა:

კირნათიდან მარადიდ  
ქოფრი გაკეთდეს, მინდა;  
ენნინ შემ თუ გამოხვალ,  
გაჩუქავ შავი წინდა.

(შიოშვილი, 2014: 73)

მარადიდელების სამადლობლად შეიძლება ჩაითვალოს ნიზათ ოზთურქის მიერ გამოთქმული ლექსი, რომელშიც გამოხატულია მდინარე ჭოროხის მიერ გაყოფილი, სხვადასხვა სახელმწიფოთა შემადგენლობაში მყოფი ნათესავ-მეგობრების ოდინდელი სანუხარის მოგვარება მთავრობის მიერ, რისთვისაც სახალხო მთქმელი ლოცავს ამ პრობლემის მომგვარებელს:

გალმა-გამოლმა დავრჩით,  
ჭოროხმა გამარიგეს;  
ღმერთმა ბოფრი დღე მიცეს –  
მთავრობამ შემარიგეს!

(შიოშვილი, 2014: 73)

იმის დასტურად, რომ ლექსის ავტორი თავად იყო, მთქმელმა გვითხრა: „– ჩემი დანყოფილი გითხრა, ამის დამწყობელი მე ვარ“. ბატონმა ნიაზმა უდიდესი სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველო დაინტერესდა მათთან ურთიერთობით; მიაჩნია, რომ გურჯები ერთად უნდა ვიყოთ, ერთმანეთის ჭირი და ლხინი გავიზიაროთ. ამგვარია მისი ქართველურ-პატრიოტული სულისკვეთება, რაც ოდითგან ყოველთა ქართველთა სურვილიც არის.

## ფილოსოფიური ლირიკა

ქართული პოეტური ფოლკლორის ერთ-ერთ მდიდარსა და დახვეწილ უბანში – ფილოსოფიურ ლირიკაში ჩვენმა ხალხმა დიდებულად გამოხატა თაობათა შეხედულებანი საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანის დანიშნულებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სულიერისა და მატერიალურის მარადიულ ჭიდილზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, სიკვდილ-სიცოცხლის მტკიცეულ პრობლემაზე და წუთისოფლის აღმართ-დაღმართიან გზებზე წამოჭრილ მრავალ სხვა საკითხზე, რომლებშიც კარგად წარმოჩნდა ქართველი კაცის ზნეობრივი მრწამსი, სიბრძნე და სიქველე, მისი მდიდარი და ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით აღსავსე სულიერი სამყარო. როგორც პროფესორი ელენე ვირსალაძე მიუთითებს, ფილოსოფიური ხასიათის ლექს-სიმღერების „შესრულების ხანგრძლივ, საუკუნეობრივ ტრადიციას მონიშნავს მათი დადუღებული ფორმა, მაღალი აფორისტული ხასიათი და საყოველთაო გავრცელება“ (ვირსალაძე, 1968: 253).

ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის განსასაჯელ პრობლემათაგან სიკვდილ-სიცოცხლე ერთ-ერთი უმთავრესია. იგი კაცობრიობის ისტორიის უძველესი და მარად ახალი თავსატეხია, რომელიც დასაბამიდან აღელვებს ადამის მოდგმას. „ეს საკითხი ძველი ინდოეთიდან დაწყებული ყველა ხალხის მოაზროვნეს აინტერესებდა და აინტერესებს დღესაც. იგი არის წყარო რელიგიური განცდილისა, იგი არის დასაბამი პესიმისტური სულიერი განწყობისა. რელიგია სიკვდილის ფაქტით დაშინებული ადამიანის არსებას იმედის სანათით უთბობს და უნთებს გულს, – წერს აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე (უზნაძე, 1986: 186-187).

სიკვდილის – ადამიანის გონებისათვის ამოუხსნელი ამ სატკივრის შეცნობა ყოველ ეპოქაში ეწადა ადამიანს. უყველესი მითების სამყაროდან მოყოლებული მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების კორიფეებითა თუ რიგითი მოკვდავებით დამთავრებული, ყველას

აღელვებს მარადიული კითხვები: „რა არის ჩვენი სიცოცხლე?“, „ნეტავ, რა ზნე სჭირს სიკვდილსა?“, „ნეტა, სიკვდილის მამგონი ღმერთი თუ ჯოჯოხეთია?“, „...მამა-პაპანი რა ქნილან?..“ და სხვა.

სიკვდილისადმი, როგორც სიცოცხლის მუდმივი თანმდევისა და მისი დასასრულისადმი, ადამიანის დამოკიდებულება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირად წარმოიდგინება; მისი შეცნობის, მისი არსის გაგების რთულსა და ხანგრძლივ გზაზე ადამიანთა შემეცნება, ბუნებრივია, აღმავალი გზით მიემართება, მაგრამ ამ ურთულესი ფილოსოფიური პრობლემის გააზრების ყოველგვარ ცდას თან სდევს ერთი დაუძლეველი დილემა – სიკვდილის შიში. ეს შიში, ამავე დროს, კაცობრიობის განვითარების უდიდესი სტიმულიც არის; იგი აძლევს ძალასა და მიმართულებას ადამიანის არსებობასა და მოღვაწეობას; როგორც დიმიტრი უზნაძე აღნიშნავდა, „მთელი ჩვენი ცხოვრების ფორმა, სახე სიკვდილმა წარმოშვა. ამიტომ იგი განუყრელი დარაჯივით მუდამ თან გვსდევდა და კიდევაც გვსდევს“ (უზნაძე, 1986: 16).

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულსა და დაუძლეველ პრობლემას ფაქიზი და ღრმა განცდებით წარმოაჩენს ქართული ხალხური სიტყვიერების ყველა უნარი; მათ შორის გამორჩეულია ფილოსოფიური ლირიკა, რომელშიც ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებული მგრძნობელობით ჩააქსოვა ამ ზოგადკაცობრიული პრობლემის საკუთარი ფილოსოფიური გააზრება, მისადმი ბრძნული და, ამავე დროს, ტკივილიანი დამოკიდებულება, გამოხატა სიცოცხლისადმი დაუოკებელი სწრაფვა, სიყვარული და სიკვდილი აღიარა ტკბილმწარე სიცოცხლის გვირგვინად, „ღვთის ვალად“, რომელსაც ვერსად გაექცევა, და ამით დაჯაბნა ეს ბოროტი ძალა, ამაღლდა სიკვდილის მარადიულ შიშზე“ (შიოშვილი, 2002: 154-190).

სიკვდილ-სიცოცხლის ოდინდელი პრობლემისადმი გულგრილნი არც კლარჯი ჩვენებურები დარჩენილან; მათაც უფიქრიათ სიკვდილზე, მის მსახვრალ ხელზე. ამის დასტურია კლარჯეთის ერთ-ერთ უღამაზეს სოფელში – ქლასკურში, წინწკალამვილების უბანში, მცხოვრები 84 წლის ქალბატონის – ალთუნ თაბანისაგან 2014 წლის 2 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელიც პოლემიკური სტილისაა, რაც ამ წყევლაკრულვიანი პრობლემის ბუნებრივი გამოხატულება და ზოგადკაცობრიული სანუხარია:

სახლის უკან ელეები,  
დავაგორე ჭერები;  
სიკდილი თუ არ არი,  
ჰად არიან ძველები?

(შიოშვილი, 2014: 72)

ამ ლექსის ვარიანტი პროფესორმა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს ჩაინერა სოფ. ჯივანში (ჯვანი) მცხოვრები 60 წლის რესმიე ჩავდარისაგან (სალიხოლლი):

თავზე აზმა მბურია,  
არის ერთი ელეები;  
სიკტილი თუ არ არი,  
ჰად არიან ძველები?!

კლარჯი მელექსის მარადიული რიტორიკული კითხვა – „ჰად არიან ძველები?“ – ისეთივე უშუალო გამოძახილია წუთისოფლის ლაბირინთებში გარკვევის მცდელობის გზაზე, როგორც ქართული სახალხო მთქმელის ამონაკვნესი:

ნეტავი შამატყობინა,  
მამა-პაპანი რა ქნილან,  
ან მოყვარული ცოლ-ქმარნი  
უდროთ რისთვის გაყრილან;  
დაცლილან ნასახლარები,  
ზოგან სულ წმინდათ აყრილან,  
ამ სოფელს აღარ დამდგარან,  
იმ სოფლის მკვიდრნი შაქნილან.

(კოტეტიშვილი, 1961: 145)

„ათასნაირად ჭრელი“ წუთისოფლის შეცნობის გზაზე უიმედობის გრძნობის გამოხატვა უცხო არ არის ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკისათვის. ჩვენმა ხალხმა, სამწუხაროდ, გაითავისა, რომ ამ სოფლის „სუყველა მხარე ჭრელია“ (ქ. ხ. პ., 1979: 39), რომ „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“ (ქ. ხ. პ., 1979: 42), რომ „წუთია წუთისოფელი, ცნობას არ გაცლის ძმისასა“ (ბსუნბიფა, საქმე №118: 13), „ეს სოფელი საზოგადოდ ძნელად აუტანელია“ (ბსუნბიფა, საქმე №191: 85). წუთისოფლის წარმავლობა



და ამაოება, სიკვდილის რეალურობა კლარჯი მუჰაჯირების შთამომავალმა მეჰმედ სერთოლლუმ (მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში) შემდეგი სტრიქონებით გამოსატა:

ტყვილი და ააფერია  
ატაური დუნაა,  
გავლილი და ნასული  
უკან არ მობრუნია...

(ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2013 წელს)

სიკვდილის გარდუვალობის რეალური აღქმით გაჟღენთილი სტრიქონების არაერთი ვარიანტია ცნობილი ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაში; მათ შორის ნუზჰეთიელი სახალხო მთქმელისეულ დასკვნას ნუთისოფლის წარმავლობაზე კარგად ეხმიანება ფილოსოფიური პოეზიის ერთ-ერთი ლაპიდარული ნიმუში:

ეგ სოფელი სთველია,  
ატ არავინ დარჩება,  
ყველა ნასასვლელია.

(უმიკაშვილი, 1964: 188)

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ადამიანს გულზე ჯავრი შემოეყაროს, ზოგჯერ ნაიბორძიკოს და საკუთარი გაჩენაც დაწყევლოს, ელეგიური განწყობილების სტრიქონებიც ამოიმღეროს ისე, როგორც გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში მცხოვრები კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლის – 60 წლის სინან დემირისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაშია ნათქვამი:

ღმერთო, რამ გამაჩინე  
დუნაში ნუხარა!  
ხან მეტყვიან, იცოცხლე,  
ხან – მოკვდი და ნუ ხარა!

(ჩაინერა და გადმოგვცა სულჩუქ აქინმა 2013 წელს)

ამ მშვენიერი ფილოსოფიური ლექსის განწყობა პირდაპირი გამოძახილია ქართული ხალხური ელეგიური ლექს-სიმღერისა „ჯავრიანი გული“:

...ეს ერთი გული მეტყვოდა:  
მოკვდი, რათა ხარ მთელია!  
მეორეც ამას ამბობდა:  
იყავ, აჯავრე მტერია!..  
(ქ. ხ. პ., 1979: 42)

„ჯავრისაგან მოკლული გულის“ ეს ოპტიმიზმი ნუთისოფელ-თან მეომარი ქართველი კაცის ოპტიმიზმია, რომელიც, როგორც პროფესორი ელენე ვირსალაძე მიუთითებდა, „უდიდესი გასაჭირის დროსაც არ ეძლეოდა სასონარკვეთილებას; რომელსაც გული, ჯავრით და მძიმე ცხოვრებით სიკვდილის პირად მისული, მაინც ამას უკარნახებდა: „იყავ, აჯავრე მტერია!“ (ვირსალაძე, 1968: 258). მართალია, კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებული სტრიქონები ბედთან ამგვარი შეურიგებლობით არ არის აღბეჭდილი, მაგრამ მასში, წამიერი სასონარკვეთილებისა და უფლისადმი სამდურავის გვერდით, მაინც გამოსჭვივის ქართველთათვის ოდითგან დამახასიათებელი სწრაფვა სიცოცხლისადმი; ხოლო ავბედითი სიტყვების („...მოკვდი და ნუ ხარა“) მიმართ ჩვენებურთა დაუმორჩილებლობა მათსავე ცხოვრების სტილსა და დაუდგრომლობაშია გამოხატული, რაც სიცოცხლის გაგრძელებას, ცხოვრებასთან ჭიდილს გულისხმობს და, ცხოვრებისეული სიბრძნიდან გამომდინარე, დიდაქტიკურ-დამრიგებლობით სტრიქონებში ვლინდება.

2007 წლის 1 აგვისტოს კლარჯეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ გურბინში პროფესორ მამია ფალავას მიერ ხასან პავლაძისაგან ჩანერილ ერთ დახვეწილ ფილოსოფიურ ლექსში ნუთისოფელში ადამიანის სიცოცხლე შედარებულია ყანასთან, რომელსაც ხან თესვენ და ხანაც მკიან; ამიტომაც მართებს ადამიანს, ტკბილი („უკბენარი“) ენა ჰქონდეს:

ჰემ მომკვენ, ჰემ დათესვენ,  
ეს დუნა ყანა არიო.  
ერთი კარგა გაფიქრე,  
მუუკტომელი ვინ არიო?  
დუნაში ენ კაა რაცხა  
უკბენარი ენა არიო!

„ლაქარდიანი ენა“ დასახული ყველაზე უკეთესად ამქვეყნიურ ცხოვრებაში ერთი ფშაური ლექსის თანახმადაც:

არც არა მარგო ტირილმა,  
არც არა – ცრემლის დენამა;  
აჯობა ისევ სიცილმა,  
ლაქარდიანმა ენამა...

(ქ. ხ. პ., 1979: 47)

ამიტომაც მოუწოდებს კლარჯი მელექე ყველას, ამ ხანმოკლე ცხოვრებაში მეტი სიხარული ეძიონ, რადგან ყოველივე წარმავალია:

მოე, ერთდრამი ვიმღეროთ,  
ლამაზ იყოს ყეფდედაო;  
მივალ იმ დუნისკენ,  
იმითავდა ვადედაო.  
რა იქნება ამ დუნით,  
რამ არ არი ფაფდედაო...

(ფუტკარაძე, 1993: 308)

ჯანსაღი ხალხური ოპტიმიზმის, ოჯახური მყუდროების ძიების დასტურია მარადიდელი ავტორ-მთქმელის – 66 წლის ნიზათ ოზთურქისაგან 2014 წლის 3 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი, რომელიც ცხოვრების ღირსეული თანამგზავრის შერჩევის თემას ეხება:

იმგვარი ცოლი ითხოვე ქი,  
სიცოცხლეში გაგახაროს;  
რომ მოკტები, მაშინეზე  
გულზე ქცემლი დაგაყაროს!

წუთისოფლის წარმავლობის შეცნობის, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის ჭვრეტიდან მყუდრო, მშვიდობიან ოჯახურ იდილიაზე ოცნების ჩათვლით კლარჯი ჩვენებურების ფილოსოფიურ ლირიკაში გამოხატული გულისთქმა ზოგადკაცობრიულია, მდგრადობისა და სულიერი სიძლიერის დასტურია და მთლიანად თანხვედბა ქართული ხალხური ფილოსოფიური პოეზიის მსოფლგაგებას.

## სატრფიალო პოეზია

ყოველი ხალხის, და მათ შორის ქართველთა, სულიერი ცხოვრების, მისი შინაგანი სამყაროს, იმედისა თუ უიმედობის, ჭირისა თუ ლხინის, იმედგაცრუებისა თუ ოპტიმიზმის, ოცნებისა და მისწრაფებათა უშუალო და პირუთვნელი გამოძახილია ხალხური პოეზია, რომელსაც პროფესორმა თეიმურაზ ქურდოვანიძემ „ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი“ უწოდა (ქურდოვანიძე, 1997: 4); ჭრელსა და ათასგვარი პრობლემებით დახუნძლულ ნუთისოფელთან დღემუდამ მებრძოლი, უკეთეს მერმისზე ორიენტირებული, სილამაზისა და სილალის მეხოტბე ქართველი კაცის გრძნობები კი ყველაზე უკეთ გამოვლინდა ქართული ხალხური პოეტური ფოლკლორის ერთ-ერთ უმშვენიერესსა და ფორმის მხრივ სრულყოფილ ჟანრში – სატრფიალო ლირიკაში; მასში უტყუარად ჩანს უძველესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ჩვენი ხალხის სულიერი მისწრაფებანი, ფსიქოლოგია, ადამიანური გრძნობები, ზნემაღალი ესთეტიკური იდეალები, მოქალაქეობრივი კრედო. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რამდენადაც, როგორც პროფესორმა ელენე ვირსალაძემ აღნიშნა, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკა „ტიპურის, მრავალთა მიერ განცდილის გამოხატულებაა, მრავალთა გულისნადების გამჟღავნებაა“ (ვირსალაძე, 1978: 7), რაც განაპირობა ქართული ხალხური ლირიკის კოლექტიურმა ბუნებამ, შესრულების ხშირმა საგუნდო ხასიათმა.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია სატრფიალო ლექს-სიმღერებით, რომლებიც გულწრფელი საგალობლებია ჯანსაღი ადამიანური სიყვარულისა და, ამავე დროს, გამორჩეულია პოეტური ფორმის სინატიფითა და დახვეწილობით. ბუნებრივია, კლარჯეთშიც იქმნებოდა და იქმნება სატრფიალო ლირიკის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენებურთა შინაგან ცხოვრებაზე, მათ გრძნობებზე, ამ გრძნობათა სუბიექტებსა და

ობიექტებზე, მათ სულში გადახარშულ ტრფობის იდეალებზე და ზოგადად მიჯნურთა მსოფლმხედველობაზე.

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძრითად სახეობათა-გან კლარჯი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად ვხვდებით შაირის ფორმის ქების, ელეგიის, ნატვრისა და მინატურულ ლექს-სიმღერებს, რომლებითაც კლარჯი ქალ-ვაჟები აღწერენ სიყვარულის ობიექტის გარეგნობას, მის სილამაზეს, შინაგან ბუნებასა და ხასიათს, გადმოსცემენ საკუთარ გრძნობებსა და შეფასებებს როგორც კონკრეტული სატრფოს მიმართ, ასევე – სიყვარულის ზოგად არსზე.

კლარჯული სატრფიალო პოეზიის უმთავრესი ადრესატი, ზოგადქართულის მსგავსად, ქალია. კლარჯ ვაჟკაცს, რაგინდ გულადიც იყოს, მიჯნურის დანახვასა და მის მოგონებაზეც კი ჟრუანტელი უვლის და გულში აკანკალებს:

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
ღრო ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

(მთქმელი ალთუნ თაბანი. ჩაინერა თ. შიომ-ვილმა 2013 წელს სოფელ ქლასკურში)

ანდა:

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმისკენ კაკანობს;  
ღროს ქი დევენახავ,  
გული გამიკაკანობს.

(მთქმელი ვილდან ერქილიჩი. ჩაინერა თ. შიომვილმა 2013 წელს სოფელ ქართლაში)

ამ ლექს-სიმღერის 21 ვარიანტი დაფიქსირდა ისტორიული კლარჯეთის სოფლებსა და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ქოჯაელისა და ბურსას პროვინციის სოფლებში. აღსანიშნავია, რომ ეს სატრფიალო შაირი ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, შავშეთისა და აჭარის ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში (შიომვილი, 2011: 151-152), რაც იმის დასტურია, რომ ეს უძველესი

ქართული რეგიონები ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის განუყოფელი ნაწილებია.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში პოპულარული სატრფიალო ლექს-სიმღერა „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, რომლის ათეულობით ვარიანტი დავაფიქსირეთ. კლარჯეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელში – ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში, 78 წლის მიერეე ქესუმისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

წყალსა ნაფოტი მიაქ  
სელვის ჩამონათალი;  
წყალო, შედექ, მოე, მითხარ  
ჰაროს შამონათვალი!

ამ ლექს-სიმღერის როგორც კლარჯული, ისე შავშური ვარიანტების უმეტესობაში ნაფოტი მოაქვს ჭოროხს და ეს ბუნებრივიც არის, რადგან მდინარე ჭოროხი ჩვენებურთათვის დედა მდინარეა; თუმცა, ისიც ნიშანდობლივია, რომ ამჟამად ჭოროხის ნაპირებიდან უკვე შორს მცხოვრები კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლების ზეპირპოეტურმა მეხსიერებამაც მეტწილად „ჭოროხი“ შემოინახა. იალოვას პროვინციის არმუთელუს რაიონის სოფელ ჰაირიეში ბორჩხა-დან გადმოსულთა შთამომავლის – 64 წლის მეთთინ სერთასლანი-საგან გიორგი მახარაშვილის მიერ ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

ჭოროხ ნაფოტი მიაქვს  
ვისი ჩამონათალი?  
მოდე, ერთი მითხარი  
ჰარის შემონათვალი!

ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში ასევე კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან (წინაპრები მოსულან სოფელ ქლასკურიდან) – 80 წლის რუყიე ილდირიმისაგან ჩვენ მიერ ჩანერილ ვარიანტში ლელეს მოაქვს ჩალმის ჩამონათალი; მთქმელმა კი უკვე იცის, რა დაუბარა სატრფომ და აცხადებს, რომ მის შემონათვალს არ დაივინყებს; ამგვარი ტრანსფორმაცია, ბუნებრივია, ტრადიციული ვარიანტების გამოძახილია:

ღელეს მოაქ ნათალი –  
ჩალმის ჩამონათალი;  
მე არ დამვიწყდება  
ჟარის შამონათვალი.

ამ უძველესი ლექს-სიმღერის როგორც ვრცელი, ისე მოკლე ვარიანტებით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე. კლარჯულთან და შავშურთან ყველაზე ახლოს დგას იმერული და აჭარული ვარიანტები. იმერული ვარიანტი, რომელიც ზეპირსიტყვიერების ცნობილმა მოამაგემ სოსიკო მერკვილაძემ ჩაინერა ჭიათურის რაიონის სოფელ მერჯევში და 1886 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „თეატრში“ (№21), ამგვარია:

წყალსა ნაფოტი მიქონდა  
ალვის ხის ჩამონათალი;  
ნადი, ბიჭო, და მითხარი  
იმ გოგოს შემონათვალი!  
(ქ. ხ. პ., ტ. VI, 1978: 383)

აჭარული ვარიანტებიც, კლარჯულის, შავშურისა და იმერულის მსგავსად, ოთხტრიქონიანია და მათშიც ჭოროხია მოხსენიებული:

ჭოროხ ნაფოტი მიაქ  
სელვის ჩამონათალი;  
შედექ, წყალო, მითხარი,  
ჟარის შემონათვალი.  
(ბსუ ნბიფა, საქმე №150: 75)

რაც შეეხება ლექს-სიმღერის ვრცელ, დიალოგურ ვარიანტებს, რომლებიც უფრო ბალადის ჟანრის ლექსებია, ისინი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორში. როგორც ზეპირსიტყვიერების ცნობილი მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი ვარაუდობდა, ჩვენამდე მოღწეული ეს ფრაგმენტული ლექსი რომელიც ვრცელი ნარტივის ფრაგმენტია, ხოლო მასში ნახსენები ნაფოტი არქაული მსოფლმხედველობის ნაშთია და სცილდება ქართული ფოლკლორის საზღვრებს (კოტეტიშვილი, 1961: 345-346).

საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორულ შემოქმედებაში, და მათ შორის შავშურსა და კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში,

ფართოდ გავრცელებული ამ ლექს-სიმღერის უმთავრესი პათოსი მიჯნურის გულისთქმის გაგებაა; ამ პათოსმა სხვა კონსტრუქციის სატრფიალო ლექს-სიმღერებშიც იჩინა თავი. ამ თვალსაზრისითაც ერთობ მდიდარია კლარჯული სატრფიალო ლირიკა. კლარჯი შეყვარებული ყველას – სულიერსა თუ უსულოს – სატრფოს ამბავს ეკითხება:

ნალიაში ბურუში,  
მომიტანე ბალიში!  
მოდე, ჩიტო, მითხარი  
ღრის ჩამონათვალი!

(მთქმელი ფატმან ყავაზი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2013 წელს საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ლუთფეიში (ქოშქოი).

ანდა:

კონტოხზე გადმეიარა  
ფეშილი კამიონი;  
უმუდო, მოფ, მითხარი  
ღრის შამონათვალი!

(მთქმელი აიშე გონჯაროლი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს სოფელ მარადიდში (მურათლი).

ან კიდევ:

ჩიტი დაჟდა ხი ტანზე...  
მოდე, ჩიტო, მითხარი  
ღრის შამონათვალი!

(მთქმელი გულთენ გიული. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2013 წელს სოფელ შუბანში (ოთამალე).

კლარჯული სატრფიალო პოეზიის უმთავრესი თემა ტრადიციულად საყვარელი ქალის გარეგნობის შექებაა. 2013 წლის 7 აგვისტოს სოფელ ბაგინის საზაფხულო საძოვარზე 67 წლის მერიემ ქესქინქურთისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი სატრფიალო შაირით გამოთქმულია აღტაცება მშვენიერი მიჯნურის ხილვით:



ყუყუნელაჲ მოყუყუნებს,  
ყუყუნელაჲ, ჰოი, ჰოი!  
ყუყუნელაჲ რა ლამაზი!  
ყუყუნელაჲ, ჰოი, ჰოი!

სატრფოს სილამაზით გამონვეული კლარჯი ქალიშვილის აღტაცებაა გამოთქმული, აგრეთვე, ქლასკურში ჩანერილ ლექს-სიმღერა-შიც (მთქმელი ალთუნ თაბანი. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2014 წელს):

ნალია გავაკეთე,  
დავახურე მესარი;  
ვოიმე, რა ლამაზია  
ქესუნოლის ასანი!

85 წლის ნუსრეთიელი (ქოჯაელის პროვინცია, ქართვეს რაიონი) სახალხო მთქმელი ჰაალით ჯებეჯი, რომლის წინაპრებიც კატაფხიდან გამოქცევიან რუსულ მმართველობას, ამგვარად გამოხატავს ქალის სილამაზით გამონვეულ გაოცებას:

ჰაიდე, ნევდეთ ბოსტანში,  
დავთესოთ მაკიდონი!  
რა ლამაზი ყოფილა  
მემედის უმიანი!

ამიტომაც რა გასაკვირია, რომ კლარჯი ვაჟკაცები ოცნებობენ, ლამაზი გოგო „ჩაიჯდუმლონ კალთაში“:

მიხვალ-მოხვალ ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
რა ლამაზი გოგო ხარ,  
ჩიგიჯდუმლო კალთაში!

(მთქმელი აიშე გორმეზი. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2007 წელს სოფელ ჯივანში)

კლარჯი შეყვარებული დიდი სიყვარულით ხატავს ულამაზესი სატრფოს პორტრეტს:

თავზე თეთრი ლაჩაქი  
ხუთმეტი ყათიმია;

თეთრი გულზე ბეშლული  
დათვალე, ათიმიან;  
წელზე დაყრილი თმები  
იფეგის ნართიმიან;  
შუშესავენ ხელები  
სედეფის ყუთინიან!

(მთქმელი ემენი კასემი. ჩაინერა თინა შიომ-  
ვილმა 2007 წელს სოფელ ჯივანში)

ანდა:

სახლის უკან მაყაყვი  
ფლახთა-ფლუხთა უხტება;  
ლარჯივეთი ურუბა  
რა ლამაზათ გიხდება!

(მთქმელი ემინე ოზთურქი (სალიროლი).  
ჩაინერა თინა შიომვილმა 2007 წელს სოფელ  
მარადიდში)

სოფელ ფეთექოიში (გურბინი) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 65 წლის საბრიე გურსუისაგან 2007 წელს ჩანერილ სატრფიალო ლექს-სიმღერაში შექებულია თეთრი პირისახის კლარჯი ასული, რომელსაც შავი თავსაბურავი ახურავს:

გალმა თეთრი დედალი  
გამოლმისკენ უხედება;  
თეთრ პირზე შავი აზმა,  
ჯანო, რა ზორ გიხდება!

სოფელ გურბინშივე ხასან პავლიაშვილისაგან 2007 წლის 1 აგვისტოს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი სატრფიალო ლირიკის ნიმუშიც მიჯნურის სიმშვენიერეს წარმოსახავს, თუმცა ბოლოს ცალმხრივი სიყვარულის სევდაც გამოსჭვავის:

ყურებზე – ქუფეები,  
ალთუნი გულზე გაქვაო;  
კლავზე ბილეზულები,  
ქემერი წელზე გაქვაო;

ვიცოდე, შეთარეთი  
ვიზე გაქვაო...  
ჩემი გული დაწვილი,  
შენ ქეიფი გაქვაო.

ტრაპენელი სახალხო მელექსე – 68 წლის ჰაირიე ქაია – სატრფოს უბრალო კაბასაც კი აღფრთოვანებით ასხამს ხოტბას:

ჩიტი გევდა ხის ტალზე,  
თავი გედეინყო ანზე;  
ჩემ ააროს რა უხდება  
დუზი ელბისე ტანზე!

(ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს სოფელ  
ტრაპენში)

სატრფოს გარეგნობით აღტაცება უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი სოფელ ჯივანში მცხოვრები 85 წლის აიშე გორმეზისაგან (ჰელიმოლლი) ჩვენ მიერ ჩანერილ სატრფიალო ლექსში:

პალკონზე გადმეიხედა  
ფეხზე ჩაცმული;  
აინაში უყურავს,  
ფუდრანასმული.  
რა ლამაზია  
გააურის დასმული!..

სატრფოს სიმშვენიერე მზესთან („მზის თვალთან“) არის შედარებული ჩვენ მიერ 2013 წელს სოფ. ქლასკურში 78 წლის მიერიე ქესუმისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

ზი თვალი მოსულა,  
ფენჯერეზე მოსულა;  
მოსულა და რა იქნება,  
დუუნახველი წასულა.

სატრფოს თვალწარმტაც გარეგნობას კლარჯი მიჯნური სხვათა საყურებლად ვერ იმეტებს. ამის დასტურია სოფელ არხვაში აჰმედ ალქანისაგან (ყავაზოლლი) პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს ჩანერილი ლექსი-სიმღერა:

დაჭუხე თვალები,  
ვინმემ არ დეგინახოს!  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე!  
მწვანე-მწვანე თვალები,  
ვინმემ არ დეგინახოს!  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე!  
მწვანე-მწვანე თვალები  
ვინმემ არ დეგინახოს!  
შენი თავი მიყვარდა  
მოკდომასავენ,  
ღმერთის დანესებული  
ნაკითხისავენ!  
გულიდან ქი ეარს, ქი იცი...  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე,  
მწვანე-მწვანე თვალები  
ვინმემ არ დეგინახოს!

კლარჯე მუჭაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული ერთ-ერთი სატრფიალო შაირიც იმავეს მოუნოდებს სატრფოს:

თეთრი ღანის ზებუნზე,  
ფრული მე ვარ, ლამაზავ!  
სხვა ვინმეს არ შეხედო,  
შენი მე ვარ, ლამაზავ!

(მთქმელი მელაათ ქიბარი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა საქარიას პროვინციის გეივეს რაი-  
ონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქი-  
დერეში)

კლარჯული სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშების თანახმად, მტრისა და მოყვრის საკადრისად დამხვდომი, გულუშიშარი კლარჯი ვაჟკაცი სატრფოს წინაშე იარაღაყრილი გამოიყურება; სიყვარულის გამო იგი სევდას შეუპყრია და მიჯნურის დანახვისთანავე ხელ-ფეხი ებორკება. სოფელ ოზმალში 38 წლის აიშე იავუზი-საგან ჩანერილი ერთი ლექს-სიმღერის თანახმად, შეყვარებული ვაჟი ასე გამოთქვამს თავის გულის ნუხილს:

გაველ ნავეზის თავში,  
ერთი გოგო გამოვდა კარში.  
სევდა რა იყო, არ ვიცოდი,  
ისიც მოვდა ჩემ თავში!..  
ვერ მოვალ მე,  
ვერ შეხვედავ მე.  
ერთი ვისმას გოგოს  
ვერ უყურავ მე!  
გახსენ ხელები,  
ჩემეხუტე ყისერში,  
შემცივდა, შემცივდა,  
ვერ მოვალ მე!..

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 147)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტები დავაფიქსირეთ სოფლებში: ბუჯურში, თხილაზორში და ტრაპენში. ყველა ვარიანტით ვაჟი მოკრძალებულ მიჯნურად წარმოგვიდგება.

კლარჯი შეყვარებული დარდიანი და ფიქრიანია. 2007 წელს 85 წლის ჯივანელი მელექსის – აიშე გორმეზისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი ამის დასტურია:

რა ვთქვა და რა მეგვონო?..  
ჩემი დერდების მგონე,  
გითხრა, გემიდელდები...

სევდა და ცრემლი მუდმივი თანმდევია შეყვარებულისა. მიჯნურის გულგრილობა კი ორმაგად გულის დამწველია. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიეში მცხოვრები კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლის – 74 წლის ნაილ დემირელი-საგან ჩანერილი სატრფიალო ლექს-სიმღერის ლირიკული გმირი ასე ევედრება რჩეულს:

დამწვარი ვარ, დამწვარი,  
შენც ნუ დამწვავ, ლამაზავ!  
დამწვარი ჩემი გულმა  
ბითუმ ტირის, ლამაზავ!

სიყვარულით დაჭრილი გულის სევდიანი ამონაკვესია ქოჯა-ელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ აივაზფინარში მცხოვრები 70 წლის აიშე ეროლისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ღელეს მოაქ ხეები  
ქვებზე მოხდომილი;  
გული ჯარალი მაქვა,  
ტყვიამოხდენილი;  
თუთუნი დეილია,  
გაზრდილხარ, თავანზე გასულხარ,  
სევდა არ მეყო...

პარალელიზმის ხერხზე აგებული სატრფიალო შაირი „...ხელზე ინა დევდევნი“ ძალზე პოპულარულია კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში. მისი მრავალი ვარიანტი დავაფიქსირეთ სოფლებში: ქლასკურში, ბუჯურში, მარადიდში და, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში. ეს ტრადიციული ლექს-სიმღერაც ერთგვარი ამონაკვესიაა „დამწვარი გულისა“, რომელსაც არ ემღერება:

ხელზე ინა დევდევნი,  
თითი დამწვარი მაქვა;  
მე სიმღერა რავა ვთქვა,  
გული დამწვარი მაქვა!

(მთქმელი ხატყეე ილმაზი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2007 წელს სოფელ ბუჯურში)

80 წლის დევსქელელი მთქმელის – ჰაჯერ ილმაზთურქისაგან (შამილოლი) 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი ვარიანტის თანახმად კი სიყვარულისაგან ტანჯული მიჯნური ისევ სატრფოზე ფიქრობს და ამხნეებს მას:

ხელზე ინა დევდევნი,  
თითი დამწვარი მაქვა;  
შენ ნუ ტირი, უმუდო,  
გული დამწვარი მაქო.

ეს ლექს-სიმღერა ძალზე პოპულარულია აჭარის ფოლკლორშიც:

ხელზე ინა დევდევია,  
თითი მომწვარი მქონდა;  
მე ბიჭის მერაყისგან  
გული დამწვარი მქონდა.

(ბსუნბიფა, საქმე №150: 64)

სიყვარულისეული სევდა მიჯნურის მუდმივი თანამდევია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული სატრფიალო ლექს-სიმღერის – „...მინდორშია თეთრი ქვაო“ – ვარიანტებს კლარჯი მიჯნურებიც მღერიან. პარალელიზმის ხერხზე აგებული ეს ტრადიციული სატრფიალო ლექსი იციან როგორც ისტორიული კლარჯეთის, ისე კლარჯეთიდან რუსთა მმართველობას გაქცეულ და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში დასახლებულ კლარჯ მუჰაჯირთა სოფლებში. საქარიას პროვინციის გეიგეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს ერთ-ერთ უბანში – ბიჩქიდერეში მცხოვრები 76 წლის მელაათ ქიბარისაგან ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

ღელეში თეთრი ქვა,  
ხელი დავყე, არ ამყვა;  
ლამაზავ, შენი სევდა  
ჰაცხა წველ, იქ წამყვა.

მიჯნურისაგან შორს ყოფნა წარმოუდგენელი ტანჯვა-წამებაა. ებრიკელი ჭაბუკის სონერ (სიმონ) ოზჩელიქისაგან (სულხანიშვილი) ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელიც, აგრეთვე, ფართოდ არის გავრცელებული შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც, გაღმა-გამოღმა დარჩენილი მიჯნურების ნუხილს გამოხატავს:

ინდა წვინდა ცხვარი ძოვს,  
იმან რა'ნდა მეინველოს?!  
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,  
გულმა რა'ნდა მისვენოს?!

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ლექსის კლარჯული ვარიანტის პირველი სტრიქონის სიტყვების („ინდა წვინდა“) გაუგებრობას მშვენივრად ხსნის შავშურ ვარიანტში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტოპონი-

მის – „ინანმინდა“ – სწორი წარმოთქმა. ჩვენ მიერ 2009 წელს იმერხევის ულამაზეს სოფელ ბაზგირეთში თანერ იშექისაგან (მჭედ-ლიძე) ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

ინანმინდას ცხვარი ძოვს,  
იმან რაა'ნა მეინველოს?!  
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,  
გულმა რავაჲ მეისვენოს?!  
(შიოშვილი, 2011: 486)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც; ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში დაცული ვარიანტი, რომელიც გ. ზოიძემ ჩაინერა სოფელ ჯოჭოში აიშე აფაქიძისაგან 2006 წელს, ამგვარია:

მთაში ძროხა გავდენე,  
იმან რა'და მოინველოს?  
მე – მთაში, შენ – ქალაქში,  
რა გულმა'და მოისვენოს?

ცალმხრივი სიყვარული კლარჯი მიჯნურისათვის იმდენად აუტანელია, რომ უმძიმესი ცოდვების ტოლფასად აღიქმება. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში (ბორჩხა) მცხოვრები 60 წლის ქალბატონის – ნაფიე ჩელიქისაგან 2013 წლის 8 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსის თანახმად, მიჯნურის გულგრილობა იგივეა, რაც ჯამეს გადაწვა ანდა „ჯუმა დღის“ ულოცველობა; უიმედო შეყვარებულს აღარც საჭმელი ერგება და საშინელი შესახედავია, ამიტომაც აფრთხილებს სატრფოს ლექსის ლირიკული გმირი:

...მე ვერ გუუძლებ ამასა!  
ჩემთინ გული დანვასა  
ცეცხლი მიეც ჯამესა!  
აშენებულ ჯამეში  
ნუ ილოცვენ ჯუმასა!  
მინდა ქი ახლოთ ვიყო,  
ვერ გუუძლებ შორ დგომასა!



დღისით-ღამით ფიქრაში  
არ მერგობა ჭამასა.

.....  
გავხდი ხაშინ-ნეშინი,  
დევემგვანე სარმასა...

ამიტომაც მოუწოდებს სატროს დღემუდამ მისთვის მტირალი ვაჟი, გაიცინოს, ისიც გააცინოს, ნუ ატირებს და ნურც თავად იტირებს, იყვნენ ერთად და ბედნიერად. საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში მცხოვრები 76 წლის ქალბატონის – მელაათ ქიბარისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი ამის დასტურია:

გეიცინე, გამაცინე,  
ნუ მატირავ, ლამაზავ!  
მე ბითუმ შენთინ ვტირი,  
შენ თუ ტირი, ლამაზავ?  
ტირილში დიგინახე,  
შენც ტირი თუ, ლამაზავ?  
მე შენთანნა წამოვდე,  
ვერ გატირავ, ლამაზავ!  
თვალში ცქემლი დევნახე,  
ვინ გატირა, ლამაზავ?  
წამოვდე, ერთათ ვიყოთ  
შენი სახში, ლამაზავ!

სიყვარულისაგან გატანჯული მიჯნურის მონოლოგია პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს სოფელ დევქსელში მცხოვრები ავტორ-მთქმელის, 82 წლის მემედ თავდგირიძისაგან ჩანერილი ვრცელი ლექსი, რომლის ყოველი სტროფი მთავრდება ტაყბით „დევნვი, დევლანძე, ჰა წევდე, ნენი!“ ლექსის ლირიკული გმირი ჩივის იმის გამო, რომ ტირილისაგან თვალისჩინი წაერთვა, გულიც დაუავადმოყოფდა, რადგანაც მის სატროს – ფადიმეს უკვე ამორჩეული ჰყოლია საქმრო:

ყველამ მამისმინეთ ცოტახან ყური,  
ამილობიდან მაქვა მე ზორი.

ტირილში გიმბტა თვალები ქორი,  
დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
მეტი ლამაზი მიჩანხარ თვალში,  
შენი სიყვარული შიმივდა ძვალში,  
გევიარო გზაზე, ნამომყევ კვალში,  
დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!

უიმედო მიჯნური იმუქრება კიდეც: „– შენ მთხოვნელსა მოვკლავ, დარჩები ტული!..“, თუმცა, ამავე დროს , ეაჯება, ინამოს ღმერთი, შეიცნოს მისი სიყვარული:

რა მაქვა ყუსური, მითხარი ერთი,  
უჭკვო ნუ ხარა, იცანი ღმერთი!  
ბევრი მერაყი გავნიე შენთინ,  
დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!

შეყვარებულ ვაჟს თამბაქო დაურგავს და მის შემოსავალს თვალჭირულ გოგოს – ფადიმეს პირდება; არწმუნებს, რომ არ არის უპოვარი, რომ მასთან ბედნიერი ცხოვრება ექნება. ვაჟი იხსენებს, რომ ფადიმე ხელსაქმის დროს უნახავს; სიყვარულით შეპყრობილს, ვინმეს რომ არ წაეკითხა, ქართულად („გურჯიჯა“) დაუნერია „დესთანნი“ და ქვის ქვეშ ამოუდვია; სწორედ ეს „დესთანია“ სატრფიალო ლექსი, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულის ალალი განაცხადია.

კლარჯული სატრფიალო ლირიკის თანახმად, სიყვარულს, როგორც უსათუთეს გრძნობას, გაფრთხილება სჭირდება, რადგანაც დამწვარი გულის მომავალი სათუოა. სოფელ ქართლაში 2014 წელს 69 წლის ნაზიმ ალთუნთაშისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი რიტორიკული შეკითხვაა ამ გრძნობის მიმართ ზერელე დამოკიდებულებისადმი:

დანვილი, დალანძული  
გული მოგხმარდება თუ?  
ხავლი შამოფერდილი,  
ხავლი მოგხმარდება თუ?

კლარჯი შეყვარებული ცხადშიც და სიზმარშიც გულისსწორზე ფიქრობს. დაბა მურღულში 2014 წელს 62 წლის ჰესიბე ალფაისა-

გან ჩვენ მიერ ჩანერილ ლექსში შეყვარებული ვაჟის უსიამოვნო სიზმარზე საუბარი:

გონჯი სიზმარი ვნახე;  
გათხუებდენ წუხელი,  
გოაშეებ გაცმევდენ  
ერთმენეთზე ახალი...

სატროფოს ხილვა შეყვარებული კლარჯისთვის ყველაზე დიდი სიხარულია, მისი მონატრება კი – დარდისა და ცრემლის მომგვრელი:

თაზე მივა ორი ხბო,  
იქით-აქეთ ექცევა;  
შენი ერთი დანახვა  
ჯენნეთი მემექცევა.

(მთქმელი სუნდუზ ოზთურქი. ჩაინერა თინა შიოშვილმა სოფელ ბაგინის საზაფხულო სა-  
ძოვარზე 2013 წელს)

მიჯნური დღემუდამ რჩეულის კვალს დაეძებს:

თაროზე ორი ვაშლი,  
ერთი შენ შეგინახე;  
მიღმიდან მოხვიდოდი,  
ფენჯრიდან დეგინახე.

(მთქმელი ემელ ოქთემი. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა სოფელ გურბინში 2007 წელს)

მართალია, კლარჯი გოგონები მორცხვი, მორიდებული მიჯნურები არიან, მაგრამ სიყვარულის ძალას ისინიც ემორჩილებიან და ზოგჯერ წააქეზებენ კიდევ ვაჟებს:

თავზე აზმა მბურია,  
ფოლადია, ფოლადი!  
არ იმერაყო, არო,  
უკან მაქვან მურადი!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 144)

საქარს პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქედერეში 76 წლის მელაათ ქიბარისაგან ჩვენ მიერ 2013 წელს ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, კლარჯი ქალიშვილი, თანხმობის ნიშნად, გამიჯნურებულ ვაჟს ჯიბეში მანდილის ჩადებას პირდება:

ჯუმა-ჯუმა დღიებში  
ჩამოდი ჯამიეში;  
იფელის მენდილი მაქ,  
ჩიგიდო'ნა ჯეფეში.

შეყვარებული კლარჯი გოგონების სითამამე იქამდეც მიდის, რომ ისინი ხმამაღლა მინიშნებენ მათ რჩეულზე:

ლობედამ ჩიტი გაძრა  
დაბალი ბუმბლიანი;  
ჩემ დარსა მე ვიცნობ –  
შავი ბუფლიანი.

(მთქმელი ემო დურმიში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს სოფელ ერენქოიში)

ანდა:

ხუხულა გავაკეთე  
უკნიდან კარიანი;  
ჩემ დარეს მე ვიცნავ –  
თეთრი ბულუზიანი.

(მთქმელი ნეზაჰათ დემირალი. ჩაინერა თინა შიოშვილმა სოფელ იბრიქლიში 2007 წელს)

კლარჯი გოგონას სანუხარი სამხედრო სამსახურში განვეული სატროფოც არის:

მუთვალში ჩაკიდული  
ხავლი ჩამოკიდული;  
დარი ნევედა ასკერში,  
გული ჩამოკიდული.

(მთქმელი ემრიე ეფენდოლი. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს სოფელ ავანაში)

კლარჯული სატრფიალო ლირიკის თანახმად, სატრფოსთან შე-  
სახვედრად მიჯნური გოგონებიც ისევე ილტვიან, როგორც – ვაჟე-  
ბი. სოფელ ქართლაში ნურიე ილდირიმისაგან 2014 წელს ჩვენ მიერ  
ჩანერილი სატრფიალო ლექს-სიმღერის თანახმად, შეყვარებული  
ქალიშვილი, რომელსაც პაემანისთვის ვარდებით ამოქარგული კაბა  
შეუკერავს, სატრფოს განწყომით ემუქრება, თუკი არ მივა მასთან:

ეთექლუგი შეკვერე,  
ვანზე-ვენზე ვარდები;  
ამეზლამ თუ არ მოხველ,  
ვარო, გიგიჯავრდები!

ამავე სოფლის მკვიდრმა, 70 წლის ვილდან ერქილიჩმა (კუტუნ-  
ოლლი), გაგვანდო: „ჩვენ აშილები ნახვითინ წყალზე წევდოდით, იქ  
დევნახავდით, გუუცინებდით, ისინიც გეგვიცინებდენ, გუუხარდებო-  
დენ, ჩვენც გიგვიხარდებოდა“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფლებში კლარჯ  
მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებუ-  
ლია ლექსი, რომელიც შეყვარებულ ქალს გამოუთქვამს; 74 წლის  
ნუზჰეთელი მთქმელის – ჰასან ქალიონჯუს (ხაბაიზეშვილი // ხაბა-  
ძე) განმარტებით, „ამას ამბობს ქალი. ბიჭი უყვარდა, მივდა ქორნი-  
ლში და ასე იმღერა:

დალამდა და ვერ მივალ,  
უკან-უკან ვბრუნდები.  
შეკვეთილი ვიყავ და  
დავლენონა კონდრები.  
ინშალა, შენ ვერინა  
ამეზლამ მე დავდგები.  
შენ უჩემო ვერ შეხვალ,  
ჰერამ იყოს ოდები!“

სოფელ ლუთფიეს (ბეგოლლი) მკვიდრმა, 75 წლის აჰმედ სუბაშ-  
მა, მისეულ ვარიანტს ეს ისტორია მოაყოლა: „ჩვენი ერთი ხალა  
იყო, ბიბიად; ქომო ბიჩხიქოვა, იქ გეეთხოვა. სიძე იქ აშილი ყოლია.  
ქორნილზე ხალას თავი ტკივნია. ძველი აშილიც იქ ყოფილა. ხალას  
არქადაშისთვინ უთქმია ქი, ცოტა თავი მტკივაო. იმ ძველ აშილსაც

გუუგონია ესე, გოგვები ფერხულზე დუუყენებია, სიმღერა დუუ-წყია“.

შავშეთსა და კლარჯეთში გავრცელებული სატრფიალო შაირებში გოგონები სატრფოსაგან საკმაოდ სოლიდურ თავის გამოჩენას ელიან და მიუმღერებენ:

გალმიდან ჩამეიარა  
ფეშილი კამიონი;  
ჩემი თავი თუ გინდა,  
მეიტანე მილიონი!

(მთქმელი მიერეი ქესუმი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2013 წელს სოფელ ქლასკურში)

არც ვაჟი აყოვნებს და პირდება:

ფოტოროში ჩევიარე,  
ნითელი კამიონით;  
არ იტირო, ლამაზო,  
მოიდე'ნა მილიონით!

(მთქმელი სონერ ოზჩელიქი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2014 წელს სოფელ ქლასკურში)

შეყვარებულებს აუგის მთქმელიც ყავთ, ხშირად ჭორავენ, რაც კარგად იცის კლარჯმა გოგონამ და ამიტომაც ურჩევს სატრფოს:

თავზე ააზმა მბურია  
წმინდა ძივით ნაწყობი;  
უმუდო, ნუ დეიჯერავ  
დუშმანების მინაწყობი!

(მთქმელი მიერეი ქესუმი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2013 წელს სოფელ ქლასკურში)

შეყვარებულთა შესახებ ჭორის გამავრცელებელს მუქარით იხსენიებს კლარჯი მელექსე:

ხეზე ეველი, გიყურე,  
არ გეიარე სინორი.  
ჩვენ შუაში ჭორმზიდავი  
ვიცოდე ქი, ვინ არი!

დუშმანების დასკლელი  
ნელში მაქვა, დანა არი!

(მთქმელი ფატმა ბაირახტარი. ჩაინერა თინა  
შოშვილმა 2007 წელს სოფელ გურბინში)

კლარჯი შეყვარებული ყველას ვერ უმხელს გულისნადებს,  
ხალხის თავშეყრის ადგილზე ეკრძალება საკუთარი გრძნობების  
გამხელას და განმარტოებას ამჯობინებს:

ნაველ მიღმა ყანაში,  
დავჯექი ვაშლი ძირში;  
მეფდანზე ვერნა ვთქვა,  
რეები მაქვა მე გულში.

(მთქმელი სემაპათ შექერი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2013 წელს ქოჯაელის პროვინციის  
გოლჯუქის რაიონის სოფელ მურლულში)

აჭარულსა და შავშურ ფოლკლორში პოპულარული სატრფია-  
ლო შაირი, რომლის თანახმადაც ვაჟი „ჯიუტად“ აცხადებს, რომ სა-  
ტრფოს ჩაუხუტებლად არსად წავა, კლარჯ ჩვენებურთა შორისაც  
საკმაოდ პოპულარულია; ხშირად ამ ლექს-სიმღერას სამხედრო  
სავალდებულო სამსახურში მიმავალი ვაჟის დაჟინებას მიაწერენ:

მე სერენში ვერ ევალ  
კიბეუყუდებელი;  
მე ასკერში ვერ წევალ  
აარზე ჩუუხუტებელი!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 144)

ზოგ შემთხვევაში კი ეს ჩვეულებრივი სწრაფვაა გულისსწორი-  
სადმი:

მე სერენში ვერ ევალ  
კიბეუყუდებელი;  
მე აქედან არ წევალ  
აარზე ჩუუხუტებელი!

(მთქმელი რუყიე ილდირიმი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2014 წელს ბურსას პროვინციის მუსტა-  
ფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში)

კლარჯთა სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები, ზოგად-ქართულის მსგავსად, ხშირად ნადში თავშეყრის დროს სრულდებოდა. ერთმანეთისათვის სასურველ ქალ-ვაჟთა ურთიერთობის გარკვევისა და თვალის შევლების საუკეთესო საშუალება იყო ნადური ლექს-სიმღერების ორპირული შესრულების ტრადიცია; ნადში თავშეყრილთა ორ გუნდად (ქალებად და მამაკაცებად) გაყოფა, ტრადიციული სალექსო სტრიქონებისა თუ იმპროვიზაციის წყალობით, მოსახერხებელს ხდოდა, გაეგოთ ერთმანეთის გულისთქმა. „– ნადებზე სიმინდ გაარჩევდენ. ბიჭები, გოგუები ერთმანებ უყურებდენ. ბიჭებმა გამოუთქმევდენ“, – გაგვანდო „საიდუმლო“ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალმა – საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანას (იქბალიე) მკვიდრმა ფურკან თემიზჯემ, რომლისგანაც 2013 წელს ჩავინერე ნადში სამღერი ორპირული შესრულების სატრფიალო ლექს-სიმღერა:

- ღელე-ღელე გევიარე,
- ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..
- ღელე ტალახიანი.
- ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..
- ერთი გოგო დევნახე,
- ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..
- ლოყატალახიანი.
- ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..

შავშეთსა და კლარჯეთში პოპულარულ ამ ლექს-სიმღერას ხშირად არ ახლავს მისამღერი („ჟუჟუნელა, ჰოი, ჰოი!“), რაც, ჩვენი აზრით, ნადში მღერისას გამოიყენება. ვარიანტთა უმრავლესობაში, რომლებიც დაფიქსირდა ისტორიული კლარჯეთის სოფლებშიც (ქართლა, ებრიკა, მარადიდი, ბაგინი) და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებშიც (იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფელი ჰაირიე, საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფლები: ქართლა, ლუთფიე; ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელი ბორჩხა; ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფლები: ორჰანიე, საიფიე; ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელი ქოჩბაირი; ბურსას პროვინციის



მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ქომურჯუქადი; საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელი ნურუოსმანიე და სხვა), ღელე-ღელე მოსიარულე ვაჟი „ლოყატალახიან“, „ხელ-ფეხტალახიან“, „კოჭიტალახიან“, „ბუკიტალახიან“, „ფეხებტალახიან“, „ტოტიტალახიან“, „ურბატალახიან“ გოგოს ხედავს; შესაბამისად იმღერება ვარიანტები, რომლებშიც ვაჟია ტალახიანი:

ღელე-ღელე გევიარე,  
ღელე ვენახიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე  
კოჭიტალახიანი.

ანდა:

ლობედან ჩიტი გაძრა  
უკუდო, პუმპლიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე  
კოჭიტალახიანი.

ბუნებრივია, ტალახიანი გულისსწორის ხილვა ვერაფერი რომანტიკაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი სიმღერები ნადებში ორპირულად სრულდებოდა და ორივე გუნდი (ვაჟებისაც და ქალებისაც) ერთმანეთის გამონწევას ცდილობდნენ, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ლექს-სიმღერის შავშურ ვარიანტებში ხშირად ეროტიკაც გამოერევა ხოლმე:

ღელე-ღელე მივდიოდი,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ზუზუტალახიანი.

(შიოშვილი, 2011: 485)

ქალ-ვაჟთა მიერ ერთმანეთის გამონწევისა და იუმორის მაგალითია, აგრეთვე, შავშეთსა და კლარჯეთში, ასევე კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლებში ფართოდ გავრცელებული ლექს-სიმღერაც:

სახლის უკან ტყიმალი  
კუნწულ-კუნწულ კიღია;

## ჩვენი სოფლის გოგვები (ბიჭები)

ჩვენ ახორში აბია.

(მთქმელი ნაადი გუმრუქი. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში)

ისტორიული კლარჯეთის ქართულენოვან სოფლებში და, აგრეთვე, კლარჯე მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში ფართოდ გავრცელებული საღალღობო-სატრფიალო ლექსი „...ერთი, ორი, მეორე“ („ერთი, ორი, მესამე“), რომელიც მამაკაცთა რეპერტუარია და ქორწილებსა და ნადებში იმღერება ფერხულის დროს, დასტურია იმისა, რომ ქალვაჟთა ურთიერთსწრაფვა როგორც მთელ სამყაროში, კლარჯთა შორისაც მუდმივია, არსებობის გამახალისებელია, ცხოვრების აზრის მიმცემი და მამაკაცთა მუდმივი საზრუნავია. 84 წლის ქლასკურელი ქალბატონისაგან – ალთუნ თაბანისაგან ჩვენ მიერ 2014 წელს ჩანერილი ვარიანტი ერთ-ერთი სრული ტექსტია:

ერთი, ორი, მეორე,  
მე გოგუებში ვიგორე.  
ერთი, ორი, მესამე,  
მე გოგუებში ვისამე.  
ერთი, ორი, მეოთხე,  
მე გოგუები მივფერთხე.  
ერთი, ორი, მეხუთე,  
მე გოგუებ ჩევხუტე.  
ერთი, ორი, მეექვსე,  
მე გოგუები ჩავლექსე.  
ერთი, ორი, მეშვიდე,  
მე გოგუები ვიშვილე.  
ერთი, ორი, მერვე,  
მე გოგუებ მევერიე.

ზოგჯერ შეყვარებულთა შორის გაუგებრობაც იჩენს თავს. ასეთ დროს, მით უფრო, თუ ქალიშვილი ზედმეტად მორცხვი ან ჯიუტია, შავში და კლარჯი ვაჟები მიუღუქსებენ:

თითზე ბეჭედი მაქვა,  
ბეჭედ თვალი არ აქვა;  
ბოშინა ნუ მიყურავ,  
შენზე თვალი არ მაქვა!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2013: 86)

მოღალატე მიჯნურისადმი, შავშური ხალხური სატრფიალო ლირიკის თანახმად, წყევლასაც არ ერიდებიან:

ახ, გიდი, ჩემო ხარო,  
ჩემიდან არ გეიარო!  
ჩემიდან თუ გეიარე,  
მეზარზე გევიარო!

(მთქმელი მელაათ ქიბარი. ჩაიწერა თინა შოშვილმა 2013 წელს საქარიას პროვინციის გვიგეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში)

ცხელ გულზე დაშვებული შეცდომა – სატრფოსათვის ზურგის შექცევა ხშირად შემდეგში დასანანი ხდება. ამის დასტურია ქოჯაელის პროვინციის გულჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ჰასან ქალიონჯუსაგან (ხაბაზეიშვილი//ხაბაძე) 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი, რომლის ისტორიაც ასე აგვიხსნა მთქმელმა: „– ჩემი დედე აქედამ მურღულ ქორნილზე წასულა. იქაც ერთი საყვარელი ყოლია, მაგრამ აქ დაქორნილებულა. უთქმიან ქი, იზმითიდან სანჯალო მოიდაო. უუხედია ქი, თვალი თვალზე მოსულან. ჩემ დედეს სიმღერა გუუგდია და დუუნყია იმ ქალისკენ სიმღერა; ქალსა ღარჭი ქი ამოჩრილი ყავსა და იმითვინ უთქმია იმ გოგოსთვინ, „შენ არ გი-თხოვე და ახლა ვნორდებიო“:

თახლა-მახლა ნაველი,  
წამომედვა ბარდები;  
ენწინ არ გუუფრთხილდი და  
წევქეც, მემრე ვნორდები.  
თვალეები ჟუჟუნელაჲ,  
რა ჰალია, გვერდები!

დაგვიანებული სინანულია გამოთქმული საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში, ბიჩქიდერეში, 76 წლის მელაათ ქიბარისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ლექსში:

შავი თირენი მუა,  
შიან ყოფილიყავი!  
დუნაა დეიქცეოდა თუ,  
ერთათ ვყოფილიყავით?

გულისსნორისადმი ლტოლვასა და ტროფობასთან ერთად, კლარჯი მიჯნური მომავალ საცოლეს გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებს მისი ოჯახის მიმართ. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (ძველი დოშემე) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – 74 წლის ხასან ქალიონჯუსაგან (ხაბაზეიშვილი // ხაბაძე) 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსის თანახმად, რომელიც ამ სოფელში პოპულარულია, ძმები პირობას სთხოვენ დებს, რომლებიც მოსწონთ, რომ მათ მოხუცებულ მამას მზრუნველობით მოეპყრობიან:

სოფლიდამ აქ გადმოელ,  
აღლაა სული მთქერსა თუ?  
ერთი რაცხა'ნა გითხრათ,  
გამიმჟღავნებ სირსა თუ?  
ჩვენ – ძმები, თქვენ – შილები,  
მუუხიზმეთავთ ბერსა თუ?  
ბერიც დავაქორნილოთ,  
შეერიგებით ბერსა თუ?  
ერთმანეთ რომ უყურავთ,  
ეფარებით ქარსა თუ?  
ჩემი ამდონი დერდი  
ქარ შეეძახოთ, დარსა თუ?

მთქმელის განმარტებით, ეს ლექსი მის ბიძას – მეჰმედ ქალიონჯუს გამოუთქვამს. მეზობელ სოფელში თამბაქოს ასხმის ნადი ყოფილა, იქ გადასულან, უნახავს მისი მოწონებული გოგო და სიმღერით უთქვამს ეს სტრიქონები. სხვა, უფრო მოკლე, ვარიანტის მთქმელმა სანჯახ ქალიონჯუმაც (ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2013

ნელს) განმარტა: „– ნადში, სიმინდი რჩვენაში, ორ ძმას, რომელთაც მამა ჰყოლიათ ავადმყოფი, ორი დისთვის დუუმღერებიათ“ (ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2014: 195).

კლარჯული სატრფიალო ლირიკა ქართული ფოლკლორული შემოქმედების ორგანული ნაწილია, გულწრფელად გამოხატავს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა ტრადიციულ შეხედულებებს მიწნურობაზე, მის იდეალებზე, შეყვარებულთა გულისთქმასა და მისწრაფებებზე, სატრფოსადმი მოკრძალებულობასა და სწრაფვაზე, ტრფობის ობიექტის გარეგნულსა და სულიერ მშვენიერებაზე, რაც ჯანმრთელი სოციუმის მაღალმოქალაქეობრივ, ზნეობრივ-ესთეტიკური ღირებულებების ტოლფასია, რაც საუკუნეთა განმავლობაში საკუთარ სულიერ ქურაში გამოანართო და ტრადიციად ჩამოაყალიბა ჩვენმა ხალხმა.



სოფ. თხილაზრო, 2007 წ.  
პროფესორები – თინა შიომეილი, რამაზ ხალვაში,  
ნუგზარ ცეცხლაძე და მერი ცინცაძე თხილაზროს იმამის ეზოში

## საქორწილო ლექს-სიმღერა

ქორწილი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელსაც ეფუძნება ოჯახი, მომავალი თაობის აღზრდა; მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებაში და, ბუნებრივია, საქართველოშიც, რომელიც უძველესი კულტურის ქვეყანაა. ქორწილს, „როგორც ისტორიულად გამძლე სოციალურ ინსტიტუტს, თავისი სავალდებულო წესი და ფორმა გააჩნია, რასაც ჩვეულებრივ საქორწილო წეს-ჩვეულებებს ვეძახით“ (ჩიქოვანი, 1976: 16); ეს წეს-ჩვეულებები კი წარმოუდგენელია თანმხლები საქორწილო ლექს-სიმღერათა გარეშე, რომლებიც თავისებურ ეროვნულ ელფერს მატებენ და, ამავე დროს, მხიარულება და ამალღებულები განწყობილება შეაქვთ მთელს საქორწილო რიტუალში. მთლიანად ქორწილი კი, თავისი რიტუალითა და მასთან დაკავშირებული პოეტური ფოლკლორით, ყოველი „ერის ისტორიული ყოფიერების, სოციო-კულტურული განვითარების დონისა და მომავლისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია; ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, ხალხის იერსახის, მისი იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა... კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების სარკეა, რომელშიც ნათლად ირეკლება ყველა ეპოქისა და სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ტრადიციები...“ (შიოშვილი, 2011: 163-164).

საქორწილო რიტუალითა და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე, რაც ერთიანობაში ქმნის საერთოქართული საქორწილო ტრადიციის უმდიდრეს მოზაიკას. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ამ საერთოქართული მოზაიკური სპექტრის მიღმა საკმაოდ დიდხანს დარჩა დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე კლარჯეთი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ 2007, 2013 და 2014 წლებში

ისტორიული კლარჯეთის სოფლებში და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში მონყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს გამოვლინდა, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი დროის განმავლობაში თურქულ გარემოცვაში ცხოვრებისა და, ბუნებრივია, მათთან კულტურული დიალოგისა, კლარჯ ჩვენებურებს მეტ-ნაკლებად შემოუნახავთ ძველქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება.

ბუნებრივია, კლარჯელების საქორწილო წეს-ჩვეულებები და საქორწილო ლექს-სიმღერები ველარ არის ისეთი უნიფიცირებული და ზოგადეროვნული, როგორც დღემდე მოღწეული ზოგადქართული საქორწილო რიტუალი და მისი თანმხლები ფოკლორული ნიმუშები, მაგრამ ისიც, რაც კლარჯმა ჩვენებურებმა შემოინახეს, დასტურია იმისა, რომ მათ ყოფიერებაში შემორჩენილ ამ არქაულ ტრადიციაში აშკარად გამოსჭვივის ეროვნული ელფერი, რაც მათი „გურჯობის“, მათი იდენტობის ერთ-ერთი უტყუარი დასტურია.

კლარჯულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მათი საქორწილო რიტუალი, ზოგადქართულის მსგავსად, რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ესენია: 1. საპატარძლოს (სასიძოს) შერჩევა; 2. სასიძო და მისი ოჯახი; 3. ქალის თხოვნა, ნიშნობა და საქორწილო სამზადისი; 4. პატარძლის კერასთან გამოთხოვება; 5. მაყრული; 6. სუფრის დაკავება („დაჭირვა“); 7. დედოფლის დამოძღვრა.

კლარჯული საქორწილო რიტუალის ყველა ეტაპს ამშვენებს სათანადო ლექს-სიმღერები, რომლებიც საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ერთგვარი სოციო-კულტურული ისტორიის, მისი ყოფა-ცხოვრების ამსახველია და, ამავე დროს, ნათლად ატყვია თანადროულობის კვალიც.

## 1. საპატარძლოს (სასიძოს) შერჩევა

საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევა, ანუ „დაკვლევა“, ძველთაგანვე წინასაქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. თეიმურაზ მეორე 1735-1736 წლებში დაწერილ „სარკვე თქმულთაში“ დაწვრილებით აგვინერს ამ წეს-ჩვეულებას: საპა-

ტარძლოს სახლში მონვეულ სასიძოს ლამაზად ჩაცმულ-დახურულ სადედოფლოს დაუსვამდნენ წინ და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევდნენ, ერთმანეთისათვის კარგად შეეველოთ თვალი, რაც ქართულ ხალხურ პოეზიაში „დაკვლევის“ სახელით არის ცნობილი; აღმოსავლეთ საქართველოში კი ბოლო დრომდე შემორჩა ტერმინი „გასინჯვა“ („— ქალის გასასინჯად მივალ“, — ამბობს საპატარძლოს სანახავად მის ოჯახში თუ საპატარძლოს ახლობლის ოჯახში მიწვეული სასიძო თუ მისი ოჯახის წევრები).

მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე „სარკე თქმულთაში“ (აქა ერთა-ჭამის ამბავი) ამ რიტუალს ასე აღწერს:

სამკაულითა მოკაზმულს ქალს დასმენ, დასხენ სხვანიცა,  
თუ სილამაზის იმედი აქვს, თავი მოსაწონიცა,  
უსულიანსა ტანზე და ეშალოს ხშირად თმანიცა,  
შემოიყვანონ მათ სიძე, იგ მისი შესაგვანიცა.  
ჯერ დასმენ ყრმასა პირისპირ პამტა ხარს ჭვრეტად ქალისა;  
თვით ქალიც ცდილობს შესვლაში ქმრისათვის შეკვრად თვალისა.  
(თეიმურაზ მეორე, 1939: 56)

ძველ საქართველოში „დაკვლევა“ თუ „გასინჯვა“ ოჯახურ ვითარებაში, უფროსების თანდასწრებით, ოფიციალურად ხდებოდა; თუმცა, მშობლებისა და ახლობლების როლი ამ საპასუხისმგებლო საქმეში ყველა დროისათვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და მეტწილად ახლაც ასეა. ისიც ცხადია, რომ ქალ-ვაჟი ერთმანეთს მაშინაც და ახლაც ოჯახის გარეთ, სხვადასხვა თავყრილობების დროსაც, შეხვდებოდა, შეარჩევდა და არც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ საერთო ენის გამონახვა. სწორედ ამგვარი ურთიერთობებია გამოვლენილი როგორც ზოგადქართულ, ისე კლარჯულ ხალხურ საქორწინლო ლექს-სიმღერებში, რომლებიც უშუალო გამოძახილია უბრალო მშრომელი ხალხის გულისთქმისა და ურთიერთნდობისა.

საცოლედ შერჩეულ ქალს კლარჯები, შავშელების მსგავსად, „დაპირებულს“, „ნათქვამს“, „დაგულვებულს“, „თვალჭირულს“ ეძახიან, დაქორწინების ტოლფასი ტერმინი კი ორივე ისტორიული ქართული კუთხისათვის, გურია-აჭარის მსგავსად, „დასახლება“.

დასახლების მოსურნე ქალ-ვაჟთა გულისწადილის გამომხატველი მრავალი ლექს-სიმღერა ჩავინერეთ როგორც ისტორიული



კლარჯეთის, ისე თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ რეგიონებში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში. საცოლედ დაპირებული ქალი, კლარჯული საქორნილო პოეზიის თანახმად, განსაკუთრებული გარეგნობით უნდა გამოირჩეოდეს. ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ ჰაჯიოსმანის უბანში – კირქვარმანში 70 წლის ქალბატონის – მერიემ თაჰრამანისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ლექსში ნათლად ჩანს საცოლედ შეღერებული კლარჯი ვაჟკაცის დახვეწილი გემოვნება:

მაღლა-მაღლა ქორი ფრინავს,  
ქვეშ – მიმინო გვიმრიანი;  
მე რომ გოგოს დავაპირებ,  
წელმაღალი, თმიანი.

კლარჯი ვაჟები დაპირებულ გოგონას სათქმელს არ უმაღავენ და ლალი ხალხური შაირით მიუღლეხებენ:

ზეგნიდან ღვარი მოა,  
გასადებელ ღარ ვეძებ;  
ახლა სახში წასლისთვინ  
შენისთანა ქალ ვეძებ!

(მთქმელი ნაზიმ ალთუნთაში. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2014 წელს სოფელ ქართლაში)

ამგვარ გულალალ განდობას მოსდევს საკმაოდ თავდაჯერებული განაცხადიც, რისი დასტურიც არის სოფ. ერეგუნაში (ერენქოი) 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი შაირის ფორმის ლექს-სიმღერა (მთქმელი ემო დურმიში (შაქიროლლი):

შენ არ გეგონოს შარიო,  
ჩემ წენესა და ბაბოსი  
შენა ხარ რძალიო!

საცოლის შერჩევა, ანუ დაგულვება ხალისიანი განწყობილების სანინდარია, რასაც კლარჯი ვაჟები სიხარულით საქვეყნოდ აცხადებენ:

სახლის უკან საგულე,  
ერთი ფაცოვ დევგულე.

(მთქმელი ჰესიბე ალფაი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2014 წელს დაბა მურღულუში)

კლარჯებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მრავალ  
ვარიანტად დაფიქსირდა შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ  
გავრცელებული ლექს-სიმღერა „...ელიაჲ, ავრუმ ელია“, რომელიც,  
აგრეთვე, დასახლების მოსურნე ვაჟთა რეპერტუარია:

ელიაჲ, ავრუმ ელია,  
ე რა წმინდა წელია!  
სამი წელიწადია,  
დასახლება მწადაია.

(მთქმელი ალთუნ ოზთურქი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2013 წელს სოფელ მარადიდში)

შავში და კლარჯი სახალხო მთქმელების, იგივე „გარმონჯე-  
ბის“, მუდმივ რეპერტუარში მყოფი ამ ლექს-სიმღერის ვარიანტთა  
სიმრავლემ და გავრცელებულობამ განაპირობა ისიც, რომ ბოლო  
ორი სტრიქონი, რომლითაც გამოთქმულია ვაჟის დასახლების სუ-  
რვილი, პარალელიზმისათვის სხვა ლექს-სიმღერათა სტრიქონებ-  
საც სესხულობს. ამის ნათელი მაგალითია ქოჯაელის პროვინციის  
გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) 60 წლის სინან  
დემირისაგან სელჩუქ აქინის მიერ 2013 წელს ჩანერილი ლექს-სიმ-  
ღერა:

ორი ხბო თაზე მყავს,  
იქით-აქეთ მექცევა;  
ორი წელიწადი იქნა,  
შენი თხოვნა მწადაია.

პირველი ორი სტრიქონი ნასესხებია შავშურსა და კლარჯულ  
ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული სატრფიალო  
ლექს-სიმღერიდან:

თაზე მიმყავს ორი ხბო,  
იქით-აქეთ მექცევა;

მე რომ შენ დეგინახავ,  
თვალი შენკენ მექცევა.  
(შიოშვილი, 2011: 485)

ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის მოწონებასა და „დაგულვებას“ გარკვეული ვალდებულებებიც ახლავს, რაც კლარჯულ ხალხურ პოეზიაში იუმორშერეული შაირებით გამოითქმება. სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) მცხოვრებ სევინ ილდიზისაგან 2014 წელს ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი პირდება საცოლეს:

ციცინა ნიზმიზია,  
ჩუმას შეჭამს, დოს – არა;  
წამოდი, წეგიყვანო,  
„ხანუმს“ გეტყვი, „გოს“ – არა!

სოფელ ქართლაში დაფიქსირებული შაირით კი (მთქმელი ნურიე ილდირიმი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს) საცოლეს პირდება საქმროს:

აილიდან გადმომხედე,  
„ჭიტის“ გეტყვი, „ჯოს“ – არა;  
ერთი ბაგენ წიმიყვანე,  
„ალას“ გეტყვი, „ჭოს“ – არა!

საცოლედ დაგულვებულ ქალს კლარჯი ვაჟი სიამაყით უმხელს, რომ ახალი სახლიც მოუმზადებია:

ჰაიდე, წევდეთ, ლამაზავ,  
ახალი სახლი მაქვა;  
რა ლამაზი გოგო ხარ,  
ამ სოფელში რა გაქვა?

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში, შავშურის დარად, ფართოდ არის გავრცელებული ვაჟთა რეპერტუარში სამღერი შაირი, რომლის თანახმადაც დაგულვებულ ქალს ვაჟი ოქროს სამკაულებს პირდება:

წამოხველი, გოგო, წამოხველ,  
არ წამომყვები, რა გინდა?

ორმოც ოქროს შაგაბამ,  
ნითელ კაბას ჩაგაცვამ,

(მთქმელი ფურკან თემიზჯე. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2013 წელს სოფელ ავანაში)

ზოგჯერ ვაჟი გაპარვას, გაქცევას სთავაზობს ქალიშვილს;  
ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ლუთფიემი  
(ბეგოლლი) მცხოვრები 75 წლის აჰმედ სუბაშისაგან 2013 წელს  
ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, ქალს სხვაზე ათხოვებენ,  
ქორნილიც დანიშნული ყოფილა, მაგრამ შეყვარებული ვაჟი მაინც  
გაქცევას მოუწოდებს თავის „დაპირებულს“, რადგანაც მისი სხვა-  
ზე გათხოვება მეორედ მოსვლის ტოლფასი იქნება; ამვე დროს, არ  
ავიწყდება სატრფოს სილამაზის ხოტბაც:

ყიშან ტალიაშარ,  
მევპაროთ ერთმანეთი.  
ჩვენ რავლინა შევფერდეთ,  
შენ – ლამაზი, მე – ბეთი.  
შევტყვე, ქორნილი არი,  
მოსქდება ყიამეთი.  
რა ლამაზი ყოფილა  
შენი შორეთი მეთი!

მთქმელის განმარტებით, ეს სიმღერა მის მამას უმღერია ნა-  
დის დროს დედამისისათვის. ორივე კარგი მომღერლები ყოფილან.  
სწორედ მათგან დაუსწავლია აჰმედს ქართული ლექს-სიმღერები:  
„– ბაბოს მურადი ერქვა; ერთი სიმღერა უთქმია ნადზე, ნენეც უყუ-  
რებდა, გენჯობას. ჩემი ნენე იტყოდა, მე ეზმერეი ვიქმოდი, თავში  
დევსწავლებდი“.

სოფელ ქართლაში 70 წლის პროფესიონალი მთქმელის – ვილ-  
დან ერქილიჩისაგან (კუტუნოროლი) 2013 წელს ჩანერილი ლექს-სიმ-  
ღერის თანახმად კი ქალ-ვაჟს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ  
ერთმანეთისათვის არიან შექმნილნი:

შენ ჩემი ხარ, მე – შენი,  
გვევრიგოთ ერთხელა!

სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) დაფიქსირებული ლექს-სიმღერის თანახმად (მთქმელი 95 წლის ფატყუმე გორში (ჰაჯოლი), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს) შეყვარებული ვაჟი ეხვეწება საცოლედ დაგულვებულ ქალიშვილს, დადებითი პასუხი მისცეს:

ყავნი ყარფუზი ჭამე,  
რა ნაქნია აყირო!  
კაჲ პასუხი მითხარი,  
უკნიდამ არ მაყვირო!

ამ შაირის უშუალო პასუხია კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული იუმორისტული ლექს-სიმღერა (მთქმელი რუყიე ილდირიმი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში 80 წლის რუყიე ილდირიმისაგან, რომლის წინაპრებიც გადმოსულან კლარჯეთიდან, სოფელ ქლასკურიდან):

კაუმ ყარფუზი ვჭამე,  
არ მინდოდეს ნაყირო;  
მე შენთან'ნა წამოვდე,  
შენ ბაბოჲ'ნა ვაყვირო!

შეთვალელება-შერჩევაში ზოგჯერ ქალები ვაჟებს არ ჩამოუვარდებიან. ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში (ბაალაქოი) 2013 წელს 69 წლის თახსიმ ქარამაქისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟს შეუნიშნავს, როგორ უყურებდა მას ქალი:

დევდევი ფხარზე ნაჯალი,  
გიდივიარე ჯამიე კარზე;  
ოსმან დაის ესმემა  
მიყურავს აქეთაჲ კარზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კლარჯულ ფოლკლორში, განსაკუთრებით კი კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში, მრავლად დაფიქსირდა თამამი, უკომპლექსო საპატარძლოთა სახეები. საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში მცხოვრები 76 წლის

ქალბატონის – მელაათ ქიბარისაგან 2013 წელს ჩანერილ პარალელიზმის ხერხზე აგებული ლექს-სიმღერის თანახმად, გოგონა თამამად უცხადებს ვაჟს:

ტყეში შეძრა ფუტკარი,  
გულში რა გაქ, მითხარი;  
მე შენთან'ნა წამოვდე,  
შენი ნენეს უთხარი!

დაბა მურღულიდან ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ სირეთიეში (მურღული) მიგრირებულ კლარჯთა შთამომავლის – 68 წლის სემაჰათ შექირისაგან 2013 წელს ჩანერილი შაირით კი გასათხოვარი ქალი ეხვეწება რჩეულს, დროზე წაიყვანოს, რათა დამშვიდდეს და გული დაინყნაროს:

ჯეფში მაქვა საჰათი,  
რა გაქვა ზანაჰათი?  
წამოვდე, წემიყვანე,  
დამაჯდომლე რაჰათი!

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფელ ნიმეთიეში (ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონი) გავრცელებული ლექს-სიმღერის თანახმად (მთქმელი ნაილ დემირელი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს) კი ქალი, საალერსო-საქებარი სიტყვებით ამკობს რა ვაჟს, დაბეჯითებით სთხოვს, გადაწყვეტით უთხრას, როდის წაიყვანს:

მაგ ლამაზად ქოჩორი  
ჰანანად მიმიწყვიტე!  
როის'ნა წიმიყვანო,  
ანვენ გიდიმიწყვიტე!

გამიჯნურებული კლარჯი ასული პირდება საქმროს, რომ მის ოჯახში კარგ რძლობას გასწევს:

დანა მეიტანე, დანა,  
ქათამი დავკლი განა;

## შენი ლამაზი სახში გელინობა ვიქა'ნა!

(მთქმელი ომერ დურუ. ჩაინერა თინა შიომ-  
ვილმა 2013 წელს ქოჯაელის პროვინციის  
გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდეში)

კლარჯულმა ხალხურმა პოეზიამ წარმოაჩინა კლარჯი ქალების ღირსების, მათი ნებელობის სიმტკიცის შემცველი ლექს-სიმღერები. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ლუთფიეში (ქოშქოი) მცხოვრები ფატმან ყავაზისაგან 2013 წელს ჩაწერილი შაირის ფორმის ლექსში გასათხოვარი ქალის ღრმა პროტესტია გა-  
მოთქმული იძულებითი გათხოვების წინააღმდეგ:

ვენახში პოტოტები,  
ხელი'ნა შიმიჭამოს;  
თუ არ მინდა, იმისთვის  
ზორიდან'ნა მიმცონ'ნა?!

კლარჯი ქალიშვილისათვის ქორწინება სიყვარულის დაგვირ-  
გვინებაა; ამიტომაც იჩენს სიმკაცრეს, თუკი ვაჟი, რომელიც არ  
უყვარს, თავს აბეზრებს და არ ეშვება:

ტყემალათის ყურძნები  
კანნალ-კუნულ კიდია;  
იმ ღორი შვილ უთხარით,  
მე ნუ ჩამომკიდია!

(შიომვილი, 2011: 73)

სასურველ ვაჟზე დაქორწინების ნადილი კი იმდენად ძლიერია, რომ, კლარჯეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, გათხოვების მოსურნე ქალიშვილები ვირზე შეჯდებოდნენ, რათა მალე გათხოვილიყვნენ: „გოგოები ვირზე შეჯდებოდნენ, მალე გვევთხოვოთო, უკულმა შააჯდომლებდენ“ (მთქმელი ქაზიმ ერყი-ლიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ ქართლაში. ჩაინერა თინა შიომვილმა 2014 წელს).

კლარჯული საქორწილო ლექს-სიმღერების თანახმად, საპატარ-  
ძლოს შერჩევა-დაკვლევისას ვაჟს ურჩევენ, ყურადღება მიაქციოს

ქალის ხასიათს, მის ბუნებას და არა – გარეგნობასა და ჩაცმულობას. სოფელ ტრაპენში 2007 წელს რემზიე ყოინჯუსაგან (ყოინჯო-ლლი) ჩანერილი ლექს-სიმღერით უხასიათო, გულვარამიანი ქალი სასურველ საცოლედ არ აღიქმება, თუნდაც ძვირფასი კაბით იყოს შემოსილი:

თეთრი ფორკა აცვია,  
ფარფალი ფულიანი;  
შენ ი გოგო არ გინდა –  
გულივერემიანი!

მიუხედავად ქალთა მხრიდან გარკვეული ენთუზიაზმისა, კლარჯულ დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერებში მაინც ვაჟს ეკისრება მთავარი ფუნქცია; ვაჟი უფრო მეტ აქტიურობას იჩენს, რაც სრულად ბუნებრივი და ტრადიციულია ქართული ხალხური პოეზიის ცნობიერებისათვის. სოფელ ხებაში 2015 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ იბრაიმ ფელქენჯისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი ეაჯება ქალს, გამოვიდეს, გამოხედოს; მართალია, „გარდარეული სიყვარულის“ მქონე მიჯნურს გულისსწორის დანახვაზე ძალ-ლონე ერთმევა და გონება ებნიდება, მაგრამ ქალის გამომხედვა დასტურის ტოლფასად აღიქმება. თუკი აისრულებს გულისნადილს და სასურველ ქალს ითხოვს, შეყვარებული ვაჟი შესანიშნავად გაიღებს:

ალთუუნ! გამოხვალ თუ გამოვდე,  
შენი სულის ჭირიმე?  
ჭუნკურებში ვიარე,  
ესვი ცივი წყალი მე.  
გადმეხედა თევფიყას ალთუნმა,  
ნემივდა ჰალი მე!  
შენ თუ გითხვევი, ჩემო ლამაზო,  
ერთი ყოჩი ყურბანი!

მთქმელის განმარტებით, ლექსი ნადში იმღერება.

საცოლის (სასიძოს) დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერები, რომლებიც ტრადიციული ქართული ხალხური საწესჩვეულებო პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია და საქორწილო რიტუალის ერთგვარი უვერტიურაცაა, დღევანდლამდე კარგად შემო-



უნახავს როგორც ისტორიული კლარჯეთის მიწაზე მცხოვრებთ, ისე თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში გადასახლებულ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს; ხალხური პოეზიის ეს ცოცხალი და შთამბეჭქდავი ჟანრი თავისი ტრადიციული, ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამომუშავებული ზნეობრივი შეხედულებების წყალობით, დადებით როლს ასრულებს ქალ-ვაჟის ბუნებრივ შერჩევაში, მათ დაახლოებაში, რაც საბოლოოდ ოჯახის შექმნით გვირგვინდება.

## 2. სასიძო და მისი ოჯახი

კლარჯულ საქორწილო ლექს-სიმღერათა ერთი ნაწილი წარმოაჩენს საცოლედ შეღერებული ვაჟის განცდებს, მის დამოკიდებულებას საკუთარი ოჯახის მიმართ, მის მორიდებულობას მშობლებისადმი და მათგან დაქორწილების ნებართვის თხოვნას. მართალია, ზეპირსიტყვიერების ამ უბანს ერთგვარი იუმორი დაჰყვება, მაგრამ მაინც საუკეთესოდ ასახავს წინასაქორწილო განწყობას ვაჟის ოჯახში და ტრადიციულ, ურთიერთპატივისცემასა და უფროს-უმცროსობაზე დაფუძნებულ დამოკიდებულებას შვილებსა და მშობლებს შორის.

მკვლევარ ნიაზ ზოსიძის მიერ საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ქაზიმ ერდალისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში დასაქორწინებელი ვაჟი ეხვეწება მამას, ოჯახის შექმნის ნება მისცეს, რადგანაც შეყვარებულია:

ნენე, კვერცხი შიმინვი,  
ტაფაში გავგორდები;  
ბაბოვ, დამაქორწილე,  
გოგოსთვინ გავდელდები!

სხვა ვარიანტში, რომელიც საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში დაფიქსირდა (მთქმელი მელაათ ქიბარი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს), ვაჟის მოთხოვნა უფრო კატეგორიულია და მიანიშნებს დედას, რომ სიყვარულისაგან გაგიჟების პირსაა მისული:

ნენევ, კვერცხი შიმიწვი,  
ტაფაში გავგორდებო;  
რატონ არ მაქორწილავ,  
აგერ რო გავდელდებო!

კვერცხის ხსენება ამ ლექს-სიმღერის მრავალრიცხოვან ვარიანტებში შემთხვევითი არ უნდა იყოს. კვერცხი, როგორც სიცოცხლის დაბადების ხილული მისტერია, ვიზუალური ფენომენი ყოველივე სულიერის წარმოქმნისა, უძველეს ცივილიზაციათა რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე დღემდე სიცოცხლის, გამრავლების პირველწყაროს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, უნივერსალური სიმბოლოა. ამდენად, პარალელიზმის ხერხზე აგებულ განსახილველ კლარჯულ ლექს-სიმღერაში კვერცხის შეწვა წინაპირობაა ვაჟის თხოვნისა, რათა ქორწინების ნება დართონ, რაც თავისთავად გამრავლებას, ახალი სიცოცხლის წარმოშობას უკავშირდება. ამის დასტურია საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში დადასტურებული ლექს-სიმღერა (მთქმელი რუჰი თემიზჯე. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს), რომლის თანახმადაც დაქორწინების მოსურნე ვაჟი ჩივის, რომ მრავალი კვერცხია ოჯახში, მაგრამ ვერ შეუწვია, დაქორწინლება უნდა, მაგრამ მამისთვის ვერ გაუბედავს:

რამდენი კვერცხი მაქ,  
კვერცხი ვერ შემინვია;  
დაქორწინება მინდა,  
ბაბოსთვის ვერ მითქმია!

ერეგუნელი მთქმელის – სევინ ილდიზისაგან ჩაწერილ შაირის ფორმის ლექსში (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს) იუმორნარევი ტონით არის გადმოცემული დასაქორწინებელი ვაჟის მდგომარეობა:

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმაზე კაკანობს;  
ბაბო, დამაქორწინლე,  
ჭლიკები მიკანკალავს!

მორიდებული ვაჟი ზოგჯერ მამას მოციქულსაც უგზავნის, რათა ცოლის თხოვნის ნებართვა მიიღოს:

გუშინდელი გელინმა  
ორ დღეზე ფერხულობს;  
უთხარით ჩემი ბაბოს,  
ერთხვა დამაქორწილოს!

(მთქმელი ომერ დურუ. ჩაინერა თინა შიომ-  
ვილმა 2013 წელს ქოჯაელის პროვინციის  
გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში)

აშკარად საზეიმო განწყობილებას გამოხატავს სოფელ ორჯში (ამბარლი) 82 წლის სელვინაზ დურმაზისაგან ჩაწერილი ლექს-სიმღერა, რომლითაც ვგებულობთ, რომ დედას დაქორწილების ნებართვა მიუცია ვაჟისთვის:

გეიარე, გამეიარე,  
ნუ ხარა დერთლი, ჯანო!  
მე ნენემა დამანდო,  
მეიყვანი რზალი, ჯანო!

### 3. ქალის თხოვნა, ნიშნობა და საქორწილო სამზადისი

საპატარძლოსა თუ სასიძოს შერჩევას კლარჯეთში, საქართველოს სხვა კუთხეთა წეს-ჩვეულების მსგავსად, მოსდევს დაგულვებული ქალის სათხოვნელად მისვლა ოჯახში, ნიშნობა და საქორწილო სამზადისი. კლარჯეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში, 78 წლის ქალბატონის – მიერიე ქესუმისაგან 2013 წელს ჩაწერილი გაბაასების ფორმის საქორწილო ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი, რომელმაც სატრფოსთან შეთანხმება-გარიგების უალრესად ემოციური ეტაპი გაიარა, ახლა საცოლის ბაბუასთან ცდილობს საერთო ენის გამონახვას და პირდება, რომ მის შვილიშვილს კარგად შეინახავს; არც ბაბუაა უარზე:

– დედევ, გოგო მომეცი,  
აღლი ვაჭამო, აღლი!

– დედევ, გოგოს არ გიშლი,  
აშურა მასინ ალი.

სოფელ გურბინში (ფეთექოი) გავრცელებული ლექს-სიმღერის თანახმად (მთქმელი საბრიე გურსუი (პავლიაშვილი), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს), საპატარძლოს ოჯახი თავად ითხოვს ძღვენს:

ჩემი გოგო ნაზურ,  
ბირმილი არი აზურ;  
ბირმილი ალი მეიტანეთ,  
მობრუნდით და წეიყვანეთ!

ბუნებრივია, ამ იუმორისტულ ლექს-სიმღერაში მინიშნებული „ალი“ არ იყო მაინცდამაინც გოგოს სახლში ძღვნად მისატანად სავალდებულო; აქ მინიშნებაა იმაზე, რომ ქალის დასანიშნად ვაჟის ოჯახი „მსუყედ“, ხელდამშვენებული უნდა მისულიყო და საპატარძლოსათვის მიერთმიათ სამკაულები, ტანსაცმელი, ტკბილეულობა და ფული. თავის მხრივ ქალი საქმროს ოჯახის წევრებს ასაჩუქრებდა თავისი ხელნაქმართ, უმეტესწილად – წინდებით. ეს ჩვეულება ბოლო დრომდეა შემორჩენილი როგორც კლარჯეთში, ისე შავშეთსა და აჭარაში. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ფურკან თემიზჯესაგან 2013 წელს ჩაწერილი ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი მონონებულ გოგოს თვად სთხოვს წინდების გამოგზავნას, რაც თანხმობის ნიშანია; საყურადღებოა ისიც, რომ ვაჟს ქალის მანდილის მიღებაც სურს, რაც, აგრეთვე, ქალისაგან მისდამი ყურადღების გამოჩენისა და მომავალი მეუღლეობის სიმბოლოა, თვად კი ინის („ყინა“) გაგზავნას პირდება, რაც, ბუნებრივია, წინასაქორწილო სამზადისზე მიუთითებს:

შინდები გიქნა მე,  
კალათებში ვისაქმე.  
გამოგზავნე წინდები,  
ფეხებზე ვიქნა მე.  
მენდილი ხელზე,  
მენდილი მიეცი ხელზე!  
შავი ყინა გამოგზავნე  
ჩემი აარი ხელზე.

პატარძლისათვის ხელზე ინის დადება საქორწილო სამზადის აუცილებელი ელემენტია, რაც იციან, აგრეთვე, შავშეთში და აჭარაში და რასაც თითქმის ბოლო დრომდე ასრულებენ. ინას, როგორც კლარჯული საქორწილო ლექსითაც დასტურდება, საპატარძლოს ოჯახში აგზავნის სიძის ოჯახი. ინის წასმა ხელისგულსა და ფრჩხილებზე პროფილაქტიკური მაგიის ელემენტია და, უძველესი რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ავი, ბოროტი სულებისაგან დედოფლის დაცვას ემსახურება. როგორც მკვლევარი ვერა ბარდაველიძე მიუთითებს, ინის წასმას განსაკუთრებული წესი აქვს, მას წრიულად უსვამენ, რაც მზის სიმბოლიკაზე მიანიშნებს (ბარდაველიძე, 1953: 130). პატარძალს ხელზე ინას ადებენ ფერეიდნელი ქართველებიც, რაც, აგრეთვე, პროფილაქტიკურ-მაგიური ფუნქციის მატარებელია და სჯერათ, რომ თავიდან აიცილებენ ქორწინების დროს მოსალოდნელ „სქესობრივი აქტის ჩაკეტვას, ქალის უშვილობასა და ვაჟის მამაკაცურ უძლურებას“ (გოცირიძე, 1987: 85).

დედოფლისათვის ხელზე ინის დადება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარაშიც იცოდნენ. ინის წასასმელად მოიპატიუებდნენ ჯანმრთელსა და ქმარშვილიან ნათესავ ქალს (ბექაია, 1974: 61). თეიმურაზ მეორის თანახმად, ძველ საქართველოში სასიძოსაც ადებდნენ ინას ულვაშზე დები:

მას ღამეს ხელის საღებლად დაუღბონ ინა სადები,  
ქალსა მოსტაცონ ხელშია მუჭითა წერად სადები,  
იქ ყმას სამეფოს ულვაშსა ულებენ თავისი დები,  
ეტყვიან ძმასა: „დღეს იქით დაგვესო ცეცხლი სადები!

(თეიმურაზ მეორე, 1939: 58)

ნიშნობას, ქართული ტრადიციის თანახმად, ქორწილი მოსდევს. ქალის ოჯახში მისულნი მოილაპარაკებდნენ და დასთქვამდნენ ქორწილის თარიღს, თუმცა კლარჯეთსა და შავშეთში დაფიქსირებული ლექს-სიმღერის თანახმად, ამას ხშირად თავად გოგო-ბიჭები ნყვეტენ:

ნეველი ცივი წყალზე,  
ვერ ავავსე გუგუმი;  
წვი, უთხარი შენ წენეს,  
აპრილში მაქ დუგუნი.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 159)

#### 4. გამოსათხოვარი

ქართული ტრადიციული საქორწილო ცერემონიალის და მასთან დაკავშირებული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოთხოვების რიტუალი და ლექს-სიმღერები, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. საპატარძლოსთან ტრადიციულად იკრიბებოდნენ მისი მეგობარი ქალიშვილები და სასიძოს ნათესავები, რომლის დროსაც სრულდებოდა გამოსათხოვარი რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ეს თავყრილობა თითქმის ბოლო დრომდეა დაცული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულ საქორწილო ცერემონიალში სასიძოს მხრიდან საჩუქრების მიღების წესი, რომელიც ახლა ნიშნობის დღესთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია, ძველად გამოსათხოვარ შეკრებას უკავშირდებოდა (სიხარულიძე, 1960: 261). ამ ტრადიციას, რომელიც თითქმის ბოლო დრომდეა შემორჩენილი, მხოლოდ გართობის ფუნქციала შემორჩა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში დანერგლ ნაშრომში ქს. სიხარულიძე იმასაც მიუთითებდა, რომ „ჩვენამდე არ არის მოღწეული, აგრეთვე, პატარძლის მშობლიურ ოჯახთან გამოსათხოვარი სიმღერა-გოდება, რაც გავრცელებული იყო რუსეთში“ (სიხარულიძე, 1960: 261), თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენში არ იყო ამგვარი სიმღერები და ამის დასტურად მოიხმობს ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩამი“ აღწერილ საქორწილო რიტუალს, რომლის თანახმადაც, ძიძიასა და გუგუას ქორწილის აღწერისას, მწერალმა შესანიშნავად დაახასიათა პატარძლის გამოსათხოვარი სიმღერების ტრადიცია: „ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვილაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმანვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელი სიტყვებით ყმანვილს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თვითონაც ესალმებოდნენ“ (ყაზბეგი, 1948: 252). ქს. სიხარულიძე მიაჩნებს: „აღ. ყაზბეგს ამ შემთხვევაში აღწერილი აქვს თვით ქორწინების დღე, მაგრამ ამას არ აქვს პრინციპული

მნიშვნელობა, რადგანაც საქორწილო ცერემონიაში შერწყმულია არა მხოლოდ მისი სხვადასხვა მომენტი, არამედ – სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელი წესებიც. ამას გარდა, პატარძლის ოჯახთან გამოსათხოვარი სიმღერა-გოდება სრულდებოდა ქალის ვაჟისას წაყვანის მომენტშიც. გამოსათხოვარ ტექსტს ან თვით პატარძალი ასრულებდა, ან კიდევ, როგორც ალ. ყაზბეგს აქვს აღწერილი, მისი ტოლი ქალიშვილები“ (სიხარულიძე, 1960: 261). აქვე მკვლევარი პარალელს ავლებს და ამ რიტუალს უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნეში მესხეთში ჩანერილ ლექსს:

პატარძელის ციხესა  
გამოუთხრიან ძირსაო,  
გამოიყვანენ ლამაზსა,  
ცრემლით დაჰბანენ პირსაო...  
(უმიკაშვილი, 1964: 109)

მშობლიურ კერასთან საპატარძლოს გამოსათხოვარი შეკრების ტრადიციული ხასიათის დაკარგვას ქსენია სიხარულიძე უკავშირებს ნატურალური მეურნეობის რღვევას, რაც „ერთგვარად მაინც ამსუბუქებდა ქალის სვედრს; დაქორწინებისას მას აღარ ჰქონდა საფუძველი მოთქმა-გოდებისა“ (სიხარულიძე, 1960: 262).

საბედნიეროდ, ძირძველ ისტორიულ კუთხეებში – შავშეთსა და კლარჯეთში – დაფიქსირდა საქორწილო ცერემონიალის ეს არქაული შემადგენელი ნაწილი. იმერხევში პატარძლის გამოსათხოვარ ლექს-სიმღერას დედოფლისათვის ხელის გულზე და თითებზე ინის დადების რიტუალის დროს მღერიან, რასაც „ყინა გეჯეს“ (ინის ღამეს) უწოდებენ:

მაღალ-მაღალ მთებიდან  
სახლი არ დადგან.  
აბბანჯ მემლექეთში  
გოგო არ მიცე!  
ყინა მეიტანე, ანე,  
თითი დაანე, ანე!  
ამელამ მუსაფირი ვარ,  
ჩემ უკან დაწე, ანე!  
(ფუტკარაძე, 2009: 15)

მსგავსი ვარიანტი გავრცელებულია, აგრეთვე, კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაშიც. სოფელ ავანაში (ავჯილარი) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ჩანერილი გამოსათხოვარი ლექს-სიმღერის თანახმადაც, საპატარძლო წუხს იმის გამო, რომ მშობლიური სახლიდან შორს ყოფნა მოუწევს და იხვენება, ამის შემდეგ უცხო მხარეში აღარ გაათხოვონ ქალიშვილი. ერთი ლამის სტუმარი, დედას სთხოვს, მასთან დანვეს:

მაღალ-მაღალ მთებიდან  
იქ სახლი არ დადგანო!  
აბაზჯი მემლექეთში  
გოგო არ მიცე!  
ყინა მეიტანე ანე,  
თითი დაანე, ანე!  
ამესლამ მოსაფირი ვარ,  
ჩემ უკან დანექ, ანე!

საყურადღებოა, რომ ჩვენებურებისათვის შორეულ სოფელში გათხოვება ერთგვარ სასჯელად აღიქმება. „– ნენემა მეტყოდა, იმსოჲ შორ სოფელში'ნა მიგცეო, მამალის ხმა არ უნდა მოიდესო“, – გაგვანდო ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში მცხოვრებმა კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალმა 80 წლის რუყიე ილდირიმმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს).

მშობლიური კერის დატოვების წინ პატარძლის „მოთქმა-გოდებას“ წარმოადგენს, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დაფიქსირებული გამოსათხოვარი ლექს-სიმღერა (მთქმელი ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურკვეთში მცხოვრები 69 წლის ოსმან შიმშექი. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს), რომელშიც გამოთქმულია ქალიშვილის სევდა-წუხილი დედასთან განშორების გამო:

ნენე, ნენე, გეყრები,  
ნენე, შენ ვერ გეყრებიო!  
როგორო მოზობელი,  
გზაზე გედეგეყრებიო.



სოფელ დევსქელში ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ჩანერი-ლი ლექს-სიმღერის (მთქმელი ნაბიე ილმაზთურქი) თანახმად, გამოთქმულია ქალიშვილის ნუხილი იმის გამო, რომ ხანმოკლე იყო მამის სახლში მისი ყოფნა:

ცივი ქარი მეიქროლა,  
კალაშია, კალაში;  
რა მალე მოათავე  
ბაბოს სახლის თალაში!..

მარადიდელი მთქმელის – მერიემ კაჰრამანისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ვარიანტი კი უფრო ამალღებული განწყობილების გამომხატველია, თუმცა მამისეულ სახლთან გამოთხოვებით გამონვეული სევდა მასშიც გამოსჭვავის:

მივალ, მივალ, ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
რა მალე მოვათავე  
მამის სახლის თალაში!..

(შოოშვილი, მახარაშვილი, 2014: 153)

კლარჯული ზეპირსიტყვიერება მხოლოდ პატარძლის გამოსათხოვარი ლექს-სიმღერებით როდია მდიდარი; არანაკლებია პატარძლის დედის გრძნობების გამომხატველი ლექს-სიმღერებიც. ჯივანელი მთქმელისაგან – რესმიე ჩავდანისაგან პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს ჩანერილი ლექს-სიმღერა შვილთან საპატარძლოს დედის ტრადიციულ გამოსათხოვარ ნუხილზე მიუთითებს:

წყალი მიდის ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
ჩვენი გელინის ნენეა  
ზის და ტირის ჩარდახში.

ამავე თემას ეხმიანება სოფ. დევსქელში ჰაჯერ ილმაზისაგან 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი ლექსიც:

ოჯახის კარში კატა  
„მიავე, მიავე“ – იძახის;

ჩვენი გელინის ნენეა  
„ე რა მექნა!“ – იძახის.

ამრიგად, ისტორიული საქართველოს ძირძველი კუთხის – კლარჯეთისა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მიგრირებული კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია საპატარძლოს კერასთან გამოთხოვების ტრადიციული ლექს-გოდება, ანუ რიტუალური ტირილი, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა.

## 5. მაყრული

მაყრული ლექს-სიმღერები ტრადიციული ქართული საქორწილო ლხინის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. მათი შემსრულებლები არიან როგორც ვაჟის, ისე ქალის მაყრები; ამდენად, მაყრული ორპირული შესრულებისაა და, ბუნებრივია, ერთგვარი შეჯიბრიც არის ამ უძველეს, ორი გუნდის პრინციპზე დაფუძნებულ, ცერემონიალში.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა ფოლკლორულ შემოქმედებაში, მაყრულში იმღერება როგორც უშუალოდ საქორწილო თემატიკის ამსახველი ლექს-სიმღერები, ასევე – სატრფიალო და საყოფაცხოვრებო პოეზიის ნიმუშები.

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთი-ეში (დოშემე) მურად სევისაგან (მგელაძე) 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ლექს-სიმღერას, მთქმელის განმარტებით, „დოდოფალი გამოყვანისხან იმღერებენ“:

ბენონი, ბენონი,  
მეგეჩვე თუ ბეთი;  
წევედი ცივი წყალზე,  
ბენონი, ბენონი...

სოფელ ქართლაში მერიემ ერქილიჩისაგან დაფიქსირებულ მაყრულში გამოთქმულია სიხარული იმის გამო, რომ ძმისწულის (დისწულის) ქორწილს მოასწრო ღმერთმა:

კარი თავზე აველი,  
ვერ ავავსე გუგუმი;  
ღმერთმა ანჯახ მომასწრა  
ჩემი ღეგანის დუგუნი!

მაყრული ლექს-სიმღერებით კლარჯი სახალხო მთქმელები ხოტბას ასხამდნენ პატარძალს, უქებდნენ გარეგნობას. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნიმეთიეში კლარჯი მუჭაჯირების შთამომავლის – ბეიჰან აქინისაგან ჩვენ მიერ 2013 წელს ჩანერილ მაყრულ ლექს-სიმღერაში პატარძლის სილამაზის ხაზგასასმელად ნათქვამია, რომ ის ბათუმიდან არის მოსული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებურები ყველაფერ საუკეთესოს ბათუმს უკავშირებენ, რაც მათი გურჯობის“, „მემლექეთთან“ გულთბილი და აღმატებული დამოკიდებულებისა და მონატრების ნიშანია:

ბათუმიდან მოსული,  
სანთელჩი ამოსმული!  
გელინ, შენი ლოყებზე  
ვარდები ამოსული!

მთქმელის განმარტებით, ამ ლექსს „დუგუნში დედოფალ მიუმღერებენ“. სოფელ გურბინის (ფეთექოი) ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული მაყრული ლექს-სიმღერის (მთქმელი ნაალე ჩელიქი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს) თანახმად, რომელსაც, მთქმელის განმარტებით, „დუგუნში მღეროდენ“, მაყრები ერთგვარ გაკვეთილს უტარებენ დედოფალს:

მაცივებს, მაკანკალებს,  
თოფლი მოხმარდება თუ?  
ყველამფრის ახალი და  
ძველი მოხმარდება თუ?  
შორიდან მოყვანული  
რძალი მოხმარდება თუ?  
ყველამფრის ახალი და  
ძველი მოხმარდება თუ?  
კარი შამუფერდა ქი,  
ჰავლი მოხმარდება თუ?

როგორც აღვნიშნეთ, მაცრული ლექს-სიმღერები ორი გუნდის პრინციპზეა დამყარებული და ტრადიციულად ქალისა და ვაჟის მაცრების შეჯიბრია, ერთგვარი „მტრობის“ გათამაშების სცენაა, რასაც საქორწილო ცერემონიაში ერთგვარი ხალისი და მხიარულება შეაქვს. ორივე მხარე ცდილობს, უპირატესობა მოიპოვოს და „მონინააღმდეგე“ დაამარცხოვს; ამიტომაც მაცრულებში იმღერება ერთმანეთის „დასამცრობი“, იუმორის შემცველი სიმღერები. ამგვარი ლექს-სიმღერებით მდიდარია როგორც შავშური და აჭარული, ისე კლარჯული ზეპირსიტყვიერება. დიალოგური ფორმის ეს ლექს-სიმღერები, რომლებიც გამოძახილია საქორწილო ჩვეულებისა, რომლის თანახმადაც დედოფლისათვის ვაჟის ოჯახს შესაწევარი „ყურბანი“ უნდა მიერთმია, მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის ჩუქებას გულისხმობს. ერეგუნაში (ერენქოი) სევიან ილდიზისაგან ჩვენ მიერ 2014 წელს ჩანერილი დიალოგური მაცრული ლექს-სიმღერის თანახმად, დედოფლის მაცრები დასცინიან ვაჟის მაცრებს:

– ლამბაშუმე შუმეში,  
დოდოფალი ქოშეში;  
დოდოფალი მომყავან,  
საჩუქვარი რა მყავან?  
– ფუცუნცლიანი თხა მყავან.  
(შოშვილი, 2014: 73)

სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში, მიერიე ქუსუმისაგან 2013 წელს ჩანერილი მაცრული ლექს-სიმღერით კი ქალის მაცრების შეკითხვაზე, თუ რა საჩუქარს ახვედრებენ დედოფალს, ვაჟის მაცრები გონებაამახვილურ პასუხს იძლევიან:

– დოდოფალი მოგყავანო,  
საჩუქვარი რა გყავანო?  
– ნეფე მოგიყვანეთო!  
ამაზე კაა რა მოგიყვანოთო?!  
(შოშვილი, 2014: 161)

საქორწილო ლხინს, ბუნებრივია, ბევრი იუმორიც ახლავს. სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად (მთქმელი გულერ გირგინი), ვაჟის მაც-

რებს „ზალი არ მუუნონიენ, დადე მუუნონიენ“ და ქალის მაყრე-ბისთვის მიუმღერიათ:

დოდოფალი რამ არა!  
დადე, შენი ჭირიმე!

(შიოშვილი, 2014: 160)

საქორწილო ლხინის დროს გოგოსა და ბიჭის მაყრები ერთმანეთს ხშირად მომეტებულ ჭამა-სმასაც „წამოაძახებდნენ“, რაც, ბუნებრივია, იუმორის ფარგლებში თავსდებოდა. ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ ყირინთაში მცხოვრები კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ზექერია გულერისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი მაყრული ლექს-სიმღერის თანახმად, „დუგუნში ერთმანებ მუუმღერებენ ციცაჲს და ბიჭის თერეფი“:

სახლის ზეიდან გეველი,  
ჩამოვსხალი ნეკერი;  
მარიოლლებ არ ეყვენ  
ორი კილო შექერი.

## 6. სუფრის დაკავება („დაჭირვა“)

კლარჯული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი მხარეა ეგრეთწოდებული „სუფრის დაჭირვა“, რაც იციან, აგრეთვე, შავშეთსა და აჭარაში.

სუფრის დაჭირვა, ანუ დაკავება, საქორწილო ცერემონიალის სხვა მხარეებთან ერთად, ორი გუნდის პრინციპს ემყარება, თუმცა ამას აკეთებენ მხოლოდ დედოფლის მაყრები; ისინი ცდილობენ, ნაირნაირი საჭმლის მოთხოვნით „ჩიხში მოაქციონ მასპინძლები – სიძის მხარე“ (შიოშვილი, 2014: 176).

„– დუგუნში გოგოს თერეფი სუფრას დეიჭირავს. გოგოს თერეფი ბიჭის სახლში ვიმაყრებდით, ქათამი ავართმევდით, ბორეგი, იმას ვჭამდით. ვეტყოდით, მეიტანდენ“, – აგვისნა ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ ალაჩამში მცხოვრებმა 81 წლის ჯემალ დემირმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს); ბალიქისე-

რის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში მცხოვრებმა 80 წლის სულთან ოზმა (ჩაუშოლლი) კი გვითხრა: „– ქორწილზე ილაპარაკებდენ: – კაი ქენი, მოხველიო, სამი ქათმის ქორწილიაო... დოდოფალი მოყავან, გოო!“ უნინ ძროხების არაბა იყო, იმით მოყავდათ დოდოფალი. იფერხულებდენ... ქათამი უნდანან, იტყვიან: „– გოგოს თერეფი ვართ, ქათამი გვიდანანო; ბორეგი უნდანანო...“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს).

სუფრის დაკავების („დაჭირვის“) რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები დავაფიქსირეთ კლარჯეთის სოფლებში: დევსქელი, ბუჯური, ებრიკა, ადაგული, ქლასკური, ქართლა.

„სუფრის დაჭირვა“ საქორწილო დრამის ერთ-ერთი არქაული მხარეა, რომელიც, ქორწილის სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად, პროდუქტიულ-პროფილაქტიკური მაგიის ელემენტებს შეიცავს და რომელმაც ჩვენს დრომდე მოიტანა ამ სანესჩვეულებო ცერემონიალის სინკრეტული ბუნება. მიუხედავად ამგვარი გენეზისისა, ჩვენებურები ამ რიტუალს ხსნიან სანახაობის, გართობის ნიშნით. „სუფრის დაჭირვიხან გოგოს თერეფი მეითხოვებენ, ლივერი მეითხოვებენ, თხილი მეითხოვებენ, ძროხა მეითხოვებენ, რძალს'ნა ვაჩუქვოთო, ტათლი მეითხოვებენ... მოყრილობითვინ ითხოვებენ, გაიცინონ'ნა, – ასე აგვისხნა მარადიდელმა ნიმეთ ოზთურქმა და ძველი ქორწილი გაიხსენა: „– ესქი დუგუნზე დილაზე მეიყვანენ რძალ ბიჭის სახში. სალამოს დეიფანტვენ. იმამადე ერთი ღამე გოგოს სახში. იქაც ჭამენ, სმენ, ჰამა ბიჭის სახში რომა ჭამა-სმავა, იმდონი იქ არ არი“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

ბორჩხადან „რუსების მოსლიხან“ იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფელ ჰაირიეში მუჰაჯირად წასულ კლარჯთა შთამომავლის – 74 წლის მეჰმედ გუნეის (ფალაზოლლი) თქმით, „– გოგოს თერეფი სურა დეიჭირავდა. მეითხოვდენ: ბორეგი მინდა, ნაბლი მინდა, კაკალი მინდა!.. მუუტანდენ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს).

2007 წლის 2 აგვისტოს ბსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის წევრებს სოფელ დევსქელში „სუფრის დაჭირვის“ რიტუალის ინსცენირება მოგვიწყეს და ცოცხალი შესრულებისას ჩაგვანერინეს ამ ცერემონიალში, რომელიც ფაქტობ-

რივად ხალხური დრამაა, სამღერი ვრცელი ტექსტი; დედოფლის მაყრებს განასახიერებდა 30 წლის შაბან ილმაზთურქი (თავდგირიძე), ხოლო ვაჟისას – 32 წლის ემინე ოზთურქი (ჩაინერა თინა შიოშვილმა). როგორც შაბან ილმაზთურქმა გვითხრა, „– დუგუნი რომ გათავდება, მახარობელი რო წავა, დოდოფლის კუთხე ბიჭის კუთხეს მოთხოვებენ, იმასხარავებენ“.

„სუფრის დაჭირვის“ ლექს-სიმღერის დევსქელური ვარიანტი, სხვა ვარიანტების მსგავსად, ორპირული შესრულებისაა; დიალოგის ყოველი ფრაზა (ქალის მაყრებისა თუ ვაჟის მაყრებისა) იწყება ერთი და იმავე მისამღერით: „ეესა, მამალი ქოსა“. ტრადიციულად, ქალის მაყრები მოითხოვენ სხვადასხვა ნუგბარს, ხოლო ვაჟის ოჯახი ვალდებულია, მოყვრების ყველა მოთხოვნა შეასრულოს.

დევსქელელთა მიერ იმპროვიზირებული დრამა იუმორისტული ხასიათისაა; მასში ქალის მხარე უარსაც ბედავს:

– ეესა, მამალი ქოსა,  
ერთი ბაქლავა მეიტანეთ, ქოსა,  
აღლე აღლესა!  
– ეესა, ეელი ეელესა.  
ბაქლავა არ მაქვან, ქოსა,  
აღლე აღლესა!  
ეესა, მამალი ქოსა,  
ახლა რა იქნა, ქოსა?  
აღლე აღლესა!

ამის შემდეგ ქალის მაყარი ითხოვს „რევოლვერს“ და, თანაც, აჩქარებს ვაჟის მხარეს:

– ეესა, მამალი ქოსა,  
ლივერი მეიტანეთ, ქოსა,  
აღლე აღლესა!  
ეესა, მამალი ქოსა,  
ჩქარათ მეიტანეთ, ქოსა,  
აღლე აღლესა!

ამას მოსდევს მოზვრის, სიძის, დედოფლის, ფულის მოთხოვნა, ბოლოს კი შეთანხმდებიან, რომ მეტი აღარაფერი მოითხოვონ:

– ზესა, მამოლი ქოსა,  
ამდონი ეყოფა, ქოსა,  
აღლე ააღლესა!

განზილებული ვაჟის მხარე კი ამბობს:

– ზესა, მამოლი ქოსა,  
დამატყვილეთ, ქოსა,  
აღლე ააღლესა!

2007 წელს სოფელ ბუჯჯურში (აქანთაშქი) 70 წლის ქალბატონის – ხატიჯე ილმაზისაგან, რომელიც გამოთხოვილია სოფელ დევსქელიდან, ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, დედოფლის მაცრები ქორნილის მეორე დილას ითხოვენ საუზმეს, ყავას, ფულს და ყველაფერს, რაც მოუნდებათ. მთქმელის განმარტებით, „– დოდოფალი მეიყვანონ, ასე დააყენებენ და მეზე ითხუებენ; ყავე ითხუებენ, ყოჩი ითხუებენ; დიდვანები, უმფოსები ითხუებენ, თელ აავსებენ. ასე დამინავლია.“

„სუფრის დაჭირვის“ არქაული რიტუალისა და მასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერის („...ზესა // ზელესა...“) ყველა ვარიანტთა მთქმელების მოწმობით, ქალის მაცრები ასრულებენ; მათ ზოგჯერ „მასხარობლებად“ მოიხსენიებენ; „– ქორნილში მასხარობელი ეტყვის: რაცხა'ნა მეითხოვონ, მუუტანონ'ნა“ (სოფ. ებრიკა).

დედოფლის მაცრების მიერ „სუფრის დაჭირვის“ რიტუალი და ზოგადად საქორნილო ცერემონიალი შედარებით დაწვრილებით აგვიწერა მარადიდელმა მთქმელმა – 61 წლის მერიემ კაპრამანმა: „– დუგუნებზე საჭმელი გააკეთებდენ. დიდვანი თენჯერეებში გააკეთებდენ. შივჭამდით. წასლა მეტი მინდოდენ ლარჭობაში. ვისამავდით, აქორდონი დუუკრიდენ ჩვენი ქაფქასიონი.

დოდოფალ სახში მეყვანთ; მასხარობელმა მოთხოვს ტათლი, კლიტეები, ძროხა; მეითხოვს, მეიყვანეთ სიძეო ახლა. სიძეს ახლა ძველებური ლივერი ჩამოუდებდენ, მემრე ისამებდენ. სალამოზე წევდოდენ, იტირებდენ.

წინ გოგოს ბაბო და წენე არ იყვენ, ახლა არის, ახლა არ იჯებან. წინ გოგო რო გაათხუებდენ, უფროსებს კითხვიდენ, ახლა კითხვა არ არის. გოგომა, ბიჭმა დეინახეს ერთმანები, თან გედევხვევიან, შენ ჩემი ხარო და თამამია.



ქორწილებზე ბანი (მღერობა) იტყოდენ; მახარობელი იტყვის: „-  
ვოი, ჰოი, ვოი, ჰოი, შენ გენაცვალე!“ – იმღერებენ ისე.

მახარობელი ადრე მივდოდა, გელინი მისლაზე ნახავარი საათი  
წინ-წინ მივდოდა. მახარობელი მოთხოვდა ტათლები, ქათმები, კლი-  
ტე, ძროხა, ხარი, ფური...“ (ჩაინერა თინა შიოშვილიმა 2013 წელს).

აღსანიშნავია, რომ „სუფრის დაჭირვის“ ლექს-სიმღერის ყველა  
ვარიანტის უცვლელ მისამღერში ნახსენებია მამალი, რაც შემ-  
თხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. მამალს (წითელ მამალს) პირ-  
დება ვაჟი შეყვარებულ ქალს, თუკი ცოლად ნაჰყვება, შავშური  
ხალხური პოეზის თანახმადაც:

ჯანო, წამომყევ, ჯანო, წამომყევ,  
არ წამამყვები, რაე გინდა?  
წითელ მამალ დიგიკლავ,  
თორმეტ ალთუნ მეგიტან!

(შიოშვილი, 2011: 166)

საცოლის დაკვლევა-შერჩევის შავშურ ლექს-სიმღერებში ნახსენე-  
ბი წითელი მამალი (მისი დაკვლა) და „სუფრის დაჭირვის“ კლარჯულ  
ლექს-სიმღერებში ინტენსიურად ნახსენები მამალი უსათუოდ ამ  
ფრინველის არქაულ სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს, რომლის  
სახისმეტყველებაც უარესად მრავალასპექტიანია და, მსოფლიოს  
უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ნიშნავს სიმამა-  
ცეს, სიფხიზლეს, სიამედობას, სულიერ აღორძინებას, იღბლიანო-  
ბას (სიმბ. ენც., 2006: 130-131). ქალის მაცრების მიერ „სუფრის და-  
ჭირვაც“ ხომ მათი ქალიშვილის მომავალი ოჯახის დოვლათიანობის  
ერთგვარი შემონმება და, ამდენად, მისი მომავალი იღბლიანობის გა-  
მოვლენაა, რადგანაც ეს რიტუალი სიძის ოჯახის სტუმართმოყვარე-  
ობისა და შეძლების გამოცდაც იყო. აღსანიშნავია, რომ ეს ჩვეულე-  
ბა აჭარაში დასტურდება არამარტო ქორწილში, არამედ სხვა სახის  
წვეულებებშიც მათ შორის – ნადის დროსაც, რამდენადაც ნადის წე-  
ვრებასაც აპურებდა ყანის პატრონი. ამგვარი ვითარებაა კლარჯეთ-  
შიც. ქლასკურელმა სახალხო მთქმელმა მიერიე ქესუმმა „სუფრის  
დაჭირვის“ მისეულ მოკლე ვარიანტს ამგვარი კომენტარი დააყოლა:  
„ქორწილზეც ვიმღერებდით და ნადზეც ვიტყოდით“. აქვე უნდა აღ-  
ვნიშნოთ, რომ სოფელ ბაგინში (ბალჯიქოი) ამგვარი რიტუალი და-

ვაფიქსირეთ „ფენხაქცევის“ დროსაც; 59 წლის მთქმელმა – სუნთუზ ოზთურქმა დანვრილებით აგვინერა ეს ძველისძველი ჩვეულება, რომელიც საქორწილო ცერემონიალის შემდგომი ეტაპია და რომელსაც კარგად იცნობს საქართველოს ყველა კუთხე: „– ფენხაქცევია: ერთი კვირის მემრე მოილოდა დოდოფალი, ბაბოს სახში ტათლი მოიტანდა. ბაბოს სახშიც გამუუცხოზდენ, გაატანდენ. მახარებელა ცოტა წინ მივა. ყავეს მეითხოვს, ყავეს სვამს, ტათლის მეითხოვს, ქათამ მიეთხოვს. სიძეს მიატანებენ, სიძემა'ნა მუუტანოს, სიძემა'ნა ასვას“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 7 აგვისტოს).

აჭარაში „რუსუმის“, „გევეზობის“ სახელწოდებით ცნობილ ამ რიტუალთან დაკავშირებით მკვლევარი მზია ბექაია მიანიშნებდა: „ქალის მაცრები აწვალეზდენ მასპინძელს, ჭირვეულობდენ – „გევეზობდენ“ – მასპინძელს სუფრას უწუნებდენ, ახალ-ახალ კერძებს მოითხოვდენ“ (ბექაია, 1974: 67).

მიუხედავად იმისა, რომ „სუფრის დაჭირვის“ ლექს-სიმღერებში უზვად მოიპოვება თურქული ლექსემებიც, მთლიანად რიტუალი არქაული ქართული ქორწილის შემადგენელი ნაწილია და ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ ვაჟის მაცრების მონათხოვთა ჩამონათვალში, 2007 წელს სოფელ ადაგულში პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ჩანერილი ვარიანტის თანახმად (მთქმელი ისაყ ილდირიმი// აფინჯოლი), ღვინოც გამოერია:

ფესა, მამული ქოსა,  
ქოსა გელსუნ ბოგრადა,  
ფელე ალესა!  
ფესა, ბემ ქილო ღრინო გელსუნ,  
მამული ქოსა!  
ფესა, რავაჲ ხარ, ქოსა,  
არ განუზდე, ქოსა,  
ფელე ალესა!  
ფესა, ერთთანე ყოჩი მოვდეს,  
ფელე ალესა!  
ფესა, ამდონი ფული მოვდეს,  
ფელე ალესა.

მთქმელის განმარტებით, „მოთლიან – ამდონი ქათამი, ამდონი აყირო, ამდონი სიმინდი, ამდონი ოდოში...“

## 7. პატარძლის დამოდვრა

კლარჯული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დედოფლის (პატარძლის) დასამოდვრავი ლექს-სიმღერები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, შავშეთსა და აჭარაში. ზეპირსიტყვიერების ეს ნიმუშები დიდაქტიკური ხასიათისაა და გულისხმობს ოჯახში ახლად შესული წევრისათვის გარკვეული რჩევა-დარიგების მიცემას. ჩვეულებრივ, როგორც შავშეთში, ისე კლარჯეთშიც, ამგვარი ლექს-სიმღერები სრულდება როგორც მშობლიური სახლიდან დედოფლის გამოყვანისას, ისე მის ახალ საცხოვრისში, ანუ მეუღლის სახლში, შეყვანისას.

საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანის უბანში – ბიჩქიდირეში 2013 წელს კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – მელაათ ქიბარისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექს-სიმღერით, რომელიც პატარძლის სახლიდან გამოყვანისას სრულდება, მისიანები არიგებენ, ახალი ოჯახის წევრებს სათანადო პატივისცემით მოექცეს:

გელინო, გელინო,  
მიხვალ, მიხვალ, ჰად მიხვალ?  
აქზე მოდი, გელინო!  
დედამთილი დედასავე,  
მამამთილი მამასავე,  
მაზლები გყავსდა ძმასავე,  
მეეხიზმეთე, გელინო!..

საქმროს სახლის კართან მისულ პატარძალს კი დამხვდურები მიეგებებიან და ასე მიუმღერებენ:

გელინო, გელინო,  
ზალო, ზალო!  
კარზე მოვდა ზალი,  
ბოა მუუსვა კარზე!  
გელინო, გელინო!..

(მთქმელი ნურიე ეფენდოლი (ფალავა), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს სოფელ ავანაში)

ლექსში ნახელება პატარძლის მიერ კარზე „ბოჟას“ (სალეზავის) წასმა, რაც, აგრეთვე, პროფილაქტიკურ-მაგიური დანიშნულები-საა.

დამხვედურთა სიმღერაა, აგრეთვე, სოფელ ბუჯურში ნურან ილ-მაზისაგან ჩვენ მიერ 2007 წელს ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელ-შიც, დედოფლისადმი სიყვარულისა და პატივისცემასთან ერთად, გამონათულია სიხარული იმის გამო, რომ დაპირებული სარძლო „გელინად“ (რძლად) მოიყვანეს:

გელინო, გელინო, გელინო,  
ჰაიდე, ზალო, მოზხანდი,  
მოვიაროთ სარაჲ!  
ჰემ თქვით და მოგიყვანეთ,  
არ გვიარა ერთი თვით.

პატარძალს დამხვედურებმა „კაი თვალით“ უნდა შეხედონ. სო-ფელ დევსქელში იხსან ილმაზთურქისაგან 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელიც „დაკვლევა-შერჩევის“ ცნობი-ლი ლექს-სიმღერის – „...თითზე ბეჭედი მაქვა...“ – ტრანსფორმაცი-აა, ამის დასტურია:

გელინო, გელინო,  
თავზე აზმა გბურია,  
გელინო, გელინო!  
თითზე ბეჭედი მაქვა,  
გელინო, გელინო!  
ბეჭედ თვალი არ აქვა,  
გელინო, გელინო!  
ბოშინე ნუ მიყურავ,  
გელინო, გელინო!  
შენზე თვალი არ მაქვა,  
გელინო, გელინო!

თავად რძალმაც კარგი „ფეხი“ უნდა გამოიჩინოს, ხვავი და ბარა-ქა შეიტანოს ოჯახში. სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ნერიე იეთიშისაგან (თავდგი-რიძე) ჩანერილი ლექს-სიმღერით პატარძალს ასე წაახალისებენ:

გელინო, გელინო,  
ხეირი მეიტანე, გელინო!  
გელინო, გელინო!..

დასამოძღვრავი ლექს-სიმღერების თანახმად, ახალ ოჯახში პატარძალი სუფთა გულით უნდა შევიდეს, გულში ცუდი არაფერი ჩაიდოს. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში (ბორჩხა) 2013 წელს ადნან ვურალისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, პატარძალს ამაზე მიანიშნებენ:

გელინო, გელინო,  
სოილე რუმინანანა;  
გელინო, გელინო,  
გულში რამ გეგივარა?

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 161)

კარგ რძალს, კლარჯული ხალხური პოეზიის თანახმად, ბევრი ლაპარაკი არ შეშვენის. 2007 წელს სოფელ არხვაში 72 წლის ფაქიზე თოსუნისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა ასე მოძღვრავს პატარძალს:

გელინო, გელინო,  
დედამთილ კაე შეხედე, გელინო!  
კაე ძლობა ქენი, გელინო!  
ლაში გქონდეს, გელინო,  
ენა არ გქონდეს, გელინო!

უმთავრესი სწავლება კი, რაც დასამოძღვრავი ლექს-სიმღერებით არის გამოხატული, ოჯახის წევრთა მიმართ გამოსაჩენი სათნოებებია:

გელინო, გელინო,  
შენ დედამთილს კაე ასვი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
რა ლამაზი გოგონა ხარ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
დედამთილი დედასავით, გელინო...

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 160)

სოფელ ებრიკაში (იბრიქლი), მარმარწმინდას უბანში, 2007 წელს ჩვენ მიერ ნეზაქათ დემირალისაგან ჩანერილი დედოფლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერა ერთდროულად ოჯახის ახალი წევრის ქება-დიდებაც არის და მოვალეობის შეხსენებაც, რათა კარგი რძლობა გამოიჩინოს, დედამთილი დედასავით მიიღოს, მამამთილი – მამასავით, ხოლო ქმრის დაძმები – საკუთარ დედმამიშვილებად:

გელინო, გელინო,  
ლელა-ლელა გამეჟარ,  
გელინო, გელინო!  
კარის ღობი დაბალი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
შენი ტანი მაღალი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
დედამთილი დედასავით, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მამამთილი მამასავით, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მაზლი არი ძმასავით, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მული არი დასავით, გელინო,  
გელინო, გელინო!  
კაჟ ძლობა ქენი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
ლაში გქონდეს, ენა – არა, გელინო,  
გელინო, გელინო!

ამ ვრცელ ლექს-სიმღერას მთქმელმა ასევე ვრცელი კომენტარი მოაყოლა: „– სახლებში დუგუნი იქნებოდა. ახლა გოგოს სახში ყინა დეედება, დილამდინ ისამება, ელენჯი იქნება. დადეები მოიდოდენ ბიჭის თერეფიდან. ბიჭის თერეფიდან ერთთანე დადე მოვა, ერთი სადლუჯი მოვა; ისე კიდევ ბევრი მოვლენ და დადგებიან გოგოს თერეფში, ჰო, დოდოფალის სახში. მერე წავლენ, ჰაჟდე!.. დილაზე კიდენ მოიდოდენ. წინანდელი სოფლის დუგუნებ გიძახი მე შენ ახლა. მიორე დლეს, დილას, მოიდოდენ, სალამომდინ გოგოს სახში დუგუნი იქნებოდა... ვარა, გელათ, სავა, ყიამეთი!.. წევიდოდა. იმის მემრე,

იქინდის მემრე, ადგებოდენ, ბიჭის სახში ნევიდოდენ. ი ლამე ბიჭის სახში გათენდებოდა, დილამდი დუგუნი... საჭმელი გაკეთდებოდა... დილამდი დუგუნი... მეორე დღესა, შვადლი ხან, დოდოფალი და სიძე კლავი კლავზე გამოდებული, გარეთ გამოვყვანდით. გარეთ, კარზე გამოვყვანდით დოდოფალ. ქალი, კაცი – შიან; იმა მაშინ წინედან ორითანე ქალი, უკნიდან ორითანე ქალი, სიძეს უკან გამოდებული, ისე მუუთქმევდით; ორი წინედან, ორი უკნიდან და მუუთქმევდით: „– გელინო, გელინო, ლელა – ლელა გამეარე...“, – მაშინ ვეტყოდით. „აე-ლესას“ კაცები დეიძახვენ, „გელინოს“ ქალები დეიძახვენ. „აელესას“ დროს მეიკითხვენ ასე: „– ამბარის კილტე მომიტანეთ! ქათამი მომიტანეთ! თხილი მომიტანეთ! ზროხა მომიტანეთ! ბაქლავა მომიტანეთ! ათი თანე სინი ტათლი მეიძახვენ, ხუთი თანე წაიღებენ. ახლა კაზინოს დუგუნებში არ ითხოვენ, უწინ სოფლის დუგუნებში ითხოვენ“.

პატარძლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერა „გელინო“ ასევე ძალზე პოპულარულია შავშეთში (შიოშვილი, 2016: 101-104, 253); მის მრავალრიცხოვან აჭარულ ვარიანტთაგან ერთ-ერთი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალში 1978 წელს ეთერ ზოიძის მიერ მერი ქავთარაძისაგან ჩანერილი, ვარიანტი კი ამგვარია:

გელინო, გელინო,  
 კარი თავი მაღალია, გელინო!  
 გელინოო, გელინოო, გელინო...  
 ნელ-ნელა შემობძანდი, გელინო!  
 დედამთილი დედასავეთ, გელინო!  
 გელინოო, გელინოო, გელინო...  
 მამამთილი მამასავეთ, გელინო!  
 მაზლებია ძმასავეთ, გელინო!  
 გელინოო, გელინოო, გელინო!..

(ბსუნბიფა, საქმე №226: 29)

მთქმელის განმარტებით, „ეს ძველებური გაკიდული სიმღერაა“. ისტორიული კლარჯეთისა თუ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში გადასახლებულ კლარჯთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში დედოფლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერის – „... გელინო...“ – 26 ვარიანტი ჩავინერეთ. მათი ფუნქცია მარადიდელი სახალხო მთქმელის ნიმეთ ოზთურქის (სალიროლლი) თქმით ასე გა-

მოიხატება: „რძალი მეიყვანებენ და მუუთვალეებენ; მუუთვალეებენ, სახში შეეფერესო“. მართლაც, ახალ ოჯახთან შეთვისება-შეთავსებას ურჩევს ჩვენი ბრძენი ხალხი პატარძალს. ეს ტრადიციული ლექს-სიმღერა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძალზე პოპულარულია შავშეთსა და აჭარაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მშვენიერი დიდაქტიკური ზეპირპოეტური ნიმუშის ყველა ვარიანტი ერთი ფოლკლორული სივრცის ნაყოფია.

კლარჯული საქორწილო ცერემონიალი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები, რომლებიც ბოლო დრომდე შემოინახეს როგორც ისტორიული კლარჯეთის სოფლებში მცხოვრებლებმა, ისე თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში გადასახლებულთა შთამომავლებმა, თავისი სტრუქტურითა და შინაარსით წმინდა ქართულია; უმნიშვნელოვანესია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხის მკვიდრებმა შემოგვინახეს საქორწილო რიტუალის ერთ-ერთ არქაულ ეტაპთან – მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოთხოვებასთან დაკავშირებული ეგრეთწოდებული „გამოსასალმებელი“, ანუ გამოსათხოვარი ლექს-გოდებანი, რომლებიც საქართველოში, სამწუხაროდ, აღარ ფიქსირდება.



სოფ. დევსქელი, 2007 წ.  
 პროფესორები – თინა შიოშვილი და მერი ცინცაძე მთქმელებთან



## საყოფაცხოვრებო პოეზია

საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო უბანია, რომელშიც ასახვა ჰპოვა ოჯახურმა ურთიერთობებმა, ოჯახის ცალკეულ წევრთა დამოკიდებულებამ ერთმანეთისადმი თუ ტრადიციული ეროვნული წეს-ჩვეულებებისადმი, ადამიანთა ეთიკურ-ესთეტიკურმა ნორმებმა, მხარეთა, სოფელთა თუ სოფლის ცალკეულ უბანთა დახასიათებამ და სოციუმში არსებულმა სხვადასხვა პრობლემებმა.

კლარჯულმა ზეპირსიტყვიერებამ, ეროვნული ფოკლორის სხვა არქაულ უბნებთან ერთად, შემოგვინახა საყოფაცხოვრებო პოეზიის ვრცელი ნაკადი. ამ ლექს-სიმღერების ერთი ნაწილი ტრადიციული ქართული საყოფაცხოვრებო ლირიკის ვარიანტებია, ნაწილი კი უშუალოდ ადგილზე, კონკრეტულ ლოკალში, შექმნილა და საინტერესოდ წარმოაჩენს როგორც ისტორიული კლარჯეთის მიწაზე მოხინაძრე ჩვენებურების, ისე რუსულ მმართველობას თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში გადასასვლელ კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლების ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, ჯანსაღ იუმორს და ზოგადად მათ ყოფიერებას.

როგორც ყველგან საქართველოში, ისე ისტორიულ კლარჯეთშიც და, ბუნებრივია, კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლებშიც, ოჯახი და ოჯახური ურთიერთობანი ერთ-ერთი უმთავრესია ადამიანთა ცხოვრებაში. ამდენად, მათი საოჯახო ლირიკა თემატურად ერთობ მრავალფეროვანია.

კლარჯულ საოჯახო-საყოფიერო პოეზიაში, ზოგადქართულისა და მსოფლიოს სხვა მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერების მსგავსად, აქტუალურია რძალ-დედამთილის ციკლი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ ლექსებში რძალი „გამარჯვებულია“ („რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხალა კერასა“) და საყოფიერო პოეზიის ნიმუშებიც რძლის პოზიციიდან დანახულ-შეფასებული დედამთილის პორტრეტის დახატვის მცდელობაა. ამის დასტურია

საქართველოს ყველა კუთხეში, და განსაკუთრებით აჭარაში, გავრცელებული რძალ-დედამთილის ციკლის საყოფაცხოვრებო შაირები, რომელთა ვარიანტებიც დაფიქსირდა როგორც ისტორიულ კლარჯეთში, ისე კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში. ჩვენ მიერ 2013 წლის 17 ივლისს საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ლუთფიეში (ქოშქოი) 58 წლის მერიემ ილდიზისაგან ჩანერილი ორსტრიქონიანი ლექსით ამგვარად არის გამოხატული დედამთილისადმი რძლის დამოკიდებულება:

დედამთილი ეკალი,  
ღმერთო, მალე მოკალი!

ამ ლექსის ვარიანტთა სიმრავლით გამოირჩევა ისტორიული კლარჯეთის სოფლები. სოფელ ბუჯურში მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს აიშე შეიხოლისაგან (თაიში) ჩანერილი ვარიანტია:

სახლის უკან ეკალი,  
დედამთილი მოკალი!

2007 წელს სოფელ არხვაში ჩვენ მიერ ფაქიზე თოსუნისაგან ჩანერილი ვარიანტია:

დედამთილი ეკალი,  
მიკარ ქუსლი, მოკალი!

2014 წელს სოფელ ტრაპენში ჩვენ მიერ შააზიე ბოლქვაძისაგან ჩანერილი ვარიანტი კი სიტყვასიტყვით იმეორებს ზემოთ განხილულ, კლარჯ მუჰაჯირთა შორის დაფიქსირებულ, ვარიანტს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსულმანური აღმსარებლობის ჩვენებურებისათვის უფროსისადმი პატივისცემა ერთ-ერთი უმთავრესი ზნეობრივი კატეგორიაა და, ამდენად, ამგვარ ლექს-სიმღერებს ისინი მხოლოდ იუმორით, მხიარული განწყობილების შესაქმნელად იყენებენ; ისიც ნიშანდობლივია, რომ მთქმელები უმეტესწილად დედამთილები არიან, რძლები კი ერიდებიან, თაკილობენ მათ შესრულებას. ზუსტად ასეთი ვითარება ფიქსირდება შავშეთშიც.

მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს სოფ. ერენქოში (ერეგუნა) 76 წლის ჰავა საზღვისაგან ჩანერილ იუმორისტულ ლექსში ნენეს „დაკვლაზე“ საუბარი:

სახლის უკან კაკალი,  
ხეზე გევდა ეკალი;  
ნაზღავ, შენი ნენე  
ქორი დანით დაკალი!

რძლის არმდომი დედამთილი ავსულად („ჯაზად“) მოიხსენიება ქ. ჩოხარაძის მიერ იმავე მთქმელისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

სახლის უკან ვაზია,  
დედამთილი ჯაზიაო;  
იმას რძალი არ უნდა,  
შვილი მოკდეს, რაზიაო.

ამგვარი დედამთილებისათვის კლარჯულ ხალხურ პოეზიას მკაცრი „განაჩენი“ აქვს გამოტანილი:

– დედამთილი რა ვქნათ?  
– ცხელი ქვაბში ჩავდვათ!  
„ვინვი, ვინვი“, დეიყვირავს,  
ქვეშიდან შიშა შუუგზნათ.

(მთქმელი ნეზაჰათ დემირალი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2007 წელს სოფელ იბრიქლიში,  
მარმარწმინდას უბანში)

იმავე მთქმელისაგან ჩანერილ სხვა ლექს-სიმღერაში კიბეზე დაგორებული დედამთილის დანახვაზე რძალი სიხარულს გამოსთქვამს:

დედამთილი მერდევანზე გასულა,  
თანგურ-თუნგურ წასულა;  
რზალსა უთქვია ქი:  
– ვოჲ, რა კაჲ ქნილაო!

ქლასკურელი სახალხო მთქმელის – 83 წლის ალთუნ თაბანისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

– დედამთილ მე რა უყო?  
დულარე წყალში ჩავაგდო?  
„– ვოი, გელინო, მე დამწვი!“ –  
ქვეშიდან ცეცხლი გავანთო!..

იმავე მთქმელის სხვა ვარიანტით კი დედამთილს კიბიდან და-  
გორება ელის:

მე დედამთილ რა უყო,  
მერდევანზე გადავაგდო?  
ბრაგაბრუგით ჩავლაში  
უკნიდან ქუსლი ვაძგერო...

ამ იუმორისტულ ლექს-სიმღერათა ჩანერისას ქალბატონი ალ-  
თუნი, რომელსაც მთელი სოფელი სიყვარულით „ალთუნ ნენეს“  
(ოქრო დედას) ეძახის, თავადაც კარგად ხალისობდა.

რძალ-დედამთილის ციკლის ლექს-სიმღერათა ვარიანტები მრავ-  
ლად მოიპოვება როგორც აჭარის, ისე საქართველოს სხვა კუთხე-  
თა ფოლკლორში.

საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ლუთფიეში  
მერიემ ილდიზისაგან ჩანერილ საყოფიერო შაირში კიდევ უფრო  
მაღალ რეგისტრშია აყვანილი დედამთილის „ქება-დიდება“, თუმცა,  
კვლავ უნდა დავსძინოთ, რომ, როგორც წესი, ამგვარი ლექს-სიმ-  
ღერები იუმორისტული ხასიათისაა:

დედამთილი კერასა  
ატარტალეებს ენასა.  
კარგ საქმელებ გააკეთებს,  
წაგვაყრევიებს ყველასა.

რძლისა და დედამთილის ურთიერთობის გარდა, საოჯახო-სა-  
ყოფაცხოვრებო ლირიკის ოდინდელი თემაა, აგრეთვე, რძალ-მუ-  
ლის ურთიერთდამოკიდებულებაც. 2013 წლის 17 ივლისს საქარიას  
პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში (იქბალიე) 76 წლის  
სააფინაზ ჰალაილესაგან (ურმელოლლი) ჩვენ მიერ ჩანერილი  
ლექს-სიმღერის თანახმად, გაუთხოვარი, ოჯახში ჩარჩენილი მული  
ასე ხასიათდება:

ოჯალი ძირში ზისა,  
იქით-აქეთ მულია;  
ვინმეს არ უყურავს,  
ჩემი სახლი ბელია.

როგორც მთქმელმა განმარტა, ამას „გელინი ამბობს“.

თაობათა შორის ურთიერთობა საყოფაცხოვრებო ლირიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა. ამის დასტურია 2013 წლის 18 ივლისს საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუ-ოსმანიეში (ბიჩქედერე მაჰალეში) ნიაზ ზოსიძის მიერ ფაზლი ქოლ-ტისაგან ჩანერილი შაირი, რომლის ვარიანტები მრავლად არის დაფიქსირებული აჭარულსა და შავშურ პოეზიაში:

სახლის უკან კიტრები,  
მოყრილან დედაბრები;  
დედაბრებო, სახში წაფთ,  
გამოგზავნეთ გოგვები!

(ფალავა, 2015: 213)

დევესქელური და თხილაზორული ვარიანტების თანახმად, ლექს-სიმღერათა შემსრულებლებად ქალები გვევლინებიან და, შესაბამისად, დედაბრებისაგან ვაჟების გამოგზავნას თხოულობენ:

სახლი თავზე ბიბრები,  
მოყრილან დედაბრები;  
დედაბრებო, თქვენ წაით,  
გამოგზავნეთ ბიჭები!

(მთქმელი იხსან ილმაზთურქი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2007 წელს სოფელ დევსქელში)

კიდევ უფრო მეტი იუმორით ხატავს ბანზე თავმოყრილ დედაბრებს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს სოფ. დევსქელში 80 წლის ქალბატონის – ჰაჯერ ილმაზთურქისაგან (შამლოლი) ჩანერილი ლექს-სიმღერა:

სახლის თავზე ბიბრები,  
მოყრილან დედაბრები;  
დუუფჩენიან კბილები,  
დაკტენიან ბერები.

სოფელ მარადიდში (მურთლი) მცხოვრები სახალხო მთქმელის – 45 წლის ფატმა თურანლისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომლის პირველი ორი სტრიქონი ქართულ საანდაზო მეტყველებაში ფართოდ არის გავრცელებული („დედაბერი ბერდებოდა, ცხენს უკულმა აჯდებოდა“), დედაბერს ამგვარადაც ეხუმრებიან:

დედაბერი ბერდებოდა,  
ცხენს უკულმა აჯდებოდა;  
დააქანებდა მანთარას,  
დეიპუნკებდა ფანჩარას.

უფროსებისადმი პატივისცემა, მათდამი მოწინება ქართველისათვის ძველთაგან ხელშეუვალია, თუმცა ამ ციკლის ლექს-სიმღერებშიც გამოერია იუმორი, რაც ოდნავადაც ვერ ბლალავს უფროს-უმცროსობის საუკუნეობრივ ტრადიციას.

კლარჯთა საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერების იუმორის ადრესატები შინაბერებზე გამხდარან. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გევლში (გიულდიბი) ჩვენ მიერ 2013 წლის 19 ივლისს ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, გაუთხოვარი აიშენური კრუხად მოიხსენიება:

ქამელეთ ვილაეთი  
ერთი ორი ქოხია;  
ელან ვერ გამაარჩია,  
აიშენური კრუხია.

ამ ლექსის თაობაზე მთქმელმა განმარტა: „– ააშლი გოგო ყოფილა, აიშენური რქმევია. ვერ გათხოვილა და იმისთვის გამუთქმიან“.

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთი-ემი (დოშემე) მურვეთ ბაირახტაროლლისაგან ჩვენ მიერ 2013 წელს ჩანერილი დიალოგური ლექს-სიმღერაც შინაბერას მიმართ არის გამოთქმული, თუმცა, გაუთხოვრად დარჩენილი თავადაც ენამწარე პასუხს იძლევა:

– ყველანი რომ გაათხოვეს,  
შენ რომ დარჩი, ლაშხიაო?

– შენ მუშაობ, მე ვჭამავ,  
ასლამი მიში ქოშეა.

კლარჯეთში გავრცელებული რწმენის თანახმად, გასათხოვარ გოგონებს ვირზე შესვამდნენ, რათა მალე გათხოვილიყვნენ: „– გოგვები ვირზე შეჯდებოდნენ, მალე გევეთხვოთო“, – გაგვანდო ქლასკურელმა მურსელ ილდირიმმა და გაიხსენა რეალური ამბავიც, რომლის თანახმადაც მემედ იდრისოლლის გასათხოვარი ქალი ვირზე შეუსვამს, ბედი გაეხსნებაო; ამაზე გამოუთქვამთ ლექსიც:

ასიე, შენ ვერ'და გეეთხვოო, –  
ვირზე შეაჟდუმლა უკუღმა;  
ბედი გეგეხსნება ზოხსაო,  
ვერ'ნა გეეთხვონდაო?..

(ჩაინერა მამია ფალავამ 2013 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქლასკურში)

ვერც ბერიკაცზე გათხოვილი გადარჩენია სახალხო მელექსის მახვილ ენას. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში (ბორჩხა) 2013 წლის 8 ივლისს ჩვენ მიერ აღნან ვურაღისაგან ჩანერილი იუმორისტული ლექსი ეძღვნება ახალგაზრდა ქალს, რომელიც ბერიკაცს გაჰყოლია ცოლად:

დაპრანჭილი ყისერზეო  
იყავი, უსვი ხელიო;  
რომელ ახალთან გაჩვევლი  
ახლა ბერთან რა იჯები?!

სოფელ დევსქელში მცხოვრებ მემედ თავდგირიძისაგან 2007 წელს პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ჩანერილი ლექსის თანახმად, დაქვრივებულ ქალს მის მიერ დანუნებული ვაჟი ნიშნისმოგებით ეუბნება:

შენ ქი მე არ წამომყევ,  
რა მინახე ყუსური?  
ჩემთან ქი ყოფილიყავ,  
დედამთილი ქყოლოდა –  
ჩემი ნენეა მენსური.

მოგიკდა ბეთი კაცი და  
ახლა დარჩი ყისირი!  
მარტო ათალში წევხარ,  
შეგცივდება ღამეში,  
დეგემართვის მაასირი!

კლარჯული საყოფიერო ლირიკა კიცხავს ღალატს, სხვაზე თვა-  
ლის დაჭერას:

ზღვაში თევზი მიდიოდა,  
თავს აქანავს, კუდს არავო;  
ახლანდელი ქალიშვილი  
სხვას მუუნვება, გვარს – არავო.

ჩვენებურების საყოფიერო ლექს-სიმღერათა იუმორის საგანი  
ორცოლიანობაც გამხდარა. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაი-  
ონის სოფელ გევლში (გიულდიბი) ნიაზ ზოსიძის მიერ 2013 წელს  
წეჯათ სარდალისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში დასცინიან კაცს,  
რომელსაც ოსი ცოლი ჰყავს:

მამუდიეს კაპანი,  
გადმოვარდა აკვანი;  
ჩემ ტააას ორი ქალი –  
ჰემ თათარი, ჰემ ქანი.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების საყოფაცხოვრებო პოეზი-  
ის იუმორის საგანი გამხდარა, აგრეთვე, რელიგიური რიტუალები-  
სადმი დამოკიდებულებაც. ლექსში „...ღმერთმა თათრებ რა მუუ-  
ჩინა...“, რომელიც ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის  
სოფელ ნუზჰეთიეს მკვიდრის – 85 წლის ილიას ქუმისაგან (ჩიტა-  
ძე) ჩაინერა და 2013 წლის 10 ივლისს გადმოგვცა სელჩუკ აქინმა,  
რამაზანის მარხვა ხალხური ხალასი იუმორით არის დახატული:

ღმერთმა თათრებ რა მუუჩინა  
უდრო-უდრო რამაზანი! –  
ხან წინ მოვა, ხან – უკანა,  
არ იციან, როდის არი.  
შიმშილისგან ფაშვი ტკივა,  
გვერდზე მიდის ქალამანი.



ქალამანი ქალანჩხუტეს,  
თირირირი, ჰორინანა!..

(მოიშვილი, მახარაშვილი, 2014: 162)

ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ მთქმელის პოზიცია ამ-  
კარად გამოკვეთილია. მან იცის, რომ ის წარმოშობით გურჯია;  
მართალია, იმავე სარწმუნოებას ემსახურება, რასაც – თურქი, მა-  
გრამ საკუთარ თავს „თათარს“ არ უწოდებს (ალბათ, ყველა გურჯს  
ამგვარად მოიაზრებს) და მიჯნავს თათრებისაგან, რაზედაც მე-  
ტყველებს მესამე პირის პოზიციიდან თქმის პრინციპი („ღმერთმა  
თათრებ რა მუუჩინა...“).

ჩვენებურთა იუმორისტულ დამოკიდებულებას რელიგიური  
დოგმებისადმი და რიტუალთა შესრულებისადმი კარგად წარმოა-  
ჩენს კიდევ ერთი ლექსი იმავე მთქმელის რეპერტუარიდან (ჩამწე-  
რი იგივე):

ზურგიდან გამომჭენჭა,  
გულში შემევიდა სევდა;  
ამდენი ღმერთ ვეხვეწე,  
ჩემი ხვეწნა ჰა ნევდა?  
ცუდე ხვეწნით რა იქნება,  
ხერხალ ლოცვა არ გევდა!..

კლარჯული საყოფაცხოვრებო ლირიკის ერთ-ერთი მტკივნე-  
ული საკითხია ძველი და ახალი დროის ურთიერთსაწინააღმდეგო  
ზნეობრივი იდეალები, ძველი წეს-ჩვეულებების მიგდება-მივიწყე-  
ბა, უფროსებისადმი უპატივისმცემლობა, უსირცხვილობის წამო-  
ტივტივება. სოფელ ბაშქოში (თავისოფელი) მკვლევარ ვარდო ჩო-  
ხარაძის მიერ 2007 წელს 77 წლის ნეირე იეთიშისაგან ჩანერილ  
ლექსში გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ დრო გამოიცვალა  
და უწინ სირცხვილად მიჩნეული ქმედება ახლა მოდაშია:

ზამანი გამეცვალა,  
წისქვილი გუდაშია;  
უწინდელი სირცხვილი  
ახლანდელ მოდაშია,  
ლამაზი დედოფალი  
განყობილ ოდაშია;

დედამთილი, მამამთილი  
ადეთი სოფელშია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 150)

ორგულობასა და გაუტანლობას ყოველთვის გამობდა და გამობს ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორი. 2014 წლის 11 ივლისს ჩვენ მიერ ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ ორჰანიეში (ხატილა), დურსუნ აიდოლლუსაგან (სეიდოლლი) ჩანერილი ორსტრიქონიანი ლექსი ორგულთა წყევლაა:

რომ ყოფილხარ ორგულ,  
გვერძე ამოგძრეს სული!

როგორც ისტორიული კლარჯეთის სოფლებში, ისე თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში მიგრირებულ კლარჯთა შთამომავლებში ფართოდ არის გავრცელებული მინორული განწყობილების ლექს-სიმღერა „...ერთ ბალში ვიყავი...“, რომელშიც გადმოცემულია სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი გოგონას განცდები და მისი ანდერძი დედისადმი. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში (ბორჩხა) დაფიქსირებული ერთ-ერთი სრული ვარიანტის თანახმად, გოგონა სთხოვს დედას, მისი დანაბარები შეასრულოს და ბოროტ რძალს უფრთხილდეს:

ერთ ბალში ვიყავი  
ვარდის კუკული,  
ჭალა წოლაში  
დიმილუა გული.  
მოვდა ეზრაილი,  
ამართვა სული.  
გებვენები, ნენე,  
ერთი ჩემკენ თქვიო!  
ნენე, მოკვდარვარ,  
ვერ დიგინახე;  
ჩემი ნათქვამები  
გულში ვინახე.  
ი ანტერის რძალი  
ბითუმ დეინახე;

გეხვეწები, ნენე,  
ერთი ჩემკენ თქვიო!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 157)

იმავე სოფელში ნეჯათ დეგერისაგან (ქაშალოლი) ნიაზ ზოსიძის მიერ ჩანერილ ვარიანტს ახლავს მთქმელის შენიშვნა: „– ერთ გოგოს გონჯი ავადყოფობა ქონდა, იცოდა, რომ მოკტებოდა, იტირებდა და თან თავს დუშმლერებდა (ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2014: 171).

პროფესორ მამია ფალავას მიერ 2015 წელს ქ. ბათუმში კლარჯეთიდან, სოფელ ხებადან, ჩამოსული სტუმრის – იბრაიმ ელქენჯისაგან ჩანერილი ვარიანტის თანახმად, ერთ დროს „ვარდის კუკულივით“ მშვენიერი გოგონა უბარებს დედას, არ იტიროს მისი სიკვდილის გამო და გულისტკივილით ამბობს, „გეიხარონ დუშმანებმა“-ო. „დუშმანებს“ ახსენებს, აგრეთვე, 2007 წელს სოფელ დევსქელში 80 წლის ჰაჯერ ილმაზთურქისაგან მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი ვარიანტიც. როგორც ჩანს, გოგონას ავადმყოფობის მიზეზი მისი არაკეთილმოსურნეები ყოფილან, რაც მომაკვდავს გააზრებული ჰქონია.

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემას ეხება სოფელ ოზმალში 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა „...იზრალი მიძახის...“. მთქმელმა – 75 წლის ჰაჯერ შეიხოლლუმ და 67 წლის ფიქრე გუენმა – თავად მოინდომეს, რომ დიქტოფონზე ჩამენერა მათი ნამღერი:

იზრალი მიძახის,  
ჰალი არ მაქვს რაცხა!  
დავ-ზურნით ნემიყვანეთ,  
მე რო მოვკტები როცხა.  
კაე ერსაც არ მოვზებნი,  
ისტარსაც იყოს ფაცხა;  
მზე ამოიდა, შემცივდა,  
მთვარეში უმფრო დამწვა...

სიცოცხლის წარმავლობა და სიკვდილის გარდაუვალობა კარგად აქვთ გაცნობიერებული ჩვენებურებს. სელჩუქ აქინის მიერ

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზუტეთიეში (დოშემე) 85 წლის ილიას ქუშისაგან (ჩიტაძე) 2013 წელს ჩანერილ ლექს-სიმღერაში „...ჩევეცი გძელი ბინიში...“ ერთის მხრივ აღიარებულია სიკვდილის უცილობლობა, მეორეს მხრივ კი, როგორც ზოგადად სჩვევია ქართული ხალხური პოეზიის ჯანსაღ, ოპიმისტურ განწყობილებას, მოცემულია თხოვნა, რომ „დავულ-ზურნით“ გაასვენონ, რაც თავისთავად სიკვდილზე ადამიანის გამარჯვების სიმბოლოდ აღიქმება:

ჩევეცი გძელი ბინიში,  
დევენყე ვენახი ფარცხვა;  
ხოჯების ისთიჰვარსა  
ვერ მოვესწრებით ერწხვა.  
დავულ-ზურნით წემიყვანეთ,  
მე რომ მოვკვდები როცხხა...

სიკვდილის განცდა, მისადმი დამოკიდებულება კლარჯ ჩვენებურებასაც იმგვარი აქვთ, როგორიცაა საქართველოს სხვა კუთხეებში: „– დედაბერი თუ მოკდა, ბევრ არ ვიტირავთ. გენჯები თუ მოკდენ, დიდი უზუნთი მაქვანან მაშინ... დიდი სიმწარე მაქვანან. ღმერთ ვებვენები ქი: „– ღმერთო მუბარექო, ჯერნეთი მიეცი! ასე ნაქნარ ქონდა და ვერ ეითვე, შვილები ვერ დააქორწილე, ახლობაში მალე მოკდი, რამე ვერ ეითვე, ბაღნები ვერ ეითვე, გულინაკლული მიხვალ, შვილები დაგჩა, რა ბრალი იყავ მიწისთვინ!“ (მთქმელი ვილდან ერყილიჩი, 67 წლის, მცხოვრები სოფელ ქართლაში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქართლაში).

იმქვეყნიურ სიაგვარგეზე ფიქრი მუდმივი თანამდევია ადამიანისათვის, რაც მიცვალებულის სიახლოვეს კიდევ უფრო მძაფრდება. ამის დასტურია მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წლის 4 აგვისტოს სოფელ ავანაში 62 წლის ემრიე ეფენდოლისაგან ჩანერილი სტრიქონები: „– სიკვდილისხან ღმერთს დუას ვიზამთ, ყურანს უკითხავთ. მოკდება, ბევრ ვიტირავთ: „– ნახველ აქედან, ჰანა გნახოთ, ჰანა დიგინახოთ? კაე იქნება ის სოფელი?!“

მომაკვდავი ადამიანის განცდებია გადმოცემული ლექსში „... მოდით და შეხედეთ...“ (მთქმელი მემედ სერთოლლუ. ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2014 წელს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის

სოფელ ნუზჰეთიეში). ლექსში დაფიქსირებულია ხალხში არსებული რწმენა იმის შესახებ, რომ, როცა მომაკვდავი წვალობს და სული ვერ ამოდის, კარები უნდა გააღონ, რათა სულის ამომთრევი ანგელოზი შემოვიდეს და უმტკივნეულოდ ჩაიბაროს მომაკვდავი ადამიანის სული:

მოდით და შეხედევით,  
ეს მედოე რა ჰალშიაო!  
კარი გუუღეთ, შამოვდეს,  
ჰეზრაილი კარშიაო!  
იმ დუნაას ჩემი იგრი,  
ნენე-ბაბოს შუაშიაო.

გაუხარელი წუთისოფლის გამო ადამიანთა მარადიული სანუხარი ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი ტკივილიანი თემაა. ამ პრობლემას ეხება სელჩუქ აქინის მიერ 2013 წელს ქოჯაველის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) 60 წლის სინან დემირისაგან ჩანერილი ლექსი, რომლითაც განვალებული სიცოცხლით თავმოებზრებული ადამიანი ეზრაველს ეხვეწება, მომკალიო:

არ ვიცი, სიცოცხლეში  
რატომ არ გამახარა!  
მომკალ და, მომარჩინე,  
ეზრაველო, ჰა ხარა!

სიკვდილთან შეგუების გამომხატველია ლექს-სიმღერა „...ევრე ნეფტის აბდესი“ (მთქმელი ჰუსეინ ქესიმი (ქიბაროლი), მცხოვრები საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გევლში (გიულდიბი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს), რომელიც, მთქმელის განმარტებით, ნადებში იმღერებოდა: „– ნადებში გოგუები სიმინდ არჩევდენ ემწინ. აქედან მუშუმღერებდენ გოგუები, იქედან – კაცები“:

ევლე ნეფტის აბდესი,  
თენეშურზე დამდევიო;  
ნენე, სული ამომძრა,  
ღმა მეზერში ჩამდევიო!

შემოდგომაზე სახლში წყლის შევარდნის შედეგად დამხრჩვალთა ტრაგედია ასახული ლექსში „...თველზე წყალი სახში შევდა...“ (მთქმელი მემედ სერთოლლო, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე). ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2013 წელს):

თველზე წყალი სახში შევდა,  
ფიცარ ვნახო, როგორია.  
წყალი შეფთან მუუგზავნია,  
მელაქებთან მივალთო.

ნუთისოფლის მიერ გატანჯული ადამიანის სევდიანი განწყობა გამოხატული სოფელ ოზმალში ჩვენ მიერ 2007 წელს ჩანერილ ლექსში „...დერდები ბევრი მოიდა...“:

დერდები ბევრი მოიდა,  
გახდა ერთი ხარანი;  
იავაშ-იავაშ ჩემ თავზე  
მოიდა ბუქი, ბურანი.  
ეზრაილმა ჩახედა,  
ემიმნარა აჰრანი.  
ეს ჩემი სემავათი  
რატომ დარჩა ვირანი?  
ჯერე უმუკტომელათ  
ჩიმიკითხეს ყურანი.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, მიცვალებულმა უკან არ უნდა „მოიხედოს“. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძალიან ხშირად გაიგონებთ მიცვალებულის გამოსვენებისას მისადმი მიმართულ სიტყვებს: „ნადი, უკან აღარ მოიხედო!...“. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება სელჩუქ აქინის მიერ 2013 წელს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – სინან დემირისაგან ჩანერილი ლექსი „...მტარე წყალი ამღვრევლა...“:

მტარე წყალი ამღვრევლა,  
არ'ნა დეინაზიროს'ნა;

წამსლელი გზაზე შედგა,  
არ'ნა მოტრიალდეს'ნა!..

სახალხო მთქმელთა იუმორის საგანი ზოგჯერ ოჯახური დრამაც გამხდარა. სოფელ ისკებში მცხოვრები 84 წლის ჰაზირ არიჯი-საგან (ძველი გვარია ფუტყარაძე) ჩანერილი ერთი იუმორისტული ლექს-სიმღერის შექმნის მიზეზი, მთქმელისავე განმარტებით, გამხდარა შემდეგი გარემოება: „– ერთი კაცი დაქორწინდა. ქალი ძველი იყო, ხანიერი, ორმოცი წელი არ გათხოვილა. ქალმა გეიქცა. გამოუგონეს დესტანი. აქაური იყო ეს კაცი“. ლექსი, რომელიც უიღბლო ქმარს გამოუთქვეს, დიალოგური ხასიათისაა და თავისი იუმორისტული ელფერით ერთგვარად ამსუბუქებს კიდევც მის მდგომარეობას:

ორმოცი წლის დეკეული  
გუუძახეს ბერწ ფურსავენ.  
– შეგენახა, მოგფერებიყო ხარსავენ.  
– ფერება არ გეიტანა,  
მოვეჩვენე ლორსავენ.

ქართული ხალხური საყოფიერო ლირიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა ქალიშვილის სასურველი გათხოვება. სოფელ ავანაში (ავჯილარი) ერთ დედას, გვარად ქემალოლლის, რომელიც 2006 წელს გარდაცვლილა, არ უნდოდა, ქალიშვილი გაეყოლებინა იმ ვაჟისათვის, რომელიც თხოულობდა; აუყვანია მთაზე, რათა იქ გადაემალა. ამ ამბავთან დაკავშირებით გამოუთქვამთ ლექსი:

ზიარეთისკენ ავლაჲ  
მიახელ ერთი ვარდიო;  
შვილო, რაილ გიგიმეტო,  
დაყრისთინ ერთი ორდიო!  
რაილ გაგზავნო, მურდო,  
უნდომებელ ღერებზე?!

(მთქმელი ნურიე ეფენდოლი (ფალავა). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წელს)

ხალასი ხალხური იუმორით არის გადმოცემული ვინმე რეჰათის ახირება მეორე ცოლის შერთვაზე სოფელ ისკებში 2007 წლის 5

ავგისტოს რამაზ ხალვაშის მიერ ასიე ალფაისაგან (ჩხაიძე) ჩანერილ საყოფიერო ლექსში „ჰაჯი რეშათის დესთან“.

ლექსის თანახმად, ალიას ბადიშს – შეძლებულ რეშათს შემოვლილი ჰქონდა ქვეყნიერება; ზამთრობით სალოცავად დადიოდა, ზაფხულს კი სოფლებში ატარებდა და ცხოვრობდა ბედნიერად, ვიდრე ცოლი მოუკვდებოდა. ცალად დარჩენილმა, გადანყვიტა, მეორე ქალი ეთხოვნა და მაჭანკალიც გააგზავნა; საქმე დაგვირგვინდა და რეშათს ებრიკელი ქალი მოუყვანეს, თუმცა ისიც მალე მოუკვდა. ლექსში ხალასი ხალხური იუმორით იხატება რეშათის მდგომარეობა. მას ღვთისმოსაობა დაუწყია, ლოცვებისაგან მუხლები ჰქონია გადატყავებული:

ძალიან თეყვა ჩანდა,  
იარებოდა ჯამეში,  
მუხლები გადაგლეჯვია  
დილა-სალამ ლოცვაში.  
ბექრობა ჩეთინი იყო,  
სული გუუვდა ყიაზე...

შემდეგ რეშათი გაქრისტიანებულა, ყურანი განზე გადაუდვია, ჯვარი ჩამოუკიდია და ზუგდიდში გამგზავრებულა ცოლის სათხოვნელად. ლექსში კომიკური სიტუაცია იქმნება: ხალხური ლექსის თანახმად რეშათს ხოფიდან ბათუმამდე ზღვისპირას ფეხით უვლია, თუმცა მას შვილი დადევნებია მანქანით:

ხოფიდამ ბათუმამდი  
ზღვა გეიარა ფეხებით;  
სელჩუკი ფეხზე დადგა,  
გუუჰაზირა მანქანა,  
შვილი დადევნებული  
ზრუგდიდისკენ გეექანა...

სახალხო მთქმელის კომიზმის მწვერვალია ჰაჯი რეშიდის მიერ საქართველოში ვითომდა ქვაბით ღვინის სმა. მეორე დღეს ზუგდიდიდან ქალი წამოუყვანია. ლექსი დაუსრულებელია; როგორც ჩანს, მთქმელს მეტი არ ახსოვდა. ეს ამბავი, რომელიც სახალხო მთქმელის ინტერესის საგანი გამხდარა, უნდა მომხდარიყო 1937



წლამდე, ვიდრე საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი მიმოსვლა იყო.

2007 წელს სოფელ ფეთექოში (გურბინი) პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ლაღე ჩელიქისაგან (ბეგოსანი) ჩანერილ ერთ საყოფაცხოვრებო ლექსში ხალასი იუმორით არის გადმოცემული ყოველგვარ საქმეში ხელმოცარული ადამიანის ხვედრი:

ოფოფდა ამანამან,  
დეჲწვა, დეჲლანძა გულმა!  
კუკული ვერ გამეღლო  
ბიბის ვენახში ბალმა.  
რა ეზიეთით გახმა  
ნინ ხეჭეჭურა სხალმა!  
ავჯობაზე ნაველი,  
ნადირი გახდა შველმა!  
ფერდები შემამტრია,  
ტრინკი მომკიდა წყილმა.  
აჰა ეხთიაროლლი  
დუნაა დურდუქზე ელმა...

ასეთივე კომიკური სიტუაციაა დახატული სოფელ ჯივანში მცხოვრები მთქმელის – აიშე გორმეზისაგან (ჰელიმოლლი) ჩვენ მიერ 2007 წელს ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

სერენ ვაკეთებდი,  
ბინა წემექცა;  
სახში ნაველი ქი,  
აჲრო გემექცა.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში, ძალზე პოპულარულია შაირის ფორმის იუმორისტული ლექს-სიმღერა „...შამშალახო, შალახო...“:

შამშალახო, შალახო,  
ამოსულო ბალახო,

კავრიკოტი მაცვია,  
არ წემესვა, ტალახო!

(მთქმელი მემედ თავდგირიძე. ჩაინერა რა-  
მაზ ხალვაშმა 2007 წელს სოფელ დევსქელში)

აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულში, 1973 წელს დაფიქსირებული ვარიანტი (მთქმელი ზულეიხა ჯაყელი, ჩამწერი ეთერ ზოიძე) თითქმის იდენტურია კლარჯულისა:

სამშალახო, შალახო,  
მოგლეჯილო ბალახო;  
თეთრი კაბა მაცვია,  
არ წამეცხო, ტალახო!

(ბსუნბიფა, საქმე №183: 134)

ქლასკურელი სახალხო მთქმელის – ალთუნ თაბანისაგან 2014 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერით შექებულნი არიან კარგი შვილები:

ბალი ბოლოს თხილები,  
ერთათ წევდეთ შვილები!  
ბაბომა გაგაშენეს  
გერმელ-გერმელ შვილები!

ეს ლექსი ქალბატონმა ალთუნმა საკუთარი შვილების ქებას მოაყოლა და აღნიშნა, რომ დედმამიშვილები ყოველ საქმეში ერთად უნდა იყვნენ და აუცილებლად გაიმარჯვებენო. ალთუნ თაბანისაგან ჩანერილი ერთ-ერთი ლექს-სიმღერით კი გამოთქმულია სიხარული იმის გამო, რომ „დუნაში“ ბევრი მისიანები – მისი შთამომავლები არიან:

ფეხზე ფაფუჯი მაქვა  
კოდენ წამოდებული;  
იმდონო სულალე მყავ  
დუნაში მოდებული!..

დედის სიყვარული და პატივისცემა ქართული ხალხური პოეზიის მუდმივად საპატიო თემაა. პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ

სოფელ დევსქელში მემედ თავდგირიძისაგან ჩანერილი ლექსი „... ჩემო ნენე...“ ტოლს არ უდებს დედაზე შექმნილ ხალხურ შედეგრებს. მასში მშვენივრად არის გადმოცემული დედობრივი ამაგი, მისი თავდადებული მზრუნველობა შვილის მიმართ და დანყევლილია ყველა, ვისაც „ნენე არ უყვარს“:

ჩემო ნენე, ლამაზო,  
შენ ქი ჩემთან არ ხარა,  
მე ვისნა გევენაზლო,  
ცხრა თვეს მუცელში ვიყავ,  
მემრე მასვი, მაჭამე,  
ჩემო ნენე, ლამაზო,  
ჩემო ნენე, ლამაზო,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
თოხით თხარე ყანები,  
სახლი გარცხი საჰნები,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
ფარები მოგებისთი  
ბევრი არგი თუთუნი,  
ჩემთი შალი მოქსოვე,  
ცხვრებში მიე ალთუნი,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
გამომიცხე პურები,  
ბევრი წველე ფურები.  
ვინცხას ნენე არ უყვარს,  
დუუქორდება თვალები,  
მიახმება ყურები!..

ობოლი ადამიანის ნუხილი ისმის საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) სელჩუქ აქინის მიერ 2013 წელს ჩანერილ ლექსში (მთქმელი ილიას ქუში):

არც ნენე მყავს, არც – ბაბაჲ,  
გარიბი ვარ, გარიბი!  
თავიდან ჭკვა გამოვდა,  
არ ვიცი, ჰა ვიარები.

გაჭირვებასა და ტირილში გავლილ ახალგაზრდობას მისტირის  
კლარჯული საყოფიერო ლექსის ლირიკული გმირი:

თევზი დევჭირე აპით,  
შევწვი ტაფაზე ძალით;  
გავავლიე ახლობა,  
უმუდოთად ტირილით.

(მთქმელი ასიე გონჯაროლი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2014 წელს სოფელ მარადიდში)

უყაირათობა და ქონებისადმი დაუდევრად მოპყრობაა დაგმო-  
ბილი ჩვენ მიერ 2007 წლის 31 ივლისს სოფელ ოზმალში 74 წლის  
აიშე შეიხოლლისაგან ჩაწერილ ლექსში:

ესტერდი ბაბოს ქონება  
მეიპნევა ბურღულსავენ;  
ფავიონი გავსილი,  
ასკერი ჩაღელსავენ.

სოფლის მახვილ თვალს არასოდეს გამოეპარება თუნდაც უნებ-  
ლიე მარცხი ადამიანისა, რაც ხშირად საღელქსო თემა ხდება ხოლმე.  
ასეა საქართველოს ყველა კუთხეში და, ბუნებრივია, არც კლარჯი  
მელექსეები დარჩენილან ვალში ამგვარი უმტკივნეულო სახალისო  
ამბების მიმართ. სოფელ ჯივანის მკვიდრს – ილიასას ქალიშვილი  
გაქცევია, ილიასა გამოკიდებია, ფეხი წამოუკრავს და კარდალი-  
დან რძე დაქცეულა. ამ ამბის შემსწრე თანასოფლელებს ილიასა  
გაულექსავთ:

ზოგი არდალა,  
ზოგი ბოდალა;  
ილიასამ წამეიკიდა  
რძიანი კარდალა.

(მთქმელი თახსიმ ჩელიქი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2007 წელს სოფელ ჯივანში)

უიღბლო მონადირის კომიკური თავგადასავალი გამხდარა თემა  
ლექსისა:

ებრიკელა, მოდი, მკარი,  
დავამხე ახორის კარი!  
თუ მოგთხოვე დო, მანონი,  
დამატეხე წალდის ტარი!

ეს ამბავი კი, მთქმელის – სოფელ ქართლში მცხოვრები მუ-რსელ ილდირიმის – განმარტებით (ჩაიწერა მამია ფალავამ 2014 წლის 4 აგვისტოს), ასე მომხდარა: „– კაცი სიმინდის შიგან შესულა; ხმა გეგონა, ეგონა ქი, ღორია, თუფექი ესხულა, შეხედა ქი, მისი ფურია. ქალიდან დაბეჩდა, რა უთხრას, ფური მოვკალიო? ქალი ებ-რიკელია. ლექსად უთხრა შეშინებულმა კაცმა“.

ქალაქში კვერცხის გასაყიდად მიმავალი ქალის „შემოსავალს“ წინასწარვე აქილიკებენ თანასოფლელები:

ქალი მივა ქალაქში,  
კვერცხი აქვა კალათში;  
დავჟდეთ, ვიანგარიშოთ,  
არ ჩაგაგდებთ ზარალში.

(ფალავა, ცინცაძე, 2009: 274)

ჯივანელი მთქმელის – ქემალ ჩავდარის (კულალიოლი) ნაამ-ბობით, „ხეზას ძალღებმა ტურას გამეცხრიკენ, ედა, ოჯალში ჩა-ვარდა და გაღმეფდან დეყვირა“. ამაზე გამოუთქვამთ ლექსი (ჩაი-წერა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს):

– ურადურ ურა,  
ფეხოს ოჯახში  
ჩავარდა ტურა.

კლარჯული საყოფიერო ღირიკის იუმორისტული ტიპის შაირის ფორმის ლექს-სიმღერათა ადრესატები ხშირად ხდებიან რაიმე ფი-ზიკური ნიშნით გამორჩეული ადამიანები, რაც, ბუნებრივია, ზომი-ერების ფარგლებს არ უნდა გასცილდეს. საქარიას პროვინციის ჰე-ნდექის რაიონის სოფელ გიულდებში (გეველი) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – რემზი ოზგანისაგან მკვლევარ ნიაზ ზოსიძის მიერ 2012 წელს ჩაწერილი შაირით დასცინიან დიდთავა ადამიანს:

ღელეში ჩავედევ ნავი,  
ხეზე გასულა ყავი;  
შენ კაცი არ გახდები  
მაგსოჲ ჯირეკაჲ თავით!

ასევე მოიხსენიება ვინმე მუსტაფა გოსტაჯოლი, რომელსაც მოგრძო თავი ჰქონია:

თითზე ბეჭედი მაქვა  
მომწვანო თვალიანი;  
გოსტაჯოლი მუსტაფაჲ  
წონოლა თავიანი.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 151)

მთქმელის – სოფელ იბრიქლიში, მარმარწმინდას უბანში, მცხოვრები ნეზაჰათ დემირელის – ცნობით, მის სოფელში ცხოვრობდა მუსტაფა გოსტაჯოლი, რომელსაც „წონოლა“ თავი ჰქონია და მასზე გამოუთქვამთ ლექსი.

დიდი უღვაშებიც დაცინვის საგნად გაუხდიათ კლარჯ მოლექსე-მოშაირებს. მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს სოფელ არხვაში (აქფუნარი) ჩანერილი შაირის ფორმის ლექს-სიმღერის თანახმად, აქილიკებენ „ბუფულიან“ კაცს:

შენი ბუფულები  
საჩეჩელზე ვჩეჩე!  
ბუფული კაც სწევს,  
მოჲ და ზეიდან გეიჩოჩე!

მოუნესრიგებელი, უსუფთაო ადამიანია გაკიცხული სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ჩანერილ შაირის ფორმის ლექს-სიმღერაში:

მე ერთი ქათამი მყავსდა  
უკნიდან მუმლიანი;  
შენი თავი მე ვიცი –  
თვალეები წიპლიანი.

სხვა შემთხვევაში იმავე ლექსიკის გამოყენებით შეყვარებულს უწუნებენ მოშაირეს:

ლობედან ჩიტი გაძრა  
უკუდო, ბუმბლიანი;  
შენი ხაროჲ მე ვიცნობ –  
თვალები ნიპლიანი.

(მთქმელი ნურან ილმაზთურქი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2007 წელს სოფელ ბუჯურში)

სიმღერის არცოდნაც ნაკლი და წამოსაძახებელია კლარჯ მოლ-  
ექსეთა შორის:

საბათმეზე ბულულო,  
შიანაჲ ნარცხიანი;  
შენ სიმღერა არ იცი,  
მუსტაფას ფარცხიანი!..

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 150-151)

ხმაშენყობილი სიმღერის მოყვარული კლარჯებისათვის არა-  
სასურველი ხმა მიუღებელია; ბალიქისერის პროვინციის გონენის  
რაიონის სოფელ ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიჰიე) კლარჯ მუ-  
ჰაჯირთა შთამომავლის – 80 წლის სულთან ოზისაგან 2014 წლის  
18 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი შაირით გაკიცხულნი არიან „ბეთი“  
(ცუდი) ხმის პატრონი ბიჭები:

ლახანა ზორ ცხელია,  
გეგიცივდონ, ბიჭებო!  
რა ბეთი ხმა გაქვანან,  
ჩეგიცივდონ, ბიჭებო!

ღორმუცელობა, უზომო ჭამა-სმა სახალხო მეღექსეთა მიერ  
სასტიკად არის დაგმობილი. ერთ-ერთი შაირის ფორმის საყოფა-  
ცხოვრებო ლექს-სიმღერაში, რომელიც 2007 წლის 30 ივლისს ჩა-  
ვინერეთ სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) გულერ (ნერიმან) გირგინი-  
საგან, გაუმაძღარი ადამიანის პირით არის ნათქვამი:

ნუხელი გავათენე  
თვარეს უკან თეთრათა;  
რაცხამდენი მაჭამო,  
ვერ გავძლები ჩოთრათა.

დღემუდამ ჭამაზე მოფიქრალი, საქმეს მოცდენილი ადამიანის ხასიათია დახატული ლექსში:

გამოვარდა კალაში,  
ჩამივარდა თალაში;  
ნაჲ კილდიქევედა ყანაში,  
ლობიო ჩაყარე და მოხარშე,  
დიმიძახე ჭამაში!

(მთქმელი მემედ თავდგირიძე. ჩაინერა რა-  
მაზ ხალვაშმა 2007 წელს სოფელ დევსქელში)

გაუმადღრისა და ხარბის პორტრეტი იხატება ერთსტროფიან შაირის ტიპის ლექს-სიმღერაში, რომელიც ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში (ბაალა-ქოი) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – 69 წლის თახსიმ ქარამა-ქისაგან ჩავინერე 2013 წლის 12 ივლისს:

გიდივიარე, ნევქეცი,  
იუსუფაჲ, დადე კეცი!  
დიდი ნევდა ხელიდან,  
ონსუს პანაჲ მომეცი!

მატყუარას „აღსარება“ სოფელ თხილაზორში (ზორლიქოი) 2007 წლის 4 აგვისტოს მელაათ ბალჯისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ერთი ქვა ვესროლე ცაში,  
გამეიგე მათუზ ხანეში;  
თორმეტი გოგო მოატყვილე  
ერთ ფაქეთ სიგარაში.

ქართული ხალხური საყოფიერო ლირიკის გაკიცხვის ობიექტი ყოველთვის იყო და არის უსაქმური, ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი ახალგაზრდობა. ამ მხრივ არც კლარჯული ხალხური პოეზიაა გამონაკლისი. სოფელ ავანაში (ავჯილარი) 2007 წლის 4 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერით (მთქმელი 70 წლის ნურიე ეფენდოლი) გაკიცხულია ვინმე მენშიროლლის გოგო, რომელიც სამკაულების მოყვარული ყოფილა:



ფენჯერე აკიდული,  
ფერდე ჩამოკიდული;  
მენშიროლლის გოგოა  
ბეშლულჩამოკიდული.

პროფესორ რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წლის 5 აგვისტოს სოფელ დევსქელში 82 წლის მემედ თავდგირიძისაგან ჩანერილი საყოფიერო ლექსით კი ვინმე თამარას წამოაძახებენ უსაქმურობას, მარტოოდენ ჩაცმა-დახურვისადმი მიდრეკილებას:

ითამაშე, თამარა,  
შენი საქმე რამ არა;  
ჩეიცვი და დეიბურე,  
ხან გეიცინე, ხან – არა.

მარადიდელი სახალხო მთქმელის – ემინე ოზთურქისაგან ჩანერილი საყოფიერო შაირის თანახმად, დაცინვის ობიექტია საკუთარ გარეგნობას გადაყოლილი და ცრუ ავტორიტეტის მძებნილი ქალიშვილი:

ადექ, დაჯექი სკამზე,  
მაღალი გამოჩნდები!  
თეთრი პუდრა გედებისვი,  
ლამაზი გამოჩნდები!

ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ტრადიციული გალექსება-გაშაირებისას სწორედაც ამგვარ გოგოებს გაუბედავენ, მიუღესონ:

ჩვენ სახლუკან ტყემალი  
კანჭულ-კუნჭულ ასხია;  
შენსავეთ გოგვები  
ჩვენ ახორში აბია.

(მთქმელი სემიპა ულუსუი. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ საიფიეში)

ანდა:

თელას ტყავი გავაძერ,  
ხიდან ხეში გავაბი;  
თქვენთანაჲ გოგობი  
ახორის გაბაში დავაბი.

(მთქმელი იხსან ილმაზთურქი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2007 წელს სოფელ დევსქელში)

არამოტივირებული, საქმისადმი ზერელედ მაცქერალი მუშაკია  
გაკიცხული ჩვენ მიერ 2013 წლის 12 ივლისს ქოჯაელის პროვი-  
ნციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში  
(ბაალაქოი) 69 წლის თახსიმ ჩელიქისაგან ჩანერილი ლექსი, რომ-  
ლითაც ნადზე მონვეული მუშა ასე გაულექსავთ:

შეხვედი ცივი წყალზე,  
ყინავი გეგონა თუ?  
ის ქოსე მემედის ყანა  
ფილავი გეგონა თუ?

უსაქმურსა და უმაქნისს, ბუნებრივია, მხოლოდ ცივი მჭადი ერ-  
გება და სასიძოდაც ინუნებენ:

თაროზე ცივი ჭადი,  
ანეი და შორ წადი!  
ვინმე გოგოს არ მოგცემს,  
გოგოს ყურბანი წადი!

(მთქმელი შუქურე გირგინი. ჩაინერა ვარდო  
ჩოხარაძემ 2007 წელს სოფელ ერეგუნაში)

კლარჯული ხალხური საყოფიერო პოეზიის განსჯის საგანი, ისე-  
ვე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებასაც  
სჩვევია, ქონებრივი ვითარებაც არის. ხალხს არ უყვარს ქვანვია  
მდიდარი, რომელიც სხვისთვის არაფერს იმეტებს. საახალწლო კა-  
რიკარ ჩამოვლის რიტუალში ჩვენებურები მღერიან:

ეს აღა ზენგილია,  
აღ ჩადებსა ქულაში;  
კარში თუ არ გამუა,  
ჩეჩმა წევა ვენახში.  
(სახლი წევა ვენახში.)

როგორც ჩანს, ამ სიმღერით ემუქრებიან ძუნუნ მდიდარს, რათა ახალი წლის მახარობლებს გამოხედოს და სათანადოდ დაასაჩუქროს. ამ რიტუალის შესახებ პროფესორ რამაზ ხალვაშს 2014 წლის 4 აგვისტოს უამბო სოფელ ქართლას მკვიდრმა – 75 წლის ჰიზირ თხჩელიქმა: „– ახალი წელიწადი მოვა, ღენი ალი ათი, თერთმეტი, თორმეტი გახდება; იმ ღამეს გენჯები მეფერებიან, ფოსტები მეფერებენ ზრუგში; იმ ღამეს ორ ბიჭ გოგოს „გახდიან“, ბოვას, ნახშირ წეხმენ პირზე, წელებზე ტანგოები მეზბმენ, გამეფდრიკვის, გეაღრს. მოვლენ სახლთან, მუუმღერებენ... სახლის პატრონი ფულ მიცემს, ალ მიცემს, ფქვილ მიცემს... მემცრევენ ყველაფერს... აქიდან თხილაზორ გედევდოდით სიმღერით, სამა-სამით. ერ სახში მივალთ, შუალამე გახდება, ასე მეფერხულებენ შიან. იმ „გოგოს“ გამიეკიდებიან, ქეშიშები გარგან დაარტყმებენ, გოგ არ მიგიშვებენ... იმ „გოგოს“ მეაპარებენ... გაგაშვებიებენ... ისე მემცრევენ...“

ხალხის მახვილ თვალს არც ანგარებიანი საპატარძლო გამოეპარება. ჩვენ მიერ 2013 წლის 10 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე) ჰასან ქალიონჯუსაგან (ხაბაძე) ჩანერილი დიალოგური ხასიათის ლექსით ქალს სიღარიბის გამო დაუნუნებია მთხოვნელის ოჯახი, ვაჟს კი საკადრისი პასუხი გაუცია:

– როცხა რო ჩაველიო,  
მიღღერი ხარშოს ჭამენო;  
ლოგინი არ აქვანო,  
ჩანჩეფში წევანო.  
– ხვალ დილაზე სადილი  
ხარშო და ფაფა მაქვა;  
ლოგინი რამდა უქნია,  
ჩანჩეფში სეფა მაქვა!  
ბაბოდამ დანარჩენი  
უტარო ტაფა მაქვა!  
შენი შესანახავი  
მე თავის თეფე მაქვა!  
გულში თქვენსას გამოსლა,  
სიზობა – ნეფე მაქვა.

მთქმელის განმარტებით, ეს ამბავი მის პაპას გადახდომია: „– ჩემ დედეს გოგო უყვარდა, ზორ ეაშიყებოდა. ჩვენ ძველ სახში ჩამოსულა გოგო, დედე დაქორწილებული არ არი; გოგოს უთქმია ჯერ, მერე ჩემ დედეს გამოუთქმია იმ გოგოსთვის. დედე თავათ გამეიგონებდა შაირ“.

იმავე მთქმელისაგან ჩანერილ საყოფიერო ლექსში გადმოცემულია დის მიერ შორს მყოფი ძმის მონატრება, რაც ურბანიზაციის პროცესს მოჰყვა:

ევთავოთ მურადები,  
თელის გულმა გეიხარაო!  
ჰემ დუნაში შეჰზაადე,  
ჰემ ბეგის სიძე ხარა!  
ჭირიმე თვალებისა,  
მსურისხარ და შორ ხარა.  
არც ერთი დღე, არც ათი,  
მიდღეჩი შინ არ ხარა.  
იეთიმ ბიბიებისა  
ახალ დედემა მიხარა.  
ჩვენ ახლა შენ გახსენავთ,  
შენ, ვინ იცის, ჰა ხარა!  
ჩემ ბაბოს სახლი-კარში  
ენ ლამაზი შენ ხარა!  
ცოტა ჰესაბათ იყა,  
ზიანქარი ნუ ხარა!  
ჩაროხ გამოგიგზანდი,  
ფიშინ მოგეცა ფარა.  
მე ქი ასე ზორ მიყვარხარ,  
შენ ჩემთქვინ რავლე ხარა?  
რა სეირი ხანე გქონდა,  
რაცხას გეტყოდი – „არა!“  
რას იქმოდი, არაფელ,  
კარი რომ დემეყარა.

როგორც მთქმელმა აღნიშნა, ამ სიმღერას „ნადში იმღერებდენ. დევშიროლლის ცოლმა გამოუთქვა ძმას, რომელიც ცხოვრობდა

ისტამბულში. ბევრი ხანია, ეს ამბავი მომხდარა. ამ სოფელში ცხოვრობდენ. ამ სოფელ დიდ მურლულ ეტყვიან, დიდი დოზამე“.

დას გამოუთქვამს, აგრეთვე, ძმისთვის ხასან ქალიონჯუსაგან ჩანერილი კიდევ ერთი ლექსი, რომლის თანახმადაც მოყვარულ დას ყველაფერი საუკეთესო ძმისთვის ემეტება:

ბოჯელიქის სახლი მაქვა,  
ოდიანი მელაიქე;  
შენი სინათლე მათქსა,  
დერდიანი მელაიქე;  
ემენ ნახველ და მოხველ  
თოფიანი მელაიქე;  
ალთუნები ეგიღე,  
დეიკიდავ თუ დეგიბაო?  
შენთვინ შენახულია  
ჩაჩხოკვილი ჰეგიბაო.

ხალხური საყოფიერო ლირიკა კიცხავს სხვისი შეყვარებულის მოსურნესაც. ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში 80 წლის რუყიე ილდირიმისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში დაგმობილია „თვალჭირულის“ წართმევა:

ერთი კალათი მატყლი  
ერთი სულზე ჩავართი;  
რაური საადიჩი ხარა,  
ჩემი ხარი ამართვი!..

ასკერობა, ანუ სავალდებულო სამხედრო სამსახურში წასვლა, კლარჯული საყოფიერო ლირიკის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. სოფელ ფეთექოიში (გურბინი) რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს ლალე ჩელიქისაგან (ბეგოსანი) ჩანერილი „ესკერის დესთანის“ თანახმად, სამხედრო სამსახურში მიმავალი ძმები ეთხოვებიან დედას და ანუგეშებენ, რომ ხალისით მიდიან და ორივენი უვნებელნი დაბრუნდებიან:

ასკერობა ქი მოგვივდა,  
მივალთ ასკერში, ნენე!

ხელისობით გადავწყვიტავთ,  
მოვალთ ორთვენი, ნენე!

სოფელ ქლასკურში (არალიქი), წინწკილაშვილების უბანში, 70 წლის აიშე თურანლისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსის თანახმად, ქალს სამხედრო სამსახურში ერთდროულად გაუგზავნიანა შეყვარებულიც და ამხანაგიც, რაც მას მოქალაქეობრივი სიამაყის საშუალებას აძლევს:

წყალი მივა ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
მე ასკერში გავგზავნე  
ჰემ ხარი, ჰემ ყარდაში.

კლარჯულ ხალხურ ლირიკაში გაიდევალებულია ადამიანის მხიარული განწყობა, სიმღერა და ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები. ერთ-ერთ საყოფიერო ლექს-სიმღერაში, რომელიც პროფესორმა რ. ხალვაშმა ჩაინერა 2007 წელს სოფ. ჯივანში 60 წლის რესმიე ჩავდარისაგან, ნათქვამია:

თავზე აზმა მბურია,  
ოაჟა, ვაკერავ ოა;  
აგზე სიმღერა ვიტყვი,  
რისთინ გიკვირან, გოა?

მხიარული განწყობაა გამოხატული საქარიას პროვინციის საფანჯას რაიონის სოფელ ისტამბულდერეში 2013 წლის 18 ივლისს ჩვენ მიერ 75 წლის ემინე ოზგანისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

გალმა სერზე ხოზიკაჟ,  
გამოლმაზე – მუზიკაჟ;  
დაასკვი, ალიაჟ, ფეხიო,  
ჩევისამოთ ხორომიო!

საყოფიერო ლექს-სიმღერები ტრადიციულად იმღერებოდა ნადის დროს. ნადში თავმოყრილი მუშაკებისათვის ნადურის შესრულების ორპირული ხასიათი საუკეთესო საშუალება იყო მეტოქეთა მიერ ერთმანეთის გაკენწვლისათვის. ამ თვალსაზრისით საინტე-

რესოა კლარჯული ხალხური საყოფიერო ლირიკაც. ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ბალჩიდერეში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – 78 წლის ახმედ გენჯისაგან პროფესორ მამია ფალავას მიერ 2014 წლის 17 ივლისს ჩანერილი ლექს-სიმღერით ერთმანეთს ასე ახასიათებენ თანასოფლელები:

– ჩვენ ოსმანი ტადას  
თეთრი შესვლია წვერში;  
– ჰასანა ძიგძიგსავე  
უყურავს კაკლი წვერში;  
– მე ზათინ ზორ მცხვენია,  
თავ იღებს მეტი ხალხში,  
– ნეეზათი იხრუტუნავს,  
გავა ჯამბაზი ტყეში;  
– ქერემი აზმანია,  
გაბლუვლავს ყველას კარში:  
„– მუუკიდეთ ფერენებსა,  
ჩეიარეთ იოლბირიში!“  
გალმა ხალილი ემოჲ,  
იყოს თქვენი დევრიში!“

იმავე სოფელში ჩვენ მიერ ჩანერილი ვარიანტის მთქმელმა – 63 წლის იუქსენ გენჩიმ (გოქვაძე) ასეთი განმარტება მოგვცა: „– ძველათ ნადობა იყო, გალმა-გამოლმა დაჟდებოდენ, ერთმანეთ გამოუთქმებდენ. ნადში გალმა-გამოლმა მდგარან დედეები და უთქმიან“.

ვირს, ამ ერთობ უწყინარ ცხოველს, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ნაირგვარი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ძველევგიპტური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, მას უკავშირდება ოსირისის მკვლელი – სიკვდილის ღვთაება სეტი. ამიტომაც ვირის აღმნიშვნელი იეროგლიფი მხარში ჩაცემული დანით არის წარმოდგენილი; ნეგატიურია ვირის სიმბოლიკა შუასაუკუნეობრივი ადათის მიხედვითაც, რომლის თანახმადაც, მოლალატე ცოლს ვირზე უკულმა შესვამდნენ და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ, რაც საქართველოშიც დასტურდება. ანტიკურ მითოლოგიაში ვირი ავხორცობასთან, უზნეობასთან, უჭკუობასთან, სიზარმაცესა და სიჯიუტესთან ასოცირდება; ბიბლიური სწავლებით, ვირი, იგივე სახედარი,

ადამიანზე ადრე იგებს ღვთის ნებას; ახალი აღთქმის თანახმად, იერუსალიმში დიდებით შესასვლელად მაცხოვარმა ვირი (ჩოჩორი) აირჩია სწორედაც, მისი თვინიერების გამო და მას შემდეგ სახედარი მორჩილების, თმენის, სისადავის, მოკრძალების, სიღარიბის სიმბოლოდ იქცა (სიმბ. ენც., 2006: 77).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ვირი თვინიერი, გონიერი, თუმცა ჯიუტი ცხოველია. კლარჯული საყოფიერო ლირიკა მდიდარია ამ ცხოველზე შექმნილი იუმორისტული ლექს-სიმღერებით. სოფელ ქართლაში (თუთუნჯულაქიო) 2014 წელს 74 წლის ქაზიმ ერცილიჩისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსი „...ეგერ, თუ ვირი გინდანან...“, რომელიც ვირის ყოლის მსურველს ეძღვნება, ხალასი ხალხური იუმორით არის აღსავსე:

ეგერ, თუ ვირი გინდანან,  
ნაი, არტანუჯ ეიყვანეთ!  
ხანდიხან ზურგზე შეჯექით,  
ყროყინობით მეიყვანეთ;  
კუდი კლავში ამეიჩარეთ  
ყაილის ლაფერსავებ;  
იორლაზე ქი აგაგეყე,  
ყურები – სიფერსავებ;  
ე რა კაი ვირი იყავ,  
ახლა არ დამჩე ხელშიო!

(შოშვილი, 2014: 71-72)

დაბა მურღულში 61 წლის ჰესიბე ალფაისაგან 2014 წლის 5 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი დიალოგური შაირის გამოთქმის მიზეზი, მთქმელისავე განმარტებით, გამხდარა დაბმული ვირი: „– ვირი დუუბმიან და იმაზე გამუთქმიან“:

– ზეგან, ერთი შეხედე,  
რამდენი ყური აქვა?  
– მე იმას კაჲ შევხედე,  
ფაშვი ზორ შური აქვა.

(შოშვილი, 2014: 71)

პროფესორ რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წლის 2 აგვისტოს სოფელ დევსქელში მემედ თავდგირიძისაგან ჩანერილი ვრცელი იუ-



მორისტული ლექსით „...ისმაილ, არ მიაართვი...“ სახალხო მთქმელი „თანაგრძნობას“ უცხადებს ვინმე ისმაილს, რომელსაც ვირი შიმშილით მოკვდომია:

ისმაილ არ მიაართვი,  
მოკალი ვირი!  
შენ იცოცხლე და  
ახლა ნუ ტირი!

ისმაილს ანუგეშებენ, რომ მისი ვირი ასაკოვანი იყო, მის სახსოვრად კი უნაგირი დარჩა და ურჩევენ, ვირის კუდისაგან ქამარი გააკეთოს:

გულის სარწმელი  
დარჩა სემერი.  
ვირის კუდი ქენი  
წელის ქემერი!  
ბერი ყოფილა,  
ნუ გენვის გული!

იუმორისტი მთქმელის ფანტაზია უფრო შორსაც მიდის და ვირის პატრონს ურჩევს, ხორცი მეზობლებს გაუნანილოს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად:

იბრაიმის დუუძახეთ,  
ხორცი ანონოს,  
მუუფეროს ხორცი,  
ყუმშეს მაანონოს;  
უხორცო არ დარჩონ,  
ყველას გუუგზავნოს;  
ელუგი ვქნათ,  
მომკვდრებსა ვუხსენოთ სული...

ისმაილი ორხველი ყოფილა. ლექსში ორხველებს დასცინიან, რადგანაც მთელი სამეზობლო მისულა ვირის ხორცის საჭმელად:

ორხვათის ხალხი  
არიან დელი,

ხორცი ქამაზე მოვდენ  
კომპური თეელი.

ლექსის თანახმად, ჰაჯი ასანს მიცვალებული ვირისათვის ლოცვა წაუკითხავს; დიდთოვლობის გამო, ვირის გამოსვენება გასჭირვებიათ და თრევით წაუღიათ. ისმაილს ძალზე უდარდია ვირის გამო. ბოლოს, თითქოს უფიქრია, ვირის თავიდან დოღს გავაკეთებო, რითაც კიდევ დაუმატებია ცოდვა:

ვირის ზარალზე  
მეემატა დერდი.  
თქვა ქი: „– დაკლაში  
გამხადა ხურდი,  
ვირის ტავანიდან  
იქნება დავლი!  
ისმაილის მუუნევს  
იმ ვირის ცოდვა!

საქარიას პროვინციის ხენდექის რაიონის სოფელ გევლში (გიულდები) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ჰუსეინ ქესიმისაგან (ქიბაროღლი) 2013 წლის 19 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი იუმორისტული ლექსის თანახმად, მწყურვალ ვირს პატრონისთვის ტლინკები წაუყრია:

ვენახისკენ ჩეიარა,  
ვერ ნახა წყალი;  
წამეიყარა ტრინკები,  
დაგანახა ნალი!

კლარჯულმა ხალხურმა საყოფიერო პოეზიამ შემოინახა ამ კუთხეში რუსული მმართველობისდროინდელი სოციალური უკუღმართობის ამსახველი ვრცელი ლექსი „...გზაში შემხვდა თახსილდარი...“, რომლის ერთი ვარიანტი დაფიქსირებულია ჩემ მიერ 2007 წლის 5 აგვისტოს სოფელ ისკებში (დამარი) 84 წლის ჰიზირ არიჯისაგან (ფუტკარაძე), ერთი ვარიანტი კი ჩაინერა პროფესორმა რამაზ ხალვაშმა იმავე სოფელში 73 წლის შერაფეთთინ თურანიისაგან. შერაფეთთინს ეს ლექსი ჩანერილი ჰქონია თურქული ასოე-

ბით, სპეციფიკური ქართული ასოებისათვის კი თურქული ანბანის შერწყმითა და დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით შეუმუშავებია ტრანსლიტერაციები (თურქული ანბანისათვის დაუმატებია 9 ახალი სიმბოლო).

დავინყებისაგან ქართული ლექსის ამგვარი გადარჩენის შერაფეთინ თურანისეულ მეთოდს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა პროფესორმა რამაზ ხალვაშმა, რომელშიც განიხილა ლექსის ორივე ვარიანტი (რ. ხალვაში, 2014: 69-84); მანვე აღნიშნა, რომ შერაფეთინისეული ვარიანტის ზოგიერთი სიტყვა „უადგილოდაა“ გამოყენებული და ზოგიერთი ტაეპის შინაარსს უფრო გასაგებს ხდის ჰ. არიჯისეული ვარიანტი“. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ამ ვარიანტს, რომელიც ჰიზირ არიჯს ათი წლის ასაკში გაუგონია და მას შემდეგ ზეპირად ახსოვდა, დაწვრილებით განვიხილავთ.

როგორც მთქმელმა გვიამბო, ლექსის შექმნას საფუძვლად რეალური ამბავი დასდებია: „ერთი კაცი ნასულა ტყეში, თახსილდარმა და მუხტარმა ფარა მოსთხოვეს. უთხრა, ტყეში მივალ, ფარა არ მაქო. გაგულიანდა და თავში დუურახუნა, შეაგდეს ციხეში“. როგორც ჩანს, ეს ამბავი მაშინათვე გამხდარა სახალხო მთქმელის ინტერესის საგანი და ცხელ კვალზე შეუთხზავს ლექსი, რომელიც თინასოფლელებს აუტაცნიათ, როგორც სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი კაცის სულისკვეთების გამომხატველი. მართალია, ლექსმა ვერ შემოინახა მთავარი გმირის სახელი, მაგრამ კლარჯი გურჯები ამაყები არიან, რომ მათი სისხლი და ხორცი არ შეუშინდა გამომძალველ მოხელეებს – დახლიდარსა და მუხტარს, ორივე გალახა, რის გამოც ციხეში ჩასვეს.

ლექსი „...გზაში შემხვდა თახსილდარი...“ ბალადური სტილისაა; იგი იწყება ერთი, მოულოდნელი კონკრეტული ამბით: ტყეში შეშისათვის მიმავალ გლეხს გზაში გადასახადების ამკრეფი რუსი ჩინოვნიკი, იგივე ინკასატორი („თახსილდარი“) და მამასახლისი („მუხტარი“) შეხვდნენ და ფული მოსთხოვეს:

გზაში შემხვდა თახსილდარი,  
 იმასაც ახლავს მუხტარი,  
 საქმეც ყოფილა წამხდარი.  
 ერთ ფანგანოთ ნახევარი  
 მოიდა და მთხოა მეა.

ტყეში მიმავალს რა ფული ექნებოდა!.. როგორც მოსალოდნელი იყო და ჩვენს უსახელო პროტესტანტს სახალხო მთქმელმაც ათქმევინა, ამ ორი ჩინოვნიკის შეხვედრა უკვე საქმის წახდენას ნიშნავდა. კლარჯი გლეხი გაუძალიანდა („გაუგულიანდა“) შემხვედრთ და, სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდა, ორივე კარგად გალახა, რის თაობაზეც მონოლოგურ სტილზე აგებული ლექსი დაწვრილებით მოგვითხრობს:

ამას რო გუუგულიანდი,  
მივახტი კატასავენ.  
ორთავენიც მომეჩვენენ  
სამი წლის ცხვინტასავენ.  
ერთი მუშტი რომ მევექნიე,  
მოზავდენ პანტასავენ.

მშვიდობიან გლესს აბეზარმა მოხელეებმა საქმეზე ხელი აადებინეს და მუშტები დაატრიალებინეს, რასაც, ლექსის თანახმად, თავადვე განიცდის:

ხელები ევილე მალლისკენ,  
ვიკითხე დუა მეა.

მეორეჯერაც შეუტევია კლარჯ გლესს სოფლის ნურბელები-სათვის, მაგრამ თვალების „ჭუხვა“ რომ დაუნყიათ და თავადაც ძარღვები დასჭიმვია, შუეცოდებია:

ერთი კიდენ დევეფეცხე,  
ჭუხვა დეინყო თვალები.  
ცოდვა მაშვინ შუეცოდვილე,  
გასქდა ამბრის ძვალები.

ეს ყველაფერი ხალხის თანდასწრებით მომხდარა:

ყველა ხალხმა დემინახვეს,  
ხომ არ იყო ტყვილები.  
დუუმუსრევი თავი-პირსა,  
მქონოდა პრაეა მეა.

ბუნებრივია, მემამბოხე გლეხი დამნაშავედ სცნეს; ეს მთქმელსაც აქვს გააზრებული და ამიტომაც ათქმევინა გლეხს, რომ მუხტარსა და თახსილდარს თავ-პირს დაუმტრევედა, ნება („პრავა“) რომ ქონოდა. ამიტომაც არ ასცდა სასჯელი: „გამოიდნენ მალაციები“, ჯერ „ზავოდში“ (მურღულის ქარხანაში) წაიყვანეს, შემდეგ კი, „ერთ-ორ პასუხის უთქმელად“ ციხეში შეაგდეს.

„გაგულიანებულ“ გლეხს მოსარჩლედ ედიფ ბეგი გამოსჩენია და ციხიდან გამოუყვანია. როგორც ლექსიდან ჩანს, ციხეში მკაცრი რეჟიმი ყოფილა, პატიმრებს ჯოხით სცემდნენ და არც ნორმალურ საჭმელს აძლევდნენ:

ედიფ ბეგი იქ მერჩია,  
მომარჩინა ციხიდამ.  
ომბაში ზორ გონჯი იყო,  
მეშინოდა ჯოხიდამ.  
იმ გულზე მომიყვანეს ქი,  
დრობლი ვყარე ხახიდამ.  
სანქი მათი ვირი ვიყავ,  
მიჩვენეს თივა მეთა.

ლექსის თანახმად, ციხიდან გამოსული გლეხის გულისწყრომა კიდევ გრძელდება; იგი სასტიკად ლანძღავს თახსილდარს, უწოდებს ყიზილბაშს, კახპის გაგდებულს:

თახსილდარი – ყიზილბაში  
მოიდა რომელ თეფედამ?  
მიმურობას რავლი იქსა  
გაგდებული ყაჰბედამ?!

საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული გლეხი, რომელსაც გულში ცეცხლი აქვს წაკიდებული, აანალიზებს მომხდარს:

ფარა მთხოვა, ვერ მივეცი,  
მე ცარიელ ჯიბედამ;  
მომეკიდა ყოყორაზე,  
გუუსროლე ჯივა მეთა.

ლექსი მთავრდება სკარბეზული ანდაზითა და სიტყვის მასალით, რომელთა ვარიანტებიც ბოლო დრომდეა გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ლექსი „...გზაში შემხდა თახსილდარი...“ ამკარად ანტირუსული განწყობილებისა და ამბავიც რუსული მმართველობისდრინდელია, რაზედაც მიუთითებს ინკასატორის ყიზილბაშად (იგივე უცხოელად) მოხსენიება და ლექსში ნახმარი რუსიზმების სიუხვე.

სოფელ ისკებში მცხოვრები ავტორ-მთქმელისაგან – 75 წლის ფატმა დემირელისაგან 2013 წლის 8 აგვისტოს ჩავინერე საინტერესო საყოფიერო ლექსი, რომელიც აგებულია რიცხვთა მაგიური ძალის რწმენაზე:

ოთუზძირა მგონია,  
მეშინია კირხიდამ;  
ამ სოფლო მოგვივა ქი,  
კლავ ვერ გავყოთ ხირხიდამ;  
ელიში თუ შეხველი,  
ხელ-ფეხ მეინვე ხარხიდამ,  
ალთმიში ჩეთინია,  
დლობლი მოვა ხახიდამ;  
ეთმიშის სათვალე  
გარიგდება ჩოხიდამ;  
სექსანში ავადობა  
დეინყებს ზრუგის ხერხიდამ;  
დოქსანი საფიქრავი  
ჩავარდება ჩარხიდამ;  
ჟუზითან ფოლჩოზ არი,  
გარიგდება ფეხიდამ.

ქალბატონმა ფატმამ გვითხრა, რომ მის მიერ გამოთქმული ეს ლექსი მთელ სოფელს მოსწონს: „– ხალხ ჩუუკითხე და ზორ მეინონეს თელმა“. სწორედ ამგვარად ხდება თავდაპირველად ერთი პიროვნების მიერ ამოთქმული სტრიქონების ფოლკლორიზაცია.

სიზმარში ნანახის ახდომის, კერძოდ კი კბილის ამოღების ავისმომასწავლებელ რწმენაზეა აგებული საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში 80

წლის ემინე ქაასაგან ნიაზ ზოსიძის მიერ 2013 წელს ჩანერილი  
ლექს-სიმღერა, რომელიც დაწუნებული ქალის გამხნეებაა:

სიზმარში ამევლე  
წინაჲ კიბილი,  
სოფელში გამოჩნდა  
შენი კივილი.  
ართურქ საბრი ვერ ვქენი,  
დევენყე ტირილი.  
დილაზე ავდექი,  
თოფი გავარდა,  
აი ემიაჲ ზედედ ავარდა.  
აჯაფ რა იქნა მეთქი, –  
გული გამვარდა.  
შენ ჩემი ბაბაჲ  
ქირდად ეილევი,  
მოტანილი ბეშლი  
უკან წეილევი,  
იაზუქ ლერ ონსუნ,  
სხვა ვერ ეილევი,  
არ გეკადრება,  
ჩემო ამედი!

მთქმელისათვის ეს ლექსი ბავშვობაში მის მამიდას – ასიას უს-  
ნავლებია, „ნიშნობა ჩეიშალა და ამაზეა“.

კლარჯული ზეპირსიტყვიერება, ზოგადქართულის მსგავსად,  
მდიდარია შაირებით, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის დაჯაბ-  
ნვა და საკუთარი უპირატესობის ჩვენება:

გალმა გამოლმა ყვაჩავ,  
გემეჯენგე, ყიყვაჩავ!

(მთქმელი ფატმა თურანლი. ჩაინერა თინა  
შიოშვილმა 2013 წელს სოფელ მარადიდში)

ანდა:

სახლის უკან სავენახე,  
ღორი შვილო, დემენახე!

(მთქმელი ადემ ზენგინი (კახიძე). ჩაიწერა თ.  
შიოშვილმა 2013 წელს საქარიას პროვინცი-  
ის ჰენდექის რაიონის სოფელ ლუთფიეში)

ან კიდევ:

სახლის უკან მესარი,  
ჩემი სიტყვა ეს არი!

(მთქმელი ფატმა თურანლი. ჩაიწერა თინა  
შიოშვილმა 2013 წელს სოფელ მარადიდში)

გაშიარება განსაკუთრებული ცხოველი პაექრობის სახეს იღებს მაშინ, როცა მოშიარენი სხვადასხვა სოფლის მკვიდრნი არიან და ცდილობენ, არა მარტო საკუთარი თავი, არამედ მშობლიური სოფელიც ასახელონ. ამის დასტურია ჩვენ მიერ 2013 წლის 10 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში ჰასან ქალიონჯუსაგან ჩანერილი გაშიარება, რომლის თანახმადაც, ერთმანეთს ეპაექრებიან ბორჩხელი და მურღულელი მოლექსენი:

ბორჩხელი: – მურღულ ხინკილას ჭამენ,  
ლობიო ლახნიანიო.

მურღულელი: – ბორჩხელ, გამუუნველ დერგში  
ჩევიდე ჭარხლიანიო!

ბორჩხელი: – შენ ბუფულზე გევიარე  
ფეხები ნეხვიანიო!

მურღულელი: – მეც შენ უკნედან მოელ  
დაჩოქილმუხლიანიო!

მთქმელის განმარტებით, “მურღულელი და ბორჩხელი გაჯენ-გებულან, ეჯიბრებიან. ჯერ ბორჩხელ უთქმია მურღულელი კაცითვინ, მურღულელსაც უთქმია. მურღულელ ბუფული ქონებია და ბორჩხელ იმთვინ უთქმია, შენ ბუფულზე გევიარეო“. ჰასან ქალიონჯუსავე თქმით ჩავინერე ქალების გაშიარება, რომელთაგან ერთი ვაჟის დაა, მეორე – საყვარელი:



– ფარა მამალეზეა,  
შენ იყა დევრის ღერზე.  
– ის იყბალი ჰად არი,  
არ ვიქა ჯავრის ღერზე!  
– თან ფეხზე ნუ ადგები,  
გიძახი სეირის ღერზე.  
– ხან პასუხ შამომძახავ,  
ნუ დამთლი ვირის ღერზე!

ამ ლექსის თაობაზე მთქმელმა ამგვარი განმარტება მოგვცა:  
„– ჩემი დედე იყო მემედ სანჯაყი. სანჯაყები ფულიანი ყოფილან. იმათზე, გოგოს ბაბაზე, ფული მიუციათ. იმის დას, მემედ სანჯაყოს დას, უთქმია ძმის საყვარლისთინ, „ფარა მამალეზეა...“ და მემრე გოგოს უთქმია, სანჯაყოს სიყვარულსა; მემრე ისეც სანჯაყოს დას უთქმია და მემრეც გოგოს უთქმია“.

ბიჭებისა და გოგონების გაბაასება ჩავინერეთ 2013 წელს საქარ-რიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში კლარჯ მუჰა-ჯირთა შთამომავლის – რუჰი თემიზჯესაგან:

ბიჭები: – მენჯიშის საქათმეზე  
არ იცით, ტურა მოიდა!  
რამეს არ დეფდუშუნავთ,  
არ იცით ქი, ვინ მოიდაო.

გოგვები: – ღმერთმა აგახორთლალონ  
მეზერიდან ძალლსავენ!  
ნათქვამი პასულები  
ჩვენ დემეცენ მუხსავენ.

ბიჭები: – ახლა ჩამოვარდნილვარ,  
ენწინ ვიყავ ისმეთი.

გოგვები: – ჰელბეთ ჩამოვარდები,  
კი მიგარტყავ ქუსლ-მეთქი.

(ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე,  
2014: 218-219; ფალავა, 2015: 210)

საყოფიერო გაშაირების საინტერესო ნიმუში ჩაინერა პროფე-სორმა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს სოფელ ისკებში 60 წლის ასიე

აღფაისაგან; ერთმანეთს ეპაექრებიან დიდთოვლობისას ისკებში მისული სტუმარი და მასპინძელი:

- აქზე ბევრია თუ შესაფეთ ისკებ თოვლი?
- მეტი ბევრი არ არის, ანჯაბ ეფვსობა ჰავლი.
- გზები ბეთ იქნებოდა, აქ ჩამოხველი რავლი?
- დავჯექ და ჩამეცცურე, ტ...ის ქვეშ დევდე ბაული.

ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო ციკლია მხარეთა, სოფელთა და ცალკეულ უბანთა დამახასიათებელი ლექს-სიმღერები, რომელთა უმეტესობა სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა. მათი გენეზისი, პროფესორ ელენე ვირსალაძის მოსაზრებით, მესტიურულ პოეზიაშია საძიებელი (ვირსალაძე, 1968: 296). ამგვარ ლექს-სიმღერებში შექებული ან, უფრო ხშირად, დაცივნისა და გამათრახების ობიექტად არის ქცეული ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა მანკიერი თვისებები. კლარჯული ზეპირსიტყვიერება ამ მხრივაც არ ღალატობს ტრადიციას; კლარჯ ჩვენებურთა საყოფიერო ლექს-სიმღერებში თავჩენილია ცალკეულ სოფელთა თავისებურებანი, გაკიცხულია ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევა, ესა თუ ის უცნაური საქციელი, გულუბრყვილობა და შექებულია ყველაფერი დადებითი.

სოფელ ტრაპენში რემზიე ყოინჯუსაგან (ყოინჯოლი) 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ერთ-ერთი საყოფიერო ლექსი „...კატა ხორც ვერ უნდება...“, რომელიც საზრდოობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ანდაზით – „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“, მთქმელისავე განმარტების თანახმად, „თხილაზროელ გურჯებზეა ნათქვამი“:

- კატა ხორც ვერ უნდება,
- იტყვის ქი, „რა მყარია!“
- ვინცხა ხელ გეითქაშუნავს,
- გუუსქელდება ქარაო.

პროფესორ მამია ფალავას მიერ 2013 წელს საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ იქრამიეში (ქვემო ხატილა) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ექრემ დურუშაგან ჩანერილი საყოფიერო ლექსის თანახმად, მაჭახლიდან ბორჩხაში გადმოსული გამოთქვამს გაკვირვებას იმის გამო, რომ ბორჩხელთა ქათამი ათასხუთას კვერცხს დებს:

მაჭახლიდან მოველი  
მეაც ბორჩხა ქალაქშიო;  
ათასხუთასი კვერცხი  
ქათამმა დებს ბუჯერშიო.  
(ფალავა, 2015: 211)

საყოფიერო ლექს-სიმღერებში ძალიან ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა სოფლები ან ერთი სოფლის უბნები:

არავეთი კაკვანი,  
გადმოგორდა აკვანი;  
ყველა სოფლიდან კააა  
ჩვენი გამოლმა უბანი.  
(შიოშვილი, 2014: 71)

ქვა-ღორღიანი რელიეფის გამო იწუნებენ კინცხურეთსაც:

კინცხურეთი კაპანი,  
გემიგორდა აკვანი.  
(მთქმელი იბრაიმ ზელქენჯი, მცხოვრები სოფელ ხეზაში. ჩაინერა მამია ფალავამ 2015 წელს ქალაქ ბათუმში)

თუ არავეთსა და კინცხურეთს მთა-გორიანობით იწუნებენ, სოფელ მარადიდის ქვედა უბნელებს, ანუ ქვედაურებს, კიცხავენ იმის გამო, რომ მცირეწლოვან გოგონებს ათხოვებენ:

თამარ არი, თამარა,  
ჩემი საქმე რამ არა;  
ქვედაურებმა ათხოვებენ  
მეტი ქალი პატარა.  
(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

სოფელ მარადიდში ბავშვმაც კი იცის ლექსი, რომლითაც აქაურებს სიზარმაცესა და მადიანობას უკიუინებენ:

არადიდი, მარადიდი  
საქმე-ჰანაჲ, ჭამა – დიდი.

პირუთენელი კლარჯი სახალხო მელექსე აუგს ვერ იტყვის სოფელზე, რომელიც არ უნახავს, მაგრამ ნაცნობ გარემოს კი აუცილებლად სათანადოდ დაახასიათებს:

ავანას ვერ გადაველ,  
არ ვიცი ქი, რავლია;  
ქურა ხალხი ხარაბა,  
ფაიტონჩი ხარ ჰავლია.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

არხვას სხვა სოფლის მკვიდრი მელექსენი საცხოვრებლად უვარგისად და სულელების სოფლად მოიხსენიებენ:

არხვა ხარამიანი,  
გამუ ათი დელი.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

თავად არხველები კი აქებენ თავიანთ სოფელს და უხვმოსავლიანად მოიხსენიებენ, თანასოფლელებს კი – მხიარულ ადამიანებად. 2007 წელს ჩვენ მიერ სოფელ არხვაში 72 წლის ფაქიზე თოსუნისაგან ჩანერილ საყოფიერო ლექსში სწორედ ამგვარად არის დახასიათებული ეს სოფელი:

სიმინდი და ქერი,  
არხვას ვნახე კაჲ სიმლერი.

ულამაზეს სოფელ ბაშქოის (თავისოფელი), ალბათ თავისი მრავალრიცხოვანი წყაროების გამო, მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ამგვარად აქილიკებენ:

დილას ცეცხლ ვერ აანთობენ,  
კატრი კვარი დელია;

გახვალ ბაშქოას სოხახებში –  
ზამთარ-ზაფხულ სველია.

(ფალავა, ცინცაძე, 2009: 273-274)

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში უფრო ამ ლექს-სიმღერის მო-  
კლე ვარიანტია გავრცელებული:

ბაშქოას სოხახები  
ზამთარ-ზაფხულ სველია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

დევსქელელი მელექსე იხსან ილმაზთურქი გულით აქებს გა-  
ღმობანს, სადაც ლამაზი გოგონები სახლობენ (ჩაინერა თინა შიოშ-  
ვილიმა 2007 წელს):

გაღმობანი დუზია,  
გოგვები ლამაზია.

ზედუზანიც ვაკე ადგილია, მაგრამ იქაურ გოგონებს არ აქებენ.  
2015 წლის 10 თებერვალს ქ. ბათუმში სტუმრად მყოფ ხებელ იბრა-  
იმ ჯელქენჯისაგან პროფესორმა მამია ფალავამ ჩაინერა ორსტრი-  
ქონიანი ლექსი, რომლის თანახმადაც ზედუზნელი გოგონები სათ-  
ნოებით ვერ დაიკვებნინან:

ზედუზანი დუზია,  
გოგვები უჯუზია.

კლარჯულ საყოფიერო ლირიკაში გევლელებს დასცინიან, მა-  
რილს თესავენო: „– გველი სოფელია ჩვენთან. იქ დათესეს მარი-  
ლი“, – გვითხრა 63 წლის არხველმა ასიმ თოსუმმა (ჩაინერა რამაზ  
ხალვაშმა 2007 წლის 23 ივლისს); „მარილი დუუთესიან გევრელე-  
ბო“, – გაგვანდო 59 წლის ქართლელმა აიშე ონგუნერმა (ჩაინერა  
რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 4 აგვისტოს). ამ თემაზეა გამოთქმული  
სალაღობო-საყოფიერო ლექს-სიმღერები:

გველი მარილ დათესავს,  
ბევრ ფარას მეიგებსო.

ანდა:

გველი მარილ დათესავს,  
ყველა ფერზე მიახმლევსო. –

ასე მღერიან ქლასკურელები (მთქმელი ალთუნ თაბანი. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს). ეს ლექს-სიმღერა იციან კლარჯ მუჰაჯირთა, კერძოდ გველელთა, შთამომავლებმაც, რომლებიც სახლობენ საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გიულდიბში, რომელსაც თავიანთი წინაპრების სოფლის – გველის სახელით მოიხსენიებენ და სრულებითაც არ თავილობენ ამ უწყინარი სტრიქონების გამხელას:

ზამანე გამაიცვალა,  
ნისქვილი გუდაშია;  
გველი მარილ დათესავს,  
სურმიამ – იხიორვო.

(მთქმელი ჰუსეინ ქესიმი (ქიბაროლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს)

გველელების ეს უცნაური ამბავი ანეკდოტის თემაც გამხდარა და მასაც ასევე უმტკივნეულოდ ჰყვებიან (განვიხილავთ ნაშრომის სათანადო ქვეთავში). მაინც რა უნდა გამხდარიყო ამგვარი ვითარების მიზეზი? ვფიქრობ – სოფელ გველის მკვიდრთა გულუბრყვილობა და სიალალე, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ თავად გველელებიც კი ხუმრობენ საკუთარ თავზე. ამის დასტურია კიდევ ერთი ნარატივი, რომელიც 2014 წლის 18 ივლისს ჩავინერე ბალიქისერის პროვინციის მანიასის რაიონის სოფელ ჯუმჭურიეთში (ძველი სულთანე) 84 წლის ნიგარ გუვენისაგან: „– გველელები ხარ თაროზე ეყვანენ... ეზარებიან, თაროდან დანა არ ჩამუტანიან, ხარი თაროზე უუყვანიან, იქ დუუკლიან“.

აღსანიშნავია, რომ ჯუმჭურიეთში მცხოვრებნი კლარჯეთის სოფელ გველიდან წასული მუჰაჯირების შთამომავლები არიან და სრულიად გააზრებულად ოხუნჯობენ საკუთარ წინაპრებზე, რაც მათი მაღალი იუმორისტული ტრადიციის მაჩვენებელია.

სოფელ გოგლიეთს ადგილმდებარეობას უწუნებენ. 68 წლის ჩხალეთელი ჯეჯედეთ ჩოლაქოღლუსაგან 2013 წელს სოფ. ბაშქოიში ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად,

გოგლიეთს მალ მზე მივა,  
შუადღეს უკან შტილია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

ტერასებად დაყოფილი თოხვეთი სასურველ სამოსახლოდ ქცეულა, რის შესახებაც გვაუწყებს საყოფიერო ლექს-სიმღერათა ვარიანტები, რომლებიც კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში დავაფიქსირეთ. საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გველში (გიულდიბი) მცხოვრები ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებამ დღემდე შემოინახა თოხვეთზე შექმნილი ლექს-სიმღერა:

თოხვეთი თაროს გავსა,  
ყველა იქა გასულანო.

(მთქმელი ჰუსეინ ქესიმი (ქიბაროლღი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს)

ანდა:

თოხვეთი თაროს გავსა,  
ყველანი იქ მიდიანო.

(ფალავა, 2015: 210)

სოფელ ავანაში (ავჯილარი) 2007 წელს 70 წლის ნურიე ეფედ-ოღლისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი საყოფიერო ლექსის თანახმად, სოფელ ქართლას სახალხო მელექსენი თითქოს აქებენ, მაგრამ სასმელი წყლის უქონლობასა და უგზობას უკიჟინებენ:

კარტლა კაჲ სოფელია,  
წყალი არ არი სასმელი;  
აქ დავდგებოდი, ჰამა  
გზა არ არი გამლელი.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 149)

საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გველში (გიულდიბი) მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – ჰუსეინ ქესიმისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერით კი ქათლელებს კიცხავენ იმისათვის, რომ ყველას თოფის სროლა უყვართ:

კარტლა ვეხში მილლეთი,  
ყველამა ჩახმახ ჩახიორ.

ჰუსეინ ქესიმისგანვე ჩანერილ ლექს-სიმღერაში (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს) ორჯელებს ცრუპენტელობასა და მუქთა-ხორობის გამო დასცინიან:

ორჯი ზორ ფულუზია,  
განაყოფთან ხახიორ.

ლომიკეთის ნეკერს „აქებს“ ჩხალთელი ჯევედეთ ჩოლაქოლლუ:

ლომიკეთის ნეკერი  
ძროხებისთინ ანია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

ქლასკურში მცხოვრები 83 წლის ტიპური სახალხო მთქმელის – 83 წლის ალთუნ თაბანისაგან, რომელიც დაიბადა და გაიზარდა მურღულში, ჩვენ მიერ 2013 წელს ჩანერილი საყოფიერო შაირის თანახმად, მურღულელები უაირანოდ საჭმელს არ შეჭამენ:

მურღულელი საჭმელ არ ჭამს  
აზრანის გარიეთ.

ქურას მცხოვრებლებს ავტომანქანების სიმრავლეს უქებს სახალხო მთქმელი:

ქურას ცხენი არ გეიარს,  
მანქანა მუა კარშია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

ქლასკურელებს ნაკლებად მორწმუნეებად თვლიან; საყოფიერო შაირის თანახმად, ისინი მხოლოდ ჯუმა დღეებში და ბაირამის დროს ლოცულობენ:

ქლასკურელი არ ილოცავს  
ჯუმა-ბაირამის გარიეთ.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 149)



შუბნელები გაკიცხულნი არიან თავიანთი ეშმაკობისა და უკადრისი საქციელის გამო:

შუბნელები – მელები,  
ნისქვილიკარ მფსმელები.

(მთქმელი იბრაიმ ფელქენჯი, მცხოვრები სოფელ ხეზაში. ჩაინერა მამია ფალავამ 2015 წელს ქალაქ ბათუმში)

კლარჯული საყოფიერო შაირით ჩხალთელებს ცრუპენტელეზად მოიხსენიებენ და ყველას აფრთხილებენ, რომ მათი ნათქვამი არ დაიჯერონ:

ჩხალეთის ნათქვამები  
ყველამფერი ტყვილია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 149)

ჯვანელებს (ჯივანელებს) კალათების ქსოვა სცოდნიათ და ამით გამოარჩევენ:

ჯვანელი კალათ მოქსოვს,  
თოზ არ დააყრის ქილიში.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 149)

კლარჯულ საყოფიერო ლექს-სმღერებში ჰოროსეთი (ფორესეთი) შრომისმოყვარეობით არის განთქმული:

ჰოროსეთის ზეგნები  
ჰაცხა მიხვალ, ნადია.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 148)

ქართული ხალხური საყოფიერო ლირიკის ერთ-ერთი მტკივნეული თემაა სიბერე. კლარჯული საყოფიერო ლირიკაც თავისებურად ეხმიანება ადამიანის სიცოცხლის ბოლო ეტაპის – სიბერის გააზრებას; ამავე დროს, მიიჩნევს, რომ ადამიანმა თავმდაბლად უნდა განვილოს ცხოვრება, მედიდურობა მიუღებელია:

ეს სიბერე ბეთია,  
ალაჲ მალაჲ დიდობა;

მობიანი შარვალი  
 მეტი მზორე ძონძია.  
 (ფალავა, ცინცაძე, 2009: 274)

ჩვენი ბრძენი კლარჯი სახალხო მელექსე მოძღვრავს ადამიანებს, რომ მოხუცებულთა ქალარას პატივი სცენ:

ბებერების თეთრი თმა,  
 ნუ გინდაო ბევრი თქმა!  
 (ფალავა, ცინცაძე, 2009: 273)

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემორჩენილი საყოფაცხოვრებო პოეზია, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრების დარაოდ, საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია, თუმცა, სრულიად ბუნებრივად, მასში შესულია ადგილობრივი, ლოკალური გარემოსათვის დამახასიათებელი თემატიკაც, რითაც საცნაური ხდება კლარჯ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრების თანამედროვე ვითარება.



სოფ. ისკები, 2007 წ.  
 პროფესორები – თინა შიომვილი, ნუგზარ ცეცხლაძე და შოთა მამულაძე  
 მთქმელთან – ჰიზირ არიჯისთან (ფუტკარიძე)

## სასულიერო პოეზია

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში, შავშურის დარად, ძალზე გავრცელებულია და იქაურ მუსულმანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სამოძღვრო-დიდაქტიკური ხასიათის ვრცელი ლექსი „ქართული ვაჟი“ („გურჯი ვაჟი“), რომლის სათაურშივეა გამოკვეთილი მისი ფუნქცია („ვაჟი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს დარიგებას, შეგონებას, ქადაგებას). ამ ლექს-ქადაგების ფართო გავრცელება განაპირობა იმან, რომ ქართულენოვან სოფლებში იმამები, იგივე ხოჯები, თავიანთ მრევლს ღვთისმსახურების დროს მას ასმენინებენ.

„ქართული ვაჟის“ ვრცელი ვარიანტი პირველმა დააფიქსირა პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ 1989 წელს იმერხევეში, სოფელ მანატბაში ხოჯა ნიაზ ჯიჯანისაგან (ფუტყარაძე, 1993: 271-275); იმავე მთქმელისაგან 2009 წელს ლექსი ჩაინერა პროფესორმა მამია ფალავამ (შავშ., 2011: 492-499).

კლარჯეთის სოფლებშიც, ასევე, ხოჯებმა იციან ვაჟის ვრცელი ვარიანტი, ხალხში კი მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის გავრცელებული. „ქართული ვაჟის“ ვრცელი ვარიანტი ჩავინერე 2007 წლის 29 ივლისს სოფელ ჯიჯანის (ჯვანის) ხოჯასაგან – 53 წლის თახსიმ ჩელიქისაგან, რომელიც წარმოშობით მაჭახლელია; უფრო სწორად, ბატონმა თახსიმმა ჯერ ზეპირად დაინყო ვაჟის თქმა, მაგრამ, რაკი ტექსტი დიდი მოცულობისაა და თავად კი დრო აღარ ჰქონდა, მათხოვა რვეული, რომელშიც ვაჟის ქართული სიტყვები თურქული ასოებით ჰქონდა ჩანერილი და იმ რვეულიდან გადმოვწერე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ვაჟის ტექსტი მეტ-ნაკლებად ერთნაირია შავშეთსა და კლარჯეთში; იქ მოღვაწე ყველა იმამს აქვს მისი ჩანანერი თურქული ასოებით და იმით მოძღვრავენ მრევლს.

ვაჟის ყოველი სტროფი მთავრდება უფლისადმი ვედრებით, შეიბრალოს ხალხი: „ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!“ დასაწყისი სტრიქონები კი ყველა ვარიანტისათვის, რომლებიც გავრცელებუ-

ლია როგორც შავშეთსა და კლარჯეთში, ისე აჭარაში, ერთგვარი უვერტიურაა, რომელიც ერთის მხრივ ახდენს მორწმუნეთა მობილიზებას უფლისადმი ლოცვის აღსაველენად, მეორეს მხრივ კი პირველი სტრიქონიდანვე გამოკვეთილად მიანიშნებს, რომ ეს ვაჰზი, იგივე „ყურანის ქადაგება“, როგორც უწოდებენ, „გურჯიჯე ენით“ ითქმის. ვფიქრობთ, შესავალშივე ამგვარი მიმართვა მუსლიმებისადმი ერთის მხრივ „ერთგვარი თავის მართლებაა, რადგან დარღვეულია მუსლიმან მლოცველთა ტრადიცია ღვთისმსახურების არაბულ ენაზე შესრულებისა“ (შოიშვილი, 2011: 179) და მეორეს მხრივ, საფიქრებელია, რომ, რაკი ქართულ ენაზე მოლაპარაკეთათვის ქართულად ყურანის ქადაგების შექმნა გახდა საჭირო, იმთავითვე ქართულენოვან მსმენელთა გულისმოგებაც იყო ჩადებული; ეს დიდი „დათმობა“ უნდა ყოფილიყო, რადგანაც „ყურანი“ იკითხება მხოლოდ არაბულ ენაზე, იმ ენაზე, რომლითაც წმინდა მუჰამედს უკარნახმა უფალმა.

თახსიმ ჩელიქისეული „ქართული ვაჰზის“ პირველივე სტრიქონში ზმნა „ვთქვათ“, „ვექნათ“, როგორც ეს შავშურსა და მრავალრიცხოვან აჭარულ ვარიანტებშია („ერთი ვაჰზი ვთქვათ გურჯიჯა ენით“) იკითხება სიტყვით „თავათ“, რაც კიდევ უფრო გახაზავს და ამკვეთრებს განწყობას, რომ ქადაგება თვით ქართული („გურჯიჯე“) ენით წარიმართება; ამასთანავე, ნიშანდობლივია ისიც, რომ გამჩენელისადმი ვედრება, ლექსის თანახმად, ყველა ენაზე დასაშვებია:

ერთი ვაჰზი თავათ გურჯიჯე ენით,  
გამჩენელი დევეჯეროთ ჰემ სულით, გულით,  
ვეხვენოთ გამჩენელს სუ ყველა ენით.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

თუ პირველი სტროფი გამჩენელი ღმერთის დიდებაა, რომელსაც ყველა ენით ეხვეწებიან მორწმუნენი, მეორე სტროფი მიძღვნილია მუჰამედ ფელამბერისადმი, ვინც „კითხვა და ლოცვა“ ასწავლა მუსლიმებს:

კითხვა და ლოცვა ემრი გვიზამა,  
გვანავლა თელი ჩვენ ფელამბერმა.  
ეყურბანოს მას სულმა და გულმა!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

„ქართული ვაჟი“ მოუწოდებს მორწმუნეებს, ამქვეყნად გაიჭირონ, იკითხონ მუსლიმთა წმინდა წიგნი და ინამონ, რაც იქ სწერია, რადგანაც ამქვეყნად მხოლოდ სტუმრები ვართ და სულ ცოტა ხანში დავიხრცებით („მეზარში წავალთ“).

ყურანის ხალხური ქადაგების თანახმად, ამქვეყნად ცოტანი არიან ნამდვილი მორწმუნენი; იძახიან, მუსლიმანი ვარო, მაგრამ ტყუიან. მორწმუნეთა გადაგვარებას „ვაჟი“ ამგვარად ხატავს:

ლოცვა და კითხვა დეჰკარქა, წევდა,  
სულ ყველამ მისდა დუნაში წევდა;  
ქალებმა კაცის უმფოსი გახდა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!

ადამანებს, რომლებიც არ ლოცულობენ, „ვაჟის“ თანახმად, ძალი და ღორი სჯობს; ურწმუნოთ სასტიკი სასჯელი ელით ჯოჯოხეთში:

ულოცავი ქალი, კაცი თუ არის,  
ძალი და ღორი მასზე კაჟ არის;  
დეიხრუკვის ჯეჰენემში მისი ხელ-ფეხი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!

ურწმუნოებად, რჯულის ნამბილწველებად ცხადდებიან ჩაცმას გადაყოლილი ქალები, არამი ქონების მომხვეჭელნი. „ქართული ვაჟი“ უქადაგებს მორწმუნეებს, ნუ გამოედევნებიან ქონების შეძენას, რადგანაც ყველაფერი მატერიალური ამქვეყნად რჩება:

დაგრება ამ დუნაში სახლი და კარი,  
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი.  
მეზერში მოვა მუნკირ ნეკირი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!

იმქვეყნად ადამიანს ყველაფერი მოეკითხება, ჩადენილი ცოდვებისათვის სასტიკი სასჯელი ელის. ცოდვილებს ჯოჯოხეთის საშინელ სურათს უხატავს „ვაჟი“, მაღლიანებისათვის კი ღიაა სა-მოთხის („ჯენნეთის“) კარი:

მოვლენ მელაქები, მოგვიკვარებენ,  
ჯენნეთის კარებ ჰემ გიგვილებენ,

ალარ გვაქ შიში, თემენას გვიზამენ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

„ქართული ვაჟი“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს წმინდა ფადიმეს („ჰაზრეთი ფადიმე“), იგივე მუხამედ ფელამბერის ქალიშვილს, რომელსაც მუსლიმების დედად აცხადებს („ის არის ჩვენი სუყველას დედა“) და „დიდ სულთანს“ უწოდებს:

ჰაზრეთი ფადიმე ამ დუნაას მოვდა,  
ის არის ჩვენი სუყველას დედა.

.....

ჰაზრეთი ფადიმე დიდი სულთანი,  
სულ თელი ქალი მასზე ყურბანი,  
ფელამბერის გოგო, სული და ჯანი!

ფადიმე, ანუ ფატიმა, ამავე დროს მუსლიმთა დიდი წმინდანის – ხეზრეთი ალის, ანუ ალი იბნ აბი ტალიბის მეუღლე იყო. ფადიმე სულთანი ერთ-ერთ ყველაზე სათაყვანებელ ქალად ითვლება მუსლიმურ სამყაროში (შიიტურ-ისმაილიტურ წრეებში). აღსანიშნავია ისიც, რომ „ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების შედეგად, ფატიმას კულტი გამდიდრდა ღვთიშობელთან დაკავშირებული მოტივებით; მას ხშირად მოიხსენიებენ „ქალწულად“, „უფროს მარიამად“ (ისლ., ენც. ცნობ., 1999: 188). ვფიქრობთ, „ქართულ ვაჟში“ წმინდა ფადიმეს (ფატიმას) მოხსენიება „სუყველას დედად“ სწორედ საღვთისმშობლო სიმბოლიკიდან უნდა მოდიოდეს.

წმინდა ფადიმეს ქების შემდეგ ვაჟი წარმოაჩინეს უბადრუკ ქალთა მანკიერ მხარეებს და სინანულით დასძენს:

ვაჟ გეიგონებიან, ბუკ მაარიდებიან,  
სიმღერის გამგეს თავპირ დეისკუივენ,  
მეიგებენ ცოდვებს, სახლებში მივლენ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!  
ეზარებიან ლოცვა, ჰემდა სუფთობა,  
ზიბილია თავამდი მათი ურუბა;  
იმ დუნაას დახდებიან მათი გონჯობა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

ამგვარ ადამიანებს იმქვეყნად, „ქართული ვაჟის“ თანახმად, სასტიკი განაჩენი ელით:

ეზრაილი მოვა იმ ავათყოფზე,  
დაგვასობს ჩენგელ გულის კაკლებზე,  
გავაქცევთ თუალებს მაშინ თავანზე.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

„ვაჟის“ სწავლების მიხედვით, ჭეშმარიტი მორწმუნენი ამქვეყნად ჭამა-სმას არ უნდა გადაჰყვენენ, უნდა მოერიდნენ დიდსაც და პატარა ცოდვებსაც, მეზობლისთვის სიკეთე უნდა ემეტებოდეთ, არამი ლუკ-მა არ უნდა შეჭამონ, დღეში ხუთჯერ უნდა ილოცონ, გულით უნდა უყვარდეთ „ღმერთის საყვარელი“ მუხამედ ფელამბერი“, არ აწყენი-ნონ მშობლებს და მოძღვარს (ხოჯას), ებრალებოდეთ უპოვარნი და უყვარდეთ სტუმარი. თუ ყველაფერ ამას შეასრულებენ, მაშინ

მადლი ნასაქმი მოვა ჩვენ ხელში,  
ავდგებით მაშინ მაჰშერმეედანში,  
მაშინ გვექნება ბევრი თალაში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

იმას კი, ვინც არ იწამებს „ყურანის“ ქადაგებას, ჯოჯოხეთის ცე-ცხლი ელოდება:

თუ არ გაქ იმანი, ჩახვალ მეზარში,  
დაგარტყმენ თოფუზსა, ნახვალ გეზაპში,  
არ გაგაქცევენ, ნეხვიდე კარში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

ამიტომაც მოუწოდებენ მორწმუნეთ:

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეფჯერე,  
ამ დუნაას ცეცხლის ცრემლით იტირე,  
ჭკვაში მოე, დუნააში კარგა დეფიქრე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

„ქართულ ვაჟში“ გამოტანილია დასკვნა, რომ ამქვეყნად უნდა იტანჯო, რათა იმქვეყნად „მეზარი გიგიხდეს ჯენნეთის ქოშქმა“.

სამოთხის („ჯენნეთის“) სიკეთე ლექსში ამგვარად არის დახატული:

ჯენნეთი იცოდე, რომ რანაირი არის:  
ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური,  
ებედულ აბათ ზეჟი სეფა არის.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

.....

არ არი ჯენნეთში დერდი და ტკივილი,  
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკდილი,  
არ არი სიბერე, ყველაჲ ახალი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

საბოლოოდ კი ნათქვამია, რომ ადამიანის „ენა ვერ იტყვის ჯენნეთის სეფას...“ და ისევ და ისევ გვეძლევა მკაცრი გაფრთხილება, რომ მორწმუნეებმა გულმხურვალედ უნდა ილოცონ და „დეიჯერონ მუსლიმანობა“, ნამუსიანად იცხოვრონ „ამ დუნაალუღზე“, რადგანაც ამქვეყნიური „მადლი და კარგობა“ იმქვეყნად გამოადგებათ:

ისე ამ დუნაში მადლი, კარქობა,  
შენი ქეიფია, გინდა გონჯობა,  
ბელქი იმ დუნაას გაქ იგითობა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

ისევე, როგორც „ქართული ვაჰზის“ შავშურ ვარიანტებში, კლარჯულ ვარიანტებშიც ხაზგასმულია, რომ ეს „ვაჰზი“ ქართულენოვანი მსმენელისათვის არის განკუთვნილი, ქართულ ენაზეა, ვერავინ მოიმიზეზებს, რომ ვერ გაიგო და ვერც იმას იტყვიან, რომ ხოჯა (მასწავლებელი) ვერ ნახა:

შენ თუ არ იცი, არაბზე, თურქზე,  
შენ ხომ გეგონე ვაჰზი გურჯიჯე?  
ვერ იტყვი იმ დუნაას, ვერ ნახე ხოჯა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

„ვაჰზის“ ბოლო წარმოადგენს საყოველთაო დალოცვას:

მანერალი, მაკითხავი, დამყურებელი,  
ღმერთო, შენ გუუღე ჯენნეთის კარი!



გურჯიჯე ვაზი გათავდა თელი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

შავშური „გურჯიჯე ვაზის“ ანალიზისას (შოიშვილი, 2011: 179-183) ჩვენ შევეხეთ მისი ავტორობის საკითხს და გავიზიარეთ მკვლევარ ზურაბ თანდილავას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული „ყიამეთის ლექსისა“ თუ სხვა დიდაქტიკური ხასიათის ეგრეთწოდებული „ბე-ითების“ ავტორია ცნობილი აჭარელი (ჭვანელი) ნიჭიერი სახალხო მთქმელი რეჯებ ქემალის ძე მჟავანაძე, რომელიც მედრესეს კურსდამთავრებული იყო და მოლად იწოდებოდა (თანდილავა, 1982: 16-19); ამასთანავე, გამოვთქვით მოსაზრება, რომ შესაძლებელია, შავშეთში გავრცელებული „გურჯი ვაზის“ ავტორიც რეჯებ მჟავანაძე იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ „ვაზიც“ სასულიერო-დიდაქტიკური ხასიათისაა და მისი გავრცელების არეც იგივე ლოკალია, რაც – „ყიამეთის დესთანისა“. ჩვენეული მოსაზრება მით უფრო სარწმუნო გახდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რეჯები, რომელიც 1873 წელს დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში, დაამთავრა ჭვანის მედრესე და ერთ ხანს იქვე ეწეოდა სასულიერო მოღვაწეობას, რუსული მმართველობისადმი შეურიგებლობამ ჯერ გააფირალა, შემდეგ კი მუჰაჯირი გახადა. სხვათა შორის, საკუთარ ლექსებს რეჯებ მჟავანაძე ხელნაწერი გზით ავრცელებდა. მას ქართული წერა-კითხვა არ სცოდნია, საკუთარ ლექსებს არაბული ან თურქული ასოებით იწერდა რვეულში. ხშირად ლექსების ჩანაწერებს იგი ახლობლებსაც ჩუქნიდა. გადმოცემის თანახმად, ერთი ხელნაწერი მას დაუტოვებია სოფელ ღორჯომში, ერთი – ჭვანაში (ნბიფა, საქმე №182: 111-114); ერთი ასეთი ხელნაწერი რვეული 1919-1920 წლებში გადაუწერია სოფელ კურცხლების მკვიდრს – მუხამედ ჯორბენაძეს (თანდილავა, 1982: 22), თუმცა ბოლო დრომდე ვერცერთს მიაკვლიეს. მართალია, არც ის ვიცით, ეს ლექსები რომელი შრიფტით იყო გადაწერილი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართულით არ იქნებოდა, რადგან რეჯებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. „სავარაუდოა, რომ უფრო თურქულ შრიფტს გამოიყენებდა, რადგანაც ამ სახით ადვილად გავრცელებოდა ხალხში“ (შოიშვილი, 2011: 183). ისიც ცხადია, რომ რეჯებ მჟავანაძის რეპერტუარი დიდი პოპულარობით სარგებლობ-

და როგორც აჭარაში, ისე თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული საქართველოს მკვიდრთა შორის. ამავე დროს, როგორც შავშურ „გურჯულ ვაზზე“ მსჯელობისას აღვნიშნეთ, „თუკი სადავო არ არის, რომ რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „ყიამეთის დესტანი“ რეჯებ მჟავანაძეს ეკუთვნის (თანდილავა, 1982: 18; დავითაძე, 1993: 77), მაშინ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ იმავე ხასიათის, იმავე სტილითა და განწყობით შეთხზული „გუჯიჯა ვაზის“ ავტორ-მთქმელიც რეჯებ მჟავანაძეა“ (შიოშვილი, 2011: 183).

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ კლარჯეთში, სოფელ ჯივანში, ჩვენ მიერ ხოჯა თახსიმ ჩელიქის რვეულში ზემოთ განხილული „ქართული ვაზის“ გვერდით აღმოჩნდა, აგრეთვე, სასულიერო-რელიგიური ხასიათის ლექსი „ოჲ ყიამეთი“, ანუ ეგრეთწოდებული „ყიამეთის დესტანი“, როგორც აჭარაში უწოდებენ.

სოფელ ჯივანის ხოჯის – თახსიმ ჩელიქის რვეულიდან 2007 წლის 29 ივლისს გადმოვწერე, აგრეთვე, რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „ოჲ ყიამეთი“, რომელიც კლარჯეთშიც და აჭარაშიც ძირითადად „ყიამეთის დესტანის“, „ყიამეთის ლექსის“, „ყიამეთის ბეთის“ სახელით არის ცნობილი. როგორც ბატონმა ახმედმა გვითხრა, იგი ამ ლექსს „ქართულ ვაზთან“ ერთად მრევლს უკითხავს.

როგორც ზემოთ, „ქართულ ვაზის“ გენეზისზე მსჯელობისას, აღვნიშნეთ, მისი ავტორია ცნობილი ჭვანისხეობელი მელექსე-მოშაირე რეჯებ ქემალის ძე მჟავანაძე, რომელიც სოფელ გომარდულის მკვიდრი იყო, ცხოვრობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ოსმალეთში გადაიხვეწა (თანდილავა, 1982: 11-13).

რეჯებ მჟავანაძის რეპერტუარი და მათ შორის „ყიამეთის ლექსიც“ („ოჲ ყიამეთი“), დიდი პოპულარობით სარგებლობდა აჭარის მოსახლეობაში და დღესაც ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია, რასაც მოწმობს შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე ჩანერილი და დაცული ათეულობით ვარიანტი ამ ლექსისა. ბუნებრივია, რუსულ მმართველობას თურქეთში გაქცეული რეჯები თავის განუყრელ ჩანანერთა რვეულბსაც თან წაიღებდა, რამაც თავისთავად შეუწყო ხელი მისი შემოქმედების,

განსაკუთრებით კი დიდაქტიკურ-მორალისტური და რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსების, გავრცელებასა და პოპულარობას მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობაში. ამგვარი ნიმუშები, როგორც ჩანს, დიდად ეხმარებოდა (და ახლაც ეხმარება) ხოჯებს არაბული და თურქული ენების არმცოდნე გურჯებში ექადაგათ რელიგიური დოგმები, რისი დასტურიც არის ის ფაქტი, რომ შავშეთშიც და კლარჯეთშიც „ქართული ვაჰისა“ და „ოე ყიამეთის“ ტექსტები იქაურ ხოჯებს საგულდაგულოდ აქვთ გადაწერილი, რისი ტრადიციაც რეჯებ მჟავანაძისაგან მოდის.

„ყიამეთის ლექსის“ კლარჯული ვარიანტი, ისევე, როგორც „ქართული ვაჰი“, ძირითადად თანხვედბა აჭარაში გავრცელებულ ვარიანტებს; იგი იწყება მკაცრი გაფრთხილებით, რომ „ყიამეთი“, იგივე წარღვნა, ანუ მეორედ მოსვლა, მოახლოებულია და მოუწოდებს მუსლიმანებს, ღმერთს წყალობა შესთხოვონ:

ოე, ყიამეთი ახლოს არის,  
იცლება დრო, ზამანები;  
ვინც რომ ვართ მუსლიმანები,  
ღმერთ შევტიროთ იმანები!

ლექსი შეულამაზებლად წარმოაჩენს წარმავალ წუთისოფელში ადამიანთა ამო ფუსფუსსა და მცდელობას და გამოაქვს მკაცრი დასკვნა: სიკვდილს ვერავინ გადაურჩება, ვერანაირი ეროვნებისა და შეძლების ადამიანი, ერთ დღეს ყველა მოკვდება:

სიკვდილ ვერვინ გუდურჩება,  
იგითი და ფირალები!  
თათარ-ქართველი, ხუონთქარი,  
ხემნიფე და ქიბარები.  
ვერც ქართველი, ვერც თათარი,  
ვერცდა გობერნატორები!  
ვერც ავროპა გუდურჩება,  
ქუვეყნის იმპირატორები!

და, რაკი ბოლო სიკვდილია, ლექსის პათოსი ცალსახაა: ადამიანს იმქვეყნად მადლი უნდა წაუძღვეს, რაც ამქვეყნად ლოცვა-მარხვითა და ზნეობრივი ცხოვრებით მიიღწევა. ლექსში გამოკვეთილია

თვად ავტორის პიროვნებაც: იგი მიმართავს საკუთარ მარჯვენას („მწერალ ხელს“), რომელიც ერთ დროს გაჩერდება:

ეა, ჩემო წერალო ხელო,  
ერთ დღეს შენაც გაჩერდები,  
სიკდილსაც რომ დეინახავ,  
ავად ყოფნას დაჯერდები.

ლექსში „ოე ყიამეთი“, რომელიც ფაქტობრივად მუსლიმთა წმინდა ნიგნის – „ყურანის“ მოძღვრებათა ქადაგებაა (რეჯებ მჟავანაძეს სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული), ადამიანის ავადმყოფობა, ცოდვების მომხსნელად მიიჩნევა, მაგრამ იქვე მინიშნებულია, რომ „მუდამ დერდი, ავათ ყოფნა“ ძნელი გასაძლება და ამიტომაც ადამიანმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელობით უნდა აიცილოს იგი.

ადამიანის სიკვდილი და მიცვალებულისათვის წესის აგება ზედმინევენით ზუსტად, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე მუქი ფერებით არის დახატული „ყიამეთის“ ლექსში, რაც, ბუნებრივია, ემსახურება მორწმუნეთა „გათვითცნობიერებას“, თუ რა შეიძლება მოელოდეთ, თუკი „საჯენნეთოდ“ არ არიან გამზადებულნი.

ლექსის თანახმად, ჯოჯოხეთში მოხვდრილები სასტიკად იტანჯებიან; ისინი ისე განწირულად ყვირიან, ადამიანებმა რომ ეს ხმა გაიგონონ, ცოცხალი არავინ დარჩება. მათი ყვირილი, თურმე, მხოლოდ საქონელს ესმის და სწორედ ამიტომ ბერდებიან ნაადრევად:

საქონელმა რატომ იცის  
მეტი ადრე დაბერება –  
კდარის ყვირილსა გონილობს,  
იმაზე ადრე ბერდება.

ჯოჯოხეთის საპირისპიროდ იხატება სამოთხის სურათი. სამოთხე კი მხოლოდ მათთვის არის გამზადებული, ვინც მინიერი ცხოვრებისას მადლს თესავს, ლოცულობს, მარხულობს, გულში სიბოროტეს არ გაივლებს.

„ოე ყიამეთის“ ქადაგებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სტუმართმოყვარეობის სიკეთეზე; სულ მცირეოდენი რწმენა და სტუმრის სიყვარული საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი ჯოჯოხეთში არ დაიტანჯოს:

პანაჲ იმანიც თუკი გაქ,  
სტუმარიც თუ გეყვარება,  
შენი ნაჭმევი პურები  
იმ დღესაც დეგეხმარება.  
ასე კაჲა მუსაფირზე  
ხიზმეთი მომსახურება.

ლექსის თანახმად, ცოცხალი ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რა დღეშია ცოდვილი მიცვალებული:

ცოცხალმა კდარი რა იცის,  
რა დაღრაფში, რა ჰალშია!..

ამიტომაც ურჩევს ყველას, ჭკუა იხმარონ და ცოდვები მოინანიონ.

ლექსში საუბარია ჯოჯოხეთის ხიდზე, რომელიც, თურმე, სამიათასი წლისაა, მახვილივით მჭრელია და ბენვზე უფრო წვრილი; უმადლო მასზე ვერ გაივლის, ჩავარდება და ცეცხლში დაიწვება; მადლიანები („საჯენნეთოები“) კი ზოგი ელვასავით გაივლის, ზოგი – ქარივით.

ლექსი მუსლიმებს ურჩევს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ რამაზანის მარხვის მიმართ, რადგანაც ამ დროს ეშმაკებს ხელ-ფეხი ეკვრებათ და სამოთხის შვიდი კარი იღება:

რამაზანში შეიკრება  
ეშმაკების ხელი, ფეხი;  
ნამდვილაჲ დაყრილია  
შვიდი ჯეხენნემის კარი.

სამოთხეში მოხვედრილს, რომელმაც რამაზანის მარხვა შეინახა, ლოცავენ ანგელოზები და, ამავე დროს,

რამაზანის დამკავებელს  
ჰემ რაზი ყავს ფეჲლამბერი.

„ყიამეთის დესთანი“ მორწმუნეს იმასაც ასწავლის, თუ როგორ უნდა იკვებოს რამაზანის მარხვაში:

რემეზანში უნდა ჭამოთ  
ჰელალი ჯალი, ყველი...

საჭიროა, აგრეთვე, უანგაროდ დაეხმარნენ უპოვრებს და გაიკითხონ ისინი:

სუყველანი შეინყალოთ  
ეზოში მოსული თხოვნელი.

ლექსის თანახმად, უპოვართათვის აუგის მთქმელი ჯოჯოხეთში სასტიკად ისჯება – ენაზე გველი ეხვევა და საკუთარი ნალოციც კი ველარაფერს შველის.

თავის ქება და ამპარტავნობა სასტიკად დაგმობილია „ყიამეთის ლექსით“; იგი მოუწოდებს ყველას, დიდსა და პატარას, შინაურსა და გარეულს ტკბილად დაელაპარაკოს:

...დიდსა, პანა მეზობელსა  
ყველას უთხარი კაე ენავო!

ლექსის ბოლოს ნათქვამია, რომ არაბულ ენაზე არსებული ზნეობრივი სისპეტაკენი წიგნიდან არის ამოწერილი და ქართულ ენაზეა თარგმნილი, რისთვისაც ავტორი ღმერთის შემწეობას ითხოვს:

აი, ქართულზე გამეგტანე  
ნესიხეთი არაბული;  
ქითაბიდან ამოვწერე,  
ღმერთო, მიყავი ყაბული!

ამავე დროს, ავტორი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ეს რელიგიური სწავლებანი ამოღებულია როგორც უშუალოდ წმინდა წიგნიდან („ყურანიდან“) ისე – ყურანისეული ლექსებიდან (აეთეზიდან) და გადმოცემებიდან მოციქულ მუჰამედის შესახებ, ანუ ჰადისებიდან:

ამ ნასიხათსა გებნევი,  
წმინდა არაბი წიგნიდან,  
აეთიდან, ხადისიდან,  
ქითაბიდან და წიგნიდან.

ლექსის დასასრულს ნათქვამია, რომ ადამიანს ასწლოვანი სიცოცხლის განმავლობაში ხელგაუჩერებელი წერაც კი არ ეყოფა ლოცვისა და მარხვის მადლის სრულად ჩამოსათვლელად:

ას წელიწად რომ ვიცოცხლო,  
რომ არ გავაჩერო ხელი,  
ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლი  
კი არ დეწერება თელი.

ლექსის ავტორი რომ ნამდვილად რეჯებ მჟავანაძეა, რომ სწორედ მას გადმოუთარგმნია ქართულად ყურანისეული სათნოებანი და გაულექსავს კიდევ, მეტყველებს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული „ყიამეთის ლექსის“ მრავალი ვარიანტის დასასრული. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ლექსის ბოლოში, სადაც, კლარჯული ვარიანტის მსგავსად, საუბარია იმის თაობაზე, რომ ასი წლის სიცოცხლევ არ ეყოფა ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლის აღწერას, ამ საქმის მქნელის (არაბულიდან ქართულად მთარგმნელის – თ.შ.) – რეჯებ მჟავანაძის ამაგიც სხვებისათვის რომ სარწმუნო იყოს, იგი ღმერთს სთხოვს, მისცეს სიკეთე, არ ჩააგდოს გასაჭირში, არ გახადოს სხვაზე დამოკიდებული და სამოთხე დაუმკვიდროს:

ას წელიწად რომ იცოცხლო,  
რომ არ გააჩერო ხელი,  
ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლი  
კიდევ არ დეფლება თელი.  
და ემევიც ამის მქნელის  
რომ იყოს სხვისთვის გეჩეჟი,  
მჟავანაძე გეახლები,  
სახელათ მქვია რეჯები,  
ღმერთო, იმანი მომეცი,  
არ მანვიო ღეზები!  
სხველავათ გათავდა,  
არ მიქნათ მინნეთი;  
ღმერთო, შენ შემიბრაღე,  
მომეცი ჯენნეთი! ამინ!

(აჭ. სახ. მთქ. ანთ., 1998: 100)

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ „ყიამეთის ლექსს“ უმეტესად ქალები სწავლობდნენ და რელიგიური დღესასწაულების დროს ასრულებდნენ. ამას ადასტურებს 1970 წელს ქედის რაიონის სოფელ

ხარაულაში მცხოვრები სულთან აბუსელიძის ნაამბობიც: „როცხა მეველუდი გვექონდა, ან მეზობელს ქონდა, იქ თუ ვიყავ, დამაჟღერებდენ და მეველუდის დამთავრების მერმე მათქმევიწებდენ, მადლიავო... ხანდახან ნადშიც ვიცოდით თქმა, სიმინდის სარჩვევლში, ყანი ფხეკისას და რა ვიცი... ზამთარში ქალები მაგისტოვინ მიეყრებოდენ ჩემთან და ხანდისხან ორჯერ მათქმევიწებდენ“. საყურადღებოა ისიც, რომ თავად მთქმელს – ქალბატონ სულთანს ეს ლექსი ქალიშვილობისას დაუსწავლია დედისაგან (ბსუ ნბიფა, საქმე №147).

მართალია, კლარჯეთსა და შავშეთში „ყიამეთის დესთან“ ქალთა რეპერტუარი არ არის, მას ხოჯები იყენებენ ქართულენოვანი მრეველის დასამოდვრავად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კლარჯი ჩვენებურები ქართულ ენაზე ისმენენ ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ ქადაგებას, რომელშიც დანვრილებით არის ჩამოთვლილი ის ძირითადი ზნეობრივი სათნოებანი, რომლის შესრულებაც ჭეშმარიტი მორწმუნის ვალია. მთქმელი მოუწოდებს ყველას, იცხოვრონ რწმენით, ლოცვითა და მარხვით, რათა საიქიო სამყოფელში სამოთხის შვიდივე კარი გაეხსნათ.


ლექსის თანახმად, ქვრივ-ობოლ-გლახაკთათვის გაღებული მოწყალება, მათი მადლი და ლოცვა ანთებული ჩირაღდანით გაუნათებს გარდაცვლილს სამოთხის გზას. ლექსში ერთმანეთის გვერდით დახატულია თვალწარმტაცი სამოთხე, სადაც მუდმივი ნალკოტია და ბნელეთით მოსილი ჯოჯოხეთი თავისი საზარელი კუპრის მდინარით.

ავტორ-მთქმელი ცდილობს, ადამიანი დაარწმუნოს, რომ ფუჭია ის ქონება, ფული, რომლისთვისაც იბრძვის; რომ აუცილებელია წარღვნის დადგომას ყველა მონანიებული შეხვდეს, რათა მათი სულები სამუდამოდ დამკვიდრდნენ სამოთხეში.

„ოჲ ყიამეთი“ იმისთვის არი, რომე გაფგონო შენი ყურიო, თუ გონჯი იქნები, რა მოგელის. ის გვასტავლის ერთმანობაში კაჲ ვიყოთ, გონჯი სიტყვა არ ვთქვათ. ის ჭკვის მასტავლებელია“, – ბრძანა გასულ საუკუნეში, 1970 წელს, 72 წლის ხარაულელმა სახალხო მთქმელმა ქალბატონმა სულთან აბუსელიძემ; „ეს ბეთია, გამოთქმულია ლექსათ, რომ ქართულათ ნევეკითხოთ და გევეგოთ. კაცმა ყველაფერი კაი'და გააკეთო. აი ლექსი ისევ ჩვენი ხალხის გამოთქმულია. ხოჯამაც მოიწონა, იმფერი კაი ნათქვამია. ქითაბიდან მაი არაა, მაგი ადამიანის გზა-კვალი გაკვლევისთვისა; იმისთვის



წეიკითხავდენ მაგინეფს, რომ ისტავლონ ეს სოფლიური ამბავი, – ასე აუხსნა 1970 წელს ლექსის მისია მკვლევარ აზიზ ახვლედიანს „ყიამეთის ლექსის“ ერთ-ერთმა აჭარელმა მთქმელმა თემიზალ მამულაძემ, რომელმაც მისეულ ვარიანტს ბევრი ახალი შესძინა, სრულიად ორიგინალური დასასრული მისცა და „გამომთქმელადაც“ საკუთარი თავი წარმოადგინა. ჩვენ მიერ განხილული კლარჯული „ოე ყიამეთის“ ფუნქციაც, „ქართულ ვაჰთან“ ერთად თავის დროზე სწორედ ის იყო, რომ თურქულისა და არაბულის არმცოდნე მუსულმანი გურჯებისათვის მშობლიურ ენაზე მიეწოდებინათ ყურანისეული ქადაგებანი, რაშიც თურქეთში გადახვენილი ჭვანელი სახალხო მთქმელის – რეჯებ მჟავანაძის მიერ, როგორც თავად მიუთითებს, არაბული წიგნიდან გადმოთარგმნილმა და ლექსად გაწყობილმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა ტექსტმა დიდი სამსახური გაუწია როგორც იმ ეპოქის ხოჯებს, ისე – თანამედროვეთ, რომელთა დახმარებითაც კლარჯეთში მოვიპოვეთ ეს მშვენიერი ნიმუში.



სოფ. თავისოფელი, 2007 წ.  
პროფესორები – მამია ფალავა და შოთა მამულაძე მთქმელთან –  
სულეიმან (ეზიზალა) ბაილინთან (კამკამიძე)

## შელოცვა

ქართული ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრი შელოცვა ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია როგორც ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა, ისე თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში კლარჯეთიდან მიგრირებულთა შთამომავლების ფოლკლორულ შემოქმედებაში. ჩვენებურების მეხსიერებამ კარგად შემოინახა ქართული ხალხური მაგიური პოეზიის ეს საინტერესო უბანი მთელი მისი რიტუალითა და სიტყვიერი ქსოვილით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ ხვავრიელად დააფიქსირა როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო შელოცვები.

## სამკურნალო შელოცვები

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა რეგიონში ძველთაგანვე პოპულარული სამკურნალო შელოცვა გათვალისწინებული „თვალციემისა“ („თვალნაცემისა“); ამასთანავე, კლარჯმა მუჰაჯირებმა და მათმა შთამომავლებმა ახალ საცხოვრისშიც უერთგულეს მამა-პაპათა ტრადიციას – გამოეყენებინათ სიტყვიერი მაგია ავი, ბოროტი თვალის მოსაშორებლად. ამ ტრადიციული შელოცვის უამრავი ვარიანტი ჩავინერეთ კლარჯეთის სოფლებში (ქლასკური, ოზმალი, მარადიდი, ტრაპენი, ბუჯური, არხვა, დევესელი) და, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ ბურსას, საქარიას, ბალიქისერის, ქოჯაელის პროვინციათა სოფლებში. ეს შელოცვები საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი შავშეთსა და აჭარაში, ბოლო დრომდე ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული

ტექსტების ვარიანტებია, ხშირად კი – იდენტურიც და შესრულების წესებიც არსებითად ერთნაირია. მართალია, მათი ერთი ნაწილი, ზოგადქართულთან შედარებით, უფრო მოკლე ტექსტებია, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აშკარად შეიმჩნევა: სხვა ფანრებთან შედარებით, ყველა სახის შელოცვათა ტექსტებში ნაკლებად გვხვდება უცხოენოვანი (თურქული) სიტყვები, რაც, ბუნებრივია, ამ მაგიური ფანრის არქიტექტონიკის ტრადიციული სიმყარის სიკეთეა.

84 წლის ქლასკურელი სახალხო მთქმელის – ალთუნ თაბანი-საგან 2014 წლის 2 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი „თვალციემის დუა“ ტრადიციული ქართული შელოცვაა, თუმცა – მოკლე ვარიანტი. საქართველოს სხვა კუთხეთა სრული სახის გათვალულის შელოცვებში ავი, ბოროტი ძალის დამარცხება ხდება სამი ფერის (შავი, წითელი, თეთრი) წყალში, ქლასკურულ ვარიანტში კი მხოლოდ შავი წყალია ის ასპარეზი, საიდანაც შელოცვის ძალამ უნდა ამოაგდოს შავი გველი და „მიათვას“ შავ ძალას („შავ კაცს“):

შენ გილოცავ თვალისა,  
უნინ ჩემი თავისა.  
შავისა, შავრუანისა,  
თეთრისა, თეთრუანისა.  
მუუხედე შავსა გვარას,  
მოვდოდა შავი წყალი,  
მოქონდა შავი გველი.  
მივართვი შავსა კაცსა,  
შენზე თვალი მცემელსა  
გულზე ნახვარი,  
თვალში ნაცარი,  
სკუპში ხაშარი!  
შიფა ღმერთიდან!

მთქმელის განმარტებით, შელოცვის „ბოლოში დუუბერავ, იტყვი ტფუო! სამპირაჲ შუულოცო. თუ არგო, გაგამთქნარებს“ (შიომ-ვილი, 2014: 74).

ამ შელოცვის კიდევ უფრო მოკლე ვარიანტი პროფესორმა მამია ფაღავამ ჩაინერა ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში მცხოვრებ ხასან მალჩისაგან

(ნუნეოლი); შელოცვის ამ ვარიანტის მახსოვრობასაც მხოლოდ „შავი წყალი“ შემორჩენია:

შიგილოცავ თვალისა,  
ენნინ ჩემი თავისა,  
შინავრისა, გარეველისა.  
მოვდოდა შავი წყალი,  
იმას მოქონდა შავი გველი.  
ჩავკარ შავი ყავარჯენი,  
ამოვლევი, ვკიდევნი,  
დავეჭარ, დავანანნილე.  
(ფალავა, 2014: 194)

2013 წლის 17 ივლისს სოფელ ლუთფიეში (ქოშქოი) 58 წლის მერემ ილდიზისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი „თვალციემის“ შელოცვა არსებითად ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შელოცვების ვარიანტია. მისი დასაწყისი ეგრეთწოდებული „აბრა-დაკაბრას“ ტიპისაა („ალელისა, მალელისა“), რაც კარგად ერითმება მომდევნო სტრიქონებს და, ამავე დროს, აძლიერებს შელოცვის ქმედითობისადმი რწმენას. ტრადიციისამებრ, შელოცვის „რეცეპტურა“ ავი სულის შავ ქოთანში დამდულვრა და ქარისათვის გატანებაა:

ალელისა, მალელისა,  
თვალი გეცა ქალებისა.  
თეთრი ქალის თვალი გეცა,  
შავი ქალის თვალი გეცა,  
ყირმიზი ქალის თვალი გეცა,  
ყირმიზი კაცის თვალი გეცა,  
გაშპენ, გაცვინდენ  
მათი თვალის კაკლები!  
ჩავყარე შავ ქოთანში,  
ვადულე და ვაპაყაყე,  
ვადულე და ვაპაყაყე,  
ეცტაჲ მალალ სირთზე,  
ალმა ქარ მივე,  
დალმა ნიავე მივე!

მთქმელის განმარტებით, შელოცვის დასრულების შემდეგ შელოცველი გათვალულს შეუბერავს („შუულოცავ და მერე გუდუ-უბერავ“).

კლარჯულ შელოცვაში დადასტურებული მოავთვალის მთაზე (სერზე) აყვანა და იქ მისი ვნება ქართული ხალხური გათვალულის შელოცვათა აუცილებელი ელემენტია, რაც არქაიკაში, ალბათ, გულისხმობდა საერთოკავკასიური ღვთაების – დიდი დედის შეწვე-ნა-დახმარებას, რომლის საბრძანებელიც, მითოსური აზროვნების თანახმად, მთაზე მოიაზრებოდა; ასე მაგალითად, იმერულ შელო-ცვაში ნათქვამია:

...გავიდა მთაზე, თავი დაკრა ქვაზე,  
პირი – სამართებელზე!

(ქ. ხ. შელ., 1994: 47)

გურული ვარიანტით:

ამ ავი თვალით შემომხედვარე  
ევიდა მთაზეო,  
თავი დაკრას ქვაზეო,  
მუცელი – სამართებელზე!..

(ქ. ხ. შელ., 1994: 52)

გათვალულის შელოცვათა თითქმის ყველა კლარჯულ ტექსტში, ზოგადქართულის მსგავსად, გვხვდება თვალისმცემლისადმი მიმარ-თული წყევლა და მუქარა, რაც, შელოცვისეული სიტყვიერი მაგი-ის შემადგენელი ნაწილია:

„...შენი თვალმცემელი  
გაფფუშე და გუუშვიო!“

\* \* \*

„...შენი თვალმცემელსა  
თვალში – ნაცარი,  
გულში – ლახვარი!“

\* \* \*

„...შენ ვინცხამ  
ავი თვალით შამოგხედა,

თვალთან ნაცარი,  
გულთან ნაღვარი!  
ღმერთმა ინსანი არ გაახაროს!”

\* \* \*

„...ვინცხაას რო თვალი გეცა,  
დიდი ყააა იმას დეეცა!”

\* \* \*

„...ვინცხას თვალი შენ გეცა,  
ენ დიდი ქვა მას დეეცა!”

ტრადიციულად ქართული ხალხური შელოცვების ბოლოში შემლოცველი აუცილებლად გამოთქვამს რწმენას, რომ მისი შელოცვა ავადმყოფს შეერგება. შელოცვათა ამ ბოლო ფორმულის ზოგადქართული ვარიანტი დაახლოებით ამგვარია:

ცულის პირით მონაჭარი  
ცულს თუ ტარად დეეგება,  
ეს ჩემი ლოცვა-წამლობა  
ამ ქალს წამლად დეეცხება.

(ქ. ს. შელ., 1994: 11-12)

არსებითად იდენტურია კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებში შემონახული გათვალულის შელოცვის დასასრულიც:

ცული პირის ნატეხი  
გადავადუღე, გადმოადუღე  
შვიდი დღე და ღამისა.  
ცულ ტარად ერგებოდეს,  
ჩემი ლოცვა, ჩემი კითხვა  
აღჰალ ჰემ კიდე მიერგებოდეს!

(ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2014: 210)

სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) 70 წლის ქალბატონის – ხატიჯე ილმაზისაგან 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი გათვალულის შელოცვის ბოლო კი ამგვარია:

...მე ვარ კითხავი,  
ღმერთია შველებელი!

„თვალნაცემის“ შელოცვის საინტერესო ვარიანტი დააფიქსირა თამარ ჩოხარაძემ 2013 წლის 13 ივლისს საქარიას პროვინციის ხენდეკის რაიონის სოფელ გევლში (გიულდიზი) 86 წლის რესმე თაშქანისაგან. შელოცვის დასაწყისი ნაკლული სახისაა – მთქმელს აღარ ახსოვს პირველი სტრიქონი („შეგილოცავ თვალისასა“), რომელსაც მომდევნო (ამ ეტაპზე – პირველი) სტრიქონი ბუნებრივად ითხოვს და რომლითაც ჩვეულებრივ იწყება გათვალულის შელოცვათა უმეტესობა, მაგრამ მასში შემორჩენილია ქრისტიანული ატრიბუტიკა – ნახსენებია დიდი ხუთშაბათი და შვიდი წლის ღვინო:

...უნინ შენი თავისა,  
შინევი – გარეველისა.  
თეთრი, თეთროვანისა,  
შავი, შავგულმანისა.  
შენი თვალმცემელსა  
თვალში – ნაცარი,  
გულში – ლახვარი.  
შვიდი წლის ღვინო –  
დიდ ხუთშაფათ მონურილი,  
ლურსმანი მისი თვალი კაკალში!

შელოცვის თანახმად, დიდ ხუთშაბათს „მონურილი“ (დანურული) შვიდი წლის ღვინო მუსლიმი მთქმელისათვის, რაკი მისი სარწმუნოებით ღვინის სმა იკრძალება, ხოლო ავი თვალის მქონე („თვალმცემელი“) გათვალულის ახლომახლო მოაზრება, ანუ ისიც მუსლიმური აღმსარებლობისაა, ღვინოს, და ისიც – ქრისტიანთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წმინდა დღეს – დიდ ხუთშაბათს დანურულს, ამ შემთხვევაში ავი თვალის საწინააღმდეგო ფუნქცია მიენიჭა; თუმცა, არქაიკაშიც ამ ფაქტს იგივე მისია ექნებოდა ისევე, როგორც – ზოგადქართულ შელოცვებში უხვად გამოყენებულ ქრისტიანი წმინდანებისა (ღვთისმშობელი, იესო ქრისტე, წმინდა გიორგი, მახარებლები და სხვა) თუ ქრისტიანული ატრიბუტიკის (სანთელი, ჯვარი, წმ. გიორგის ლახვარ-ბოძალი და ა.შ) ხსენებას,

ოღონდაც გამთვალავი, რომელიც ქრისტიანს „თვალს სცემდა“, ავსულად, უნმინდურად (არაქრისტიანად) წარმოიდგინებოდა.

კლარჯეთის ულამაზეს სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში, 83 წლის ქალბატონის – ალთუნ თაბანისაგან 2013 წლის 3 აგვისტოს ჩავინერე შეშინებულის შელოცვის ორი მოკლე ტექსტი. ერთი მათგანი ტრადიციული ქართული ხალხური შეშინებულის შელოცვის დასაწყისია მხოლოდ; მთქმელს მეტი არ ახსოვდა:

შეშინებულო სულო და გულო,  
შეშინებულო სულო და გულო,  
შეშინებულო სულო და გულო!..

მთქმელის განმარტებით, ამ შელოცვის თქმისას ნიჩაბზე გიყრია ნაცარი, მიიტან ბუხარში და ზედადგარში ჩაყრი.

მეორე შელოცვის ანალოგი კი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ მოგვეპოვება და ვფიქრობთ, იგი ოდენ მთქმელის ინტერპრეტაციაა, თუმცა დასაწყისი სტრიქონი („შავ კატის ცინტალი“) და დასასრული („მიერგება ღმერთიდან“) უსათუოდ მის მეხსიერებაში წამოტივტივებული ნაფლეთია ოდესლაც დედამთილისაგან ნასწავლი (როგორც თავად აღნიშნა) შელოცვისა. ჩვენ მიერ ჩანერილი ალთუნ თაბანისეული შელოცვა კი ამგვარია:

შავ კატის ცინტალი...  
დღე ამდენი გეყოფა ეს ლოცვა,  
ხვალ ამაზე ბეთერი გახდი!  
მიერგება ღმერთიდან!

კლარჯ ჩვენებურებს შორის პოპულარულია დამწვრის შელოცვა, რომლის მრავალი ვარიანტი დავაფიქსირეთ როგორც ისტორიული კლარჯეთის სოფლებში, ასევე – კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებში, რომლებიც დღეისათვის თურქეთის შიდა რაიონებში სახლობენ. კლარჯული დამწვრის შელოცვებიც ტრადიციული ქართული ხალხური შელოცვების ვარიანტებია, რომლებიც დღემდე გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი – აჭარასა და შავშეთში.

სოფელ ოზმალში 75 წლის ჰაჯერ შეიხოლოღლუსაგან 2007 წლის 31 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილ „დანვილის“ შელოცვაში სი-



ტყვა „ხუცესს“ „ხოჯა“ ჩანაცვლებია, დანარჩენი ტექსტი კი ფერუ-  
ცვლეულია:

– ელი ელიზა, მელი მელიზა,  
ზღვა პიპინობდა,  
ნითელი ხოჯა  
ნითელი ხარებით ხნევდა.  
– რასა?  
– ქვეშა – ჭალასა.  
– ზღვა ხნილი, ქვიშა თესული,  
დამწვარი დაღენებული,  
სამი დღე შველებული!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014; 156)

სოფელ ჯივანში 85 წლის ქალბატონის – აიშე გორმეზისაგან  
(ჰელიმოლლი) 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ დამწვრის შელოცვა-  
ში გამოთქმულია სურვილი იმისა, რომ დამწვარი აღარ გაძნელდეს,  
აღარ მოემატოს:

მესერ ეკიდებოდა,  
მუხას ემფრიალებოდა.  
არც ინვოდა, არც ილანძვოდა,  
დანვილ არ ემატებოდა.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014; 156-157)

მთქმელის განმარტება ამგვარია: „– შვიდ დღემდი ემატება და-  
წვილ. თან უნდა უკითხო, რო არ ნეემატოს“. სოფელ ტრაპენში  
მცხოვრები შემლოცველის – 51 წლის შააზიე ბოლქვაძის თქმით კი  
დამწვრის შელოცვას „დღეში სამი პირ იკითხევდენ. რამდენი დღის  
დანვილიცაა, იმდენს იტყვი – „ერთი დღის დანვილს“, „ორი დღის  
დანვილს“:

ელი ელევა...  
ერთი დღის დანვილს  
ძალმა დასუნოს!  
მე ვარ ლოცავი,  
ღმერთია შველებელი.

(შოშვილი, 2014; 74)

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებსაც შემოუნახავთ დამწვრის („დანვილის“) შელოცვები, რომლებიც, აგრეთვე, ზოგადქართულ ფოლკლორში გავრცელებულ შელოცვათა ვარიანტებია; ამ შელოცვათა ძირითადი ეპიური ნაწილისთვისაც დამახასიათებელია წითელი ფერის (დამწვრობის ფერის) ხშირი ხმარება და, აგრეთვე, ქართული ხალხური „შელოცვებისათვის, როგორც ირაციონალური ტექსტებისათვის, დამახასიათებელი შეუძლებლობის, ანუ აბსურდის, შემცველი სიუჟეტი“ (კიკნაძე, 2008: 233-234); ამ შემთხვევაში – წითელი ხუცესის მიერ ზღვის ხვნა და ქვიშის თესვა:

ელი ლიევდა,  
ზღვა პიპიევდა.  
წითელი ქუცეს  
წითელი ხარი შეება.  
ზღვა ხნული, ქვიშა თესული  
ვის გუუგონია?  
დანვილი –  
სამი დღის შველებული.

(მთქმელი რესმიე თაშქანი, 86 წლის, მცხოვრები სოფელ გევლში (გიულდიბი). ჩაინერა თამარ ჩოხარაძემ 2013 წლის 19 ივლისს)

„დანვილის დუის“ დიალოგური ვარიანტი ჩაინერე 2013 წლის 9 ივლისს სოფელ მურლულში (სირეთიე) მცხოვრები 68 წლის სემაჰათ შექირისაგან. ამ შელოცვის ძირითად ეპიურ ნაწილში წარმოდგენილ დიალოგშიც ხაზგასმულია შელოცვებისათვის ესოდენ დამახასიათებელი აბსურდული ქმედება:

– წითელი ხოჯაა  
წითელი ხარებით  
ყანას ახნევენებდა.  
– რა ყანა იყო?  
– ქვიშაა ჭალა იყო.  
დამწვარი დალენებული,  
სამ დღემდინ მომატებული,  
შვიდ დღემდინ შველებული.

(შოიშვილი, მახარაშვილი, 2013; 85)

მთქმელის განმარტებით, „ულოცავ, როცა საჭიროა, შვიდჯერ“.  
დამწვრის შელოცვის საინტერესო ვარიანტი ჩაინერა გიორგი მახარაშვილმა 2013 წლის 9 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურღულში მცხოვრები 67 წლის ილიას თანისაგან. შელოცვის დასაწყისი ამ შემთხვევაშიც ტრადიციული „აბრადაკაბრაა“, ხოლო დამწვრის განკურნება, ანუ მოშრობა (აშრობა) სიტყვიერი მაგიით ზღვის გაშრობის აბსურდს ემყარება; საინტერესოა ისიც, რომ ამ შელოცვაში, სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ხშირად იხსენიება მაგიური ციფრი სამი, გვხვდება ციფრი შვიდიც:

ელი ბელემდე,  
ბელი ბელემდე.  
ქვა შრებოდა,  
ზღვა შრებოდა...  
ჩემი ამედის დამწვარი  
შვიდი ბათმანი წყალი  
დაეასხი – აშრებოდა.

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ყველაზე პოპულარულია კანის დაავადების – სირსვილის შელოცვის („სირსვილის დუა“) ტექსტები, რომლებიც ზოგადქართულ ფოლკლორში გავრცელებულ შელოცვათა ვარიანტებია. ნიაზ ზოსიძის მიერ იაშარ იაზიჯოღლუსაგან 2013 წლის 9 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურღულში (სირეთიე) ჩანერილი სირსვილის შელოცვის ეპიური ნაწილი, ზოგადქართულის მსგავსად, გვაუწყებს, რომ ალავერდის ჭალაში სირსვილი ყანას ხნავს, მაგრამ „ხარს ტაბიკი უუწყდება“, რის გამოც სირსვილი ქმედებას ველარ აგრძელებს, ანუ დაავადება მარცხდება:

ალავერდი ჭალასა  
სირსვილი ხნავს ყანასა,  
მიანვებოდა ქვეშეთ,  
მიაყრიდა მიწასა.  
ხარ ტაბიკი უუწყდა,  
სირსვილ ფეხი მუუწყდა!

(ფაღავა, 2015: 187)

შელოცვა სრულდება სამ დღეს დილით, უზმოზე. ნემსზე წამოაცვამენ ლობიოს, დაასველებენ და სირსვილიან ადგილზე გარშემო შემოატარებენ: „– სამ დღე ულოცავდენ. ჩემი ბაბანემა, სირსვილი მექნებოდა, ბაბანემა ჩიმიკითხევდა; ლემსზე ლობიო წამააცმევდა, დაასველებდა, სირსვლის ეტრაპში მოარუნიებდა, ჰემ იკითხევდა; არ გეზღებდა... მეშველებოდა. ჩეიკითხევებდა, მოარუნიებდა ლობიო სამ დღე დილაჲ საჭმელი უჭმელაჲ, ხევისი უქნელი...“

იმავე სოფელში 68 წლის სემაჰათ შექერისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი შელოცვის თანახმადაც, სირსვილის მოქმედების (გავრცელების) შეწყვეტა პირდაპირპროპორციულია ტექსტში გამოთქმული წყევლისა, რომ სახნისს, რომლითაც „სირსვილი ხნავდა ყანასა“, „ფესვი ნუუნყდეს“ და „სირსვილ თავი გამუუნყდეს“:

სირსვილი ხნავდა ყანასა –  
ზედასა და ქვეშასა.  
სახნის ფესვი ნუუნყდეს,  
სირსვილ თავი გამუუნყდეს!

მთქმელის განმარტებით, „მზი ამოსლამდე, დილაჲ, შვიდჯერ შუულოცავ. ყურშუმ-ყალემით უხაზავენ სირსვილიან ადგილ. ჰემ ლემსითაც იქნება“.

აღსანიშნავია, რომ წყევლის ფორმულები კლარჯულ სირსვილის შელოცვებშიც, ზოგადქართულის მსგავსად, მრავლად გვხვდება: „ღმერთმა შენ ფესვი გეგინმოს ქვეშა და ქვეშასაო!“; „რავარცხა ქვა და ქვიშა არ გეიხარებს, ისე სირსვილი არ გაახარე!“; „შენ არ გეიხარო, სირსვილო!“; „სირსვილ თავი გამუუნყდეს!“; „სირსვილ ფესვი უწყდებოდა!“; „სირსვილ ქოქი შუუნყდა!“ და ა.შ.

2013 წლის 9 აგვისტოს კლარჯეთის სოფელ ქართლაში 64 წლის მერიემ ერქილიჩისაგან (კუტუნოლი) ჩვენ მიერ ჩანერილი სირსვილის შელოცვის თანახმად, სირსვილისეული აბსურდული ქმედება (ყანის ხვნა) შვიდი წყვილი ხარით არის წარმოდგენილი; ხოლო სახნისის წვერის გატეხვა დაავადების ფესვის ამოგდების ტოლფასია სიტყვიერი მაგიის დონეზე:

სირსვილი ხნევდა ყანასა  
შვიდი წყვილი ხარითა,  
მიაპობდა, მივდოდა;

სახნელს წვერი უტყდებოდა,  
სირსვილ ფესვი უწყდებოდა!  
ჩემი კითხვა ამ სირსვილსა ერგებოდა!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 157)

მთქმელის განმარტებით, შელოცვა შემდეგნაირად სრულდება: „სახლის შუაში დააფურთხებდენ, დააუტუტებდენ, ამოუსვამდენ ნემს იმაში... და სირსვალ შემოუნერავდენ, არ მეემაცოსო“.

ტრაპუნელი მთქმელის – 51 წლის შააზიე ბოლქვაძისაგან 2014 წლის 5 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილ სირსვილის შელოცვაში სირსვილისმიერი აბსურდული ქმედების დღედ ორშაბათია გამოცხადებული:

ორშაფათი დილასა  
სირსვილმა ხნის ყანასა.  
ხარ თაბიკი გუუნყდა,  
სირსვილ ქოქი გამოუნყდა!

მთქმელის განმარტებით, „წვინდა (წმინდა – თ. შ.) ყალემით შამოუნერავ, არ გეიზდას; აა ლემსის წვერით შამოუნერავ. დღეში სამი პირ იკითხავდენ. ანეს ბაბოდან დევნავლე“.

ნიშანდობლივია, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავცელებული სირსვილის შელოცვათა უმრავლესობის თანახმადაც, სწორედ ორშაბათია სირსვილის „გარჯილობისა“ და, აქედან გამომდინარე, მისი „ძირის გახმობის“ დღე. 1972 წელს აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურში ე. ზოიძის მიერ ჩანერილი ვარიანტი ამგვარია:

ორშაბათ ხარი მება  
ალავერდი ჭალასა;  
სირსვილი ხნამს ყანასა,  
ხარ ტაპიკი უწყდებოდა,  
სირსვილს ძირი უხმებოდა.

(ქ. ხ. შელ., 1994: 89-90)

კლარჯ მუჭაჯირთა შთამომავლებს შორის, კერძოდ – ბალიქი-სერის პროვინციის მანიასის რაიონის სოფელ ჯუმჭურიეთში (ძველი სახელია სულთანე) კლარჯეთის სოფელ გევილიდან მიგრირებულითა მემკვიდრის – 84 წლის ნიგარ გუვენისაგან ჩვენ მიერ 2014

წლის 18 ივლისს ჩანერილი სირსვილის შელოცვა დიალოგიური ფორმისაა:

- სირსვილი მივლოდა ყანაში.
- რას თესევა?
- ქვასა და ქვიშასაო.
- ღმერთმა შენ ფესვი გეგინმოს  
ქვეშა და ქვეშასაო!

მთქმელის განმარტებით, შელოცვა ამგვარად სრულდება: „– უკითხავ, დააჟუტავ სირსვილი ძირზე; უკითხავ და გადაბერავ სამი პირი“.

სირსვილის სამჯერ შელოცვა და „ყალემით შამონერა“ გვასწავლა სოფელ ბაგინის მკვიდრმა 80 წლის ჰამიდე ჩელინგერმა (მამისეული გვარია დემირალი), რომლის შელოცვაც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ტექსტებისაგან არაფრით განირჩევა:

- სირსვილი ხნევა ყანას,
- მითესავდა ქვა და ქვიშას;
- რავარცხა ქვა და ქვიშა არ გეიხარებს,
- ისე სირსვილი არ გაახარე!

ქვისა და ქვიშის თესვის აბსურდულობას, როგორც წინაპირობას, რომ დაავადებაც აბსურდულია და მალე გაივლის, გახაზავს, აგრეთვე, ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ექშიდერეში 61 წლის ჰაჯერ ბაროთისაგან 2014 წლის 17 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი შელოცვა, რომელიც, სირსვილის შელოცვის სხვა ვარიანტების მსგავსად, ტრადიციულად წყევლის ფორმულით მთავრდება:

- სირსვილი ხნევა ყანასა,
- უთესებდა ქვასა და ქვიშასა;
- რავაძცხა ქვამა და ქვიშამა,
- ნუ გუუხარავს იმ სირსვილსა!

ექშიდერელი მთქმელიც ხაზგასმით მიანიშნებს, რომ შელოცვა ორშაბათ დღეს („ჯუმართესი“) უნდა შესრულდეს: „– დღეში ერთხელ უკითხავ, ჯუმართესი დღესა. ნივრის კბილი მიწაზე უნდა გაჭყლიტო და სირსვილიან ადგილზე წუუსვა. ლემსით ვიჯები“.

ექშიდერეს მეზობელ სოფელში – ბალჩიდერეში კი სირსვლიან ადგილზე ნაცრის წასმას ამჯობინებენ: „სირსვილის დროს ნაცარ წუუსმევდენ, ნემს მუუარებდენ, გუუარდა“ (მთქმელი აითენ აიდინი, 70 წლის. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 17 ივლისს).

ქვის ქვეშ დათესილის გახარება ეჭვის ქვეშ დაყენებული თხილავორში (ზორლიქოი) მცხოვრები მელაათ ასლანისაგან 2014 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ მცირე ფორმის სირსვლის შელოცვაში:

სირსვილი თესავს  
ხან ქვის ქვეშას.  
რა გაახარია  
ამ სირსვილის ფესვსა!  
(შიოშვილი, 2014: 74)

მთქმელის განმარტებით, „სირსვალი გექნება, იმას გარ ატრილო ლემსი, არ გეიზდესო“.

თამარ ჩოხარაძის მიერ 2013 წლის 19 ივლისს საქარია პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გევლში (გიულდიბი) რესმიე თამქანისაგან ჩანერილი „სირსვილის შელოცვა“ ერთმანეთთან შერიომული ორსტრიქონიანი „აბრადაკაბრით“ იწყება; სირსვილი შვიდი ულელი ხარით ხნავს, მაგრამ „აპუურის განყვეტა“, ტრადიციისამებრ, მისი დამარცხების სანინდარია:

ედემრემუ ემრემუ,  
სეინემა, მუბრემუ.  
სირსვილი ხნევდა ყანასა  
შვიდი ულელი ხარითა;  
გუუნყდა აპაური,  
სირსვილს ქოქი გამუუნყდა!

სირსვილისა და შაკიკის შელოცვათა კონტამინირებული ვარიანტი ჩავინერე 2013 წლის 9 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურკვეთში (მამურიე) 62 წლის საადეთ შიმშექისაგან:

სირსვილისა სივასა,  
როგომ ხარი თივასა.

განვინდეს წვინდა ხერხი,  
გეეპაროს დილასა.

შელოცვის შესრულების წესი კი მოქმელს ზუსტად ახსოვდა: „– ლემსი უნდა დეიჭირო ხელში და მუუარო უნდა. შვიდ დღეს უნდა უკითხო დღეში ერთჯერ“.

სირსვილის შელოცვის ვარიანტი, რომელიც 2014 წლის 17 ივლისს ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ექ-შიდერეში ჩავინერე 61 წლის ჰაჯერ ბაროთისაგან, ტრადიციული დამწვრის შელოცვასთან არის კონტამინირებული, რაც მოულოდ-ნელი არ უნდა იყოს, რამდენადაც ორივე შემთხვევაში კანის დაავა-დებასთან გვაქვს საქმე, რაც ხვნის სიმბოლიკით არის გადმოცემუ-ლი; ტრადიციული დამწვრის შელოცვათა ანალოგიით, ექშიდერუ-ლი სირსვილის შელოცვის ვარიანტში სირსვილი ხნავს და ქვასა და ქვიშას თესავს, რაც აბსურდული ქმედებაა და, სიტყვის მაგიური ძალის რწმენის თანახმად, როგორც ქვა და ქვიშა ვერაფერს აღმო-აცენებს, ასევე ვერ გაიხარებს სირსვილიც, რაც წყევლის ფორმუ-ლაშია გამოხატული:

სირსვილი ხნევდა ყანასა,  
უთესებდა ქვასა და ქვიშასა;  
რავაძცხვა ქვამა და ქვიშამა,  
ნუ გუუხარავს იმ სირსვილსა!

საყურადღებოა ისიც, რომ კანის ამ დაავადების სამკურნალოდ, ქალბატონი ჰაჯერის თქმით, ნემსით გარშემოწერილობასთან ერთად, გამოიყენება ნიორიც, რასაც საქართველოს თითქმის ყვე-ლა კუთხეში მიმართავენ: „– დღეში ერთხელ უკითხვ, ჯუმართესი დღესა; ნივრის კბილი მიწაზე უნდა გაჭყლიტო და სირსვილიან ადგილზე ნუუსვა. ლემსით ვიჯები“.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შემოუნახავთ ძარღვის გა-ნასკვის შელოცვა, რომელიც მსგავსია საქართველოს სხვა კუთხე-ებში ცნობილ შელოცვათა ვარიანტებისა. კლარჯული შელოცვის ეპიური ნაწილის თანახმადაც, მოქმედია ორი ქალი, თუმცა, აღარ დასტურდება ზოგადქართულში დაფიქსირებული მათი დედა-შვი-ლობა, რომელთაგან ერთი მსკვნელია, მეორე კი – მხსნელი; თუ-



მცა, ჩვენებურთა შელოცვაშიც, ტრადიციულად, მსკვნელს მხსნელი სჯობნის. შელოცვის ბოლოს კი ზენა და ქვენა ქარს მიაქვს შეჭირვება:

ორი ქალი გაღმა-გამოღმა  
დაჯდენ ქვაზე.  
ერთი კოჭევდა, ერთი ხსნიდა,  
ხსნელი კოჭნელ აჭარბევდა.  
გევტანე სერზე,  
ზეით ქარ მივე,  
ქვეით ქარ მივე.  
ფუ! – მეთქი და გააფრინდა.

(მთქმელი ილიას ქუში (ჩიტაძე), 85 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (დოშემე). ჩაინერა და 2013 წლის 10 ივლისს ქალაქ გოლჯუქში გადმოგვცა სელჩუკ აქინმა).

სოფელ დევსქელში მცხოვრები 46 წლის იხსან ილმაზთურქისაგან 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ძარღვის განასკვის შელოცვაში „სამი დღის კრავის“ გახტომა განასკვილი ძარღვის გახსნასთან არის დაკავშირებული მაგიური სიტყვის ძალით:

ერდალისა, ხერტალისა,  
ეს არი ტამარისა.  
სამი თვისა არაა,  
სამი დღისა გუუხტა კრავი,  
გეიხსნა ძარღვი!

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული ნალრძობის, ანუ „დაქცნილის“, შელოცვის როგორც ვრცელი, ისე მოკლე ვარიანტები.

საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გველში (გიულდები) თამარ ჩოხარაძის მიერ 2013 წლის 19 ივლისს ჩანერილი ნალრძობის („ნალრძონებისა“) შელოცვაც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებულ ტექსტთა ვარიანტია:

ადამ დეიქცა,  
სისხლი ჩეიქცა.  
ძვალმა ბილი შეჭამა,  
ბილმა ძვალი შეჭამა.  
ქვა ქვიშაში გორდებოდა,  
ნალრძონი თელდებოდა.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2013: 85)

სოფელ ბაგინის (ბალჯიქოი) საზაფხულო საძოვარზე 59 წლის სუნდუზ ოზთურქისაგან ჩვენ მიერ 2013 წლის 7 აგვისტოს ჩანერილი ნალრძობის („დაქცნილის“) შელოცვა ფაქტობრივად აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული შელოცვის უფრო მაღალპოეტური ვარიანტია:

ადამ დეიქცა, დეიქცინა,  
სისხლმა ჩეიქცა, ჩეიქცინა.  
სისხლმა სისხლ მიცა,  
სისხლმა შტოს მიცა,  
შტომა ფურცელ მიცა,  
ფურცელმა ზღვას მიცა,  
ზღვამა ქაფათ მეიგდო,  
ქაფი გაშრა, განიავდა.  
შენი ტკივილიც  
ასე გაშრეს, განიავდეს!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 157)

ასეთივე სრულყოფილია სოფელ ადაგულში 67 წლის ქაზიმ ხალოლისაგან 2009 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი ვარიანტიც:

ადამ დეიქცა,  
სისხლი ჩეიქცა,  
ადგომა ეღონებოდა.  
ხარმა ხარ მიცა,  
ხარმა ხეს მიცა,  
ხემა ჭომა ფურცელ მიცა.  
ამ შავტარიან დანით

დაგჭრი, დაგშიშხავ,  
მიგიტან ცეცხლსა მარავსა!  
ღმერთმა ერთ დღეს დაქცევლი  
გააცოფოს და გაანიავოსა!

(ფალავა, ცინცაძე, 2009: 260)

კლარჯეთის სოფლებში – ერეგუნა (ერენქოი), ბუჯური (აქან-თაშქოი), დევსქელი (ქაინარჯა) – ჩანერილ ნალრძობის შელოცვების ბოლოში გამოთქმულია შელოცვათა ტრადიციული დასასრულისათვის დამახასიათებელი მაგიური სიტყვები დაავადების განკურნებისათვის:

...ქვა ქვიშაში გორდებოდა,  
ნალრძონი თელდებოდა!

ანდა:

...ჩემი კითხვა ამ ნალრძონსა ერგებოდა!

ან კიდევ:

მარილი დნებოდა,  
ნალრძობი ქარდებოდა!  
ჩემი ლოცვა  
ამ (იტყვიან სახელს) ერგებოდა!

სოფელ დევსქელში 2013 წლის 7 აგვისტოს ჩვენ მიერ 80 წლის ემინე ოზთურქისაგან (ხაბაზოლლი) ჩანერილი ნალრძობის შელოცვა კი ეპიური ნაწილის გარეშე, პირდაპირ მოქმედებისა და სიტყვის მაგიით არის წარმოდგენილი:

გორგიელაჲ გორდებოდა,  
ნალრძუები წორდებოდა.  
ჩემი ლოცვა ამას ერგებოდა!

შელოცვის შესრულების წესის თაობაზე მთქმელის განმარტება ამგვარია: „– თიბილი წყალში მარილი'ნა ჩააყარო, დაადო'ნა, ჰემ კაჲ გახდება“.

ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ექშიდერეში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – ჰაჯერ ბა-

როთისაგან 2014 წლის 17 ივლისს ჩანერილი „ნალრძონის“ შელოცვის ეპიური ნაწილი ფაქტობრივად ნასესხებია ზოგადქართულში გავრცელებული შეჭრეტილის, ანუ ძარღვის განასკვის, შელოცვიდან, რასაც, ალბათ, განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ეს დაავადებანი ფაქტიურად ერთი რიგისანია:

გადავხედე ურუმელსა,  
ორი კაცი ერთად იყნენ.  
ერთი ხნემდა, ერთი კოჭებდა,  
მხნელი მკოჭველ აჭარბებდა,  
ნალრძონი ქარდებოდა, ნიავდებოდა!

მთქმელის განმარტებით, „ცხელ წყალში ფეხ ჩუუდობ და ამ დუას იტყვი“.

სამწუხაროდ, კლარჯ ჩვენებურებში შაკიკის შელოცვა თითქმის დავინწყებულია; მისი ერთადერთი ვარიანტი ჩავინერე 2007 წლის 31 ივლისს სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) 70 წლის პროფესიონალი მთქმელისაგან – ხატიჯე ილმაზისაგან. მართალია, შელოცვის მხოლოდ ერთი ერთეულის დაფიქსირება შევძელი, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხატიჯე ილმაზისეული შაკიკის შელოცვა სრულყოფილია თვისი არქიტექტონიკით და ტოლს არ უდებს საქართველოს სხადასხვა კუთხეებში გავრცელებულ ვარიანტებს. იგი იწყება შელოცვებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმულით, რაც უფლისადმი მიმართული სიტყვებია, შემდეგ კი წარმოჩენილია დაავადება; შელოცვის ეპიურ ნაწილში, რომელიც დიალოგური ფორმისაა, ვიგებთ ამ დაავადების სინდრომს და აქვეა მოცემული მისი საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სიტყვიერი მაგიის ელემენტებიც; დასასრულს კი გამოთქმულია რწმენა ავადმყოფობის დაძლევისა, რაც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი ტრადიციული დასასრულის ფორმულით არის გადმოცემული:

ბისმილაჲ რეხმანი რეხიმ.  
ერთი კაცი მოიდოდა,  
შავ ლელვზე იჯდა.  
მააფუცქუნევს თვალეზ,  
მააკრაჭუნევს კბილეზ,  
მაათქაშუნევს ხელეზ,

მააპაკუნებს ფეხებ.  
– ჩვენო კაცო, შავო კაცო,  
სა მიხვალ – მეთქინ?  
– ადამ ფერში.  
– რაზე?  
– ძვალი სახრელად,  
სისხლი სასმელათ!  
– ნუ მიხვალ, თვარა  
შავტარიანი დანით  
დაგჭრი, დაგთიბავ,  
ჩაგყრი ვარდის საკუკავში,  
მიგცხებ ქარსა და ნიავსა!  
ნუ გესმოდეს დედლის ხმა!  
ნუ გესმოდეს მამლის ხმა!  
ცული პირის მონაჭარი  
ცულ ტარად შეერგებოდა.  
მე ვარ კითხავი,  
ღმერთია შველებელი!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 155-156)

კლარჯეთში დაფიქსირდა თვალის ტკივილის მოკლე შელო-  
ცვები. სოფელ ქართლაში (თუთუნჯულაქოი) 70 წლის ვილდან  
ერქილიჩისაგან (კუტუნოლი) 2013 წლის 9 აგვისტოს ჩვენ მიერ  
ჩანერილი შელოცვის ვარიანტი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ  
დასტურდება:

ლობედან გადაახტი, გადმოახტი,  
შენი თვალი შენ თვალში,  
შენი თვალი შენ თვალში!

საინტერესოა მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს სო-  
ფელ დევსქელში ჩანერილი ასევე მოკლე ვარიანტი, რომლის ანა-  
ლოგიც ქართულ ფოლკლორში არ გვაქვს:

ბისმილაჲ რეხმანი რეხიმ.  
ილოსა, გამეხვიე ტილოსა!

ილოსა, კილოსა,  
გამეხვიე ტილოსა!

ამ შელოცვის კიდევ უფრო მოკლე ვარიანტი ჩაგვანერინა სოფელ ჯივანის (ჯვანი) მკვიდრმა 85 წლის აიშე გორმეზმა (ჰელიმოლლი):

ილოსა, კილოსა,  
გამეხვიეო ტილოსა!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 158)

მთქმელმა შელოცვის შესრულების წესიც გაგვანდო: „– თვალი რო გეფხანება, პოტოტი იქნება შიგა. კვერცხი მოხარშვენ, შუაში გაჭრიან და შიანა თვალზე დაადებენ. სამ დილაჲ უნა უკითხო საქმელი უჭმელი, უძრახი“.

ნანყენის (ნატკენის), ანუ მუცლის ნახდენის, შელოცვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული და გამოიყენება როგორც ფეხმძიმე ქალის, ისე მაკე ძროხისათვის. კლარჯულ ნანყენის შელოცვასაც იგივე ფუნქცია აქვს. ამ შელოცვის აბსოლუტური უმრავლესობა ერთი ვარიანტის (დასანყისით „ანი იძრა, ბანი იძრა“) მცირედი სახესხვაობანია. სოფელ ჯივანში (ჯვანი) 85 წლის აიშე გორმეზისაგან (ჰელიმოლლი) 2007 წლის 29 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილ ნანყენის შელოცვაში, ტრადიციისამებრ, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებული ფრაზეზით, რომ ყველა და ყველაფერი, რაც იძრა, ისევე გაჩერდა და დადგა („თელი ყველამფერი დადგა!“), გამოთქმულია რწმენა, რომ დედის მუცელში (ძროხის მუცელში) ნაყოფი დადგება და დამაგრდება:

ანი იძრა, ბანი იძრა,  
სახლი ქვეშ იძრა,  
ახორი ქვეშ იძრა,  
თელი ყველამფერი ქვეშ იძრა,  
იძრა და იძრა.  
ანი დადგა, ბანი დადგა,  
სახლი დადგა,  
ახორი დადგა,  
თელი ყველამფერი დადგა!

ძროხის მუცელში დეკეული (მოზვერი) დადგეს!  
დედის მუცელში ლარჭი დადგეს!

მთქმელის განმარტება ამ შელოცვის შესრულების თაობაზე ამგვარია: „ბალანა ყავ მუცელში (გოგო, ბიჭი), ორ-სამჯერ'ნა ულოცო. ეკალია, ამოვა და მინაში თავ ჩარგავს, ის უნდა მოგლიჯო, დანაყო, წყალში გაღესო და ასვა. ხორბლის მარცვალი უნდა მიაერთვა; ძროხებისაც იცის“.

სოფელ ბუჯურში 2007 წელს ჩანერილი ვარიანტის მთქმელმა – 70 წლის ხატიჯე ილმაზმა (ქესკინოლი) ბრძანა: „- იცყვიან სახელს, შუულოცავენ ფეხძიმე ქალსაც და მაკე ძროხასაც“.

ნანყენის შელოცვის ქლასკურული ვარიანტის მთქმელმა – 84 წლის ალთუნ თიბანმა კი ასე აგვიხსნა: „- დუუბერავ, შექერზე ულოცავ, ასვამ. ორ-სამს ულოცავ ინსანსაც და საქონელსაც“.

კლარჯეთში, რომელიც ერთ-ერთი ტრადიციული მესაქონლე რეგიონია, ბოლო დრომდე შემორჩა „ბენვის“, ანუ ძუძუს გასიების, შელოცვა, რომელსაც იყენებენ როგორც მეძუძური ქალისათვის, ისე – მენველი ძროხისათვის, როცა სარძევე ჯირკვალი გასიებულია. ამ არქაულ შელოცვას ქართულ ზეპირსიტყვიერებაში „წყლისას“, „კუის ქარების“ სახელით მოიხსენიებენ.

ბენვის შელოცვის დიალოგური ვარიანტი ჩავინერეთ 2014 წლის 18 ივლისს სოფ. ჯემჭურიეთში (ძველი სახელია სულთანე) მცხოვრებ 84 წლის ნიგარ გუვენისაგან, რომლის წინაპრები გადმოსახლებულან კლარჯეთიდან, სოფელ გევილიდან:

– მე გიკითხავ ძუძუსი.  
ერთი მტკაველი კაცი დევნახე,  
სამი მტკაველი წვერი ქონდაო.  
შენ ჩემთვინ რამ გეიცინე,  
რამ გეიკირვილეო?!  
– მე შენთვინ არ გევიციინე,  
არ გევიკირვილე.  
იმფიცვა, ამფიცვა,  
ძუძუში კი ბენვი ქონდა,  
გამოვარდა, გამოქარდა!

იგივე შელოცვის მოკლე ვარიანტები დაფიქსირდა ისტორიული კლარჯეთის სოფელ ერეგუნაში (ერენქოი). ბენვის შელოცვის სხვა, ტრადიციული „აბრადაკაბრატი“ გაფორმებული, ვარიანტი ჩავინერეთ 2013 წელს სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში, 78 წლის მიერიე ქესუმისაგან:

ლორი, ლორი, ლორგოგო,  
აქ რა იჯები, ფუნდრუკ გოგო!  
სუმბერო, ყამბერო,  
დუქსულ-ლუქსულ მევედვარე.

მთქმელის განმარტებით, „– ძროხას რო ძუძუ გაუსივდებოდა, შუულოცავდით, თბილ ტაფას ამოუსვემდით, ძუძუები დაჭკნესო. სამჯერ უკითხევდით, სამჯერ ამოუსვემდით. ქალსაც უკითხევდით, ანიაო, იტყოდენ. ეს ლოცვა, ერთი მაჭახლეი იყო, ჩვენ სახში დადგა და იმან იკითხა, ჩვენც ეცვრიეთ ნაკითხი. „– დეინავლეთ, დაგჭირდებათ“, – თქვა, – ძროხას გუუსივდებაო, თქვენ გიგისივდებათო, დაგჭირდებათ“.

შელოცვის კიდევ უფრო მოკლე, ორსტრიქონიანი, ვარინტის მთქმელმა, იმავე სოფლის მკვიდრმა ალთუნ თაბანმა გვითხრა: „– ძროხას გასივებულ ცურზე თბილ ხელს ამოუსვამ, ქალსაც ხელს ამოუსვამ“.

კლარჯთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდეა შემონახული თიის, ანუ თიაქარის, შელოცვა, რომელიც მსგავსია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით კი შავშეთსა და აჭარაში, გავრცელებული ანალოგიური შელოცვებისა. სოფელ ერეგუნაში (ერენქოი) 2007 წელს 95 წლის ფატყუმე გორმეშისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი თიის შელოცვა, რომელიც ძალზე საინტერესოა არამარტო არქიტექტონიკური სრულყოფით, არამედ წმინდა ქართული ლექსიკითაც („დავკუნკუნავ“, „გამკრავი ხევი“, „ცულის პირის მონაკვეთი“ და ა. შ.); საყურადღებოა ისიც, რომ ამ შელოცვაში უცვლელად არის შენარჩუნებული დასასრულის ტრადიციული ფორმულაც:

იავსა, თიავსა,  
კვახეო, მჭახეო!  
ნასელავი მთასა,  
ააღლური ხარსა,



შავტარიან დანასა.  
დავჭრი, დავკუნკუნავ,  
მივცემ ქარსა,  
ბუქსა, ნიავსა,  
გამკრავ ხევსა!  
ცული პირის მონაკვეთი  
ცულსა ტარად გეეგება,  
ჩემი შენალოცი  
ჩემ ამ გოგოს შეერგება!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 159)

თიის შელოცვის განსხვავებული მოკლე ვარიანტი ჩავიწერეთ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურლულში (სირეთიე) მცხოვრები 68 წლის სემაჰათ შექირისაგან 2013 წელს. ეს ფრაგმენტული ნაწილი დაავადების ხალხური რეცეპტია:

ილაძირი, მილაძირი,  
ლუყუ ფესვი, ლეღვი ძირი,  
გამოტყდა თია ძირი!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 163)

მთქმელის განმარტებით, შელოცვა სრულდება შვიდჯერ მზის ამოსვლამდე.

კლარჯმა ჩვენებურებმა ბოლო დრომდე შემოინახეს ჭიის შელოცვაც, თუმცა ჩვენ მხოლოდ მისი მოკლე ვარიანტების დაფიქსირება შევძელით. სოფელ დევსქელში ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წლის 2 აგვისტოს ჰაჯერ ილმაზთურქისაგან (შამილოლი) ჩანერილი „ჭიის დუა“ ამგვარია:

ჭიისა დედავ, თავი ჩაყე!  
ჭიავ, ჭიავ, თავი ამოყე!

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 159)

მთქმელის განმარტებით, შელოცვის შესრულებისას ჭიებიან ავადმყოფს შელოცვისას უბერავენ. ამ დაავადების ხალხური რეცეპტი კი ამგვარია: ნივრის შვიდ კბილს დანაყავენ, შეურევენ ჭვა-

რტლს და ავადმყოფს ზურგზე წაუსვამენ. ამის შემდეგ ჭიები მალე გამოვა და ბასრი პირის მქონე საგნით მოაშორებენ.

ჭიის შელოცვის მეორე ვარიანტი ჩაინერა პროფესორმა მერი ცინცაძემ 2009 წელს სოფელ ადაგულში 67 წლის ქაზიმ ხალოღლი-საგან:

ჭიაო, ჭიაო, ჭახევ, მახევ,  
რას ჭუჭყუნობ ღორსავენ?  
დანყნარდი და დაალავდი!

(ფალავა, ცინცაძე, 2009: 260)

საქარბას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ავანაში 2013 წლის 17 ივლისს 76 წლის სააფინაზ ჰალაილესაგან (ურმელოლი) ჩვენ მიერ ჩანერილი მეჭეჭის შელოცვა თურქულენოვანია:

აი გიორდუმ, აი ქიბერ,  
ერისინგიზინ სიილემ ალხიბერ!

მისი შესრულების წესი კი იდენტურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე შემორჩენილი წესისა; როგორც მთქმელმა განმარტა, „- ახალ თვარეს დეინახავ, იმ თვარეს უნდა შეხედო'ნა, დუა წეიკითხო'ნა, მინა ანიო'ნა, მეჭეჭზე წეისვა'ნა, ჩეიკითხო'ნა. შვიდჯერ ჩეიკითხო'ნა, მინა წააყარო'ნა. ის თვარე დეიკარგვის, ის მეჭეჭიც დეიკარგვის“.

## სამეურნეო შელოცვები

ამინდის მაგიური მართვის ძველქართულ წეს-ჩვეულებებს შორის სამეურნეო შელოცვებს, მათი თანმზლები რიტუალებით, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. სამეურნეო შელოცვებს, რომლებიც ეფუძნება სიტყვისა და მოქმედების მაგიას, ოდითგან მიმართავდნენ ჩვენი წინაპრები, რათა გამოეწვიათ სასურველი ამინდი. კლარჯეთშიც, როგორც ერთ-ერთ ძირძველ ქართულ კუთხეში, ბოლო დრომდეა შემორჩენილი მნათობთა კულტი და ტარო-

სის ღვთაებისადმი მიმართული არქაული საგალობელ-სავედრებლების ერთ-ერთი ტრადიციული სახე – შელოცვა.

კლარჯეთში, როგორც მთაგორიან ქვეყანაში, ბოლო დრომდე აქტიურ ფოლკლორულ ბრუნვაშია ნისლის („ბულუთის“) შელოცვა, რომლის მრავალი ვარიანტი ჩავინერეთ როგორც ისტორიული კლარჯეთის სოფლებში, ისე კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში. მათი ნაწილი მსგავსი და უმეტესწილად იდენტურია შავშეთსა და აჭარაში გავრცელებული ტექსტებისა; მათი უმრავლესობის ეპიკური ნაწილი წარმოადგენს ნისლის „დაშინებას“, რათა დროზე აიყაროს. ნისლის შელოცვის ერთ-ერთი სრულყოფილი ვარიანტი ჩავინერე 2007 წლის 31 ივლისს სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) 70 წლის ხატიჯე ილმაზისაგან (ქესკინოლი):

ბულუთ, ბულუთ, ეიყარე,  
ცხრა მქედის იქით გედეიყარე!  
შენი ქალი მორჩენილა,  
ერთი ქორი ყავს,  
ერთი თოფალი,  
ერთი ქუთი.  
მაღე წახვალ, მორჩებიან,  
გვიან წახვალ, მოკტებიან!

წვიმის გამოსანვევ კლარჯულ შელოცვებში, შავშურისა და აჭარულისაგან განსხვავებით, აღარ გვხვდება არქაული მიმართვა „ნაზარ“, რომელიც ტაროსის ღვთაების საკულტო კარნავალის – „ლაზარობის“ სახელწოდებაა; აქ ზოგადად ღმერთს მიმართავენ (საყურადღებოა, რომ არც თურქულ სიტყვას – „ალაჰს“ იყენებენ).

წვიმის კლარჯული შელოცვის ერთ-ერთი ვარიანტის შესრულებისას, რომელიც ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ ქირქჰარმანში მცხოვრები კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლის – 70 წლის მახმედ აიდინისაგან 2013 წლის 13 ივლისს ჩაინერა გიორგი მახარაშვილმა, კარიკარ ჩამოვლის რიტუალში მონაწილე ბავშვები კვერცხებს აგროვებდნენ, რაც ზოგადქართული მოვლენაა: „სოფელში ბაღები კვერცხ მოვკრეფდით, ძალს შევწვავდით, ვჭამდით, ხელებს ავწევდით და ვიტყოდით:

გამჩნელო ღმერთო,  
შენ გადმოგვხედე,  
წვიმა გადმოგვინვიმე,  
კარქობა მოგვეცი!”

2007 წელს ვარდო ჩოხარაძის მიერ სოფელ თხილაზროში (ზორ-ლიქოი) 40 წლის ათენ ოზბაირალისაგან ჩანერილ შელოცვაში კარგად ჩანს უძველესი კარიკარ ჩამოვლითი რიტუალის ხასიათი – კარნავალის მონაწილეთა მიერ მოსახლეობაში სურსათ-სანოვავის მოკრების ჩვეულება, რათა სალამოს სუფრა გაშლილიყო და განვიმება ეზეიმათ:

განვიმდი, განვიმდი!  
რძალო, შენიდან  
კოვზი-კოვზი ალი მინდა,  
კოვზი-კოვზი ფქვილი მინდა!  
ღმერთო, შენიდან  
ლამაზი წვიმა მინდა!  
ამინ!

მთქმელის განმარტებაც ამის დასტურია: „– ღარჭები ქვებ მეც-რევდენ და „განვიმდი, განვიმდიო“! ეტყოდენ. სოფელში'ნა მეიარო და ფქვილი და ალი აართვა'ნა. მოცრეული გამოაცხო'ნა და ის გამომცხვარი, ვისაც გამოართვი, იმას'ნა შააჭამო“.

კლარჯულ წვიმის გამოსანვევ რიტუალში ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: როგორც მთქმელმა აღნიშნა, ბავშვები ქვებს აგროვებენ და იძახიან, „განვიმდი, განვიმდიო!“ დაბა მურღულშიც კარგად ახსოვთ ამინდის მაგიური მართვის რიტუალი: „– თელი სოფელი მევყრებოდით ღელეში, ღელედან კენჭებ მეამცრევედენ, ერთი ჯვალი ევსობოდა; ჩავკიდებდით ღელეში, ვუკითხავდით. იმას უკან განვიმდებოდა. ჩვენი წვიმაჲ კითხვა იქნებოდა (სებებიც იტყოდენ): „სემირალურ ხურ გუთოჩუნ, განვიმდეს! ამინ!“ – ასე იტყოდენ ღარჭებმა (მთქმელი ხასან ალბაირაქი (ყავაზოლი). ჩაიწერა მამია ფალავამ 2013 წლის 9 ივლისს).

ამინდის მაგიური მართვის კლარჯულ რიტუალში წვიმის გამოსანვევად, წყალში კენჭების დასველების გარდა, ღელეში გველის ჩაკიდებაც სცოდნიათ: „– გველს ღელეში ჩამოკიდებდენ, განვი-

მდესო. ქვასაც ჩამოკიდებდნენ ღელეში, წყალის შიგანა, განვიმდესო. „– ღმერთო, შენი ჭირიმე, წვიმა მომეცითო, ვეტყვიო“ (მთქმელი რემზიეთ აღიითი, 59 წლის, მცხოვრები სოფელ ბუჯურში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს). ქლასკურელები გვალვისას კატას დაასველებდნენ, რათა განვიმებულიყო: „ბევრი ტაროსი იქნებოდა, ბზე იქნებოდა, კატას დაასველებდნენ, განვიმდესო“ (მთქმელი ისა კარა (თეთრაძე), 50 წლის, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს); ქლასკურში იცოდნენ, აგრეთვე, ღელეში ცოცხისა და საფლავის ქვის დასველება: „– სიცხე!.. სიცხე... და ცოცხ ღელეში დაალობდნენ და განვიმდებოდა; მეზერის ქვას ჩავაგდებდით წყალში; არ დატიოთო, იტყოდნენ, თვარა, განვიმდებოდა და ღელე წეილებდა“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს).

გვალვის დროს ქვების შეგროვება, მათი მთაზე ატანა და ტაროსის ღვთაებისაგან სასურველი ამინდის გამოთხოვა იცოდნენ შავშეთშიც (შიოშვილი, 2011: 197); ეს რიტუალი იცოდნენ აჭარაშიც, რაც თედო სახოკიამ 1897 წელს დააფიქსირა (სახოკია, 1950: 202-203); იგი ცნობილია „ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვის“ სახელით, რაც ვრცლად აღწერა მკვლევარმა ჯემალ ნოლაიდელმა (ნოლაიდელი, 1971: 133-134). მართალია, კლარჯ ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებას ამ რიტუალის ჩასატარებლად მხოლოდ კენჭების შეგროვება შემორჩა და აღარ ჩანს, რომ მათ მთაზე აიტანენ და იქ ილოცებენ, მაგრამ თავად ფაქტის დადასტურება მაინც მნიშვნელოვანია და მიუთითებს, რომ ეს ჩვეულება, რიტუალის სხვა დეტალებთან ერთად (საფლავის ქვის დასველება, ცოცხის დასველება), ქართული გენეზისისაა.

თხილაზროელი მთქმელის – მელაათ ბალჯისაგან (თაფლიძე) 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი წვიმის შელოცვა მთლიანად სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა დაფუძნებული:

ყანაში – ტალახი,  
გობზე – ცომი!  
ღმერთო, მოგვეცი  
ბევრი წვიმა!

ბალიქისერის პროვინციის მანასის რაიონის სოფ. ჯუმპური-  
ეთში 84 წლის ნიგარ გუვენისაგან, რომლის წინაპრებიც მოსულან

კლარჯეთის სოფელ გველიდან, ჩვენ მიერ 2014 წლის 18 ივლისს ჩანერილი წვიმის მოკლე შელოცვა პირდაპირი მიმართვაა ქვეყნიერების შემოქმედისადმი:

იღურლულე ცამა!  
ღმერთო, ბევრი  
წვიმა-წყალი მომეცი!

მთქმელის განმარტებით, „– ილარღალებდენ, წვიმა მოიდოდა“.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია სეტყვის, იგივე ხოშკაკლის, შელოცვაც, რომლის სიტყვიერი ქსოვილიც ნისლის შელოცვის იდენტურია:

ხოშკაკალო, გედეყარე!  
შენი ქალი ავათაა,  
მაღე მიხვალ, მოგირჩება,  
მაღე არ მიხვალ, მოგიკდება!

(მთქმელი მეჰმედ გუნი. მცხოვრები იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფელ ჰაირიეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 14 ივლისს)

სამწუხაროდ, კლარჯ ჩვენებურებს ველარ შემოუნახავთ სამეურნეო შელოცვათა ერთ-ერთი არქაული სახეობა – ნადირის პირის შესაკრავი შელოცვები, თუმცა სოფელ ქლასკურში დავამონმეთ ამ შელოცვათა თანამდევი მაგიური რიტუალის ხსოვნა: „– ყანები არ შიჭამოსო დათვმა, გელმა, ბაბაჲ დაკოჭავდა“, – გვითხრა 78 წლის ქალბატონმა მიერიე ქესუმმა.

საინტერესოა, აგრეთვე, ამინდის მაგიური მართვის ერთ-ერთი არქაული რიტუალის გამოძახილი, რომელიც ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დავაფიქსირეთ: „თვარე რომ დაბნელდებოდა, თოფებით ვაყრიდით, გუუშვასო თვარე, ვინცხამ დეჭირა, იმან“ (ჩაინერა მამია ფალავამ 2013 წლის 12 ივლისს). ამგვარი რიტუალი აჭარაშიც დასტურდება; აჭარლებს სჯერათ, რომ მთვარეს გველეშაპი იჭერს: „ძველად, თვარე რო დაბლენდებოდა, იტყოდენ, ეჟდაარი იკავებსო; არის ჰაერში ეჟდაა-

რიო და ის იჭირავსო. თოფს ისროდენ, რომ შიეშინდება და გუუშვე-  
ბსო“ (მთქმელი სულეიმან დავითაძე. ჩაინერა ნელი ცქიტშვილმა  
1970 წელს – ბსუნბიფა, საქმე №142).

აჭარელთა წარმოდგენა გველემაპზე (ვეშაპზე) ამგვარია: „ეჟ-  
დაარი ვეშაპია; ვეშაპი გველს გავს, მაგრამ უფრო ხოშორია. არდა-  
ჰანში ხანდახან ელვა-ჭქეჟას რომ დეინყობდა, ეუდაარი გეირბენდა  
ჰაერში. მას კუდი ქონდა ჩამოკიდული და, რასაც მოხთებოდა ეს  
კუდი, იმას გააქარვებდა. ეს ეუდაარი მე ერთხელ დანახული მაქვს  
არდაანში, ზურზუნას“, – დაბეჯითებით დასძინა მთქმელმა.

როგორც მკვლევარი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, გვე-  
ლემაპმა ქართულ (და ზოგადკავკასიურ) მითოსში ძალზე რთული,  
სტადიალური ცვლილებები განიცადა და, ამდენად, მისადმი და-  
მიკედებულება ასევე ნაირგვარია. იგი „ნაზიარები იყო მინისქვე-  
შეთს გველის მსგავსად, წყლის სტიქიას – თევზის მსგავსად და  
ზეციურ სამყაროს – ფრინველის მსგავსად. გარდა ამისა, თავის  
თავში ის ცეცხლის სტიქიასაც ატარებს“ (სიხარულიძე, 2006: 180-  
182). კლარჯულსა და აჭარულ მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში  
შემორჩენილი გველემაპი, რომელიც ზეცაშია და მთვარეს ვნებს,  
არქაული ზოგადქართული (და ზოგადკავკასიური) გენეზისისაა;  
როგორც ბოროტი, დემონური პერსონაჟი, სინათლის მტერიც არის  
და შთანთქავს მნათობებს – მზესა და მთვარეს ან ამ მნათობთა  
სომბოლიკით აღჭურვილ გმირებს. ამდენად, კლარჯ მუჰაჯირთა  
შთამომავლებს შორის დაფიქსირებული არქაული რწმენა იმისა,  
რომ დაბნელებისას მთვარეს „ვინცხა“ იჭერს, ზოგადქართული  
რწმენა-წარმოდგენების გამოძახილია და ამ თვალსაზრისითაც  
ჩვენებურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სივრცე დიდად არ  
დაშორებია თავის ფესვებს.

ისტორიული კლარჯეთის სოფლებსა და თურქეთის რესპუბლი-  
კის ცენტრალურ რეგიონში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთა-  
მომავლების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შელოცვების  
შესწავლა, სხვა ჟანრთა მსგავსად, ცხადყოფს, რომ ჩვენებურთა  
ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანიც ზოგადქართული ზეპი-  
რსიტყვიერების ორგანული ნაწილია და დღემდე, ხვა კულტურო-  
ლოგიურ ღირებულებებთან ერთად, დედასამშობლოსთან ჩვენებუ-  
რთა სულიერი კავშირისა და იდენტობის სამსახურშია.

## წყევლა

სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ზეპირსიტყვიერ ჟანრთა შორის წყევლა ერთ-ერთი ყველაზე არქაულია; წყევლა, იგივე დარისხვა, დაკრულვა, შეჩვენება, ნაყოფია ანიმისტური მსოფლმხედველობისა, როცა ადამიანებს „სწამდათ, რომ სამყარო სავსე იყო ბოროტი და კეთილი სულებით; კეთილ სულებს ეთაყვანებოდნენ, ლოცავდნენ, ატარებდნენ მათ გულისმოსაგებ რიტუალებს, ხოლო ავსა და ბოროტ სულებს დაწყევლიდნენ და დაკრულავდნენ, რათა გაექროთ და გადაეშენებინათ; სჯეროდათ, რომ დაწყევლას სასურველი შედეგი მოყვებოდა. ამდენად, როგორც დალოცვასა და შელოცვას, წყევლასაც პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება აქვს და ადამიანის თვითდამკვიდრების ხანოერი გზის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია“ (პირი ხისკენ..., 2006: 3).

წყევლას, რომელიც მიმართულია მტრისა და მოშურნის შესაჩვენებლად, ბოროტების დასათრგუნავად და ყოველგვარი ჯადოქრობის გასაუვნებლად, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს; ბუნებრივია, იგი გავრცელებულია ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაშიც როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით. ზეპირი წყევლა ადამიანთა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა თანამდევია, წერილობითი წყევლა კი შესულია უძველეს სიგელ-გუჯრებში, იურიდიულ ძეგლებში და მას საბუთისეული პირობების გამაგრების ფუნქცია ენიჭებოდა; ხალხის რწმენით, წერილობითი წყევლა შთამომავლობაზე გადადიოდა. ჩვენს წინაპრებსაც სჯეროდათ, რომ მოწინააღმდეგის მიმართ სიტყვიერი ფორმულით გამოხატული სიავე და ბოროტება აუცილებლად განხორციელდებოდა. „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა: სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია ნოველაში „ტაბუ“ (გამსახურდია, 1959: 96).



ქართველთა დამოკიდებულებაზე წყევლის მიმართ ყველაზე ადრინდელი ცნობა ეკუთვნის მეჩვიდმეტი საუკუნის ცნობილ იტალიელ მწერალსა და მეცნიერს, მისიონერ არქანჯელო ლამბერტს; იგი 16 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სამეგრელოში და თავის შესანიშნავ ნიგნში „სამეგრელოს აღწერა“, სხვა მრავალ მნიშვნელოვან ნეს-ჩვეულებებთან ერთად, შეეხო წყევლასაც: „...მეგრელებს ძლიერ ეშინიათ წყევლისა და შეჩვენებისა; უფრო ეშინიათ, ვიდრე ცემისა და ჭრილობისა. თუ ვინმემ შეიტყო, რომ ამა და ამ კაცმა შემაჩვენაო, სამაგიეროს გადახდის მაგიერ, ცდილობს, რომ დიდის საჩუქრისა და მორჩილის სიტყვების შემწეობით დაამშვიდოს იგი და სთხოვს, დამლოცე და სიკეთე ისურვე ჩემთვისაო. დაწყევლისა მაშინ უფრო შეეშინდებათ, როცა დაინახავენ, რომ დაწყევლის შემდეგ დაწყევლილს რამე ცუდი შეემთხვევა. ამ შემთხვევაში დაწყევლილი რწმუნდება, რომ ეს უბედურება ჩემს თავზე დაწყევლის შედეგიაო“ (ლამბერტი, 1938: 151).

ზეპირსიტყვიერების ამ უაღრესად სპეციფიკური ფანრის შესახებ 1940 წელს სერგი მაკალათიას ნიგნზე „სამეგრელოს ეთნოგრაფია“ დაწერილ რეცენზიაში თედო სახოკია წერდა: „ბუნებასა და გარემოსთან ბრძოლაში პირველყოფილად მოაზროვნე ადამიანისათვის ნამდვილი იარაღის უქონლობის დროს, მეტადრე ქალები-სათვის, უებარი და, მათის აზრით, ეფექტური იარაღია წყევლა და მისი მოპირდაპირე – დალოცვა“ (სახოკია, ს. ა.).

წყევლას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ ფორმას, ყველა ეპოქაში უფროთხოდნენ ადამიანები, რადგანაც მისი ძალისა სჯეროდათ. ხალხის რწმენით, განსაკუთრებით საშიშია ქვრივი ქალისაგან დაწვევარი ანდა თემის, სოფლის სახელით დაწყევლა.

აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში, 1973 წელს მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ ვანო ქათამაძისაგან ჩანერილი მასალის თანახმად, წყევლას „ბედვას“ უწოდებენ. „ძველათ, როცა ქურდობა მოხთებოდა, ჯერ გააცხადებდენ, რომ თუ ქურდი თვითონ არ გამოჩთებოდა, ჯუმა დღეს, ე. ი. პარასკევს, ბედუას ვიჯებით, წყევლასო. თუ ქურდი მანაც არ გამოჩთება, ხოჯა შეკრებდა ხალხს ჯუმა დღეს ჯამეში და ქურდს დაწყევლიდნენ. ხოჯა იტყოდა: „– ვინც ესა და ეს ჩაიდინა, ვინც ესა და ეს მეიპარა, ღმერთმა მისი მომავალი შვიდ თაობამდი, შვიდ გობეგამდი დაწყევლოს, მოსპოს, ამეიქოქოს მისი მოდგმაო!“ ხალხი „ამინს“ იტყოდა“ (ბსუ ნბიფა, საქმე №182: 42).

გუბაზ ვანილიშის მიერ ხულოს რაიონის სოფელ ბელღეთში მე-მედ კახაძისაგან 1964 წელს ჩანერილი თამარ მეფის ციკლის ერთი ლეგენდის თანახმად, სოფელ ბელღეთში ორი კომლი ცხოვრობდა: ლომიძეები და კახაძეები. „შამუფულია თამარ მეფეს თავისი ჯარით იმ დროს და უთქვამს, რომ ჯარს ყურძენი უნდა ვაჭამო. ნასხეთში ვენახი ქონიათ ლომიძენებს და არ უჭმევიათ. თამარ მეფეს დაუნყევლია, „ორ კვამლზე ზეით არ ნეგეყვანოსო ღმერთმა!“ და, მართლაც, ორი კვამლი იყვნენ. ახლა ბევრი არიან“ (ბსუ ნბიფა, საქმე №85: 40).

როგორც მკვლევარი ბელა მოსია მიუთითებს, „წყევლის სასჯელი იმდენად დიდი იყო, რომ მას ადამიანები უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. მისი წარმოთქმის ადგილი, დრო და ფორმაც განსაზღვრული იყო. წყევლას თან ახლდა გარკვეული რიტუალი. საგულისხმოა, რომ წყევლა საფრთხეს წარმოადგენდა თვით მთქმელისათვისაც, მით უმეტეს, თუ იგი უსამართლოდ იწყევლებოდა“ (მოსია, 2006: 253).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად გვხვდება წყევლის სამი სახე: დემონოლოგიური, საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ისტორიული. ეს არქაული ჟანრი ძველთაგანვე გავრცელებული იყო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, თუმცა ბუნებით ტოლერანტი ქართველობისათვის წყევლა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი; მით უფრო, რომ ქრისტიანული რელიგიისათვის იგი მიუღებელია. „წყევლა არს ბოროტი თავად, მას არამც შესწევს ძალა ბოროტის დასათრგუნად“, – გვიქადაგებს გაბრიელ ეპისკოპოსი (ქად., 1913: 123). ბუნებრივია, საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ კუთხეშიც – კლავჯეთში ბოლო დრომდე შემოინახეს მათი ყოველდღიური ყოფისა და კულტურის, მატერიალური თუ სულიერი მდგომარეობის, ადამიანთა ურთიერთობების ამსახველი წყევლის ფორმულები, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ წყევლას ეკრძალებიან, ცდილობენ, არ დაინყველონ, რადგანაც დიდ ცოდვად მიაჩნიათ. „წყევლავ, წყევლავ, შენ მოგიტრიალდება!“ – გვითხრა ქლასკურელმა ქალბატონმა – 78 წლის მიერე ქესუმმა და დააყოლა: „– დუშმანიც ინსანია, არ დავნყველი!“ იგივე აზრისაა ქლასკურელი ისა კარაც: „– ერმენიც ინსანია, ქურთიც ინსანია, ისიც ღმერთმა დაბადა!“

კლარჯი ჩვენებურები საქონლის წყევლასაც ერიდებიან: „– ძროხა უენოა, ვერ დაწყველი!“ – განაცხადა სოფელ ერენქოის მკვიდრმა 87 წლის ჰაჯერ ჩაუმმა.

წყევლას კლარჯები, შავშებისა და აჭარლების მსგავსად, არა-ბული ტერმინითაც – „ბედვა“ – მოიხსენიებენ: „წყევლას ბედვას“ ვეძახით“, – გვითხრა სოფელ ერეგუნას (ერენქოი) მკვიდრმა ნეჟა და უანუსმა (ქოჯამანოლი); „ჩემი ბედვაჲს ეშინიან. გულით თუ დანყევლე, მიეფესება, მიენებება“, – აგვისხნა სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში, მცხოვრებმა 70 წლის აიშე თურანდმა.

ისტორიული კლარჯეთის სოფლებში (ჯივანი, არხვა, ერეგუნა, ბუჯური, ოზმალი, გურბინი, დევსქელი, იბრიქლი, თხილაზორი, ავანა, ქლასკური, მარადიდი, ქართლა, ტრაპენი) 2007, 2013 და 2014 წლებში და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მცხოვრებ კლარჯე მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქისა და ქართეფეს რაიონების, ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის, გირესუნის პროვინციის ფარაზისისა და გულანჯაქის რაიონების, თოქათის პროვინციის ნიქსარის რაიონისა და ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფლებში 2013 და 2014 წლებში ჩანერილი წყევლათა ნიმუშები თითქმის იდენტურია ზოგადქართულისა, განსაკუთრებით კი შავშეთსა და აჭარაში გავრცელებული წყევლებისა, როგორც შინაარსობრივი, ისე ლექსიკური თვალსაზრისით. ასეთებია: „– არ გაგახაროს ღმერთმა!“, „– ანტერო!“, „– ანტერი დემირჩი შენ!“, „– გაფაქოს ღმერთმა!“, „– გელმა შეგჭამა!“, „– თვალი დიგიდგეს!“, „– ღმერთმა არ მოგანროს!“, „– უი, მეხი დაგაყარე!“, „– ქოქი გამოგიწყდეს!“, „– ღმერთმა ანტრად დაგტიოს!“, „– ღმერთმა გაგცვიტოს!“, „– შავ ლეჩაქით დაგაჯდუმლოს“ და სხვა.

კლარჯულ წყევლებში, ისევე როგორც ზოგადქართულში, წარმოჩენილია საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მცხოვრებთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების ელემენტები, ყოფითი ამბები, ურთიერთობანი და სხვა ყოველდღიური გარემოებები, რაც კლარჯთა ყოფიერების სივრცეში ხდება, რაც ამ უსიამოვნო ფორმულებს გარკვეულ საყოფაცხოვრებო და ისტორიულ ფუნქციასაც ანიჭებს.

არსებითად წყევლის ფორმულები დალოცვათა ანტითეზას წარმოადგენენ; მტერსა და ავს ადამიანები უსურვებენ იმის სანინააღმდეგოს, რაც მოკეთისათვის ემეტებათ.

კლარჯე ჩვენებურთა წყევლის ფორმულებში აშკარად იგრძნობა ახვა (არამუსლიმური) რელიგიური კონფესიისადმი დაპირისპირებული განწყობილება („– გააური შვილო!“, „– ებრალიშვილო!“, „–

ერმანის შვილო!“) და მუსლიმური რელიგიის პრიმატი („– ღმერთმა ჰაჯი არ მოგცეს!“, „– ღმერთმა ბაირამი არ მოგანრას!“).

კლარჯულ წყევლებში, ზოგადქართულის მსგავსად, ხშირად გვხვდება დახვეწილი მეტაფორული ნიმუშები: „– ანწლი ამოვდეს შენ კალოზე!“, „– გაგხსლიპოს ღმერთმა!“, „– ლეღვი ამოგიყვანა!“, „– მინასაჭმელებო!“, „– ღმერთმა შავი ლეჩაქი დაგახუროს!“, „– ჭინჭარი ამოგიყვანა ღმერთმა!“

მტრისათვის, ავის მსურველისათვის მხოლოდ მარტოობა და ობლობა ემეტება კლარჯ მანყევარს: „– ერთ სასთუმალზე არ დაგაბერონ!“, „– იეთიმი გაგხადოს ღმერთმა!“; თავანუელი მოშურნეც არასასურველია: „– ნარცხვენი გარუნოს!“ უკიდურესად „გაჰერსებულის“ წყევლა კი ამგვარია: „– ღმერთმა დღესვე მოგაკვდინოს!“, „ოი, გამჩენო მუზარექო-ღმერთო, განყვიტე და გააფაქე!“, „– დღე და ღამე დეგემხოს!“ და სხვა.

წყევლა-კრულვა („ბედვა“) შესულია ქართული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში და მშვენივრად გამოხატავს ხალხის დამოკიდებულებას სოციალური, ეროვნული თუ საყოფაცხოვრებო პრობლემების მიმართ. ასეა ყველგან საქართველოში და ამგვარი ვითარება გვაქვს კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაშიც. კლარჯული სატრფიალო, საქორწილო, საყოფიერო ლექს-სიმღერები და შელოცვები სავსეა წყველის ფორმულებით. ერთ სატრფიალო შაირში, რომელიც 2013 წელს ჩავინერე საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს ერთ-ერთ უბანში – ბიჩქიდერეში მელაათ ქიბარისაგან, იმედდაკარგული მიჯნური სასიკვდილოდაც იმეტებს თვალჭირულს:

ახ გიდი, ჩემო ხარო,  
ჩემიდან არ გეიარო!  
ჩემიდან თუ გეიარე,  
მეზარზე გევიარო!

შავშურ საყოფაცხოვრებო პოეზიაში ხშირად გვხვდება დედამთილის დანყევლა:

დედამთილი ეკალი,  
ღმერთო, მალე მოკალი!

(მთქმელი შააზიე ბოლქვაძე, მცხოვრები სოფელ ტრაპენში. ჩაინერა თინა შიოშვილიმა 2014 წელს)

ანდა:

სახლის უკან ეკალი,  
დედამთილი მოკალი!

(მთქმელი აიშე შეიხოლლუ, მცხოვრები სო-  
ფელ ბუჯურში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ  
2007 წელს)

ორგულსა და მოლაღატე ადამიანს ბურსა პროვინციის ქესთე-  
ლის რაიონის სოფელ ორჰანიეში (ხატილა) მცხოვრები კლარჯ მუ-  
ჰაჯირთა შთამომავლები ამგვარად სწყევლიდნენ:

რომ ყოფილხარ ორგული,  
გვერძე ამოგძრეს სული!

(მთქმელი დურსუნ აიდოლლუ (სეიდოლი).  
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს)

სოფელ დევსქელში მემედ თავდგირიძისაგან რამაზ ხალვაშის  
მიერ 2007 წელს ჩანერილ ლექსში „...ჩემო ნენე...“ დედის მოძულე  
ამგვარად არის დანყევლილი:

...ვინცხას ნენე არ უყვარს,  
დუუქორდება თვალები,  
მიახმება ყურები!

წყევლა, როგორც ბოროტი ძალის დამთრგუნველი სიტყვიერი  
ფორმულა, ზოგადქართული შელოცვების მსგავსად, კლარჯული  
ხალხური შელოცვების ორგანული ნაწილია. სოფელ ქლასკურში  
2014 წელს ჩანერილი გათვალულის შელოცვის ბოლოს ავი თვალის  
მქონე ადამიანი ამგვარად არის დანყევლილი:

...შენზე თვალი მცემელსა  
გულზე ნახვარი,  
თვალში ნაცარი,  
სკუპში ხაშარი!

(მთქმელი ალთუნ თაბანი. ჩაინერა თინა ში-  
ოშვილმა 2014 წელს)

სოფელ ოზმალში ვარდო ჩოხარაძის მიერ აიშე იაფუზისაგან  
2007 წელს ჩანერილ გათვალულის შელოცვაში გამთვალავი ამგვა-  
რად არის დანყევლილი:

...გულზე ეკალი, ანი მანები,  
გარიდან ცეცხლი!

თვალისციემის ერთ ქლაკურულ ვარიანტში (მთქმელი ალთუნ თა-  
ბანი. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს) ნათქვამია:

ვინცხაას რო თვალი გეცა,  
დიდი ყაა იმას დეეცა!

სირსვილის შელოცვის ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც ბალიქი-  
სერის პროვინციის მანიასის რაიონის სოფელ ჯუმჭურეთში (სუ-  
ლთანზე) ჩავინერე 2014 წელს ნიგარ გუვენისაგან, სირსვილი ასეა  
დანყველილი:

ღმერთმა შენ ფესვი გეგებოს  
ქვეშა და ქვეშასაო!

სოფელ ბაგინის (ბალჯიქო) საზაფხულო საძოვარზე 2013  
წლის 7 აგვისტოს ჰამიდე ჩელინგერისაგან ჩანერილ შელოცვაში  
კი ნათქვამია:

რავარცხა ქვა და ქვიშა არ გეიხარებს,  
ისე სირსვილი არ გაახარე!

კლარჯული წყევლები, ზოგადქართული წყევლების მსგავსად,  
უმეტესწილად მეტაფორული აზროვნების ნიმუშებია და საინტე-  
რესო მასალას იძლევა სიტყვის მხატვრული ღირებულების თვალ-  
საზრისით. ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს საინტერესო უბანი,  
რომლის გენეზისიც სიტყვის მაგიური ძალის რწმენას ეფუძნება,  
მეტად ღირებულ ინფორმაციებს გვანვდის კლარჯ ჩვენებურთა მა-  
ტერიალური და სულიერი კულტურის შესახებ; მათი შესწავლითაც  
ცხადი ხდება, რომ როგორც ისტორიული კლარჯეთის მცხოვრებ-  
თა, ისე თურქეთის შიდა რეგიონებში მიგრირებულ კლარჯ მუჰა-  
ჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერება ჯერ კიდევ ერთიანი  
ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

## დალოცვა

დალოცვა, შელოცვასა და წყევლასთან ერთად, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა დაფუძნებული და ზეპირსიტყვიერების არქაულ ფანრს განეკუთვნება. ანიმისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, დღემდე სიტყვაში აკუმულირებული აზრი ანგარიშგასაწევია და ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს; ქრისტიანული მსოფლმხედველობით კი სიტყვა, როგორც უფლისეული ხმა, უდიდესი ღვთაებრივი ენერგიით არის დატვირთული. როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი მიუთითებს, „სიტყვაჲ ღმრთისაჲ საქმე არს და ყოველი დაბადებული სიტყვითა მისითა დაიბადების – ყოველთა არსთა შორის სიტყუაჲ ბრძენი და ხელოვანი დანესებულ არს“ (ნოსელი, 1988: 236).

ჩვენი წინაპრები ძველთაგანვე ყოველგვარი ურთიერთობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვით გამოხატულ-გამოთქმულს და მიაჩნდათ, რომ ის ყოველგვარ ქმედებაზე უფრო მეტია. „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა; სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს... ჩვენ მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს“, – აღნიშნავს კონსტანტინე გამსახურდია (გამსახურდია, 1959: 96-97).

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა მე-17 საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა სამეგრელოს მოსახლეობაზე დაკვირვების შედეგად. უცხოელი მისიონერი აღფრთოვანებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული ჩვეულებით, რომელიც მან იხილა: „ყიდვის დროს მყიდველმა, გარდა გადაწყვეტილის ფასისა, უნდა აჩუქოს კიდევ რამე გამყიდველს, რათა ამან გაყიდული ნივთი ჩაბარებისთანავე დაულოცოს... ვინც მიმინოს იყიდის, იგი ჯერ გადასცემს გამყიდველს იმ ფასს, რომელზედაც

შეთანხმებულან, და მერე მისცემს რამე საჩუქარს, რათა გამყიდველმა მიმინო დალოცოს. გამყიდველი აიყვანს ხელში მიმინოს, აიხედავს ცისაკენ და იტყვის: „– ღმერთო ჩემო, ინებე, რომ ამ კაცმა, რომელმაც იყიდა ეს ჩემი მიმინო, დაიჭიროს იმდენი ფრინველი, რამდენიც ამ მიმინოს ბუმბული აქვს!“ (ლამბერტი, 1938: 152).

არქანჯელო ლამბერტის თხრობით, ასევე იქცევა ცხენის გამყიდველიც, რომელიც ამ სიტყვებით დაულოცავს შენაძენს მყიდველს: „– უფალმა ღმერთმა ინებოს, ამის მყიდველი ომიდან მუდამ გამარჯვებული დააბრუნოს! ნადირობის დროს მრავალი ირემი და ტახი მოაკვლევინოს! მგ ზავრობიდან ბედნიერად დააბრუნოს და ამ ცხენით ბარგის მოტანით გაუმრავლდეს სახლში ყოველივე ქონება!..“ (ლამბერტი, 1938: 152).

საყურადღებოა, რომ საქართველოს ყველა კუთხეს ახასიათებს არა მარტო გაყიდულის, არამედ ნამუშავეის, ნაჩუქარი ნივთის დალოცვის ჩვეულება, რაც, სხვა ხასიათის დალოცვებთან ერთად, ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებადაც ჩამოყალიბდა.

სიტყვის მაგიური ძალის რწმენიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ადამიანები მუდმივად ეკრძაღვიან, სიფრთხილით ეკიდებიან ენით მიყენებულ ზიანს და ელტვიან სიტყვიერ დალოცვას, რაც დიდებულად აისახა ხალხურ სიტყვიერებაშიც; თვად დალოცვა კი, როგორც უზენაესი წყალობა უფლისა, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ჩამოყალიბდა ჩამოქნილი, ლაპიდარული სახის ფორმულებად და უმაღლესი პოეტურობით დამშვენებულ დალოცვა-სადღეგრძელოებად, რომლებსაც ჩვენი ხალხი მიმართავს როგორც რიტუალური, ისე ყოფითი თავყრილობების დროს, რათა ერთმანეთს ყოველგვარი საუკეთესო დაუბედონ.

ძირძველი ქართული რეგიონის – კლარჯეთის ხალხურმა სიტყვიერებამაც შემოინახა დალოცვები, რომლებიც თითქმის ზოგადქართულის იდენტურია და, ამავე დროს, მშვენივრად გამოხატავს კლარჯ ჩვენებურთა ყოფიერებას, წარმოდგენას გვაძლევს მათ სულიერებასა და მისწრაფებებზე.

სამწუხაროდ, კლარჯმა ზეპირსიტყვიერებამ, შავშურის მსგავსად, ვერ შემოინახა ქართველი ხალხისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დალოცვა-სადღეგრძელოები, რასაც თავის ობიექტური მიზეზები გააჩნია: ეროვნული ფოლკლორის ეს ძალზე სახასიათო



ჟანრი ძირითადად გამოიყენება ლხინის დროს, სუფრასთან, რასაც თან ახლავს ღვინის სმაც. კლარჯ ჩვენებურთა რელიგიური მრწამსის გამოისობით კი პოეტური დალოცვა-სადღეგრძელოები მათი ლხინის დროს არ წარმოითქმის, რამაც ხელი სეუნყო ამ ძირძველი ტრადიციის დავინყებას; თუმცა, შავშურის მსგავსად, კლარჯი ჩვენებურების მეტყველებას უხვად შემორჩა დალოცვის მოკლე ფორმულები, რომლებიც, ისევე, როგორც ყველა ქართულ რეგიონში, წყევლათა ანტითეზებს წარმოადგენენ.

კლარჯი ჩვენებურების დალოცვებში უპირველესად გამოთქმულია ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანიერი ცხოვრების სურვილი:

- ავადეულობა და დერდი არ მოგცოს!
- ბევრი დღე და ომრი მოგცეს!
- ბევრი დღით გაგაძლებია ღმერთმა!
- გაცოცხლოს ღმერთმა!
- გძელი დღე მოგცეს ღმერთმა!
- ღმერთმა გამყოფნოს!
- ღმერთმა გაცოცხლოს კარქობით!
- ბოვრი აცოცხლოს ღმერთმა!

ასაკოვანი კლარჯი კი ასე ლოცავს ახალგაზრდებს:

- ჩემ დრომდინ გაცოცხლოს ღმერთმა!

გასათხოვარ და დასაქორწინებელ ახალგაზრდებს დალოცავენ:

- ღმერთმა კაჲ ბედი მოგცეს!
- ღმერთმა კაჲ ყისმეთი მოგცეს!
- ღმერთმა კაჲ კაცი გაღირსოს!
- ღმერთმა ნანდომი მოგცეს!
- კაჲ ბიჭი განახიონ!

საქორწილო ლხინის დროს ნეფე დედოფალს, ანდა ახალშეუღლებულებს კი კლარჯები ასე დალოცავენ:

- თეთრი ბედი მოგცეს!
- ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- სახლი-კარი კარგი მოგცეს ღმერთმა!
- ერთ მანდილზე დაგაბეროს!

- მოკდომამდი შენ კაცთან იყავ!
- ღმერთმა შვილი მოგცეს!
- ბიჭი შვილი მოგცეს ღმერთმა!

ოჯახი, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უმთავრესია კლარჯი ჩვენებურებისათვის; ამიტომაც შეხვედრისას ასე ლოცავენ ერთმანეთს:

- ღმერთმა ოჯახი გაჩუქოს!
- ყველა ოჯახში კარგად გამყოფნოს!
- ღმერთმა შვილებიდან არ მოგშალოს!
- ღმერთმა შენი ღარჭებსა კარგობით დაგანახონ!
- ღმერთმა შენი ღარჭებსა დიდი დღე მიცეს!
- ღმერთმა თეთრი წვერიანი ბადიშები მოაწრას!
- ღარჭები გიჩუქოს გამჩენელმა!
- ღმერთმა ნენეა, ბაბაა უჩუქოს!

სიბრძნისმოყვარეობა ძველთაგანვე ქართველთა ერთ-ერთი უმთავრესი ზნე იყო. კლარჯებიც ლოცავენ ახლობლებს და გონიერებას, ბევრი რამის სწავლას უსურვებენ:

- გაგაჭკვიანოს ღმერთმა!
- ბევრი რაცხაები განავლოს ღმერთმა!
- ღმერთმა კაა ჭკუა მოგცეს!

ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით კი რძალ-დედამთილის, ურთიერთობის პრობლემამ დალოცვის ფორმულებშიც იჩინა თავი. ახალმოყვანილ რძალს კლარჯები ასე დალოცავენ:

- დედამთილსა კაა შეხედე!
- კაა ძლობა ქენი!

ცუდ რძალს კლარჯი ჩვენებურები მტერსაც არ უსურვებენ: „– გონჯი გელინი ღმერთმა დუშმან არ მიცეს!“

კლარჯ ჩვენებურთა დალოცვის ფორმულებში განსაკუთრებულად გამოირჩევა ადამიანის ზნეობრივ-სათნოებითი მხარე; ისინი ერთმანეთს უსურვებენ კეთილშობილურ დამოკიდებულებას, შეუბღალავ მეგობრობას, სიმართლის მსახურებას:

- არქადაშებს უკან ლამაზათ იყავით!
- ლამაზებ იყავით, არ წეიკიდნოთ!
- ლამაზობით წაი!
- სირცხვილი არ მოგცეს!
- ღმერთმა ჰელალიდან მოგცა!
- წორეთ გეიარეთ, წორეთ მოდით!

თავისუფლების, დამოუკიდებლობის ფასი ძველთაგანვე კარგად იცოდა ქართველმა, რომელიც მუდამ პიროვნულ და ქვეყნის თავისუფლებას ელტვოდა და სხვაზე დამოკიდებულებას, „სხვათა მოჯამაგირეობას“ უარს ეუბნებოდა, საკუთარი ოფლით მოპოვებულ ლუკმას ჯერდებოდა. კლარჯ მუჰაჯირთა შორის გავრცელებულ დალოცვებში ეს ფაქტორიც წინა პლანზეა წამონეული:

- ღმერთმა ვინმეზე მუხთაჯი არ დაგტიოს!
- ღმერთმა ბევრი ბერექეთი მოგცეს და ვინმეზე ამარ არ დაგტიოს!
- ღმერთმა შენი ხელ-ფეხი მოგცეს და ვინმეზე ამარ არ დაგტიოს!

უფლის მორწმუნე და მოყვარული კლარჯებისათვის უზენაესი დალოცვა და წყალობა ყველაზე დიდ მადლად აღიქმება; ამიტომაც ლოცავენ ერთმანეთს:

- გამჩენელმა აგაშენოს!
- გამჩენელმა ბერექეთი მოგცეს!
- მუბარექმა ჯენნეთი მოგცეს!
- კაჲ დუა მოგცეს ღმერთმა!
- მურადები აგაღებოს ღმერთმა!
- ფეჟღამბერა მეზობელი გაგხადოს!
- ღმერთმა იმ დუნაში ჯენნეთი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთი დაგანახოს!
- ჯენნეთი დიგინეროს ღმერთმა!
- ღმერთის დუა შენ თავზე იყოს!

ლოცვის ძალასა და მადლს უსურვებენ კლარჯები ერთმანეთს („– ღმერთმა ლოცვა გქონდეს!“), ხოლო ნაკლებად მორწმუნეებს და ურწმუნოთ ამგვარად დალოცავენ: „– გამჩენმა ღმერთმა ღმერთის დინზე მიგიყვანა!“

მუდმივ თავდაცვით ომებში მყოფი ქართველი კაცისათვის ძველთაგანვე ძალზე ღირებული იყო მტრების გაუვნებლყოფა. კლარჯებიც ამგვარად ილოცებიან: „– ღუმმანი გამოგინწყვიტოს ღმერთმა!“ და ერთმანეთს მშვიდობიან, უშფოთველ ცხოვრებას უსურვებენ:

- მშვიდობით გარონიონ!
- ბელადან, ყაზადან დიგიფაროს ღმერთმა!
- კაჲ დღეები დაგანახოს!

ფეხმძიმე ქალს კლარჯი ჩვენებურები ასე დალოცავენ: „– ღმერთმა ერთ ხმაზე მოგარჩინოს!“

ურთულეს ბუნებრივ პირობებში მცხოვრებ კლარჯებს, რომლებიც ხშირად საშოვარზე („კურბეთზე“) მიდიან, რათა ოჯახი არჩინონ, გზაზე მყოფთათვისაც შეუშუშავენიათ დალოცვის ფორმულები:

- გზა-შარაში შიგიბრალოს ღმერთმა!
- გემრელათ იარე, შენი თავი დაცვი!
- კაჲ იერებში ისაქმო!
- კარქობით წიგიყვანოს ღმერთმა!
- ნელ-ნელა იარე, არ გადავარდე!
- ღმერთმა გზები აჩუდი გიგიხადონ!

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც არ ავინწყდება კლარჯ დამლოცავს:

- ღმერთმა ბევრი ფარა მოგცეს!
- ღმერთმა ყუეთი მოგცოს!
- გამჩენელმა ბერექეთი მოგცეს!

კლარჯებმა ჩვენი ექსპედიციაც დალოცეს:

- წყალსავენ ნადი, წყალსავენ მოდი!
- ღმერთმა ლამაზობით წეგიყვანონ, მეგიყვანონ!
- ღმერთმა კარგობით წასლა-მოსლა გაღირსოს!

ბოლოს კი საერთო სამშობლო დაგვილოცეს: „– ჩვენი მემლექეთი შეინახოს ღმერთმა!“

## ანდაზა

ანდაზა, რომელსაც პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ „სიბრძნის პოეზია“ უწოდა (კიკნაძე, 2008: 324), მსოფლიოს ყველა ხალხის მსოფლმხედველობის, სიბრძნისმეტყველების, ზნეობრივი ვითარების ანარეკლია და, ამავე დროს, ენის ლექსიკური სივრცის მოქნილობისა და განფენილობის დონის განმსაზღვრელიც არის.

ხალხური ანდაზა სრულიად ბუნებრივად და ლაღად არის ჩანულ-ჩაგრეხილი ენის ნიაღში, მისი შემოქმედი ხალხის ცხოვრების თანამდევია, „ჭირსა შიგან გამაგრების“ ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ზნეობრივი ტრიბუნის, დამრიგებლისა და მოძღვრის ფუნქციას ასრულებს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ანდაზას, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან ერთად, და, შეიძლება ითქვას, მათთან უპირატესადაც კი, განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა და ეკისრება. სულხან-საბა ორბელიანი მას ანიჭებს თარგის, ანუ არქეტიპული თქმის, მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც იშვება ესა თუ ის მატერიალური საგანი, სწავლება ანდა საქციელი; სიტყვა „საანდაზოს“ კი განმარტავს როგორც „ანდაზად დასადებელს, სამაგალითოს“ (ორბელიანი, 1965: 430).

ანდაზა, თავისი ჩამოქნილ-ჩამოკვეთილი, ლაპიდარულად გადმოცემული ბრძნული აზრის გამო, რომელიც უსათუოდ იმსახურებს მომავალი თაობისათვის შენახვის პატივსა და უფლებას, ზოგჯერ ანდერძთანაც არის გაიგივებული. აკაკი წერეთელი „ბაში-აჩუკში“ სიტყვას „ანდერძი“ ანდაზის მნიშვნელობით ხმარობს: „აღარ გახსოვთ ძველი ანდერძი: სირცხვილს სიკვდილი სჯობს და ორივე ერთად კი ჯოჯოხეთიაო?“ (წერეთელი, 1977: 117). ამგვარი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, რაც მიუთითებს ანდაზის, როგორც დამოუკიდებელი ფოლკლორული ჟანრის, უაღრესად ქმედითუნარიანობასა და დახვეწილობაზე, რომლის არეალიც მასში გადმოცემული სიბრძნისეული სიტუაციაა, რასაც იგი სრუ-

ლიად ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს. დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით XI საუკუნეში საშუალო სპარსულიდან (ფალაურიდან) შემოსული ეს სიტყვა (ანდრონიკაშვილი, 1966: 282-283) ქართულ მეტყველებაშიც ზემდინეწვით ასახავს მის თვდაპირველ ფუნქციას: რჩევა, დარიგება, ანდერძი, მითითება, თათბირი, რეკომენდაცია.

საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული ხალხური ანდაზები შესანიშნავად გადმოსცემენ მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, სოციალურ-ისტორიულ გამოცდილებას, სულიერ მისწრაფებებსა და ხასიათს; ამავე დროს, ლაპიდარული ფორმის წყალობით, ანდაზა ერთობ მოძრავი, აქტიური ჟანრია, „ენასთან ერთად არსებობს, მასთან არის სისხლხორცეულად დაკავშირებული“ (კიკნაძე, 2008: 324).

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე – კლარჯეთი მდიდარია საანდაზო მეტყველებით. 2007, 2013 და 2014 წლებში ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსურმა სამეცნიერო ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. მამია ფალავა) ისტორიული კლარჯეთის სოფლებში, ხოლო 2013, 2014 და 2015 წლებში თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დააფიქსირა მრავალი ანდაზა, რომელთა შესწავლაც ნათელყოფს, რომ კლარჯულ მეტყველებაში ბოლო დრომდე შემონახული ანდაზების უმეტესობას პარალელები ეძებნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა, განსაკუთრებით კი – აჭარის, ზეპირსიტყვიერებაში. ეს ვითარება მოსალოდნელი და სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც ანდაზა ეთნიკურ სივრცეში აღმოცენდება და ამავე ეთნოსის ფარგლებში აგრძელებს არსებობას.

კლარჯული ანდაზები, ისევე როგორც საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებში გავრცელებული სიბრძნის პოეზიის ეს უბადლო ნიმუშები, ქადაგებენ ჰუმანურ იდეებს, კუთხე-მეზობლობას, ურთიერთგატანას, ძმობა-მეგობრობას, რადგანაც „მრავალჭირგამოვლილმა, ათასი ჯურის მომხვედურთაგან ანიოკებულმა და დარბეულმა ქართველობამ ყოველთვის იცოდა ძმობა-მეგობრობის, ურთიერთგატანის ფასი“ (შიოშვილი, 1988: 8). კლარჯელმა ჩვენებურებმაც, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში ბედმა

უცხოტომელებთან, უცხოენობრივ გარემოში არგუნა ცხოვრება, კარგად შეითვისეს და ჩვენს დრომდე მოიტანეს ერთობის, მეგობრობის, კუთხე-მეზობლობის, ძმობის ტრადიციული ქართული, და ამავე დროს ზოგადკაცობრიული, იდეალები, რაც მშვენივრად არის ჩაქსოვილი მათ ყოველდღიურ მეტყველებაში და, ამასთანავე, დიდებულად ემსახურება ამ მეტყველების აქტუალიზაციას და გამდიდრება-გაკეთილშობილებას.

„მეზობელი კაინა გყავდესო“, – გვითხრა 84 წლის ქლასკურელმა ქალბატონმა ალთუნ თაბანმა და თავისი ვრცელი თავგადასავლის მოყოლის შემდეგ დასძინა:

„– არავის გევეჯენგე, არავის წევეკლინდე, იმისთვის ჩემი ყისმეთი იქნა; ვინმეს არ გევეჯენგე, გონჯობა არ ვქენი, „შენ ზიხარ და მე მასაქმავ“ ვინმეს არ უთხარ. დიდი ვისაქმე და პანაჲ ვჭამე. ღმერთმა ყოილაფერში დემეხმარა“.

ამავე მთქმელისაგან ჩავინერეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ანდაზის: – „კაცი კაცითაო“ პერიფრაზი: „კაცი კაც მონახავსო“.

კლარჯებმა კარგად უწყიან ერთობის ფასი და აკი ამიტომაც იმშვენებენ მეტყველებას ბრძნული ანდაზებით: „ერთი ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება“; „მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენ ხელი'ნა მისვა“; „მოზობელი რომ შიერი იქნაო, შენც იმას'და დეეხმაროო, გამძღარი არ'და იყოო“; „შორ ბაბასა-წენესა ახლო მეზობელი ჯობიაო“.

ბუნებით უმურველი და ხელგაშლილი, მოყვასისათვის სიკეთისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მდომი ქართული ტრადიციული სულიერებაა გამოხატული კლარჯული ანდაზით: „ქონება ყველას'და ქონდეს, რომ შენც შეგერგოსო“; „გავლაჲ ქვა ქვაზე დადეო, გამოვლაჲ დიგიხდებაო“; „კოცნას ცხვირი არ დოუშლისო“.

ადამიანური თანადგომა და ურთიერთგატანა 70 წლის ებრიკელმა ჯესურ ათამანმა (ჩაუშოლლი) და 68 წლის ჩხალთელმა ჯევდეთ ჩოლაქოლლუმ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზით – „მთა მთას არ მოხდება, ინსანი ინსან მოხდებაო“ – გამოხატეს. ერთად დგომის („ძალა ერთობაშია“) ეს ძველქართული სენტენცია ჩვენებურთა საანდაზო მეტყველებაში დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ანდაზით: „ქვა ქვაზე მიგორდებაო“.

შრომისმოყვარე კლარჯი ჩვენებურების გულისთქმას გადმო-  
სცემენ ანდაზები, რომლებიც ზოგადქართულ საანდაზო ფორმულა-  
თა ვარიაციებია: „ადრეულაჲ ადგები, საქმეს მალე დაღვეო“ („ადრე  
ამდგომსა კურდღელსა ვერ დაენევა მწევარი“), „გაგორვებული ქვა  
ხავს ვერ დეიკავებს“ („აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებო“).

ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით არის გაჯერებული 78 წლის  
ქლასკურელი მთქმელის – მიერეი ქესუმისაგან ჩანერილი ანდაზა:  
„დუშმანიც ინსანიო“, რაც მშვენივრად ეხმიანება ქრისტესმიერ  
მცნებას: „გიყვარდეს მტერი შენი“.

სიკვდილ-სიცოცხლის ოდინდელი პრობლემა, რომელმაც გა-  
მობმაურება ჰპოვა ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალ ჟანრ-  
ში, ქართულ ხალხური ანდაზების თემაც გახდა. რაკი „ამქვეყნად  
ორჯერ არავინ ცხოვრობს“, სიბრძნის პოეზიის ქართული ხალხურ-  
ი ნიმუშები გემოდღვრავს, რათა სოფლიური ცხოვრება შინაარ-  
სიანად, ზნეობრივად განველოთ. „საცა შერცხვები, ვაჟყაცო, თა-  
ვიც იქ უნდა დამარხოო“, – ამბობს ქართული ხალხური ანდაზა. 77  
წლის კლარჯი ქალბატონი ფატმა თურანლი კი გვახსენებს, რომ  
„ამ დუნაში ერთი პირი მოხვალ“ და გვარიგებს: „ეს დუნა ტყვილი  
დუნაა, კაი'ნა დეიფიქრო“. კლარჯ ჩვენებურთა რწმენით, ავტორი-  
ტეტს ყველა საკუთარი საქციელით მოიპოვებს. ამაზე მეტყველე-  
ბს ანდაზა: „ეფფურტნე, ბუილას მოხვდა, დეფფურტნე – წვერსაო“  
(მთქმელი სეიჰან ბოლქვაძე (ჩაუშოლლი), 45 წლის, მცხოვრები სო-  
ფელ ტრაპენში (თარაქლი).

ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი ეპიტაფიური ფრაზა  
– „ვიყავ შენ დროს, მოხვალ ჩემ დროსო“ – 70 წლის ქლასკურელი  
ქალბატონის – აიშე თურანლის მეტყველებაში ანდაზად („ათასუ-  
ზად“) ჩამოქნილა.

უფროსი თაობის, განსაკუთრებით კი მშობლების პატივისცე-  
მა ქართულ ხალხურ ანდაზათა აქტუალური და საპატიო თემაა.  
კლარჯელების სიბრძნის პოეზიაც გმობს თვისტომის დამწუნე-  
ბელს, ამპარტავან და ყოყლოჩინა, უმადურ შვილებს: „ნაბლი ბუ-  
რჯგელადან გამოიდა, ბურჯგელა არ მოწონდა“ (მთქმელი ნეზა-  
ჰათ დემირალი, 49 წლის, მცხოვრები სოფელ იბრიქლში, მარმარ-  
წმინდას უბანში). სხვა ვარიანტით: „კაკლის ხეჭებოდან გამოვდა  
და ხეჭებო არ მოწონსო“ (მთქმელი ვილდან ერქილიჩი, 70 წლის,



მცხოვრები სოფ. ებრიკაში). ეს ანდაზა მცირეოდენი ვარაიაციებით გვხვდება როგორც შავშურ, ისე აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში („ნაბლი ბუჯგიდან გამოვდა, ბუჯგი აღარ იკადრაო“).

კარგად აღზრდილი შვილით ყოველთვის ამაცობს მშობელი. „კარგი შვილი ნენესი გულია“, – ანდაზისეული სიბრძნით გაგვიცხადა ყოველთა ქართველთა გულისნადები გირესუნის პროვინციის გულანჯაქის რაიონის სოფელ დამუდერეში მცხოვრებმა კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალმა – 70 წლის ხატიჯე ყაჯარმა (ყურდოლლუ). ამ ანდაზის ვარიანტი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში: „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“ (ქ. ანდ., 1955: 96).

კლარჯეთში მცხოვრები ჩვენებურების საანდაზო სიბრძნე ეხება, აგრეთვე, თაობათა შორის არსებულ ოდინდელ წინააღმდეგობებსაც, რაც გამოხატულია ანდაზით: „შვილი კალთიდან რო გუდუუხტება, უკვე შენი არ არიო“ (მთქმელი ჯევედეთ ჩოლაქოლლუ, 68 წლის, მცხოვრები სოფ. ჩხალთაში).

ქართულ ხალხურ ანდაზებში ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირდება სიამაყე და თავმდაბლობა, მოკრძალება და მედიდურობა და ხალხური სიტყვიერებისათვის დამახასიათებელი უშუალობითა და პირდაპირობით არის დაგმობილი მედიდურობა (შიომვილი, 1988: 22). ამაზე მიუთითებს კლარჯული ანდაზაც: „ქიბრობა კაე არ არი არც ამ დუნაათვინ, არც იმ დუნაათვინო“ (მთქმელი ჰურიე ქურდარი, 73 წლის, მცხოვრები სოფ. ბალაბანაქედში – სოფ. მარადიდის უბანი); „ნეხვმა ტალახი არ მონონსო“ (მთქმელი მელათ ბალჯი (თაფლიძე), 50 წლის, მცხოვრები სოფ. თხილაზორში); „ჭიაყელა გველზე დაბზვანებია, მიენიო'ნაო, განინულა, წელიდან განყვეტილა“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში). ამ ანდაზის აჭარული ვარიანტი ამგვარია: „ჭიაყელა გველს დიეზმანა და განყდაო“ (ქ. ანდ. და გამ., 1976: 24); სოფელ ქართლაში მცხოვრები 70 წლის ვილდან ერქილიჩი კი თავმონონებასა და მზვაობარობას ამგვარად გმობს: „თოვლიც ლამაზია, ზეიდან ძალლი აფსამსო“. ამ ანდაზის მრავალი ვარიანტია გავრცელებული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

თავმოყვარეობა (და არა პატივმოყვარეობა) ქართველი კაცის ოდინდელი კეთილი ზნეა. კლარჯული სიბრძნის პოეზიაც ამას ქა-

დაგებს: „დაუპატიჯნელი მოსული უბალიშო დაჟდება“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში). ამ ანდაზის ზოგადქართული ვარიანტი ამგვარია: „დაუპატიჟებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიაო“.

მზვობარობისა და ცრუპენტელობის დღემოკლეობა კლარჯებმა მშვენვირად გამოხატეს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მკვეხარა ყორანზე ფართოდ გავრცელებული ანდაზის ვარიანტით: „ყორან უთქმია, გაღმაში გევაღ, თეთრ კვერცხ დავდეფო“ (მთქმელი ოსმან ერდოღანი, 45 წლის, მცხოვრები დაბა ბორჩხაში); „ყორანმა თქვაო, გაღმა'ნა გევეფო, თეთრი'ნა დავდეფაო. გასულა ქი, თეთრი არა და შავი ქნილაო“ (მთქმელი მელაათ ბალჯი (თაფლიძე), 30 წლის, მცხოვრები სოფ. თხილაზორში). აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ანდაზის ვარიანტია: „ყორანმა თქვა: აქ ვარ გონჯი და აქ ვდებ შავ კვერცხს, თვარა წყალს გაღმა რომ გავალ თეთრ კვერცხს დავდეფო“ (ქ. ანდ. და გამ., 1976: 22).

კლარჯული სიბრძნის პოეზია გმობს სულწასულობასა და მოუთმენლობას: „ჯერ იტყვის და მერე ფიქრობსო“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში); „ატეხვას თავის გატეხვა აქო“ (მთქმელი მელაათ ბალჯი (თაფლიძე), 30 წლის, მცხოვრები სოფ. თხილაზორში). ეს უკანასკნელი ანდაზა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ამგვარად ფლერს: „ატეხილს თავი გაუტყდებაო“ (ქ. ანდ. და გამ., 1976: 7).

სიხარბე და გაუმადღრობაა მხილებული ანდაზებით: „ტურა ცდება და – თავი საქათმისკე დამაჭერიეთო“ (მთქმელი ნიმეთ ოზთურქი (სალიროღლი), 73 წლის მცხ. სოფ. მარადიდში (მურათლი). ამ ანდაზის აჭარული ვარინტია: „მელია კვებოდა და თავი საქათმისაკენ მიჰქონდაო“ (ქ. ანდ. და გამ., 1976: 15); „რაცხამდენი საბანი გაქ, იმდონე განვადე ფეხები“ (მთქმელი უნძილე ოზთურქი (ილდიზი), 55 წლის, მცხოვრები გირესუნის პროვინციის ფირაზისის რაიონის სოფ. თეფექოში); „სხვის ვირზე რომ შეჯდება, მალე ჩამოხვალო“ (მთქმელი ჰავა ჩელებოღლუ, 73 წლის, მცხოვრები გირესუნის პროვინციის გირესუნის ცენტრალური რაიონის სოფ. ამბარალანში); „ღორი ყანაში რო შევა, გაძლომამდე ჭამსო“ (მთქმელი ნიმეთ ოზთურქი, 73 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში). ხარბი თვალის ადამიანი დაგმობილია კლარჯულ ანდაზაში „შიერი ფუში

მაღე გაძღება, თვალი – არაო“ (მთქმელი ხატიჯე ყაჯარი (ყურდო-ღუ), 70 წლის, მცხოვრები გირესუნის პროვინციის გულანჯაქის რაიონის სოფ. დამუდერეში).

ძალადობა, როგორც უდიდესი მანკიერება, მხილებულია ანდა-ზით: „ზორით მოყვანილი ძალი ქოხში დაყეფსო“ (მთქმელი ნე-ზაჰათ დემირალი, 49 წლის, მცხ. სოფ. იბრიქლში, მარმარწმინდას უბანში).

სხვათათვის ცუდის წადილს, წყევლას გმობენ ჩვენებურები: „წყევლავ, წყევლავ და შენ მოგიტრიალდებო“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წკირმონეთის უბანში).

გადაჭარბებული სმა და სიმთვრალე მიუღლებელია კლარჯთათვის: „მე ღვინოს დავლევ და ღვინო ჩემ ჭკვას დალევსო“ (მთქმელი მემედ თავდგირიძე, 82 წლის, მცხოვრები სოფ დევსქელში).

ცხოვრებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ ქართველ კაცს ათქმე-ვინა, რომ სხვათა იმედზე ყოფნა ფუჭია („ხისიმი ხის უკნიდანაო“, „ვინმემა შენთინ ხელ არ აინევს, ბელაჲ არ ნახავსო“ (მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვი-ლების უბანში). ამავე დროს, კლარჯული ანდაზა ქადაგებს შრო-მისმოყვარეობას, საქმისადმი ერთგულებას: „ჩემი საქმე მე'ნა გა-ვათაო“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლა-სკურში, წინწკალაშვილების უბანში).

სწავლა-განათლების საჭიროებას ყოველთვის, ყველა ეპოქაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი კაცი: „ერთი ენა ერთი კაცია, ორი ენა იცი, ორი კაცია“ (მთქმელი სულთან შამრი, 40 წლის, მცხოვრები სოფ. ჯივანში).

ძვირფასი ადამიანის მარადიულ სილამაზეს ქადაგებს ანდაზა: „საყვარელი სულ ლამაზია“ (მთქმელი მემედ თვდგირიძე, 82 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელში); „საყვარელი არასდროს არ გაბეთ-დება“ (მთქმელი ივივე).

ახალგაზრდობის ძალმოსილებასაც გადაუხადა ხარკი კლარჯუ-ლმა საანდაზო სიბრძნემ: „ძველი გოდორი ჭერშია“ (მთქმელი მუ-რად უიუმაზი (მემიშვილი), 21 წლის, მცხოვრები სოფელ ხებაში); „ყველაფერი ახალობითო“ (მთქმელი ნიმეთ ოზთურქი (საღირო-ლი), 73 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

კლარჯული საანდაზო მეტყველება მდიდარია საოჯახო-საყოფიერო თემატიკითაც: „გელინი თუ გონჯია, ყასულზე აგაცვამსო“ (მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში); „არც მარტმა გამახარა, არც – აპრილის თვემან“ (მთქმელი მელაათ ბალჯი (თაფლიძე), 30 წლის, მცხოვრები სოფელ თხილაზორში).

ოჯახი, ოჯახური ტრადიცია და ღირსება საქართველოში ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არის ახალი ოჯახის შექმნისას. კლარჯული პარემიის სიბრძნეც ამაზე მიუთითებს: „ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაცია ნახე“ (მთქმელი ფატმა თურანლი, 77 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში); „დედა დეინახე, გოგო ისე მეინონე“ (მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში). ქართულ ფოლკლორში გავრცელებული ამ ანდაზის ვარიანტი ამგვარია: „დედა ნახე, მამ ნახე, შვილი ისე გამონახე“ (ქ. ანდ. და გამ., 1976: 10).

სულელ, მოუხერხებელ ადამიანს ამგვარი ანდაზით კიცხავენ კლარჯი ჩვენებურები: „მელა მალარაში ვერ გატეულაო, ფაჩხი გამოუბია უკნიდანო“ (მთქმელი მემედ თავდგირიძე, 82 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელში).

ბიბლიიდან მომდინარე სიბრძნე – „ბრძნად მეტყველება ვერცხლია, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“ – კლარჯთა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა საანდაზო ფორმულით: „სიტყვა გუმიშია, უხმიობა – ალთუნი“ (მთქმელი მემედ თავდგირიძე, 82 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელში).

მშრომელი კაცის ზურგზე გაფუფუნებული მუქთამჭამელები არასოდეს ყოფილა ქართველი ხალხის იდეალი. ქლასკურელმა ენაწელიანმა სახალხო მთქმელმა – 78 წლის მიერიე ქესუმმა, 2013 წლის 4 აგვისტოს სამი საათის განმავლობაში ჟანრობრივად მრავალფეროვანი და უხვი მასალა რომ ჩაგვანერინა, შემდეგ მოკრძალებით გვითხრა: „– საქმიები მაქ, ქალიც ჩემი ბელა, კაციც ჩემი ბელა!“ და მშვენიერი ანდაზაც მოაყოლა: „– უთქმიან, ოთხმოცდაცხრამეტი ყიზილბაში, ერთი ფაშაო“, რა ექნას ერთმა ფაშამ?“

კლარჯულ სიბრძნის პოეზიაში დიდებულად გაცხადდა ქართველი კაცის უდიდესი სიყვარული მშობელი მინისადმი; უძველეს „გეორგიანელთა“ ხმამალალი განაცხადია 82 წლის დევსქელელი

მთქმელის – მემედ თავდგირიძის მიერ ნათქვამი ანდაზა: „მინას უყვარებელი კაცი კაცი არ არიო“.

„გურჯობისადმი“ – ქართველობისადმი ერთგულების დასტურია კლარჯთა შორის გავრცელებული ანდაზა: „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოს“. ეს ის დევიზია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთიანებს და განამტკიცებს ჩვენებურთა ეროვნულ სულისკვეთებას, მათ ისტორიულ მახსოვრობას.

ამრიგად, ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული კლარჯეთის სოფლებში და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებში დაფიქსირებული ანდაზები დასტურია იმისა, რომ, მიუხედავად ქართული სოციალურ-კულტურული სივრციდან საუკუნეთა მანძილზე შორს ყოფნისა, კლარჯთა საანდაზო მეტყველება ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია და გამოხატავს ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებათა შედეგად გამომუშავებულ სიბრძნეს. ისინი ერთის მხრივ გვაცნობენ ჩვენებურთა სულიერ სამყაროს, მათ მსოფლშეგრძნებებს, სოციალურ ვითარებას, ზნეობრივ იდეალებსა და მისწრაფებებს, რაც ზოგადქართული აზროვნების იდენტურია, და, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თურქულ გარემოში მცხოვრებ კლარჯთა ქართული მეტყველების სიმდიდრისა და ხიბლის შენარჩუნებაში, რაც მათი ქართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმდენად, რამდენადაც ანდაზის, როგორც ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი აქტუალური ფანრის, წარმოშობა და არსებობა ყოველდღიურ ყოფაში ენასთან, მეტყველების აქტუალური ზაცისთან არის დაკავშირებული, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიდრე ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენებურთა და თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ რაიონებში დასახლებულ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას ამშვენებს საანდაზო სიბრძნე, მათ ეროვნულ იერსახეს გადაშენება არ უნერია.

## ბამონანა

გამოცანა მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირპოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ზეპირსიტყვიერების ეს ფორმით მცირე, მაგრამ უალრესად დიდი სიბრძნის შემცველი კოლორიტული ჟანრი მეტწილად მეტაფორაა, საგნის ან მოვლენის პოეტური, ნართაული დახასიათებაა თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად, მისი გამოცნობის მიზნით. არისტოტელეს აზრით, გამოცანა კარგად შედგენილი მეტაფორაა.

ნარმოშობით გამოცანა პირველყოფილ საზოგადოებას მიეკუთვნება; თავდპირველად მას საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა და იმ უძველეს ნარმოდგენებს უკავშირდებოდა, რომლებიც საგნის ან მოვლენის საკუთარი სახელით მოხსენიებას კრძალავდა. მოგვიანებით გამოცანამ მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქცია შეიძინა. მისი დანიშნულებაა ადამიანში გონებამახვილობისა და დაკვირვების უნარის აღზრდა.

ქართულ ფოლკლორში უძველესი დროიდან მომდინარე ჟანრებს შორის გამოცანას, ანუ ასახსნელს, ანუ საცნაურას, როგორც მას უწოდებენ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს; იგი მნიშვნელოვანწილად გამოხატავს ჩვენი ერის გონებრივსა და ზნეობრივ დონეს და იმავდროულად მათი წვრთნის მისიასაც ითავსებს. „ამ ფორმით მცირე, მაგრამ საოცრად პოპულარულსა და პოეტურ ფორმულაში დაუნჯებულთა ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობა, ფიქრები და მისწრაფებები, შეხედულებანი სამყაროს სხვადასხვა მოვლენებზე, ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე... თავმოყრილია ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება, რომლის რეალიზებასაც საზოგადოებრივი დანიშნულება ენიჭება“ (ვინც..., 1996: 9). ჩვენს ქვეყანაში გამოცანის ფართოდ გავრცელება და საზოგადოებრივი ხასიათი ჯერ კიდევ არჩილმა აღნიშნა თავის ცნობილ ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ (არჩილი, 1976: 11).

საქართველოში ოდითგანვე ძლიერი იყო გამოცანების თქმის ტრადიცია ყველა სოციალურ ფენაში, ყოველგვარ სიტუაციაში,

სადაც საჭირო იყო სიბრძნის, გონებამახვილობის გამოცდა და წარმოჩენა, რადგანაც „ამ ჟანრში კოდირებულია ცოდნა, რომელიც სინამდვილეზე ღრმა დაკვირვების შედეგად არის მიღებული“ (ზანდუკელი, 1985: 164). ამგვარი დანიშნულებით იგი სახელმწიფოს მართვაშიც იყო გამოყენებული. ამ ფუნქციის კვალი ცალკეული მოტივებისა და ეპიზოდების სახით შემორჩენილია ზღაპრებში გამოცანის ახსნის, ძნელი დავალების შესრულებისა თუ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემის სახით. გამოცანა ქართული საქორწილო ცერემონიალის ელემენტიც იყო. ვაჟის მაცრებიდან ეჯიბს ან სასიძოს უნდა აეხსნა გამოცანა; ამით იგი დაადასტურებდა იმ გვარის სიბრძნეს, რომელიც საპატარძლოს უნდა გაეგრძელებინა. საზღაპრო ეპოსში კი მეტოქისათვის სამი გამოცანის დასმა და მისი ამოხსნა აუცილებელი პირობაა სასურველი მიზნის მისაღწევად, გამარჯვებულის გამოსავლინებლად.

გამოცანის თემატიკა შეუზღუდველია, მისი ფორმა – კომპაქტური, დახვეწილი, უმთავრესად რიტმული, ზოგჯერ რითმიანიც. მის უაღრესად ლაკონურ ფორმულაში შემორჩენილია კაცობრიული აზროვნების სხვადასხვა საფეხურები პირველყოფილი ანიმიტური რწმენა-წარმოდგენებიდან დღემდე; აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველ არქაულ ფორმულებში ჩამოქანდაკებულმა გამოცანებმა შინაარსი აღარ შეიცვალეს – დღემდე გვხვდება გამოცანები, რომლებშიც უსულო საგნებზეა საუბარი, თუმცა ისინი გასულიერებულად წარმოიდგინებიან და ესეც იმ მეტაფორული ველის შემადგენელი ნაწილია, სადაც ამოსახსნელი საგანი თუ მოვლენა შენიღბულ-შეფარულია.

გამოცანას ოდითგანვე გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეში; ბუნებრივია, ზეპირსიტყვიერების ეს უაღრესად მოქნილი ჟანრი ასევე პოპულარული იქნებოდა კლარჯულ ქართველთა ზეპირპოეტურ მეტყველებაშიც, რასაც ადასტურებს კლარჯეთის ულამაზეს სოფლებში მოპოვებული უხვი პარემიოლოგიური მასალა.

გამოცანას კლარჯელები „დასამბელს“ ეძახიან; ქლასკურელმა მთქმელმა მიერიე ქესუმმა გამოცანები რომ გვითხრა, დააყოლა: „– ერთმანეთ დავაბამთ“. იგივე სახელწოდებით დასტურდება გამოცანა აჭარაშიც, რაც, სხვა მრავალ ნიუანსთან ერთად, დასტუ-

რია იმისა, რომ კლარჯული ზეპირსიტყვიერება ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

გამოცანისეულ სიბრძნეს, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს; იგი გამიზნულია ფართო აუდიტორიისათვის და მის ლაპიდალურ ფორმულაში ტრადიციულად ხაზი ესმება გამო-საცნობი ობიექტის ღირებულებას სოციუმისთვის, მის სარგო-სა-სიკეთო ფუნქციას. კლარჯთა შორის ძალზე პოპულარულია გამო-ცანები წისქვილზე, რაც ჩვენი ხალხის მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლენაა; ამ გამოცანის ვარიანტი, რომე-ლიც 2013 წელს ჩავინერეთ სოფელ ქლასკურში (წინწკალაშვილე-ბის უბანში) 70 წლის ქალბატონის – აიშე თურანლისაგან (მამისეუ-ლი გვარია კოტრევიანოლი), ამგვარად წარმოაჩენს წისქვილს:

ოფოფი ფრინავს,  
ფეშტემალ ფინავს.

სხვა ვარიანტში, რომლის მერტაფორული ველი უფრო ვრცე-ლია (მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ ქა-რთლაში. ჩაინერა მიაა ბარამიძემ 2014 წელს), წისქვილი ამგვარად წარმოიდგინება:

არქო ფრინავს,  
ბერი ღრინავს,  
თეთრ ფეშტემალ  
შამეფინავს.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული გამოცანები წისქვილზე ზოგადქართულ გამოცანათა ვარიანტებია, განსაკუთ-რებულ სიახლოვეს კი ავლენენ აჭარულთან და შავშურთან:

აჭარული:

ოქრო ფრინავს,  
ბერი ფშვინავს,  
თეთრ ფეშტემალს  
შემოფინავს.

(ქ. ანდ. და გამ., 1976: 41)

შავშური:



ოქრო ქვრინავს,  
დევე გვრინავს,  
მოშდადერა  
წყარო წიკავს.

(მთქმელი რეჟებ ადურნი, მცხოვრები ბურ-  
სას რეგიონის სოფელ გაზელ-ჰამედიეში. ნა-  
რმოშობით შავშელია. ჩაინერა ნაზიბროლა  
ბერიძემ 2013 წელს)

ქართული ხალხური გამოცანების დიდი ნაწილისათვის დამახა-  
სიათებელი კომპოზიციური თავისებურებაა მთქმელის მიერ ხაზ-  
გასმა იმისა, რომ გამოცნობა, ამოხსნა ადვილი არ არის, სიბრძნეს  
მოითხოვს; ამიტომაც, ტრადიციულად, სწორი პასუხის სხარტად  
გამომცნობი ბრძენ ადამიანად მოიხსენიება („...გამოიცან, სიბრძნე  
გაქო“; „ამისი გამომცნობელი ჭკვიანია და ბრძენია“; „ვინც კი ამას  
ამიხსნის, მასთან არის ჭკუა დიდი“ და ა. შ.); მაგრამ ის, ვინც ვერ  
შეიცნობს გამოცანის პირობაში შეფარულად, მეტაფორულად შე-  
ნიღბულ გამოსაცნობ ობიექტს, ის უჭკუოდ არის შერაცხილი („...  
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ყრუც არის და ბენტერაცა“; „ვინც ამას  
ვერ გამოიცნობს, ცუდია და გაბასრული“ და ა. შ.). ხშირად გამო-  
ცანის სწრაფად ამომხსნელს საჩუქარსაც ჰპირდებიან („...აბა, თუ  
გამოიცანი, მზად არის საჩუქარია“).

კლარჯ ჩვენებურთა შორის დაფიქსირებულ გამოცანაში მა-  
მალზე მთქმელი საკმაოდ მისაგნებად ახასიათებს გამოსაცნობი  
ობიექტის დამახასიათებელ გარეგნულ მონაცემებს და, თუკი ყოყ-  
მანი შეატყო მოპასუხეს, იქვე, გამოცანისეული ტექსტით, დაური-  
დებლად ლანძღვას და პასუხსაც თავადვე ამბობს. სოფელ ისკებში  
მცხოვრები 60 წლის ქალბატონის – ასიე ალფაისაგან (ჩხეიძე) რა-  
მავ ხალვაშის მიერ 2007 წელს ჩანერილი გამოცანა მამალზე ამ-  
გვარია:

თავ – ხერხი, ბოლო – მანგალაჲ,  
ვირო, ახსენი!.. – მამალაჲ!

ამავე გამოცანის ვარიანტი ჩავინერეთ 2013 წელს სოფელ ქლა-  
სკურში (წკირმონეთის უბანში) 78 წლის მიერიე ქესუმისაგან:

თავი სავარცხალი, კუდი მანგალი;  
თუ ვერ გააგენი, ვირო, – მამალი!

თითქმის იგივე სიტყვიერი ფორმულით არის წარმოდგენილი ქალაქ გოლჯუქში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – მურად სევისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი გამოცანაც:

თავი ხერხი, ბოლო მანგალი,  
თუ ვერ მიხდი, ვირო, – მამალი!

სოფელ ქლასკურში 2014 წელს 84 წლის ქალბატონისაგან – ალთუნ თაბანისაგან (მამისეული გვარია შამლოლი) ჩავინერეთ კიდევ ერთი, თითქმის იდენტური, ვარიანტი:

კუდი მანგალი,  
თავი სავარცხელიო,  
ვერ გეიგენი თუ, ვირო?!  
– მამალი!

მამლის მეტაფორულად წარმოდგენილ ვიზუალს („თავს – ხერხი, ბოლოს – ნამგალი“) კარგად იცნობს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება. მისი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

თავ ხერხი, ბოლო ნამგალი,  
თუ ვერ მიხვდი, თავი აგალი!  
(ქ. ანდ. და გამ., 1976: 33)

ბათუმში 2014 წელს შუშანა ბერიძის მიერ თინა გოგუაძისაგან ჩანერილი გამოცანა მამალზე კი ამგვარია:

თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი,  
თქვი, შე სულელიო ბავშვო, რა არი?  
(ბსუ ჰმფქცვა)

მამალზე გავრცელებული კლარჯული გამოცანის თითქმის იდენტურია შავშური გამოცანა:

კუდმანგალაჲ, თავსავარცხალაჲ.

თუ ვერ დააკვირდი, – ვირმამალაი!

(მთქმელი რეჟებ ადურნი, მცხოვრები ბურ-სას რეგიონის სოფელ გაზულ-ჰამიდეში. წარმოშობით შავშელია. ჩაინერა ნაზიბროლა ბერიძემ 2013 წელს).

სათქმელის მეტაფორულად გამოხატვა, რაც გამოცანათა სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს, კლარჯული ხალხური გამოცანებისთვისაც უცილობელი თვისებაა. ასეთ გამოცანებში კითხვითი სიტყვა საჭირო არც არის; ობიექტი, მისთვის დამახასიათებელი თვისებით, წარმოდგენილია ჩვეულებრივი თხრობითი წინადადებით. როგორც ზოგადქართულ ფოლკლორში, ისე კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში, ამგვარი გამოცანები მრავლად მოიპოვება:

1. „ოცდათორმეტი გოგო ვართ ერთ ფიცარზე დამწკრივებულნი“ („კიბილები“);
2. „თავი წევს, კუდი ღრინავს“ (თოკი);
3. „მივა, მივა, კვალ არ აჩენს“; „მე მივალ, ის მომდევს, უკნიდან კვალ არ აჩენს“ (ჩრდილი);
4. „შიანაჲ ათასი, გარეთაჲ ანტლასი“ („ბიბერი“, ბრონეული).

(მთქმელი მიერეე ქესუმი, მცხოვრები სოფელ ქლასკურში (წკირმონეთის უბანში). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს)

კლარჯულ ხალხურ გამოცანებში, საქართველოს ყველა რეგიონში დადასტურებული პარემიოლოგიური მემკვიდრეობის მსგავსად, უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული შრომის იარაღების მიმართ. ამ ციკლის გამოცანებში კლარჯმა მშრომელებმა ჩააქსოვეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მათთვის მახლობელი და საჭირო შრომის იარაღებისადმი დამოკიდებულება, წარმოაჩინეს მათი სიკეთე და დანიშნულება საზოგადოების კეთილდღეობისათვის. 2013 წელს სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში, ჩვენ მიერ ჩანერილი სამეურნეო დანიშნულების ობიექტთა გამოსაცნობი „დასამბელები“ ამგვარად არის ფორმულირებული:

1. „ავა, ჩავა, ღმერთ ეხვეწება“ (სანაყი, საძიგველი);
2. „ევა ცარიელი, ჩამუა ჭვირთული“ (გიდელი);
3. „ნევა ტყეში, ყფეს, ყფეს, მოვა, თარო ქვეშ დანვება (ნაჯახი, ცული, ნალდი);
4. „ხუთი ძმა არიან, ერთმა ებეძგება“ (წინდის ჩხირები).

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

84 წლის ქლასკურელი ქალბატონი ალთუნ თაბანი კი საჩჩეღლს ასე წარმოაჩენს: „თავი ჩიჩავს, კუდი ღრინავს“.

კლარჯული გამოცანების საყვარელი თემაა საოჯახო ნივთები; ასოციაციები, რომლებიც კვებას ამ რიგის გამოცანებს, არსებითად ზოგადქართულის იდენტურია, რაც განაპირობებს კიდევ გამოცანათა მსგავსი ფორმულით წარმოდგენას და, ბუნებრივია, საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს:

1. „კატა კუდით კიდია“ (ტაფა);  
(მთქმელი ნაზმიე ერთიქინი (თავდგირიძე), 85 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).
2. „ევა ჭვირთული, ჩამუა ცარიელი“ (კოვზი);
3. „ციდან მუა რახარუხით,  
ქვეშიდან გადის ფლაქმა-ფლუქშით“ (საცერი);
4. „ერთი მანანა ხან გაიცინებს, ხან – არა“ (ლამპა);

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

5. „სალამოზე – კალოები, დილაზე – მოღინულები“ (ლოგინი).

(მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ ქართლაში. ჩაინერა მაია ბარამიძემ 2014 წელს).

სამყარო, ადამიანი, ბუნებრივი მოვლენები და მათდამი დამოკიდებულება კლარჯული პარემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. გამოცანა, რომლის გამოსაცნობი ობიექტი გზაა, კლარჯულსა და საქართველოს სხვა კუთხეთა პარემიოლოგიურ მემკვიდრეობაში

იდენტური ფორმულით გამოიხატება: „გვეცე, ვეცე, ვერ დავეცე“ (მთქმელი ასიე ალფაი (ჩხეიძე), 60 წლის, მცხოვრები სოფელ ისკებში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს). ასევე ითქმის ვარსკვლავზე არსებულ კლარჯულ გამოცანებზეც:

1. „ვკრიფე, ვკრიფე, ვერ მოვკრიფე“;
2. „ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე“.

(მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ ქართლაში. ჩაინერა მაია ბარამიძემ 2014 წელს).

მკვეთრად უარყოფითი ემოციებია გამოხატული კლარჯულა შორის ცეცხლზე გავრცელებულ გამოცანებში, რაც, აგრეთვე, ზოგადქართულის ვარიანტებია:

1. „ნიქარას ნაძოვნზე მოლი არ ამუა“;

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წინკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

2. „ნითელი ხარის ნაძოვნზე მოლი არ ამუა“.

(მთქმელი ალთუნ თაბანი, 84 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს).

ადამიანი და ყველაფერი, რაც მის არსებობას უკავშირდება, კლარჯული გამოცანების საყურადღებო ობიექტებია:

1. „ვნონე, ვნონე, ვერ ავნონე“ (ძილი);
2. „ერთ პლაკეზე ორი თევზი“ (წარბები);
3. „ხორცის ყანთარი ალთუნ წონავს“ (ყურსაკიდი);
4. „ერთი ქათამი გულგამოჭმული“; // „შავი ქათამი გულგამოჭმული“ (ბუხარი – „ოჯალი“);

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წინკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

5. „პატინა სინათლე ქვა ორთაღული შამეიარს“ (თვალი);

6. „დავაბამ – წავა, გუუშვებ – დადგება“ (ქალამანი – „ჩარული“);
7. „ნახვალ – წამოა, მოხვალ – მოგდება, დადგები – დადგება“ (ჩრდილი – „შუქე“).

(მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ ქართლაში. ჩაინერა მაია ბარამიძემ 2014 წელს)

8. „მე მივალ, ისიც მივა, დავდგები, დადგება“ (ჩრდილი)

(მთქმელი ჯიჰან შარდა. 53 წლის, მცხოვრები გირესუნის პროვინციის გულანჯაქის რაიონის სოფელ დამუდერეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2015 წლის 20 ივლისს).

კლარჯ ჩვენებურთა პარემიოლოგიური მემკვიდრეობა მდიდარია, აგრეთვე, გამოცანებით მენველ ძროხაზე; გამოცანისეული მეტაფორის ობიექტია ფურის ცური (ძუძუები):

1. „ოთხი ძმა ერთ ქოთანში ჩატირავს“;

(მთქმელი ჯესურ ათამანი (ჩაუშოლი), 70 წლის, მცხოვრები სოფელ ებრიკაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

2. „ოთხი თითი თასში უყურავს“;

3. „ოთხი თითი ქოთანში ჩატირავს“.

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

ძროხა, მისი ცური და კუდი ერთ გამოსაცნობ ფორმულაშია მოქცეული ჩვენ მიერ 2014 წელს სოფელ მარადიდში (მურათლი) 46 წლის ქალბატონის – ემინე ოზთურქისაგან (სალიროლი) ჩანერილ გამოცანაში:

ოთხი ფეხი,  
ორი ყური,  
ოთხი ჩაკიდული,  
ერთი გაქანება.

ასევე ერთგვარად რთულად, ოთხი ობიექტის სახით, არის წარმოდგენილი გამოსაცნობი ობიექტი პროფესორ მამია ფალავას მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქლასკურში შაბან გუმანიძისაგან ჩანერილ გამოცანაში, რომელიც მეტაფორულ სახეთა ორიგინალობითაც გამორჩეულია:

ორი ოლოლი,  
ოთხი პოპოლი,  
ცხრამეტი ბაჯანჯული,  
არც მეტი ქიჩმახური.  
(ძუძუები: ორი – თხისა, ოთხი – ძროხისა,  
ცხრამეტი – ძაღლისა, არცერთი – ქათმისა)

ქართულ ხალხურ გამოცანებში ხშირია ყურადღების გამახვილება გამოსაცნობი ობიექტის გარეგნობაზე, გარეგნული მხარის ტრანსფორმაციაზე, რაც მნიშვნელოვანი დეტალია გამოსაცნობ ფორმულაში. ამგვარ გამოცანათა კლასიკური მაგალითია გოგრაზე ან კიტრზე არსებული გამოცანები, რომლებსაც კარგად იცნობს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება:

აქ ჩავაგდე ცერცვისხელა,  
იქ ამოძვრა დერგისხელა.  
(ვინც..., 1996: 80)

გოგრაზე (ხაპზე) არსებული კლარჯ ჩვენებურთა გამოცანების მეტაფორული ფორმულა კი ამგვარია: „გეეგრძელება, გეეგრძელება, ოღლეშალ მეიგებს“ (მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ სიმინდზე არსებულ გამოცანებში ეს მცენარე წარმოჩენილია მრავალი „კაბის“, „პერანგის“ თუ „ნაბდის“ მფლობელ ოქროსქოჩრიან არსებად. ქლასკურელი სახალხო მთქმელის – აიშე თურანლისგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი გამოცანა კი ეფუძნება სიმინდის ფესვებისა და ტაროს მეტაფორულ წარმოდგენას, რასაც არ იცნობს ზოგადქართული ფოლკლორი:

ფეხზე კანჯა აქ,  
ნელზე ლივერი აქ.

გამოცანა, როგორც მუდმივად განახლებადი ბრძნული პოეტური ფორმულა, ჩვენი ერის მსოფლმხედველობის, მისი ამაღლებული სულიერების დასტურია. ამ არქაული ჟანრის „მეტაფორული ბუნება მიგვანიშნებს, რომ ადამიანს ძალიან ადრე მოუხერხებია პოეტური მიმართულების მიცემა აზრისათვის“ (ქურდოვანიძე, 2001: 268). კლარჯული ხალხური გამოცანების ეროვნულ-კულტურული ღირებულებაც ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, ვიდრე კლარჯი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში იცოცხლებს გამოცანებში დაუნჯებული ქართული პოეტური სული, მათ იდენტობას საფრთხე არ ემუქრება.



სოფ. ქლასკური, წინწკალაშვილების უბანი, 2013 წ.  
პროფესორი თინა შიოშვილი და ალთუნ თაბანი („ოქრო ნენე“)



## მითები და ლეგენდები

### 1. კოსმოგონიური მითოსი (წყლისა და ხმელეთის სტიქიათა ბრძოლა)

მითი, როგორც მსოფლმხედველობითი ნარატივი, მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი საგანძურია, რომელიც გვაცნობს მისი შემოქმედი საზოგადოების სულიერ სამყაროს, მისწრაფებებს, აზროვნებისა და მსოფლგაგების დონეს.

სამყაროს მრავალფეროვან მოვლენათა ლაბირინთებიდან გამარჯვებული გამოსვლის, ადამიანთა ურთიერთობებში ღრმად ჩანვდომის დიდად მონადინე ჩვენმა წინაპრებმაც არსებობის ხანიერ გზაზე, ბუნებრივია, შექმნეს მითები, რომელთა უმრავლესობამაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, რადგანაც წარმართულ-მითოსური ცნობიერების ბუნებრივი განვითარება შეაფერხა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხის ზეპირმა ტრადიციამ მაინც შემოინახა ზოგიერთი მითოსური თხზულებანი, რომელთა სიუჟეტებში წარმართულ პლასტებს შემდგომში ქრისტიანულიც გადაეჯაჭვა (ჯავახიშვილი, 1979: 187). ამავე დროს, რაც მოსალოდნელიც იყო, მოხდა წარმართული მითოსური პერსონაჟების დემონოლოგიზაცია და ჩამოყალიბდა ქრისტიანული მითოსიც. ამდენად, ქართული მითოსის სისტემაში მოყვანა და მეცნიერული შესწავლა გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება; ჩვენი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული არქაული რელიგიურ-მითური წარმოდგენების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს ქართველურ ტომებში ამ სიუჟეტების ზოგ შემთხვევაში მათ განსხვავებულ განვითარებას, მაგრამ უდავოს ხდის საერთო წარმომავლობასა და მტკიცე ერთობლიობას.

2007, 2013 და 2014 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კომპლექსური სამეც-

ნიერო ექსპედიციების დროს (ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფალავა) მოპოვებული ზეპირსიტყვიერი მასალის შესწავლით დასტურდება, რომ, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ტვირთმძიმე, ავბედითი ისტორიის გამო ასწლეულობით მუსულმანურ გარემოში ცხოვრებისა, კლარჯელი ჩვენებურების მითოსური სამყაროც ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ბუნებრივი ნაწილია და იმავე პრობლემებით წარმოგვიდგება, როგორითაც – საქართველოს სხვა კუთხეებში ბოლო დრომდე შემორჩენილი მითოსური ნარატივები.

ყოველი განვითარებული მითოლოგიური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია კოსმოგონია, ანუ სამყაროს შექმნა. საზოგადოების შემეცნებაში კოსმოსის წამოადგენა ცნობიერების განვითარების, ემპირიული ცოდნის დონის გაღრმავების შესაბამისად იქმნებოდა და ფართოვდებოდა. ამდენად, კოსმოგონიური მითები გენეზისის თვალსაზრისით მითოსური აზროვნების შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში სამყაროს შექმნის ნაირგვარი სურათები იხატება; თუმცა, ქართული ფოლკლორი სხვაგვარ რეალობას გვთავაზობს: წმინდა სახით კოსმოგონიური მონათხრობი არ დასტურდება არც ქართული და საერთოდ – არც ზოგადკავკასიური მითოლოგიის დონეზე; კავკასიელთა მითოსურ ნარატივებში ყველაფერი უკვე შექმნილ სამყაროში ხდება. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, კოსმოგონიურ ვარიანტად შეგვიძლია განვიხილოთ მითოსი, რომელიც მოგვითხრობს სოფელსა და მის მტრულ ძალას შორის ბრძოლაზე. ამგვარ თზულეებში, როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე შენიშნავს, ერთმანეთს უპირისპირდება წყალი და ხმელეთი, რომელთაგან პირველი ქაოსს განასახიერებს, მეორე – კოსმოსს (კიკნაძე, 2008: 60).

წყლისა და ხმელეთის დაპირისპირების არქაული კოსმოგონიური მოტივის შემცველი მითოსის ქართულ ვარიანტებში ასახულია გველეშაპისა და ხარის ბრძოლა, რაც ზღვის სტიქიის (ქაოსის) და ხმელეთის (კოსმოსის) დასაბამიერ ბრძოლას განასახიერებს. ამ ტიპის მითოსურ თზულეებს იცნობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და, ბუნებრივია, მისი უძველესი ისტორიული კუთხეც – კლარჯეთი.

კლარჯეთში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული მითი ხმელეთსა და წყალს შორის არსებული დასაბამიე-

რი ბრძოლისა, ფაქტობრივად ისეთივე შინაარსისაა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მითოსური ნარატივები, თუმცა მათში, კახური და აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთში გავრცელებული ვარიანტებისაგან განსხვავებით, წყლის სტიქიის განმასახიერებელი გველუშაპი, მისი ფუნქციის დაკნინების გამო, შეცვლილია წყლის ხარით, რაც დამახასიათებელია სოფელ ვერნების შესახებ ზემო აჭარაში გავრცელებულ მითოსურ თქმულებათა უმრავლესობისათვის და, აგრეთვე, მდინარე ჭოროხის სათავეებთან, არსიანის მთების მიდამოებში, არსებული ეგრეთწოდებული „ბულ-გიოლის“ თუ „ყარა-გოლის“ სახელწოდებით ცნობილი ტბის შესახებ არსებულ მითოსურ ნარატივებში (თანდილავა, 1996: 85-88; სახოკია, 1950: 212; ბსკიფა, საქმე №170: 181-183; საქმე №182: 154-158), რაც სრულიად ბუნებრივია და დამახასიათებელია ერთიან ფოლკლორულ სივრცეში შემუშავებული სულიერი მემკვიდრეობისათვის.

კლარჯთა ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ტრადიციული კოსმოგონიური (წყლისა და ხმელეთის ბრძოლის) მითოსის ვარიანტთა შინაარსი ძირითადად ამგვარია: ტბაში ბინადრობს ხარი, რომელიც დროდადრო ამოდის და ხმელეთის ხარს ებრძვის. ხმელეთის ხარს პატრონი რქებს რკინით მოუჭედავს, რის შემდეგაც იგი ამარცხებს ანტაგონისტ (ტბის) ხარს, რომელიც, დაჭრილი, ტბაში ჩავა და უჩინარდება.

ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ისკებში, დაფიქსირებული მითის თანახმად, „ისკების თავშეტრიალის თაზე ყარა გოლის ტბაა“. იმ ტბაში ხარი ბინადრობდა და ერჩოდა სოფლის ხარს, რომელიც ყოველ საღამოს თავსისხლიანი ბრუნდებოდა. პატრონს რკინის რქები გაუკეთებია და დილით ისე გაუშვია ტბისაკენ. „ტბასთან მისულა და დუუბლუვლია. გამოსულა ტბიდან ხარი და ჭედვა დუუწყიან. კინი ქებით დუუთსისხლიანებია. ის ხარი წყალში შევარდნილა და აღარ გამოსულა“.

მთქმელი ტბის ხარს გოლიათური აღნაგობისად წარმოაჩენს და გვთავაზობს საინტერესო კომპოზიტს – „დევიბულა“: „იმ ტბის დევიბულას დიდვანი თვალეები, ქები, თავი ქონების“ (მთქმელი ახმედ პავლიაშვილი, 63 წლის. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს).

მითის სხვა (ხერთვისული) ვარიანტით („მასკვლავი გოლი“) წყლის ხარი ბინადრობს კარჩხალის მთაზე არსებულ ვარსკვლავა ტბაში

(„ილდიზ-გოლი“): „კარჩხალის თაზე ილდიზ გოლი არი, იმის შიგან ერთი ხარი ყოფილა“. სიუჟეტის შემდგომი განვითარება ამ ვარიანტი-თაც ისეთივეა, როგორც ყველა ტრადიციულ კლარჯულსა თუ ზოგადქართულ ვარიანტებში. ამ ნარატივითაც მთქმელი საგანგებოდ გახაზავს ტბის ხარის ბუმბერაზობას: „გოლის შიგნიდან დიდი ხარი გამოსულა, მინიბუსის ტოლა“ (მთქმელი სულეიმან ინჯე (სანაძე), 60 წლის. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს); „– იქზე დიდი ხარი ყოფილა“ (მთქმელი ოსმან ერდოლანი, 45 წლის, მცხოვრები დაბა ბორჩხაში, წარმოშობით დევსქელელია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 1 აგვისტოს ყარაგოლის ეროვნულ პარკში).

აღსანიშნავია, რომ ტბის ხარის ბუმბერაზულ აღნაგობასა და სიძლიერეს ერთხმად აღნიშნავს ჩვენ მიერ კლარჯეთში დაფიქსირებული ყველა მითოსური ნარატივი: „გოლის ხარი მაგარია!“ – ბრძანა 84 წლის ჰიზირ არიჯიმ (მცხოვრები სოფელ ისკებში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 5 აგვისტოს); „– გოლის ხარმა ქი ერევოდა“, – ასე დაახასიათა ტბის ხარი სოფელ ჯივანში მცხოვრებმა 25 წლის ერქან შამლმა (ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს).

მიუთითებენ, აგრეთვე, წყლის ხარის ფერსაც: „გოლიდან გამო-სული ხარი შავი ყოფილა“ (მთქმელი ერქან შამლი (შამლოლლი), 25 წლის. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს).

ტრადიციულად, როგორც ზოგადქართულ, ისე კლარჯულ მითოს-ში, წყლის სტიქიის განმასახიერებელ ხარს, რომელიც ამ შემთხვევა-ში წინარე რწმენა-წარმოდგენათა გველემაჰს ჩაენაცვლა, ამარცხე-ბს სოფლის (ხმელეთის განმასახიერებელი) ხარი, რაშიც პატრონიც ეხმარება (რქებს უჭედავს რკინით, აღმასით); აღსანიშნავია, რომ კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მითის ზოგიერთი ნიმუშის თანახმად, ხმელეთის ხარი არქაული საკრალური ხელობის – მჭედლობის დახმარებით კი არ ძლიერდება, არამედ – პატრონი უწე-ვს დახმარებას იარაღის მეშვეობით. სოფელ ჯივანში დაფიქსირებუ-ლი ვარიანტით, „გოლის ხარმა ქი ერევოდა, მაშინ კაცმა (იგულისხმე-ბა პატრონი – თ. შ.) ლივერი გუუწენვა გოლი ხარ. ხარმა დეინახა, გოლში შევდა. იმის მემრე არ გამოვდა“. (მთქმელი ერქან შამლი (შა-მლოლლი, 25 წლის, ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს).

მითოსში ამგვარი დეტალების შეჭრა მითის სარჩულის რღვე-ვის, ანუ დემითოლოგიზაციის, შედეგია, რასაც ადასტურებს თა-

ვისოფელში („ბაშქი“) 2007 წლის 1 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი მითიც, რომლის თანახმადაც, სოფლის ხარის პატრონს „გუუფიქ-რია ყე, „ეს წარი ვის წარმა დაფრითა?“ უუნენვია თოფი, უკნიდამ მიდევნებია... დააქუნხნა თოფი და შეახტა გოლში ე წარი, ჰამა არ გა-მოიდა კარში“ (მთქმელი სულეიმან ბაიდინი (კამკამიძე), 80 წლის).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რიგის ტრადიციულ კოსმოგონიურ მითოსთა უმრავლესობაში სოფლის სახელი და ხარის პატრონის ვინაობა არ სახელდება, რადგანაც ეს უაღრესად ზოგადი ნარა-ტივია და ერთ რომელიმე კონკრეტულ სოფელში არ ხდება; მი-თოლოგიური წარმოდგენების ძალით, სოფელი მთელი სამყაროს სახელით ფიგურირებს (ინგლისურში **Country** სოფელსაც ნიშნავს და ქვეყანასაც; ქართული სიტყვაც „სოფელი“ ხომ ამ ორმაგ, ერ-თმანეთში გარდამავალ, მნიშვნელობას შეიცავს. კოსმოგონიური მითის ზოგიერთი კლარჯული ვარიანტით კი მიეთითება კონკრე-ტული სოფელი: „ისკებში ერთ კაც მაგარი მოზვერი ყოლია“ (გურ-ბინული ვარიანტი).

სოფლის ხარსაც, ტრადიციულად, კონკრეტული პატრონი არ ჰყავს (არქაიკაში ეს პატრონი ან მჭედელია, ან მჭედლის დახმარე-ბით სარგებლობს). ერთი ბუჯურული მითოსური ნარატივის თა-ნახმად (ჩაინერა მამია ფალავამ 2007 წლის 31 ივლისს მემედ ერაი-დინისაგან), „ხარის პატრონი მეგერ დემირჯი ყოფილა, დემირიდან მქები გუუქეთებია...“

კლარჯულ მითოსურ თხზულებათა ზოგიერთი ვარიანტი კი გვაცნობს ხმელეთის ხარის კონკრეტულ პატრონს: „...ბულაზიმ-ოღლის ბულა დუუხიშტია...“; „...იჭედებიან და ბულაზიმოღლიმა დააქუნხნა თოფი...“ (თავისოფლური ვარიანტი); ზოგ ვარიანტში მთქმელისათვის მითოსური ხარი მისი ბაბუის ხარია: „ჩემ დედეს ხარი ძროხებ უკან წასულა. საღამოე ჩამოდიოდა სისხლიანი. გო-ლის შიგან ხარი ყოფილა, შეჭედნებულან“ (მთქმელი პიზირ არიჯი (ფუტკარაძე), მცხოვრები სოფელ ისკებში. ჩაინერა თინა შიოშვილ-მა 2007 წლის 5 აგვისტოს).

ამდაგვარი ვითარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მითოსურ თხზუ-ლებათა ევოლუციის ბოლო ეტაპია, საიდანაც იწყება მათი დემითო-ლოგიზაციის პროცესი, რაც მსოფლიოს ყველა ხალხის მითოსისათ-ვის არის დამახასიათებელი და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

ასეთივეა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ნარატივების ერთი ნაწილიც; მითში, რომელიც მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა ჩაიწერა 1963 წელს ზემო აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევში, გაცხადებულია ხმელეთის ხარის კონკრეტული პატრონი: „სოფელ საბელაშვილების თავზე, გომის მთასთან ახლოს, ტყის ველის შუა ადგილზე, არის ქანჭაოს ტბა. პატარა ტბაა ეს, მარა ღმაია. ერთ თერეფიდან კილდეა. ჰაცხაიდან კილდეა, იქ შავია. ჟანივრელ არიფ ბერიძესაც თავისი კურო იქ უყუყვანია...“ (თანდილაშვილი, 1996: 88-89).

ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, წყლისა და ხმელეთის ბრძოლის განმასახიერებელი კოსმოგონიური მითოსის ფინალიც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა და კავკასიელ ხალხთა მითოსის თანახმად, ხმელეთის ხარისაგან დაჭრილი (გაფატრული) გველეშაპი (თუ ხარი) ტბაში უჩინარდება, ტბას შეაქანებს, წალს დინებას მისცემს და თავადაც ამ დინებას გაჰყვება, რის შედეგადაც ჩნდება ხმელეთი და მდინარე, რაც სოფლისათვის (თემისათვის) ტერიტორიის მოპოვება-დაფიქსირებას ემსახურება და, ამასთანავე, თავის ლოკალში ტოვებს დღემდე საცნაურ კვალს, რაც ტრადიციული მითოსის დასაბამიერი კანონზომიერებაა (სიხარულიძე, 2006: 201-203; თანდილაშვილი, 1996: 84-89). ასე რომ, წყლის (ტბის) ხარი, ანუ წყლის სტიქიით შექმნილი ქაოსი, საბოლოოდ მარცხდება, იღუპება, ველარ აგრძელებს თავის ანტაგონისტურ ქმედებას და მისი სამოქმედო ასპარეზი სოფელს რჩება. ამდენად, წყლისა და ხმელეთის ხართა შერკინების ამსახველი კოსმოგონიური მითოსით გადმოცემულია საყმოსათვის ტერიტორიის გათავისუფლება და იმ ადგილზე სოფლის გაშენება; თუმცა, ვიცნობთ ამ რიგის ნარატივების სხვაგვარ ფინალსაც; აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული მითის ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, რომლებიც უკავშირდება მდინარე ჭოროხის სათავესთან, არსიანის მთების მიდამოებში, არსებულ ტბას, ეგრეთწოდებულ „ბულა-გოლს“ („წყლის ბულა“): შავშეთელი გლეხის ბულა ამარცხებს წყლის ხარს, მაგრამ ის კვლავ ცოცხალია, ტბაში რჩება და არასდროს გამოდის ხმელეთზე; მისი სისხლით შეღებილი ტბა ამჟამადაც წითელია (სახოკია, 1950: 212; ბსკიფა, საქმე №170: 181-183).

წყლისა და ხმელეთის სტიქიათა ბრძოლის ამსახველი მითის კლარჯული ვარიანტების უმრავლესობის თანახმადაც, წყლის ხა-

რი ტბიდან ველარ ამოდის, ტბაც რეალურია და დღემდე სახეზეა: „...გოლიდამ გამოსული გოლში შეახტა, ღარალი გოლში შეახტა ის ჯარი, ჰამა არ გამოიდა კარში. მე ასე ვიცი, ასე იტყვიან“ (თავისოფლური ვარიანტი); „ხარმა ...გოლში შევედა. იმის მერე არ გამოვდა“ (ჯივანური ვარიანტი); „ის ხარი წყალში შევარდნილა და აღარ გამოსულა“ (გურბინული ვარიანტი) და სხვა.

ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, წყლის (ტბის) და ხმელეთის (სოფლის) ხარების ბრძოლის ამსახველი კოსმოგონიური მითის აქარული და კლარჯული ვარიანტების ფინალი ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ერთიანი ფოლკლორული სივრცის ნაწილებს წარმოადგენენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება კოსმოგონიური მითის ისეთი ვარიანტიც, რომლის თანახმადაც, მიუხედავად პატრონის მიერ სოფლის ხარისათვის რქების წამწვეტებისა, წყლის („გოლის“) ხარი მაინც დაჯაბნის სოფლის ხარს და მთქმელიც შესაბამის დასკვნას აკეთებს: „გოლის ხარი მაგარია!“ ამგვარი დასასრული, ბუნებრივია, არ არის ტრადიციული და ის მხოლოდდამხოლოდ დასაბამური ფინალური ეპიზოდის მივიწყებასა და დაკნინებაზე მიუთითებს, რაც, აგრეთვე, დემითოლოგიზაციის პროცესის გამომხატველია, რასაც ვერ ასცდა ვერცერთი ხალხის სულიერ წიაღში არსებული მითოსური ფაბულა.

## 2. მარადიული გაზაფხულის მითოსი

მარადიული გაზაფხულის (ზაფხულის), ანუ მიწიერი სამოთხის, მითოსს იცნობს მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია და, როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, ყველგან თავისებური სახე აქვს, „დაკავშირებულია იმ ქვეყნის რეალიებთან (ლანდშაფტი, ისტორიული წარსული, ტოპონიმია, ფლორა, ფაუნა...), სადაც ის შეიქმნა“ (კიკნაძე, 2008: 61). ქართული ზეპირსიტყვიერებაც იცნობს სამოთხის მითოსს, რომელიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება, რაც, ბუნებრივია, სავსებით მოსალოდნელიც იყო, რადგანაც „იმ საზოგადოების ცნობიერებაში, სადაც ჩაისახა ეს მითოსი, თამარის სამეფო წარმოდგენილი იყო „ოქროს ხანად“, თა-



მარი – მის ერთპიროვნულ შემოქმედად და მზრუნველ პატრონად“ (კიკნაძე, 2008: 61).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მარადიული გაზაფხულის მითოსის მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება (სიხარულიძე, 1961: 81, 254-261); მათი მოკლე შინაარსი ამგვარია: თმარ დედოფალს სამეფო ტახტი ედგა იალბუზის მთაზე, სადაც ზამთარი არ იცოდა და სულ მუდამ ზაფხული სუფევდა; ამ მარადიულ სამეფოში არც სწეულება იყო, არც სიბერე და არც – სიკვდილი, რადგანაც ყოვლისშემძლე, გულთმისან თამარ დედოფალს დრო-ჟამის ფრინველი (შუქურ-ვარსკვლავი) დატყვევებული ჰყავდა, რის გამოც დროის მდინარეება შეჩერებული იყო და „საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიძირკვა იმიტომ, რომ ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა“ (სიხარულიძე, 1961: 81-82). სასახლეში თამარის არყოფნის დროს მცველად დატოვებულმა ერთგულმა მსახურმა (გამზრდელმა) ცნობისნადილი ვერ დაძლია, აკრძალული მეთორმეტე ოთახის კარები გააღო, რასაც ფრინველის გამოფრენა – გაუჩინარება და ამინდის შეცვლა მოჰყვა: ატყდა საშინელი ქარიშხალი, წამოვიდა თოვლი და მთელი იალბუზის მთა სასახლითურთ სულ ერთიანად დაფარა.

ზალდადში მონასტრის ასაშენებლად მყოფი თამარი ყველაფერს მიხვდა, სასწრაფოდ გველზე ამხედრდა და საქართველოსაკენ გამოსწია, მაგრამ იალბუზზე ასვლა ვეღარ შეძლო და ვარძიის მონასტერში წაბრძანდა. ასე დაიკარგა მინიერი სამოთხე, დაიწყო დრო-ჟამის მდინარეება, გაჩნდა წელიწადის დროები, რაც, პროფესორ ზურაბ კიკნაძის მართებული შენიშვნით, ნიშნავს იმას, რომ „... დრომ დაიპყრო სივრცე, გაბატონდა მასზე. „მარადიული გაზაფხული“, აკრძალვის ძალით რომ არსებობდა, წარმავალმა წუთისოფელმა შეცვალა...“ (კიკნაძე, 2008: 62).

კლარჯულმა მითოსმაც შემოგვინახა რწმენა-წარმოდგენა მარადიული გაზაფხულისა, თუმცა ეს მსოფლგაგება თამარის სახელს აღარ უკავშირდება. სოფელ ბერთაში 2013 წელს მეჭმედალი ქესქინის მიერ ოსმან ოსქანისაგან ჩაწერილი მითოსური ნარატივის თანახმად, მარადიული გაზაფხულის, ანუ შეჩერებული დრო-ჟამის, ადგილია ართვინის მიდამოები, სადაც თოვლი არასოდეს მოდიოდა.

„ართვინში ძველ საუკუნეებში არ თოვლდა“. აქ, სოფელ სოთში (დღევანდელი სეითლერი), ნიგალას უბანში, ყოფილა ეკლესია, რომელშიც „მცხოვრობდა ქეშიში“, ანუ ბერი. მთქმელის განმარტებით,



ეს ეკლესია ბუხარეთის მთებში, სოთსა და ვაზრიას შორის, მდებარეობს და „აჯჯი ეკლესიას“ ეძახიან.

ერთ დღეს ბერმა კაჩკარის მთაზე, საქალარის პლატოზე, თეთრი რალაც შენიშნა. ასეთი რამ მანამდე არასოდეს ეხილა და ძალიან გაუკვირდა. მან ოთხი მსახური გაგზავნა მთაში ამბის გასაგებად, თან თოფიც გაიტანა და დაარიგა:

„– ეს თოფი იმ თეთრი რალაცას ესროლეთ და მოკალით!“

კაჩკარის მთაზე ასულებმა თოფი ესროლეს, მაგრამ იმ თეთრ „რალაცას“ ვერაფერი დააკლეს; ნელ-ნელა მიუახლოვდნენ, ხელით შეეხნენ და „დაინახვენ, რომ ეს თეთრი არსება ცივი რალაცა არის“. ამის შემდეგ ტყავის ტომარა გაავსეს ამ თეთრი მასით და უკან, ეკლესიისკენ გამობრუნდნენ.

ეკლესიის მსახურებმა ბერს ტომარა აჩვენეს და უთხრეს:

„– თეთრი არსება ამისი შიგან არის“.

ტყავის ტომარა რომ გახსნეს, იქ მხოლოდ წყალი დახვდათ...

„– მე წიგნებში ვიკითხე, ეს თოვლია“. – განმარტა ბერმა და დასკვნა:

„– აქ ვერ ვიცხოვრებთ იმიტომ, თოვლი მოდის, ძალიან სიცივე იქნება“.

ამის შემდეგ ბერ-მონაზვნები ბარში ჩამოსულან, ნიგალას ეკლესიაში გაუგრძელებიათ მოღვაწეობა და ზემოთ, მთაში მდებარე ეკლესიაში ველარ ადიოდნენ.

ამ მითოსის ვარიანტი პროფესორმა მალხაზ ჩოხარაძემაც დაამონმა ქალაქ ართვინში 2013 წლის 21 აპრილს (ჩოხარაძე, 2015: 292).

მართალია, კლარჯული მარადიული გაზაფხულის, ანუ მინიერი სამოთხის, მითოსს ჩვენებურები თამარ მეფის „ოქროს ხანას“ აღარ (ველარ) უკავშირებენ (თამარი მათ ისტორიულ მახსოვრობაში ოდენ მატერიალური კულტურის ძეგლთა უპირობო შემოქმედად არის შერაცხილი), მაგრამ კაცობრიული მითოსური მსოფლმხედველობის ესოდენ სანუკვარი ხანა მაინც ქრისტიანული ღვთისმსახურების სივრცესთან არის გაიგივებული და, ბუნებრივია, ესეც გენეტიკური სისხლის ყივილის ერთ-ერთი სულიერი გამოძახილია. სხვაგვარად წარმოდგენილიც არის, რადგანაც კლარჯ ჩვენებურთა ცნობიერებაც ერთიანი ქართული კულტუროლოგიური წიაღიდან მომდინარეა, მისივე გვარ-ტომთა მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილია.

### 3. დემონური პერსონაჟები

ანიმისტური მსოფლმხედველობით გაჯერებული კაცობრიული ცხოვრების გარიჟრაჟიდან მოყოლებული თითქმის ბოლო დრომდე ჩვენს წინაპრებსაც სჯეროდათ სამყაროს ორი სანყისის – კეთილისა და ბოროტის არსებობა; მათთან ურთიერთობის დამყარების ხანირ გზაზე შემუშავებულ მსოფლგაგებას უხვად კვებავდა ღვთაებებისა და, ამასთანავე, გარე სამყაროში მრავლად ჩასაფრებულ დემონურ პერსონაჟებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რომელთა საშუალებითაც იმთავითვე იქნა გამიჯნული „შინა“ და „გარე“ სამყარო. „შინაში“ ადამიანი დაცულად გრძნობდა თავს, რადგანაც სახლში კერის (ფუძის) ანგელოზს ებარებოდა, მაგრამ, როგორც პროფესორი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, მონესრიგებული „შინადან“ ადამიანს „უნევს გარე სამყაროში გასვლა ოჯახის ან საზოგადოების საჭიროებისათვის. სწორედ აქ ელოდება საფრთხე ავსულების სახით, რომლებიც ტყე-ღრეში, ხევებსა და სხვა მიუვალ ადგილებში ბინადრობენ და ეტანებიან მარტო მიმავალ მგზავრს“ (სიხარულიძე, 2006: 151).

ავსულებს, იგივე დემონურ პერსონაჟებს, რომელთა უმეტესობა, ხალხის რწმენა-წარმოდგენების თანახმად, მდედრობითი სქესისანი არიან, ერთგვარად შემოსაზღვრული აქვთ თავიანთი სამოქმედო არეალი და სწორედ იქ უსაფრდებიან ადამიანებს, განსაკუთრებით კი – ღამით.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში ბოლო დრომდეა შემორჩენილი რწმენა ავი სულების შესახებ. ბუნებრივია, ამ რწმენა-წარმოდგენებს და მათთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებას იცნობდნენ საქართველოს ისტორიულ რეგიონში – კლარჯეთში მცხოვრები ჩვენებურები და კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლებიც, ისევე, როგორც ისტორიულ შავშეთში მცხოვრები გურჯები (შოიშვილი, 2011: 213) და, საბედნიეროდ, მათი ხსოვნა ჩვენს დრომდე შემოინახეს, რასაც ადასტურებს მათთან ჩატარებული საველე-ფოლკლორული მუშაობის შედეგები.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების რწმენა-წარმოდგენების ერთ-ერთი პოპულარული დემონური პერსონაჟია „ფერი“. ჩვენებუ-

რებს სჯერათ, რომ ფერი ორივე სქესისაა – კაციც არის და ქალიც; ისინი ბინადრობენ ღელეებში, ყორეებში; იქ სხედან და დარაჯობენ გამვლელს, რათა ზიანი მიაყენონ, ჭკუაზე შეშალონ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი კლარჯი მთქმელი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ „ქალები არიან ფერები“ (მთქმელი იდრის ქურთი, 63 წლის მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბელილში (ირმადიე) ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს).

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურკვეთში (მამურიე) მცხოვრებმა 57 წლის ქალბატონმა – ასიე შიმშექმა გვიამბო, თუ როგორ გააგიჟეს მისი ახლობელი ქალი ფერებმა:

„– ფერი კაციც არი, ქალიც არი. ფერები გაგადელებენ, გეიარ, ნახვალ ღელიებში. უბისმილო ნყალ გადაასხმი, ფერებ მოვლიან. იმავე ვერ დეინახავ, ყორიებში, ღელიებში სხედან, – გონჯ იერებში. მე ერთი ემიას ქალი მყავდა, აბლა ვეტყვით ახლა; წელიწად მეტი კა იქნებოდა, კა ქალი იყო, ფერებმა გაადელეს; იარებოდა ჯოხი დაკავებული, გურჯულა აგინებდა. სალამომდი იარდა; ხან გიცნავს, ხან ვერ გიცნავს. იმის ფერი იყო მუსლიმან ფერი, ხოჯიებმა ასე უთხრეს:

„– ეს ფერი მუსლიმანი ფერიაო, კითხვით არ წავაო, კითხვა არ დეეშველებაო, მოკდენამდე მასთან უნდა იყოსო“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს).

ქოჯაელის პროვინციის ქართეფეს რაიონის სოფელ ნუსრეთიეში მცხოვრები 85 წლის ჰაალით ჯებეჯის რწმენით, „ფერი წამოგკრავსო, წამეკრები. ღამეში მეზელულში არ გეიარო, წამეკრებიო. ფერი კაციც არი და ქალიც“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 12 ივლისს).

ფერი, იგივე ფერია, მსოფლიოს მრავალი ხალხის მითოლოგიაში ცნობილი პერსონაჟია, რომელსაც ქალური ბუნება აქვს და, ბოლო დრომდე მოღწეული მასალების მიხედვით, დემონურთან ერთად, ღვთაებრივ ნიშნებსაც ამჟღავნებს. რწმენა-წარმოდგენებს ფერების შესახებ კარგად იცნობს მუსლიმური სამყარო, რომლის თანახმადაც, ფერი (ფერია) ღამაზი ახალგაზრდა ქალია. აჭარაში მას „ფერი ქალს“ ეძახიან და ძალზე გავრცელებულია თქმულებანი მის შესახებ. აქაურთა რწმენა-წარმოდგენებში ფერი ქალი შემკულია გრძელი ოქროსფერი თმით და ოქროსფერი კაბა მოსავს; იგი ადამიანის მსგავსია (ბსუნბიფა, 1974: საქმე №188: 80); როგორც მკვლევარმა

ხათუნა თავდგირიძემ შენიშნა, ოქროსფერი (თმა, კაბა) და თვით სახელწოდებაც „ფერი“ (ფროვანი) ამ პერსონაჟის ღვთაებრიობის მაუწყებელია (თავდგირიძე, 2004: 187-188); თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერება იცნობს ისეთ ნარატივებსაც, რომელთა მიხედვითაც ფერები მამრობითი სქესისანიც არიან. აჭარაში გავრცელებული ტოპონიმური ლეგენდის – „ჯინის წყაროს“ – შესახებ საუბრისას სოფელ ნენიაში მცხოვრებმა (გამოთხოვილია სოფელ გურძაულიდან) ნაზიკო (ნანული) ბოლქვაძემ ვრცლად გადმოსცა ხალხში არსებული წარმოდგენები ფერებზე, რომელსაც აჭარაში „ჯინებსაც“ უწოდებენ; ფერები „კაცის სახეს იღებენ და ისე ეჩვენებიან ხალხს“; ისინი ძირითადად „უნმინდურ და ორსულ ქალებს ეტანებიან, თურმე. იმიტომ არ უშვებენ ღამე წყალზე ქალ-ბავშვს“ (ჩაინერა და გადმოგვცა თეონა ქამადაძემ 2005 წელს).

კლარჯთა შორის გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფერები ორივე სქესისანი არიან და საბოლოოდ თითქმის გაფორმებულია მათი დემონიზაციაც, თუ არ ჩავთვლით ერთ ფაქტს, რაზედაც ხშირად მიუთითებენ ჩვენებურები: ეს არის მათს ძვალსა და რბილში გამჟღადარი ჩვეულებანი, რომლებსაც პრევენციული ფუნქცია გააჩნია: იკრძალება ღამით გარეთ მოშარდვა: „– საღამოზე გარეთ მოფსი, დაბეჩდები, ნაკვრის – ინსანის სისხლი წყალი გახდება, ავადეული გახდება“, – გაგვაფრთხილა სოფელ ებრიკაში (იბრიქლი) მცხოვრებმა 70 წლის ჯესურ ათამანმა; არც სუფრის გადაფერთხვა შეიძლება და არც შუადღემდე სახლის დაგვა: „– სუფრა არ გადაფერთხოთ, შეფთები, ფერები გაგკრავსო და ჭკვაზე შეგშლიანო, გადაგკრავსო. შუადღემდე არ დაგავო, არ შეიძლებაო“, – ასე სწამთ ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ბალჩიდერეში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს და ამ რწმენის სათავე საერთოქართულსა და საერთოკავკასიურ რწმენა-წარმოდგენებშია საძიებელი. ასევე, მიაჩნიათ, რომ წყალი არ უნდა გადაასხა, თუ „ბისმილას“ არ იტყვი, რადგანაც სჯერათ, რომ თუ „უბისმილო წყალ გადაასხმი, ფერებ მოვლიან“. აჭარაში გავრცელებული რწმენით კი „...კაცი თუ წყალს დაღვეს და „ბისმილას“ არ დააყოლებს, წყალთან ერთად შუუძრება ორგანიზმში და წაყვება მერე...“ (მთქმელი ნ. ბოლქვაძე, ჩაინერა შორენა ქამადაძემ 2005 წელს). ვფიქრობ,

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ფერების ოდინდელ ღვთაებრივ სახესთან; მათთვის, როგორც წყლის განმასახიერებელი ღვთაებებისათვის, სათანადო პატივი უნდა მიეგოთ წყლის დაღვევის დროს, ხოლო გადაქცევისას (დაღვრისას) მოეზოდინებინათ.

კლარჯ ჩვენებურთა შორის ფერებთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც შეინიშნება – ამ დემონოლოგიური პერსონაჟების დიფერენციაციას ისინი სარწმუნოებისმიერი ნიშნითაც ახდენენ: მთქმელი ასეე შიმშექი გვარწმუნებდა, რომ მისი ახლობელი ქალის ჭკუიდან შემშლელი მუსლიმი ფერი იყო („იმის ფერი იყო მუსლიმან ფერი, ხოჯიებმა ასე უთხრეს: „– ეს ფერი მუსლიმანი ფერიაო, კითხვით არ წავაო, კითხვა არ დეეშველებაო, მოკდენამდე მასთან უნდა იყოსო“); მისი წარმოდგენით, არის ქრისტიანი ფერიც, რომელსაც მუსლიმი ხოჯას ლოცვა („კითხვა“) ადვილად ამარცხებს.

ფერებს, როგორც ყველა დემონოლოგიურ არსებებს, კლარჯთა რწმენით, მაქციაობის უნარი გააჩნიათ და ხშირად ადამიანს ისე ემგვანებიან, ვერავინ გაარჩევს; მათ, ზოგადკავკასიური მითოლოგიის დემონური არსებების – დევების მსგავსად, ტერფები შებრუნებული აქვთ; ფერებზე ხშირად ქორწინდებიან კიდევ. „– ფერების საქმე იმფერი იქნება: დეინახო, გგონია, ინსანია; ფეხები უკნისკენ აქვა; ქალიც არის, კაციც არის; სხვა ვერ გეერჩევა იმათიდან; ფერებზე ქორწინდებიან, ვერ გეერჩევიან. ერთი ქალი იყო, შავშეთელი, დაქორწინებულა; ყიამეთი წუულიან... ხოჯას გუურჩეგია, უკითხია და გუურჩეგია“ (მთქმელი ჯესურ ათამანი (ჩაუშოლლი), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ებრიკაში (იბრიქლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 10 აგვისტოს).

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ავ სულებს თავიანთი ნამდვილი სახით ვერ დაინახავ. მათ მაქციაობის უნარი გააჩნიათ და შეუძლიათ, ნაცნობი ადამიანის სახეც მიიღონ, რათა შეცდომაში შეიყვანონ შემხვედრი მგზავრი; ისინი უმეტესად ლამაზი ქალის სახეს იღებენ, თუმცა, შეიძლება მამაკაცადაც მოეჩვენონ ადამიანს.

„– შეფთან ვერ დეინახ, დაკარგულია. შეითანი კაცია, კაციც გახდება, ყველა სურეთში შევა, ყველამფერი იქამს: ნამოკრის, ავადეული გახდის, დააბერავს. იტყვიან, შეფთანმა დააბერაო“, – აგვისნა 76 წლის ქალბატონმა მელაათ ქიბარმა (მცხოვრები საქარიას პრო-

ვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს).

ფერები კლარჯ ჩვენებურთა მეტყველებაში, ისევე როგორც აჭარამი, „ჯაზებად“, „შეფენებად“ მოიხსენიებიან, რაც კიდევ უფრო მეტად გახაზავს მათ დემონურ ბუნებას. ამიტომაც იყო შემუშავებული სიტყვისა თუ მოქმედების მაგიებზე დაფუძნებული უამრავი პროფილაქტიკური რიტუალი, რომელთა მოშველიებითაც ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ, თავიდან აერიდებინათ ავსულთა ბოროტი ქმედებანი; ზიანის მიყენება. ერთ-ერთი ასეთი რიტუალი, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გამოიყენებოდა ეგრეთწოდებული „ყბაყურა ბატონების“ ზიანის ასაცილებლად, გავაცნო ქალბატონმა ასიე შიმშექმაც:

„— ჯაზებმა ბალვი არ წეიყვანონო, გააძრომლებდენ კაკალის ფესვი. სამი გზაზე უნდა იყოს კაკალი. უნინ იყო ეს“.

იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფელ ჰაირიეში მცხოვრები კლარჯი მუჰაჯირების შთამომავალმა – 76 წლის მეჰმედ გუნეიმ (ფალაზოლლი) ამგვარად დაგვიხასიათა „ჯაზები“: „— ღარჭობაში მეტყოდენ, ჯაზები არიანო, ღელეებში, ხენდეკებში არ ნახვიდეთო, ჭვაზე შეგშლიანო... ჯაზები და ჯინები აანია. ქალიც ყოფილა, კაციც ყოფილა... ფერებიც ჯინი არიან“ (ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წლის 14 ივლისს).

დემონური არსებანი, როგორც აღვნიშნეთ, მაქციები არიან. ისინი ადამიანთა ხმასაც ამგვანებენ, რითაც შეცდომაში შეჰყავთ ისინი (ქ. სიხარულიძე, 2006: 152). მეჰმედ გუნეის განმარტებითაც, ჯინები, ანუ ჯაზები, მაქციები არიან; ისინი ხშირად საქონლის სახეს იღებენ: „— ჩემი ბაბო დეკეული არ მოსულა და წასულა დეკეული ძებნაზე; დეკეული მოყავს სოფელში, დეკეული დაბრუნდება, აინ ფერზე წავა; მოყავს, კიდე დაბრუნდება აინ ფერზე. ის დეკეული არ ყოფილა, ჯაზი ყოფილა! ბაბო ავადეული გახდილა. დუები უკითხიან ხოჯებ, ნუსხა დუუნერიან და მორჩენილა“.

ჯაზები, ჯინები თუ ფერები, კლარჯთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, კარგებიც არიან და ცუდებიც. ზემოთ განხილული მეჰმედ გუნეისეული ნარატივის მიხედვით, „გონჯი ჯინებიც ყოფილან და კაა ჯინებიც. გონჯები ჭკვაზე შეშლიდენ, კაა ჯინები არ შეშლიდენ. კაა ჯინებზე დაქორწილდებოდენ, ისე გაგონილი მაქ მე“. ჩვე-

ნს შემთხვევაში ეს ის „გაგონილია“, რომელსაც ძალზე ღირებული მნიშვნელობა აქვს, რომელსაც ჩვენ ისტორიულ მესხიერებას ვეძახით და რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კლარჯული მითოსური სამყარო საერთოქართული, საერთოკავკასიურ მითოსური სისტემის ნაწილია. მაინც რას ნიშნავს კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალთა მესხიერებაში შემორჩენილი რწმენა იმისა, რომ „კაა ჯინებზე“ დაქორწილდებოდნენ? ქართული (და კავკასიური) მითოსური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ქალი ჭინკები, რომლებიც, მამაკაცი ჭინკებისაგან განსხვავებით (რომლებიც პატარა ბიჭის სახისანი არიან) ძალზე ლამაზები არიან, ცდილობენ, სასიყვარულო კავშირი დაამყარონ ადამიანებთან (შდრ. ნადირობის სვანური ქალღმერთი დალი, მეგრული ქალღმერთი ტყაშმაფა, აჭარული ფერი ქალი, საერთოქართული წყლის დედა, ხევსურული მითოსის ქალღვთაება სამძივარი (იგივე ქაჯის ქალი), რომელიც ხახმატის ჯვარმა წამოიყვანა ქაჯავეთიდან და ა. შ.) და ხშირად ასეც ხდება – ისინი აღწევენ სანადელს და თავიანთ რჩეულ მამაკაცს დროებით მაინც უახლოვდებიან; სამძივარი თავის რჩეულს, მაქციანობის წყალობით, სოფლის ქალად მოაჩვენებს თავს და მისი ცოლი ხდება. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამდენად, ცხადია, რომ კლარჯ ჩვენებურებს შემოუნახავთ ხსოვნა არქაული ქალი ღვთაებისა, რომელიც, მართალია, დემითოლოგიზაციის შედეგად დემონურ პერსონაჟად იქცა, მაგრამ ხალხის მესხიერებაში მაინც შერჩა „ნაშთი ძველი დიდებისა“.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სამყაროში ჯაზის ან ფერის სახელით მოიხსენიება, აგრეთვე, ზოგადქართულ სინამდვილეში „ჭინკას“ სახელით ცნობილი დემონური პერსონაჟი; მართალია, აღრეულია მათი ნიშან-თვისებები და ფუნქციებიც, მაგრამ იმ ნიშან-თვისებების წყალობით, რაც საქართველოს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა რწმენა-წარმოდგენებმა ბოლო დრომდე შემოგვინახა, ადვილია ამ პერსონაჟის გამოცალკეება ეგრეთწოდებული ჯაზების, შეთნებისა და მით უფრო – ფერებისაგან. 2013 წლის 9 ივლისს ჩვენ მიერ ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბეილუღში (ირშადიე) მცხოვრები 63 წლის იდრის ქურთისაგან ჩანერილი მასალის თანახმად, „ფერები ღამეში მოვლენ, ახორში ცხენ ფაფარ დუუნნიან, ღარჭებ



მოყლარჭვენ, ცხენ აჭენებენ. ქალები არიან ფერები. ერთი დედეა დეიმალა. ეს ქალი მივდა, დეიჭირა ამან. „– არ გამამჟღავნოვო, აღარ მოვალო“. ნევდა. ძველი ქალი იყო ის ქალი, მოკტა“.

ძნელი არ არის, ამ თქმულების „ფერებში“ დავინახოთ ქართული მითოსური რწმენა-წარმოდგენების პერსონაჟი ჭინკა, რომელიც, აგრეთვე, დემონურ იერსახეს ატარებს. სწორედ მას მიაწერენ ცხენების ჭენებასა და მათთვის ფაფარის დაწვნის ჩვეულებას, რაც ამ პერსონაჟთა მისწურ, ქაჯურ ბუნებაზე მიუთითებს. ჩვენში სჯერათ, რომ ჭინკას დამახასიათებელი თვისებაა გამოსკვნა, ანუ დაკირკიტება, რითაც ისინი აწვალევენ ადამიანს. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა დილით უნახავთ გაოფლილი ცხენი დაწნული ძუით და მიმხვდარან, რომ ის მთელი ღამის განმავლობაში ჭინკას უჭენებია (შოიშვილი, 1987: 137-138).

როგორც პროფესორი ქეთევან სიხარულიძე მიაჩნებს, ჭინკას ქაჯურ ბუნებასთან – „დაკირკიტებასთან“, ანუ ჩახვევასთან, უნდა იყოს დაკავშირებული კრიმინალის მეორე სახელწოდება „კირკანტული“, რომელიც იმავე ძირიდან მომდინარეობს. „კირკანტულს“, ანუ კრიმინალს, გურული ახალგაზრდები ტრადიციულად მღეროდნენ, რათა არ შეშინებოდათ, როდესაც ღამით დადიოდნენ (სიხარულიძე, 2006: 156).

ქართული მითოსის დემონოლოგიური პერსონაჟების – ჭინკას და კუდიანის – სახეთა კონტამინირებული წარმოდგენის შემცველია, აგრეთვე, ჩვენ მიერ 2013 წლის 9 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურკვეთში ასეე შიმშექისაგან ჩანერილი მასალაც, რომლითაც მთქმელი ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა „ჯაზის“ პორტრეტი. ამ შემთხვევაში იგი „ფერს“ აღარ ასახელებს, თუმცა მისი ნაამბობიდან აშკარად იკვეთება ჭინკასა და კუდიანის ტრადიციული სახეები, რომელთაც მთქმელი ერთი ტერმინით – „ჯაზი“ – მოიხსენიებს:

„– ჯაზი ამ სოფელში არ იყო. ჯაზი ინსანიდან არი. ბუხარიდან ევდოდენ, ჯაზაობას იქამდენ, მერე მოვდოდენ. „– შენაო ჯაზი ხარო“, – ეტყვიან; არ ეტყვის, ჯაზი ვარო. დიდი ნენეს (ბაბანეს) ეტყოდენ, ჯაზი ხარო. არ ვარო, ეტყოდა.

დედამთილი მეტყოდა, ხუთი ღარჭები მომიკდაო. მოზობლებმა მეტყოდენ, ქივო შენი დედამთილი ჯაზიავო და ღარჭებ გიყლარჭავსო. მე დედამთილი ზორ მიყვარდა და არ იქსო, ვიტყოდი.



ახორშიც შედის ჯაზი, ცხენის თმებ დაპნნიდა, გამუშუებდა ცხენ, არონიავდა; იტყოდენ „ბისმილა“, – ახორის კარ დუუყრაო. მოზობელ ილიას დუუჭერია ახორში, დუუკავებია, ამას უთქმია:

„– არ გამამუღავნო, შენ ახორში აღარ'ნა შევიდო“.

დილაჲ ჩევლოდენ, ცხენი დაოფლილი იყო, იმით მიხდებოდენ.

ჯაზები ღარჭები ჯიგარ ამეილებდენ და შეჭამდენ. ერთ ასკერში ბიჭი ყავ. ბიჭმა მექთეფი გამუუგ ზავნა. უბეში ჩადებული მექთეფით იარება; მარობაში, გაღმა ერთი სახლი იყო, იქ მოზობელთან წასულა ჯაზობაზე; თავანში ასულა და იქ გავარდნია მექთეფი. იკითხენ და მიხდენ:

„– ოო, ის ნენეჲ ჩვენთან ჯაზობაზე მევდაო და გავარდნიაო“.

როგორც ქალბატონი ასიეს მონათხრობიდან იკვეთება, კლარჯ მუჰაჯირთა რწმენა-წარმოდგენების „ჯაზები“ იგივე ქართული მითოსის დემონოლოგიზირებული პერსონაჟები – კუდიანები არიან, რაზედაც აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ, ხალხის რწმენით, „ჯაზი ინსანიდან არი. ბუხარიდან ევდოდენ, ჯაზობაჲ იქამდენ, მერე მოვდოდენ“. ხშირი ყოფილა შემთხვევაც, როცა ადამიანს ჯაზობას დასწამებდნენ („დიდი ნენეს (ბაბანეს) ეტყოდენ, „ჯაზი ხარო“).

საინტერესოა ისიც, რომ კლარჯების რწმენა-წარმოდგენებში ბავშვების ხშირი სიკვდილიანობა ჯაზებს მიენერებოდათ. როგორც ნაამბობიდან ჩანს, ჩვენი მთქმელი თავისი ხუთი ბავშვის სიკვდილს, მეზობელთა ჩაგონებით, დედამთილს აბრალებდა, ხოლო მისი ერთ-ერთი თანასოფლელი ქალი „ჯაზობაზე“ უმხელია სოფელს. ასეე შიმშექის მონათხრობში შემონახულია კუდიანთა ერთ-ერთი უმთავრესი თვისება: ჩვილებისთვის გულის ამორთმევა („ჯაზები ღარჭების ჯიგარ ამეილებდენ და შეჭამდენ“). ასე სჯერათ სამეგრელოშიც (თ. შიოშვილი, 1987: 124). თედო სახოკიას ცნობით, კუდიანები თავიანთ მსხვერპლს გულს ამოაცლიან, რათა ძღვნად მიართვან თავიანთ უფროსს – როკაპს (სახოკია, 1956: 20).

კლარჯელთა მეხსიერებას ველარ შემოუნახავს ის დეტალი, რომ კუდიანები („ჯაზები“) ჩვილ ბავშვებს გულს იმისთვის გლეჯდნენ, რომ მათი უფროსისათვის – როკაპისათვის მიერთმიათ, თუმცა, თავად გულის ამოგლეჯის ფაქტი მაინც ახსოვთ, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ რწმენა-წარმოდგენები კუდიანთა (ავსულთა) შესახებაც და მათთან დაკავშირებული თქმულებანი სა-

ერთოქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია და ჩვენებური კლარჯები, მიუხედავად თურქულ გარემოში საუკუნოვანი ცხოვრებისა, დღესაც ამ სივრცის სამართალმემკვიდრენი არიან.

ასიე შიმშქისეულ ნარატივში აშკარად იკვეთება, აგრეთვე, ჭინკას სახეც; თუმცა, მთქმელი მასაც ზოგადი ტერმინით („ჯაზი“) მოიხსენიებს: „ახორშიც შედის ჯაზი. ცხენის თმებ დაპწნიდა, გამუშვებდა ცხენ, არონიავდა... დილაჲ ჩევდოდენ, ცხენი დაოფლილი იყო, იმით მიხდებოდენ“.

ცხენებისთვის ძუის დაწვნა და მათი ჭენება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადქართული მითოსის თანახმად, ჭინკებს მიენერებათ. ამდენად, ზემოთ თქმულის თანახმად, მართალია, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ეგრეთწოდებული კუდიანებისა და ჭინკების სახეთა კონტამინაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს მოვლენა არცთუ მოულოდნელია, რადგანაც, ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებში, მითოსური სარწულის რღვევასთან ერთად, მსგავსი ფუნქციის ღვთაებებისა თუ უკვე დემონიზებული პერსონაჟების სახეთა გამსხვილება მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ზეპირსიტყვიერებამ განიცადა; ხოლო ის ფაქტი, რომ კლარჯელ ჩვენებურთა ხსოვნაში კვლავაც შემონახულია არქაული მითოსური პერსონაჟები, დასტურია მათი იდენტობისა და წარსულის ფესვებით ჯერ კიდევ საზრდოობისა.

კლარჯთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ჯაზები ძროხებსაც იტაცებდნენ და წყევლიდნენ: „- ჯაზები ძროხებ წეიყვანდენ, ძროხებ მოწველიდენ, ცხენებ წეიყვანდენ, აჭენებიებდენ“, – გვითხრა ქლასკურელმა სახალხო მთქმელმა 78 წლის მიერეე ქესუმმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს).

2013 წლის 10 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში (ძველი სახელია დოშემე) მკლევარმა ნიაზ ზოსიძემ სოფლის მუხტარისაგან – მეედ სერთოლღუსაგან ჩაინერა ჯაზების მიერ ადამიანის წვალების თემატიკის ლექსი:

ჯაზიები დემესიენ  
და ჩემ თავზე იბრუნიან;  
ტანს მჩხლიტამენ, მიჩქმიტენ,  
ღმერთო, მომეხმარია!

კლარჯულმა მითოსმა შემოინახა, აგრეთვე, რწმენა დემონური მითოსური პერსონაჟის – ალის შესახებ, თუმცა არც ეს არქაული ღვთაება ახსოვთ დიფერენცირებულად და მასაც ჯაზად მოიხსენიებენ. ბავშვის მოხრჩობას მიაწერენ ალს (ჯაზს), რომელიც სახლში ბუხრიდან ჩამოდის და ჩვილ ბავშვს ერჩის: „– ხალხი იტყოდენ და, თუ ღარჭი დეიხჩობოდა, ალი დეეცაო. ფეხები, ტიტვირები, ფრჩხილები გუუშავდებოდა, იტყოდენ, ალი დეეცაო. ალი და ჯაზი აინია. ოჯალიდან ჩამუაო ალი და ღარჭ დაარჩობსო“.

ალის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებაც იციან კლარჯებმა: „ორმოცი დღის ათავებამდე ჩვილის აკვანზე ბადეს გადააფარებენ და ცოცხს მიადებენ. საყურადღებოა, რომ ამგვარ მაგიურ რიტუალს ალისაგან ჩვილი ბავშვისა და მელოგინე ქალის დასაცავად მიმართავენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და, ამავე დროს, ბოლო დრომდე შემორჩენილი ალის შელოცვის მრავალი ვარიანტი, რომელთა ეპიურ ნაწილშიც ალისაგან დასაცავად სწორედ ბადეა ნახსენები, საჩეჩელთან ერთად. ალის შელოცვის ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი, რომელიც ჩანერილია 1966 წელს ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში, ამგვარია:

ალი, ალი, ალსა,  
ბადე – სასთუმალსა,  
საჩეჩელი – გვერდსა!..

(ქ. ხ. შელ., 1994: 199)

სამწუხაროდ, კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ალის შელოცვა ვერ დავაფიქსირეთ.

კლარჯელებს სწამთ, აგრეთვე, დემონოლოგიური პერსონაჟის – კონჭოლიზის // კონჭოლოზის არსებობაც, რომელიც დიდთვალე-ბიანია და, სხვა ავსულთა მსგავსად, ფეხის ტერფები შებრუნებული აქვს, მაქციაობის უნარი გააჩნია და ხან ქალად ერჩვენება ადამიანს, ხან – კაცად, ხანაც – ძალლად. ხალხის რწმენით, კონჭოლოზებიც ჭკუიდან შლიან ადამიანს, აშტერებენ და ყოველგვარ სიბინძურეს შეაჭმევენ. ქლასკურელი მთქმელის – მიერიე ქესუმის მონათხრობის თანახმად, ერთ ხებელ კაცს მოუყოლია: „ღამეში ჩემმა ამხანაგმა დუგუნში წემიყვანაო, საჭმელები იყო ბევრიო, ვჭამდითო. გათენდა, კოვზი არაა და ხელში ქვა მიჭირავო და მთელი ღამე მ-ს ვჭამდი, თურმეო; კონჭოლიზმა ქნაო“.

კლარჯები წყლის ჭურჭელს თავდაუხურავს არ ტოვებენ, რადგანაც სჯერათ, რომ „კონჭოლიზები მოვლენო და გუგუმებში ჩააფსამენო“ (მთქმელი შერაფეთინ თურანი, მცხოვრები სოფ. ისკებში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს სოფ. ისკებში).

კლარჯ ჩვენებურთა მითოსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზოგადქართული და საერთოკავკასიური მითოსური რწმენა-წარმოდგენების მსგავსად, დემონური პერსონაჟები მაქციები არიან, ფეხის ტერფები შებრუნებული აქვთ, ცდილობენ ადამიანთა დამორჩილებასა და მათთვის ზიანის მიყენებას (ძირითადად ჭკუაზე შლიან); ეს ავსულები, ხალხის რწმენით, ორივე სქესისანი არიან, თუმცა მათი უმრავლესობა ქალია, ქალური ბუნებისანი არიან და ცდილობენ, შეაცდინონ მამაკაცები, რათა მათზე იქორწილონ. კლარჯული დემონოლოგიაც, ზეპირსიტყვიერ სხვა ნიმუშთა მსგავსად, ქართული გენეზისისაა.

#### 4. სამონადირეო მითოსი

ადამიანის ორგანიზებული საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე არქაული ფორმა მონადირეობაა; მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამდე ნადირობა ადამიანისათვის საარსებო საშუალების მოპოვების ძირითადი წყარო იყო, რამაც ყველა უძველეს ხალხში, და მათ შორის ქართველთა წინაპრებში, ბუნებრივია, განაპირობა სამონადირეო თემისა და ამ უძველეს საკრალურ საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი სისტემის, ანუ მონადირეობის ინსტიტუტის, ჩამოყალიბება თავისი ტრადიციებითა და მითოსით.

მონადირეობის ინსტიტუტის უძველესი ტრადიცია საქართველოში და მისი მნიშვნელობა ქართველურ ტომთა ისტორიასა და კულტურაში დადასტურებულია მრავალი ისტორიული ცნობითა თუ მატერიალური კულტურის ძეგლებით, ეთნოგრაფიული მასალითა და სპეციალური გამოკვლევებით (ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვერა ბარდაველიძე, ალექსანდრე რობაქიძე, სერგი მაკალათია, ელენე ვირსალაძე, თინათინ ოჩიაური, მიხეილ ჩიქოვანი, ქსენია სიხარულიძე, გიორგი კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, აპოლონ ცანავა, ზურაბ კიკნაძე, ზურაბ თანდილავა, ხათუნა თავდგირიძე და სხვები).

საქართველოში, ისევე როგორც მთელს კავკასიაში, ნადირობა ოდითგანვე წმინდა საქმედ იყო მიჩნეული. ასევე წმინდად ითვლებოდა სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც. სწორედაც ამ საკრალურ სივრცეში მომხდარ, თემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ამბებს მოგვითხრობს ქართული სამონადირეო მითოსი, რომელიც უანრობრივად ნაირგვარია და შეძლებისდაგვარად გვაცნობს ოდესლაც მონოლითური ნადირობის ინსტიტუტის დღემდე შემონახულ პლასტებს.

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეშიც, როგორცაა კლარჯეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მონადირეობა ყველაზე მნიშვნელოვანი არქაული მოსაქმეობა უნდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, სხვა კუთხეთა მსგავსად, აქაც ფართო ასპარეზი იქნებოდა გადაშლილი სამონადირეო რწმენა-წარმოდგენებისა და მათთან დაკავშირებული მითოსის შესაქმნელად, რაც დადასტურდა კიდევც.

როგორც პროფესორი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, „მითოსური აზროვნების თანახმად, ისევე როგორც ბუნების სხვა სფეროსა და საგანს, გარეულ ნადირსაც ჰყავდა თავისი პატრონი და გამგებელი, რომელზეც მთლიანად იყო დამოკიდებული მონადირის წარმატება. ნადირთღვთაება კავკასიელებს სხვადასხვანაირად ჰყავდათ წარმოდგენილი – ნადირის, ქალის, ან კაცის სახით“ (სიხარულიძე, 2006: 96). მონადირისა და ნადირთპატრონის შეხვედრა-ურთიერთობანი კი ერთ-ერთი ძირითადი თემაა სამონადირეო მითოსისა; სწორედ მათ შორის განვითარებული დრამატული ეპიზოდები კვებავს მითოსურ წარატივებს. ასეა მთელს საქართველოში და ამგვარი ვითარებაა კლარჯეთშიც; სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი) 2007 წლის 1 აგვისტოს 80 წლის სულემიან ბაიდიწისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი სამონადირეო მითი „ავჯი ხიტირი“ მოგვითხრობს ქურციკებზე მონადირე ხიტირის შეხვედრაზე ნადირობის ღვთაებასთან: „ავჯი ხიტირი ყოფილა უწინ, ჯეილანებ კლავსა“. ერთ დღეს დაინახა, რომ მივიდა ერთი ბებერი, დაჯდა და ქურციკების წველა დაიწყო. ერთმა ქურციკმა ტლინკი მიარტყა და ბახრაჭი (კოჭობი) წაუქცია. ბებერი გაბრაზდა და დაწყევლა:

„– ავჯი ხიტირის ხელში გეჲარე!“

ქურციკმა კი მიუგო:

„– ხელები მიგახმესო!“

მონადირე მ ყველაფერი გაიგონა, ესროლა და მოკლა ქურციკი. კაცს კი „ხელები გუუხმა იქა“.

მართალია, თავისოფლური მითოსური ნარატივი საკმაოდ დემითოლოგიზირებულია, მაგრამ მასში მაინც კარგად ჩანს ნადირობის ღვთაების მიერ (თქმულებისეული „ერთი ბებერი“) მონადირისათვის ნადირის მოკვლის უფლების მინიჭების არქაული რწმენა-წარმოდგენა, რაც ბოლო დრომდე შემორჩენილი სვანურ, მეგრულ და აჭარულ მითოსში. სწორედ ასე სწყევლის მონადირეობის ღვთაება ურჩ ნადირს მკვლევარ აზიზ ახვლედიანის მიერ 1960 წელს ჩანერილ ერთ აჭარულ მითოსურ ნარატივში „ავჯი მემედი და ქაჯის ქალი“: „– ავჯი მემედის ტყვიამ გაგმიროსო!“ (ვირსალაძე, 1964: 223). ამ მითოლოგიური თქმულების სხვა ვარიანტში „ავჯი მემედი“ (ბსუ ნბიფა, საქმე №45: 41-43) ტყის კაცმა, რომელიც, აგრეთვე, არქაული ნადირთპატრონის დემითოლოგიზირებული სახეა, არ აპატია მონადირე მემედს თხების დახოცვა და მისი მოკვლა მოისურვა. მემედს ტყის კაცის ახორის ერთ-ერთი თხა გადაარჩენს და პირობას ჩამოართმევს, რომ თავს დაანებებს ნადირობას. მემედმა სიტყვა გატეხა, ერთ თოვლიან დღეს სანადიროდ წავიდა და დაიღუპა კიდეც (თანდილავა, 1990: 111-112).

გარეული ცხოველის მოწველა ტყის ქალებისა თუ ტყის კაცების მიერ, რისი მხილველიც მონადირე ხდება, ხშირია აჭარულ (და, საერთოდ, ზოგადქართულ) მითოსში. 1971 წელს მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში ცნობილი აჭარელი სახალხო მთქმელის – ბინალი ფუტყარაძისაგან ჩანერილი მითოსური თქმულების თანახმად, ერთ დღეს მონადირე ყარაჯა „ტყეში შევიდა სანადიროდ და დაინახა, რომ ტყის ქალი ჩაჯდომია და ირემს წველის. ეს დაინახა თუ არა ავჯი ყარაჯამ, ესროლა თოფი. ტყვია ირემს მოხვდა...“ (თანდილავა, 1990: 109).

კლარჯული მითოსის თანახმად, ქურციკებს („ჯვილანებს“) წველის ბებერი კაცი, რომელიც ბრაზდება იმის გამო, რომ ერთ-ერთმა რძით სავსე კოჭობი წაუქცია და რძე დაუღვარა; ამის გამო სწყევლის, მონადირე ხიტირის ხელში გაიარეო! ეს, ბუნებრივია, სასიკვდილო განაჩენია ნადირისათვის. ამგვარი განაჩენის გამოტანა კი ნადირთპატრონის, ანუ მონადირეობის ღვთაების, ფუნქციაა;

ამდენად, თავისოფლური მითოსის პერსონაჟი „ერთი ბებერი“ წარმართულ ღვთაებათა უფროსი ჯგუფის წარმომადგენელი მონადირეობის ღვთაებაა, რომლის სახეც უკვე გაფერმკრთალებულია, დემითოლოგიზირებულია და ნადირის დაწყევლით ხელი უხმება. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ნარატივში კონტამინირებულია ორი სიუჟეტი: ერთის მხრივ ნადირთპატრონის მიერ ურჩი ნადირის დასჯისა და მონადირისათვის მისი მოკვლის ნებართვის მიცემისა და მეორეს მხრივ მონადირეობის ღვთაების მიერ ტაბუს დამრღვევი, ანუ აკრძალული ნადირის მომკვლელი, მონადირის დასჯისა. ისიც საგულისხმოა, რომ კლარჯულ მითოსში თავად შერისხული ქურციკიც სწყევლის მის მწველავს, რომელსაც ხელი შეახმება; არქაიკაში კი ხელი უცილობლად შეახმებოდა მონადირეს, რომელმაც მოკლა მწველი ქურციკი. სწორედ ეს მოტივი უდევს საფუძვლად ქართულ ხალხურ სამონადირეო ბალადათა და მითოსურ თქმულებათა აბსოლუტურ უმრავლესობას და, ბუნებრივია, კლარჯეთის ულამაზეს სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი) ბოლო დრომდე შემორჩენილი მითოსური ნარატივიც ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ.

საყურადღებოა, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაც იცნობს მონადირეობის ღვთაებას, რომელსაც ძირითადად დაკარგული აქვს ნადირთპატრონის უმრავლესი ფუნქციები, თუმცა სჯის მონადირეს თხის მოკვლის გამო; ამ შემთხვევაშიც არქაული ნადირთპატრონი „ტყის კაცის“ სახელით მოიხსენიება (შიოშვილი, 2007: 53). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მითოსური თქმულებები ნადირთპატრონისა და მონადირის შეხვედრაზე აჭარაში მრავლად შემორჩა, ოღონდ მონადირეობის ღვთაება აქაც დემითოლოგიზირებულია და, როგორც აღვნიშნეთ, „ტყის კაცი“ ჰქვია, თუმცა გარკვეული პლასტები მაინც აქვს შენარჩუნებული. ასეთივე ვითარებაა ზემოთ განხილულ კლარჯულ მითოსშიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნადირთპატრონი ქალი მატრიარქატის ეპოქის კეთილი, სამართლიანი ღვთაებიდან თანდათანობით იქცა პატრიარქატის დროის ბოროტ არსებად, ხოლო ამ ეპოქაში შექმნილმა კაცღვთაებამ შეითვისა წინა ეპოქათა მხატვრულ-მითოლოგიური სახე, თუმცა ჩვენს დრომდე ისიც გაუფერულდა; კლარჯული მითოსის აჭარულ მითოსთან ამგვარი სიახლოვე კი ნათელი დასტურია იმისა, რომ ისინი ერთი და იმავე კულტუროლოგიური სივრცის პროდუქტებია.



სოფელ ისკებში მცხოვრებმა 84 წლის ჰიზირ არიჯმა (ფუტკარა-ძე) 2007 წლის 5 აგვისტოს ჩაგვანერინა მითოსური ელფერის მქონე სიუჟეტი, რომელიც, აგრეთვე, „შინა“ სამყაროდან „გარე“ სამყაროში კვარის მოსატანად გასულ მონადირესა და მის ძმას შემთხვევით; მთქმელი ყვებოდა რეალურად მომხდარ ამბავს და გვითხრა, რომ ისინი მისი მამა და ბიძა იყვნენ. „ჩემი ბაბა ავჯი იყო“, – საგანგებოდ გახაზა მამის მონადირეობა მთქმელმა და გვიამბო: ტყეში ძმები გადაეყარნენ დათვს, რომელიც გამოქვაბულში („მალარაში“) ბინადრობდა. დათვი გარეთ გამოსულა, ჩვენი მთქმელის მამისათვის ფეხზე უკბენია და ცდილობდა, ზემოთ აეთრია. დათვის მსხვერპლს ძმა წამოშველებია, დათვისათვის წალდი დაუკრავს და ფეხი („ჭლიკი“) მოუჭრია. დათვს მონადირისათვის თავი დაუნებებია და ახლა მისი ძმისთვის უკბენია. მონადირე ძმას ხელში ნაჯახი სჭერია და, რაკი დათვმა მას თავი დაანება, მოტრიალებულა და დათვისთვის „თავზე დუუცხია, ყური ძირში. დათვი გადაგორებულა“. ძმებს მკვდარი დათვი მიუტოვებიათ და სახლში დაბრუნებულან. სოფლის მცხოვრებლები, 3-4 კაცი, წასულან და უნახავთ დათვი. ძმები კი ავად გამხდარან და სამი თვე ლოგინში წოლილან.

ჰიზირ არიჯისეული ნარატივი, ბუნებრივია, მითი არ არის, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მითოსური აზროვნების ქარგაზეა წარმოჩენილი, რადგანაც, ალბათ, მთქმელის მამის თაობასაც და თავად 84 წლის ჰიზირსაც დანამდვილებით სჯეროდა, რომ მის მამასა და ბიძას სამი თვე იმიტომ უავადმყოფიათ, რომ დათვისაგან თავდაცვის პროცესში იგი შემოაკვდათ.

დათვი აზიისა და ამერიკის კონტინენტის უძველეს ტომთა ფოლკლორისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების განუყოფელი პერსონაჟია. მითოპოეტურ აზროვნებაში კი იგი ადამიანთა წინაპარი, მათი ნათესავი, ანუ ტოტემია (სიმ. ილ. ენც., 2006: 57). სწორედ ამგვარი რწმენა-წარმოდგენები დაედო საფუძვლად მრვალრიცხოვან სიუჟეტებს, რომლებიც მოგვითხრობენ დათვებისა და ადამიანების დანათესავებაზე, დათვებისაგან მოტაცებულ ქალებზე, რომლებიც დათვებისაგან ფეხმძიმდებიან და შვილები უჩნდებათ. დათვისა და ქალის ამგვარი ურთიერთობის ამსახველი მოკლე ლეგენდა დავაფიქსირეთ შავშეთშიც, სოფელ მაჩხატეთში მცხოვრები იბრაიმ ჩაქმაქისაგან 2003 წელს (შიოშვილი, 2011:



500); ამგვარი სიუჟეტები გავრცელებულია აჭარისა და საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებაშიც, რაც იმის დასტურია, რომ დათვისადმი ეს არქაული რწმენა-წარმოდგენები დიდხანს კვებავს ადამიანთა წარმოსახვას და, ამდენად, იმ თავგადასავლის შეფასებისა და გადმოცემის პათოსი, რაც ისკებელ მონადირესა და მის ძმას დათვთან შეემთხვათ, სწორედ მითოსური რწმენის შედეგია, ხოლო ამგვარი წარმოსახვების სათავე, ბუნებრივია, საერთოქართულ მითოსურ მსოფლგაგებაშია საძიებელი.

საქარის პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ გველში (გიულდები) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის – 46 წლის შეფიე ჰაირისაგან 2013 წლის 19 ივლისს ჩავინერე ლეგენდა, რომლის თანახმადაც დათვი ტოტემად გამოიყურება: ერთი კაცი („ყავარჯი დედე“) საყავრე მასალის მოსატანად ტყეში წასულა, ხეში სოლი ჩაუსვამს, გაუპია და ასე დაუტოვებია დილისათვის. ღამით მისულა დათვი და „თამაშში ცხვირი შეჭუჭყვია“. დილით კაცი მისულა და დათვი გაუთავისუფლებია. „ერთი საათის მემრე დათვ ფიჭა თაფლი მუუტანია“. ამგვარი ლეგენდები მრავლად მოიპოვება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში; მას იცნობს, აგრეთვე, ცივილიზებული ერების ფოლკლორული შემოქმედებაც, რომლებშიც დათვის სახე ერთგვარი სიმპათიით არის წარმოჩენილი. შუასაუკუნოვან ევროპაში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, წმინდა ჰალეს გაჭირვებაში დაეხმარა დათვი, რომელსაც წმინდანმა თავის დროზე თათიდან ეკალი გამოუღო (სიმ. ილ. ენც., 2006: 58). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში დადასტურებული „მადლიერი“ დათვის სიუჟეტის მქონე ლეგენდაც ამ ტიპისაა და ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს.

კლარჯ ჩვენებურთა შორის დავაფიქსირეთ, აგრეთვე, არქაულ სამონადირეთ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტაბუ, რომლის თანახმადაც, შვლის, განსაკუთრებით კი დედალი შვლის, მოკვლა იკრძალება. სოფელ ფეთექოიში (გურბინი) 65 წლის საბრიე გურსუის (პავლიაშვილი) თქმით, „გეფი ცოდვა არი, არ მოკლებენ. ყოჩი თუ არი, მოკლებენ, ისიც – ხანდახან; გოგო თუ არი, არ მოკლებენ; თუ მოკლებენ, ოჯახი უკნისკენ წავაო“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 1 აგვისტოს). ამგვარი რწმენა უდევს საფუძვლად აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ლეგენდას

„შვლის მოკვლა ცოდვაა“, რომელიც 1962 წელს მკლევარმა ზურაბ თანდილავეამ ჩაინერა ქობულეთის რაიონის სოფელ ზემო აჭში 72 წლის ხასან სალუქვაძისაგან. ლეგენდის თანახმად, მონადირეებმა დაიჭირეს შველი, რომელსაც სამი ნუკრი („კიკო“) ჰყავდა, ფეხები შეუკრეს, ჯოხზე ჩამოკიდეს და ცოცხალი მიჰყავდათ. „გამჩენ ღმერთს დაუნახავს და უთქვამს:

– გუუშვით შველიო!“

მონადირეებს არ უნდოდათ შველის გაშვება, მაგრამ ღმერთისა შეეშინდათ, ჩამოხსნეს ჯოხიდან და ფეხებშეკრული მიატოვეს. ღმერთმა შველს ფეხები გაუხსნა და უთხრა:

– ნაჲ ახლა და შენ შვილებს ძუძუ აჭამეო!

წევდა შველმა და კიკოები გაახარა“.

იმავე მონადირეებმა ერთხელ ტყეში ნადირს დაუგეს ხაფანგი, რომელშიც ის დედა შველი გაება. „გამჩენმა ღმერთმა მიხთა და მონადირეებს დუუძახა:

– ნაჲთ ტყეში, ხუნდში შველია ჩავარდნილი, აუშვით და ჩემთან გამოუშვითო!“

მონადირეები ასეც მოიქცნენ. შველს ხუნდისაგან ფეხი დაზიანებოდა, „ღმერთმა იოდინი ბამბა ჩუუდვა ქრილობაში, შუუხვია და უთხრა:

– ნაჲ ახლა შენ შვილებთანო! – ...ხელი მუუსვა უკან და გუუშვა“.

ხალხს სჯერა: „შველს უკან თეთრი ადგილი აქვს, ის გამჩენი ღმერთის ხელმოსმული ადგილია; შველს რომ უკან ჩლიქთან იოდის სუნიანი რბილი ადგილი აქვს, ის გამჩენი ღმერთის ჩადებული იოდინი ბამბაა. ამიტომ შველის მოკვლა ცოდვაა!“ – დასძენს ლეგენდა (თანდილავა, 1990: 117-118). ქლასკურელი მთქმელის, 78 წლის მიერეე ქესუმის თქმითაც, „...შველი არ მეიკლება. იმაჲ ფეხებში ბამბა აქო, სუნი აქო“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქლასკურში).

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებასა და რწმენა-წარმოდგენებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აქაურებმა კარგად შემოინახეს ტრადიციული სამონადირეო ტაბუ. სოფელ ფეთექოში (გურბინი) დამონმებული სამონადირეო ჩვეულება, რომლის თანახმადაც, შვლის, განსაკუთრებით კი დედალი შვლის, მოკვლა იკრძალება, საერთოქართული და საერთოკავკასიური მითოსური რწმენა-წა-

რმოდგენების მაგალითია. მართალია, კლარჯმა ჩვენებურებმა ველარ შემონახეს მონადირეობასთან დაკავშირებული ამ არქაული წეს-ჩვეულების ამსახველი სიუჟეტები, მაგრამ იმავე ფოლკლორული სივრცის ნაწილში – აჭარაში დაფიქსირებული ლეგენდა ავსებს იმ დანაკლისს, რაც, სამწუხაროდ, კლარჯების ისტორიულ მეხსიერებას, მრავალი მიზეზის გამო, ველარ შემორჩა; ორივე ერთად კი ავსებს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენას ჩვენი წინაპრების არქაულ საკრალურ საქმიანობაზე – მონადირეობაზე, მის ტრადიციებზე და დასტურია იმისა, თუ რაოდენ ძლიერი და გამძლე აღმოჩნდა ქართველურ ტომებში შემუშავებული ერთიანი მითოსური სისტემა.

## 5. დიდი წარღვნის ლეგენდა

დიდ წარღვანაზე, ანუ მსოფლიო წარღვანაზე, უძველესი კულტურის მქონე ყველა ხალხის ფოლკლორული შემოქმედება მოგვითხრობს. რწმენა-წარმოდგენებით სამყაროს დასასრულზე და მასთან დაკავშირებული ნარატივებით მდიდარია ქართული ზეპირსიტყვიერებაც, რომელსაც ერთის მხრივ ასაზრდოებს წარმართულ-მითოლოგიური მსოფლმხედველობა, ხოლო უფრო მოგვიანებით – ბიბლია.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია პოლითეისტური რწმენით გაჯერებული დიდი წარღვნის ლეგენდებით. ბუნებრივია, საერთოქართულ სპექტრში განიხილება კლარჯული მასალაც, რომელიც, აჭარულისა და შავშურის მსგავსად, მუსლიმთა წმინდა წიგნის – „ყურანის“ გავლენასაც განიცდის.

კლარჯეთის სოფელ ბაშქოში (თავისოფელი) 2007 წლის 1 აგვისტოს 63 წლის ჰაირეთინ ბაშქოისაგან (ფალიაშვილი) ჩვენ მიერ ჩანერილი დიდი წარღვნის ლეგენდა მოგვითხრობს: ნუხ წინასწარმეტყველს („ფელამბერს“) ღმერთმა უბრძანა:

„– ერთი გემი გააკეთე, ხალხი მეიცრიე, ჩაყარე შიგანა!

ნუხმა მიზეზი იკითხა. ღმერთმა კი უპასუხა:

„– ეს ხალხი ბევრ ცოდვას იჯებიან, იმი ბარობაზე ყველანი წყალში ჩავლუპონაო.

ნუხ ფელამბერმა შეკრიბა ხალხი და გამოუცხადა:

„– ღმერთი იძახის, ქი გაჭკვიანდითო!“

ზოგმა არ დაუჯერა ნუხს, ზოგმა კი დაუჯერა და ისინი გემში ჩასხა. არც საკუთარმა შვილმა და ცოლმა დაუჯერეს, თუმცა ბევრი ეხვეწა და ემუდარა:

„– შვილო, მოდი, მეიკლებო!“

გაჯიუტებული შვილი პასუხობდა:

„– გავალ ტყეზე, წყალი იქ ვერ ამოვაო!“

დაინყო წარღვნა, „მოგჯა ქვეყანა, სულ ყველაე წყალი გახდა... წყალი ტყეზეც გვედა. ხელი მიცა, მოდიო, კიდენ არ წევდა. ისინი იქ დეილუპეს“, – მოგვითხრობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც, წარღვნის შემდეგ გემი შეჩერდა „აღრიდაღარში“, რომელიც მთქმელმა არარატის მთად მოიხსენია.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტთა უმრავლესობის მსგავსად, დიდი წარღვნის ლეგენდის კლარჯულ ვარიანტშიც, აჭარაში, შავშეთში და კლარჯეთში პოპულარული კერძის „აშურას“ მომზადების ტრადიცია დიდი წარღვნას უკავშირდება: გემში მყოფთ საჭმელი გაუთავდათ, ყველა მარცვლეულს ცოტ-ცოტა მოაკლეს და „ქვაბის შიგანა ჩაყარეს, გახდა აშურა. იმ ბარზე იტყვიან აშურასა“.

„აშურაც იქიდან (ნუხ ფელამბერის გემიდან – თ. შ.) დარჩენილა: საჭმელი ქი აღარ დარჩენილა, თითო ჭაჭვი აუდიენ, რაცხა ქი დარჩენილან (სიმინდი, ლობიო, ინჯისყური, ყურძენი... სულ შინდი თავი), მუყყრიან, მუუხარშავენ; ყველს დუურიგავთ... აშურას თვეში იხარშება, მარა ისეც ვხარშავთ“, – აგვისხნა 59 წლის ბაგინელმა სუდუზ ოზთურქმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 7 აგვისტოს); „...გემში პური ქონდენ, ლობიაე, ყურძენი, ლელვი... ესენი მოკრიფენ, ჩაყარენ ერთ დიდ იმაში და საჭმელი გააკეთენ. იქ სუყველამ ჭამეს ისა, აშურა“, – გვითხრა ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ კირქჰანმანში მცხოვრებმა 70 წლის მახმედ აიდინმა (შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 165); „კაე დღეებში აშურას გავაკეთავთ: ლობიო, მუხუდო, ლელვი, ყურძენი, ზერდა... აადულო'ნა წყალი, შექერი უნდა... ყველას რაცხა შუუტანია და აშურა უქნიათ...“ – ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ სარიტუალო კერძის გენეზისზე ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბორჩხაში (ძველი სახელია ჰამიდიე) მცხოვრებ 70 წლის ქამილ შირინს; არც 46 წლის დევსქელელ იხსან ილმაზთურქს ახსოვს „აშუ-

რას“ ისტორია, იცის მხოლოდ, რომ „აშურას ხარშავენ 10 იანვრის მერე, შვიდ მოსახლეში დავარიგებთ, დავფანტავთ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 2 აგვისტოს); იბრიქელმა ქალბატონმა – 49 წლის ნეზაჰათ დემირელმა კიდევ უფრო დააკონკრეტა აშურას მოხარშვის დრო: „აშურა“ იხარშება ყურბან ბაირამის ათი დღის მერე. ეს ერთი თვე აშურას თვეა. აშურას მოვხარშავთ და სოფელში დავფანტავთ“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 3 აგვისტოს).

საინტერესოა დიდი წარღვნის კლარჯული ლეგენდის ერთი ეპიზოდიც, რომელიც აჭარულ ვარიანტებშიც გვხვდება – ეს არის ხალხის მიერ გემის დაბინძურება. აჭარული ვარიანტების თანახმად, ურწმუნო ხალხმა, რომლებიც არ უჯერებდნენ ნოეს და არ შედიოდნენ გემში, დააბინძურეს იგი, საპირფარეშოდ გამოიყენეს. ასე იქცევა ხალხი (თავისოფლურ) ვარიანტშიც:

„– რა'ნა იქნას ახლა ესენიო? – ნუხ ფეჟლამბერი და ღმერთი ლაპარაკობენ.

– რა'ნა იქნას, გემი ეივსო, ტუალეტი გახდაო! – ნუხმა უთხრა.

– მეგეხმარები, წამალ გიგიჩენო!“ – დაპირდა უფალი.

მართლაც, „ღმერთმა ხორა მიცა. დეინყეს ფხანა. იმის მერე ნევდა გემში, ერთმა კაცმა ნევდა, ფისლიკში ჩავარდა, უმ დეიბანა, ფხანა გათავდა. ხალხ უთხრა:

– მე ასე გავკეთდი ქი!

სუყველა ნევდა, გამოლოკეს, ჩიჩეგსავეთ გახდა გემი“.

გემის ნაბიღვნის ამ ეპიზოდს კარგად იცნობს დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტებიც:

რეზო ანანიძის მიერ ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში ჩანერილი ვარიანტის – „რატომ დაიქცა დუნა“ – თანახმად, ახალაშენებული გემი ნოეს მოწინააღმდეგეებმა საპირფარეშოდ გამოიყენეს და დასვარეს. ნოემ ყველაფერი მოახსენა ღმერთს, რომელმაც დაამშვიდა იგი:

„– მაგას შენ ნუ იღარდებ, ვინც დასვარა, იმას გავანმენდინებო“ (ბსუ ნბიფა, №219: 39).

ასეც მოხდა. აჭარაში დაფიქსირებული ათეულობით ვარიანტი მოგვითხრობს, რომ ურჩი ბრბო ღმერთმა ბლერით დაასწულა.

მკვლევარ აზიზ ახვლედიანის მიერ 1962 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ აჭში ჩანერილი ვარიანტი „ნუხფეჟლამბერი“ (მთქმელი

მეჯიდი ხაჯიშვილი) ვრცლად მოგვითხრობს: „...ნუხ ფელამბერმა დეინყო მზადება. ხალხი წევდა და დეინყეს მისი პარახოტის დაპილწვა. ერთი კაცი, რომელსაც ხორა სჭირდა, ჩავარდა ამ დაპილწულ პარახოტში. ამოვდა, დეიბანა და ქი მუურჩა აი ხორა (ბლერი). ხორა დანარჩენებსაც სჭირდა. გეიგეს აი ამბავი, ამ კაცის მორჩენა; მოსკდა აი ხალხი, წევდა ყველაყა და სწმინდენ პარახოტი და ისვენ ტანზე; მონმინდენ პარახოტი, უმ იყო, იმაზე კაე გააკეთეს“ (ბსუ ნბიფა, საქმე №63: 3-36).

ამრიგად, ზნედაცემული ბრბოს უკადრისი საქციელი კაცობრიული მონაპოვრის გადამრჩენელი გემის მიმართ, რომელიც ნუხ ფელამბერმა (ნოე წინასწარმეტყველმა) ააგო და უფლისეული სასჯელი ფაქტობრივად იდენტურად არის წარმოჩენილი აჭარულსა და კლარჯულ ლეგენდებში, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ეს ეპიზოდი საზრდოობს მუსლიმთა წმინდა წიგნით – „ყურანი“ და აჭარაში გასული საუკუნის 40-50-იანი წლებში და ჩვენ მიერ 2007 წელს კლარჯეთში დაფიქსირებულ ლეგენდათა მთქმელებიც მუსლიმები არიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეპიზოდს არ იცნობს ბიბლია და შესაბამისად – ქრისტიანული აღმსარებლობის სახალხო მთქმელთაგან ჩანერილი ვარიანტებიც.

მაინც რატომ არ უჯერებდა ნუხ ფელამბერს ხალხის ერთი ნაწილი? „ყურანის“ თანახმად, „ერის თავკაცები, გაივლიდნენ თუ არა მის (ნუხის – თ. შ.) სიახლოვეს, დასცინოდნენ („ყურანი“, VI, 40); ამასთანავე, „ეშმაკისაგან შეპყრობილად“ მოიხსენიებდნენ, არ იჯერებდნენ მის წინასწარმეტყველებას და „ნოეს წინააღმდეგ ხერხი მოიგონეს მონონებულ“, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც („ყურანი“, XXIII, 25), ამ „მონონებული ხერხის“ შესახებ „ყურანი“ არაფერს გვაუწყებს, ხალხის ფანტაზიამ კი, ქრისტიანული აპოკრიფების მსგავსად, ეგრეთწოდებული „ჰადისებით“ განავრცო ყურანისეული ფრაზა და, ჩვენი აზრით, სწორედაც ამის შედეგია მუსულმანური აღმსარებლობის მქონე სოციუმში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდაში ჩართული გემის დასვრის ეპიზოდი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კლარჯი ჩვენებურები ნუხ ფელამბერისადმი ხალხის და მისი ცოლისა და შვილის წინააღმდეგობას სარწმუნოებრივ სარჩულს უძებნიან. „ნუხ ფელამბერის ქალი არ გახდა მუსულმანი. მაშინ დიდი ფურთუნაჲ მოხდა და მეიყლარჭა“, – ასაე აგვის-

სნა ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ბორჩხაში (ძველი სახელია ჰამიდიე) მცხოვრებმა 70 წლის ქამილ შირინმა (შიოშვილი, მახარაშვილი, 2014: 165); „ნუხ ფელამბერის ორი ბაღმა მუსლიმანი არ გახდა... წყალი მოვიდა, დუნა დაფარა, მოკტა, თაბი მოკტა!..“, – გვარნმუნებდა გირესუნის პროვინციის გირესუნის ცენტრალური რაიონის სოფელ ამბარალანში მცხოვრები 75 წლის ჰავა ჩელეზოლლუ (ჩაინერა თინა შიოშვილი 2015 წლის 21 ივლისს). როგორც ჩანს, ჩვენი მთქმელები ნუხ ფელამბერის გემში ჩაჯდომას და გადარჩენას გამუსულმანებასთან აკავშირებენ, რაც, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმია, თუმცა ზეპირსიტყვიერ მასალებში ამგვარი ანაქრონიზმები ხშირია.

საყურადღებოა, რომ კლარჯეთში დაფიქსირდა, აგრეთვე, დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტებისათვის დამახასიათებელი ნოეს კიდობნის მშენებელთა ძროხის რძით დამპურებელი მწყემსი დედაბრის ეპიზოდიც. კლარჯეთის სოფელ ბაგინში (ბალჯიქოი) 59 წლის სუნდუზ ოზთურქისაგან 2013 წლის 7 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი დიდი წარღვნის ლეგენდის თანახმად, „ნუხ ფელამბერ ხებერი მოსლია, დუნა წყალმა'ნა მიეცვასო“. დაიწყეს გემის აგება. გემის მშენებლებს ერთი დედაბერი „უნიკვდა ძეს, უძახდა მეგემ, ქი დუნა წყალმა მიეცვას'და მეც გემში ემიყვანეთო, არ მევიყლარჭოვო“. მშენებლები დაპირდნენ, მაგრამ დაავინყდათ. წარღვნამ რომ გადაიარა, „წყალი ქი გაშრა, დედაბერი მონახეს დედაბერმა გაკითხა ქი:

– როის'ნა წემიყვანოთ გემში?

ამათაც უთხრეს:

– ჩვენ შენი თავი დამვიწყდენ; რა იქნა შენი ფური, არ მეიყლარჭაო?

დედაბერმაც უთხრა ქი:

– მე არაფერი გამიგნიაო. ერთ დღეს ფური სველი მოიდა, ფეხები სველი ქონდა, მეტი სხვა რამ არ გამიგნიაო“.

ეს ეპიზოდი აბსოლუტურად იდენტურია აჭარული ვარიანტების ანალოგიური ეპიზოდებისა, რომელთა თანახმადაც კეთილი დედაბერი, რომელიც კიდობნის ოსტატებს უზიდავს ძროხის ნაწველს, რათა გადარჩეს სიცოცხლე დედამინაზე, არქაული ქალღვთაებაა, მისი მენველი ძროხა კი (ზოგ ვარიანტებში – კამეჩი), რომლის რძით

თაც ხდება კაცობრიობის გადამრჩენელი კიდობნი (გემის) მშენებელთა დაპურება, უძველეს ტოტემად გამოიყურება.

მწყემსი დედაბრის ეპიზოდს არ იცნობს საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერება; ამდენად, როგორც აჭარული, ისე კლარჯული დიდი წარღვნის ლეგენდათა ეს პერსონაჟი, რომელიც თავის განუყრელ ძროხასთან ერთად წარღვნას გადაურჩა მისივე მადლის გამო, ღირსახსოვარი არქაული სახეა და ქართული ფოლკლორისტიკისათვის კლარჯული დიდი წარღვნის ლეგენდის მნიშვნელობა ამ პოზიციიდანაც უნდა შევაფასოთ.

საგულისხმოა ისიც, რომ დიდი წარღვნის კლარჯულ (ბაგინურ) ვარიანტებში შემორჩენილია, აგრეთვე, ხსოვნა ნუხ ფეღამბერის (ნოე წინასწარმეტყველის) გემის ყველაზე მსუნავი მობინადრის – თავგისა და კიდობნის გადამრჩენი გველის შესახებ: „თავგმა, მეგემ, გემი გამოჭრა. გემი წყალმა ეილო. ბობოლი იმ დელუქზე გამეენყო, გადაარჩინა გემი“. სამწუხაროდ კლარჯულმა ზეპირსიტყვიერებამ ვერ შემოინახა გველის მიერ გემის გადარჩენის ეპიზოდთან დაკავშირებული ეტიოლოგიურ-ტოტემისტური ლეგენდები, რომლებიც გვხვდება საქართველოს ყველა კუთხის დიდი წარღვნის ლეგენდათა ვარიანტებში.

ამრიგად, ისტორიული კლარჯეთის სოფლებსა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული დიდი წარღვნის ლეგენდები, რომლებიც ძირითადად საზრდოობენ „ყურანით“, პოლითეისტური ნარატივებია; მათი ჩართვა ქართულ ფოლკლორისტიკაში მნიშვნელოვნად გაამდიდრებს და შეავსებს ზოგადქართული ლეგენდის ეპიზოდებს, რადგანაც, დიდი წარღვნის აჭარული ვარიანტების მსგავსად, კლარჯული ვარიანტებიც შეიცავენ საინტერესო ეპიზოდებს და პერსონაჟებს, რომლების ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ დასტურდება და, ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ზოგადქართულსა და მსოფლიოს სხვა ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი დიდი წარღვნის ლეგენდათა ტიპოლოგიური შესწავლისათვის.



## 6. ჰადისური ლეგენდები

ბიბლიურ-აპოკრიფულ სიუჟეტებზე დაფუძნებული ქართული სასულიერო-რელიგიური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთაგან ძველთაგანვე ხალხში ძალზე პოპულარული იყო „აბრამიანი“. ეპიკური ჟანრის ეს მშვენიერი ლეგენდა, რომელიც სათავეს იღებს „ძველი ალთქმიდან“ (დაბ., 15-22) ქართულ ფოლკლორში გვხვდება ლექსითი, პროზაული და შერეული სახით და მოიცავს ორ სიუჟეტურ რკალს: 1. ღვთისმოსავი აბრამისა და მისი მეუღლის – სარას დაჯილდოება უფლის მიერ ვაჟიშვილით და ამ სამსხვერპლო ვაჟიშვილის ჩანაცვლება ცხოველური მსხვერპლით; 2. აბრამის მიერ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის შელახვა; ზოგიერთი ვარიანტი კი ორივე სიუჟეტის კონტამინაციას წარმოადგენს.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ამ ნიმუშის გენეზისს, არქიტექტონიკას, ვარიანტთა თავისებურებებსა და სხვა პრობლემებს საინტერესო გამოკვლევები მიექდვნა ქართულ ფოლკლორისტიკაში (ჩიქოვანი, 1946: 353-355; ცანავა, 1968: 338-340; შიოშვილი, 2011: 226-227).

კლარჯეთშიც, საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, ბუნებრივია, ასევე ხანგრძლივი ისტორია აქვს და ხალხშიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს ლეგენდა ღვთისმოსავ ცოლ-ქმარსა და მათ ვაჟიშვილზე, რომლებმაც „თავიანთი წმინდა გულებით, უფლისადმი ერთგულებით ააცილეს კაცობრიობას ადამიანური მსხვერპლი“ (შიოშვილი, 2004: 232).

საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული მსოფლგაგებით გაჯერებულ ერთიან ქართულ ფოლკლორულ სივრცეს ჩამოცილებული კლარჯი ჩვენებურების სასულიერო-რელიგიური ზეპირსიტყვიერების დამპყრებელი მათივე რელიგია – მუსლიმობა, მათი წმინდა წიგნი გახდა. თუმცა, „ყურანი“ იმეორებს ძველი ალთქმის ლეგენდებს და, ამდენად, ოდესღაც ქრისტიანი კლარჯების ზეპირსიტყვიერ ფანტაზიას ამ თემის მიმართ ბევრი არაფერი უნდა დაჰკლებოდა; თუ ქართულ სასულიერო-რელიგიურ ზეპირსიტყვიერებას, „ბიბლიასთან“ ერთად, ასაზრდოებს აპოკრიფებიც, ჩვენებურთა მეხსიერებაში შემორჩენილ მსგავს სიუჟეტებს აპურებს „ყურანის“ ჰადისე-

ბი, რომლებშიც დამატებით არის მოთხოვნილი სხვადასხვა ამბები ყურანისეულ პერსონაჟებზე. „მორწმუნეთა „დაკვეთამ“, უფრო მეტი სცოდნოდათ თავიანთი წმინდანების თაობაზე, ქრისტიანული აპოკრიფების მსგავსად, გამოიწვია მუსულმანური ჰადისების ფოლკლორიზაცია, რამაც საფუძველი დაუდო მრავალ ლეგენდას“ (შიოშვილი, 2010: 172); ამგვარი ჰადისური ლეგენდის ერთი მეტად მოკლე ნიმუში სახელწოდებით „ყურბანი“ მკვლევარმა ვარდო ჩოხრაძემ 2007 წლის 31 ივლისს ჩაინერა კლარჯეთის სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) 59 წლის რემზიეთ ალითისაგან. ლეგენდა, როგორც აღვნიშნეთ, მოკლე და სქემატურია, დაცლილია ყოველგვარი დრამატიზმისაგან, რასაც მისი ამალელებელი ფაბულა იწვევს, რადგანაც, როგორც ჩანს, მთქმელს აღარ ახსოვს ცალკეული ეპიზოდები; აღარც ის იცის, რომ იმ „ერთ კაცს“ აბრამი ერქვა, არც მის ცოლზე აქვს წარმოდგენა; ძალზე სქემატურად საუბრობს მსხვერპლშენიღვისათვის მზადყოფნის იმ ღირსშესანიშნავ ეპიზოდზე, რომლის უშუალოებისა და გულითადობის გამოისობით უფალმა შეიწყალა აბრამისა და სარას მხოლოდშობილი ვაჟი ისაკი.

ლეგენდა მოგვითხრობს:

ერთ კაცს შვილი არ ყავდა და ღმერთს შესთხოვა:

„– ღმერთო, თუ შვილი მეყოლება, ყურბანად დავკლავო!“

ერთ დღე სიზმარში ნახა, რომ ღმერთი ეუბნება:

„– შენ თქვი, ყურბანი დავკლაო და რატომ არ დაკალი?“

კაცი ტყეში წავიდა შვილის დასაკლავად და ვერ დაკლა. ამ დროს ღმერთიდან ყოჩი ჩამოვდა და ამის შემდეგ ცხვარი გახდა ყურბანი“.

როგორც ჩანს, ბუჯურელი მთქმელის ინტერესის საგანი იყო, აეხსნა, თუ რატომ კლავენ შესანიშნავ პირუტყვს („ყურბანს“) და სიუჟეტის ლოგიკური მსვლელობა აღარ გაიხსენა თუ არც ახსოვდა; არადა, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ ამ დიდებულ სასულიერო ლეგენდაში უდიდესი ზნეობრივი ასპექტებია წარმორჩენილი, რაც პირველ რიგში უფლისადმი მიცემული სიტყვის გაუტეხლობაა. თვით დედაც კი – სარა, რომელიც წუხს, დღედაღამ ტირის და თავ-პირს იკანრავს, რაკი იცის, რომ მისი დედისერთა შვილი სამსხვერპლოზე უნდა დაიწვას, გაგებით ეკიდება უფლისადმი მიცემული პირობის შესრულებას.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შერეული სახის ლეგენდის თანახმად, სარა ეუბნება მეუღლეს:

– ნაიყვანე, რად აყოვნებ,  
ღვთის პირობა არ გატყდება!  
ღვთის წინაშე სამსახური  
არასოდეს წაგიხდება!

(ბსუ ნბიფა, საქმე №242: 13-14)

აჭარელ მუსლიმთა შორის გავრცელებული ლეგენდა „სიდან დარჩა ყურბნად ყოჩის დაკლა“ ერთგვარად ავსებს კლარჯული ვარიანტის ნაკლოვანებას. ლეგენდა, რომელიც მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა ჩაინერა 1976 წელს შუახევის რაიონის სოფელ გეგელიძეებში 86 წლის რიზალ კეკელიძისაგან, მოგვითხრობს: ერთ მდიდარ კაცს შვილი არ ყავდა და, ცოლის რჩევით, მოსამსახურე ქალი ითხოვა, იქნებ მისგან მეყოლოსო, თანაც „ღმერთ შეეხვენა“:

– ღმერთო, ერთი შვილი შემეძინოს და, რაც ყველაზე უფრო მიყვარს, იმას დაგიკლავ ყურბანადო!”

გავიდა დრო და კაცს შეეძინა ვაჟი და, შეპირებისამებრ, მსხვერპლად თავისი საყვარელი ცხენი დაკლა. რომ დაიძინა, სიზმარში ვილაცამ ჩასძახა:

„– ეს არ მიიღება ყურბანადო!”

მეორე დღეს კაცმა ყველაზე საყვარელი ხარი დაკლა, მაგრამ ძილში სიზმრისეული ხმა ისევ ჩაესმა:

„– ესეც არ მიიღებაო!”

რა არ დაკლა კაცმა, „მაგრამ არა და არ იქნა, სიზმარში ვინცხა მაინც ჩასძახოდა:

– ეს არ მიიღება! ვინც ყველაზე უფრო გიყვარს, ის'და დაკლაო!”

კაცი მიხვდა, რომ მისი საყვარელი შვილი იყო დასაკლავი. ბინი ხუთი წლის რომ გახდა, მამამ გაასეირნა. მიმავლებს შეითანმა გადაუჭრა გზა და ბიჭს უთხრა:

– ნუ მიდევ მამაშენს, მაგან უნდა დაგკლას შენო!”

ბიჭმა არ დაუჯერა, ქვა ესროლა და შეითანი დააბრმავა.

ერთ ადგილას მამამ შვილი შეაჩერა და ყელში დანა გამოუსვა, მაგრამ ვერაფერი დააკლო – დანამ არ გაჭრა. კაცმა დანა ქვას და-

არტყა და ქვა გაიჭრა. ამ დროს დაინახა, რომ ციდან ყოჩი ჩამოეშვა და გაიგონა ხმაც:

„– ჰეჰ, კაცო, შენი ყურბანი ყაბულია, ახლა ეს ყოჩი დაკალი შვილის მაგივრათო!

დაკლა კაცმა ციდან ჩამოშვებული ყოჩი და ყურბანათ ყოჩის დაკლა იქიდანაა დარჩენილი“, – დასძენს ლეგენდა.

ვერც აჭარულმა ლეგენდამ შემოინახა პერსონაჟთა ძველი აღთქმისეული სახელები, მაგრამ სიუჟეტურად გამართული ნარატივის ფოლკლორიზაცია სახეზეა.

მართალია „აბრამიანის“ კლარჯული ვარიანტი „ყურბანი“ მოკლე და სქემატურია, არაფერს გვიამბობს ისააკის დაბადება-გაზრდის, მსხვერპლშესანიშნად მზადების, მშობლების განცდებისა და თავად ისააკის სულიერი მზაობის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანია, როგორც კლარჯ ჩვენებურთა ისტორიული მახსოვრობის დამადასტურებელი ნიმუში.

კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ჰადისურ ლეგენდათა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, უკვდავების მძიებელი ლუყმან ექიმის სიუჟეტი. ლუყმან ექიმის სახელს კარგად იცნობს ისლამის აღმსარებელთა მითოსურ-ლეგენდური სამყარო; იგი წინაისლამური არაბეთის ლეგენდარული გმირი და ბრძენია, რომლის სახელსაც ატარებს „ყურანის“ 31 სურა, რომლის თანახმადაც, იგი უკვე მონოთეისტი და ბრძენი მამაა, რომელიც არიგებს ვაჟს, სწამდეს ალაჰის ყოვლისშემძლეობა, არ დაუამხანაგოს ალაჰს არავინ, რადგანაც მრავალმერთიანობა დიდი ცოდვაა; მუღმივად ილოცოს, არ გაამაყდეს, იყოს გულმონყალე.

საყურადღებოა, რომ „ყურანის“ მკვლევარები ლუყმანს (ლუკმანს) ხშირად აიგივებენ ბიბლიურ ბალამთან. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ლუყმანი ითვლება იგავ-არაკების ავტორადაც; მკვლევარ მზია ჩაჩავას გამოკვლევების თანახმად, „სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისაში“ ბევრი იგავ-არაკი, განსაკუთრებით „აქიმის“ თემატიკის საიუჟეტები, რომლებითაც შექებულია ექიმის ყოვლისშემძლეობა, „ლოყმანის“ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა თავად ავტორი არსად მიუთითებს, ერიდება მისი სახელის ხსენებას და ზოგადი სახელწოდებით – „აქიმით“ კმაყოფილდება, იმ დროს, როცა ეყრდნობა და იყენებს მისი სამკურნალო ხელოვნებისა და სიბრძნის ამსახველ აღმოსავლურ გადმოცემებს.

მ. ჩაჩავა ამ ფაქტს რელიგიური ფაქტორით ხსნის: „ლოყმანით“ დასათაურებულია ყურანის 31-ე სურა და მის შეგონებებს შეიცავს. ვფიქრობთ, რომ ს. ს. ორბელიანი, როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი, განზრახ მოერიდა მაჰმადიანთა წმინდა ნიგნის მიერ წინასწარმეტყველად შერაცხილი ლოყმანის ხსენებას“ (ჩაჩავა, 2000: 451).

„ყურანის“ მრავალრიცხოვან კომენტატორთა და ისტორიკოსთა ნაშრომებში მოიპოვება მრავალი ლეგენდა და გადმოცემა ლუყმან ექიმის შესახებ, რაც თავისთავად „მდიდარ მასალას იძლეოდა ხალხური ფანტაზიის გასაშლელად. მართლაც... ლოყმანის შესახებ მრავალფეროვანი სიუჟეტები წარმოიქმნა როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე კავკასიის ფოლკლორში“ (ჩაჩავა, 2000: 451).

ბრძენი ლუყმან ექიმის სახეს კარგად იცნობს ქართული, კერძოდ – აჭარის და საინგილოს ზეპირსიტყვიერება. შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც დასტურდება ხსოვნა ლუყმან ექიმისა და მისი უკვდავების წამლისა, ამ წამლის დაკარგვისა, თუმცა, სამწუხაროდ, უშუალოდ ლეგენდებს ვერ მივაკვლიეთ. 2009 წელს სოფელ უსტამისში 51 წლის ეუბ ალთუნისაგან მონაცოლი უფრო ფრაგმენტული ხსოვნაა ოდესღაც, ალბათ, ვრცელი ლეგენდისა, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა იმ სასწაულებზე, რასაც ბრძენი ექიმი ლუყმანი ახდენდა და, აგრეთვე, უფლისმიერ აკრძალვაზე, რის გამოც ადამიანთა უკვდაობა ლუყმან ექიმისნაირი გამორჩეული პიროვნებების ოდენ განუხორციელებელ ოცნებად დარჩა: „ლუყმან ექიმი ყოფილა, თეელი წამალი მოკდომისა უპოვნია და იშტე ხიდზე გავლიხან გუუფრენია ფურცლები და დიეკარგა ბევრი წამლები“ (ჩაიწერა თინა შიოშვილმა).

კლარჯეთში, სოფელ ბაშქოიში, 63 წლის ჰაირეთთინ ბაშქოისაგან (ფალიაშვილი), ჩვენ მიერ 2007 წლის 1 აგვისტოს ჩაწერილი ლეგენდა „ლუყმან ჰექიმი“ მოკლე ნარატივია, განსხვავებით აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამავე თემატიკის ლეგენდებისაგან, თუმცა, ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებას კარგად შემოუნახავს მუსლიმური სამყაროსთვის კარგად ცნობილი ამ ლეგენდარული პიროვნების უმთავრესი საქმიანობა – სასწაულებრივი ექიმობა, რომლის ძალითაც იგი მკვდრებს აცოცხლებდა, რიც გამოც მას „დიდ კაცად“ მოიხსენიებენ.

უკვდავების მაძიებელი ლუყმან ექიმის შესახებ კლარჯეთში შემორჩენილი ნარატივი მოგვითხრობს:

„ლუყმან ჰეჟიმი ისე დიდი კაცი ყოფილა, ქი ერთი კაცი მომკდარა, წამლები გუკეთებთან; იმ კაცთან მიდის, გავაცოცხლონაო, ამა ღმერთ უქმია ქი:

– მოკდარი კაცი არ’ნა გაცოცხლდეს, მოკდომილი იყოს’ნაო!

ჯებრაილი გუუგზავნია:

– იმ კაც შენ ფრთა მოჰკიდე, წამლები გააყრევენო!

გუუყრევენებია. მოკვდომა არ იყოს, ჩვენ, ინსნები, ერთმანებ შევჭამთ!“

კლარჯული ლეგენდა არ იცნობს ეპიზოდებს, თუ როგორ დაამზადა ლუყმანმა უკვდავების წამალი, ყოველ ნაბიჯზე ხელს როგორ უშლიდა ღმერთი, როგორ ჩაუგდო წყალში მისი ექიმური ჩანაწერების წიგნი, რომელშიც უკვდავების წამლის რეცეპტიც ეწერა და როგორ დაიკარგა ადამიანის მარადიული სიცოცხლის წამლის დამზადების წესი, უფლის მიერ გამოგზავნილმა ანგელოზმა როგორ დაუღვარა უკვე გამზადებული წამალი და სხვა.

ამ ეპიზოდებზე ვრცლად მოგვითხრობენ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლეგენდები: „როგორ გაჩნდა ექიმობა“ (ს-დას. საქ. ზეპ., 1990: 98-100), „ეჯილლი ხემნიფის გოგო“ (ბსუ ნბიფა, საქმე №207: 22-26), „რუსთამი და ლუყმანი“ (ს-დას. საქ. ზეპ., 1990: 100-101) და მრავალი სხვა, რომლებითაც ბრძენი ექიმი ლუყმანი, შუამდინარული მითოსის „გილგამეშინის“ მთავარი გმირის – გილგამეშის მსგავსად, ეძიებს უკვდავებას, მაგრამ ამაოდ... ზოგი ლეგენდის თანახმად, მან დაამზადა კიდეც უკვდავების წამალი; კლარჯული ლეგენდაც ამასვე მიუთითებს: იგი მიემართება მიცვალებულთან, რათა გავაცოცხლოს, მაგრამ სამყაროს შემოქმედისაგან ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული წესი ადამიანის მოკვდაობისა დაურღვეველია და ვერც სიბრძნით შემკული ლუყმანი ექიმი აღუდგა წინ ბედისწერას.

როგორც კლარჯული ლუყმან ექიმის ციკლის ლეგენდა, ისე მრვალრიცხოვანი აჭარული ვარიანტების უმეტესობა მთავრდება ერთგვარი „ლოგიკური“ დასკვნით, რომელიც ადამიანის სიცოცხლის სასრულობას ამართლებს: „– მოკვდომა არ იყოს, ჩვენ, ინსნები, ერთმანებ შევჭამთ!“ – ამ სიტყვებით დააბოლოვა კლარჯული ლეგენდა მთქმელმა; „– ის ბალახი, ის წამალი ლუყმანს რომ მოენახა, ხალხი არ დაეტეოდა დედამინაზე. ამიტომ არ შეიძლება იმ წამლის მონახვა. გამჩენმა იმიტომ არავის ნება არ მიცა, რომ

სიკვდილის წამალი ენახა“ (ბსუ ნბიფა, საქმე №217: 57), „სიკტი-ლი წამლის შოვნა არ შეიძლება, კაცი თუ არ მოკტა, ვერ დაეტევა ქვეყანაზე... ადამიანი რომ არ მოკტეს, ჰანა წევდეს!“ (ბსუ ნბიფა, საქმე №170: 91) – გვაუწყებს აჭარული ლეგენდის სიბრძნე. არსებობდა იდენტურია შუამდინარული მითოსური მსოფლმხედველობაც: ზღვარს გადაცილებული ადამიანთა სიმრავლე მათ ქაოტურ მასად აქცევს, რასაც მოსდევს ამბოხი თავის მრძანებლის მიმართ (კიკნაძე, 1979: 275); ამგვარია ბიბლიური სწავლებაც (დაბ., 6, 1-7). კლარჯული ლეგენდაც ლუყმან ექიმზე, როგორც უკვდავების საძიებელზე, ამავე კონტექსტში მოიაზრება.

ჰადისური გენეზისის ლეგენდებიდან კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარულია მუსლიმთა ერთ-ერთი წმინდანის – მუჰამედ წინასწარმეტყველის ბიძაშვილისა და მისივე ქალიშვილის – ფატიმას მეუღლის – წმინდა (ჰეზრეთი // ჰაზრეთი“) ალის თემატიკის პროზაული ნარატივები.

ალი იბნ აბი ტალიბი, იგივე წმინდა ალი, რომელიც მეოთხე და უკანასკნელი მართლმორწმუნე ხალიფა იყო, მუხამედის ყველა ლაშქრობაში მონაწილეობდა. იგი ძალზე ღვთისმოსავი ყოფილა. მის სახელს უკავშირდება მუსლიმთა გათიშვა შიიტებად („ალის პარტიად“, ანუ ალის მომხრეებად) და სუნიტებად, ანუ ალის მოწინააღმდეგეებად (ისლ., 1999: 229).

წმინდა ალის, როგორც მამაცი მეომრისა და თავდადებული იმამის, სახელი ცნობილი იყო ფეოდალურ საქართველოშიც; იგი ფიგურირებს საქართველოში მოჭრილ XIV საუკუნის მონღოლურსა და XVII-XVIII საუკუნეების (1765-1766 წლამდე) ირანულ და ირანული ყაიდის საფასეზე; საყურადღებოა, რომ ჯალალ-ად-დინის ბიოგრაფი ალ-ნასავი შალვა ახალციხელს მიაწერს სიტყვებს: „წმინდა, ჩემ დროში ეცხოვრა მართლმორწმუნე ამირას – ალის. მე ვუჩვენებდი იმას მკლავის ძალას“. წმინდა ალის გმირად და ძლევამოსილად მოიხსენიებს ბაგრატ ბატონიშვილი თავის ანტიმუსლიმურ თხზულებაში „მოთხრობა სჯულთა უღთოთა თათრისათა“; ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, მუჰამედმა დატოვა ანდერძი, რათა მის მოადგილედ დანიშნულიყო მისი სიძე ალი, თუმცა ეს ანდერძი არ შეუსრულდა, რამაც მუსლიმთა (სპარსთა და თურქთა) შორის შფოთი გამოიწვია; „დავით და კონსტანტინეს წამების“ მიხედვით, ალი მუხამედ წინა-



სწარმეტყველის „გულითადი მონაფეა“, რომელმაც დაწერა ყურანი; ბაგრატ ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მუჰამედმა კითხვა არ იცოდა და ყურანი ალის და ოსმანს ჩააწერინა (ისლ., 1999: 22).

ქართველ მუსლიმთა რწმენა-წარმოდგენებით, ბუნებრივია, წმინდა ალის ავტორიტეტი განუსაზღვრელია. იგი ძლიერი, სწორუპოვარი მეომარი და ბრძენკაცია; მას საარაკო ხმალი უჭყრია ხელთ და მისი მომრევი დედამინის ზურგზე არავინ არის. ამგვარია აჭარელ მუსლიმთა რწმენა-წარმოდგენები და მათზე აგებული ფოლკლორული ნარატივები ჰეზრეთი ალიზე (შოიშვილი, 2010: 172-199) და კიდევ უფრო შთამბეჭდავია მისი პორტრეტი კლარჯთა ზეპირსიტყვიერებაში.

მემედ-ალი ქესქინის მიერ 2013 წელს სოფელ ბერთაში სულეიმან ილდირიმისაგან ჩაწერილი ჰადისური ლეგენდა მოგვითხრობს: ფორთის ზიარეთის უკან არსებულ მუხნარ ტყეში გველეშაპი (გველი) ბუდობდა. „ამ დიდი გველის შიშით სოფლელები ვერ ადიოდნენ ამ „მუხას ტყეში“. დიდი ფიქრის შემდეგ ხალხმა წმინდა ალის სთხოვა დახმარება. წმინდა ალი ჩამოვიდა მეომარ მეგობრებთან ერთად ბერთაში და იმ ადგილას დაბანაკდა, სადაც ახლა ზიარეთია. ალიმ სოფლელებისაგან გაიგო გველეშაპის ადგილსამყოფელი, თანამებრძოლები ადგილზე დატოვა და გაეშურა გველეშაპის მღვიმისაკენ. გველეშაპი გაიქცა, წმინდა ალიმ ფორთის პლატომდე სდია, შემდეგ კი ქვა ესოლა, მაგრამ ვერ მოარტყა. გველეშაპი გარბოდა და ქესიქის გორას („ქესიქ თეფეს“) რომ მიაღწია, წმინდა ალიმ ხმალი გასტყორცნა და გველეშაპიცა და ქესიქის გორაც შუაზე გაჭრა. „იმის შემდეგ ამ ადგილის სახელი დარჩა ქესიქ თეფე“, – დასძენს ლეგენდა.

ბერთული ლეგენდა წმინდა ალის წარმოგვიდგენს უშიშარ მეომრად, ხოლო მის ხმალს – საარაკო, ჯადოსნურ იარაღად; წმინდა ალი დემონური ძალისაგან ათავისუფლებს სოფელს – კლავს გველეშაპს. ამგვარად წარმოჩინდება წმინდა ალი აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც: ორივეგან იგი ვეშაპთმებრძოლი გმირია, რომლის გენეზისიც მითოსურ ეპოსშია საძიებელი.

ბერთული ლეგენდის ვარიანტი – „გველეშაპი“ – 2012 წელს ჩაიწერა მემედ-ალი ქესქინმა სოფელ ფორთაში ილიას ოქურისაგან. ფორთული ლეგენდის თანახმად, გევერნიკში დებუდებული გველეშაპი ყოველდღიურად ჩამოდოდა სოფელში, ეკლესიის მრევლიდან ერთი ახალგაზრდა მიჰყავდა და ჭამდა.



გვეერნიკში ჩავიდა წმინდა ალი. ხალხმა გველეშაპის ამბავი მო-  
ახსენა და ადგილსამყოფელიც მიანიშნა – გველეშაპის ბუდე ნაკე-  
რვის ტყეშიაო.

წმინდა ალი ცხენზე ამხედრდა და ნაკერევისაკენ გასწია. გვე-  
ლეშაპმა წმინდა ალი რომ დაინახა, გაქცევა სცადა, ალიმ კი ხმალი  
ესროლა და გველეშაპიცა და იმ ადგილას მდებარე მთის მწვერვა-  
ლიც გადაჭრა.

ორივე კლარჯული ლეგენდა (ბერთულიც და ფორთულიც) წმი-  
ნდა ალის საარაკო ძალის პატრონად, უძლეველ მეომრად, მის ხმა-  
ლს კი წარმოგვიდგენს ჯადოსნურ იარაღად, რომელიც არა მარტო  
ვეებერთელა გველეშაპს, არამედ მთასაც კი შუაზე აპობს.

კლარჯულ ლეგენდათა კულტუროლოგიური გმირის – წმინდა  
ალის მახვილის (ხმლის) ჯადოსნურობას იცნობს აჭარის ზეპირსი-  
ტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ჰადისური ლეგენდებიც;  
აჭარელ მუსლიმთა რწმენით, „უფლის მხედარ ალის ფალავნური  
ღირსებების ერთ-ერთი თანამდევნი ატრიბუტია მისი ჯადოსნური  
ხმალი, რომელიც, ხალხის რწმენით, ღმერთმა აჩუქა. მას ხშირად  
„ლეკურის“ სახელითაც მოიხსენიებენ: „მისი ლეკური იმფერი იყო,  
უნდოდა, კიბეში ჩაიდებდა, რასაც ეტყოდა, იმას ასრულებდა, ღმე-  
რთიდან ქონდა მიცემული“ (ბსუ ნბიფა, საქმე №69: 14); ხალხს  
სჯერა, რომ ჰეზრეთი ალის „ქონდა ხმალი, რომლითაც სერიდან  
სერზე გადადიოდა მოქნევის დროს“ (ბსუ ნბიფა, საქმე №24: 11).  
ერთი აჭარული ლეგენდის თანახმად, „ჰეზრეთი ალის ეს დედამინა  
ყილიჯით მუუგია“ (ბსუ ნბიფა, საქმე №43: 13).

ჰეზრეთი ალის ციკლის აჭარული ჰადისური ლეგენდები ძირი-  
თადად საგმირო-საფალავნო მოტივთა შემცველია (ჯადოსნური  
რაში, ხმალი, საარაკო ხმა და ძალ-ღონე); ფაქტობრივად ამგვა-  
რივეა კლარჯული ჰადისებიც. ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ,  
როგორც აჭარულ, ისე კლარჯულ ლეგენდებს გენეტიკური კავში-  
რი აქვს მუსლიმთა წმინდა წიგნთან – ყურანთან, რომელშიც ალი  
იბნ აბი ტალიბი მოიხსენიება მამაც და სახელმძღვანელო მეომრად.  
მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ როგორც აჭარელთა, ისე  
კლარჯთა თავდაპირველ რწმენა-წარმოდგენებს (რაც უკვალოდ  
არასოდეს იკარგება) აპურებდა მათი ძველი რჯულის – ქრისტი-  
ანობისდროინდელი მსოფლმხედველობა, რასაც, ბუნებრივია,  
აჭარაში თურქთა გაბატონების შემდეგ, ხოლო კლარჯეთში თურ-

ქთა მმართველობის შედეგად დაემატა ყურანისეული ჰადისებიც. ტრადიციულად კი, ჩვენი ღრმა რწმენით, ვეშაპთმებრძოლი კულტუროლოგიური გმირის სახე გაცილებით უფრო ხანიერია, ვიდრე ქრისტიანული თუ მუსლიმური რწმენა-წარმოდგენები; ამგვარ გმირებს იცნობს მსოფლიოს მრავალი უძველესი ხალხების ეპოსი და მათ შორის – ქართული ფოლკლორულ-მითოლოგიური შემოქმედება. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ჰეზრეთი ალის ციკლის ლეგენდათა სიუჟეტურ სტრუქტურაზე უდიდესი გავლენა მოეხდინა როგორც ზოგადქართულ მითოსურ, ისე ზღაპრულ მოტივებს, საგმირო-საფალავნო ეპოსს, ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელ ციკლიზაცია-კონტამინაციის მოვლენებს, რამაც განაპირობა რელიგიურ-კანონიკური ჩარჩოების დარღვევა და ისტორიულ-რელიგიური პერსონაჟის, მუსლიმთა უდიდესი წმინდანის – ალი იბნ აბი ტალიბის ტრანსფორმირება ტიპურ კულტუროლოგიურ გმირად, რომლის პორტრეტსაც „ავსებს ტრადიციული, ქრისტიანულსა თუ წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზე დაფუძნებული ცალკეული ფოლკლორული სიუჟეტები, ატრიბუტიკა, პერსონაჟები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ტრადიციული ქართული ფოლკლორის ერთგული და მისი უზადო მატარებელი ჩვენი სახალხო მთქმელებისათვის უცხოა ყოველგვარი კანონიკურობა; რომ რელიგიური სიუჟეტებისა და ცალკეული ეპიზოდების თხრობისას მათ „მშობელ მინაში უდგათ ფესვები, ეროვნული ზეპირსიტყვიერების უხვი და მდიდარი წიალიდან ჭვრეტენ პრობლემათა არსს“ (შოიშვილი, 2010: 199).

## 7. ლეგენდა მონანიე კაცისმკვლელზე

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ ლეგენდებს შორის ძალზე საინტერესოა ლეგენდა კაცის მკვლელზე, რომელმაც გადაწყვიტა, ცოდვები მოენანიებია. 2014 წლის 15 ივლისს ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფელ ყარაფინარში 80 წლის რუყიე ილდირიმისაგან, რომლის წინაპრებიც გადმოსახლებულან კლარჯეთიდან, სოფელ ქლასკურიდან, ჩვენ მიერ ჩანერილი ლეგენდა მოგვითხრობს: ერთ კაცს 99 კაცი მოუკლავს და ბოლოს

გადაუწყვეტია, მოენანიებინა და გამვლელ-გამომვლელისთვის საზამთრო ეჭმია. გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ქორწილში მიეჩქარებოდა, რათა გოგო-ბიჭის საქმე ჩაეშალა. მონანიემ დაუძახა:

„— ჰად მიხვალ, დადექი, ყარფუზი ჭამეო!“

მგზავრმა არ დაუჯერა, უთხრა:

„— მე ჩემი აჯელი მაქ, გოგო-ბიჭი'ნა მოვშალოვო!“

მონანიე კაცმა ურჩ მგზავრს თოფი ესროლა, მოკლა და თქვა:

„— ახლა ასი მოვკალო!“

შემდეგ აიღო საროს ჯოხი, მიწაში უკულმა ჩარგო – ფესვები ზემოთ მოაქცია და თქვა, თუ გაიხარა, ცოდვილი არ ვიქნებო. მართლაც, საროს ჯოხმა გაიხარა („გეიგნო“) და კაციც დარწმუნდა, რომ ცოდვები მიეტევა.

კლარჯული ლეგენდა არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, თუ რატომ გაიხარა უკულმა ჩარგულმა ტოტმა, რატომ მიეტევა ცოდვა 100 კაცის მომკვლელს.. ამ კითხვაზე პასუხს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ვარიანტი იძლევა და ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც მონანიე კაცისმკვლელის ლეგენდის ორივე ვარიანტი ერთი და იმევე ფოლკლორული სივრცის ნაყოფია და უკავშირდება სიკეთე-ბოროტების ოდინდელ პრობლემას.

აჭარული ლეგენდა „ყველაზე დიდი ცოდვა“ (ბსუ ნბიფა, საქმე №242: 47-50) მოგვითხრობს: ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მკვლელმა, ხანში რომ შევიდა, გადანყვიტა, ცოდვები მოენანიებინა; მივიდა ბრძენთან და რჩევა ჰკითხა. ბრძენმა ურჩია, ოჯახთან ერთად დასახლებულიყო „ოთხ წვერ გზაზე“ (გზაჯვარედინზე) და გამვლელ-გამომვლელს გამასპინძლებოდა, უჭმელი არავინ გაეშვა. თან ერთი ფიჩხი გაატანა, რათა სახლის წინ დაერგო და, როცა ის განედღებოდა და აყვავდებოდა, ცოდვებიც მიეტევებოდა.

მკვლელი ეჭვით შეხვდა ამ რჩევას, მაგრამ მაინც ისე მოიქცა, როგორც ბრძენმა დაარია. გავიდა წლები, მიწაში ჩარგული ფიჩხი არ ნედღებოდა. ერთ დღესაც გამოჩნდა მხედარი, რომელიც ცხენს მოაქროლებდა. მან არ შეისმინა მონანიე მკვლელის თხოვნა, ჩამოსულიყო ცხენიდან და პურ-მარილი მიეღო. ცოდვიანი გაბრაზდა, სულ გადაავიწყდა, რისთვისაც იდგა გზაჯვარედინზე, გაიფიქრა, „სადაც ის ოთხმოცდაცხრამეტი, იქაც მეასეო“ და მხედარი მოკლა. როცა დამშვიდდა, მიხვდა, რაც ჩაიდინა; სასონარკვეთილი, ისევ ბრძენთან გაიქცა და ყველაფერი უამბო. ბრძენმა დაამშვიდა და უთხრა:

„– ის ცხენოსანი ბოროტი კაცი იყო. მას ქალ-ვაჟის შეუღლების ამბავი გაეგო და მათი საქმის ჩასაფუშავად მიეჩქარებოდა. შენ მისი მოკვლით ისეთი კეთილი საქმე გააკეთე, რომ მთელი ცოდვები გეპატივა და ფიჩხიც აყვავდაო“.

მართლაც, გზავჯარედინზე დაბრუნებულმა ცოდვილმა ნახა, რომ ხმელი ხე განედლებულიყო და აყვავებულიყო კიდეც.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ლეგენდის უმეტეს ვარიანტში ცოდვილი მიდის წინასწარმეტველთან („ფეჟლამბერთან“) და მისი რჩევით მოქმედებს. კლარჯული ვარიანტის თანახმად კი ცოდვილი კაცი თვითონ წყვეტს, თუ როგორ მოინანიოს ცოდვები, თავად რგავს საროს ფესვებით ზემოთ და ნახავს, რომ გაიხარა. აქ არც ბრძენი და არც წინასწარმეტყველი ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ სიუჟეტური ქარგა ერთნაირია, ოღონდაც კლარჯული ვარიანტი კინინა და, ამავე დროს, თურქიზმებითაც სავსე, რაც მოსალოდნელიც იყო; მიუხედავად ამისა, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დარჩენილი ლეგენდა მონანიე კაცისმკვლელზე მაინც ღირებულია ქართული ფოლკლორისტიკისათვის, როგორც სიკეთე-ბოროტების პრობლემაზე ჩვენებურთა მსოფლგაგების ერთ-ერთი გამოხატულება, როგორც კიდეც ერთი გამობრწყინება რუსთველისეული სიბრძნისა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (რუსთაველი, 1986: 173) და ხალხური პარემიისა: „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“ (სახოკია, 2012: 207).

## 8. ლეგენდები ზიარეთზე

კლარჯეთში, შავშეთისა და აჭარის მსგავსად, ფიქსირდება რწმენა-წარმოდგენები ეგრეთწოდებული ზიარეთის, ანუ წმინდა ადგილის, შესახებ, სადაც მიდიოდნენ მორწმუნე მუსულმანები, ლოცულობდნენ, შემდეგ იძინებდნენ და სიზმარში ნახულობდნენ რჩევას თავიანთი გასაჭირის შესახებ. ზიარეთად მიჩნეული წმინდა ადგილი ხშირად წმინდანის საფლავია.

ზიარეთის შესახებ საინტერესო მასალა მოიპოვა ნიკო მარმა იმერხევში, სოფელ თეთრაქედში, რომელიც იმ დროისათვის ახალი დასახლება იყო. თეთრაქედელები, მარის თქმით, ყველანი ქართვე-

ლი მუსულმანები იყვნენ. სწორედ მათგან ჩაიწერა მან ზიარეთის შესახებ ხალხში არსებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. მარის ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, იმერხეველები ძველად აჭარაში, კერძოდ მერისის ხეობაში, მდებარე ზიარეთშიც დადიოდნენ. ნ. მარი ვრცლად მოგვითხრობს ფორთის ზიარეთის შესახებ, გვაცნობს რიტუალს, რომელსაც მომლოცველები ასრულებენ (მარი, 1911: 78, 80).

ზიარეთში წასვლის ტრადიციაზე, ნ. მარისეულ მასალებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ექვთიმე თაყაიშვილიც ნაშრომში „სამუსულმანო საქართველო“:

„სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ისეთი ადგილებაა, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია ან ყოფილი საფვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა დგილებიდან, ნამეტნავად – ქალები, მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს. თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამით, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ: ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი; და, რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, უთქვამთ: მარიამი შეენია, თორემ ეს შეუძლებელი იყო...“ (თაყაიშვილი, 1991: 220).

ზიარეთში წასვლა და დაძინება იცოდნენ მესხებმაც (ბერიძე, 2011: 134) და აჭარლებმაც (ნბიფა, საქმე №70: 186-190; შიოშვილი, 2011: 149).

ზიარეთობის ტრადიცია ვრცლად განიხილა მკვლევარმა მალხაზ ჩოხარაძემ ნაშრომში „ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები“ (ჩოხარაძე, 2015: 115-119); სათანდო მასალათა საფუძველზე იგი მიუთითებს, რომ ზიარეთში წასვლის ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც შემორჩა, თუმცა საგრძნობლად გაღარიბებული და გაფერმკრთალებულია, მოიშალა სანთლების დანთება, გაქრობის პირასაა მსხვერპლის შეწირვის წესი და სხვა (ჩოხარაძე, 2015: 117)

ზიარეთობაზე საინტერესო მასალა მოიპოვა, აგრეთვე, ბსუ ყოფილმა დოქტორანტმა, ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა მეჰმედ-ალი ქესქინმა, რომელიც წარმოშობით იმერხეველია

და ცხოვრობს ართვინში. საყურადღებოა, რომ ზიარეთად წოდებულ ადგილას შეიძლება მრავალი საფლავი იყოს, მაგრამ მხოლოდ ერთს თვლიდნენ წმინდად. მეჰმედ-ალი ქესქინის ცნობით, ასეთია სოფელ იფხრეულის ზიარეთიც.

კლარჯეთში ბოლო დრომდე სჯერათ, რომ ზიარეთის მოლოცვითა და იქ ძილში მიღებული რჩევებით აუცილებლად მოიშორებენ გასაჭირს. სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 59 წლის რემზიეთ ალითისაგან ჩანერილი ცნობით, მათი სოფლის ზიარეთი გოლბაშის მთაზეა, სადაც მიდიოდნენ გასათხოვარი გოგონები და სიზმარში საბედოს ნახულობდნენ: „ხალხი ნევდოდენ, დეიძინებდენ, სიზმრებ დეინახავდენ, გასათხოვარი გოგვები (აშლლარები) და თავიანთ საბედოს დეინახავდენ“.

იმავე ინფორმატორის თქმით, „ქართლას ზეგანშიც არის ზიარეთი. იქაც დეიძინებენ უშვილო ქალები, გასათხოვარი გოგვები და სიზმრებს ნახავდენ, თავიანთ საბედოებს დეინახავდენ“.

კლარჯ ჩვენებურთა შორის გავრცელებული თქმულებანი ზიარეთზე ძირითადად ცნობილია „გოგო მეზერის“ სახელწოდებით. სოფელ ჯივანში (ჯვანი) 2007 წელს ჩვენ მიერ სეიფეთინ გორმეზისაგან ჩანერილი ცნობის თანახმად, კარჩხალის მთის აქეთა მთაზე გოგოსა და ბიჭის საფლავები ყოფილა. „იქ, ქალი, კაცი ნევდოდენ, სიზმარი ნახულობდენ; ბავშვი რომ არ ყავთ, ავათ რომაა, ყისმეთი ნახულობდენ. ძველებმა ასე იტყოდენ, იმ ადგილ „გოგო-მეზერი“ ერქვა. ძველებმა იძახიან, ევლიები იყვენო“.

ქლასკურელი ისა კარას (თაფლიძე) ცნობითაც, „გოგო მეზერი“ მთის სახელია, სადაც მიდიოდნენ გაჭირვებულები, ავადმყოფები დაიძინებდნენ და სიზმარში იგებდნენ წამალს: „გოგო მიზერი თის სახელია, დიდი თაა, ყარაგოლი გეიარო, იქ არი. იქ დეიძინებდენ, სიზმარში ნახავდენ, რაცხა დერდი აქვან. იმან იტყოდა სიზმარში ილაჯ...“ მთქმელის რწმენით, „გოგო მეზერზე“, ანუ იგივე ზიარეთში, წასვლა ყველა დარდის მშველელია: „გოგო მეზერზე წასლა თელი დერდზე დერმანიაო, იტყოდენ“.

სოფელ ისკებში 2007 წელს 50 წლის სევიმ მულაზიმოღლისაგან (ფუტკარაძე) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, სოფელ ისკების თავში მდებარე თეთრობის მთაზე „ზორ უწინ“ დაუმარხავთ გოგო. „...იქ ზიარეთია და დერდი გექნება, წეხვალ, დეიძინებ, სიზმარ ნახავ და გაკეთდები“.

კლარჯელთა რწმენის თანახმად, ზიარეთში დაძინებულს თუ ცხენი დაესიზმრება, სურვილი აუცილებლად შეუსრულდება; თუ ხარი დაესიზმრება, სახელმწიფოსთან საქმე კარგად წაუვა; თუ სიზმარში „სარჩელის ფორმიანი“ ადამიანი ნახა, სურვილი აუცილებლად აუხდება; თუ ძაღლი დაესიზმრება, სურვილი არ აუხდება (მთქმელი მეჰმეთ ოზქანი, მცხოვრები სოფელ ბერთაში. ჩაინერა მეჰმედ-ალი ქესქინმა 2013 წელს სოფელ ბერთაში).

ძალზე საინტერესოა ფორთას ზიარეთის გენეზისის თაობაზე ხალხში შემორჩენილი ლეგენდა, რომელიც მუსლიმთა ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის – წმინდა ალის და თამარა დედოფლის სახელებს უკავშირდება: წმინდა ალი და მისი მეომრები ჩამოსულან ფორთაში. ალის თანამებრძოლები აქ დაუტოვების და თვითონ „ნადის თამართან. იქ თამარასთან ზოგიერთი რამეზე შესახებ შეთანხმდებიან“. ფორთაში მობრუნებულ წმინდა ალის თანამებრძოლები დახოცილი დახვდა. ფორთელებს უთქვამთ, სომხებმა და ებრაელებმა დახოცესო. წმინდა ალის მიცვალებულები აქვე, სოფლის უკან მდებარე ტყეში, დაუმარხავს. „იმის შემდეგ ამ ადგილის სახელი ზიარეთია“, – დასძენს ლეგენდა (მთქმელი ილიას ოქური. ჩაინერა მუჰამედ-ალი ქესქინმა 2012 წელს სოფელ ფორთაში).

„გოგო მეზერის“, ანუ ზიარეთის, სასწაულებრივ შემწეობაზე გვესაუბრებოდნენ 75 წლის ჯივანელი ქალბატონი აიშე ჰელიმოლი, 78 წლის ქლასკურელი ქალბატონი მიერიე ქესუმი და სხვა კლარჯი ჩვენებურები, რომლებსაც ღრმად სჯეროდათ, რომ მთაზე არსებულ წმინდა საფლავებზე ლოცვისა და დაძინების შემდეგ მათ გასაჭირს (ავადმყოფობა, უშვილობა, გაუთხოვრობა, უამინდობა) აუცილებლად ეშველებოდა.

## 9. ლეგენდები თამარ დედოფალზე

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირძველი რეგიონის – კლარჯეთის, საისტორიო ზეპირსიტყვიერება, შავშეთის მსგავსად, შედარებით მწირია, თუმცა აქაურთა ისტორიულ მეხსიერებას, შავშელების მსგავსად (შიოშვილი, 2011: 210-211), შემორჩენია მხოლოდ თამარ მეფის სახელი. სოფელ გურბინში მცხოვრები



63 წლის ახმედ პავლიაშვილი დიდი ენთუზიაზმით უყვებოდა პროფესორ რამაზ ხალვაშს ბავშვობისდროინდელ სწრაფვაზე, დაენახა თამარ დედოფალი: „– დილაჲ რომ ავდგებოდით, დედა მეტყოდა, თამარა დოდოფალი დაგანახოო. შოვალ თეფეს რომ შევხედავდი, ორი ქვა იყო: ერთი მაღალი, ერთი დაბალი. დაბალი – თამარა დედოფალი, მაღალი – მისი ქმარი“. ზრდასრული ახმედი სანადიროდ რომ ნასულა შოვალის მთაზე, უკვე ახლოდან უნახავს ეს ყოველივე: „...მემრე, შველობაზე რომ წაველთ, ქვები ვნახე: დახაზული მხრები, გულ-მკერდი, ჩაცმული ლამაზი, თვალი, შუბლი – ნელზეით“. როგრც ჩანს, მეგალითური კულტურის ძეგლი, თავისი ვიზუალობის გამო, კლარჯ ჩვენებურებს თამარ მეფედ აღუქვამთ, ამ დიდებული მეფისადმი იმავე ტრადიციული სიყვარულისა და პატივისცემის გამო, რაც მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ-დასავლეთში შემორჩა, რისთვისაც ყველა ისტორიულ ნაგებობას აჭარლები, შავშები და კლარჯები თამარის სახელს უკავშირებენ.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის მოამაგე სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი წერილში „მაჰმადიანთ საქართველოდამ“ წერს: „როგორც მაჰმადიანთა საქართველოს სხვა ნაწილებში, ისე ართვინისა და არდანუჯის მაზრების მაჰმადიანებს ახსოვთ უკდავი სახელი თამარ დედოფლისა. იმის სხვა მხნეობისა და მამაცობის გარდა, ესენი ამბობენ, თამარ მეფეს იმისთანა მცენარე ჰქონიაო, რომ „რკინას ოქროთ აქცევდაო“ (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008: 170). ხალხის ამგვარ რწმენა-წარმოდგენას ავტორი ზღაპარს უწოდებს და ფიქრობს, რომ ეს ჯადოსნური მცენარე უსათუოდ იქაური მადნებია; ამგვარი დასკვნის საფუძველს კი არტანუჯის მახლობლად აღმოჩენილი მადნეულის სადნობი ბუხრების აღმოჩენა აძლევს. ბუნებრივია, კლარჯეთის წიაღისეული სიმდიდრე, ალბათ, ბევრად განაპირობებდა ძველი საქართველოს სიძლიერესა და სიმდიდრეს, მაგრამ ჩვენი აზრით, ხალხის ამგვარ ფანტაზიას უნდა კვებავდეს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი თამარის ციკლის არქაული მითოსური თქმულება, რომლის თანახმადაც თამარ მეფემ (რომლის სახეშიც არქაული მკურნალობის ღვთაების ფუნქციებიც არის შერწყმული) ფრთამოტეხილ წეროს უმკურნალა, წერომ კი, მადლიერების ნიშნად, ნისკარტით



ყვითელი და თეთრი ნაფოტები მიუტანა; თეთრ ნაფოტს რძეში რომ ჩადებდა, რძე ვერცხლად იქცეოდა, ყვითელი ნაფოტით კი – ოქროდ (ქ. ნ. ს. ს., 1961: 88-89).

კლარჯ ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებას ბოლო დრომდე შემორჩა ეკლესიათა მშენებლობისადმი მიძღვნილი „თამარ დოდოფლის“ ციკლის ხალხური ლეგენდები და თქმულება-გადმოცემები, რომლებითაც, ზოგადქართულის მსგავსად, თამარ მეფე თავისი ხალხის მზრუნველად, სწორუპოვარ აღმშენებლად წარმოგვიდგება. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ფორთის ეკლესიის მშენებლობას უკავშირდება, ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილი ოსტატ-შეგირდის სიუჟეტის ანალოგიურია (შიოშვილი, 2014: 20-25); თუმცა, სამწუხაროდ, კონტამინაცია-ციკლიზაციის წესით, რაც ფოლკლორული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია, ოსტატ-შეგირდის მეტოქეობის მოტივი მითოსურ მოტივთან – ადამიანის ქვად გადაქცევასთან არის შერწყმული. ლეგენდა მოგვითხრობს სოფელ ფორთას ასასვლელთან, ღელის პირას, მთის სამხრეთ ფერდობთან მდებარე ადამიანის აღნაგობის მსგავსი დიდი ქვის გენეზისის ამბავს: თამარ მეფეს ამ ადგილას (ფორთაში – თ. შ.) ეკლესიის აშენება დაუნდია; მშენებლობისათვის საჭირო ქვები სამი მდინარის ნაპირას დაუმზადებიათ და მიუტანიათ. გამოზიდვის დროს ზოგიერთი ქვა მოიპარეს და დამალეს. ოსტატი მშენებლობას ასრულებდა, როცა შეიტყო, რომ ქვები აკლდებოდა; ძალიან გაბრაზდა, მუშებს წაეჩხუბა და ქვების მოსაძებნად გაგზავნა. დამალულ ქვასთან მისული მუშები გველეშაპს გადაეყარნენ. ამ დროს თამარამ მუშებს საჭმელი მიუტანა, გველეშაპი რომ დაინახა, ძალიან შეშინდა და ღმერთს სთხოვა, ქვად ექცია. ასეც მოხდა. სოფლის მისასვლელთან არსებული ქვა, ხალხის რწმენით, „თამარა არის“, რომელსაც ხელში ორმეტრიანი მრგვალი თევში უჭირავს (მთქმელი ილიას ოქური. ჩაინერა მეჭმედ-ალი ქესქინმა 2013 წელს სოფელ ფორთაში).

როგორც აღვნიშნეთ, ლეგენდაში კონტამინირებულია მითოსური მოტივის შემცველი ეპიზოდი; ხალხის მახსოვრობას ბოლო დრომდე ველარ შემოუნახავს ჭკვიანი შეგირდის მიხვედრილობით შეშფოთებული შურიანი ოსტატის თვითმკვლევლობის ამბავი, რომელიც მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ ზუსტად გამოუთვლია შეგირდს, რომელიც ქვებს ამზადებდა, მშენებლობისათვის

საჭირო თლილი ქვების რაოდენობა, რაც ეგოსტ ოსტატს არ გახარებია; თუმცა, აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ კლარჯულ ლეგენდაში მოპირკეთებული („ძალიან კარგად მოჭრილი“) ქვების მოპარვა და დაკარგვა, რითაც ოსტატს ხელი ეშლება მშენებლობაში, არასრული და არაკონკრეტული, მაგრამ მაინც თემატურად ლეგენდის ძირითად მიტივთან დაკავშირებული მახსოვრობის შედეგია. რაც შეეხება ლეგენდის დასსრულს, რომელიც არსებული მეგალითური კულტურის გამოძახილია, ესეც ქართული ხალხური სიტყვიერების წიაღიდან არის ნასაზრდოები.

ფორთის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებულ მეორე ლეგენდაში – „გალავან ოსტატი“ – კიდევ უფრო უკეთ არის გამოკვეთილი ტრადიციული ოსტატ-შეგირდის პროფესიული შუღლის მოტივი. ლეგენდის თანახმად, რომელიც 2012 წელს მეჭმედ-ალი ქესქინმა ჩაინერა ფორთაში ილიას ოქურისაგან, ოპიზადან ფორთას ჩამოდის გლავან ოსტატი, რათა ნახოს, თუ როგორ უძღვება საქმეს მისი შეგირდი. „ფორთას ეკლესიას რომ ხედავს ასე ლამაზი, დიდი და ცოტა დროში გაკეთებულია, ძალიან ეჭვინაობს და იმ წუთში მოკდება. ოსტატი გალავან სადაც მოკდება, იქაც დამარხავენ“ და იმ ადგილისათვის „გალავანი“ უწოდებიათ.

ხალხის რწმენით, გალავან ოსტატს უთქვამს:

„მე ვიცხოვრე სამი ათასი წელი,  
ჩემი შვილი იცხოვრა ათასი წელი;  
თუ ვიცოდი, რომ სიკდილი არებობს,  
არ დააყენებდი ქვას ქვაზე“.

კლარჯული ლეგენდის თანახმად, შურიანი გალავან ოსტატის ბოლო სიტყვებიც მისივე პიროვნული ხასიათის გამომხატველია და მშვენივრად ეხმიანება ქართულ მეტყველებაში გავრცელებულ ფრაზეოლოგიზმს – „ქვა ქვაზე ნულარ დარჩენილათ“, რომელიც ბიბლიური წარმოშობისაა და ქართულ მეტყველებაში პოპულარული მას შემდეგ გახდა ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მაყაშვილი) წარმოსთქვა სიკვდილის წინ (სახოკია, 1979: 679).

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში თამარ მეფის სახელი უკავშირდება მუსლიმთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმინდანის – ალი იბნ აბი ტალიბის, ანუ „ჰაზრეთი ალის“ სახელს; ამ პიროვნებებს ჩვენებურე-

ბი თანადროულეზად წარმოგვიდგენენ. თქმულება „ჰაზრეთი ალი და თამარა“, რომელიც ჩაინერა მემედალი ქესქინმა 2012 წელს სოფელ ფორთაში ილიას ოქურისაგან, მოგვითხრობს: ჰაზრეთი ალი ქალაქ მედინაში ცხოვრობდა, თამარა კი – ბერთაში, იგი ბერთას მეფე იყო და ციხე აუშენებია. ჰაზრეთი ალი კანის ციხეში წასულა; კანის მეფეს უკითხავს, როგორ იბრძოდა და როგორი ხმალი ჰქონდა.

„– მე ვარ დიდი მეომარი და ჩემი ხმალი სამოცდაათი მეტრი არის!“ – ამაყად უპასუხა ჰაზრეთ ალიმ.

ჰაზრეთი ალის განუზრახავს თამარას გამუსლიმება და წერილი გაუგზავნია: ნებით გამუსლიმდები თუ საომრად მოვიდე და ძალით გაგამუსლიმოო.

თამარას წერილითვე გაუცია პასუხი: სად მედინა და სად არტა-ნუჯ-გევერნიკი, ფეხით ექვსი თვის სავალიაო.

ჰაზრეთ ალი ცხენზე ამხედრებულა და მისულა თამარასთან. ალის დანახვაზე თამარს ტუჩები დასკდომია და სისხლი წასკდენია. „ამის შემდეგ თამარა ლებულობს მუსულმანობას“, – დასძენს თქმულება, რომელიც აშკარად მუსლიმური იდეოლოგიის პრიმატიით არის წასაზრდოები და ეს არც არის გასაკვირი მუსლიმურ გარემოში მცხოვრებთათვის.

თამარის სახელს უკავშირდება ზოგიერთი ზიარეთიც, თუმცა მათში შემორჩენილია თამარ მეფის საირიგაციო მშენებლობისა და საიდუმლო დაკრძალვის თემატიკათა ამსახველი ზოგადქართულ ლეგენდათა ნიუანსები. სოფელ გეველში 2007 წელს მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ შერიფ გენჩისაგან (მუთიდე) ჩანერილი ლეგენდა სწორედ ამ პრობლემას წარმოაჩენს; იგი მოგვითხრობს, რომ გალახურას მთებში არსებულ ზიარეთში თამარას საფლავია („მეზერი“); საფლავი მოთავსებული ყოფილა გამოქვაბულში, სადაც ორი ოთახია და ფანჯარაც ჰქონია, თურმე; ხალხის რწმენით, თამარ მეფეს იქ ორმოცი წელი უცხოვრია. კლარჯული ლეგენდით, ზოგადქართულის მსაგავსად, თამარი, მისი საფლავის გასაიდუმლოების მიზნით, რათა მტრებს არ აეოხრებინათ, შვიდ ადგილას დაუკრძალავთ: „თამარას საფლავი შვიდ ადგილზე არისო, იტყვიან. ვინმემ არ უნდა იცოდეს. ერთმა იცოდა – ვინც ჩაფლა, ისიც მოკლეს“.

საყურადღებოა ისიც, რომ, შერიფ გენჯის გადმოცემით, სოფლებში – ომანაში, ავანაში და ქართლაში – თამარს წყალი გაუყვა-

ნია: „– თამარას დროში იქიდან (გალახურას გამოქვაბულიდან – თ. შ.) წყალი მიიყვანა სოფლებში: ომანაში, ავანაში, ქართლაში“. გველელი კლარჯის – შერიფ მუთიდის ისტორიულ მახსოვრობას, თამარ დედოფლის შარავანდედით მოსილ ხატებასთან ერთად, იმ მიწა-წყლის კუთვნილების ხსოვნაც შემოუნახავს: „– თამარას დროს, მაშინ, ეს თელი ადგილები საქართველო ყოფილა!“

„თამარა დოდოფლის“ სახელს სათუთად ინახავდნენ დღევანდელ კლარჯთა წინაპრები და ასეთივე დამოკიდებულებას ინარჩუნებენ თანამედროვენიც: „ჩემი ბებია განუცხადებდა თამარას შესახებ: თამარ დოდოფალი ჭოროხის ხეობაში ავაშენიათ სარწყავი არხები. ძალიან უყვარდა თამარა დოდოფლის ეს არხების ამბავს ლაპარაკობდა“ (მთქმელი ისმეთ ერდემი. ჩაინერა მეჰმედ-ალი ქესქინმა 2014 წელს).

სარწყავი არხის მშენებლობის თემატიკის ერთ-ერთი კლარჯული ლეგენდის თანახმად, იშხნის, პარხლისა და ოშკის ეკლესიები თამარს ადვილად აუშენებია, მაგრამ სარფიეთის არხის გაყვანას მისი სახსრები შეუწირავს. მაშინ თამარ დედოფალს საკუთარი თმები და თმის სამკაულები გაუყიდა: „ამ უბანში წყალი მოტანის გულისთვის თამარა იძულებული იქნება თმის ჩაშლას; თმის ძვირფასი სამკაულები გაყიდავს ამ წყლის გამო...“ (ინტ. „H://:yet blog“).

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს დიდ დედად აღიარებული მეფე ქალის კულტი კლარჯებმაც იმგვარივე სათნოებით შემოინახეს, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მცხოვრებლებმა; თამარის მიერ ქვეყნის საჭიროებისათვის საკუთარი თმებისა და სამკაულების გაყიდვა კი უშუალო გამოძახილია იმ საერთო-სახალხო რწმენისა, რომლის თანახმადაც „მზეებრ უხვი“ და „სათნოების საუნჯე“ მეფე თამარი სახელმწიფო საქმეებისაგან მოცალეობის ჟამს ხელსაქმეს მისდევდა, საკუთარ ხელნაქმარს კი უშურველად ურიგებდა უპოვრებს და არც საკუთარი სამკაულების შეწირვა ენანებოდა ამ თუ იმ საქვეყნო საქმის დასაგვირგვინებლად (შიოშვილი, 2014: 156-165), რაზედაც დიდი ენთუზიაზმით მოგვითხრობენ როგორც მისი ოფიციალური ისტორიკოსები, ისე – სახალხო მთქმელები. კლარჯული ლეგენდაც სარფიეთის არხის მშენებლობის თაობაზე ამ რიგის ხალხურ თქმულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა თანახმადაც, როგორც აკადემიკოსი ნიკო

ბერძენიშვილი მიუთითებს, „...თამარს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და ძლიერების სინონიმად“ აღვიქვამთ (ბერძენიშვილი, 1964: 420).

კლარჯული ლეგენდა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში კონტამინირებულია თამარის ხელის ამო მთხოვნელთა (ამ შემთხვევაში – არხის მშენებლობით აღფრთოვანებულ სოფლებთან) ეპიზოდი, რის გამოც იგი გაბრაზდება და სოფლებს დასწყევლის, რის შედეგადაც ყოველ ზამთარს მათი ბალის კედლები ინგრევა და სარფიეთლები იძულებულნი არიან, კვლავ აღადგინონ, რამაც გამოიწვია მათი დაოსტატება: „ამ ამბავის გამო კარგი კედელის გამკეთებელი ოსტატები არიან“.

მართალია, კლარჯული ლეგენდის თანახმად, თამარის ხელს სოფლები ეძიებენ და მივინყებულობს ხსოვნა საქართველოს დიდებული მეფის „მოტრფიალე“ შაჰებისა თუ სულთნებისა, რაზედაც მოგვითხრობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნარატივები, მაგრამ კლარჯ ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებას მაინც შემოუნახავს ამ თემატიკის ხალხურ ნაწარმოებთან საერთო პათოსი – თამარის განრისხება, მისი მიუწვდომლობა ამო მთხოვნელებისაგან.

კლარჯმა ჩვენებურებმა შემოგვინახეს სხვა ქვეყნის მეფის მიერ თამარის ცოლად შერთვის სურვილის შემცველი თქმულება, რომლის თანახმადაც, ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ თქმულებათა მსგავსად, თამარ მეფე სასტიკად უსწორდება მას და განდევნის: „ორი ქვეყანა და ორი სამეფო არსებობდა... ერთის მეფე იყო თამარ მეფე, თამარ დოდოფალი. თამარ მეფე ძალიან ლამაზი და ძლიერი იყო. მიორე ქვეყნის მეფეს თამარ მეფე ძალიან შუყყვარდება და ეს მიორე ქვეყნის მეფე თამარ მეფეს ცოლად მოყვანა უნდა, მაგრამ თამარ მეფე წინააღმდეგი იყო. ამის გამო ეს მეფე თამარ მეფეს გამაცხადა ომი, მაგრამ ომი წააგებს; თამარ მეფეს არმია გაუმარჯვებს. ამ ომის შემდეგ მიორე მეფე მივა დევნილობაში“ (მთქმელი იუსუფ ქესქინი, ჩაინერა მეჰმედ-ალი ქესქინმა 2013 წელს).

თამარ მეფე, როგორც ქართველთათვის საამაყო მმართველი, ქვეყნისათვის თავდადებული და სიცოცხლეშივე წმინდანად (წმინდა სამების მეოთხე წევრად) აღიარებული, ეროვნულმა ზეპირსიტყვიერებამ უკვდავებას აზიარა, მითური არქეტაპებით შეამკო

(შოიშვილი, 2014: 115-155). კლარჯელმა სახალხო მთქმელებმა საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი თამარის საფლავის გასაიდუმლოების ცნობილი მოტივი მათებურად გადაიაზრეს და კლარჯეთში არსებული ზიარეთების უმეტესობა სწორედ თამარის სახელს დაუკავშირეს; ბოლო ხანებში ბევრი ამას გაუაზრებლად მიუთითებს, თუმცა ყველამ იცის, რომ ეს „გოგო მეზერები“ თამარას (თამარა დოდოფლის) საფლავია.

სოფელ ისკებში მცხოვრებმა 84 წლის ჰიზირ არიჯმა გვიამბო, რომ „სოფლის თავში მთაა, თეთრობი; იქ ზიარეთია. ერთი თამარა დედოფალი ყოფილა, მომკდარა და იქ ჩუუფლიან; ზორ უნინ, ახლობით არ არი“.

რვა ათეულ წელს გადაცილებულმა კლარჯმა მოხუცებულმა ც თამარის საფლავი ზიარეთად მიიჩნია (ბუნებრივია, ამგვარია ბევრის რწმენაც): „- იქ ვინცხა ნახვალ, დერდი გექნება, დაიძინებ, სიზმარ ნახავ და გაკეთდები, იმგვარა გააკეთებ საქმეს“.

იმავე სოფლის (ისკები) მკვიდრმა სევიმ მულაზიმოღლიმ კი დავგარწმუნა, რომ „თამარა დედოფალი ერთ მეზერში ჩაფლეს, მარტოა დამარხული“.

კლარჯ ჩვენებურთა პათოსი, რომ თამარ მეფის საფლავი მათ სოფელშია (თუ სოფლის მახლობლად მდებარე მთაზე) საერთოქართული პათოსია, რომლის თანახმადაც საქართველოს ყველა კუთხე იჩემებს დიდებული მეფის საფლავის მცველის პატივს. ჩვენთვის ძალზე ღირებულია, რომ კლარჯულმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა თამარ მეფის გასაიდუმლოებული დაკრძალვის მოტივი, თუმცა, სამწუხაროდ, აღარ ახსოვთ რისთვის იყო საჭირო ამგვარი საიდუმლო დაკრძალვა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ისიც, რომ კლარჯ ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებას თამარ დედოფალზე, მის მოღვაწეობაზე, ორგანულად უკავშირდება ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა იმისა, რომ ის ადგილები, სადაც, მათი რწმენით, ორმოცი წელი ცხოვრობდა თამარ მეფე, გამოქვაბული გამოაქანდაკა და იქიდან კლარჯეთის სოფლებს წყალი გაუყვანა, საქართველო იყო; და, ალბათ, ვიდრე კლარჯებს შემორჩებათ ხსოვნა ღირსსახსოვარი თამარ დედოფლისა, მისი ნაღვანისა იმ დალოცვილ მიწაზე, მათ ეროვნულ ცნობიერებას გადაშენება არ უწერია.

## მახვილსიტყვაობა

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება მდიდარია მახვილსიტყვაობით, იგივე ნაკვესებით, ანუ ანეკდოტებით, რომლებშიც საუკეთესოდ არის წარმოჩენილი ხალასი ხალხური იუმორი და მისი საზოგადოებრივ-ზნეობრივი მიზანდასახულობა. ამ ჟანრის ქართულ სახელწოდებად, ჩვენი აზრით, უკეთესია „ნაკვესი“ ან „მახვილსიტყვაობა“, მაგრამ „ანეკდოტი“ უფრო პოპულარულია, თუმცა, ჩვენში ეს სამივე ცნება პარალელურად იხმარება.

„ანეკდოტი“ ბერძნული სიტყვაა; თავდაპირველად ამ ტერმინს გამოუცემელი, ცოცხლად მოარული სიუჟეტის სახელდებისათვის იყენებდნენ. თანამედროვე სამეცნიერო გაგებით კი ანეკდოტი ნიშნავს მოკლე, სასაცილო ამბავს, რომელიც შეთხზულია შესაქცევად, გასართობად და, ამავდროულად, წარმოაჩენს ადამიანთა ცხოვრების მანკიერ მხარეებს; მას დამოუკიდებელი ჟანრული ფორმა და საზღვრები გააჩნია და ყურადღებას იპყრობს თავისი მოულოდნელობითა და სიმსუბუქით. ტერმინი „ანეკდოტი“ ქართულში შემოვიდა რუსული გზით, თუმცა, ამ სიტყვით აღნიშნული ჟანრი და ზოგადად მახვილსიტყვაობა საქართველოში ძველთაგან ძალზე პოპულარული და აქტუალური იყო, რისი დასტურიც არის მეფეთა და უმაღლეს ფეოდალთა ჩვეულება, ჰყოლოდათ კარის ხუმარა, რომლის უმთავრესი ფუნქციაც იყო, მახვილსიტყვაობის საფარველქვეშ სიმართლე ეთქვა პატრონისათვის.

ხალხური ნაკვესები, ანუ ანეკდოტები, იგივე მახვილსიტყვაობანი, ასახავენ რეალურ ცხოვრებას, წარმოაჩენენ ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებს და მათ სატირულ-იუმორისტულ ელფერს აძლევენ; მათში „ყოველი სიტყვა მოზომილია და ზუსტად ხვდება მიზანს“ (ცანავა, 1960: 120); ეს მიზანია, მსმენელსა და მკითხველში აღძრას სიცილის გრძნობა, რასაც უდიდესი სოციალური დანიშნულება აქვს და სოციუმის აუცილებელ კათარზისს ემსახურება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად სიტუაცი-



ათა გაზვიადებებისა, ანეკდოტი, რამდენადაც „სინამდვილის ანა-რეკლია, ცხოვრებიდან გადახვევას ვერ იტანს“ (ლლონტი, 1989: 310); მისი გავრცელებულობა და უაღრესად ინტერნაციონალური ხასიათი სწორედაც მისივე ფორმის სიმსუბუქითა და თემატური რეალისტურობით არის განპირობებული. როგორც მკვლევარი ალ. ლლონტი მიუთითებს, ხალხური პროზიდან ყველაზე მეტი სიცოცხლის უნარი სწორედ ანეკდოტებს აქვთ (ლლონტი, 1989: 311).

მახვილსიტყვაობა, რაც ერის სულიერ გაჯანსაღებას, თავისსავე ნიაღში არსებული ხალხური იუმორის უმტკივნეულოდ, ნაკვესური ფორმით, მოცემულ გამაკურნებელ მხილებას ეფუძნება, საქართველოს ყველა კუთხეში ტრადიციული და საყოველთაოა. ეს ტრადიცია დღემდე ცოცხალია დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიულ კლარჯეთსა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ 2012-2015 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში მოპოვებული ანეკდოტები სწორედ ამისი დასტურია და კარგადაც გვაცნობს ესოდენ მონატრებულ ჩვენებურთა ყოფიერებასა და სულიერებას.

ისტორიული კლარჯეთის სოფლებსა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებულ მახვილსიტყვაობათაგან ყველაზე უფრო პოპულარულია მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამახვილი და უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოსილი სასულიერო პირის – მოლა ნასრედინის – სახელთან დაკავშირებული სიუჟეტები. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მოლა (ხოჯა) ნასრედინი (ქართულად – მოლა მასრადინა) მახლობელია არამარტო ახლო აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის და მათ შორის – კავკასიელთათვის. ქართველი მუჰაჯირები თავის დროზე სამშობლოდანაც წაიღებდნენ ხოჯა ნასრედინის ციკლის მრავალ ანეკდოტს და ახალ საცხოვრისშიც ბევრს დაისწავლიდნენ, რადგანაც კეთილი, ლალი და ბრძენი ნასრედინი კარგა ხანია, მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილება და პირველქმნილი ხიბლითა და სიჯიუტით ამხელს საზოგადოებრივ მანკიერებებს, სიცილის ცხოველმყოფელი ძალით კურნავს ადამიანებს, ავიწყებს ყოველგვარ უკეთურებასა და გულბოროტებას.



გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკომ“ 1997 წელი მოლა ნასრედინის წლად გამოაცხადა; ასევე „იუნესკოს“ მიერ მოლა ნასრედინის წლად იყო გამოცხადებული 2008 წელიც, რაც ნასრედინისეული სიბრძნის საერთო სახალხო სიბრძნედ, ხოლო ამ უწყინარი ზოგადკაცობრიული პერსონაჟის მსოფლიოს კუთვნილებად აღიარებას ნიშნავს.

არსებობს ვარაუდები, რომელთა თანახმადაც მოლა ნასრედინი ცხოვრობდა XIV საუკუნეში; ამ მოსაზრებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ, მოლა ნასრედინის ციკლის ანეკდოტების თანახმად, იგი თემურ ლენგის თანამედროვედ გამოიყურება. სხვა მოსაზრებებით, მოლა ნასრედინი სალადინის დროს (XII საუკუნეში) ცხოვრობდა; ზოგიერთი ვარაუდის თანახმად კი იგი IX საუკუნეში ცხოვრობდა სრულიად სხვა სახელით.

მოლა ნასრედინის ვინაობის დადგენაში დიდი წვლილი შეიტანა თურქმა მკვლევარმა ერდოღან თოქმაქჩიოღლუმ. 1991 წელს მან სტამბოლში გამოსცა წიგნი „ხოჯა ნასრედინი – ყოველი მხრიდან“, რომლის თანახმადაც ხოჯა ნასრედინი დაბადებულია დაახლოებით 1208 წელს რუმის სელჩუკთა სასულთნოში, დღევანდელი აქშეჰირის ვილაიეთის სივრიჰისარის ილჩეს მაშინდელ სოფელ პორტოში (ჰორთუმში), რომელიც დღეს მოლა ნასრედინის სახელს ატარებს.

მოლას მამა – აბდულა ეფენდი – სოფლის იმამი ყოფილა, დედას ერქვა სიდიკა. ნასრედინმა, რომელიც ბავშვობაში ჰაჯეი ჯიანის სახელს ატარებდა, განათლება მიიღო როგორც მამისაგან, ასევე – იმდროინდელი ცნობილი მწიგნობრებისაგან. ქალაქ კონიას სასულიერო სასწავლებლის (მედრესეს) დამთავრების შემდეგ ერთხანს იგი თავის სოფელში მასწავლებლობდა, შემდეგ კი იმამი გამხდარა, აქშეჰირის ყადიც ყოფილა და მუდერისიც, ანუ პროფესორ-მასწავლებელიც, გამხდარა.

აქშეჰირში მოლა ნასრედინი რამდენჯერმე დაქორწინებულა, ჰყოლია შვილები და იქვე გარდაცვლილა 1282 წელს. მიუთითებენ მის საფლავსაც (ბაქრადე, 2003: 152-153; გვარიშვილი, 2001: 3-4).

გადმოცემის თანახმად, მე-15 საუკუნეში, სულთან მუჰამედ მეორის დროს, მოლა ნასრედინის საფლავი დანგრეულა და 1878 წელს კვლავ აღუდგენიათ. აღსანიშნავია, რომ მისი საფლავიც ღიმილის მომგვრელია და იუმორისტული იდეით არის ნასაზრდოები: კრამიტით გადახურული აკლდამა ოთხ ბოძს ეყრდნობა; სამ მხა-

რეს მას კედელი არა აქვს, მეოთხე მხარეს კი ამოშენებულია კედელი, რომელსაც კარები აქვს შებმული და უზარმაზარი ბოქლომით არის დაკეტილი. ვფიქრობ, საფლავის ამდაგვარი მოწყობის იდეა ნასრედინისავე ერთ-ერთი ანეკდოტიდან არის ნასესხები. ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ანეკდოტი, რომელიც აზიზ ახვლედიანმა ჩაინერა 1961 წელს: „მოლამ ააშენა წისქვილი, ჩამოკიდა კარი და დაადო ბოქლომი, მარა წისქვილს კედლები არა აქვს. გამვლელმა უთხრა:

– ხოჯა, რას შვრები, რა არის ესო?

მოლამ უთხრა:

– ბოქლომი რომ აბია, ეს იმის ნიშანია, რომ წისქვილი სხვისიაო“ (ნბიფა, 1961: 3).

1974 წლიდან ქ. აქშეჰირში ყოველწლიურად იმართება ხოჯა ნასრედინისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომლის უვერტიურაც არის ვირზე ამხედრებული „ხოჯას“ გამოსვლა ქალაქის მთავარ მოედანზე (გვარიშვილი, 2001: 3). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქშეჰირში შეიქმნა ხოჯა ნასრედინის კულტი: ქორნილის დროს მიდიოდნენ ნასრედინის საფლავთან და ვითომ ხოჯას ქორნილში ევატიჟებოდნენ. ეს კულტი ბოლო დრომდე იყო შენარჩუნებული ამ ქალაქში (Гордлевский, 1957: 249).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტამბულის პირველი ყადი, ცნობილი მეცნიერი ჰიზირ ბეი და მწერალი სინან ფაშა (არა არქიტექტორი სინანი), რომლებიც ცხოვრობდნენ მე-15 საუკუნის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, მოლა ნასრედინის შთამომავლები (შვილიშვილები) ყოფილან (ბაქრაძე, 2003: 153).

მოლა ნასრედინის ანეკდოტები ხელნაწერების სახით მე-16 საუკუნიდან გამოჩნდა. დიდმა თურქმა პოეტმა ლამიმ ანეკდოტების კრებულში თავის მოწაფეთა ანეკდოტების გვერდით ხოჯა ნასრედინის ანეკდოტებიც შეიტანა. ამ ნაღვანით ხოჯა გამოიყურება მასხარად, რომელიც თავს ისულელებს; მოგვიანო ჩანანერებში კი ხოჯა წარმოგვიდგება ბრძენკაცად, რომელიც თავისი მახვილსიტყვაობით უპირისპირდება ბოროტებას (ჩლაიძე, 2008: 16). ანეკდოტებში ნასრედინის ეს ორივე სახე პარალელურად არსებობს; სისულელე კი ნიღაბია, რომლითაც ჭკვიანი ადამიანი თავს იცავს დაუნდობელ სოციუმში.

ხოჯა ნასრედინის ციკლის ანექდოტების სტამბური გამოცემა განხორციელდა ქ. სტამბოლში 1837 წელს; მასიურად ბეჭდვა კი – 1923 წლიდან, თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შემდეგ დაიწყო და დაისტამბა 116-ჯერ.

ყველასათვის საყვარელი და სასურველი ოხუნჯი ხოჯა ნასრედინით მრავალი ქვეყანაა დაინტერესებული; განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქი მოღვაწეების – ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევრის იბრაიმ ჰაკჰის, პროფესორ ფუად ქოფრულუს, ფილოსოფოს ევლია ჩელების, ჰასან ეფენდის, ისმაილ ჰამდის, ფრანგი მკვლევრის – ჟან სუისეის, ბულგარელი ბელჩიკ ბელჩიკოს, გერმანელი ისტორიკოსის ბორატ პერტესის, ინგლისელი მკვლევრისა და მწერლის ჩარლ დოკინგის, რუსი მკვლევრის – აკადემიკოს ვ. გორდლევის გამოკვლევები მოლა ნასრედინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მისი ანექდოტების დიდაქტიკურ-ალმზრდელობით ფუნქციაზე.

მოლა ნასრედინის ანექდოტები მსოფლიოს 72 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. მათ შორის 1904 წელს – ბრესლაუში, 1933 წელს – ბუდაპეშტში, 1966 წელს – ლონდონში, 1897 წელს – ტოკიოში, 1957 წელს – მოსკოვში, 1886, 1892, 1895, 1906, 1941, 1972, 1991, 2001 წლებში – თბილისში და სხვა.

ნასრედინს თურქები ხოჯა ნასრედინს ეძახიან, აზერბაიჯანელები და ირანელები – მოლა ნასრედინს, უზბეკები – ნასრედინ ეფენდის, თურქმენები – ეფენდის, ყაზახები – კოჟა ნასრედინს, ყარაჩაელები – ნასრა ხოჯას, ქართველები – მოლა მასრადინას და, რაც მთავარია, ყველას უყვარს, ყველას სასურველი სტუმარია მხიარული და გონებამახვილი ხოჯა; უფრო მეტიც – აზერბაიჯანელები მოლა ნასრედინს თანამემამულედ თვლიან და რამდენიმე ადგილზე მიუთითებენ მის საფლავს. ზოგან ეს „საფლავი“ საკულტო ადგილადაც უქცევიათ (ჩლაიძე, 2008: 15); თავის მხრივ სპარსელებიც ამტკიცებენ, რომ ნასრედინი სპარსელია (ჯანაჯა, 1960: 164).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მოლა ნასრედინის სახელს ბევრი ტრადიციული კავკასიური (მათ შორის – ქართული) ანექდოტი შერწყმია და, ამავე დროს, პირიქითაც მომხდარა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პიროვნებისა და მისი მახვილსიტყვაობის პოპულარობაზე მიუთითებს.

მოლა მასრადინას ციკლის მხიარული და სიბრძნით აღსავსე ოხუნჯობანი, რომლებშიც დაგმობილია ადამიანური მანკიერებანი,

ჩვენმა ხალხმაც შეიყვარა, შეითვისა და გაითავისა. ამის დასტურია ისიც, რომ 1906 წლიდან თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, რომელიც მთელ თურქულენოვან სამყაროში ვრცელდებოდა. მოლა ნასრედინის ანექლოტებს კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანიც; მან „სიბრძნე სიცრუისაში“ მოლას რამდენიმე ოხუნჯობა შეიტანა (ცანავა, 1960: 166); 1892 წლის „საქართველოს კალენდარში“ ვალერიან გუნიაშვიტს გამოაქვეყნა მოლა ნასრედინის ოხუნჯობის 27 ნიმუში (გუნია, 1892: 349-357); 1893 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ალექსანდრე მირაქიშვილის მიერ ოსმალურიდან ნათარგმნი „მოლა ნასრედინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები“, რომელშიც წარმოდგენილია ოხუნჯობის 130 ნიმუში (ცანავა, 1960: 166).

ისტორიულ კლარჯეთში მცხოვრებ ჩვენებურებსა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში განსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ნასრეთი ხოჯას ესოდენი პოპულარობაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთის მხრივ კავკასიურ-ქართული ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელებაა, მეორეს მხრივ კი – მისადმი თურქი ხალხის დიდი პატივისცემისა და აღიარებისა.

მახვილსიტყვაობის პრინციპზე აგებულ ანექლოტებს ზოგადად სასაცილო ფაქტის ასახვა-გადმოცემის თავისებური ხერხი ახასიათებთ: მათი მიხედვით, სიცილის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია გონებრივი ჩამორჩენილობა, სირეგვნე, სიბრიყვე; „ბრიყვი ამ ციკლის ნანარმოებთა უაღრესად პოპულარული პერსონაჟია“ (ლოლენტი, 1956: 434). მოლა ნასრედინის ციკლის კლარჯულ ანექლოტთა უმრავლესობას, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებულ ამ ციკლის მახვილსიტყვაობას, სწორედ ამგვარი მეთოდი ასაზრდოებს: გვიჩვენოს შენიღბული, საგანგებოდ შექმნილი დაპირისპირება და გონივრული განსჯის გზით არარაობად აქციოს უგუნური ქმედება.

საქარაიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ხატილაში (იქრამიე) 2013 წლის 17 ივლისს 80 წლის მეჰმედ დურსუნოღლუსაგან ჩემ მიერ ჩაწერილი ანექლოტის თანახმად, ნასრეთინ ხოჯა ეზანს კითხულობს და თან „ზორ მირბის“. შეეკითხნენ:

„– რატომ ასე იჯებიო?“

„– შეათნები ეზანი გეიგონებენ, შორ ნავლენ და იმ ბარზე მივრბიო“, – უპასუხა ხოჯამ.

ბრძენმა „ნასრეთი ხოჯამ“, რომელიც სოფლის იმამის ოჯახში გაიზარდა, ქალაქ კონიას სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და შემდეგ თავადაც იმამი გახდა; იგი პირადი ცხოვრებითაც და ბრძნული მახვილსიტყვაობითაც ებრძოდა მანკიერებს. სოფელ ხატილაში (იქრამიე) 80 წლის მეჭმედ დურსუნოღლუსაგან ჩანერილი ანეკდოტის თანახმად, ხოჯა მოძღვრავს ყველა დროის მპარავეებს: „ნასრეთი ხოჯას სახლი დუუცლიან, მოუპარნიან, თელი რამე წუუულიან, სახში ჰიჩ არაფერი დუუგდიან, ქურდმა რამ არ გუუგდიან. ახლა წასულა, სახში რამ არ არი.

– რა სოხ ასე იჯებო? – უთქმიან.

ნესრეთი ხოჯას უთქმია:

– ამასო, ქურდსავო, ყაბაათი არ მიაქ ქვევითო“.

საქართველოს ყველა კუთხე იცნობს მოლა მასრაძინას ციკლის მახვილსიტყვაობას თოკზე გაფენილი ფქვილის შესახებ. ეს ანომალია თავად მოლასაგან ასე აიხსნება: როცა მოლას არ უნდა, მეზობელს თოკი ათხოვოს, მასზე ფქვილის გაფენაც დასაჯერებელია. ამ ტიპის ოხუნჯობა, რომლის მიზანიც სიძუნწის დაგმობაა, ჩავინერე 2013 წლის 18 ივლისს საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეს ერთ-ერთ უბანში – ბიჩქიდერეში 76 წლის მელაათ ქიბარისაგან:

„ნასრეთი ხოჯა მოზობელთან ნევდა დადგომაზე. საჭმელი არ მიართვა. უთქმია:

– საჭმელი რა იქნაო?

– ქვაბი დავადგი, ადულდეს'ნაო.

– რა'ნა ადულდეს, ცეხლი არააო!

– ცეხლი გაღმა ეკიდებაო.

– იქიდან აქ ქვაბი ადულდება თუ?!

– ადულდებაო, – მოზობელმა, – არ'ნა მოგართვა, იმისთინაო“.

კლარჯეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მარადიდში ქართული ზეპირსიტყვიერების გამორჩეულად მცოდნის, ტიპური სახალხო მთქმელის ემინე ოზთურქისაგან 2014 წლის 3 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი ანეკდოტი ნასრეთი ხოჯას ენამოსწრებულობისა და, ამავე დროს, მისი პიროვნული თავისუფლების დასტურია; იგი ღმერთსაც კი უბედავს ოხუნჯობას: ნასრეთ ხოჯა ხის ძირში ლოცულობდა. ხეზე კაცი იყო, ხოჯა მას ვერ ამჩნევდა. ლოცვა რომ დაასრულა, ხელები აღაპყრო და ღმერთს შეჰლაღადა:

„– ღმერთო, ჩემი ლოცვა ყაბული ქენიო!

ზევიდან კაცმა ჩამოსძახა:

„– არ ვყაბულობო!“

ხოჯას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ღმერთი გამოეპასუხა, მაგრამ არც მას შეეპუა და მიუგო:

„– არ ყაბულობ და ზათი აბდესულებელი ვლოცულობდიო!“

ხოჯა ნასრედინის ენამოსწრებულობაზე მიანიშნებს, აგრეთვე, ანეკდოტი, რომელიც სოფელ ქლასკურში ჩავინერე 2013 წლის 4 აგვისტოს 78 წლის მიერეე ქესუმისაგან: ნასრედინ ხოჯას მეოთხე ცოლი მოუყვანია. დილას ქალი ამდგარა და ქმრისათვის უკითხავს:

„– ხოჯავ, ვის დევენახვო?“

ცოლის გარეგნობით გულნაკლულ ხოჯას უთქვამს:

„– მე არ დემენახვო და, ვისაც გინდა, დევენახვო!“

ამ მახვილსიტყვაობას კარგად იცნობს თურქული ფოლკლორიც. ერდოლან თოქმაჩიოლლუს მიერ გამოცემულ წიგნში „გონე-ბამახვილი ხოჯა ნასრედინი“ (თურქულიდან თარგმნა ოსიკო გვარნიშვილმა) შესული ერთ-ერთი ვარიანტი აკონკრეტებს ხოჯასეული პასუხის მიზეზს – მას, თურმე, მოტყუებით შერთეს მახინჯი ქალი. მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა:

„– ევენდი, თქვენს ნათესავეებში ვის შეიძლება, სახე გამოვუჩინოვო?“

ხოჯამ მკვახედ მიუგო:

„– ქალო, მე არ დამანახო და, ვისაც გინდა, იმას ეჩვენე!“ (თოქმაჩიოლლუ, 2001: 13).

ხოჯა ნასრედინი თავისი სიტყვა-პასუხით ხალხის ბრძენი მასწავლებელია. „არამკითხე მოამბეთა“ ჭკუის სასწავლია მახვილსიტყვაობა, რომელიც პროფესორმა რამაზ ხალვაშმა ჩაინერა 2007 წლის 31 ივლისს სოფელ ჯივანში 58 წლის ემინ გორმეზისაგან: ხოჯა ნასრედინი ყმანვილებს ამეცადინებდა. უთხრეს:

„– ხოჯავ, ბაქლავა მუაო.

– მე რა მჭირია?!

– ხოჯა, შენ სახლში მუა!

– შენ რა გჭირიავო?!“

ხოჯა ნასრედინის კლასიკური ენამოსწრებულობა მისი ციკლის მახვილსიტყვაობათა ერთ-ერთი წარმმართველი სპეციფი-

კაა და ერთგვარად „გადამდებიც“, რადგანაც მახვილსიტყვაობათა სხვა პერსონაჟები მასაც „მისივე ენით“ ელაპარაკებიან. სოფელ ქლასკურში 78 წლის მიერიე ქუსუმისაგან 2013 წლის 4 აგვისტოს ჩანერილი ნიმუშის თანახმად, ხოჯას შეყვარებული გოგოს მამას შესანიშნავი დაკვლა ჰქონდა განზრახული. ამ დროს ხოჯა მივიდა შეყვარებულთან და ეფერება:

„– ფადიმე, შენი ყურბანი ვიქნებიო!“

გოგომ კი მიუგო:

„– გაცოცხლოს, წლეულ ხარი დეგვეკლა'ნაო!“

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია ანეკდოტი მოლას ქვაბის შესახებ, რომელსაც კარგად იცნობს, აგრეთვე, საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორული შემოქმედება. იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფელ ჰაირიეში 2014 წლის 14 ივლისს 76 წლის მეჰმედ გუნეისაგან (ფალაზოლლი) ჩემ მიერ ჩანერილი ნარატივი საყოველთაოდ გავრცელებული ანეკდოტის ვარიანტი: ხოჯამ მეზობლისაგან ქვაბი ითხოვა და პატარა ქვაბთან ერთად დაუბრუნა. ქვაბის პატრონმა გაიოცა:

„– ხოჯავ, ერთი ქვაბი მოგეციო, შენ კი ორი ქვაბი მომეციო?“

ხოჯამ დაარწმუნა მეზობელი, რომ მისმა ქვაბმა იმშობიარა და შვილი გააჩინა („დასვა“). მეორეჯერ ქვაბის სათხოვნელად რომ მივიდა, მეზობელმა უფრო დიდი ქვაბი მისცა, მაგრამ ხოჯამ აღარ დაუბრუნა. მეზობელმა ქვაბს მიაკითხა:

„– ხოჯავ, ჩემი ქვაბი მომიტანეო!“

– შენი ქვაბი მოკდაო“.

მეზობელს ძალიან გაუკვირდა:

„– ქვაბი მოკდება თუო?!“

მოლამ კი უპასუხა:

„– დასმა რომ დეიჯერეო, მოკდენას რატომ არ ჯერობო?“

განხილული ანეკდოტის ვარიანტებს იცნობს თურქული, აზერბაიჯანული, სპარსული და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერება; იგი, როგორც აღვნიშნეთ, პოპულარულია, აგრეთვე, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ერთ-ერთი ვარიანტი დაიბეჭდა ჟ. „თეატრში“ (№ 45) 1886 წელს თეოფილე ხუსკივაძის მიერ შეკრებილ ანეკდოტთა შორის, თუმცა, მთავარ მოქმედ პირს აქ „ერთი კაცი“ ჰქვია და ეს უსათუოდ ის შემთხვევაა, როდესაც მოლა ნასრედინის ანეკდოტი

უკვე მოქართულებულია, განზოგადოებულია. ამ ვარიანტით, გახარბებულმა მეზობელმა სასამართლოში იჩივლა, თუმცა, შეგონება ამ შემთხვევაშიც იდენტურია: ქვაბის სიკვდილის მოსმენით გაცემულ მოსამართლეს კაცმა (იგივე ნასრადინმა) ასეთი პასუხი გასცა:

„– როგორ, ბატონო, და ერთხელ ვთხოვე, მოგებით და მთლიანად დაფუბრუნე, ეხლა კი, საცოდავი, შვილიანობას თან გადაჰყვავო“.

ამ ანექდოტის ჩვენ მიერ 1975 წელს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, ნინა გაბიტაშვილისაგან ჩანერილი ვარიანტი ამგვარია: მოლა მასრადინამ მეზობელს ქვაბი სთხოვა და დაბრუნებისას თან პატარა ქვაბიც წამოუღო. მეზობელს გაუკვირდა. მოლამ უთხრა:

„– შენი ქვაბი ფეხმძიმედ იყო და ეს პატარა ქვაბი შობავო“.

მეზობელს გაუხარდა და გამოართვა ორივე ქვაბი. რამდენიმე დღის შემდეგ მოლა მასრადინამ ისევ სთხოვა ქვაბი მეზობელს, მან კი ყველაზე კარგი და დიდი ქვაბი გამოუტანა. გავიდა ხანი, მაგრამ მოლამ ქვაბი აღარ დააბრუნა. მეზობელმა მიაკითხა და უთხრა:

„– მოლავ, ჩემი ქვაბი დამიბრუნეო“.

„– ვნუხვარ, მეზობელო, მაგრამ შენი ქვაბი მშობიარობას გადაჰყვავ, მოკვდაო“, – უპასუხა მასრადინამ.

„– სად გაგონილა ქვაბის სიკვდილი?!“ – დაიყვირა მეზობელმა.

„– თუ ის გაგონილა, რომ ქვაბმა იმშობიაროს, ისიც უნდა გაიგო, რომ მშობიარობას გადაჰყვავო“, – დინჯად მიუგო მოლამ.

ამ ანექდოტის საინტერესო ვარიანტი გამოაქვეყნა მკვლევარმა რევაზ ბაქრაძემ; ამ ვარიანტის თანახმად, მეზობელი „სიხარულით ცას ეწია“, როცა მოლამ ნათხოვარ ქვაბს პატარა ქვაბიც მიაყოლა; ხოლო როცა მეორეჯერაც ათხოვა და მოლამ უთხრა, შენი ქვაბი მოკვდაო, გაიკვირვა:

„– ეს როგორ?! ქვაბი როგორ შეიძლება, მოკვდეს, ცოცხალი ხომ არ არის?!“

მოლამ მშვიდად უპასუხა:

„– თუ ის დაიფერე, რომ ქვაბმა იმშობიარა, რატომ არ გჯერა ქვაბის სიკვდილიო?“ (ბაქრაძე, 2003: 153-154).

კლარჯული მახვილსიტყვაობის ობიექტები ხშირად ქლასკურელები არიან. სოფელ ჯივანში 2007 წელს რამაზ ხალვაშის მიერ ჩა-



წერილი ანექდოტის (მთქმელი ემინ გორმეზი) თანახმად, ქლასკურელს მანქანა ცხოველი გონებია და ბალახი მიუროთმევი:

ქლასკურში მანქანას ტვირთი აუტანია. დედაბერს უთქვამს:

„– ამდონი ჭვირთი ამეფტანა, მომრეველი იქნება! – და მოლი დუ-უდვია, მანქანამა ჭამოსო“...

ქლასკურელებს ვირისმჭამელებს ეძახიან. ამ მეტსახელის „პატივის“ ისტორია კი ამგვარია: ქლასკურელი კაცები შველზე სანადიროდ წასულან. მათი ჭკუით შველი მოუკლავთ, მაგრამ „ნანადირევს“ ფეხებზე ნალები აღმოაჩნდა. ერთს უთქვამს:

„– კაცო, ეს ვირიავო, ნალები დაბეგილი აქო!“

მეორეს მეტი „გონებამახვილობა“ გამოუჩენია:

„– კაცოვო, მუსამა დაბეგა და ღმერთმა ვერ დაბეგავდაო?“

ანექდოტის სიბრძნე კი დასძენს: „ეჲდა, ვირი უჭმიან. ამისთინ ვირიმჭამელ უძახიან“ (მთქმელი ემინ გორმეზი (ჰელიმოლლუ), 58 წლის. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს).

სულხან-საბასეული „ენით დაკოდილის“ მოტივს შეიცავს ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ კირქვანმანში 70 წლის მახმედ აიდინისაგან (მეველუდოლი) 2013 წელს გიორგი მახარაშვილის მიერ ჩაწერილი მახვილსიტყვაობა: დაჭრილ დათვს შეხვდა კუ და ჰკითხა:

„– ჯო, რა გექნა, ფეხზე სისხლი გაქო?

– ავჯებმა დამმართა ეს საქმეო“.

კუმ ამპარტავნობა დაინყო და ჰკითხა:

„– ჩვენი ბიჭები იყნენ სანადიროთ, იმათ ხო არ დაგმართეს მაგრეო?“

დათვი გაბრაზდა და უთხრა:

„– ე გაჭრილ აფერ არ მიზამს, მაგრამ შენმა სიტყვამ მომკლა ზათინო!“

რიზელი თემელის გულუბრყვილობას დასცინიან კლარჯები ანექდოტით, რომელიც პროფესორმა რამაზ ხალვაშმა ჩაინერა 2007 წელს სოფელ ჯივანში 58 წლის ემინ გორმეზისაგან: თემელს ჩამოხრჩობას უპირებენ და ჰკითხეს, სათქმელი თუ გაქვს რამეო. თემელმა უპასუხა, რომ ეს სასჯელი მისთვის მაგალითი იქნება და ამგვარ საქმეს აღარ ვიზამო:

„– ეს ჩემზე თეზრუბე იქნავსო, სხუა არ ვიზამ ამ საქმესო!“

გულუბრყვილო პოლიციელის სახეა დახატული ერთ მარადიდულ ანეკდოტში (მთქმელი ემინე ოზთურქი (სალიროლლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს): პოლიციელმა მანქანა გააჩერა, „შუუხედა, მეგემ, თეელი მეტი კაე დანერილებია“. მძღოლს ეკითხება, ბევრი ფული უნდა მოგცე და რაში გამოიყენებო?

მძღოლმა უპასუხა, მართვის მონმობას („ელიეთს“) ავიღებო:

„– რაივო? ელიეთი თუ არ გაქ, რაის არაბააო?“ – ეკითხება გაცებული პოლიციელი.

ამ დროს გვერდით მჯდომმა ქალმა უთხრა:

„– ამას ყურზე არ დუუხედოო, ნასმავიაო, რახი უსმიაო!“

პოლიციელი სახტად დარჩა. ახლა უკან მჯდომმა ერთმა ქალმა წამოყო თავი:

„– მე თქვენ გითხარით, მოპარილი მანქანით არ წევდეთო! შეიშალა პოლისი“.

მეორემაც თავი წამოყო და იკითხა:

„– სინორი არ გედევარეთ თუო?

პოლისი თლა შეიშალა...“

კლარჯთა იუმორს არც მაჭახლელები დაუტოვებია „გულნაკლული“. სოფელ ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში, 2013 წლის 4 აგვისტოს პროფესორ მამია ფალავას მიერ 79 წლის შაბან გურგენიძისაგან ჩანერილი ანეკდოტი მოგვითხრობს: „მაჭახლელს ბეთმეზი უუღია, გუდაში უუვსია, მიაქ. „ბლუყ, „ბლუყ“, – იძახის ბეთმეზი.

– შენაო, მე მიმაქ და ბლაცვი ვარო?

გაბღეზდა, გუუყარა დანა, გუუფინა ბეთმეზი.

შაშვმა დეეხვია, „ჭუხ“, „ჭუხო...“

– შენ ჭუხ და მე არაო?

გამუუსხრიკა. გაფრინდა შაშვი. თავი ვერ დეიკავა, მაჭახლელი გუუფრინდა ხრამში... იქ დუუფლიან“.

გულუბრყვილობას დასცინის, აგრეთვე, ჯივანური მახვილსიტყვაობის ნიმუში, რომელიც პროფესორმა რამაზ ხალვაშმა ჩაინერა 2007 წელს ემინე გორმეზისაგან: თემელი და დურსუნი სახლს აშენებენ. თემელს ყურზე ფანქარი აქვს ჩამოდებული. დურსუნს ხელიდან აგური გაუვარდა და თემელს ყური მოაგლიჯა. დურსუნმა მონახა თემელის ყური და გაუნოდა.

„– ა, თემელ, შენი ყურიო“.

„– მაგ ჩემი ყური არაა, ჩემი ყურს ყალბეი ქონდაო!“

გამოუხსნორებელი თაღლითის პორტრეტია დახატული ანეკდოტში, რომელიც მარადიდელი ემინე ოზთურქისაგან ჩავინერე 2014 წელს. ერთი კაცი ფულს სესხულობს და აღარ აბრუნებს. ერთ დღეს კვლავ დაჭირდა ფული და აპირებს, წავიდეს იმავე კაცთან, ვისი ვალიც აქვს. ცოლი უშლის:

„– არ წახვიდეო, ართმულეები არ მიეციო, სხვა არ მოგცემს ფულიო!“

კაცმა არ დაუჯერა, მაინც მომცემსო. წავიდა და კვლავ ფულს ითხოვს, მაგრამ უარს ეუბნებიან. ცოლი მალულად უსმენს. ქმარი ეუბნება:

„– ხელი-ფეხზე გაკოცებო, ეს ფული მომეციო!“

ამ სიტყვების გაგონებაზე კაცმა ფული მისცა. სახლში რომ მივიდა, ცოლს ნიშნისმოგებით უთხრა:

„– თქვი, არ მომცემდა, მომცაო!“

ცოლმა მიუგო:

„– არ შეგრცხვაო? ასე უთხარი, ხელი-ფეხზე გაკოცებო და იმითვინ მოგცაო!“

– მე ხელი-ფეხზე გაკოცო'ნა უთხარ, იმანო ტ...ზე მაკოცოს, ეს ფული კიდე არ'ნა მივცეო!“

გონებამახვილობა და ენამოსწრებულობა ქართული ხალხური მახვილსიტყვაობის ერთ-ერთი უმთავრესი პათოსია. ერთი მარადიდული ანეკდოტის (მთქმელი ემინე ოზთურქი. ჩავინერა თინა შიოშვილმა 2014 წელს) თანახმად, ერთ კაცს ძროხა ძალიან ავად გახდომია. ღმერთისთვის აღთქმა მიუცია:

– ღმერთო, ძროხას თუ მომირჩენ, თხუთმეტ დღეს ვიმარხულებო!

დილით ბოსელში ჩასულს ძროხა კარგად დახვდა. გახარებულმა კაცმა თხუთმეტი დღე იმარხულა, მაგრამ მეთექვსმეტე დღეს ბოსელში ჩასულს ძროხა მკვდარი დახვდა. მოხერხებული ძროხის პატრონი არ დაიბნა და ღმერთს თავისი „გადანყვეტილება“ მოახსენა:

– ტყუილად ხომ არ ვიმარხულე, ძროხას შესანიშნად ჩავთვლი და რამაზანში აღარ ვიმარხულებო!

გველელების მიერ მარილის დათესვის ამო მცდელობა, რასაც კომიკური სიტუაცია და მსხვერპლიც კი მოჰყვა, საყოფიერო ლირიკის გარდა, მახვილსიტყვაობაშიც წარმოჩინდა. პროფესორ რა-

მაზ ხალვაშის მიერ 2013 წლის 8 აგვისტოს სოფელ ქართლაში აბდულ ილდირიმისაგან (იმამოლლი) ჩანერილი ანექდოტი ამგვარია:  
„გველია, იქა მარილი დათესეს. გათოვდა. გაყინა. მოვიდენ, ნახეს:

– ოო, ამოსულაო! წავიდეთ, თორბა-მორბა მოვტანოთ, წველოთო.

იმათ მოსლამდე მზე ამოვდა, გააშრო ყინვა.

– რაცხამ შიგვიჭამაო!.. აჯაბა, რა ჭამსო?

გაბრაზდენ. დუუცვიან. მკალი მოსულა, დააყდა ერთ ძმას შუბლზე.

– აგერააო, – თითით აჩვენა ძმას, ნიშაეთი უქნია.

მეორემ დააქუხა „ბაქ!“ – კალი მოკლა, ძმაეც... მისი ძმაე მუუკლია!..“

ამ ძალზე პოპულარული ანექდოტის ვარიანტი თავად სოფელ გველში დააფიქსირა პროფესორმა მამია ფალავამ 2014 წელს ბურჰან ილდირიმისაგან, თუმცა გულუბრყვილო მთესველების სადაურობა არ ჩანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სიუჟეტის მახვილსიტყვაობა ფართოდ არის გავრცელებული შავშეთში, ლაზეთში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განასაკუთრებით კი – აჭარაში, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კლარჯ ჩვენებურთა მახვილსიტყვაობის ეს ნიმუში საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებულ მახვილსიტყვაობაში პოლიტიკური თემაც გამოერია. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში 48 წლის იზეთინ თუთარისაგან გიორგი მახარაშვილის მიერ 2014 წლის 13 ივლისს ჩანერილი ანექდოტის პერსონაჟად გამოყვანილია სტალინი, რომელმაც თავის ამხანაგებს უჩვენა, თუ რა არის „დემოკრატია“: სტალინს ამხანაგებმა უთხრეს, დემოკრატია ვაიაო. სტალინი გაბრაზდა („გაგულიანდა“) და ბრძანა, ქათამი მოეყვანათ. მიუყვანეს და ცოცხალი ქათამი „გუუპუმპლია, ოდაში გუუგდია“. ქათამს ბევრი „უჭყავლია“, მაგრამ გასაქცევი არსად ჰქონია და ოთახის კუთხეში მიყუჟულა. „სტალინსა თითო-თითო სიმინდი დუუდვია, ერთი ჭაჭვიც მისი სკამის ღარზე დუუყრია. ქათამი თითო-თითო წაყოლია სიმინდ, მის ფეხებში მისულა, დანოლილა, იშტე“.

სტალინს უთქვამს:

„– ინსნებიც ასე არიან: გაპუმპლე, გაპუმპლე, ორი მარცვალი დუდვე, კიდომ ფეხებში მეგეხვევიანო!“

მთქმელის დასკვნაც ამგვარია: „ხალხი ერთნაირია, გალუმპე, გალუმპე, ორი თანა სიმინდი მიეცი, წამოგყვება!“

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან თითქმის მთელს მსოფლიოში გავრცელებული მოლა ნასრედინის ციკლის ანეკდოტები კლარჯთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი უბანია. კავკასიურ (და ქართულ) ფოლკლორულ პროცესთან ორგანულად შერწყმული მოლა მასრადინას (ნასრეთინ ხოჯას) შთამბეჭდავი მახვილსიტყვაობით ჩვენებურები გამოსატავენ თავიანთ კეთილ, სათუთ დამოკიდებულებას ბრძენი, ოხუნჯი ნასრეთინის მიმართ, რომელიც დაგვცინის არა იმიტომ, რომ გული გვატკინოს, არამედ იმისთვის, რომ დაგვაფიქროს, დაგვეხმაროს ადამიანურ ნაკლოვანებათა დაძლევაში.

კლარჯულ მახვილსიტყვაობათა ნიმუშებში, ისევე, როგორც ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ვარიანტებში, წარმოჩენილია რეალური ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო თემატიკა; მათში ცხოვრებისეული პრობლემების გადმოსაცემად და სამხილებლად, როგორც ამ ჟანრისათვის არის დამახასიათებელი, „უაღრესად ლაკონურად არის წინა პლანზე წამოწეული გონებამახვილური ჩანაფიქრი, რომლის სიუჟეტური რეალიზებითაც ხორციელდება უმტკივნეულო მხილება“ (შიოშვილი, 2011: 217). ეს მშვენიერი ხალხური ანეკდოტები თავიანთი გენეზისითა თუ იდეურ-თემატური განფენილობით ეროვნულ-ქართული მოვლენაა და მისი მატარებელი ხალხის იდენტობის ერთ-ერთი მკაფიო გამოსატულება.

## საბავშვო ფოლკლორი

ქართული ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს საბავშვო ფოლკლორი, რომელმაც, როგორც მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი მიუთითებს, „ქართველი ხალხის წარსულის, მისი შემოქმედებითი პოტენციისა და ეროვნული თავისებურებების მრავალი საიტერესო რეალია და ნიშანი შემოინახა“ (ზანდუკელი, 1973: 248).

საბავშვო ფოლკლორს მკვლევრები სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: 1. ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, რომელიც მოზრდილთა მიერ არის შექმნილი ბავშვებისათვის, 2. ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, რომელმაც მოზრდილთა რეპერტუარიდან, სხვადასხვა მიზეზთა გამო, საბავშვო ფოლკლორში ჰპოვა თავშესაფარი და 3. საკუთრივ ბავშვთა წრეში შეთხზული და მათსავე რეპერტუარში შესული ფოლკლორული ნიმუშები. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ამ ერთ-ერთ მძლავრსა და უაღრესად ქმედით შენაკადში მთელი სისავსით გაცხადდა როგორც პატარების, ისე მათი აღმზრდელების გუნება-განწყობილებანი, ფიქრები და ოცნებები, ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებული შეხედულებანი და, რაც მთავარია, უშუალო და მტკიცე პოზიცია ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისა.

საბავშვო ზეპირშემოქმედებას, უშუალოდ ბავშვთა წრეშია წარმოშობილი თუ მოზრდილთა მიერ არის შექმნილი ყმანვილთათვის, ჩვენში ძველთაგანვე უდიდესი აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება და დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს დღესაც, რადგანაც მომავალი თაობის ეთიკურ-ესთეტიკური ფორმირების საპატიო მისიას ასრულებს.

საყმაწვილო ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი და სწრაფვა, ფოლკლორული შემოქმედების სხვა ჟანრებთან ერთად, ბოლო დრომდე შემოინახეს ისტორიული კლარჯეთის მცხოვრებლებმა და საქართველოს ამ ძირძველი კუთხიდან ცენტრალური თურქეთის ტე-

რიტორიაზე განსახლებული კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლობა-  
მაც. მართალია, სამწუხაროდ, მათ ზეპირსიტყვიერებაში ქართული  
საბავშვო ფოლკლორის ყველა ტრადიციული სახე აღარ არის შემო-  
რჩენილი, მაგრამ ის ნაწილიც საყმანვილო ხალხური სიტყვიერები-  
სა, რაც მათ სულიერ კულტურაში შემონახულა და ბოლო დრომდე  
ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია, ერთ-ერთ საიმედო ფაქტორად  
გვესახება მათი ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად.

საბავშვო ფოლკლორის ნიმუშთაგან კლარჯ ჩვენებურებს შო-  
რის ძირითადად დავაფიქსირეთ სააკვნო ლექს-სიმღერები, ეგრე-  
თნოდებული სალალაო და შესაქცევარი ტექსტები, ლექსები ფრინ-  
ველებისა და ცხოველების შესახებ, „ცოცხალი ტყუილის“ ციკლი  
და სალალაო ლექს-სიმღერები.

## 1. სააკვნო ლექს-სიმღერები

მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, საბავ-  
შვო ზეპირსიტყვიერება ღირსეული მამულიშვილების, ზნეობრივად  
სრულყოფილი მოქალაქეების აღზრდას ემსახურება, რაც, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, დედის უმთავრესი მოვალეობა და მიზანია. ამ თვალსა-  
ზრისით გამორჩეულია საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთი არქაული  
და მარად ახალი უბანი – სააკვნო ლექს-სიმღერები, ეგრეთნოდებუ-  
ლი „ნანები“ („იავნანები“), რომელთაც ცნობილმა რუსმა მკვლევარმა  
ო. კაპიცამ „დედათა ღირიკა“ უწოდა (Капица, 1992: 37). „ქართულ  
ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებში ძალუმად აისახა ჩვენი ხალხის  
მდიდარი სულიერი პოტენციის გამომხატველი მოტივები“ (შიოშვი-  
ლი, 2004: 67), წარმოჩინდა ქართველი დედის ღირსსახსოვარი სახე.

ქართველი ხალხის ტვირთმძიმე ისტორიამ, გარეშე მტერთაგან  
გამუდმებულმა აგრესიებმა თუ შინაურმა შუღლმა და აშლილობამ  
თავისებური ღრმა კვალი დააჩნიეს სააკვნო ლექს-სიმღერებსაც,  
თუმცა, ქართველი დედის მიერ ყრმათათვის სამღერი საგალო-  
ბლის უმთავრესი პათოსი და მისია დღემდე გაუხუნარია და პირ-  
ველქმნადობის ხიბლით არის აღბეჭდილი. ამის ნათელი დასტურია  
არამარტო საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებუ-  
ლი „ნანას“ ვარიანტები, არამედ, ისტორიული ძნელბედობის გამო,

საქართველოსაგან მოწყვეტილი და დღეს თურქეთის რესპუბლიკაში შემავალი ისტორიული ქართული კუთხის – კლარჯეთისა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში (ბურსა, ინეგოლი) რუსულ აგრესიას გაქცეული კლარჯი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებიც მოპოვებულია 2007, 2013 და 2014 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში.

თანამედროვე კლარჯი დედები ბავშვებს აკვანში თითქმის აღარ აწვნიან. ჩემს შეკითხვაზე, ბავშვებს აკვანში თუ ზრდით-მეთქი, ქალბატონმა საბრიე გურსუიმ (65 წლის, მცხოვრები სოფელ გურბინში (ფეთექოი) მიპასუხა:

„– მე რა ვი, მე აკვანში გავზარდე ღარჭები, ჰამა ჩემი რძლები არ აწვნიან“.

აკვანი ბევრ მათგანს შენახული აქვს და მისი სახელიც შემორჩენილია სააკვნო ლექს-სიმღერათა ტექსტებში; აღსანიშნავია, რომ აკვანს კლარჯი მუჰაჯირები ისეთივე სააღერსო სიტყვებით („აკვანა“//“აკვანა“, „კაკანა“) მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში:

ნანი, ნანი, ნანინაჲ,  
ნანი, ნანი, აკვანსა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ!

(მთქმელი სემაჰათ შაქირი, 68 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ მურლულში (სირეთი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს.)

ანდა:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინე კაკანაჲ!..

(მთქმელი აიშე ეროლი, 70 წლის, მცხოვრები გოლჯუქის რაიონის სოფელ აივასფინარში (ძველი სახელია ჩათალთაში). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს.)



საინტერესოა, აგრეთვე, ჩვენებურთა შორის შემორჩენილი ჩვილის აკვანზე ახალგამომცხვარი პურის გადატეხის არქაული ტრადიცია, რაც ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეს ხდება; ეს რიტუალი ქართული, ქრისტიანული გენეზისისაა და, როგორც ჩანს, კლარჯებმაც შემოინახეს. 2007 წლის 29 ივლისს სოფელ ჯივანში (ჯვანი) მცხოვრებმა 85 წლის აიშე გორმეზმა (ჰელიმოლლი) გვითხრა:

„– ბავშვი რო დეზადება, პურ გამუაცხებდით, მეშვიდე დღეზე გამუაცხებდით, ეზან ჩუუკითხავთ, რაცხან სახელი დაარქვანა. აკვანზე გუდუუტეხებდით პურ, „პურსავენ გასუქდი, წინ წამოიო!„

კლარჯი ჩვენებურები სააკვნო ლექს-სიმღერათა ტრადიციული სახელის („ნანა“) პარალელურად ხმარობენ ტერმინებს: „დაძინებისა“ (მთქმელი ვილდან ერქილიჩი, მცხოვრები სოფელ ქართლაში) და „მონანიება“ (მთქმელი ალთუნ თაბანი, მცხოვრები სოფელ ქლასკურში).

კლარჯი დედები თუ ბებიები მათ მიერ ნამღერ „ნანებში“ ტრადიციულად გამოხატავენ უნახეს სიყვარულს ჩვილისადმი, უსურვებენ გაზრდას, კარგი შვილობის განევას, კაცად გახდომას, ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებასა და სხვა ადამიანურ სათნოებებს.

2007 წლის 4 აგვისტოს კლარჯეთის სოფელ ავანაში (ავჯილარი) 70 წლის ნურიე ეფენდოლისაგან (ფაღავა) ჩვენ მიერ ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში ხაზგასმით, საგანგებოდ არის წარმოდგენილი დასაძინებელი ყრმის წარმომავლობა: თურქულ გარემოში საუკუნეთა მანძილზე მცხოვრები დედები, თავიანთ რეპერტუარში ერთგვარად შეუვალეები, ცდილან, არ დავინყებოდა არც პირმშოსა და არც სხვა მსმენელს, რომ ის ქართველია და ამიტომაც მას „გააურად“ მოიხსენიებს. როგორც ცნობილია, „გააური“ მუსლიმთა შორის გავრცელებული სალანძღავი სიტყვაა და ნიშნავს ურჯულოს, ურწმუნოს, არამუსლიმანს, ქრისტიანს. მართალია, კლარჯელები კარგა ხნის გამუსლიმანებულნი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიტყვა, რომლითაც თურქები მათ მიმართავდნენ იმიტომ, რომ ისინი ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ, მათთვის ქართველობის ტოლფასი ტერმინი გახდა, ქართველობას ნიშნავდა და ამიტომაც, როგორც ჩანს, ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებას ეს სიტყვა სწორედ ქართველობის მნიშვნელობით შემორჩა, რადგანაც სარწმუნოება მათ თურქების იდენტური აქვთ.

საანალიზო სააკვნო ლექს-სიმღერაში გამოთქმულია სურვილი ბავშვის გაზრდისა და კაცად გახდომისა:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინოს ჩემი გააურმა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს, გეიზდესა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
გეიზდეს და კაცი გახდესა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ...

(შოშოვილი, მახარაშვილი, 2014: 142)

კლარჯეთის ულამაზეს სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოჲ) ჩვენ მიერ 2007 წლის 31 ივლისს 70 წლის ხატიჯე ილმაზისაგან (ქესკინოლლი) ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაშიც მთქმელი „გააურად“ მოიხსენიებს ბავშვებს:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინოს აკვანაში!  
ჩემი ზამეთი ნანაჲ,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს ჩემი გააურებმა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
ნენეჲ არა, ბაბოჲ არა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს აკვანაში,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!..

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებში, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ფორმებში, გამოძახილი ჰპოვა საყოფაცხოვრებო ნიუანსებმაც. ეს, ბუნებრივია, შეინიშნება კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებშიც. ზემოთ განხილულ „ნანაშიც“ წარმოჩენილია, რომ დიდება აძინებს დედ-მამით ობოლ ბავშვებს და გულისტკივილით მიუძღერებს ამის თაობაზე („ნენეჲ არა, ბაბოჲ არა...“).

სოფელ ქართლაში (თუთუნჯულერი) მცხოვრები 67 წლის ვილდან ერქილიჩისაგან (კუტუნოლლი) ჩვენ მიერ 2007 წლის 4

აგვისტოს ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში გამოთქმულია ყველა ეპოქის დედებისათვის სანუკვარი ოცნება: მშობლებს გაეზარდოს კარგი შვილი და „დიდი კაცი“ გახდეს:

დეიძინოს და დეიძინოს,  
გეიზდეს ჩემი ბიჭი,  
დიდი კაცი გახდეს!  
დედაზე, მამაზე  
კარგი შვილი იყოს!

მთქმელმა ამ სააკვნო სიმღერას მოაყოლა შენიშვნა:

„– ეს დაძინებისაა, ძველი დედაბრები გურჯულა ეტყოდენ“.

კარგი შვილის გაზრდის სურვილია გამოთქმული 2014 წლის 5 აგვისტოს სოფელ ტრაპენში (თარაქლი) 51 წლის შააზიე ბოლქვაძისაგან ჩვენ მიერ ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაშიც:

ნანი, ნანი, ნანაა!..  
დეიძინე, მალ ადექი,  
კაე გეიზარდე!  
ნანი, ნანი, ნანაა!..

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 71)

ტრადიციისამებრ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ „ნანებში“, ისე კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებშიც ბავშვს დროული და მშვიდი ძილის „საფასურად“ ტკბილელს პირდებიან, ღმერთს (გამჩენელს) მის გაზრდას შესთხოვენ. ამის დასტურია 2013 წლის 6 აგვისტოს სოფელ მარადიდის (მურათლი) ერთ-ერთ უბანში – ბალაბანაქედში – 73 წლის ჰურიე ქურდარისაგან ჩემ მიერ ჩანერილი „ნანა“, რომელსაც ახლავს მთქმელის შენიშვნა: „– დაძინებისან მღეროდენ. დავაძინავთ და ჩვენი საქმე ვიქამთ“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლარჯული „ნანას“ ამ ვარიანტს პატრიარქალური ოჯახის კვალიც შემოუნახავს:

ნანინი, ნანი, ნანაადა!  
დეიძინოს ჩემი ღარჭი,  
გეზარდოს ნენეთ,  
ბაბაათ, დიდი ნენეთ!  
დედე'ნა მოვდეს,

შექერი'ნა მუუტანოს!  
დიდი დედე'ნა მოვდეს,  
შექერი'ნა მუუტანოს!  
გეზარდოს'ნა ჩემი ღარჭი,  
ღმერთმა მიცოცხლოს, გამჩენელმა!  
ნანინი, ნანი, ნანააღა!..

(შოოშვილი, მახარაშვილი, 2013: 86).

კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებში მშვიდი და დროული ძილის წინ საჩუქრად ჩვილისათვის, თუკი მას დედა არ (ვერ) აძინებდა, მოიაზრება, აგრეთვე, დაპირება იმისა, რომ დედა მალე მოვა:

ნანი, ნანი, ნანაა,  
მოვა შენი ნენეა.

მთქმელმა – 73 წლის ვილდან ერქილიჩმა (კუტუნოლი), რომელიც ცხოვრობს სოფელ ქართლაში (თუთუნჯულერი), ასე განმარტა „ნანას“ ფუნქცია: „– დასაძინებელია. ბალანას დავტევედით, გუდუუჭირებდით აკვანში, ჩვენ ძროხებ მოვწვევდით“ (ჩაინერა თინა შოოშვილმა 2013 წლის 9 აგვისტოს).

საყურადღებოა ამ მინიატურული „ნანას“ იუმორით შეზავებული ვარიანტიც:

ნანი, ნანი, ნანაა,  
ტურამა შეჭამოს შენი ანაა!

(მთქმელი მუზეფერ ილდიზი, მცხოვრები სოფელ ერეგუნაში. ჩაინერა ნუგზარ მგელაძემ 2014 წლის 6 აგვისტოს.)

საკვნო ლექს-სიმღერათა საყურადღებო ვარიანტები დააფიქსირა მკვლევარმა ვარდო ჩოხარაძემ კლარჯეთის ულამაზეს სოფელ კაპარჭეთში 2007 წლის 5 აგვისტოს. ერთი ვარიანტით, სათაურით „ნანდალიკო“ (ჩანერილია 60 წლის ფერიე თოფლუს თქმით), ბავშვის დამძინებლად (და, შესაბამისად, „ნანას“ მომღერლად) მოიაზრება არა დედა ან ბებია, არამედ – სხვა ოჯახის წევრი (მეზობელი, ნათესავი), რომელიც ახმოვანებს დედისეულ განწყობილებას:

ნანი, ნანი, ნანდალიკო,  
დეიძინე და გეიზდო!  
შენი ნენე ჩვენსას იყო,  
შენ გაქებდა, მათალ იყო.  
ნანი, ნანი, ნანდალიკო!..

ამავე სოფელში ჩანერილ „ნანდალიკოს“ სხვა ვარიანტშიც (მთქმელი 60 წლის რემზიე ქოინჯუ) იგივე განწყობილებაა გადმოცემული, ოღონდ მასში კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია წარმჩენილი მთქმელისეული სიტბო და სიყვარული ჩვილისადმი, რომელიც ოქროდ და მარგალიტად მოიხსენიება:

ნანი, ნანი, ნანდალიტო,  
შენ ოქროდ და მარგალიტო!  
შენი ნენე ჩვენ სახში იყო,  
შენ გაქებდა, მართალ იყო.

ყრმათავის განკუთვნილი კლარჯული „ნანების“ ტექსტებში შესულია მშრომელთა საყოფიერო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მოტივები, ცალკეული ფრაზები, ნახალისება აკვანში მწოლიარე ბავშვისა, სურვილი მისი დროულად დაძინებისა, რათა მშობლებს საშუალება მისცემოდათ, შეესრულებინათ მათთვის განკუთვნილი სამუშაო. 2013 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქლასკურში, წკირმონეთის უბანში, 78 წლის მიერიე ქესუმისაგან ჩემ მიერ ჩანერილ ეგრეთწოდებულ „დასაძინებელ“ სიმღერაში პირდაპირ არის მინიშნებული, რომ დედა ყანაში წასვლას ეშურება:

ნანი, კუკულო, ნანი,  
დეიძინე, წევდეთ ყანაში!..

„– ვეტყოდი და მევიკიდებდი კალათ, წევდოდი ყანაში. ნადი იყენ, საქმობდენ“, – დასძინა მთქმელმა.

კლარჯული „ნანების“ ტექსტებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ სააკვნო ლექს-სიმღერებში, გვხვდება სალალობო, ყრმის გასათვითცნობიერებელი სტრიქონებიც, რითაც ბავშვის მსოფლმხედველობა იზრდება და მდიდრდება, ეჩვევა გარესამყაროს; ამგვარია ჩემ მიერ სოფელ ბაგინის (ბალჯი-

ქოი) საზაფხულო საძოვარზე 67 წლის მერიემ ქესქინქურთისაგან 2013 წლის 7 აგვისტოს ჩანერილი „ნანა“:

ნანი, ნანი, ნანასა,  
თაგვი მიაქ კატასა.

ტრადიციულად ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერათა დიდ ნაწილში წარმორჩენილია ბავშვებისათვის ერთობ საინტერესო და მიმზიდველი გარემო, რომელიც იქმნება ცხოველებისა და ფრინველების მოხსენიებით, რაც უხვად კვებავს ბავშვთა ფანტაზიას და არამც და არამც არ ემსახურება მათ დაშინებას. ერთ-ერთი მთიულური „ნანა“ ამგავრია:

ნანა, ნანა,  
აქშა, ქშა, ქშა!..  
დაიძინე, დაიძინე,  
მგელი მოდის...  
ნანა, ნანა...  
ქათამი მოდის –  
აქშა, ქშა, ქშა!..

(ქ. ნ. პ., 1979: 114)

ტრადიციას არ ლალატობენ კლარჯი ჩვენებურებიც. 2014 წლის 6 აგვისტოს სოფელ ერეგუნაში (ერენქოჲ) 55 წლის სევენ ილდიზისაგან ჩვენ მიერ ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში ბავშვს „აფრთხილებენ“, დაიძინოს, რათა ტურამ არ შეგჭამოს; ამასთანავე, პირდებიან, რომ დააქორწილებენ:

ნანი, ნანი, ნანაჲ  
დეიძინოს ჩემი ლარჭი!  
ტურამ არ შეგჭამოს!..  
კიდენ დაგაქორწილავს  
შენი ბაბაჲ.

აღსანიშნავია, რომ ტურას ხსენება ბოლო დრომდეა შემორჩენილი ბავშვის დასაძინებელ მგერულ „სისა ტურაში“:

...სისა, ტურა მოდისო,  
ბონდო ბიჭს ძინავსო,  
ბონდო ბიჭი ეხუტება  
თავის დედას გულშიო...

(ქ. ბ. პ., 1979: 121)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 66 წლის მარადიდებლმა (მურათლი) ნიპათ ობთურქმა, გურჯებისა და თურქების მშვიდობიანი თანაცხოვრების თაობაზე მსჯელობისას გვითხრა: „ჭკუით იყავთ, ლამაზ იყავთ, მიტოლებით ყველაფერი იქნება. ჩვენ (გურჯებს – თ. შ.) გვიჯიგინებენ... დაცოტავდენ თურქიეში, ეშინიან... ღარჭ რო დაარწვევენ, „– ოსმანლი მოვაო“, – ეტყვიან... ეშინიან... ასეა გააური...“

კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემორჩა ტრადიციული ხალხური სააკვნო, ანუ ბავშვის დასაძინებელი, ლექს-სიმღერები; ამ ნიმუშებს ჩვენებურები, ზოგადქართულის მსგავსად, „ნანას“ ეძახიან; ხმარობენ, აგრეთვე, ტერმინებს: „დაძინებისა“, „მონანიება“. მართალია, კლარჯულ სააკვნო პოეზიას აღარ შემორჩენია ქართული ხალხური სააკვნო ლექს-სიმღერებისათვის ესოდენ დამახასიათებელი პატრიოტული სულისკვეთება, მაგრამ მათში ჩაქსოვილი მშობლის უზენაესი სიკეთე, სითბო და სიყვარული ჩვილისადმი, სურვილი ღირსეული მოქალაქის, კარგი შვილის გაზრდისა, რაც ოდითგან ახასიათებს ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებს, კლარჯი ჩვენებურებისათვის მათი იდენტობის ერთ-ერთი გამოვლინებაც არის.

## 2. სალალაო და შესაქცევარი ლექს-სიმღერები

საბავშვო ზეპირსიტყვიერების ამ უბნის სახელდება – „სალალაო“ – დაკავშირებულია პროფესორ ქსენია სიხარულიძის სახელთან; სიტყვა მომდინარეობს სპარსული ტერმინიდან „ლალა“, რაც ძიძას ნიშნავს და შინაარსობრივად ამგვარი პოეზიის შემსრულებელთა ტრადიციას უკავშირდება (სიხარულიძე, 1938: 7). „შექცევა“ კი გართობის ტოლფასი ცნებაა და ზუსტად ესადაგება ამ ტერმინით გაერთიანებულ ფოლკლორულ ნიმუშთა მიზანდასახულობას.

სალალო და შესაქცევარი ზეპირსიტყვიერების მიზანია, ასაკის გამო ჯერ კიდევ დამოუკიდებლად გართობა-თამაშის უნარმოკლებულ ყმანვილთა შექცევა და, ამავე დროს, მათი გონებრივი განვითარება, რამდენადაც ბავშვები მცირე ასაკშიც მშვენივრად ამყარებენ კონტაქტს აღმზრდელებთან, რაც, ბუნებრივია, „თავის გამონახტულებას პოულობს ყმანვილთა განცდებისა და ემოციების ამეტყველებაში“ (ზანდუკელი, 1973 ; 263).

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია სალალო და შესაქცევარი ფოლკლორული ნიმუშებით და, ბუნებრივია, კლარჯი ჩვენებურების ფოლკორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოინახა ზოგიერთი მათგანი; ასეთია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული საბავშვო თამაში „ცერმა თქვა“ და მასთან დაკავშირებული ტექსტის ვარიანტები („...ცერას უთქმია...“// „...ცერაჲ თითი...“), რომელთა დანიშნულებაა, ყმანვილებში განავითაროს ცნობისმოყვარეობა, შეაგრძნებინოს საკუთარი სხეულის ნაწილები, დაამახსოვრებინოს მათი სახელები (ამ შემთხვევაში – თითებისა), მისცეს გარკვეული ზნეობრივი სენტენცია, რომ ქურდობა და დასმენა მანკიერებანია და, ამავე დროს, გამოიწვიოს ჯანსაღი სიცილი, როცა დასმენისა თუ მოპარვის „მონადინე“ ნეკა თითს „დასჯიან“. სოფელ მარადიდში (მურათლი) 2014 წლის 3 აგვისტოს 46 წლის ემინე ოზთურქისაგან (სალიროლლი) ჩემ მიერ ჩანერილი ამ ტიპის საბავშვო გასართობის ტექსტი ამგვარია:

ცერაჲ თითი: – მშიაო!  
 საჩვენებელი თითი: – რა ვჭამოთ?  
 შუანაჲ თითი: – ღმერთის მოცემულიო!  
 არათითი: – მეგპაროთო, – უთქმია.  
 ნეკა: – ვიტყვიო!..

„– ვიტყვიო, რომ თქვა, ურტყმიან და იმისთვის პანაჲ“, – დასძინა მთქმელმა.

კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლებს შორისაც კარგად არის ცნობილი საყმანვილო თამაში „...ცერმა თქვა...“, რომელიც მარადიდული შესაქცევარის მსგავსია; მასაც, ჩვეულებისამებრ, ახლავს ტექსტი, რომლის ფუნქციაც, ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, აღმზრდელობითია. 2013 წლის 12 ივლისს ქოჯაელის პრო-



ვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში (ბაალაქო) 69 წლის თახსიმ ქარამანისაგან ჩემ მიერ ჩანერილი ეს თამაში ამგვარია: მთქმელი ცერა თითს მოკაკავავს მეორე ხელის საჩვენებელი თითით და ამბობს:

ცერას უთქმია: – ვჭამოთ, ვჭამოთ!

შემდეგ მთქმელი საჩვენებელ თითს მოხრის და იტყვის:

– საჩვენებელ უთქმია: – რა ვჭამოთ?

შემდეგ შუათითს მოხრის და ამბობს:

– ორთათით უთქმია: – ღმერთის მოცემული ვჭამოთ!

ამის შემდეგ ჯერი მიდგება არათითზე; მთქმელი მას მოკაკავავს და ამბობს:

– არათით უთქმია: – ვისესხოთ და ვჭამოთ!

ბოლოს მთქმელი ნეკა თითს მოხრის:

– პანაჲ თით უთქმია: – ვიპაროთ და ვჭამოთ!

ეს უძველესი საყმანვილო თამაში, რომელიც კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლებმა შემოინახეს და რომელსაც, ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, ერთგვარი დრამის ფორმა აქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტივირებულია უაღრესად შთამბეჭდავი პედაგოგიური მიზანდასახულობით. მისი ერთ-ერთი გურული ვარიანტი ამგვარია:

ცერმა თქვა: – მშიაო.

სალოკმა: – რა ვჭამოთო?

შვალა თითმა: – ღმერთი მოგვცემსო!

არათითმა: – რომ არ მოგვცესო?

ნეკმა: – მევიპაროთო!

(ქ. ბ. პ., 1979: 134)

როგორც გურიაში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებშიც, ნეკა თითს „დასჯიან“ და ბავშვებს არწმუნებენ, რომ იმიტომ არის პატარა, ქურდობა რომ მოინადინა.

სალალო და შესაქცევარი ლექსების უმეტესობა პრაქტიკული დანიშნულებისაა და აღმზრდელს ეხმარება ყმანვილების კვებაში, გარეგნობის მონესრიგებასა და გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში; ამგვარი დანიშნულებისაა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ლექსი „...ნიპო, ნიპო...“, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი 1933 წელს ჩაინერა ქსენია სიხარულიძემ ჩოხატაურის რაიონში:

ნიპო, ნიპო, ნიპონია,  
თოთო კვერცი გიჭამია,  
პირზე გცხია, გიხარია.  
(ქ. ხ. პ., 1979: 367)

ლექსის ასევე არქაულ ვარიანტს ვხვდებით პეტრე უმიკაშვილის მასალებში:

ნი, ნიქორია,  
მთასა კვერცი გიპოვნია,  
გისვია და გიჭამია,  
პირსა გცხია, გიხარია.  
(უმიკაშვილი, 1937: 279)

ამ ლექსის ზოგადქართულ ვარიანტთა უმეტესობა კვერცხის პოვნასა და შეჭმას კატას მიაწერს, რაც კიდევ უფრო აფართოებს ყმანვილთა თვალსაწიერს:

ნიპო, ნიპო, ნიპუნია,  
კატას კვერცი უპოვნია,  
შეუნვია, უჭამია,  
პირზე სცხია, უხარია.  
ხი, ხი, ხი, ხი ...

(მთქმელი ეკატერინე იმნაიშვილი. ჩაინერა  
თინა შიოშვილმა 1980 წელს ქალაქ ბათუმში.)

აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ იაკობაძეებში დაფიქსირებული ვარიანტი (მთქმელი ასლან იაკობაძე, ჩაინერა თენგიზ იაკობაძემ 2010 წელს) ამგვარია:

ნიპოვნია, ნიპოვნია,  
კატას კვერცხი უპოვნია,  
უჭამია, გულზე სცხია.  
ბულუ, ბულუ, ბულუ...

ამ პოპულარული საყმაწვილო ლექსის ვარიანტები ფართოდ არის გავრცელებული კლარჯთა ზეპირსიტყვიერებაშიც. სოფელ ტრაპენში (თარაქლი) მცხოვრები 51 წლის შააზიე ბოლქვაძისაგან ჩემ მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს ჩანერილი შესაქცევარი ლექს-სიმღერა ამგვარია:

ნი, ნი, ნიპოლია,  
საქათმეში ქორნილია;  
არ მიჭმია, არ მისმია,  
გულუ, გულუ, გულუ...

ამ საყმაწვილო თამაშის მიმდინარეობა, მთქმელის განმარტებით, ამგვარია: ბავშვი და უფროსი „ხელის ზურგზე დენიკებთან, ზევით-ქვევით აწევენ, იტყვიან; „ნი, ნი...“ და ბოლო სიტყვებზე – „გულუ, გულუ...“ ბავშვს მკერდზე დაადებენ ხელს.

სოფელ ქლასკურში 84 წლის ალთუნ თაბანისაგან ჩემ მიერ 2014 წლის 2 აგვისტოს ჩანერილი ვარიანტის თანახმად, საქათმეში სამი გველია, რომლებსაც ქათმები დაუჭამიათ:

ნი, ნი, ნიპოლია,  
სამი ქათმის ბობოლია.  
მუუპარია, შუუჭამია,  
გულუ, გულუ, გულუ, გულუ...

მთქმელის განმარტებით, „– ერთმანეთ ხელის ზურგებზე ჩეეჭიდებთან, ზეით-ქვევით აწევენ, იტყვიან და ბოლოს დაამატებენ „გულუ, გულუ, გულუ“; მერე თითებ აათამაშებენ გულზე“.

ამგვარი საყმაწვილო თამაში ზოგადქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილია „ყვა-ყვას“ სახელით, თუმცა მისი თანამდევი ტექსტი განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, კლარჯული მასალის მიხედვით, საქმე გვაქვს სხვადასხვა საყმაწვილო თამაშისა და ტექსტის მონაცვლეობასთან.

### 3. ლექსები ფრინველებსა და ცხოველებზე

ხალხური ლექსები ფრინველებსა და ცხოველებზე ქართული საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთი მდიდარი უბანია; იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს კლარჯ ჩვენებურთა შორისაც. ფრინველ და ცხოველ პერსონაჟთა ურთიერთობანი, მათი სამყარო და ის პრიმიტიული სიუჟეტები, რომლებიც ახლავს ამგვარ ლექსებს, ხშირად მოგვაგონებს გალექსილ ზღაპარს, რის გამოც ნაწარმოები პატარებს უვითარებს სიუჟეტის ან ამბის მოსმენის, შემეცნებისა და ათვისების უნარს (ზანდუკელი, 1977: 22).

ლექსები ფრინველებისა და ცხოველების შესახებ სხვადასხვაგვარი ფორმისაა და ზეპირსიტყვიერების ძალზე მდიდარ ნაკადს წარმოადგენს. მათში ყოველთვის გათვალისწინებულია ბავშვის აზროვნება-შემეცნების უნარი და ასაკი. კლარჯ ჩვენებურთა შორის ყველაზე ხვავრიელად საბავშვო ფოლკლორის სწორედ ეს ჯგუფი დავაფიქსირეთ, რაც სრულიად ბუნებრივად გვესახება. როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისე კლარჯ მუჰაჯირებში გავრცელებულია ლექსები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სიუჟეტის ჯაჭვისებური განვითარების ფორმა, რომლის თაობაზეც პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ შენიშნა, რომ „ეს არის უძველესი პოეზიის მიერ ნაანდერძევი ამებეური ფორმა“ (სიხარულიძე, 1938: 12).

ხალხური ლექსებით ცხოველებზე და ფრინველებზე მდიდარი აღმოჩნდა საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ფინარქოში მცხოვრები 23 წლის ისლამ ქუსეს რეპერტუარი. 2013 წლის 17 ივლისს მისგან ჩავინერე ამ ტიპის ლექსთა სამი ნიმუში, რომელთაგან ორი ერთმანეთის ვარიანტია, მესამე კი იმავე სტილის განსხვავებული სიუჟეტის მქონე ლექსია:

მამალი: – ყი, ყი, ყი...

მელა: – მამალო, ჰა ყივი?

მამალი: – ჯინჭარში.

მელა: – რა გაცვია?

მამალი: – ბაბუჩი.

მელა: – ვინ იგილო?

მამალი: – ალამ.

მელა: – ალა ჰად არი?

მამალი: – ხიდზე გეჰარა.  
მელა: – ხიდი ჰად არი?  
მამალი: – წყალმა წეღო.  
მელა: – წყალი ჰად არი?  
მამალი: – ძროხამ შესვა.  
მელა: – ძროხა ჰად არი?  
მამალი: – დანამ დაკლა.  
მელა: – დანა ჰად არი?  
მამალი: – უსთამ წეღო.  
მელა: – უსთა ჰად არი?  
მამალი: – უსთამ მოკტა.  
მელა: – იმისი ქლიკები მოგხდა!

ამ ლექსის აჭარული ვარიანტების თანახმად, ბოლო სტრიქონის თქმა დასწრებაზეა (ქ. ხ. პ., 1979: 452). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლარჯული და აჭარული ვარიანტები თითქმის იდენტურია:

– ყიყლიყო, მამალო,  
წითელბიბილოვანო,  
სადა ხარ, სად ყივი?  
– ჭინჭრებში.  
– ფეხზე რა გაცვია?  
– წითელი ბაბუჩები.  
– ვინ გიყიდა?  
– დედამ.  
– დედაშენი სადაა?  
– ხიდზე მიდის.  
– ხიდი სადაა?  
– წყალმა წეილო.  
– წყალი სადაა?  
– ბუმ დააშრო.  
– ბუმე სადაა?  
– გორას ეფარება.  
– გორა სადაა?  
– ხარმა დახნა.  
– ხარი სადაა?  
– დანამ დაკლა.  
– დანა სადაა?

- უსტის ხელში.
- უსტა სადაა?
- მოკდა.
- მისი ჭლიკები მოგხდა!

(მთქმელი მზია ბედიანიძე, მცხოვრები დაბა ქედაში. ჩაინერა ინდირა ბედიანიძემ 2010 წელს. – ბსუ ჰმფკცფა)

სხვა აჭარული ვარიანტის (ჩაინერა მარიამ ჩოხარაძემ 2010 წელს ხელვაჩაურში მცხოვრები 69 წლის ასმათ ბოლქვაძისაგან) თანახმად, „წითელი პაპულები“ სიძის მოტანილია, ტრადიციული სახალისო დასასრული კი – მივიწყებული:

- ყიყლიყო, მამალო,
- წითელბიბილოვანო,
- სად ყივი?
- ჭინჭრებში.
- ფეხზე რა გაცვია?
- წითელი პაპულები.
- ვინ მოგიტანა?
- სიძემ.
- სიძე სადაა?
- წყალმა წეილო.
- წყალი სადაა?
- ბზემ დააშრო.
- ბზე სადაა?
- გორის უკან.
- გორა სადაა?
- ხარმა დახნა.
- სარი სადაა?
- დანამ დაკლა.
- დანა სადაა?
- უსტას ხელში.
- უსტა სადაა?
- ოხტა-მოხტა,
- უსტა მოკვდა!

ისლამ ქუსესაგან ჩაწერილი საყმაწვილო ლექსის სხვა ვარიანტის თანახმად, ერთმანეთს ესაუბრებიან ქათამი და მელა. ცხა-

დია, ამ შემთხვევაში ქათამში დედალი იგულისხმება. ამ ვარიანტში მელა ქათმის ჩასაცმლით კი არ ინტერესდება, არამედ – მისი კაცი, ანუ მამლის, სამყოფელით; შემდგომი დიალოგი პირველი ვარიანტის მსგავსია, მაგრამ ოდნავ განსხვავებულად ვითარდება:

ქათამი: – ყი, ყი, ყი...  
 მელა: – ქათამო, ჰა ყივი?  
 ქათამი: – ჯინჭარში.  
 მელა: – შენი კაცი ჰად არი?  
 ქათამი: – ხიდზე გეიარა.  
 მელა: – ხიდი ჰად არი?  
 ქათამი: – წყალმა წეილო.  
 მელა: – წყალი ჰად არი?  
 ქათამი: – მიწამ დააშრო.  
 მელა: – მიწა ჰად არი?  
 ქათამი: – ხარმა დახნა.  
 მელა: – ხარი ჰად არი?  
 ქათამი: – დანამ დაკლა.  
 მელა: – დანა ჰად არი?  
 ქათამი: – უსთამ წეილო.  
 მელა: – უსთა ჰად არი?  
 ქათამი: – უსთამ მოკტა.  
 მელა: – ტოტები მოქხთა!

ლექსის მესამე ვარიანტის დიალოგში მონაწილეთა ვინაობა არ იკვეთება, თუმცა, ეს ლექსიც, როგორც ამ ტიპის ნაწარმოებებს სჩვევიათ, ყმანვილს უფითარებს სამყაროს შემეცნების უნარს, ასწავლის მისეულ გარემოში არსებულ საგანთა, ფრინველთა თუ ცხოველთა ურთიერთმიმართებას, რაც ბავშვთაგან უდიდეს ყურადღებას იმსახურებს და აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონეა:

– შავმა კატამ ჰად ნევდა?  
 – ლელეში ჩევდა.  
 – ლელე ჰად არი?  
 – ძროხამ მოსვა.  
 – ძროხა ჰად არი?  
 – ცაში ევდა.  
 – ცამა რა იქნა?  
 – ცულმა მოჭრა.

- ცული ჰად არი?
- დემეკარქა, ვერ ვნახულობ!

კითხვა-პასუხზე აგებულ საყმაწვილო ლექსებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იცნობს და მრავალრიცხოვანი ვარიანტებით არის გავრცელებული ქართლურ, კახურ, ხევსურულ, იმერულ, გურულ, აჭარულ და სვანურ ზეპირ-სიტყვიერებაში (ქ. ხ. პ., 1979: 135-136, 139, 162-164, 372-375, 380-383, 446, 451-452), თუმცა კლარჯულ ვარიანტებთან ახლოს დგას აჭარული (ქ. ხ. პ., 1979: 452), გურული (იქვე: 381) და იმერული (იქვე: 451) ვარიანტები. სიუჟეტის იმგვარი (ჯაჭვისებური) მდინარება, როგორც ამ ტიპის საყმაწვილო ლექსებშია წარმოდგენილი, „მთლიანად იპყრობს ბავშვის ყურადღებას და უმუშავებს მას სწრაფი რეაგირების უნარს“ (ზანდუკელი, 1969: 245).

სოფელ ფინარქოში იმავე მთქმელისაგან მოპოვებული ერთ-ერთი საბავშვო ლექს-სიმღერის – „...მამალაჲ...“ – თემაა წუხილი ძაღლის მიერ წაყვანილი (აღბათ, შეჭმული) დიდი მამლის გამო, რომელსაც სამი ცოლი (დედალი) ჰყოლია, და „ბაღნები“ (წინილები) უმამოდ დარჩენილან:

მამალაჲ და მამალაჲ,  
ჩემი დიდი მამალაჲ!..  
სამი ქალი ქონდა.  
ჩემი დიდი მამალაჲ  
ძაღლმა წეიყვანა,  
ბაღნები მარტო დარჩა.  
მამალაჲ და მამალაჲ,  
ჩემი დიდი მამალაჲ!..

სოფელ ისკებში 75 წლის პროფესიონალი მთქმელისაგან – ფატმა დემირელისაგან – 2013 წლის 8 აგვისტოს ჩემ მიერ ჩანერილი საყმაწვილო ლექსის თანახმად, ბავშვი სთხოვს ძაღლს, აღარ დაუყეფოს, განერიდოს, მაგიერში კი ძვლიან ხორცს პირდება:

მე შენ რატომ დამყეფე,  
წადი, ჩემო სამურამ!  
ხორც მოგიგდებ ძვლიანს,  
ჭამა-ჭამით წადი!



ფრინველებისა და ცხოველების თემატიკის ხალხური ლექსი, რომელიც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად არის ცნობილი სათაურით „საწყალი მელა“, ჩაინერა პროფესორმა შუშანა ფუტკა-რაძემ კლარჯეთში, სოფელ ზედუბანში:

...იხვსა, ბატსა და ქათამსა  
კი გავკარი კიბილი.  
ერთიც უკან მევიხედე,  
მომდეგს ბატონიშვილი;  
თოფიც მაგრათ მოგვიშხუნა,  
ზედაც დავასხი ტვინი.  
ვოოირერა, ვოიდელა და ვარალააა...

მართალია, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში პოპულარული ეს საყ-მანვილო ლექს-სიმღერა კლარჯელებმა სრულყოფილად ვერ შემოინახეს, მაგრამ ლექსის ძირითადი არსი, მისი თემა და იდეა შენარჩუნებულია. მეტი სიცხადისათვის მოვიხმოთ ამ ლექსის ერთ ქართულურ ვარიანტს, რომელიც თედო რაზიკაშვილის მიერ არის ჩანერილი:

საწყალი მელა ჩიოდა,  
არ მომივიდა ძილია,  
ერთსა საქათმეს მივაგენ,  
გამოუთხარე ძირია.  
იხვსა, ბატსა და ქათამსა  
ყველას გავკარი კიბილია.  
უკუ ვიხედე, მომდეგდა  
პატრონი – გზირის შვილია;  
მხარზე გაედო კომბალი,  
გათლილი შინდის ძირია;  
გადმომკრა, გადმომიშხივლა,  
ცამდის ავასხი ტვინია;  
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა,  
ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია;  
ცოლიც მალე გათხოვდება,  
ობლები დამრჩა წვრილია;  
ობლებიც დაიზრდებიან,  
თავი დავკარგე გმირია.

(ს. ს., 1972: 57-58)

#### 4. „ცოცხალი ტყუილი“

საბავშვო ხალხურ პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო და, ამავე დროს, ძალზე სახალისო უბანია ეგრეთწოდებული „ცოცხალი ტყუილი“; საყმაწვილო ლექსთა ამ ციკლისათვის დამახასიათებელია ჰიპერბოლა და სინამდვილის შეტრიალებული წარმოსახვა, რაც სამყაროს შეცნობას უადვილებს მოზარდს. თავად ტერმინი კი ზედმინევნით გამოხატავს ამგვარ ლექსთა ხასიათსა და სპეციფიკას, რაც ადამიანებისადმი, ცხოველებისადმი, მოვლენებისადმი თუ საგნებისადმი ისეთ ნიშან-თვისებებისა თუ მოქმედებათა მიწერას გულისხმობს, რაც სინამდვილეში შეუძლებელია.

„ცოცხალი ტყუილის“ კლასიკური მაგალითია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ლექსები „...აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ“, „...სანთლის გუთანს ავაშენებ“, „რწყილი“ და მრავალი სხვა (ხალხ. სიტყ., 1972: 64-67). „ცოცხალ ტყუილში“ პოეტურად გადმოცემული ფანტასტიკურ, არარეალურ მოქმედებათა მიმზიდველობა და თხრობის დამაჯერებლობა, რომელსაც უპირველესად ყმაწვილთა შექცევა-გართობისა და, ამასთანავე, მათი ფანტაზიის გამდიდრების ფუნქცია ენიჭება, უცხო არ არის კლარჯული ზეპირსიტყვიერებისათვის. მართალია, დროთა მსვლელობამ მათი მენსიერებიდან წაშალა ტრადიციული ქართული „ცოცხალი ტყუილის“ ნიმუშები, მაგრამ შექმნა ახალი, რაც ჩვენებურთა მაღალპოეტური გემოვნებისა და ფანტაზიის მაჩვენებელია. 2007 წლის 5 აგვისტოს ჩვენ მიერ სოფელ ისკებში 84 წლის ჰიზრი არიჯისაგან (ფუტკარაძე) ჩანერილი „ცოცხალი ტყუილის“ ნიმუში ამგვარია:

ჩემ დედეს დედე მეა  
მიყვარდა ძმასავენე;  
ბაბოს დაბადვა მახსოვს  
დღევანდელ დღესავენე;  
უნინ ქი ღარჭი ვიყავ,  
წყალ ვსვემდი დოსავენე;  
ახლა რომ კაცი გავხდი,  
თლათ ვარა ხრკოსავენე.

ამგვარი ფანტასტიკური, აბსურდული ურთიერთმიმართება თაობებს შორის (ბაბუის ბაბუას სიყვარული ძმასავით, ხსოვნა მამის დაბადებისა და ა. შ.), ბუნებრივია, ყმანვილთა გახალისება-გართობასა და, ამავე დროს, სწორი ანალიზის უნარის გამომუშავებას ემსახურება.

სოფელ ისკებში მცხოვრები ქალბატონის, 75 წლის ავტორ-მთქმელის – ფატმა დემირელისაგან 2013 წლის 8 აგვისტოს ჩვენ მიერ ჩანერილი „ცოცხალი ტყუილი“ კიდევ უფრო სახალისოდ აცნობს ბავშვებს შეუძლებელ ქმედებებს (ავდარში ნადის მოწვევა, მუშმულასაგან იოდის მიღება, თავის კუდისაგან ქალამნის ღვედისა და მწვადის დამზადება):

ტაროსმა მეიშავებდა,  
ზიურში ნადი ვქენო;  
სკიპუნტური მოვხარშე,  
ერთ თორბით იოდი ვქენო;  
თავი კუდი ჩავალბე,  
ჩაროდის ღვედი ვქენო.  
უკანა დანარჩენები  
მოვხრაკე, წვადი ვქენო;  
ჩემი დიდი მუცელი  
საფქვილეს კოდი ვქენო.

(შოშვილი, მახარაშვილი, 2014: 149-150)

ლექსს ახლავს მთქმელის შენიშვნა: „– უნინ ერთ კაც უმღერია, ნადებში უმღერია და უცინებია ხალხი“.

ამ ლექსის ვარიანტი პროფესორმა მამია ფალავამ დააფიქსირა, აგრეთვე, სოფელ გურბინში 2007 წლის 1 აგვისტოს ხასან პავლადის თქმით:

უცნეველა მეშავებდა,  
მზიურში ნადი ვქენო;  
წყალჩხურის ყარაყური  
საკონდრეს ღვედი ვქენო;  
ჩემი დიდი მუცელი  
საქფილე კოდი ვქენო;

კაცი ხორცი დავშემხე,  
ვახშამზე წვადი ვქენეო;  
თაგვი კუდი დავალბე,  
ჩაროდის ღვედი ვქენეო.

ლექსის გენეზისის თაობაზე მთქმელისეული განმარტება ამგვარია: „– ამათ დედესა (მიუთითა მეზობელზე – მ. ფ.), ჰემ ხოჯა იყო, ჰემ მუჰელიმი, კაე ტაროსში ნადი უქნია; მოშლილა ტაროსი, ედაა, ნადი გაპნევლა; იქ ესულა, დესტანი დუუნერია“.

ამავე მთქმელისაგან პროფესორმა მამია ფალავამ ჩაინერა ცოცხალი ტყუილის მეორე ნიმუშიც, რომელიც, სხვათა მსგავსად, აბსურდულ ქმედებათა წარმოჩენით აღწევს თავის დანიშნულებას – გაართოს მოზარდი და გამოუმუშავოს სწორი, ჯანსაღი წარმოდგენები:

დეფფიცავ, ტყვილ არ ვიტყვი,  
ჭადი ქფილის თორბაზეო!  
სკამზე ცეცხლი დავანთე,  
მიველ, დავჯედ სობაზეო;  
იმხრევში თავი ჩავყე  
ქუნქულასი ბამბაზეო.

იზმითში მცხოვრებმა ერეგუნელმა ქალბატონმა გუნერ ილდირიმმა 2014 წლის 6 აგვისტოს, ჩვენი ერეგუნელი მასპინძლის – სევინ ილდიზის – შუამავლობით, ტელეფონით გვიკარნახა „ცოცხალი ტყუილის“ მშვენიერი ნიმუში:

ბათუმ თელი გავაბი,  
ხოფადან ღესა ვქენეო;  
წამოვდე ნალინები,  
დენიზი სუსა ვქენეო;  
ცხვარი დავკალ ფეხიდამ,  
ყურები ქესა ვქენეო.

ქალბატონმა გუნერმა, რაკი გაიგო, რომ ბათუმიდან ვიყავით, მოგვიბოდიშა და ლექსის ფორმატშივე ექსპრომტად დააყოლა:

მე გურჯები ზოვლ მიყვარს,  
ჰერალდა ყეზა ვქენეო.  
მათ გულობაე გადავვარდები!..

ლექსის დასწყისშიც ბათუმის ხსენება, ვფიქრობ, ანალოგიური მიზეზით აიხსნება.

ქალაქ გოლჯუქში მცხოვრებმა გურჯმა სელჩუქ აქინმა 2013 წლის 10 ივლისს გადმოგვცა მის მიერ ჩანერილი საყმანვილო ლექსი, რომელიც ცოცხალი ტყუილის მშვენიერი ნიმუშია:

ტილების ასკერი  
შემეხვია უბეში;  
ჭერიდან გადმოვაგდე,  
მოვკალ მათი ბინაში.  
ენა ფურცლად მომექცა  
ლამაზების ქებაში;  
სკამზე ცეცხლი დავანთე,  
მიველ, დავჯექ სობაში.

ლექსი ბატონ სელჩუქს ჩაუნერია ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნუზჰეთიეში 85 წლის ილიას ქუშისაგან (ჩიტაძე); ავტორ-მთქმელი ყოფილა იმხანად უკვე გარდაცვლილი აჰმედ მელექოღლუ, რომელიც ცხოვრობდა კლარჯეთში, სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი).

მართალია, კლარჯ ჩვენებურებს ვერ შემოუნახავთ ეგრეთნოდებული ცოცხალი ტყუილის ტრადიციული ქართული ხალხური ნიმუშები („...სანთლის გუთანს ავაშენებ...“, „...აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ...“, „...წუხელი რწყილმა მიკბინა...“ და სხვები), მაგრამ მუუქმნიათ ახალი, უაღრესად სახალისო და სოციალური თვალსაზრისითაც საინტერესო ნიმუშები, რომლებიც, ზეპირსიტყვიერების სხვა უბნებთან ერთად, ქართული მეტყველების შენარჩუნების ერთობ საჭირო საქმეს ემსახურება.

## 5. საღაღობო ლექსები

ქართული ხალხური საყმანვილო ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია, აგრეთვე, საღაღობო ლექს-სიმღერები, რომლებიც მოზარდში ავითარებენ იუმორის ჯანსაღ გრძნობას; ისინი, მათთვის დამახასიათებელი რიტმულობით, რითმითა თუ ასონანსით იწვევენ სასიამოვნო ემოციებს, ქმნიან მხიარულ განწყობილებას.

კლარჯ ჩვენებურთა ფოლკლორულ სინამდვილეში ბოლო დრო-  
მდე შემორჩენილია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავ-  
რცელებული ლექსის – „...ერთმა კაცმა ქორწილი ქნა“ – ვარიანტი.  
სოფელ მარადიდში (მურათლი) 66 წლის ნიზათ ოზთურქისაგან  
(თიკნაძე) 2014 წლის 30 აგვისტოს ჩემ მიერ ჩანერილი ვარიანტი  
ამგვარია:

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა  
ფეხდამწვარი წინილითა;  
თაგვმა პურს ეუბნება,  
კატა კტება სიცილითა.

მთქმელს ლექსი გაუგონია ბორჩხაში: „– ერთმა ვინცხამა თქვა,  
მე თან დევნავლე ბორჩხას“.

ლექსი თითქმის იდენტურია იმერული ვარიანტისა, რომელიც  
1931 წელს ჩაინერა პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ:

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა  
ფეხდამწვარი წინილითა,  
კატა მაყრულს ეუბნება,  
თაგვი კვდება სიცილითა.  
(ბ. ს., 1972: 270)

ლექსის ქართლური ვარიანტი, რომელიც პროფესორმა მიხეილ ჩი-  
ქოვანმა ჩაინერა 1948 წელს, აკონკრეტებს მექორწილის სახელსაც:

ე შალიკო დაინიშნა  
ინილითა, ბინილითა,  
ძალლი მაყრად გაიყვანეს,  
კატა კვდება სიცილითა.  
(ქ. ხ. პ., ტ. VIII, 1979: 402)

აღსანიშნავია, რომ კლარჯული ვარიანტის მესამე სტრიქონი  
(„თაგვმა პურს ეუბნება“) ოდნავ შებლაღუღილია და გაუგებარი (აღ-  
ბათ, მთქმელს კარგად აღარ ახსოვდა), თუმცა, ბუნებრივია, ამ სა-  
ხით შემორჩენილი ნიმუშიც ჩვენთვის ძალზე ძვირფასია. აქვე უნდა  
აღვნიშნოთ, რომ ლექსის აჭარული ვარიანტი, რომელიც დაცულია  
ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლო-

გიის ცენტრის სასწავლო-სამეცნიერო ფოლკლორულ არქივში (მთქმელი ნუგზარ გორაძე, 51 წლის, მცხ. ხელვაჩაურში. ჩაინერა ბსუ სტუდენტმა ლანა გორაძემ 2014 წელს), ყველაზე ახლოსაა კლარჯულთან და კატის სიცილის მიზეზიც ახსნილია:

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა  
ფეხდამწვარი წინილითა;  
თავგი მაყრულს ეუბნება,  
კატა კვდება სიცილითა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ამ საღალღობო ლექსის შედარებით ვრცელი ვარიანტიც მოიპოვება, რომლის თანახმადაც, ეს უცნაური ლხინი ფეხდამწვარი წინილით თავგმა გადაიხადა, ხოლო კატას, ტრადიციულად, მაყრული უმღერია, რის გამოც სიცილით კვდება თავგი:

ურიამა ხარი დაკლა,  
ჩამოვიდა ნიპ-ნიპითა;  
თავგმა ლხინი გადიხადა  
ფეხდამწვარი წინილითა;  
კატა მაყრულს ეუბნება,  
თავგი კვდება სიცილითა.  
(ქ. ხ. პ., 1979: 145)

კლარჯეთში გავრცელებული ერთ-ერთი საღალღობო ლექსი მუსულმანთა რელიგიურ დღესასწაულს – ბაირამს ერთმეზა:

ხვალ არაფა, ზეგ ბაირამი,  
ჭამე კატის აფრანი!  
(მთქმელი ნაზმიე ერთიქინი (თავდგირიძე),  
85 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელ-  
ში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 7  
აგვისტოს.)

ლექსის თითქმის იდენტური ვარიანტი 2013 წელს ჩაგვანერინა 83 წლის ქლასკურელმა ქალბატონმა ალთუნ თაბანმა:

დღეს ერეფე, ხვალ ბაირამი,  
ჭამე კატის აფრანი!

საბავშვო თამაშს, რომელიც დამალული ნივთის პოვნას გულისხმობს, ახლავს სალალობო ლექსი, რომელიც საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ბიჩქიათიქში (ძველი სახელია ქართლა) ჩაინერა პროფესორმა მამია ფალავამ 2013 წლის 19 ივლისს:

ერთმა თქვა:

- ვინ დამალა?
- პატინამა!
- მიცხოვს კოტინამა!

დიალოგური ფორმის სალალობო ლექსი ჩავგანერინა საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ფინარქოიში (ფინარლი) მცხოვრებმა 23 წლის ისლამ ქუსემ:

- ვოო, ხახა, ჩიტი-ბუტი,  
ჩემი გოგო მეტი ბექი.
- შენი გოგოს ავწევ,  
ძალლებიდანაც გევიარ,  
ცხენზე დავყდები, წევალ!
- შენ ჩემი გოგოს ვერ აწევ,  
ძალლებიდანაც ვერ გევიარ,  
ძალლები შიგიჭამენ!  
ცხენზეც ვერ დაყდები,  
წრის გიგიქნევს!
- მეც დიგიკავებ,  
ჩემი გოგოს ავწევ,  
დაგამტრევ, გაგაგზავნ!  
შინ წეხვალ!
- ვოო, ხახა, ჩიტი-ბუტი!..

კლარჯ ჩვენებურთა შთამომავლებს შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი ხალხური საბავშვო ლექს-სიმღერები და საბავშვო თამაშობანი (თანმხლები ტექსტებითურთ) იმის სანინდრად გვესახება, რომ ოჯახურ გარემოში აღმზრდელთაგან თუ უშუალოდ ყმანვილთაგან შესასრულებელი ეს ნიმუშები ტრადიციულად დადებით როლს ითამაშებენ ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალთაობის აღზრდასა და ამ ძირძველ ქართველთა თავისთავადობის შენარჩუნებაში.



ნაწილი მეცხე

**შექსემა**



## შრომის ლექს-სიმღერები

### 1. ნადური

1.1

ნადი შევტყვე, გადმოელ,  
 გადმევიარე სახური;  
 ცხოლოფუნას გავაგდე  
 ზროხები და ახორი;  
 ჰელბეთ გეგიაზირეს  
 ჯეიზისთვინ ბახირი.

1.2

ბარიდან აქ გამოველ,  
 ნადი არი, თუ – არა;  
 იქით-აქეთ გევხედე –  
 ფადი არი, თუ – არა.

1.3

გოგვები გაჩელტილან,  
 ე რა დიდი ნადია!  
 მარწყვებმა თვალი ირთო,  
 დლეს მასის შვიდია.  
 ალთუნი და გუმში  
 გულზე დაგიკიდია.  
 ახლა წეგიყვან, ჰამა  
 ტადა ჩემზე დიდია.

1.4

ერთი დრამი ვიმღეროთ,  
 ლამაზ იყო ყუადედამ.  
 თელი აილეშები  
 მევეყარნევიტ ორდიდამ.  
 ომრში არ დამვიწყდება  
 ამსოჲ ლამაზ ნადიდამ.

1.5

ევიარე, რამ არ იყო,  
 ჩამევიარე, დარგულაო;

ვინმე თუ ვერ გევემეტავ,  
 შენ ჩემი ხარ ბულბულაიო!

1.6

მელესაჲ, ელესაჲ,  
 ყანა გათავდა,  
 არ მოიდა თეთრი ქესა.

1.7

მოვდა სიმინდის მარგლა,  
 ახლა იქნება ნადი;  
 არ მიყვარს შენი თავი,  
 შენაც აქედან ნადი!

1.8

პური თესვაზე წევდეთ  
 დღე და ღამე გაყრისხან;  
 ყალოზე შენ ისაქმე  
 კოჭველები აყრისხან.

1.9

– ჰეამო, ჰეამო!  
 – დაცხე თოხი, გეჲ, გამოჲ!  
 – ჰეამო, ჰეამო!  
 – ბიჭებო, კაჲ ისაქმეთ,  
 ერთი დღით არ მოკდებით!

1.10

ჰაიდე, ვისაქმით ყანაში!..  
 ერთხელა დავჯდეთ ყანაშიო –  
 ერთხელაც საჭმელი ვჭამოთო!

1.11

მოვდა პურის საჭარი,  
 ახლა იქნება ნადი;

ე რა ზორ მომემშია,  
მომიტანევით ჭადი!

ერთი დღით არ მოკდებით!  
– ჰეამო, ჰეამო!..

1.12

– ჰეამო, ჰეამო!..  
– დაცხე თოხი,  
გეჲ, გამოჲ!..  
– ჰეამო, ჰეამო!..  
– ბიჭებო, კაჲ ისაქმეთ,

1.13

– ვოჰოჲ!  
– ვაშლი!  
– ვოჰოჲ!  
– ბალი!  
– ვოჰოჲ!  
– ბლაცვი!

2. სამკალი

2.1

მოთავდა სიმინდობა,  
ახლა მოვდა პურობა;  
ორი წლის თოსუმი,  
დეჲნყო ახლა ხტომლობა!

ხელზე ინა დევდევვი;  
თითი დამწვარი მაქვა,  
თითი დამწვარი მაქვა;  
მე სიმღერა რავა ვთქვა,  
მე სიმღერა რავა ვთქვა,  
გული დამწვარი მაქვა,  
გული დამწვარი მაქვა!

2.2

მოვდა პურის საჭარი  
წასლისა და მოსლისა!  
სოილე რუმინაჲანა,  
სოილე დერდუნი ბანა!

2.4

მოვდა პური საჭარი,  
გოგუებო, წამოდით!

2.3

სოილე რუმინაჲანა,  
სოილე რუმინაჲანა.  
მოიდა პურის საჭარი,  
მოიდა პურის საჭარი!  
დევეჭიროთ ორალეზი,  
დევეჭიროთ ორალეზი!  
სოილე რუმინაჲანა,  
სოილე რუმინაჲანა.  
ჰაიდე, წევდეთ ყანაში,  
ჰაიდე, წევდეთ ყანაში!  
მოიდა პურის საჭარი,  
მოიდა პურის საჭარი!  
მოიდენ არხატაშეზი,  
მოიდენ არხატაშეზი!  
სოილე რუმინაჲანა,  
სოილე რუმინაჲანა.  
ხელზე ინა დევდევვი,

2.5

მოიდა პურის საჭარი,  
თავი გადაგაჭარი!

2.6

მოვდა პურის საჭარი,  
გამოვდა კუკულობა!

2.7

მოვდა მარტი პირობა,  
გამოვდა კუკულობა!

2.8

მოდი და პური კოჭე,  
გიგიკეთავ ბალღული.  
ეგერ, თუ არ კოჭევი,  
ნუ გინდა მაგ საღღული!

2.9

მშვიდობით, დედავ, ცოლ-შვილო,  
ალარ გყავთ შენი დათიკო!  
შენ დაილოცე, ჭელიზე,  
რომ გამიკეთე ვახშამი!  
ძველის ღვინო ბევრი გქონდა,  
ხმელი თხილი და ქათამი.  
თქვენ ქი იცით, რა ვიქმოდი  
მონამღვლი თრალი კაცი, –

ერთი თოფი გავისროლე,  
ტრაჟნიკ მივამტრიე ტრინკი.  
ასი თა გადამატარეს,  
თები კავკასიონისა...  
ნისლი იდგა შავი ზღვისა.  
სამი გოგო თივასა თიბდა,  
სამთავ ჩერქეზ ბატონისა.  
ხელში ეჭირნეს ცვლები  
პირებისა კალმახისა.

3. წველისა

3.1

დადექი, ნენე,  
ძე მომეცი, ნენე!  
ყირმიზავ, ძე მომეცი!

3.3

ჩემი გოგო დელია,  
თვალეზივამ ბელია.

3.2

ჰა, ნენი, ჰა, ნენი,  
ჭლიკი არ დამარტყა!  
მოგწველო, ნენი!

3.4

რა ზორ ტლინკება ფური ხარო,  
რაფერ მოქწველო შენაო?!



სოფ. ბუჯური, 2007 წ.  
პროფესორი თინა შიოშვილი, მთქმელი ხატიჯე ილმაზი (ქესქინოლი)  
და მისი შვილიშვილები

## პატრიოტული ლირიკა

1

გალმა გამოღმა დავრჩით,  
 ჭოროხმა გამარიგეს;  
 ღმერთმა ბოვრი დღე მიცეს, –  
 მთავრობამ შემარიგეს!

2


კირნათიდან მარადიდ  
 ქოფრი გაკეთდეს, მინდა;  
 ენწინ შენ თუ გამოხვალ,  
 გაჩუქავ შავი წინდა.

3

თავზე ააზმა მბურია,  
 ოა, გაკერე, ოა;  
 ჩემი გურჯეებში წასლა და  
 რატომ გიკვირან, გოიამ?

4

ერთ-ორი დევყვიროთ  
 გურჯიჯა სიმღერაზე!  
 ერთი-ორი მოვიაროთ  
 ჩემ ბაბოს ხათრივინო!



სოფ. ბუჯური, 2007 წ.  
 მთქმელი ნურენ ილმაზთურკი



სოფ. ბუჯური, 2007 წ.  
 მთქმელი ხატიჯე ილმაზი (ქესქინოლი)

## ფილოსოფიური ლირიკა

1

სახლის უკან ფელები,  
 დავაგორე ქერები;  
 სიკდილი თუ არ არი,  
 ჰად არიან ძველები?!

2

ტყვილი და ააფერია  
 აქაური დუნაა;  
 გავლილი და ნასული  
 უკან არ მობრუნია!..

3

ღმერთო, რამ გამაჩინე  
 დუნაში ნუხარა!  
 ხან მეტყვიან, იცოცხლე,  
 ხან – მოკდი და ნუ ხარა!

4

იმგვარი ცოლი ითხოვე ქი,  
 სიცოცხლეში გაგახაროს;  
 რომ მოკტები, მაშინეზე  
 გულზე ქცემლი დაგაყაროს.

5

ჰემ მომკვენ, ჰემ დათესვენ,  
 ეს დუნაა ყანა არიო.  
 ერთი კარგა გაფიქრე,  
 მუჟუკტომელი ვინ არიო?  
 დუნაში ენ კაჲ რაცხა  
 უკბენარი ენა არიო!

6

მოჲ, ერთდრამი ვიმღეროთ,  
 ლამაზ იყოს ყეჲდედაო;  
 მივალ იმ დუნისკენ,  
 იმითავდა ვადედაო.  
 რა იქნება ამ დუნით,  
 რამ არ არი ფაჲდედაო.  
 სექიზჯენნეთის შიგან  
 ჰაზირია ოდადაო.  
 ბირ და ჰასი აჲ ყისმეთ  
 ეს ლამაზი ნადედაო...  
 თეელლი ჲარენ ეშები  
 მოვყარნევით ორდაჲდაო.



სოფ. გურბინი, 2007 წ.

პროფესორი თინა შიოშვილი მთქმელებთან –  
 საბრძოლო გურსული (პავლიაშვილი) და ნალე ჩელიქი (ბეგოსანი)

## სატრფიალო პოეზია

1

წყალსა ნაფოტი მიაქ  
სელვის ჩამონათალი;  
წყალო, შედექ, მოე, მითხარ  
ააროს შამონათვალი!

2

ნალიაში ბურუში,  
მომიტანე ბალიში!  
მოდ, ჩიტო, მითხარი  
აარის შამონათვალი!

3

კონტოხზე გადმეიარა  
ფეშილი კამფონი;  
უმუდო, მოე, მითხარი  
აარის შამონათვალი!

4

ჩიტი დაჟდა ხი ტანზე...  
მოდ, ჩიტო, მითხარი  
აარის შამონათვალი!

5

გაღმა თეთრი ქათამი  
გამოღმა მოკაკანავს;  
აარო ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

6

ლელე-ლელე ევიარე,  
ლელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ფეხებტალახიანი.

7

– ლელე-ლელე გევიარე,  
– ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..

– ლელე ტალახიანი.  
– ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..  
– ერთი გოგო დევნახე,  
– ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..  
– ლოყატალახიანი.  
– ჟუჟუნელა, ჰოე, ჰოე!..

8

ლობედან ჩიტი გაძრა  
უკუდო, პუმპლიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე  
კოჭიტალახიანი.

9

ლელე-ლელე გევიარე,  
ლელე ვენახიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე  
კოჭიტალახიანი.

10

გაველ ნაფუზის თავში,  
ერთი გოგო გამოვდა კარში.  
სევდა რა იყო, არ ვიცოდი,  
ისიც მოვდა ჩემ თავში!..  
ვერ მოვალ მე,  
ვერ შეხევადავ მე.  
ერთი ვისმას გოგოს  
ვერ უყურავ მე!  
გახსენ ხელები,  
ჩემეხუტე ყისერში,  
შემცივდა, შემცივდა,  
ვერ მოვალ მე!..

11

დანვილი, დალანძული  
გული მოგხმარდება თუ?  
ხავლი შამოფერდილი,  
ხავლი მოგხმარდება თუ?



12

სოფლიდამ აქ გადმოვლ,  
აღლაჲ სული მთქერსა თუ?  
ერთი რაცხა'ნა გითხრათ,  
გამიმჟღავნებთ სირსა თუ?  
ჩვენ – ძმები, თქვენ – შილები,  
მუუხიზმეთავთ ბერსა თუ?  
ბერიც დავაქორწილოთ,  
შეერიგებით ბერსა თუ?  
ერთმანეთ რომ უყურავთ,  
ეფარებით ქარსა თუ?  
ჩემი ამდონი დერდი  
ქარ შევძახოთ, დარსა თუ?

13

გეიცინე, გამაცინე,  
ნუ მატირავ, ლამაზავ!  
მე ბითუმ შენთინ ვტირი,  
შენ თუ ტირი, ლამაზავ?  
ტირილში დიგინახე,  
შენც ტირი თუ, ლამაზავ?  
მე შენთან'ნა ნამოვდე,  
ვერ გატირავ, ლამაზავ!  
თვალში ცქემლი დევნახე,  
ვინ გატირა, ლამაზავ?  
ნამოვდე, ერთათ ვიყოთ  
შენი სახში, ლამაზავ!

14

გონჯი სიზმარი ვნახე –  
გათხუებდენ ნუხელი,  
გოაა შეებ გაცმევდენ  
ერთმანებზე ახალი.  
კორდელაჲ ყიმეთლია,  
მეც მუუსვა'ნა ხელი.

15

სახლის უკან მაყაყი  
ახტი, მუუხტი, მუუხტება;  
რა ლამაზი პერანგი  
რა ლამაზი გიხდებოა!  
შენი ჩასაცმელი პერანგი  
რა ლამაზი გიხდებოა!

16

ინდა წვინდა ცხვარი ძოვს,  
იმან რა'ნდა მეინველოს?!  
შენ – გაღმით, მე გამოღმით,  
გულმა რა'ნდა მისევნოს?!

17

ჭიშკარი გავაკეთე,  
ღირეგი ექანება;  
ლამაზ გოგოს უკბინე,  
კიბილი მექანება.

18

ერთი, ორი, მეორე,  
მე გოგუებში ვიგორე.  
ერთი, ორი, მესამე,  
მე გოგუებში ვისამე.  
ერთი, ორი, მეოთხე,  
მე გოგუები მივფერთხე.  
ერთი, ორი, მეხუთე,  
მე გოგუებ ჩევხუტე.  
ერთი, ორი, მეექვსე,  
მე გოგუები ჩავლექსე.  
ერთი, ორი, მეშვიდე,  
მე გოგუები ვიშვილე.  
ერთი, ორი, მერვე,  
მე გოგუებ მევერიე.

19

თავზე თეთრი ლაჩაქი  
ხუთმეტი ყათიმია;  
თეთრი გულზე ბეშლული  
დათვალე, ათიმია;  
წელზე დაყრილი თმები  
იფეგის ნართიმია;  
შუშესავით ხელები  
სედეფის ყათიმია!

20

ნემსი, ძაფი, მანსურა,  
ჩემი ხარი მოსულა;  
მოსულა და რა იქნება,  
დუუნახეულაჲ წასულა.

21

თაროზე ორი ვაშლი,  
ერთი შენ შეგინახე;  
მიღმიდან მოხვიდოდი,  
ფენჯრიდან დეგინახე.

22

ხელზე ინას დევდებდი,  
თითი მომწვარი მაქვაო;  
დერდები ბევრი მაქვა,  
გული დამწვარი მაქვაო.

23

თითზე ბეჭედი მაქვა,  
ბეჭედ თვალი არ აქვა;  
ბოშინა ნუ მიყურავ,  
შენზე თვალი არ მაქვა!

24

თაზე მივა ორი ხბო,  
იქით-აქეთ ექცევა;  
შენი ერთი დანახვა  
ჯენნეთი მომექცევა!

25

ეთექლუგი შევკერე,  
ანზე – აუნზე ვარდები;  
ამეზლამ თუ არ მოხველ,  
აარო, გიგიჯავრდები!

26

ქათამმა დეიკაკანა,  
გულმა გემიკანკალა;  
გეიცინე, დეგინახო,  
უბეში შეგინახო!

27

ნალია გავაკეთე,  
დავახურე მესარი;  
ვოიმე, რა ლამაზია  
ქესუნოღლის ასანი!

28

ჰაიდე, ნევდეთ ბოსტანში,  
დავთესოთ მაკიდონი!

342

რა ლამაზი ყოფილა  
მემედის უმიანი!

29

დალამდა და ვერ მივალ,  
უკან-უკან ვბრუნდები.  
შეკვეთილი ვიყავ და  
დავლენო'ნა კონდრები.  
ინშალა, შენ ფერინა  
ამეზლამ მე დავდგები.  
შენ უჩემო ვერ შეხვალ,  
ჰერამ იყოს ოდები!

30

ე რავაჲ სოფელია,  
ასული და დასული!  
ერთი ჩემეხუტევი,  
ისტამბულიდან მოსული!

31

გალმა თეთრი დედალი  
გამოღმისკენ უხედება;  
თეთრი პირზე შავი ააზმა,  
ჯანო, რა ზორ გიხდება!

32

სახლის უკან ბრენევილი,  
ტანები ჩამონევილი;  
ჰა იარები, ლამაზავ,  
კლავები ამონევილი?

33

თავზე ააზმა მბურია,  
ფოლაღია, ფოლაღი!  
არ იმერაყო, აარო,  
უკან მაქვან მურაღი!

34

თავზე ააზმა მბურია  
წმინდა ძივით ნანყობი;  
უმუდო, ნუ დეიჯურავ  
დუმმანების მინანყობი!

35

მე სერენში ვერ ევალ  
კიბეუწყუდებელი;

მე ასკერში ვერ წვეალ  
აარზე ჩუუხუტებელი!

36

ლელეში თეთრი ქვა,  
ხელი დავყე, არ ამყვა;  
ლამაზავ, შენი სევდა  
ჰაცხა წვეელ, იქ წამყვა.

37

ჯუმა-ჯუმა დღეებში  
ჩამოდი ჯამიეში;  
იფელის მენდილი მაქ,  
ჩიგიდო'ნა ჯეფეში.

38

ლობედამ ჩიტი გაძრა  
დაბალი ბუმბულიანი;  
ჩემ აარსა მე ვიცნობ –  
შავი ბუფულიანი.

39

ხუხულა გავაკეთე  
უკნიდან კარიანი;  
ჩემ არეს მე ვიცნავ –  
თეთრი ბულუზიანი.

40

ჰადე, ნევდეთ ბათუმში  
გატეხილი ცულისთვინ;  
გოგუებო, გადმომხედეთ  
მამთქვენის სულისთვინ!

41

გალმიდან ჩამეიარა  
ფეშილი კამიონი;  
ჩემი თავი თუ გინდა,  
მეფტანე მილიონი!

42

ფოტოროში ჩევიარე  
ნითელი კამიონით;  
არ იტირო, ლამაზო,  
მოიდე'ნა მილიონით!

43

სახლის უკან თოხები,  
გულზე ეგეხობები.

44

სახლის უკან საქათმე,  
ერთი გოგო ჩავექათმე.

45

სახლის უკან მაშინაო,  
ნენემ ჩემთვის გაშენაო.

46

ჩიტი გევედა ხის ტალზე,  
თავი გედეინყო ანზე;  
ჩემ ააროს რა უხდება  
დეუზი ელბისე ტანზე!

47

ჟუჟუნელაჲ მოჟუჟუნებს,  
ჟუჟუნელაჲ, ჰოი, ჰოი!  
ჟუჟუნელაჲ რა ლამაზი!  
ჟუჟუნელაჲ, ჰოი, ჰოი!

48

– მაგ ლამაზი ბეჭედი  
ვინ მოგიტანაო?  
– საყვარომა მომიტანაო.  
– მაგ ლამაზი პერანგი  
ვინ მოგიტანაო?  
– საყვარომა მომიტანაო.

49

ერბო დავდე სერზე,  
ფეხი გოუსვი კარზე;  
ამელამ კაჲ ლამეჲ,  
ისეჲ მოჲდა სირზე.

50

შენ სახლითავ გევიარე,  
კარი რაზე გეგელო?  
შენ სახლთან გავლითა  
თავი რაზე დეგელო?

51

სოილე რუმინაანა,  
ჯილველო ნანაადა...  
გეიარე, გამეიარე,  
ჩვენთან შამეიარე!  
ჩემი გოგო ლამაზი  
ვინმეს არ'ნა მიცეცე!

52

სიმინდი დავეთესე,  
უკნიდან ჭყინტი გახდა;  
უშუდო, ი რა იყო  
ფეხზე ჩარუხი გახდა.

53

გადეიცვალოს მესულე,  
დერდი აქვა ხანესა;  
აა ნორ ჯევაბი მომეც,  
მე ვერ გუუძლებ ამასა!  
ჩემთინ გული დანვასა  
ცეცხლი მიეც ჯამესა!  
აშენებულ ჯამეში  
ნუ ილოცვენ ჯუმასა!  
მინდა, ქი ახლოთ ვიყო,  
ვერ გუუძლებ შორ დგომასა.  
დღისით-ღამით ფიქრამი  
არ მერგობა ჭამასა.  
აარს უკან ერთ მარაზე  
გავდგებოდეტ დამარა.  
მოგიპარავ, ნეგიყვან,  
ნელში ჩევდებ დანასა!  
გავხდი ხაშინ-ნეშინი,  
დევემგვანე სარმასა...

54

მუთვალში ჩაკიდული  
ხავლი ჩამოკიდული;  
აარი ნევდა ასკერში,  
გული ჩამოკიდული.

55

ოზმანი შამოვლობე,  
ბუჯურა, გევრინი;  
ერთი ფაცოა გევჩინე

უუყუნათვალინი;  
ქალები ვამუშავე  
თავშავა კვალინი.

56

თელას ტყავი გავაძერ,  
ძირიდან გამოვკოჭე;  
შენს უკან აშილობა  
გულიდან ამევხოცე!

57

ბაღჩი ბოლოს თხილები,  
ზეით ამოვდენ გოგვები;  
ვუთხარი, ქვეით ჩამოდით,  
დიმისხლიპენ თვალები.

58

მისვალ-მოხვალ ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
რა ლამაზი გოგო ხარ,  
ჩიგიჯდუმლო კალთაში!

59

რა ვთქვა და რა მევეგონო...  
ჩემი დერდების მგონე,  
გითხრა, გემიდელდები...

60

ლელე გაღმით ჭახატა,  
აარმა ჩოხა გეეხადა.  
ჩოხა გეეხადე, ჩოხა,  
აელეგჩაა მოგიხდება.

61

ბოშინე რო მიყურავ,  
შენზე არ მაქვა თვალი!  
კარზე ნუ ეყუდები,  
კარის დირელი ხარ თუ?  
შიგან შამოდი, აარო,  
კარზე დგეხარ, მეცოდვები.

62

ზეზე რა ფრინავს,  
ქორია თუ ყართალი?

ააროჲ დიმიფიშმანდა,  
ტყუილია თუ მართალი?

63

ლელე მიდის, ლელე –  
ორი წვერი ერთ ჯერზე.  
ნურჯავ, მეც ნიმიყვანე  
შენი წასული ჯერზე!  
ოჲ, ნურჯავ, ოჲ, ნურჯავ,  
ყურბან წეისა'ნა გული!  
რა გითხარ და გამიჯავრდი,  
მოჲ, ხანა, პატინა ქალო!

64

ერბო დავდე სერაზე,  
ფეხი მუუსვი კერაზე;  
ამელამ კაჲ ლამეჲ,  
ისევ მოჲდა სირაზე.

65

შუა ლამეში გამოველთ  
სალამოჲ წამოსული.  
ზომო ქურას ამ დრომდი  
არ ვიყავ გამოსული.  
ჩემი მარქვალაჲ ხარა  
სირთებზე ამოსული!  
გეიცინე, გამაცინე,  
არ იყო გულმოსული!

66

ხეზე ეველი, გიყურე,  
არ გეიარე სინორი.  
ჩვენ შუაში ჭორმზიდავი  
ვიცოდე ქი, ვინ არი!  
დუშმანების დასაკლელი  
ნელში მაქვა, დანა არი!

67

ფიშეგი ვესხულე ჰავაზე,  
ჩამოვარდა ვენახში;  
შენი ლამაზი ტანი  
ბარე არ დამენახა!

68

პალკონზე გადმეხედა  
ფეხზე ჩაცმული,

აინაში უყურავს  
ფუდრანასმული.  
რა ლამაზია  
გააურის დასმული!..

69

ეი გიდი, ჩემო აარი,  
ჩეიარდი თავდაღმართი;  
ღმერთმა როის'ნა მომასწრას  
ამოვლა თავაღმართი!..

70

დაჭუხე თვალები,  
ვინმემ არ დეგინახოს!  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე,  
მწვანე-მწვანე თვალები,  
ვინმემ არ დეგინახოს!  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე,  
მწვანე-მწვანე თვალები  
ვინმემ არ დეგინახოს!  
შენი თავი მიყვარდა  
მოკდომასავენ,  
ღმერთის დანესებული  
ნაკითხისავენ!  
გულიდან ქი ეჲარს, ქი იცი.  
მარტო ჩემთინ უყურე, უყურე,  
მწვანე-მწვანე თვალები  
ვინმემ არ დეგინახოს!

71

კლაგზე მაქვა საჰათი,  
რა გაქვა ზანაათი?  
ადექი, წევდეთ შენ სახში,  
შენ სახში ვიქთ რაჰათი!

72

წყაროჲ ზეიდან ვენახში  
მე თეთრი გიგიფინე;  
მოჲ, ჩემს უკან გეჲქეცი,  
ვინმე არ არი სახში!

73

სახლის უკან ტყიმალი  
კუნწულ-კუნწულ კიდია;

ჩვენი სოფლის გოგვები (ბიჭები)  
ჩვენ ახორში აბია.

74

სოილე რუმინაანა,  
გულში რა გიგივარა?  
შენი გულში გავლილი  
მეაც რომ გიმივარა!..

75

გვიარე, გამეიარე,  
ეგრეთი ხარ, ეგრეთი!  
დევინახე ლამაზები,  
მოგეჩვენა თუ ბეთი?

76

ბრუნჯულის პერანგი  
ლობეზე გაკიდული;  
არ მოვდა ჩემი აარი,  
გულში მაქ ჩაკიდული.

77

არც მარტმა გამახარა,  
არც აპრილმა, ლამაზავ!  
წამოვდე, ერთათ ვიყოთ  
შენი სახში, ლამაზავ!

78

შავი თირენი მუა,  
შიან ყოფილიყავი!  
დუნაა დეიქცეოდა თუ,  
ერთათ ვყოფილიყავით?

79

თეთრი ანის ზუბუნზე  
ფრული მე ვარ, ლამაზავ!  
სხვა ვინმეს არ შეხედო,  
შენი მე ვარ, ლამაზავ!

80

ახ, გიდი, ჩემო აარო,  
ჩემიდან არ გეპარო!  
ჩემიდან თუ გეპარე,  
მეზარზე გევიარო!

81

ჰეამო, ჰეამო,  
ჰეამოლა, ჰეამო...  
გავლაჲ ქვა ქვაზე დადო,  
გამოვლაჲ დიგიხდებაო!  
ლამაზავ, შენი ნენე  
მეც ნენე გიმიხდებაო.

82

ჰეამო, ჰეამო,  
ჰეამოლა, ჰეამო...  
მიხვალ, მიხვალ, ჰა მიხვალ,  
აქზე მოდი, ლამაზავ!  
დავჯდეთ, ერთხელ ავილოთ...

83

ხელზე აუზული მაქვა  
ალთუნის ტარიანი;  
აჯაბა ჰად იარება  
ჟუჟუნა თვალიანი?

84

დამწვარი ვარ, დამწვარი,  
შენც ნუ დამწვავ, ლამაზავ!  
დამწვარი ჩემი გულმა  
ბითუმ ტირის, ლამაზავ!

85

წროუს მეტი კურალია,  
არ არი რომ ხალხიში;  
შენი კლავინა გახდეს  
ჩემი ხელის ყაიში.

86

გალმაში ყანები მაქ,  
ჟუჟუნა თვალები გაქ;  
ყურში შიმიფურჩულე,  
ლამაზო, რა დერდი გაქ.

87

ზეგენისკენ ივიარე,  
ჰარი გედემეყარა;  
მისი ლამაზი შუბლზე  
ქოჩორი გადმეყარა.

88

ოდინდამ გამოსული  
 არ წახვიდე, რა იქნება!  
 ყუყუნელა თვალებით  
 შამეხხედე, რა იქნება!  
 ერთი სოფ ატყადაშები  
 მული გავხდეთ, რა იქნება!

89

ყველამ მამისმინეთ ცოტახან ყური,  
 აშილობიდან მაქვა მე ზორი.  
 ტირილში გიმხსტა თვალები ქორი,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 მეტი ლამაზი მიჩანხარ თვალში,  
 შენი სიყვარული შიმივდა ძვალში,  
 გევიარო გზაზე, წამომყევ კვალში,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 ფადიმე ხანუმი შენი სახელი,  
 სიზმარში ჩემთან იყავ წუნელი.  
 ნუ ზიხარ, მომდიე, წამავლე ხელი,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 აშილობამ დიმილპო გული,  
 ყიაზე ამოვდა გემრავლი სული.  
 შენ მთხოვნელსა მოვეკლავ,  
 დარჩები ტული!  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 სანათისია შენი სოფელი,  
 ზორ ლამაზი ხარ, ყური კუფელი.  
 ამორჩევილი გყავს ვინმე კოპელი,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 რატომ დეფინყე მოკდენის აოლი?  
 ფისტანი მოკლე გაქ, შეაკერე ბოლი!  
 შენ ზედანც ამოვა იხრი და მოლი.  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 რა მაქვა ყუსური, მითხარი ერთი,  
 უჭკვო ნუ ხარა, იცანი ღმერთი!  
 ბევრი მერაყი გავნიე შენთინ,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 რომელმა გითხრა ჩემთინ ფუხარა?!  
 დავარგი თუთუნი, თელმა გეხარა.  
 შენზედა დავხარჯო თუთუნის ფარა,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 ბევრი გიცადე, არ მოხველ ბალთან,  
 მერაყი მომე, რა დევმართა!

ბალი ჩიგიყარო, გეფნიე კალთა.  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 შენს უკან სიცოცხლე მეყოფა ხვალი,  
 მითხარი, გაქვა თუ ვინმეზე თვალი?  
 აშილობამა დამნია ძვალი,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 კარში გევედე, უყრია თოში,  
 მიველ, ქი დევნახე ათათი ბოში,  
 დამაშპა სული, დიმიწვით ბიში!  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 ლამაზი ხარ მეტი, ახალი თვარე,  
 წამოდი ლამეში, არ გინდა კვარე.  
 მე სკათის ვიქნები, შენ გადმეარ,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 ოგეჩას დიგინახე ხერტალი რთვაში,  
 დავნერე დესტანი, შამოვდე ქვაში.  
 უმუდი მაქ, ბელქი შენ მოხვალ ჭკვაში.  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 დესტანი დავნერე თელი გურჯიჯა,  
 ყანაში წასლა ვინ დაგპატიჯა?  
 მოა, ფენჯერზე ქენი ჭიტიჯა,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!  
 სალიოღლის ბიჭი ვარ,

რეჯებოღლის ეგვანი,

არ დამრჩა ჰალი, მინდა გარგანი.  
 ნელზე მკიდია ლივერი, ლაგანი,  
 დევნვი, დევლანძე, ჰა ნევდე, ნენი!

90

კიდვენ ქი გადმოველით  
 ბეგოღლეი დელები,  
 არშუნი ხელში მაქვა,  
 უზახდა ისა ჰელები.  
 ახილე და დაბინე  
 ყუყუნელა თვალები.  
 მოა, უბეში ჩამიყე  
 ინიანი ხელები.  
 ლამაზო, თლათ მოგგონდეს  
 უწინდელი დღეები.  
 ერთი ასე მეხედე,  
 დეგეკარგოს დერდები.  
 წამოა და ნეგიყვანო,  
 მარტოლაე ნუ ბერდები!  
 ეს რა ჩქარათ გათენდა  
 მეინიევით ფერდები.

91

ნელზე ფიშტო და დანა,  
შამამხედე, მარქვალა!  
მე შენი თავი მიყვარს,  
მეც წემიყვანე განა!

92

ნაველ მიღმა ყანაში,  
დავჯექი ვაშლი ძირში;  
მეადანზე ვერ'ნა ვთქვა,  
რეები მაქვა მე გულში.

93

სოილე რუმინაანა,  
სოილე დერდუნიბანა.  
შენი თავი მიყვარს!..

94

მე ტურა ვარ, შენ ყავი,  
წუხელ შენთან ვიყავი;  
დევიძინე, გამევიღვიძე,  
ჩემთან არ იყავი.

95

მალიდან აფრინდება  
თქვენ სოფლის მიმინო;  
ფარდი მარტოლაჲ დარჩა  
უბედური ყვავილო.

96

მცა იხსნებოდა ტყეში,  
შავი კურდღელი ხევში;  
ნახველი, დემივიწყე  
ჩემი სიყვარე გულში.

97

შენი ბაბოს დავაჯერავ,  
საქმე დარჩეს ფარაზე;  
შენ მელჰეში გემიხდი  
ჩემი გულის აარაზე.

98

თახლა-მახლა ნაველი,  
წამომედვა ბარდები;

ენწინ არ გუუფთხილდი და  
წევექეც, მემრე ვსწორდები.  
თვალეები უუუუნელაჲ,  
რა ჰალია, გვერდები!

99

ფენჯრიდამ რომ იყურავს,  
ი გოგო რომ დელია;  
ხელი ჩუუყავ უბემი,  
ძუძუს თავი თხელია.

100

გოგოვ, გამოდი ტყიდან,  
ნუ გეშინია ...დან;  
ამეინიე ფისტანი,  
შამოგიდვა ...ს თავი.

101

გალმა ქედის ქოშეში  
შენ თავი და მე ყავი;  
მიბიძგე ამის თავი,  
იჭყინჭოს და იყავის.

102

ღელეს მოაქ ხეები  
ქვებზე მოხდომილი;  
გული აარალი მაქვა,  
ტყვიამოხდენილი;  
თუთუნი დელია,  
გაზდილხარ, თავანზე გასულხარ,  
სევდა არ მეყო...

103

ციცინათელავ, შენ და მეო,  
შენ დღეე გიყვარს,  
მე – ღამეო.  
ნარინინი, ნანიდანანო!..

104

თოვლი დეეცა,  
დეეცა, ვიტირე;  
შენ სახელ ვეყურბანე!

105

სახლის უკან სათარი,  
ჩემი ფაცოჲ სად არი?



106  
რა ჩეთინი დერდია,  
მე მიყვარს და მას – არაო.

107  
უსტურა და ბილევია,  
შენთვინ ვინვი, ვილევია!

108  
– გოგოვ, გოგოვ, ასიევ,  
მაგ ძუძუები ვისია?

– შენ ბუძალა, სერსემო,  
ვინცხასთან ნევალ, მისია!

109  
ყურებზე ქუფები,  
ალთუნი გულზე გაქვაო;  
კლავზე ბილეზულები,  
ქემერი ნელზე გაქვაო.  
ვიცოდე, შეთარეთი  
ვიზე გაქვაო.  
ჩემი გული დანვილი,  
შენ ქეიფი გაქვაო.



პარეხტა, 2007 წ.

## საქორწილო ლექს-სიმღერები

### 1. საპატარძლოს (სასიძოს) შერჩევა

1.1  
მაღლა-მაღლა ქორი ფრინავს,  
ქვეშ – მიმინო გვიმრიანი;  
მე რომ გოგოს დავაპირებ,  
წელმაღალი, თმიანი.

1.2  
ზეგნიდან ღვარი მოა,  
გასადებულ ღარ ვეძებ;  
ახლა სახში წასლისთვინ  
შენისთანა ქალ ვეძებ!

1.3  
სახლის უკან საგულე,  
ერთი ფაცოვ დევგულე.

1.4  
ელია, გოგო, ელია,  
ე რა წმინდა წელია!  
სამი წელიწადია,  
შენი თხოვნა მწადაია.

1.5  
ორი ხბო თაზე მყავს,  
იქით-აქეთ მექცევა;  
ორი წელიწადი იქნა,  
შენი თხოვნა მწადაია.

1.6  
შენ არ გეგონოს შარო,  
ჩემ წენესა და ბაბოსი  
შენა ხარ რძალიო!

1.7  
თეთრი ფორკა აცვია,  
ფარფალი ფულიანი;

შენ ი გოგო არ გინდა –  
გული ვერემიანი!

1.8  
ძალიდან გადმომხედე,  
„ჭიტის“ გეტყვი, „ჯოს“ – არა;  
ერთ ბაგენ წიმიყვანე,  
„აღას“ გეტყვი, „ჭოს“ – არა!

1.9  
ციცინაჲ ნიზმიზია,  
ჩუმას შეჭამს, დოს – არა;  
წამოდი, წევიყვანო,  
„ხანუმს“ გეტყვი, „გოს“ – არა!

1.10  
ჰაიდე, წევდეთ, ლამაზავ,  
ახალი სახლი მაქვს;  
რა ლამაზი გოგო ხარ,  
ამ სოფელში რა გაქვას?

1.11  
ყიშან ტალიაშარ,  
მევპართ ერთმანეთი.  
ჩვენ რავლი'ნა შევფერდეთ,  
შენ – ლამაზი, მე – ბეთი!  
შევტყვე, ქორწილი არი,  
მოსქდება ყიამეთი.  
რა ლამაზი ყოფილა  
შენი შორეთი მეთი!

1.12  
წამოხველი, გოგო, წამოხველ,  
არ წამომყვები, რაჲ გინდა?  
ორმოც ოქროს შაგაბამ,  
წითელ კაბას ჩაგაცვამ.

**1.13**

შენ ჩემი ხარ, მე – შენი,  
გევირიგოთ ერთხელა!

**1.14**

თითზე ბეჭედი მაქვა,  
ნანი, ნანი, ჰოჲ, ჰოჲ,  
ჰოჲდა ნანი, ჰოჲ, ჰოჲ!  
ბეჭედ თვალი არ აქვა.  
ნანი, ნანი, ჰოჲ, ჰოჲ!  
ჰოჲდა ნანი, ჰოჲ, ჰოჲ.  
ბოშინა ნუ მიყურავ,  
ნანი, ნანი, ჰოჲ, ჰოჲ,  
ჰოჲდა ნანი, ჰოჲ, ჰოჲ!  
შენზე თვალი არ მაქვა!  
ნანი, ნანი, ჰოჲ, ჰოჲ,  
ჰოჲდა ნანი, ჰოჲ, ჰოჲ!

**1.15**

სახლი უკან საქათმე,  
ერთი გოგო მოვქათმე!

**1.16**

ყავნი-ყარფუზი ჭამე,  
რა ნაქნია აყირო!  
კაჲ პასუხი მითხარი,  
უკნიდამ არ მაყვირო!

**1.17**

კაუმ ყარფუზი ვჭამე,  
არ მინდოდეს ნაყირო;  
მე შენთან'ნა ნამოვდე,  
შენ ბაბოჲ'ნა ვაყვირო!

**1.18**

დევედევი ფხარზე ნაჯალი,  
გიდვიარე ჯამე კარზე.  
ოსმან დაის ესმემა  
მიყურავს აქეთაჲ კარზე.

**1.19**

ალთუენ! გამოხვალ თუ გამოვდე,  
შენი სულის ჭირიმე?  
ჭუნკურებში ვიარე,  
ვსვი ცივი წყალი მე.

გადმეხედა თვეფიყას ალთუნმა,  
ნემივდა ჰალი!  
შენ თუ გითხვევი, ჩემო ლამაზო,  
ერთი ყოჩი ყურბანი!

**1.20**

ტყეში შეძრა ფუტკარი,  
გულში რა გაქ, მითხარი;  
მე შენთან'ნა ნამოვდე,  
შენი ნენეს უთხარი!

**1.21**

ჯეფში მაქვა საპათი,  
რა გაქვა ზანაპათი?  
ნამოვდე, ნემიყვანე,  
დამაჯდომლე რაპათი!

**1.22**

მაგ ლამაზაჲ ქოჩორი  
პანანაჲ მიმინყვიტე!  
როის'ნა ნიმეყვანო,  
ანვენ გიდმინყვიტე!

**1.23**

დანა მეიტანე, დანა,  
ქათამი დავკლი განა;  
შენი ლამაზი სახში  
გელინობა ვიქა'ნა.

**1.24**

ვენახში პოტოტები,  
ხილი'ნა შემეჭამოს;  
თუ არ მინდა, იმისთვის  
ზორიდან'ნა მიმცონ'ნა?!

**1.25**

გალმა ერთი ტყემალი  
კანნარ-კუნნურ კიდეა,  
იმ ღორი შვილ უთხარი,  
მე ნუ ჩამოკიდეა!

**1.26**

ბათუმიდან ამევედა  
ქილიმი და ანქეჩა;  
მე ქმარი დანახვამდე  
ბუჟულმა დამაბეჩა.

## 2. სასიძო და მისი ოჯახი

- |  |  |
|--|--|
| <p>2.1<br/>ნენე, კვერცხი შიმიწვი,<br/>ტაფაში გავგორდები;<br/>ბაბოვ, დამაქორნილე,<br/>გოგოსთვინ გავდელდები!</p> <p>2.2<br/>რამდენი კვერცხი მაქ,<br/>კვერცხი ვერ შემინვია;<br/>დაქორნილობა მინდა,<br/>ბაბოსთვინ ვერ მითქმია!</p> <p>2.3<br/>გალმა თეთრი ქათამი<br/>გამოლმაზე კაკანობს;</p> | <p>ბაბო, დამაქორნილე,<br/>ჭლიკები მიკანკალავს!</p> <p>2.4<br/>გეჟარე, გამეჟარე,<br/>ნუ ხარა დერთლი, ჯანო!<br/>მე ნენემა დამანდო,<br/>მეყყვანი რზალი, ჯანო!</p> <p>2.5<br/>გუშინდელი გელინმა<br/>ორ დღეზე ფერხულობს;<br/>უთხარეთ ჩემი ბაბას,<br/>ერთხვა დამაქორნილოს!</p> |
|--|--|

## 3. ქალის თხოვნა, ნიშნობა და საქორნილო სამზადისი

- |  |  |
|--|--|
| <p>3.1<br/>– დედევ, გოგო მომეცი,<br/>აალი ვაჭამო, აალი!<br/>– დედევ, გოგოს არ გიშლი,<br/>აშურა მასინ აალი.</p> <p>3.2<br/>ჩემი გოგო ნაზურ,<br/>ბირმილი არი აზულ;<br/>ბირმილი აალი მეტანეთ,<br/>მობრუნდით და წეყყვანეთ!</p> <p>3.3<br/>შინდები ვისაქმე,</p> | <p>ყალათებში გიქნა მე.<br/>გამოგზავნე წინდები,<br/>ფეხებზე ვიქნა მე.<br/>მენდილი ხელზე,<br/>მენდილი მიეცი ხელზე.<br/>შავი ყინა გამოგვზავნე<br/>ჩემი აარი ხელზე.</p> <p>3.4<br/>წვეელი ცივი წყალზე,<br/>ვერ ავავსე გუგუმი;<br/>წეე, უთხარი შენ ნენეს,<br/>აპრილში მაქ დუგუნი.</p> |
|--|--|

## 4. გამოსათხოვარი

- |   |  |
|---|--|
| <p>4.1<br/>ნენე, ნენე, გეყრები,<br/>ნენე, შენ ვერ გეყრებიო!<br/>როგორო მოზობელი,<br/>გზაზე გედევგეყრებიო.</p> | <p>4.2<br/>მაღალ-მაღალ მთებიდან<br/>იქ სახლი არ დადგანო!<br/>აბანჯი მემლექეთში<br/>გოგო არ მიცე!</p> |
|---|--|

ყინა მეიტანე, ანე,  
თითი დაანე, ანე!  
ამესლამ მოსაფირი ვარ,  
ჩემ უკან დანექ, ანე!

#### 4.3

ცივი ქარი მექროლა,  
კალაშია, კალაში;  
რა მალე მოათავე  
ბაბოს სახლის თალაში!..

#### 4.4

წყალი მიდის ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
ჩვენი გელინის ნენეა  
ზის და ტირის ჩარდახში.

#### 4.5

ოჯახის კარში კატა  
„მიავე, მიავე“ – იზახის;  
ჩვენი გელინის ნენეა  
„ე რა მექნა!“ – იძახის.

### 5. მაყრული

#### 5.1

ბენონი, ბენონი...  
მეგეჩვენე თუ ბეთი?  
ნევედი ცივი წყალზე,  
ბენონი, ბენონი...

ძველი მოხმარდება თუ?  
კარი შამუფერდა ქი,  
ჰავლი მოხმარდება თუ?

#### 5.2

კარი თავზე აველი,  
ვერ ავაგვსე გუგუმი,  
ღმერთმა ანჯახ მომასნრა  
ჩემი აეგანის დუგუნი!

#### 5.5

– ლამბაშუშე შუშეში,  
დოდოფალი ქოშეში.  
დოდოფალი მომყავან,  
საჩუქვარი რა გყავან?  
– ფუცუნცლიანი თხა მყავან.

#### 5.3

ბათუმიდან მოსული,  
სანთელში ამოსმული!  
გელინ, შენი ლოყებზე  
ვარდები ამოსული!

#### 5.6

– დოდოფალი მოგყავანო,  
საჩუქვარი რა გყავანო?  
– ნეფე მოგიყვანეთო!  
ამაზე კაა რა მოგიყვანოთო?!

#### 5.4

მაცივებს, მაკანკალებს,  
თოვლი მოხმარდება თუ?  
ყველამფრის ახალი და  
ძველი მოხმარდება თუ?  
შორიდან მოყვანული  
რძალი მოხმარდება თუ?  
ყველამფრის ახალი და

#### 5.7

დოდოფალი რამ არა!  
დადე, შენი ჭირიმე!

#### 5.8

სახლის ზეიდან გვეელი,  
ჩამოვსხალი ნეკერი.  
მარიოღლებ არ ეყვენ  
ორი კილო შექერი.



ბოშინე ნუ მიყურავ,  
გელინო, გელინო!  
შენზე თვალი არ მაქვა,  
გელინო, გელინო!

### 7.2

გელინო, გელინო,  
სოფლე რუმანანანა.  
გელინო, გელინო,  
გულში რამ გეგვივარა?

### 7.3

გელინო, გელინო,  
მიხვალ, მიხვალ, ჰად მიხვალ?  
აქზე მოდი, გელინო!  
დედამთილი დედასავე,  
მამამთილი მამასავე,  
მაზლები გყავს'და ძმასავე,  
მეხიზმეთე, გელინო!..

### 7.4

გელინო, გელინო,  
ზალო, ზალო!  
კარზე მოვდა ზალი,  
ბოჲა მუუსვა კარზე!  
გელინო, გელინო!..

### 7.5

გელინო, გელინო, გელინო,  
ჰადე, ზალო, მოზზანდი,  
მოვიაროთ სარაჲ!  
ჰემ ვთქვით და მოგიყვანეთ,  
არ გეჲარა ერთი თვით.

### 7.6

გელინო, გელინო,  
დედამთილ კაჲ შეხედე, გელინო!

კაჲ ძლობა ქენი, გელინო!  
ლაში გქონდეს, გელინო,  
ენა არ გქონდეს, გელინო!

### 7.7

გელინო, გელინო,  
შენ დედამთილს კაჲ ასვი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
რა ლამაზი გოგონა ხარ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
დედამთილი დედასავით, გელინო...

### 7.8

გელინო, გელინო,  
ხეირი მეფტანე, გელინო!  
გელინო, გელინო!..

### 7.9

გელინო, გელინო,  
ლელა-ლელა გამეიარ,  
გელინო, გელინო!  
კარის ლობი დაბალი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
შენი ტანი მაღალი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
დედამთილი დედასავეთ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მამამთილი მამასავეთ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მაზლი არი ძმასავეთ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
მული არი დასავეთ, გელინო,  
გელინო, გელინო!  
კაჲ ძლობა ქენი, გელინო,  
გელინო, გელინო!  
ლაში გქონდეს, ენა – არა, გელინო,  
გელინო, გელინო!

## საყოფაცხოვრებო პოეზია

1

ზამანე გამეფცვალა,  
ნისქეილი გუდაშია;  
უწინდელი სირცხვილი  
ახლანდელ მოდაშია,  
ლამაზი დედოფალი  
განყობილ ოდაშია,  
დედამთილი, მამამთილი  
ადეთი სოფელშია.

2

ზოგი არდალა,  
ზოგი ბოდალა;  
ილიასამ წამეკიდა  
რძიანი კარდალა.

3

ქალი მივა ქალაქში,  
კვერცხი აქვან კალათში;  
დავჯდეთ, ვიანგარიშოთ,  
არ ჩაგაგდებ ზარალში.

4

ფენჯერე აკიდული,  
ფერდე ჩამოკიდული;  
მენშიროლლის გოგოა  
ბეშულულჩამოკიდული.

5

ითამაშე, თამარა,  
შენი საქმე რამ არა;  
ჩეცვი და დეზურე,  
ხან გეცინე, ხან – არა.

6

– ორმოცი წლის დეკეული  
გუუძახეს ბერნ ფურსავენ.  
შეგენახა, მოგფერებიყო აარსავენ.  
– ფერება არ გეიტანა,  
მოვეჩვენე ლორსავენ.

7

არც ნენე მყავს, არც – ბაბა,  
გარიბი ვარ, გარიბი!  
თავიდან ჭკვა გამოვდა,  
არ ვიცი, ჰა ვიარები.

8

ლმერთმა თათრებ რა მუუჩინა  
უდროუდრო რამაზანი! –  
ხან წინ მოვა, ხან – უკანა,  
არ იციან, როდის არი.  
შიმშილისგან ფაშვი ტკივა,  
გვერდზე მიდის ქალამანი.  
ქალამანი ქალანჩუთეს,  
თირირირი, ჰორინანა...

9

ბალი ბოლოს თხილები,  
ერთათ ნევდეთ შილები!  
ბაბომა გაგაშენეს  
გემრელ-გემრელ შვილები.

10

მზე ამოვა დილაზე  
ზემოურ დუნაზე;  
მარილი მივყაროთ  
მუზევირჯის ჯინაზე!

11

ჩემი გულის დერდები  
გითხრა, გემიდელდები;  
მე სოფელში ვერ ნევალ,  
დემეყრება ქედები.

12

ლეღეში ჩავდე ნავი,  
ხეზე გასულა ყავი;  
შენ კაცი არ გახდები  
მაგსოვ ჯირეკავ თავით!



13

ერთ ბაღში ვიყავი  
ვარდის კუკული;  
წოლა-წოლაში  
დიმილპა გული.  
მოვდა ეზრაილი,  
ამართვა სული.  
გეხვეწები, ნენე,  
ერთი ჩემკენ თქვიო!  
ნენე, მოკვდარვარ,  
ვერ დიგინახე!..  
ჩემი ნათქვამები  
გულში ვინახე.  
ი ანტერი რძალი  
ბითუმ დეინახე;  
გეხვეწები, ნენე,  
ერთი ჩემკენ თქვიო!

14

იზრაილი მიძახის,  
ჰალი არ მაქვს რაცხა!  
დაულ-ზურნით წემიყვანეთ,  
მე რო მოვკტები როცხა.  
კაჲ ჯერსაც არ მოვზებნი,  
ისტარსაც იყოს ფაცხა;  
მზე ამოვდა, შემცივდა,  
მთვარეში უმფრო დამწვა...

15

ჩევეცვი გძელი ბინიში,  
დევენყე ვენახი ფარცხვა;  
ხოჯების ისთიჰვარსა  
ვერ მოვესწრებით ერცხვა.  
დავულ-ზურნით წემიყვანეთ,  
მე რომ მოუკვდები როცხა...

16

უკნიდან მოვა საქმეები,  
მოვკდი მე, ღმერთო!  
ერთთანემა ეჲარს,  
ერთთანემა ჩეჲარს,  
მოვკდი მე, ღმერთო!  
ხალხ კაჲ ქეიფი აქვანან,  
მოვკდი მე, ღმერთო!

17

მოდით და შეხედევით,  
ეს მედოჲ რა ჰაღშიაო!  
კარი გუღეთ, შამოვდეს,  
ეზრაილი კარშიაო!  
იმ დუნჲას ჩემი იგრი,  
ნენე-ბაბოს შუაშიაო.

18

არ ვიცი, სიცოცხლეში  
რატომ არ გამახარა!  
მომკალ და მომარჩინე,  
ეზრაელო, ჰა ხარა!

19

ევლე ნეფტის აბდესი,  
თენეშურზე დამდევიტ;  
ნენე, სული ამომძრა,  
ღმა მეზურში ჩამდევიტ!

20

თველზე წყალი სახში შევდა,  
ფიცარ ვნახო, როგორია;  
წყალი შეფთან მუუგზავნია,  
მელაქებთან მივალთო.

21

დერდები ბევრი მოვდა,  
გახდა ერთი ხარანი.  
ჲავამ-ჲავამ ჩემ თავზე  
მოვდა ბუქი, ბურანი.  
ეზრაილმა ჩახედა,  
ემიმწარა აჲრანი.  
ეს ჩემი სემაჰათი  
რატომ დარჩა ვირანი?  
ჯერე უმუკტომელათ  
ჩიმიკითხეს ყურანი.

22

წმინდა ძივი დემეპნა,  
ამსხმელი ვარ, ამსხმელი;  
ნენე, მენ რატომ ტირი?  
წამსლელი ვარ, წამსლელი!

23

მტარე წყალი ამღვრეველა,  
არ'ნა დენაზიროს'ნა;  
წამსლელი გზაზე შედგა,  
არ'ნა მოტრიალდეს'ნა!

24

ზიარეთისკენ ავლად  
მიახელ ერთი ვარდიო;  
შვილო, რაილ გიგიმეტო,  
დაყრისთინ ერთი ორდი!  
რაილ გაგ ზავნო მურდო,  
უნდომებელ ღერებზე?!

25

ხევი მოვა, მოშვავას,  
მეც'ნა წემიყვანოს'ნა.  
დარჩები უბედური,  
ვინ'ნა შამოგხედოს'ნა!

26

**ლოგინი**

მონინწკლული კაროლა,  
დოდოფალი საფერი;  
ძალი მეყვანა ჰაჯიმა  
გახაზირებული სახში.  
მჯიღეველა ყლაპა წამლები,  
არ მისდევდა თერმაში;  
გეზბერა, ჯიჯაქ ეზზაჯიმა,  
წამალი მისცა გვერზე.  
ძალიანი გუნწანწებია,  
ჰაჯი ვერ დადგა ზეზე.  
ზორით წასივებული ზალლი  
კურდღელი გევედა ხეზე,  
მა დროს რომ არ მოხმარდება,  
ძალმა დაუყეფს იმაზე;  
ოროლი გუგუმები  
შედვა შიშის სობაზე,  
გადეხადა ფიჟამები,  
გეეხიდა ოდის კარზე;  
ნათქვამი პასუხები  
ტყვილია თუ, მითხარით!  
ერთამეთმა ჰაჯისა  
უჩუმალა უთხარით,

ფული ბევრი იხმაროს,  
ნუ იარება შორ გზაზე,  
პალოდამ გადამრჩალი  
არ დეეხიროს მესარზე!..

27

სიზმარში ამეველე  
წინაჲ კიბილი;  
სოფელში გამოჩნდა  
შენი კივილი.  
ართულ საბრი ვერ ვქენი, –  
დევენყე ტირილი;  
დილაზე ავდექი,  
თოფი გავარდა,  
აი ემიაჲ ზედედ ავარდა.  
აჯაფ, რა იქნა-მეთქი,  
გული გამვარდა.  
შენ ჩემი ბაბაჲ  
ქირდათ ეიღევი,  
მოტანილი ბეშლი  
უკან წეიღევი,  
იაზუქ ლერ ონსუნ,  
სხვა ვერ ეიღევი!  
არ გეკადრება,  
ჩემო ამედი!..

28

ამის იქით თქვენისკენ  
არ დეეყვირავს გუგულიო;  
ერთცხვა აქ არ გამოვალ,  
თქვენ იყავით შერგულიო.  
ამ დრომდინ არ ვიცოდი,  
როგორ იყავ ორგულიო!  
ხანდისხან თუ გამოვალ,  
გამიკეთეთ ჩირბულიო.  
იცოდეთ, რა გაქვან  
ახალ ბაღჩეში დარგულიო!

29

ადგა და ჰიმკენ მივა,  
ჭკვას დეეკითხოს ზავალი.  
ერთცხვა აქ ვერ გამუჲ  
სევაილში ნავალი.  
რემენის კონდრა გინდა

ტალახებში სავალი.  
იქნა შენი გულისა,  
ჰაჩან გახდი დავალი.  
სოქაქში ზურნა უკარ,  
ნალის ქვეშ – ყავალი.  
მორჩი ბევრ დერდებიდან,  
გამეფარე სუალი!

30

ჩემო ნენე, ლამაზო,  
შენ ქი ჩემთან არ ხარა.  
მე ვის'ნა გევენაზლო?  
ცხრა თვეს მუცელში ვიყავ,  
მემრე მასვი, მაჭამე,  
ჩემო ნენე, ლამაზო,  
ჩემო ნენე, ლამაზო,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
თოხით თხარე ყანები,  
სახლში გარცხი საჰნები,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
ფარები მოგებისთინ  
ბევრი არგი თუთუნი,  
ჩემთინ შალი მოქსოვე,  
ცხვრებში მიე ალთუნნი,  
ჩემო ნენე, ლამაზო!  
გამომიცხე პურები,  
ბევრი წველე ფურები.  
ვინცხას ნენე არ უყვარს,  
დუუქორდება თვალები,  
მიახმება ყურები!  
ჩემო ნენე, ლამაზო,  
ჩემი ნენე მენსური,  
მე აშილი არ მომცა,  
ისა მისი ყუსური.  
აშილსა კაცი მუუკდა,  
ახლა დარჩა ყისირი.  
ჩემო ნენე, ლამაზო!

31

სახლის უკან კაკალი,  
ხეზე გევდა ეკალი;  
ნაზღავ, შენი ნენე  
ქორი დანით დაკალი!

32

სახლის უკან ვაზია,  
დედამთილი ჯაზიაო;  
იმას რძალი არ უნდა,  
შვილი მოკდეს, რაზიაო.

33

– დედამთილი რა ვქნათ?  
– ცხელი ქვაბში ჩავდვით!  
„ვინვი! ვინვი!“ – დეიყვირავს,  
ქვეშიდან შიშა შუუგ ზნათ.

34

დედამთილ მე რა უყო?  
დეღარე წყალში ჩავგადო?  
„– ვოჲ, გელინო, მე დამნვი!“ –  
ქვეშიდან ცეცხლი გავანთო!..

35

მე დედამთილ რა უყო,  
მერდევეანზე გადავაგდო?  
ბრავაბრუგით ჩავლაში  
უკნიდან ქუსლი ვაძგერო...

36

დედამთილი მერდევეანზე გასულა,  
თანგურ-თუნგურ წასულა;  
რზალსა უთქვია ქი:  
– ვოჲ, რა კაჲ ქნილაო!

37

დედამთილი ნეფესა,  
თვალი გემეგეფესა!

38

სახლის უკან ეკალი,  
დედამთილი მოკალი!

39

დედამთილი ეკალი,  
მიკარ ქუსლი, მოკალი!

40

დედამთილი ეკალი,  
ღმერთო, მალე მოკალი!

41

ოჯალი ძირში ზისა,  
იქით-აქეთ მულია;  
ვინმეს არ უყურავს,  
ჩემი სახლი ბელია.

42

სახლის უკან ბიბრები,  
მოყრილან დედაბრები;  
დედაბრებო, შინ წედიო,  
გამოგზავნეთ, გოგვები!

43

სახლის თავზე ბიბრები,  
მოყრილან დედაბრები;  
დუუფჩენიან კბილები,  
დაკტენიან ბერები.

44

სახლის უკან კაკლები,  
ზეთ გასულან ქალები;  
ჩამოით-მეთქი, უთხარი,  
დიმიკლიპეს თვალები.

45

დედაბერი ბერდებოდა,  
ცხენს უკულმა აჯდებოდა;  
დააქანებდა მანთარას,  
დეიპუნკებდა ფანჩარას.

46

– ყველანი რომ გაათხოვეს,  
შენ რომ დარჩი, ლაშხიაო?  
– შენ მუშაობ, მე ვჭამავ,  
ასლამი მიში ქოშეა.

47

დაპრანჭილი ყისერზეო  
იყავი, უსვი ხელიო;  
რომელ ახალთან გაჩვევლი  
ახლა ბერთან რა იჯები?!

48

შენ ქი მე არ წამომყევ,  
რა მიწახე ყუსური?

ჩემთან ქი ყოფილიყავ,  
დედამთილი ქყოლოდა –  
ჩემი ნენე მენსური.  
მოგიკდა ბეთი კაცი და  
ახლა დარჩი ყისირი!  
მარტო ხათალში წეხვარ,  
შეგცივდება ლამეში,  
დეგემართვის მაასირი!

49

ზღვაში თევზი მიდიოდა,  
თავს აქანავს, კუდს არავო;  
ახლანდელი ქალიშვილი  
სხვას მუუნვება, გვარს – არავო.

50

ადექ, დაჯექი სკამზე,  
მალალი გამოჩნდები!  
თეთრი პუდრა გედეისვი,  
ლამაზი გამოჩნდები!

51

ჩვენ სახლუკან ტყემალი  
კანჭულ-კუნჭულ ასხია;  
შენსავეთ გოგვები  
ჩვენ ახორში აბია.

52

თელას ტყავი გავაძრე,  
ხიდან ხეში გავაბი;  
თქვენთანაჲ გოგოები  
ახორის გაბაში დავაბი.

53

გალმა ქედზე წიფელა  
ფუტკრის ბუნალიაო;  
ჰარსა ოფლი დასხმია,  
დავსუნე, კოლონიაო.

54

შეხვედი ცივი წყალზე,  
ყინავი გეგონა თუ?  
ის ქოშე მემედის ყანა  
ფილავი გეგონა თუ?

55

ალა ყაფას კაპანები  
ჩვილია თუ მაგარი?  
ერთი რაცხა შევტყვი,  
ტყვილია თუ მართალი?

56

– ხეზე გევედა ფუტკარი,  
გულში რა გაქ, მითხარი!  
– უდარდელი დერდები  
გეტყოდე, გადელდები.

57

ფეხზე ფაფუჯი მაქვა  
კოდენ ნამოდებული;  
იმდონი სულაღე მყავ  
ღუნაში მოდებული!

58

ლობედან ჩიტი გაძრა  
უკუდო, ბუმბლიანი;  
შენი ააროე მე ვიცნობ –  
თვალეები ნიპლიანი.

59

მე ერთი ქათამი მყავსდა  
უკნიდან მუმლიანი;  
შენი თავი მე ვიცი –  
თვალეები ნიპლიანი.

60

თაროზე ცივი ჭადი,  
ანე და შორ ნადი!  
ვინმე გოგოს არ მოგცემს,  
გოგოს ყურბანი ნადი!

61

საბათმეზე ბულულო,  
შიანაე ნარცხიანი;  
შენ სიმღერა არ იცი,  
მუსტაფას ფარცხიანი!..

62

რომ ყოფილხარ ორგული,  
გვერძე ამოგძრეს სული!

63

შენი ბუფულები  
საჩეჩელზე ვჩეჩე!  
ბუფული კაც სწევს,  
მოე და ზეიდან გეიჩოჩე!

64

რა ვთქვა და რა მევეგონო,  
შენ თქვი და მე გვეგონო...

65

რა ვთქვა, რა მევეგონო,  
რამ არ მოვა ენაზე;  
სახლი'ნა ავაშენო!  
ახალ არსას ბინაზე.

66

ცაში მივა თეარე,  
მივატეხე ბაჯალი;  
ინშალლა, მე დამჩება  
შენი ბაბოს ოჯახი!

67

ოჯახში საჯი ძალი,  
მივატეხე ფეხები;  
ინშალლა, მე დამჩება  
ჩილოღლები ოჯალი!

68

ლაზოღლიმა ცხენი მისცა  
გენჯოსა უსეინასა,  
ზავალი ჰიჩ არ ნამაადგა  
ნაჩუქრები ყაინისა.  
ყულუნჯის ყაბეთია  
გამოგრეხვა ბოინისა.  
არც წყალი სმა ერგებოდა,  
არც იშტალი ჭამაში...

69

ეგერ, თუ ვირი გინდანან,  
ნაე, არტანუჯ ეიყვანეთ!  
ხანდიხან ზურგზე შეჯექით,  
ყროყინობით მეიყვანეთ;  
კუდი კლავში ამეიჩარეთ

ყაილის ლაფერსავებ.  
იორლაზე ქი აგაგენყე,  
ყურები – სიფერსავებ.  
ე რა კაჲ ვირი იყავ,  
ახლა არ დამჩე ხელშიო!

70

– ზეგან, ერთი შეხედე,  
რამდენი ყური აქვა?  
– მე იმას კაჲ შეეხედე,  
ფაშვი ზორ შური აქვა.

71

ისმაილ არ მიართვი,  
მოკალი ვირი;  
შენ იცოცხლე და  
ახლა ნუ ტირი!  
მაასირის ილაჯი  
მოსრაკე ყვერი.  
ჰერამი იყო თუ  
ბაქნარას მოლი?  
ვირები ყორღანის  
ცივი ზემერი,  
გულის სარწმელი  
დარჩა სემერი.  
ვირის კუდი ქენი  
წელის ქემერი!  
ბერი ყოფილა,  
ნუ გენვის გული!  
იბრაიმის დუუძახეთ,  
ხორცი ანონოს,  
მუუფეროს ხორცი,  
ყუმშეს მაანონოს;  
უხორცო არ დარჩონ,  
ყველას გუუგზავნოს;  
ელუგი ვქნათ,  
მომკვდრებსა ვუხსენოთ სული.  
ორხვათის ხალხი  
არიან დელი,  
ხორცი ჭამაზე მოვდენ  
კომშური თეელი.  
ჰაჯი ასანამა დუა ქნა,  
წვერზე ჩამეისვა ხელი,  
ვირის ფარფა ეგონა

დემური სოლი.  
თოვლებში ვერ გევედა  
ოხვათ ბეთარი,  
დავითრიეთ ვირი,  
გახდა სათრი;  
ყველა განუხდა,  
მოვედა ზამთარი.  
უჭკვო ინსან მუუხდება  
ჭყიშავრის გოლი.  
ისმაილ ათასოჲ  
მლოცავთ ეყვა,  
ვირი ჰვეესი ქნა,  
ვირ ჭკვაზე უუყვა;  
ხორცი ჭამაში გემუგი მოყვა.  
ისმალ, ქი დეგეჭირა,  
ჰა ქონდა სული!  
ისმაილს უთხრეს,  
არ იყოს მურდი!  
ვირის ზარალზე  
მეემატა დერდი.  
თქვა ქი: „– დაკლაში  
გამხადა ხურდი,  
ვირის ტავანიდან  
იქნება დავლი!“  
ისმაილის მუუწევს  
იმ ვირის ცოდვა!  
ვირი დაკლაში  
ქოქსალი მოვედა.  
ემოს დეეხმარა,  
ყურებზე მოდვა,  
აზყალდი დეაზნიდა,  
შეეკოჭვა გული...

72

ვენახისკენ ჩეიარა,  
ვერ ნახა წყალი;  
წამეყარა ტრინკები,  
დაგანახვა ნალი!

73

გალმა რაცხა მაყეფსა,  
ვირია თუ ძალღია?  
კონინები გავყიდევი,  
ძალღი რადა მჭირია?!

74

ერთ ბულამა ამომცხა,  
ყისერი კომიანი;  
ქაშუმა ბელი ოლდი  
ბორჩხალი ფუშიანი.

75

– ჩვენ ოსმანი ტადას  
თეთრი შესვლია წვერში;  
– ჰასანა ძიგძიგსავე  
უყურავს კაკლი წვერში;  
– მე ზათინ ზორ მცხვენია,  
თავ იღებს მეტი ხალხში,  
– ნევზათი იხრუტუნავს,  
გავა ჯამბაზი ტყეში;  
– ქერემი აზმანია,  
გაბლუვლავს ყველას კარში:  
„– მუუკიდეთ ფერენებსა,  
ჩეიარეთ ილბირიში!“  
გაღმა ხალილი ემოჲ,  
იყოს თქვენი დევრიში.

76

ილბაშია, ილბაში,  
გამეიხედვეი კარში!  
ჰაჩან არ გამეიხედავ,  
ჩირმე ჩავა ვენახში!

77

მისვალ, მისვალ ადაში,  
ვარდი გიკრეფ კალთაში;  
თელი რომ აქ მოხველით,  
ჰა ნეიყვაათ არქადაში?

78

წყალი მივა ადაში,  
ვარდი ვიკრეფ კალთაში;  
მე ასკერში გავგზავნე  
ჰემ დარი, ჰემ ყარადაში.

79

ილიას, გურბინ წეილე  
ნალია, დეიჭირება;  
მემრე შენ ჰა'ნა ნახო,  
რომ ქი დეგეჭირება?

80

გულზე ბეში მკიდია,  
იმას არ აქ ჩიჩელი;  
ვერ ამეიღებს, ვერ ესრის,  
ებრალეზა ფიშელი.

81

მამუდიეს კაპანი,  
გადმოვარდა აკვანი;  
ჩემ ტააას ორი ქალი –  
ჰემ თათარი, ჰემ ჭანი!

82

გზაში შემხდა თახსილდარი,  
იმასაც ახლავს მუხტარი,  
საქმეც ყოფილა ნამხდარი.  
ერთ ფანგანოთ ნახევარი  
მოედა და მთხოა მეა.  
ამას რო გუუგულიანდი,  
მივახტი კატასავენ.  
ორთავენიც მომეჩვენენ  
სამი წლის ცხვინტასავენ.  
ერთი მუშტი რომ მეგქნიე,  
მოზზავედენ პანტასავენ.  
ხელები ევილე მალლისკენ,  
ვიკითხე დუა მეა.  
ერთი კიდენ დევეფეცხე,  
ჭუხვა დეინყო თვალეხი.  
ცოდვა მაშვინ შეეცოდვილე,  
გასქდა ტამრის ძეალეხი.  
ყველა ხალხმა დემინახვეს,  
ხომ არ იყო ტყვილეხი!  
დუუმუსრევედი თავი-პირსა,  
მქონოდა პრავა მეა.  
შემიყენეს პრატაკოლი,  
შეხედე იმ მინოტში.  
გამოიდნენ მალაციები,  
ნემიყვანეს ზავოდში.  
ერთ-ორ პასუხის უთქმელათ  
შემაგდეს ნეზარეთში.  
არ ვიცი ქი იმათიდამ  
რა მქონდა დავა მეა.  
ედიფ ბეგი იქ მერჩია,  
მომარჩინა ციხიდამ.

ომბაში ზორ გონჯი იყო,  
 მეშინოდა ჯოხივადამ.  
 იმ გულზე მომიყვანეს ქი,  
 დრობლი ვყარე ხახივადამ.  
 სანქი მათი ვირი ვიყავ,  
 მიჩვენეს თივა მეთა.  
 თახსილდარი – ყიზილბაში  
 მოხდა რომელ თეფედამ?  
 მემურობას რავლი იქსა  
 გაგდებული კაპბედამ?!  
 ფარა მთხოვა, ვერ მიეცეცი,  
 მე ცარიელ ჯიბედამ.  
 მომეკიდა ყოყორაზე,  
 გუუსროლე ჯივა მეთა.  
 იტყვიან, ნაქები ძალი  
 მო...ვამს სანიორეზე;  
 უკეთესი ის იქნება,  
 რომ მიაფსამს ყორეზე  
 ეს მუხტარი ნამხტარია,  
 გლახათ ჩანსა მორეზე;  
 გულში ცეცხლი შემიკიდა,  
 დუუნველათ მტკივა მეთა.

**83**  
**ჰაჯი რეშათის დესთან**

დუნა შამეიარა  
 ფელქენი ამობმული,  
 ზრუქში თეთრი შეეები,  
 გულზე კოლა დაბმული;  
 საზამთროთ – ხოჯობაზე,  
 საზაფხულოთ – სოფლები;  
 ხანდებან ფეხით დარჩა,  
 უუნრიალა ოფლები.  
 ალიას ბადიში იყო,  
 ბევრი ჰქონდა ვენახი,  
 ქალისთვინ გზა ასფალტი  
 მისთვინ იყო ტალახი.  
 ღმერთმა ცოლი მალ აართვა,  
 ჰაჯი მარტოლა დარჩა,  
 საჯენნეთო რაჰმეთლი  
 სახლეთიდამ გადარჩა.  
 ჰაჯის გულში ჩუუდმია  
 თხოვნა მეორე ქალის,  
 ელჩი გუუგზავნა მემედი,  
 ენვერიც მაჭანკალი.

მუყყვანეს ებრიკელი,  
 აჭენია კალოზე,  
 წელიწადი არ გახდა,  
 ჰაჯი დაჯდა პალოზე;  
 ძალიან თეყვა ჩანდა,  
 იარებოდა ჯამეში,  
 მუხლები გადაგლეჯავია  
 დილა-სალამ ლოცვაში.  
 ბექრობა ჩეთინი იყო,  
 სული გუუვდა ყიაზე,  
 ხაჩი ჩეიდვა უბეში,  
 მუსხეფი მიდვა ანზე;  
 ჰაჯიმა გააბა კიდენ  
 გაჭუნული ფელქენი.  
 ზრუგდიდელი გოგვები  
 გეგონება მანეკენი.  
 საქმე განალღებისთვინ  
 ჩიტი დეიჭირა ხასით,  
 ხოფიდამ ბათუმამდი  
 ზღვა გეარა ფეხებით;  
 სელჩუკი ფეხზე დადგა,  
 გუუჰაზირა მანქანა,  
 შვილი დადევნებული  
 ზრუგდიდისკენ გეექანა,  
 დოდოფალი მასკვლავი,  
 მახლი ჩანსა გველსავენ,  
 იფიქრა მისი თავი  
 საქათმეში მელსავენ.  
 პროტოკოლი რავლი იყო,  
 ჰაჯიმა მალე მიხტა,  
 ქვაბით ნასვამი ღვინო  
 ჭილტი ზემზემი გახტა.  
 მოორე დღე დატრიალდა  
 ქალი ამოჩარული;  
 გაგონილი არ იყო  
 მანქანაში ფერხული,  
 სტამბოლიდან ზღები მოვდენ,  
 დატიეს ყველაფერი.

**84**  
**ასკერის დესთან**

ასკერობა ქი მოგვივდა,  
 მივალთ ასკერში, ნენე!  
 ხელისობით გადავწყვიტავთ,  
 მოვალთ ორთვენი, ნენე!



სერფილიმა ჰანა ნახოს  
ორ-ოლი ძმები, ნენე?  
მურადიმა ჰა ეძებოს  
ალიჰსანი, ნენე?

85  
ესტერი ბაბოს ქონება  
მეიპნევა ბურღულსავენ;  
ფავიონი გავსილი,  
ასკერი ჩაღელსავენ.

86  
მე წუხელი სიზმარში  
ლამბა დავდე გუგუმზე;  
უნყალო ნისქვლი ბრუნავს,  
დენ ყაფან მიშ არქიდაო.

87  
მე წუხელი სიზმარში  
ჩავაყუდე ხაშარი;  
ვურიე და ვურიე,  
ვერ გავხადე ხოშორი...

88  
მე წუხელი სიზმარში  
იგიყუდე ხაშარი;  
გემრიელი პასუხი გაქ,  
გემიჯდები ღინჯებშიო.

89  
– ზივერ, ნუ ეჭიდები,  
გეგისქდება ბალანი!  
– შაბათია, ოსმან ალა,  
სევსუნ სელუმ ხალანი.

90  
თითზე ბეჭედი მაქვა  
მომწვანო თვალიანი;  
გოსტაჯოღლი მუსტაფაა  
წონოლათავიანი.

91  
გოგთა უჩან თეარე,  
გეარე, გამეარე;

ჩემ კარიდან გავლიხან  
გეიკივლე და გეიარე!

92  
დალამდა და დავავე  
კარაოლაზე ათალი;  
დეიკივლა და ჩეიარა  
ეჭეჭეჭეჭეჭე! –  
დომბაგელის ბათალი.

93  
თევზი დეჭვირე აპით,  
შევწევი ტაფაზე ალით;  
გავავლიე ახლობა,  
უმუდოთად ტირილით.

94  
ასიე, სენ ვერ'და გეთხოვოო,  
ვირზე შეაუდუმლა უკულმა:  
– ბედი გეგეხსნება აოხსაო,  
ვერ'ნა გეეთხოვონდაო?!

95  
ზურგიდან გამომჭეცხა,  
გულში შემოვიდა სევდა;  
ამდენი ღმერთ ვეხვეწე,  
ჩემი სვენნა ჰა წევდა?  
ცუდე სვენნით რა იქნება,  
ხერხალ ლოცვა არ გევდა!..

96  
– ჰავესით ვირბინევით,  
გვიბაძგუნებს გულები;  
ცოტა შეგვიცოდვილეთ,  
ვართა ღმერთის ყულები!  
მეჭრემეთი ქენევით  
ვართა ღმერთის ყულები!  
– ნამოდით, წეგიყვანოთ,  
შინ გიცდიან შილები!  
ნენესა და ბაბოსა  
გზაზე დუურჩნენ თვალები;  
თვარეს ჩამონაჭარი  
ვერ უყურებს თვალები;  
თვარეც ბელა უხტება,  
ამოსულა მოლები.

წევდეთ სექიზ ჯენნეთში,  
გადავჩინოთ გულები!

97

სერენ ვაკეთებდი,  
ბინა წემექცა;  
სახში წაველი ქი,  
აარო გემექცა.

98

მენშიროლლის გოგო ვარ  
ბეშულჩამოკიდული;  
ვინცხა თახილ არ აიღებს,  
ის არი ალას თავი.

99

ლახანა ზორ ცხელია,  
გეგცივდონ, ბიჭებო!  
რა ბეთი ხმა გაქვანან,  
ჩეგცივდონ, ბიჭებო!

100

ერთი კალათი მატყლი  
ერთი სულზე ჩავართი;  
რაური საადიჩი ხარა,  
ჩემი ხარი ამართვი!..

101

ლელე-ლელე ევიარე,  
ერთი გოგომ ტიროდა;  
რატომ ტირი, ვერ ვკითხე,  
დედამისმა ყვიროდა.

102

თავზე ააზმა მბურია,  
ოაავა, ვაკერავ ოა;  
ავზე სიმღერა ვიტყვი,  
რისთინ გიკვირან, გოა?

103

კლავზე მაქვა საათი,  
რა გაქვა ზანაათი?  
ზანაათი თუ გაქვა,  
მაშინ ვიქამ რაპათი.

104

შამშალახო, შალახო,  
ამოსულო ბალახო,  
კავრიკოტი მაცვიო,  
არ წემესვა, ტალახო!

105

წუხელი გავათენე  
თვარეს უკან თეთრათა;  
რაცხამდენი მაჭამო,  
ვერ გავძლები ჩოთრათა.

106

ოთუხ ძირა მგონია,  
მემინია კირხიდამ;  
ამსოჲ დრო მოგვივა ქი,  
კლავ ვერ გავყოთ ხირხიდამ;  
ელიში თუ შეხველი,  
ხელ-ფეხ მეწნევე ხარხიდამ,  
ალთმიში ჩეთინია,  
დლობლი მოვა ხახიდამ;  
ეთმიშის სათვალე  
გარიგდება ჩოხიდამ;  
სექსანში ავადობა  
დეინყებს ზრუგის ხერხიდამ;  
დოქსანი საფიქრავი  
ჩავარდება ჩარხიდამ;  
აუზითან ფოლჩობ არი,  
გარიგდება ფეხიდამ.

107

ერთი ქვა ვესროლე ცაში,  
გამეიგე მათუზხანეში;  
თორმეტი გოგო მოატყვილე  
ერთ ფაქეთ სიგარაში.

108

გამოვარდა კალაში,  
ჩამივარდა თალაში;  
ნაჲ კილდიქვედა ყანაში,  
ლობიო ჩაყარე და მოხარმე,  
დიმიძახე ჭამაში!

109

გიდივიარე, წევქეცი  
იუსუფაი, დადე კეცი!

დიდი წევდა ხელიდან,  
ონსუსჷს პანაჲ მომეცი!

110

ამ რთველზე ზორ ფურთუნა იქნება,  
შემცივდა გულზე, ფაშა!  
თვალეზიდან ცრემლები  
ზორ მოვა სერზე, ფაშა!

111

ჩიტი დაჯდა ხის ტანზე,  
მეორე ქალის ტოლაჲ  
ზილიფ გედეინყო ფიანზე.

112

ნენემა შიმიკერა  
ფაზენისა ლიბადე;  
მივალ სოფლიდან გარში,  
მე ვიყავ თუ ზიადე.

113

ლახანა დუდიანი,  
ჰაიდე, ნევდეთ ნისქვილში  
ორთვენი გუდიანი!

114

სახლი-კარიდან გავლაჲ  
მე ვარა შენი ჯაზი!  
ყორჯარენ გამოგტყვილავს  
კაკვენოღლის აზბაზი!

115

კარის თავზე თაბალა,  
მაზლი მყავს უსეინ ალა;  
სევდუგუმი სორასთან,  
ადიდე ნევზეთ ალა.

116

თაროზეა თაბურა,  
ხოშ მოხველი, ბაბულავ!  
იქიდან აქ მოხველი,  
მეიდალე თუ, აბულავ?

117

ბულუთი ამეიყარა,  
იმან წვიმა მიეყვანა;

ჩვენი ზულფიე აბლაჲ  
თეთრი ტაქსმა წეიყვანა.

118

მივალ, მივალ, ვერ მოვალ,  
ფეხებზე მომძრა ნალი.  
ნენე-ბაბოს გუუკითხეთ,  
რავლი აქვანან ჰალი.  
მომძრა, ქოხობეთ დეეცა  
ჩიჩეგიანი ტალი.  
ხეილი ოღული იყოს, –  
ვიტყვი, – ახალი რძალი.

119

– ფარა მამალეზეა,  
შენ იყავ დევრის ეერზე.  
– ის იყბალი ჰად არი,  
არ ვიქა ჯავრის ეერზე!  
– თან ფეხზე ნუ ადგები,  
გიძახი სეირის ეერზე.  
– ხან პასუს შამომძახავ,  
ნუ დამთლი ვირის ეერზე!

120

ძმავო, ქი გეიარ ჩაში,  
ლამაზია ყველაზე;  
მივა ქი სახში,  
თვალეებზე მოვა სინათლე.

121

ბოჯექლის სახლი მაქვა,  
ოდიანი მელაიქე;  
შენი სინათლე მათქსა,  
დერდიანი მელაიქე;  
ემენ ნახველ და მოხველ  
თოფიანი მელაიქე;  
ალთუნები ეგილე,  
დეიკიდავ თუ დეგიბაო?  
შენთვინ შენახულია  
ჩაჩხოკვილი ჰეგიბაო.

122

– როცხა რო ჩაველიო,  
მიდღეჩი ხარშოს ჭამენო,

ლოგინი არ აქვანო,  
ჩანჩეფში ნევანო.  
– ხვალ დილაზე სადილი  
ხარშო და ფაფა მაქვა;  
ლოგინი რამ'და უქნია,  
ჩანჩეფში სეფა მაქვა!  
ბაბოდამ დანარჩენი  
უტარო ტაფა მაქვა!  
შენი შესანახავი  
მე თავის თეფე მაქვა!  
გულში თქვენსას გამოსლა,  
სიზოზა – ნეფე მაქვა.

123

ვეთავოთ მურადები,  
თელის გულმა გეიხარაო!  
ჰემ დუნაში შეჰზაადე,  
ჰემ ბეგის სიძეე ხარა!  
ჭირიმე თვალებისა,  
მსურისხარ და შორ ხარა.  
არც ერთი დღე, არც ათი,  
მიდღეჩი შინ არ ხარა.  
აეთიმ ბიბიებისა  
ახალ დედემა მისხარა.  
ჩვენ ახლა შენ გახსენავთ,  
შენ, ვინ იცის, ჰა ხარა!  
ჩემ ბაბოს სახლი-კარში  
ენ ლამაზი შენ ხარა!  
ცოტა ჰესაბათ იყავ,  
ზიანქარი ნუ ხარა!  
ჩაროს გამოგიგზანდი,  
ფეშინ მოგეცა ფარა.  
მე ქი ასე ზორ მიყვარხარ,  
შენ ჩემთვინ რავლე ხარა?  
რა სეირი ხანე გქონდა,  
რაცხას გეტყოდი – „არა!“  
რას იქმოდი, არაფელ,  
კარი რომ დემეყარა.

124

გალმა სერზე ხოზიკაე,  
გამოლმაზე – მუზიკაე;  
დაასკვი, ალიავ, ფეხიო,  
ჩევისამოთ ხორომიო!

125

ჯილველო, ნანაადა!  
ნანდა ნანი, ნანდა ნანი, ნანაადა!  
იქით-აქეთ მოხვიდე'ნა, ნანაადა!  
ჯილველო, ნანაადა!  
ნანდა ნანი, ნანდა ნანი, ნანაადა!

126

მაე ლამაზი ფაფუკები  
ვინ მოგიტანა?  
– ჩემ დედამ, ჩემმა დამ,  
მან მომიტანა.

127

– ურადურ ურა,  
ფეხოს ოჯახში  
ჩავარდა ტურა.

128

ბიჭები: – შენ ჯიშის საქათმეზე  
არ იცით, ტურა მოიდა!  
რამეს არ დეფიშმანავთ,  
არ იცით, ქი ვინ მოიდაო?!

გოგები: – ღმერთმა აგახორთლალონ  
მეზერიდან ძალსავენ!  
ნათქვამი პასულები  
ჩვენ დემესენ მუხსავენ.

ბიჭები: – ახლა ჩამოვარდნილვარ,  
ენნინ ვიყავ ისმეთი.

გოგები: – ჰელბეთ ჩამოვარდები,  
კი მიგარტყავ ქუსლ-მეთქი.

129

ჩემი ვჭამოთ, ჩემი ვსვათ,  
თქვენ ჰკვა განავლოთ!

130

გალმა-გამოლმა კვაჩავ,  
გემეჯენგე, ყიყვაჩავ!

131

ამ ყორიდან იმ ყორეზე,  
მემენიკე ყვერებზე!

132

სახლის უკან სანიორე,  
ხან ერთი და ხან მიორე.

133

ვენახში თეთრი ბალი,  
მეხეს ეყოს ქემალი.

134

მუმი შევდა ფენერში  
სოფლის იქით ქენერში.

135

ვნაყე, ვნაყე წყალია,  
შერბეთ ოლა ჯაგიოგ.

136

სახლის უკან სავენახე,  
ლორი შვილო, დემენახე!

137

სახლის უკან მესარი,  
ჩემი სიტყვაც ეს არი!

138

წილდე, დეგეჭირება,  
იმასაც ჭერი აქვა;  
ბაშქოას დეგეჭირება,  
ქვეშიდან ჭერი აქვა.  
თურქჩას დეგეჭირება,  
ლიტრაში ძმარი აქვა.

139

კატა ხორც ვერ უნდება,  
იტყვის ქი, „რა მყრალია!“  
ვინცხა ხელ გეითქაშუნავს,  
გუუსქელდება ქარაო.

140

– ქერი ჭამე, გასუქდი,  
კაკვენონ ყური მისცენ;  
– სამან ტოლდურა ჯაინ,  
ქერონუნ ჩვალი მიცენ.

141

გაშაირება  
ბორჩხელი: – მურლულ  
ბინკილას ჭამენ,  
ლობიო ლახნიანიო.  
მურლულელი: – ბორჩხელ,  
გამუუნველ დერგში  
ჩეგიდე ჭარხლიანიო!  
ბორჩხელი: – შენ ბუჟულზე გევიარე  
ფეხები ნეზვიანიო!  
მურლულელი: – მეც შენ უკნედან  
მოელ დაჩოქილ მუხლიანიო!

142

გაშაირება  
– აქზე ბევრია თუ  
შესაფეთ ისკებ თოვლი?  
– მეტი ბევრი არ არის,  
ანჯახ ეფსობა ჰავლი.  
გზები ბეთი იქნებოდა,  
აქ ჩამოხველი რავლი?  
– დავჯექ და ჩამეცტურე,  
ტ...ის ქვეშ დევდე ბაული.

143

მაჭახლიდან მოველი  
მეაც ბორჩხა ქალაქშიო;  
ათასსუთასი კვერცხი  
ქათამმა დებს ბუჯერშიო.

144

ქამელეთ ვილაეთი  
ერთი-ორი ქოხია;  
ელან ვერ გამარჩია  
აიშენური კრუხია.

145

არავეთი კაკვანი,  
გადმოგორდა აკვანი;  
ყველა სოფლიდან კააა  
ჩვენი გამოლმა უბანი.

146

თამარ არი, თამარა,  
ჩემი საქმე რამ არა;

ქვედაურებმა ათხოვებენ  
მეტი ქალი პატარა.

147

ასკერიეს ქვაბები  
აინი ჩვენ ბელელსავებ;  
ერთი თავლა მაქვანან  
ხიტინას აღირსავენ.

148

არადიდი, მარადიდი,  
საქმე – პანაჲ, ჭამა – დიდი.

149

ავანას ვერ გადაველ,  
არ ვიცი ქი, რავლია;  
ქურა ხალხი ხარაბა,  
ფაიტონჩი ხარ ჰავლია.

150

არხვა აარამიანი,  
გამუა ათი დელი.

151

ბაშქოჲს სოხახები  
ზამთარ-ზაფხულ სველია.

152

სიმინდი და ქერი,  
არხვას ვნახე კაჲ სიმლერი.

153

ყანაში ნიჰაჲ  
გეინია, გამეინია.  
ბაგენის სიძეობა  
როგორ შენ'ნა გენია!

154

გალმოზანი დუზია,  
გოგვები ლამაზია.

155

გველი მარილ დათესავს,  
ბევრ ფარას მეფეებსო.

370

156

გველი მარილ დათესავს,  
ყველა აერზე მიამხლევსო.

157

ზამანე გამაიცვალა,  
ნისქეილი გუდამია.  
გველი მარილ დათესავს,  
სურმიჲ – იხიორვო.

158

გოგლიეთს მალ მზე მივა,  
შუადღეს უკან შტილია.

159

ზედუზანი დუზია,  
გოგვები უჯუზია.

160

თოხვეთი თაროს გავსა,  
ყველა იქა გასულანო.

161

კარტლა კაჲ სოფელია,  
წყალი არ არი სასმელი;  
აქ დავდგებოდი, ჰამა  
გზა არ არი გამლელი.

162

კარტლა ვენში მილლეთი,  
ყველამა ჩახმახ ჩახიორ.

163

კინცხურეთი კაპანი,  
გემიგორდა აკვანი.

164

ლომიკეთის ნეკერი  
ძროხებისთინ აზნია.

165

მურლულელი საჭმელ არ ჭამს  
აზრანის გარიეთ.

166

ორჯი ზორ ფულუზია,  
განაყოფთან ხახიორ.

167

ქურას ცხენი არ გეიარს,  
მანქანა მუა კარშია.

168

ქლასკურელი არ ილოცავს  
ჯუმა-ბაირამის გარიეთ.

169

შუბნელები – მელები,  
ნისქვილიკარ მფსმელები.

170

ჩხალეთის ნათქვამები  
ყველამფერი ტყვილია.

171

ჯვანელი კალათ მოქსოვს,  
თოზ არ დააყრის ქილიმში.

172

ჰოროსეთის ზეგნები  
ჰაცხა მიხვალ, ნადია.

173

ეს სიბერე ბეთია,  
ალაჲ-მალაჲ დიდობა;  
გობიანი შარვალი  
მეტი მზორე ძონძია.

174

ბებერების თეთრი თმა,  
ნუ გინდაო ბევრი თქმა!

175

ჰაიდე, ნევდეთ ბათომში,  
ჩამაჯდომლეთ ფაიტონში!

176

ებრიკელა, მოდი, მკარი,  
დავამხე ახორის კარი!  
თუ მოგთხოვე დო, მანონი,  
დამატეხე ნალდის ტარი!

175

ეს ალა ზენგილია,  
აღ ჩადებსა ქულაში;  
კარში თუ არ გამუა,  
ჩიჩმე ნევა ვენახში!



მთქმელთა მოლოდინში  
 პროფესორები – თინა შიოშვილი და მერი ცინცაძე, 2007 წ.

## სასულიერო პოეზია

### I

#### ქართული ვაჟი

1. ერთი ვაჟი თავათ გურჯიჯე ენით,  
გამჩენელი დევჯეროთ ჰემ სულით, გულით,  
ვეხვეწოთ გამჩენელს სუ ყველა ენით.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
2. კითხვა და ლოცვა ემრი გვიზამა,  
გვანავლა თელი ჩვენ ფეღამბერმა.  
ეყურბანოს მას სულმა და გულმა!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
3. ამ დუნაში ჩვენ ბევრი ვიტიროთ,  
ლამაზი მუსხაფი ჰემდე ვიკითხოთ,  
რაც რომ ემრ გვიზამ, თელი ვინამოთ!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
4. ამ დუნაში ჩვენ მუსაფირი ვართ,  
პანა ხანს უკან მეზარში წავალთ,  
ღმერთი გამჩენელის ჰუზურზე მივალთ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
5. ეს ვახთი არი ახირზამანი,  
გათავდა დუნაში კარქი ინსანი,  
ენით იზახის, ვარ მუსლიმანი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
6. ლოცვა და კითხვა დეიკარქა, ნევდა,  
სულ ყველამ მისდა დუნაში ნევდა;  
ქალებმა კაცის უმფოსი გახდა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
7. ულოცავი ქალი, კაცი თუ არის,  
ძალი და ღორი მასზე კაა არის;  
დეიბრუკვის ჯეჰენემში მისი ხელ-ფეხი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
8. შეიკერვენ თული-თული ურბებს,  
კიდვენ აბარებენ საბრალო მის ქმარს;  
ეგერ არ უულონ, ნამუუსმენ ზოფას.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
9. დეიკარქვის სინათლე თვალიდან, წავა,  
ის მუზირი შედთანე ჰემ მაშინ მოვა,  
ნესიბი თუ არ გაქ ასინის კითხვა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!



10. გვეგონა სიკდილი ძალვან შორეთა,  
სავსე გაქ მუცელი ჰერამი ფართა,  
ცოდვა-მადლი დევნახეთ იმ დღეს თვალითა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
11. დელიევა სული თუალში და პირში,  
ერთ დღეს ვიქნებით მემრე იმ კარში,  
მევერ დღეს გავალთ კედიმი გარში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
12. გაყრა არის ამ დუნაში დედა და მამაზე,  
გულის საყვარელ ქოჩორა შვილზე,  
გატყდება გული ჰემან იმ დროზე.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
13. მეყრებიან ხალხი, ჯანაზ ილოცვენ,  
ორ-სამჯელ კალოზე შეგვაყენებენ,  
მალვაა მეზარში მიგვალაგებენ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
14. დაგჩება ამ დუნაში სახლი და კარი,  
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი.  
მეზერში მოვა მუნკირ-ნეკირი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
15. ენნი მოგკითხვენ ღმერთ გამჩენელსა,  
მემრე მუხამმედ ჩვენ ფელამბერსა,  
დუნაში მოგებულ ჰელალ-ჰერამსა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
16. თუ წაგყვა მეზარში შენი იმანი,  
მოქცილდება მაშინ ქორი შეთანნი,  
მეზარი გახდება კაე გულისთანნი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
17. ჰაზრეთი ყურანი მეზარში მოვა,  
ლამაზ ენგილოზ სურეთში შავა,  
გაგვისინათლებს, არსად არ წავა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
18. მოვლენ მელაიქები, მოგვიკვარებენ,  
ჯენნეთის კარებ ჰემ გიგვილებენ,  
ალარ გვაქ შიში, თემენას გვიზამენ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
19. ჰაზრეთი ფადიმე ამ დუნაას მოვდა,  
ის არის ჩვენი სუყველას დედა,  
თილას ურუბით იმ დუნაას წევდა.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
20. ჰაზრეთი ფადიმე დიდი სულთანნი,  
სულ თელი ქალი მასზე ყურბანი,  
ფელამბერის გოგო, სული და ჯანი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

21. ახლანდელ ქალებს არ ედერდებიან,  
ნამერამ კაცებს არ დეერიდებიან,  
სხვას ახსენებიან, სეფას იჯებიან.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
22. ვაჟ გეიგონებიან, ბუკ მაარიდებიან,  
სიმღერის გამგეს თავპირ დეისკუივენ,  
მეიგებენ ცოდვებს, სახლებში მივლენ.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
23. რაფრათ ენყობიან ამ ტყვილ დუნაში,  
არ დარჩა დუქნებზე ხასი ყუმაში,  
დარჩებიან ტიტველი შავ მინის გულზე.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
24. ეზარებიან ლოცვა, ჰემდა სუფთობა,  
ზიბილია თავამდი მათი ურუბა;  
იმ დუნას დახდებიან მათი გონჯობა.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
25. ვინცხა რომ ამ დუნაში მლოცავი არი,  
გეელება მისთინ ჯენნეთის კარი,  
შეიყრებიან ლამაზათ ცოლი და ქმარი.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
26. ჩუენ ქი რომ გვიცდის დიდი სიკდილი,  
სულის მიცემა არ არის ტყვილი,  
მოსწყდება ინსან გულის კაკლები.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
27. ეზრაილი მოვა იმ ავათყოფზე,  
დაგვასობს ჩენგელ გულის კაკლებზე,  
გავაქცევთ თუალებს მაშინ თავანზე.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
28. რათ გინდა დუნაზე კაჲ სმა და ჭამა,  
ჲა შვილი გიტირის, ჲა – დედ-მამა,  
მაშინ'ნა გეყაროს ქმარმა და ქალმა.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
29. არის ინსანზე ორ ადგილ შიში,  
გეშინოდეს ლმერთიდან შენ ამ დუნაში –  
გადარჩე დერდიდან შენ იმ დუნაში.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
30. ლმერთიდან შიში რასოჲ იქნება:  
დიდი-პანაჲ ცოდვებს რო მეერიდება,  
ჰემ მეზობელისთინ კაჲ რომ იქნება.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
31. არ შექამ ჰერამს, ილოცავ ხუთჯერ,  
არ შეებძვი დილა-სალამ მეზობელს,  
შეიყვარებ მუხხამედ – ლმერთის საყვარელს.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

32. არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას,  
ბითთუმ რომ მუერიდები იმათი ბედვას;  
ჰიზმეთ თუ უზამ, შენ ეღებ დუვას.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
33. დედა და მამას თუ შენ კარგა შეხედე,  
ღმერთი ფელამბერი თუ რაზი გახადე.  
თუ შამუყყირე, ჰანა ნეხვიდე?  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
34. ილოცე, ინიეთლე, ხაჯობაზე ნაჲ,  
შეიბრალე ამ დუნჲას ფუხარა ყველაჲ,  
ბითთამ რომ შეხედავ, გახდები სულ კაჲ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
35. გული დადგუმულია ღმერთის ჯამეზე,  
ნუ დაჰარსენდები ჰემდე ხოჯაზე –  
ფელამბერის ვექილია მუსლიმანებზე.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
36. ზექათი, სედეყე მიეცი ფუხარას ყველას,  
დაარიგე ლამაზათ თალეებს და მოლლას,  
კარქა შეხედე მუსაფირ ყველას!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
37. მაღლი ნასაქმი მოვა ჩვენ ხელში,  
ავდგებით მაშინ მაჰშერმეფდანში,  
მაშინ გვექნება ბევრი თალაში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
38. თუ არ გაქ იმანი, ჩახვალ მეზარში,  
დაგარტყმენ თოფუზსა, ნახვალ გეზაჰში,  
არ გაგაქცევენ, ნეხვიდე კარში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
39. არ იქნება დუნაში იმსოჲ ლეზაბი,  
გახდები მაშინ ცეცხლის ქებაბი,  
არ მოვლენ შენთან შენი ბაღნეზი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
40. ილოცე, იკითხე, ღმერთი დეჲჯირე,  
ამ დუნჲას ცეცხლის ცრემლით იტირე,  
ჭკვაში მოჲ, დუნაში კარგა დეჲფიქრე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
41. რამითი კედანი სამღბუსებთან,  
ყველა დღივ შენიდან რაცხა მაღლ ელიან;  
მოკტები, მაღლით მეზარში გელიან.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
42. მეჲყრებიან მეზარში კდარი შვილები,  
თუ გყავს იმ დუნჲას სეზი ბაღნეზი,  
რომ მიხვალ მათთან, გულში ჩეეკრები.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

43. იმითვინ ამ დუნაას დეხზურუკა გულმა,  
გვარგოს იმ დუნაას ღმერთ გამჩენელმა,  
მეზარი გიგისდეს ჯენნეთის ქოშქმა!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
44. დაგიდებენ ცოდვა-მადლის დევთრებ,  
ენერება მაქ, რაცხას ისაქმებ,  
გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვეფ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
45. ზოგ მისცემენ დევთერ მარჯვენა ხელში,  
იმას უსაქშია მადლი დუნააში –  
ჰაზირია მისთვინ სარჯი ჯენნეთი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
46. ზოგ მისცემენ დევთერ მარცხენა ხელში,  
ისია გონჯობა გამჩენის ემრი,  
ჰაზირია მისთვინ ფერი ჯეჰენნემში.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
47. ზოგი ჯეჰენნემს უყურეფს, ტირის,  
ზოგი ჯენნეთის ქოშქებს უცინის,  
სასწორი დადგმულია ცოდვა-მადლისთვინ.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
48. სახლის თაჰუმი ერთათ მეფყრებიან,  
ზოგი შვილი და დედ-მამა ერთათ მეფყრებიან,  
ებედი ისინი ერთათ იქნებიან.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
49. ჯენნეთი იცოდე, რომ რანაირი არის:  
ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური,  
ებედულ აბათ ზექი სეფა არის.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
50. ამ დუნის ქალი გალამაზდება,  
შვიდასი ჰურის დიდი იქნება,  
ზალვან კარქია იქ სიყვარულობა!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
51. ჯენნეთში სიბერე ზათი არ არის,  
გალამაზდები, თუ ხარ ნაჩარი,  
ისტერ ქალი იყოს, ისტერზა – კაცი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
52. ხანუმი'და იყოს ამ დუნეს ქალი,  
ემსახურებიან შვიდასი ჰური,  
ჩამდგარი აქ ბუკში ლამაზი ნური.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
53. არ არი ჯენნეთში დერდი და ტკივილი,  
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკდილი,  
არ არი სიბერე, ყველაე ახალი.  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
54. არ არის ლოცვა, ჰემდა ნიეთლობა,  
არ არის ჯენნეთში ჰემ დარიდება,

- საყვარელია ჰემ იქ კაეკაცობა.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
55. რაცხა რომ არიან ხისიმ-ახრაბა,  
 ჯენნეთის ქოშქებზე ერთად მეყრებიან,  
 ყოველდღე იქ არის ჰემ ჯუმბუშობა.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
56. ჯენნეთში დაქრის რძიების ირმალი,  
 ერთ კუთხეში მოდის თაფლი და ძალი,  
 ალთუნიდანა შუშე, იბრილი.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
57. ენა ვერ იტყვის ჯენნეთის სეფას,  
 თელი არ მეათლება, მიხდით ამ დუნაში,  
 ჯენნეთი უნდა მეგერ სუნ ყველას!  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
58. ლოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,  
 რასოა'ნა გქონდეს იმსოა ჯენნეთი,  
 მოცემდეს ბედიავა გამჩენი ღმერთი.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
59. ფელამბერი ჩუენ გვიზემს შეფგეტს,  
 ჰაზრეთი ფადიმეა სულ ყველა ქალებს,  
 მუსილმანობას ვინცხა დეეჯერებს.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
60. დეარბენენ მაქ შეერში სები ბალნები,  
 მოძებნიან დედ-მამას გულის კაკლები,  
 დუნაში დედ-მამას დამხრუკველები.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
61. აჩუქვებს ღმერთი დედას და მამას,  
 ქარსავენ გეარბენენ იმ წმინდა სირათს,  
 დეინახვენ ჯენნეთში ათას თულ სეფას.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
62. სირათის გამლელი ჯენნეთში შავა,  
 ვინცხა ვერ გეარს, ჯეხენნემში შავა,  
 მუსლიმანი თუა, დეანვის და ამუვა.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
63. არ აზრება ინსანს ჯეჰენნემში სული,  
 მუცელში ენთება თაკარა ცეცხლი,  
 ზუხუში და ზეირი მათი საქმელი.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
64. შეეხვენებიან ღმერთ თელი გაავრები,  
 ათას წლის უკან მუუვლენ ჯევაბი,  
 თქვენ ხართ ებედი ცეცხლის ქებაბი.  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
65. არ დეიჯერეთ მუსხაფი, ჰემ მუსამმედი,  
 ჯენნემში დეანვით, არ მოგაგონდენ,  
 თქვენი ადგილი მაქა ებედი!  
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

66. გავრები მუსლიმანეფ შამუუძახებენ:  
– არ დეგეხმარა თქვენ ფელამბერმა!  
ხომ ერთათ ვინვით, ჰაე თქუენ და ჰაე ჩუენ!  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
67. ლმერთი გამჩენელი გეზებზე მოვა,  
ფელამბერსა ჰემენ ფერმანი მუუვა,  
გაჩუქვა უმმეთი რაცხამდენი რომა.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
68. დანვილ-დანრუკვილ ამეიყვანებენ,  
ჯენენეთის ზემზემით ტან დაბანებენ,  
მადლისდაგვარაე ქოშქებზე ევლენ.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
69. ხულუსინ'და გქონდეს კარგა ლოცვაზე,  
ილოცე ჰერჰალ, თუ გაქ გეჩმიში!  
გულში'და გქონდეს ლმერთიდან შიში.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
70. ირზი, ნამუსი თუ გაქ შენ ამ დუნაში,  
ჯენენეთში შახვალ, ახვალ ქოშქებზე,  
ნამუსი'და გქონდეს ამ დუნაალულზე!  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
71. ირზი, ნამუსი თუ არ გაქ დუნაში,  
იმ დუნაას შახვალ ლორის სურეთში,  
გამორეზილდები მაქ შენ მეფანში!  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
72. ნაჩარი თუ გაქ ენა და გული,  
ნუ გეგექცევა სუვაზე თვალი,  
იმ დუნაას დიდვანი გველი ვახდები!  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
73. ისე ამ დუნაში მადლი, კარქობა,  
შენი ქეიფია, გინდა გონჯობა,  
ბელქი იმ დუნაას გაქ ივითობა.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
74. შენ თუ არ იცი არაბჩე, თურქჩე,  
შენ ხომ გეგონე ვაზი გურჯიჯე?  
ვერ იტყვი იმ დუნაას, ვერ ნახე ხოჯა.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
75. ა, ერთი ჰადისი თელი დავნერე,  
ნაჯიხათი გეგონე, თელი დეფერე,  
ილოცე, იკითხე, ჰემდე ინიეთლე!  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
76. მანერალი, მაკითხავი, დამყურებელი,  
ლმერთო, შენ გუულე ჯენენეთის კარი!  
გურჯიჯე ვაზი გათავდა თელი.  
ლმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

2

ოე ყამეთი

1. ოე, ყამეთი ახლოს არის, იცლება დრო, ზამანები. ვინც რომ ვართ მუსლიმანები, ღმერთ შევტიროთ იმანები!
2. სუნ ყველღივ ომრი მიგვდის, გვაქ სიცოცხლის გუმანები. აბუდლებულო ინსანო, აჯაფ რას ემფრიალები!
3. სად წევდენ შენი ძველები, მოყვარე და შენიანები? აქ რომ ვინმე არ დავრჩებით – არც ბეჩი, არც ჭკვიანები.
4. კიდონ ამ ჰელით ღუნაზე სახლივით ემფრიალები, რათ არ ფიქროვ, ერთ დღეს შენაც თავანზე შეფრიალდები?!
5. ჯერ შენ სიკვილის არ ელოდი, უნებროთ დეჟარები. სიკდილ ვერვინ გუღურჩება, იგითი და ფირალები!
6. თათარ-ქართველი, ხუონთქარი, ხემნიფე და ქიბარები. ვერც ქართველი, ვერც თათარი, ვერცდა გობერნატორები!
7. ვერც ავრობა გუღურჩება, ქუვეყნის იმპირატორები! უყურებ, რომ ყველაჲ კდებთან, ერთ დღეს შენაც ახრინდები!
8. იმანიც თუ თან კი გახლავს, ჯენნეთში კი გაფრინდები; აქ რო დერდი არ გექნება, შეიძლება, რომ გვიზდები.
9. ახირეთსა დევიზწყებ, ლოცვა-მარხვას შეზარდები, კიდევ აქ რომ კარგა იყო, ბოლოს მაინც შენ გამწარდები!
10. ეა, ჩემო წერალო ხელო, ერთ დღეს შენაც გაჩერდები; სიკდილსაც რომ დეინახავ, ავად ყოფნას დაჯერდები.
11. ავად ყოფნა კარქი არი, თუ არ დეინყე ჩივილი; ცოდვების მომხსენელი კია ავათ ყოფნა და ტკივილი.
12. მუდამ დერდი, ავათ ყოფნა ძნელი არის, არ გეიძლება; რატომ ღმერთის ემრი არის, უსაბრობაც არ შეიძლება.
13. საბრს არ იზამ, უსაბრობით მაინც არაფერი შეგეძლება; ვახტი რომ მოვა, ნამსხუვანში შით ეჯელი შეიგძრება.
14. სატირალი იგი არის, ახირეთი და დერდები; ღმერთო, იქ მაინც შეგვიბრალე, აქ რომ მერაყით ვბერდებით!
15. სიცოცხლე გაგითავდება, ტანიდან სული აგძრება, გეიზილება შენი ნამსხუვანი, იმ შავ მინაში ჩანვება.
16. აჲ გუჟუმაძლარი ინსანი ძვილაჲ შავი მინით გაძლება; სულ ზეით, თავაღმა ნავა, ინსანი რომ მოკდება.
17. ისტევ მეზარში ჩადებენ, ზეიდან მელაქე დადგება. ჯერ შენ სიკდილ არ ელოდი, მომკუდარვარ, მაშენ მიხდები!
18. მიხდები, გავთავებულვარ, თელი ტამრები დასკდება. ვაი, მომკდარვარ, შოშისგანაც კაკალი გული გასკდება.
19. საჯენნეთო ინსანეფსაც მეზარიც გაუნათლდება. თუ მკითხავ, მასზე პატივი აჯაფ, რა და რაჲ იქნება,
20. შენ მიხდები საქმეს კარგა, ყოლიმფერი კაჲ იქნება. საჯეჰენნეს თუ კითხავ, ვინც რო იმანი არ ექნება,

21. გამკითხავი გეარს, ნავა, იმას მეტი არ აქნება, თუნდა ქალი, თუნდა კაცი, ბენამაზი რომ იქნება.
22. ზინაჯი ბოზი იქნება, აა ქურდი, მუზი იქნება, მოვა შავი ენგილოზი, ცეცხლის თოფუზი ექნება.
23. ერთი ტიტვინი თავაღმა, ერთიც თავაღმა ექნება; პირზე ძალვანათ შავია, გინდა ამაზე ყურება.
24. იგი გირტყამს და შენ ყვირი, მას არაფერი ეყურება; იგი ხმა აქ, ტყვილ დუნაზე, საქონელსაც ეყურება.
25. საქონელმა რატომ იცის მეტი ადრე დაბერება – კდარის ყვირილსა გონილობს, იმაზე ადრე ბერდება.
26. შენ სატირალ საქმიებისთინ შენ რატომ არ გედერდება?! ის ხმა ინსანმა გეგონოს, ცოცხალიც არვინ დარჩება.
27. შიშისგანაც თლათ გავცდებით, დუნა ცარიელი დარჩება, უიმანო კდარებსაც, მათ არ აქვან გახარება, იმ შავ ენგელოზის ხელში იმათ ვინ დეეხმარება!
28. პანა იმანიც თუკი გაქ, სტუმარიც თუ გეყვარება, შენი ნაჭმევი პურები იმ დლესაც დეგეხმარება.
29. კდარის შუვაა და ცეცხლის თოფუზი შუვაა  
ის მოვა და დეეფარება;  
ის დანარტყამი თოფუზი მას აღარ შეეკარება.
30. ასე კაა მუსაფირზე ხიზმეთი, მომსახურება; კარქა კითხვა თუ გიყვარდა, ყურანისაც დაყურება.
31. ის დაგისნის ღმერთის ემრსა, სხვა ვერვინ მეგეხმარება, სიკდილისან თულაღზე ფერდე რომ ეგეფარება.
32. მაშინ ტყვილ დუნის სინათლე მუმსავებ ეგეფარება, უბედური შენი თავი ეზრაილს რომ ჩაბარდება.
33. მაშინ შენ მიბარებაზე სუნ ყველა გეჩქარება; გეიშლება შენი ნამსხვანი, იმ შავ მინაში ჩაძრება.
34. რავა მინაში ჩაგდებენ, ძელები დეგეხურება; მოყვარე და შენიანებსა მინის დაყრა ეჩქარება.
35. აქ რომ საცხან ბინთლათ დარჩე, რა და რა მოგეჩვენება. უიმანო შავ მინაში აჯავ, იქ რა გეჩვენება.
36. ცოცხალმა კდარი რა იცის, რა დაღრაფში, რა შალშია! ზოგსა რომ მინა მუუჭირეფს, ეზიეთს მისცემ ძულეფშია.
37. ჭკუვა თუ გაქ, ცოდვა თევზე ქენ, ახლა ჩავარდი ჭკუაში მაინც; ყამეთი რომენ მოვა, არასათში რა გნადია?!
38. ტყვილ დუნაზე რაც რომ მეიგე, ჯერ ჰელალის ჰესაბია. ქურდი თუ ხარ, იმისთინ ჯეჰენემში ლეზაბია.
39. ჯერ ჯეჰენემთან მისლამდი ვინცხა რომ ცოდვის მქნელია, მისი სადგომი ალაგი კუკუნეთი და ბნელია.
40. ჰემ ყამეთის მოსლამდი, მისი ლეზაბი ზნელია. დუნაში ცოდვების ქნელი სუ სხვაფრათ ატრიალდება; რაც დუნაზე გონჯობა ქნა, თელიც რომ გამოტიალდება.
41. ზოგი ძაღლის სურეთშია, ზოგი სხვაფრად გელანძღვის, ზოგი ღორის სურეთშია, ჯეხენემშიც დელანძღვის.
42. ჯეხენემშიც ხიდი არის სამი ათასი წლისავო, ყილიჯზე უმფო ჭრელია, ჰემ ნმინდა არის ბენზეუო.



43. უიმანო ვერვინ გეაარს, ჩაფარდება, დელიანძვის; იმაზე ახლოს მისლამდი შიშისგანაც კანკალეზსო.
44. ვინც რომ საჯენნეთო არის, ზესავეფო ჰამ კამკამებსო; ზოგი ელვასავეფ გეაარს, ზოგი გეაარს ქარივითო.
45. ტყუვილ დუნაზზე ულოცავი ჰაივანა ხარივითო; სირათქოფრიზე ვერ გეაარს, ბურბურ დეინყებს თირავითო.
46. გამჩენლო, შენ გვაჩუქვე სიკვდილისან იმანები! სირათქოფრიზე გავლისან ძნელი რომ გვაქ ზამანები! ბენვის ხიდაზეთ ხაზირია ჯეხენნემის ზებანები.
47. თუ გინდოდა გადარჩენა, ზებანე და ჯუჯუხეთის, დაჯექი და ყური მიეც ლოცვა-კითხვას ნესისხეთი.
48. ამა ქუევით ლოცვა-მარხვის ნასიჰათსა გიზამ შენა, დილას იალუნზე ადგება ნამდვილი ტყემი აბანი.
49. ვახტი მიდის, რათ არ დგები, რომ ნაგისურია საბანი! ადექი, ნუ გაგიშლია ლოგინში ფეხის თაბანი!
50. რამაზანის მახარები მობძანდა რეჯებ-შაბანი, თორმეტი თვის შორეთ გზიდან მობძანდება რამაზანი.
51. სელავათსა ყური მიე, ვახტით გეიგონე ეზანი, გამჩენელმა რომენ მოგცა ჭკუვა, ცნობა და იზანი.
52. საიქიოთ ნე დარჩებით უიმანო და ხიზანი, თათრულაჲ ღმერთ შევეხვეწოთ – „ისტარუმ სენუნ რიზანი“.
53. რამაზანში გაიხსნება ღმერთის რახმეთი ხაზინა, რაცხას რომენ გევეცდებით, სულ თელი დაგხთება იქა.
54. ლოცვა-კითხვით განათლდება თლათ ქვეყანა ღამიებში, ყურანიც გაჟუჟუნდება თლათ მუბარეკ ჯამიებში.
55. რამაზანში შეიკრება ეშმაკების ხელი, ფეხი, ნამდვილაჲ დაყრილია შვიდი ჯეხენნემის კარი.
56. რავაჲ ჯენნეთი გეიხსნება აი ნამდვილი ქითაბშია. გამჩენელის ყული თუ ხარ, ფელამბერიზა – უმმეთი,
57. საიქიოთ შენი არი აჯეჯლებული ჯენნეთი! ჯებრაილი, ეზრაილი, მელაჲქების დიდვანები –
58. იგინი თელი დაგლოცვენ, კიდვენ მელაჲქე სხვანები, რემეზანი თუ შაგინახავს, შენ ხარ ღმერთის ხასი ყული.
59. მადლობა ღმერთ მუახსენე, მუსლიმანი რომ გაქ ჯული, ამ მუბარეკ რემეზანზე შენ ქი უყავი შუქური, ილოცე და თეუბე ქენი, ინსანი ხსენება ქუფური.
60. რიზ თუ თეებე არ ქენი, იმ დუნაას გეტყვიან შენა, მამა ნალოცი შენი იყოს, შერიღეთის გზა ოთხია.
61. მე ამას რომ გავაზებ, ნამდვილითა ყაათ ელი, ფელამბერის შერიღეთსა ღმერთს ემსახურებიან თელი!
62. შაჰი, მალივი, ჰენფი, მეოთხე არი თემბელი. რამაზანის დამკავებელს ჰემ რაზი ყავს ფელამბერი.
63. სუნთელ ზეანამაზი ძულან, ლოცვა-მარხვაზე თემბელი. გემრიელი სული უდის, როგორც მისკი ემბენი, რემეზანი თუ რაზი გყავს; საქმე დაგირჩა ადვილი.
64. ღმერთი შენიდან რაზია, საჯენნეთო ხარ ნამდვილი!

- რემეზანში უნდა ჭამოთ  
 ჰელალი ალი, ყუველი,  
 სუყველანი შეინყალოთ  
 ეზოში მოსული თხოვნელი.
- 65.** „ამ თხოვნელებმა არ იციან  
 ზამთარი, ზაფხული, თველი!“ –  
 ამის თქუმელ ქალებსა  
 ენაზე დეხევევა გველი.
- 66.** შვილსა დედა მუყუყევა:  
 – ნენეგო, ჩემო ნენეგო,  
 მაგ ენით რომ სუყველას აწყენ,  
 საქმე დაგირჩა ფენავო!
- 67.** მიხვალ არასათ მეიდანში,  
 ძირში ეთრევა ენავო.  
 კარგს აღარ გიზამს ნალოცი,  
 ლოცვა, შენი ნაკითხივო.
- 68.** ნალოციდან, ნაკითხიდან  
 აღარ ექნება მადლივო,  
 გენესათში შენი ენა  
 სამოცდაათი აღუმიია.
- 69.** ჯენნეთი ხომ იქ არ არი,  
 ჯენნეთ აქიდან შეირგებო.  
 ერთ ჯუჯუხეთსა ეტყვიან,  
 სახელათ ზეა ჰეფსო.
- 70.** ულოცავი იქ იზიღვის,  
 ვინცხამ იქიბრებს, დეიქებსვო.  
 ლეა ხეაჰეფში ჩეერება,  
 რომენ მოკდება, გეგონეფსვო.
- 71.** ულოცავსა მუნაფიქსა  
 ზამეთ ჰეაგა,  
 მისი სადგომი ალაგი  
 ხეაჰები არის ლეავო.
- 72.** თუ აგენი იქ მიხდები,  
 რომ დეგელევა დღიები,  
 შვიდი ჯეჰენნემი დღეში  
 ღმერთ შესჩივლებ ათასჯელვო.
- 73.** გამჩენელო, მომაცილე  
 ლეა ხეიჭების აი ბელა!  
 მე იმას რომ ვერ გავზლებ,  
 ის ზალიან ცეცხლიავო!

- 74.** ლეა ყუა სიდდეთისგან  
 შვიდ ჯეჰენნემ ემინიავო;  
 ჰელალ მუდამ რომ არ ეძებ,  
 შენ რატომ არ გეშინიავო?!
- 75.** ლეა ყუე გახსენდება  
 შავათ ნებუთ აღუდდება.  
 დულილის ხმას თუ იკითხავ,  
 რავაც რომენ გაქუხთება.
- 76.** აღუდებულ ცეცხლში იწვის,  
 ვინც რომ არის გლახა გულის,  
 ულოცავის სადგომია  
 ლეა ყუე შავი, ბნელი.
- 77.** აბუდებულო ინსანო,  
 რომენ კი ხარ ცოდვის ქნელი,  
 თეებეს რომ არ ექცევი,  
 შენი საქმე დარჩა ძნელი!
- 78.** ნასიჰათი არ დეიჯერე,  
 რა დეგემართა შენავო!  
 დიდსა, ჰანა მეზობელსა  
 სუყველას უთხარი კაე ენავო!
- 79.** აი კარგობა ერთმანეში  
 ორთალი არის ზიარისვო;  
 ერ მინუთსაც არ გაცლიან,  
 ვადე რომ იგითავდება!
- 80.** ჯერ შენ სიკდილ არ ელოდი,  
 სიცოცხლე გიგითავდება,  
 ბელე გახთება, დრო მიგირდის,  
 ცოდვებიც რომ გემატება!
- 81.** აი, ქართულზე გამეცტანე  
 ნესიხეთი არაბული.  
 ქითაბიდან ამოვნერე,  
 ღმერთო, მიყავი ყაბული!
- 82.** ამ ნასიხათსა გებნევი  
 ნმინდა არაბი ნიგნიდან,  
 აეთიდან, ხადისიდან,  
 ქითაბიდან და ნიგნიდან.
- 83.** ას ნელინად რომ ვიცოცხლო,  
 რომ არ გაგაჩერო ხელი,  
 ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლი  
 კი არ დეანერება თელი.

### 3.

საბახნაშხიან დეიზახებს ეზანი,  
 გულში აგიდუღდება კარაქაზანი.  
 არიფოლი გახდა ჩემი ნაცვალი.  
 შენ ვის ეჯილველები, ჩემო ჯილველო?!  
 ისე რომ გეიარდი, შემსიე აბრუნებდი.  
 არიფოლი გახდა ჩემი ნაცვალი.

## შელოცვები

### სამკურნალო შელოცვები

#### 1. გათვალულისა (თვალისცემისა)

##### 1.1.

შენ გილოცავ თვალისა,  
უნინ ჩემი თავისა.  
შავისა, შავრუანისა,  
თეთრისა, თეთრუანისა.  
მუხუხედე შავსა გვარას,  
მოვდოდა შავი წყალი,  
მოქონდა შავი გველი.  
მივართვი შავსა კაცსა,  
შენზე თვალი მცემელსა  
გულზე ნახვარი,  
თვალში ნაცარი,  
სკუპში ხაშარი!  
შიფა ღმერთიდან!

##### 1.2.

ალელისა, მალელისა,  
თვალი გეცა ქალებისა.  
თეთრი ქალის თვალი გეცა,  
შავი ქალის თვალი გეცა,  
ყირმიზი ქალის თვალი გეცა,  
ყირმიზი კაცის თვალი გეცა,  
გაშპენ, გაცვინდენ  
მათი თვალის კაკლები!  
ჩავყარე შავ ქოთანში,  
ვადულე და ვაპაყპაყე,  
ვადულე და ვაპაყპაყე,  
ევტაჲ მაღალ სირთზე,  
აღმა ქარ მივე,  
დაღმა ნიავ მივე!

##### 1.3.

– ერბო დავდე კერაზე,  
– კატაჲ შუუჭამია.

– კატა ჰად არი?  
– ხეზეა.  
– ხე ჰად არი?  
– ცულსა ხე მუუჭრია,  
უუშვი, დუუშვი,  
ამ კაც (ფურ), ბედნაზარო, გუუშვი!

#### 2. შეშინებულისა

##### 2.1.

შავ კაცის ცინტალი...  
დღე ამდენი გეყოფა ეს ლოცვა,  
ხვალ ამაზე ბეთერი გახდი!  
მიერგება ღმერთიდან!

##### 2.2.

შეშინებულო და სულო და გულო,  
შეშინებულო და სულო და გულო,  
შეშინებულო და სულო და გულო!..

#### 3. დამწვრისა (დანვილისა)

##### 3.1.

– ელი ელიზა, მელი მელიზა,  
ზღვა პიპინობდა,  
ნითელი ხოჯა  
ნითელი ხარებით ხნევდა.  
– რასა?  
– ქვეშა – ჭალასა.  
– ზღვა ხნილი, ქვიშა თესული,  
დამწვარი დაღენებული,  
სამი დღე შეველებული!

**3.2.**

მესერ ეკიდებოდა,  
მუხას ემფრიალებოდა.  
არც ინვოდა, არც ილანძვოდა,  
დანვილ არ ემატებოდა.

**3.3.**

ელი ელევდა...  
ერთი დღის დანვილს  
ძალღმა დასუნოს!  
მე ვარ ლოცავი,  
ღმერთია შველებელი!

**4. სირსვილისა**

**4.1.**

სირსვილი ხნევდა ყანასა  
შვიდი წყვილი ხართია,  
მიაპობდა, მივდოდა;  
სახნელს წვერი უტყდებოდა,  
სირსვილ ფესვი უწყდებოდა!  
ჩემი კითხვა ამ სირსვილსა ერგებოდა!

**4.2.**

– სირსვილი მივდოდა ყანაში.  
– რას თესევდა?  
– ქვასა და ქვიშასაო.  
– ღმერთმა შენ ფესვი გეგინხმოს  
ქვეშა და ქვეშასაო!

**4.3.**

სირსვილი ხნევდა ყანას,  
მითესავდა ქვა და ქვიშას;  
რაგარცხა ქვა და ქვიშა არ გეხხარებს,  
ისე სირსვილი არ გაახარე!

**4.4.**

სირსვილი თესავს  
ხან ქვის ქვეშას.  
არ გაახარია  
ამ სირსვილის ფესვსა!

**4.5.**

ბობოლის ყანაში სირსვილია,  
შენ არ გეხხარო, სირსვილო!  
შენ გეხხარე! (ინსანს ეტყვის)

**4.6.**

სირსვილ ხნევდა ყანასა,  
ვაი დედოფლის დედასა!

**5. ნაღრძობისა // ნაღრძონისა  
(დაქცნილისა)**

**5.1.**

ადამ დეიქვა, დეიქვინა,  
სისხლმა ჩეიქვა, ჩეიქვინა.  
სისხლმა სისხლ მიცა,  
სისხლმა შტოს მიცა,  
შტომა ფურცელ მიცა,  
ფურცელმა ზღვას მიცა,  
ზღვამა ქაფათ მეიგდო,  
ქაფი გაშრა, განიავდა.  
შენი ტკივილიც  
ასე გაშრეს, განიავდეს!

**5.2.**

ადამ დეიქვა,  
სისხლი ჩეიქვა,  
ადგომა ეღონებოდა.  
ხარმა ხარ მიცა,  
ხარმა ხეს მიცა,  
ხემა ჭომა ფურცელ მიცა.  
ამ შავტარიან დანით  
დაგჭრი, დაგშიშხავ,  
მიგიტან ცეცხლსა მარავსა!  
ღმერთმა ერთ დღეს დაქცევლი  
გააცოფოს და გაანიავოსა!

**5.3.**

ადამ დეიქვა,  
სისხლი ჩეიქვა;  
ძვალმა ბილი შეჭამა,  
ბილმა ძვალი შეჭამა.  
ქვა ქვიშაში გორდებოდა,  
ნაღრძონი თელდებოდა!

**5.4.**

ადემი დეიქვა,  
სისხლი ჩეიქვა;  
ბილმა ბილი ნახა,  
ძვალმა ძვალი ნახა.

ქვის ქვეშიდან გორდებოდა.  
ჩემი კითხვა  
ამ ნალრძონსა ერგებოდა!

**5.5.**

ადამ დეიქცა,  
სისხლი ჩეიქცა;  
ხორცი კეთდებოდა,  
მარილი დნებოდა,  
ნალრძობი ქარდებოდა!  
ჩემი ლოცვა  
ამ (იტყვიან სახელს) ერგებოდა!

**5.6.**

გორგიელა გორდებოდა,  
ნალრძუები წორდებოდა.  
ჩემი ლოცვა ამას  
ერგებოდა!

**5.7.**

გადავხედე ურუმელსა,  
ორი კაცი ერთათ იყნენ.  
ერთი ხნემდა, ერთი კოჭებდა,  
მხნელი მკოჭველ აჭარბებდა,  
ნალრძონი ქარდებოდა, ნიავედებოდა!

**6. ძარღვის განასკვისა**

**6.1.**

ორი ქალი გაღმა-გამოღმა  
დაჯდენ ქვაზე.  
ერთი კოჭევდა, ერთი ხსნიდა,  
ხსნელი კოჭნელ აჭარბევდა.  
გეკტანე სერზე,  
ზეით ქარ მივე,  
ქვეით წყალ მივე.  
ფუ! – მეთქი და გააფრინდა!

**6.2.**

ერდალისა, ხერთალისა,  
ეს არი ტამარისა.  
სამი თვისა არაა,  
სამი დლისა გუუხტა კრავი,  
გეისსნა ძარღვი!

**7. შაკიკისა**

ბისმილა რეხმანი რეხიმ.  
ერთი კაცი მოიღოდა,  
შავ ლეღზე იჯდა.  
მააფუცქუნეფს თვალებ,  
მააკრაჭუნეფს კბილებ,  
მაათქაშუნეფს ხელებ,  
მააპაკუნეფს ფეხებ.  
– ჩვენო კაცო, შავო კაცო,  
სა მიხვალ – მეთქინ?  
– ადამ ჟერში.  
– რაზე?  
– ძვალი სახრელად,  
სისხლი სასმელათ!  
– ნუ მიხვალ, თვარა  
შავტარიანი დანით  
დაგჭრი, დაგთიბავ,  
ჩაგყრი ვარდის საკუკავში,  
მიგცხებ ქარსა და ნიაგსა!  
ნუ გესმოდეს დედლის ხმა!  
ნუ გესმოდეს მამლის ხმა!  
ცული პირის მონაჭარი  
ცულ ტარად შეერგებოდა.  
მე ვარ კითხავი,  
ღმერთია შეველებელი!

**8. თვალის ტკივილისა**

**8.1.**

ლობედან გადაახტი, გადმოახტი,  
შენი თვალი შენ თვალში,  
შენი თვალი შენ თვალში!

**8.2.**

ბისმილა რეხმანი რეხიმ  
ილოსა, გამეეხვიე ტილოსა!  
ილოსა, კილოსა,  
გამეეხვიე ტილოსა!

**9. ნაწყენისა (ნატკენისა)**

ანი იძრა, ბანი იძრა,  
სახლი ქვეშ იძრა,  
ახორი ქვეშ იძრა,

თელი ყველამფერი ქვეშ იძრა,  
 იძრა და იძრა.  
 ანი დადგა, ბანი დადგა,  
 სახლი დადგა,  
 ახორი დადგა,  
 თელი ყველამფერი დადგა!  
 ძროხის მუცელში დეკეული  
 (მოზვერი) დადგეს!  
 დედის მუცელში ღარჭი დადგეს!

**10. ბენჯისა (ძუძუს გასიებისა)**

10.1.  
 – მე გიკითხავ ძუძუსი.  
 ერთი მტკაველი კაცი დევნახე,  
 სამი მტკაველი წვერი ქონდაო.  
 შენ ჩემთვის რამ გეიცინე,  
 რამ გეიკირვილეო?!

– მე შენთვის არ გევიცინე,  
 არ გევიკირვილე.  
 იმფიცვა, ამფიცვა,  
 ძუძუში კი ბენჯი ქონდა,  
 გამოვარდა, გამოქარდა!

10.2.  
 ლორი, ლორი, ლორგოგო,  
 აქ რა იჯები, ფუნდრუკ გოგო!  
 სუმბერო, ყამბერო,  
 დუქსულ-ლუქსულ მევედვარე.

**11. თიისა**

11.1.  
 იავსა, თიავსა,  
 კვახეო, მჭახეო!

ნასელავი მთასა,  
 ხალღური ხარსა,  
 შავტარიან დანასა.  
 დავჭრი, დავკუნკუნავ,  
 მივცემ ქარსა,  
 ბუქსა, ნიავსა,  
 გამკრავ ხევსა!  
 ცული პირის მონაკვეთი  
 ცულსა ტარად გევეგება,  
 ჩემი შენალოცი  
 ჩემ ამ გოგოს შეერგება!

11.2.  
 ილაძირი, მილაძირი,  
 ლუყუ ფესვი, ლეღვი ძირი,  
 გამოტყდა თია ძირი!

**12. ჭიისა**

12.1.  
 ჭიისა დედავ, თავი ჩაყე!  
 ჭიავ, ჭიავ, თავი ამოყე!

12.2.  
 ჭიאו, ჭიאו, ჭახევ, მახევ,  
 რას ჭუჭყუნობ ლორსავენ?  
 დაწყნარდი და დაალაგდი!

**13. მეჭეჭისა**

13.1.  
 აი გიორდუმ, აი ქიბერ,  
 ერისინგიზინ სიილემ ხალხიბერ!

**სამეურნეო შელოცვები**

**1. ნისლისა**

1.1.  
 ბულუთ, ბულუთ, ეიყარე,  
 ცხრა მქედის იქით გედეიყარე!  
 შენი ქალი მორჩენილა,

ერთი ქორი ყავს,  
 ერთი – თოფალი,  
 ერთი – ქუთი.  
 მალე წახვალ, მორჩებიან,  
 გვიან წახვალ, მოკტებიან!

**1.2.**

ბულუთო, ბულუთო,  
 ეიყარე, დეიყარე,  
 ცხრა ქედი გედეიარე!  
 შენი ქალი ორსულია,  
 მალე მიხვალ, მოგიჩეება,  
 მალე არ მიხვალ, მოგიკდება!

**1.3.**

ბულუთ, ბულუთ, ეიყარე,  
 სამი თვე გედეიყარე.  
 შენი ქალი გულჩიჩეგი,  
 მალე მიხვალ, მოგიჩეება,  
 გვიან მიხვალ, მოგიკტება!

**1.4.**

ბულოთ, ბულოთ, ეიყარე,  
 სირთის უკან გედეიყარე!  
 შენი ქალი პირყვითელაჲ,  
 მალე წახვალ, კაჲ გახდება,  
 გვიან წახვალ, მოგიკდება!

**1.5.**

ნისლო, ნისლო, ეიყარე,  
 ნისლო, შენ გედეიყარე!

**2. წვიმისა**

**2.1.**

განწვიმდი, განწვიმდი!  
 რძალო, შენიდან  
 კოვზი-კოვზი დალი მინდა,  
 კოვზი-კოვზი ფქვილი მინდა!  
 ღმერთო, შენიდან  
 ლამაზი წვიმა მინდა!  
 ამინ!

**2.2.**

ყანაში – ტალახი,  
 გობზე – ცომი!  
 ღმერთო, მოგვეცი  
 ბევრი წვიმა!

**2.3.**

იღურღულე ცამა!  
 ღმერთო, ბევრი  
 წვიმა-წყალი მომეცი!

**3. სეტყვისა**

**3.1.**

ხოშკაკალო, გედეიყარე!  
 შენი ქალი ავათაჲ,  
 მალე მიხვალ, მოგიჩეება,  
 მალე არ მიხვალ, მოგიკდება!



სოფ. ერეგუნა, 2007 წ.

პროფესორი თინა შიოშვილი მთქმელებთან – აიშე და ჰავა საზღებთან

## წყევლები

ბ

- ამოვარდა მისი თავი!
- ანტერო!
- ანტერი დემირჩი შენ!
- ანწლი ამოვდეს შენ კალოზე!
- არ გაგახაროს ღმერთმა!
- არ გაგახაროს, ჰაცხა ნახვალ!
- არ მოგიყვანოს!
- არ მოგიყვანოს აქ ღმერთმა!
- არგასახარებლო წყლის ძაღლო!
- ახირი გიგიხადოს!

ბ

- ბადიშები არ მოგანრას ღმერთმა!
- ბედშავო!
- ბელა მოგცეს ღმერთმა!
- ბრაზი, შმორიანი! ჰილამ ბელა გემიხდა, ჩემი ჭადი-პური ემიმნარა!

ბ

- გაგასუფთა ღმერთმა!
- გაგაფაქოს ღმერთმა!
- გაგახლიპოს ღმერთმა!
- გამოგეფუტოს თვალები!
- გამოწყვეტილი!
- გამჩენმა გათრია!
- გამჩენმა გაჯიჯლინა!
- გამჩენმა ღმერთმა ბევრი ომრი არ მოგცეს!
- გამჩენმა ღმერთმა დუუგლისა თვალები!
- გამჩენმა ცეცხლი ჩაგიკიდა!
- გასასახლებლო!
- გააური შვილო!
- გაცდი!
- გელმა გუუნყვიტა კისერი!
- გელმა შეგჭამა!
- გვერძე ამოგძრეს სული!
- გონჯობა მოგცეს ღმერთმა!
- გულში რაცხა გაქ, ღმერთმა არ მოგცეს!



## დ

- დაგაყარე ვაგლახი!
- დათვმა შეეჭამა!
- დათვების შეჭმულო!
- დარმადალინი გახდეს, ოლლუშალიდან გეიყაროს!
- დიგიდგა ორი თვალი!
- დეესხას წყალი!
- დღე და ღამე დეგემბოს!
- დერდი მოგცეს ღმერთმა!
- დღე არ დაგანახვოს ღმერთმა!

## ე

- ებრალიშვილო!
- ე გამოკირული ჰიდან მოვდა და შემშალა!
- ეზრაველი მის ხახაში!
- ერთი დღე არ დაგანახოს!
- ერთ სასთუმალზე არ დაგაბერონ!
- ერმანის შვილო!
- ეს დუნია ჰერამი იყოს!

## ვ

- ვაგლახი დაგაყარე!

## თ

- თავი ამოუვარდა!
- თავი მოგწყდეს!
- თვალი დიგიდგეს!
- თვალი დუუდგა!
- თვალი დუუდგა მისი!

## ი

- იმსოვ დერდები მოგცეს, ჩემი თავი დაგავინყოს!

## კ

- კათოლიკი შვილო!

## ლ

- ლამაზო მუზარეჟო, შავი მინა დააყარე მის თავზე და ჯუჯუხეთის ფსკერში ჩააყაინალე!
- ლაშიდან გამოგვიდეს, უბეში შეგვიდეს ი წყევლები!
- ლელვი ამოგიყვანა!
- ლელვი ამოვდეს შენ კალოზე!

## მ

- მე ქი მეჯენგები თლათ, ემჯამი შენ!
- მისი ამოარდა!

- მინასაჭმელებო!
- მოკტი!
- მოკტი და მორჩი!
- მუზარეჟმა ჯეჰენემი მოგცეს!

## ნ

- ნაგანზარი დაგტიოს!
- ნარცხვენი გარუნოს!
- ნუ გაგახაროს ღმერთმა!

## ო

- ფეთიმი გაგხადოს ღმერთმა!
- ხარამიანო, მოკტი!

## ოი

- ოი, გამჩენო მუზარეჟო-ღმერთო, განყვიტე და გააფაქე!
- ოი, ღმერთმა არ მოგანროს!

## რა

- რა ბეთი გოგო ხარ, არ გაგახაროს ღმერთმა!
- რამე არ მოგანრას ღმერთმა!

## ს

- საღღღღღღა არ მოგცა ღმერთმა!
- სახლი-კარი არ მოგცოს!
- სომეხის დატრაკილო!
- სული აგაძროს ღმერთმა!
- სული აგართვას ღმერთმა!
- სული არ მიგაცემია ღმერთმა!

## უი

- უი, მეხი დაგაყარე!

## ქ

- ქორმა შეგჭამა!
- ქოქი მუუხმა!
- ქოქი ამუუწყვიტე!
- ქოქი გამოგინყდეს!

## ღ

- ღმერთმა ამოგიყვანოს!
- ღმერთმა ამოიყვანონ გამოფისულები!
- ღმერთმა ამოგინყვიტოს ქოქი და ჯილაგი!
- ღმერთმა ანტრად დაგტიოს!
- ღმერთმა არა მურადი არ გაღირსოს!
- ღმერთმა არ აგამენოს!
- ღმერთმა არ გაგახაროს!

- ღმერთმა არ გაგაცინოს!
- ღმერთმა არ გაცოცხლოს!
- ღმერთმა არ გაჭამოს!
- ღმერთმა არ გახაროს!
- ღმერთმა არ გიშველოს!
- ღმერთმა არ მოგასწროს!
- ღმერთმა არ მოგანრას!
- ღმერთმა არ მიგიყვანოს!
- ღმერთმა არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა არ მოგიყვანოს შინა!
- ღმერთმა აქედან შორ გადაგაიოლოს!
- ღმერთმა აჯი მოგცეს!
- ღმერთმა ბაჰრამი არ მოგანრას!
- ღმერთმა ბაშხადიდი არ მოგცეს!
- ღმერთმა გააფალოს!
- ღმერთმა გაგაფაქოს!
- ღმერთმა გაგაფაქოს შენა!
- ღმერთმა გაგაფაქოს და გაგანყნაროს!
- ღმერთმა გაგცვიტოს!
- ღმერთმა გამოგწყვიტოს!
- ღმერთმა გაგშლიპოს!
- ღმერთმა გამჩენელმა ჯეენემის ცეცხლიდან არ გამოგიყვანოს!
- ღმერთმა დაგავსოს!
- ღმერთმა დიდი დღე არ მოგცეს!
- ღმერთმა დუნაალული ჩაამწაროს და გამოწყვიტოს!
- ღმერთმა დღესვე მოგაკლინოს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე არ დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთი დღე არ დაგანახვოს!
- ღმერთმა თვალი დუუყენა მისი!
- ღმერთმა იმგვარი დერდი მოგცეს, ჩემი თავი დაგავინყოს!
- ღმერთმა კაჲ დღე არ დაგანახვოს!
- ღმერთმა კაჲ დღეები არ დაგანახოს!
- ღმერთმა კარგობა არ მოგცეს!
- ღმერთმა კერა მოგიზრას!
- ღმერთმა კერა მიგიძრას!
- ღმერთმა მალე მოკტე!
- ღმერთმა მოგკლას!
- ღმერთმა ნაჭამი ნაგარწყევიოს ყიიდან!
- ღმერთმა ნუ გაღირსავს!
- ღმერთმა რამ არ აღირსოს!
- ღმერთმა რამ არ გაღირსა შენა!
- ღმერთმა სიცოცხლე აგწიოს!
- ღმერთმა ფელჯი გაგხადოს!
- ღმერთმა ფეხები, ხელეები მოგიტეხოს!
- ღმერთმა ფეხები მოგიტეხოს!
- ღმერთმა ქოქი გამოგილოს შენი!
- ღმერთმა ღორი გაგხადოს!

- ღმერთმა შავი ლეჩაქი დაგახუროს!
- ღმერთმა შარშანი არ მოგანრას!
- ღმერთმა შენი წყევლა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთმა ჩაგიცივოს!
- ღმერთმა ჩემ ამარ დაგაგდოს!
- ღმერთმა ჩუუცივდონ და ჩუუბნელონ!
- ღმერთმა წიგიყვანოს და არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა ხელი მუუქციოს!
- ღმერთმა ხელები მოგიტეხოს!
- ღმერთმა ჯეენემის ფსკერში ჩააყაინა!
- ღმერთმა ჰაჯი არ მოგცეს!
- ღორი გაგხადოს ღმერთმა!

### შ

- შავი ბედი მოგცეს!
- შავ ლეჩაქით დაგაჯდუმლოს!
- შავი მინამა შეგჭამოს!
- შავი ყამი ჭამე!
- შე გააურის შვილო!
- შე ერმენის შვილო!
- შე თოფალო!
- შე ფესო!
- შე შიშმანო!
- შე ჯინო!
- შენ გამოგწყვიტოს ღმერთმა!
- შენ ენაზე ბიბერი!
- შენ ღმერთმა არ გაგახაროს!
- შენ ჩემთან სიდან მოხველ, ბაშ ბელა!
- შენი ოჯალში ღმერთმა ლელვის ხე ამოგიყვანოს!
- შენი წყევლა შენ ზეიდან იყოს, ლაშიდან გამოგივდეს, უბში შეგივდეს!

### ჩ

- ჩენგეჩასაკლეტელო!

### წ

- წასლა იქნეს და მოსლა არ იქნეს!
- წევდა ჯეჰენებში!

### ჯ

- ჯინჭარი ამოგიყვანა ღმერთმა!
- ჯინჭარი ამოვდეს შენ კალოზე!

### ჰ

- ჰა იარებით, რავარი ღარჭები ხართ! ღმერთმა ფელჯი გაგხადონ!
- ჰიჩ რამეს არ მეწნას!

## დალოცვები

### ბ

- ავადეულობა და დერდი არ მოგცოს!
- არქადაშებს უკან ლამაზათ იყავით!
- ახარონ ღმერთმა!

### ბ

- ბადიშები მოგანრას!
- ბადიშების, შვილების ომრი დაგანახვოს!
- ბევრი გარონიონ!
- ბევრი დღე მოგცა!
- ბევრი დღე მოგცეს ღმერთმა!
- ბევრი დღით გაგაძლებია ღმერთმა!
- ბევრი დღე და ომრი მოგცეს!
- ბევრი გაცოცხლოს!
- ბევრი რაცხაები განავლოს ღმერთმა!
- ბელადან, ყაზადან დიგიფაროს ღმერთმა!
- ბიჭი შვილი მოგცეს ღმერთმა!
- ბოვრი აცოცხლოს ღმერთმა!

### ბ

- გაგახაროს ღმერთმა!
- გაგაჭკვიანოს ღმერთმა!
- გაგახაროს ღმერთმა, ბალნებო!
- გამჩენელმა აგაშენოს!
- გამჩენმა ბერექეთი მოგცეს!
- გამჩენმა ღმერთმა ბევრი ომრი მოგცეს!
- გამჩენმა ღმერთმა ღმერთის დინზე მიგიყვანა!
- გაცოცხლოს ღმერთმა!
- გახარებული მამყოფნე!
- გერმელათ იარე, შენი თავი დაცვი!
- გეყურბანე!
- გზა-შარაში შიგიბრალოს ღმერთმა!
- გოგო, შენი ჭირი მე!
- გონჯი გელინი ღმერთმა დუშმან არ მიცეს!
- გულში რაცხა გაქ, ღმერთმა ის მოგცეს!
- გძელი დღე მოგცეს ღმერთმა!

### დ

- დაბერებამდინ სულ გახარება მოგცეს!
- დედამთილსა კაჲ შეხედე!

- დერდი არ მოგცეს ღმერთმა!
- დიდი ომრი მოგცონ ღმერთმა!
- დიდი დღე მოგცოს ღმერთმა!
- დღე მოგცეს ღმერთმა!
- დღიები კაჲ მოგცეს ღმერთმა!
- დუშმანი გამოგინყვიტოს ღმერთმა!

### ქ

- ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ერთი დერდი არ მოგცეს!
- ერთ აასულში დაგაბერონ!
- ერთ აასულზე დაგაბერონ!
- ერთ აასულზე დაგაბეროს ღმერთმა!
- ერთ მანდილზე დაგაბეროს!

### კ

- ვინმეზე მუხტარჯი არ გაგხადოს!

### ღ

- თეთრი ბედი მოგცეს!
- თეთრი მენდილით დაგაბერონ!

### ო

- იმანი მოგცეს!
- ინშალა, კაჲ იყავით!
- ინშალა, კაჲ ხეირი მოგცეს!
- იყავ გახარებული!

### პ

- კაჲ აშილი განახიონ!
- კაჲ ბიჭი განახიონ!
- კაჲ გაგზარდოს ღმერთმა!
- კაჲ დუა მოგცეს ღმერთმა!
- კაჲ ძლობა ქენი!
- კაჲ დღეები დაგანახოს!
- კაჲ დღიებში გამყოფნოს!
- კაჲ დღე დეინახე!
- კაჲ ღერებში ისაქმო!
- კაჲ მოგებაზე, კაჲ შვილებზე, კაჲ კაცზე გაღირსოს ღმერთმა!
- კაჲ მურადი მოგცეს!
- კარგ ღერზე დაგალაგოს!
- კაჲ ქეიფი მოგცეს!
- კაჲ ქეიფი მოგცეს ღმერთმა!
- კაჲ შეხედე!

- კაჲ ძლობა ქენი!
- კარგა გარონიოთ ღმერთმა!
- კარგობით წაჲ!
- კარქობით წაგიყვანოს!
- კარქობით წიგიყვანოს ღმერთმა!

### ღ

- ლამაზებ იყავით, არ წეიკიდნოთ!
- ლამაზი, კაჲ იყავ!
- ლამაზობით წაჲთ!

### მ

- მოკდომამდი ჩემ კაცთან ვიყო!
- მოკდომამდი შენ კაცთან იყავ!
- მუბარექმა ჯენნეთი მოგცეს!
- მურადები აგალებიოს ღმერთმა!
- მმვიდობით გარონიონ!

### ნ

- ნაგანზარი არ დაგტიოს ღმერთმა!
- ნელ-ნელა იარე, არ გადავარდე!

### რ

- რა ლამაზი გოგო ხარ, ღმერთმა გაგზარდოს!
- რამე დერდი არ მოგცეს!
- რამე ტარლულობა არ მოგცეს ღმერთმა!
- რაცხა კი ხელში გაქ, იგი თავოს გულში!
- რახათაჲ დაგაბეროს ღმერთმა!

### ს

- სახლი-კარი კარგი მოგცეს ღმერთმა!
- სიკდილამდინ კარგად დაგაბეროს!
- სირცხვილ არ მოგცეს!

### ფ

- ფაციაჲ დეგილაგოს ღმერთმა!
- ფელამბერა მეზობელი გაგზადოს!

### ქ

- ქეიფი მოგცეს!

### ღ

- ღარჭები გიჩუქოს გამჩენელმა!
- ღმერთმა ააშენოს, ჰაცხა მივა!
- ღმერთმა აგაშენოს!

- ღმერთმა არ გაგყარონ!
- ღმერთმა ამდენი იმ დუნაში მოგცეს!
- ღმერთმა არ მოგშალონ!
- ღმერთმა აჯი რამე არ დაგანახვოს!
- ღმერთმა აჯი არ მოგცეს!
- ღმერთმა ზადიშები გაჩუქოს!
- ღმერთმა ბევრი ბერექეთი მოგცეს და ვინმეზე ამარ არ დაგტიოს!
- ღმერთმა ბევრი დღე მიცოს!
- ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი ფარა მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი გაცოცხლოს!
- ღმერთმა ბევრი ღარჭები მოგცეს!
- ღმერთმა გაგახაროს!
- ღმერთმა გაგაკეთოს!
- ღმერთმა გაგახაროს და რამ დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა გაგახაროს, მუთლი იყავ!
- ღმერთმა გაგზარდოს!
- ღმერთმა გამყოფნოს!
- ღმერთმა გახაროს!
- ღმერთმა გიგიზარდოს!
- ღმერთმა გაგზარდოს შენს ნენეს უკან, შენს ბაბოს უკან!
- ღმერთმა გაჩუქოს!
- ღმერთმა გაჩუქოს ღარჭი!
- ღმერთმა გაცოცხლოს კარქობით!
- ღმერთმა გაჭენოს, დიდხან იარე!
- ღმერთმა გზები აჩული გიგიხადონ!
- ღმერთმა გზები გიგიხსნან!
- ღმერთმა გიშველოს!
- ღმერთმა გიჩუქოს!
- ღმერთმა დაგაბეროს!
- ღმერთმა დერდი არ დაგანახვონ!
- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთის დუა შენ თავზე იყოს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ვინმეზე მუხთაჯი არ დაგტიოს!
- ღმერთმან ერთ ხმაზე მოგარჩინოს!
- ღმერთმა ერთი დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა თავამდის მოგცეს, დაბერებამდე!
- ღმერთმა თეთრი წვერიანი ბადიშები მოანრას!
- ღმერთმა ი დუნაა კაე მოგცეს!
- ღმერთმა იმ დუნაში ჯენნეთი მოგცეს!
- ღმერთმა კაე გაგხადოს!
- ღმერთმა კაე ბედი მოგცეს!
- ღმერთმა კაე დღე მოგცეს!
- ღმერთმა კაე დღეები დაგანახოს!



- ღმერთმა კაჲ შვილი მოგცეს!
- ღმერთმა კაჲ გამყოფნოს!
- ღმერთმა კაჲ ყისმეთი მოგცეს!
- ღმერთმა კაჲ კაცი გაღირსოს!
- ღმერთმა კაჲ ჭკუა მოგცეს!
- ღმერთმა კარგა წეგიყვანონ, კარგა მიგიყვანონ!
- ღმერთმა კარქობა მოგცეს!
- ღმერთმა კარქობა მოგცონ!
- ღმერთმა კარქობით გარონიოს!
- ღმერთმა კაცთან ერთათ გაცოცხლოს, ღარჭებთან ერთად!
- ღმერთმა კარქობით წიგიყვანოს!
- ღმერთმა კარგობით დაგაბეროს!
- ღმერთმა კარგობით წასლა-მოსლა გაღირსონ!
- ღმერთმა კარგობით წასლა-მოსლა გეღირსოს!
- ღმერთმა კარგობით მოგარჩინოს!
- ღმერთმა კარგობით ჩიგიყვანოს!
- ღმერთმან კარგობით კაცის, ღარჭის უკან დაგაბეროს!
- ღმერთმა ღამაზობით წეგიყვანონ, მეგიყვანონ!
- ღმერთმა ღოცვა გქონდეს!
- ღმერთმა მოკდომამდინ ერთ ბალიშზე დაგანწინოს!
- ღმერთმა მოგირჩინოს!
- ღმერთმა მოგცონ!
- ღმერთმა ნუ გაგსხლიპოს!
- ღმერთმა ნანდომი მოგცეს!
- ღმერთმა ნენეჲ, ბაბაჲ უჩუქოს!
- ღმერთმა ოჯახი გაჩუქოს!
- ღმერთმა რამ აჯი არ დაგანახვოს!
- ღმერთმა რამ აჯი არ მოგცეს!
- ღმერთმა რასოჲც იცის, ისე გაქნევიონ!
- ღმერთმა უჩუქოს!
- ღმერთმა ღარჭები გაჩუქოს!
- ღმერთმა ყუეთი მოგცოს!
- ღმერთმა ყეზა არ მოგცეს!
- ღმერთმა ყაზა-ბელა არ მოგცონ!
- ღმერთმა შენი ღარჭებსა დიდი დღე მიცეს!
- ღმერთმა შენ ოღლუშალი გიჩუქოს!
- ღმერთმა შენი ღარჭებსა კარგობით დაგანახონ!
- ღმერთმა შენი ხელ-ფეხი მოგცეს და ვინმეზე ამარ არ დაგტიოს!
- ღმერთმა შვილი მოგცეს!
- ღმერთმა შეილებიდან არ მოგშალოს!
- ღმერთმა ჯენწეთი დაგანახოს!
- ღმერთმა ხეირი მოგცეს!
- ღმერთმა ჰელაღიდან მოგცა!
- ღმერთო დიდო მუზარექო, კარგობით წეიყვანე, მეიყვანე!
- ღმერთო, მაჩუქვე, გამიზარდე!

**ყ**

- ყველა ოჯახი კარგად გამყოფნოს!
- ყველამფერი კარგა წიგივიდეს!

**შ**

- შავი მენდილი ნუ დეიხურავ!
- შენ ენაზე შექერი!
- შენ კაე გოგო ხარ, ნასულ ღერზე კარგა იყავ!
- შენ აქ მოხველი ჩემთან, ღმერთმა კარქობა მოგცეს!
- შენ ღარჭებთან კარქობით მიდი!
- შენ ღარჭების უკან დაგაბეროს!

**ჩ**

- ჩემ დრომდინ გაცოცხლოს ღმერთმა!
- ჩვენი მემლექეთი შეინახოს ღმერთმა!

**წ**

- წაე და კიდენ მოე!
- წორეთ გეიარეთ, წორეთ მოდით!
- წყალსავენ ნადი, წყალსავენ მოდი!

**ჯ**

- ჯენნეთი გაგხადოს ღმერთმა!
- ჯენნეთი დიგინეროს ღმერთმა!



სოფ. ერეგუნა, 2007 წ.  
პროფესორი თინა შიოშვილი ერეგუნელ მთქმელებთან

## ანდაზები

1. ადრელა ადგები, საქმეს მალე დალევო;
2. ათჯერნა დაზომო, ერთჯერნა დაჭრა;
3. ამ დუნაში ერთი პირი მოხვალ;
4. ამოსულ ბზეს დილაზე დაეცეცო;
5. არც მარტმა გამახარა, არც მოსული აპრილმაო;
6. არც მარტმა გამახარა, არც აპრილის თვემაო;
7. ატეხვას თავის გატეხვა აქო;
8. ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაცია ნახე;
9. ბერი ხარის ქამან მოხნისო;
10. გაგორვებული ქვა ხავს ვერ დეიკავებს;
11. გავლა ქვა ქვაზე დადეო, გამოვლა დიგინდებაო;
12. გელი რო დაბერდება, ძალის საცინარი გახდებაო;
13. გელინი თუ გონჯია, ყასულზე აგაცვამს;
14. გოგო, შენ გებნევი, გელინო, შენ გეიგონე;
15. დაუპატიჯნელი მოსული უბალიშო დაჟდება;
16. დედა დეინახე, გოგო ისე მეინონე;
17. დელს სოფლის ქვედა კუთხეს ტყუილი უთქმია, ზედა კუთხეს მასაც დუუ-ჯერია;
18. დუნა იქცევავო და ჭიაცელიას თვალევი დუუქორია;
19. დუშმანიც ინსანიო;
20. ევფურტნე, ბუღლას მოხვდა, დევფურტნე – ნვერსაო;
21. ერთი ენა ერთი კაცია;
22. ერთი ენა ერთი კაცია, ორი ენა იცი, ორი კაცია;
23. ერთ ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება;
24. ეს დუნა ტყვილი დუნაა, კაა'ნა დეიფიქრო;
25. ვინმემა შენთინ ხელ არ აინეცს, ბელა არ ნახავს;
26. ვირ ყურ ხევენო და ე რა რახარუხი არიო?
27. ზენგინის ლოგინში დანვე'ნა, ფუხარას საქმელი ჭამო'ნა;
28. ზორით მოყვანილი ძალი ქონში დაყეფსო;
29. თა თას არ მოხდება, ინსანი ინსან მოხდება;
30. თოვლიც ლამაზია, ზეიდან ძალი აფსამსო;
31. იყბალიან ქალი მუუკტება, უიყბალიან ცხენი მუუკტება;
32. კაკლის ხეჭობიდან გამოვდა და ხეჭებო არ მონონსო;
33. კარგი შვილი ნენესი გულია;
34. კაცი კაც მონახავსო;
35. კოცნას ცხვირი არ დოუშლისო;
36. ლაზი ჭკუა შუა დლე იქით არ ისაქმებსო;
37. მარტი კატების დლეაო;

38. მეზობელი კაი'ნა გყავდეს;
39. მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენ ხელი'ნა მისვას;
40. მელაჲ მალარაში ვერ გატეულაო, ფაჩნი გამოუბია უკნიდანო;
41. მე ღვინოს დავლევე და ღვინო ჩემ ჭკვას დალევისო;
42. მინას უყვარებული კაცი კაცი არ არი;
43. მოზობელი რომ შიერი იქნაო, შენც იმას'და დაეხმაროო, გამძღარი არ'და იყოო;
44. მული მოვა – დუშმანი მოვა;
45. ნეხვმა ტალახი არ მოწონსო;
46. ნიქოჲ, ხეჭებოდან გამოსული, ჩვენ აღარ გვკადრულობსო;
47. ოთხმოცდაცხრამეტი ყიზილბაში, ერთი ფაშაო.
48. რაცხამდენი საბანი გაქ, იმდონე განვაღე ფეხები;
49. საყვარელი სულ ლამაზია;
50. სიბერეს – გარგანიო;
51. სიტყვა გუმშია, უხმიობა – ალთუნიო;
52. სხვას მუცელი ატკივდება, შენაც ხელი'ნა მისვასო;
53. სხვის ვირზე რომ შეჯდება, მალე ჩამოხვალო;
54. ტურა ცდება და თავი საქათმისკე დამაჭერიეთო;
55. უბედურ ქვა თავაღმა დეენევასო;
56. უდარდო დუნა არ არი;
57. ურგობლობას ზღვაჲ დუღლევიასო;
58. ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო;
59. ქედის მინა დიბეშიო;
60. ქვა ქვაზე მიგორდებაო;
61. ქიბრობა კაჲ არ არი არც ამ დუნათვინ, არც იმ დუნათვინ;
62. ქონება ყველას'და ქონდეს, რომ შენც შეგერგოს;
63. ღორი ყანაში რო შევა, გაძღომამდე ჭამსო;
64. ყველაფერი ახლობითო;
65. ყორანმა თქვაო, გაღმა'ნა გევედო, თეთრი'ნა დავდვაო. გასულა ქი, თეთრი არა და შავი ქნილაო;
66. ყორან უთქმია, გაღმაში გევაღ, თეთრ კვერცხ დავდეფო;
67. შავი გულით, თეთრი კბილითო;
68. შეინახე ბზე, მუჲ მისი დრო;
69. შვილი კალთიდან რო გუღუუხტება, უკვე შენი არ არი;
70. შიერი ფუში მალე გაძლება, თვალი – არა;
71. შიერი ქათამი თვალებით ნალიაში იქნება;
72. შორ ბაბასა-ნენესა ახლო მეზობელი ჯობიაო;
73. ჩემი საქმე მე'ნა გავათაო;
74. ძალი უკბენელი არ იქნება;
75. ძველი გოდორი ჭერიშია;
76. ნაბლი ბურჯგელადან გამოიდა, ბურჯგელა არ მოწონდა;
77. ნაბლი ბურჯგელადან გამოსულა, ბურჯგელა არ მოწონს;
78. ნაბლი ბურჯგვიდან გამოვდა, ბუჯგალა არ მოეწონა;
79. ნაბლი ბუჯგადან გამოსული, ბუჯგმა არ მოწონდება;

80. ნაბლი რომ გამოსულა იშტე ბუჯგიდან, აღარ უკადრია;
81. ნაბლი ქესტანედან, ბუჯგიდან გამოიდა, ბუჯგი არ მონონდა;
82. ნაბლი ყაბულიდან გამოსულა და მემრე მისი თავი არ მონონებიაო;
83. ნისქვილში შესული უფქვილოთ ვერ გამუა;
84. წყევლავ, წყევლავ, შენ მოგიტრიალდებაო;
85. ჭიაყელა გველზე დაბზვანებია, მიენიო'ნაო, განინულა, ნელიდან გადაწყვეტილა;
86. ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამუა;
87. ჭინჭრის ძირ ჭინჭარი ამუა;
88. ხისიმი ხის უკნიდანაო;
89. ჯერ იტყვის და მერე ფიქრობსო;
90. ჰაცხან მიხვალ, იქაური ქუდი'ნა დეიხურო'ნა.



სოფ. ერეგუნა, 2007 წ.  
 პროფესორი თინა შიოშვილი, მეცნიერებათა დოქტორი ვარდო ჩოხარაძე  
 და მთქმელი შუქურე გირგინი

## გამოცანები

1

თავ-ხერხი, ბოლო – მანგალა  
ვირო, ახსენი!.. მამალა. (მამალი)

2

ვკეცე, ვკეცე,  
ვერ დავკეცე. (გზა)

3

კატა კუდიტ კიდი. (ტაფა)

4

ოთხი ძმა ერთ ქოთანში ჩატირავს. (ძროხის ძუძუები)

5

შიანა ათასი,  
გარეთა ანტლასი. (ბიბერი, ბროწევილი)

6

ოცდათორმეტი გოგო ვართ  
ერთ ფიცარზე დამწკრივებული. (კიბილები)

7

თავი სავარცხალი,  
კუდი მანგალი;  
თუ ვერ გააგენი,  
ვირო, – მამალი! (მამალი)

8

თავი ნეეს, კუდი ღრინავს. (თოკი)

9

მივა, მივა, კვალ არ აჩენს. (ჩრდილი)

10

მე მივალ, ის მომდევს,  
უკნიდან კვალ არ აჩენს. (ჩრდილი)

11

ავა, ჩავა, ღმერთ ეხვეწება. (სანაყი, საძიგველი)

12

ევა ჭვირთული, ჩამუა ცარიელი. (კოვზი)

13

ევა ცარიელი, ჩამუა ჭვირთული. (გიდელი)

14

ერთ პლაკეზე ორი თევზი. (ნარბები)

15

ვწონე, ვწონე, ვერ ავწონე. (ძილი)

16

ოფოფი ფრინავს,  
ფემტემალ ფინავს. (ნისქვილი)

17

ციდან მუა რახარუხით,  
ქვეშიდან გადის ფლაქმა-ფლუქმით. (საცერი)

18

ნიქარას ნადოვზე მოლი არ ამუა. (ცეცხლი)

19

წევა ტყეში, ყეფს, ყეფს,  
მოვა, თარო ქვეშ დაწვება. (ნაჯახი, ცული, წალდი)

20

ოთხი თითი თასში უყურავს. (ძროხის ძუძუები)

21

ოთხი თითი ქოთანში ჩატირავს. (ძროხის ძუძუები)

22

ხუთი ძმა არიან, ერთმა ებეძგება. (წინდის ჩხირები)

23

გეეგრძელება, გეეგრძელება,  
ოლლუმალ მეიგებს. (ხაპი)

24

ფენებზე კანჯა აქ,  
წელზე ლივერი აქ. (სიმინდი)

25

ერთი ქათამი გულგამოჭმული. (ოჯალი – ბუხარი)

26

შავი ქათამი გულგამოჭმული. (ოჯალი – ბუხარი)

27

ერთი მანანაჲ

ხან გაიცინებს, ხან – არა. (ლამპა)

28

ხორცის ყანთარი ალთუნ წონავს. (ყურსაკიდი)

29

ოთხი ფეხი,

ორი ყური,

ოთხი ჩაკიდული,

ერთი გაქანება. (ძროხა, ძროხის ძუძუები და კუდი)

30

არქო ფრინავს,

ბერი ღრინავს,

თეთრ ფეშტემალ

შამეიფინავს. (ნისქვილი)

31

ვკრიფე, ვკრიფე, ვერ მოვკრიფე. (მასკვლავი)

32

ვკრიფე, ვკრიფე, ვერ დავკრიფე. (მასკვლავი)

33

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე. (მარსკვლავი)

34

პატინა სინათლე ქვა

ორთალული შამეიარს. (თვალი)

35

სალამოზე – კალოები,

დილაზე – მოლინულები. (ლოგინი)

36

დავაბამ – წავა,

გუშუებ – დადგება. (ქალამანი, ჩარული)

37

წახვალ – წამოვა,

მონვალ – მოგდება,

დადგები – დადგება. („შუქე“ // ჩრდილი)



38

თავი ჩიჩავს,  
კუდი ღრინავს. (საჩერელი)

39

კუდი მანგალი,  
თავი სავარცხალი,  
ვერ გეიგენი თუ,  
ვირო?! – მამალი! (მამალი)

40

წითელი ხარის ნაძოვნზე  
მოლი არ ამუა. (ცეცხლი)

41

ჯაკი, ჯაკი, ბაჯალი,  
ალემუნ აათაჯალი. (აკვანი)

42

ვკალთე, ვკალთე, ვერ ავკალთე. (გზა)

43

თავი ხერხი  
ბოლო მანგალი.  
თუ ვერ მიხდი,  
ვირო, მამალი! (მამალი)

44

მე მივალ, ისიც მივა,  
დავდგები, დადგება. (ჩრდილი)

45

ორი ოროლი,  
ოთხი პოპოლი,  
ცხრამეტი ბაჯანჯული,  
არც მეტი ქიჩმახური.  
(ძუძუ: ორი – თხისა,  
ოთხი – ძროხისა,  
ცხრამეტი – ძაღლისა,  
არცერთი – ქათმისა).

## მითები და ლებენდაბი

### 1. კოსმოგონიური მიტოსი (წყლისა და ხმელეთის სტიქიათა ბრძოლა)

#### 1.1.

ისკებში თავშეტრიალის თავზე ყარა გოლის ტბაა. იმ ტბაში ხარი ყოფილა. ისკებში ერთ კაც მაგარი მოზვერი ყოლია. დილაა უუშვებენ, საღამომდე თავ-სისხლიანი მოვა. პატრონ კინის ქები გუუკეთებია. დილაა გუუშვია.

ხარი ტბასთან მისულა და დუუბლუვლია. გამოსულა ტბიდან ხარი და ჭედვა დუუწყიან... კინი ქებით დუუსისხლიანებია.

ის ხარი წყალში შევარდნილა და აღარ გამოსულა.

სოფლის ჭრელი მოზვერი გასულა, მიორე დღე კიდენ გასულა ჭედვაზე და მერე აღარ გამოსულა.

იმ ტბის დევიბულას დიდვანი თვალეები, ქები, თავი ქონებია.

#### 1.2.

ბულაზიმოლლის ჯარი ყოფილა, ყარა გოლისკენ უვლია; ყარა გოლ გასულა, იქ დუუწყია ჯარ ბლუვილი. იქიდან ერთი ბულა გამოსულა, გოლიდამა. მე არ შე-მიტყვია და ასე იტყვიან. იმ გოლიდან გამოსულა ერთი ბულა. იქ ჭედლებულან ესენი. ეს ბულაზიმოლლის ბულა დუუხიშტია. მერე ერთ დღე, ორ დღე, სამ დღე, ყოველ დღე ის იქ მივა, წასულა ბულა ჰამა...

ბულაზიმოლლის გუუფიქრია ყე, „ეს ჯარი ვის ჯარმა დაფრითა?“ უუწენია თოფი, უკნიდამ მიდევნებია, ხარისთვინ მიდევნებია უკნიდამ; გასულა ქი ჯარი იქა, ღმად ბლუვის იქა, ოვ, ყიამეთი მიაქ!.. ერთი შეხედა კაცმა ქი, ერთი ბულა გამოიდა წყლიდამა, ჰამა დეინყნეს ჭედნება; იჭედნებთან და ბულაზიმოლლიმა დააქუნხნა თოფი და შეახტა გოლში ე ჯარი; გოლიდამ გამოსული გოლში შეახტა! აარალი გოლში შეახტა ის ჯარი, ჰამა არ გამოდიოდა კარში. მე ასე ვიცი, ასე იტყვიან...

#### 1.3.

კვარცხან არი გოლი. იმ გოლში არი ხარი. გოლის ხარ და სოფლის ხარ მე-გერ ეჭედებთან; გოლისას მუუგია და წყალში შესულა.

სოფლის ხარი სისხლიანი დაბრუნებულა. ხარის პატრონი მეგერ დემირჯი ყოფილა, დემირიდან ქები გუუკეთებია. მიორე დღეს გოლის ხარი ისეე გამო-სულა, დუუჭედიან. სოფლის ხარს დუუფრენია, გუუსისხლია თლათ...

ყარაგოლზე მოხდა. გოლი სისხლით ევსო... ცოდვისგან მოკდა კაცი – ხარ ქები გუუკეთა, მარენია... მოკდა...

## 2. მარადიული გაზაფხულის მითოსი

### 2.1.

ართვინში ძველ საუკუნეებში არ თოვლდა. აქ, ართვინის სოფელ სოთში (სეთლერ სოფელში), ნიგალა უბანში, არსებობდა ეკლესია. ამ ეკლესიაში მცხოვრობდა ქეშიში. ეს ეკლესია ბუჰარეთის მთებში დებარეობს და სახელია ავჯი ეკლესია. ბუჰარეთის მთების სოთის და ვაზრიას შორის მდებარეობს.

ერთ დღეს ბერთის საქალარ პლატოზე, კაჩხარის მთაში, თეთრი რალაცა დეინახავს ქეშიშმა. ასეთი რალაცა პირველად ხედავს და გაგიკვირდება. თავისი ოთხი მსახური იმ მთაში გაგზავნის. ამ მსახურებს მისცემს ერთ დარტყმას თოფი და ეტყვის:

– ეს თოფით იმ თეთრი რალაცას უსროლეთ და მოკალით!

ნავლენ ეს ოთხი მსახური კაჩხარის მთაში. მთებს ახლოს მივლენ და თოფით უსროლენ, მაგრამ ეს თეთრი რალაცას არეფერი არ იქნება. ამის შემდეგ ნელ-ნელა ნავლენ ეს თეთრი არსებასთან, ხელით აკონტროლებენ; დეინახვენ, რომ ეს თეთრი არსება ცივი რალაცა არის. მათ ჩამოტანელი ტყავის გაკეთებული ტამარს შეავსებენ და ჩამოვლენ ეკლესიაში. ქეშიშთან მოვლენ და აჩვენებენ ტყავის ტამარს; ქეშიშს ეტყვიან:

– თეთრი არსება ამისი შიგან არის.

უყურებენ ტყავის ტამარს, შიგან არაფერი არ არის, წყალის გარდა.

ამის შემდეგ ქეშიშმა ეტყვის:

– მე ნიგნებში ვიკითხე, ეს თოვლია.

და ეტყვის ქეშიშმა ამის შემდეგ:

– აქ ვერ ვიცხოვრებთ, იმიტომ, თოვლი მოდის, ძალიან სიცივე იქნება!

ნავლენ ქვემოთ, ნიგალაში არსებული ეკლესიაში! იმის შემდეგ ერთი კიდევ ზემოთ დებარებული ეკლესიაში ვერ ავლენ.

## 3. დემონური პერსონაჟები

### 3.1.

ღარჭობაში მეტყოდენ, ჯაზები არიანო, ლელებში, ხენდეკებში არ ნახვიდეთო, ჭკვაზე შეგშლიანო. ჩემი ბაბო დეკეული არ მოსულა და წასულა დეკეული ძებნაზე; დეკეული მოყავს სოფელში. დეკეული დაბრუნდება, ან ჯერზე წავა; მოყავს, კიდე დაბრუნდება ან ჯერზე. ის დეკეული არ ყოფილა, ჯაზი ყოფილა!

ბაბო ავადეული გახდილა. ლუები უკითხიან ხოჯებ, ნუსხა დუუნერიან და მორჩენილა.

ჯაზები და ჯინები ანია. ქალიც ყოფილა, კაციც ყოფილა. გონჯი ჯინებიც ყოფილან და კაა ჯინებიც. გონჯები ჭკვაზე შემლიდენ, კაა ჯინები არ შემლიდენ. კაა ჯინებზე დაქორწილდებოდენ, ისე გაგონილი მაქ მე.

ფერებიც ჯინი არიან; ქალებიც არიან, კაცებიც არიან. შენ ვერ დეინახ, შენ დეგინახვენ. თუ დაბერდი რაცხიდან, ავადეული გახდები, იშვე იტყვიან, ფერებმა დააბეჩაო.

### 3.2.

ჯაზი ამ სოფელში არ იყო. ჯაზი ინსანიდან არი. ბუხარიდან ევლოდენ, ჯაზობა იქამდენ, მერე მოვლოდენ. შენაო ჯაზი ხარო, ეტყვიან; არ ეტყვის, ჯაზი ვარო. დიდი ნენეს (ბაბანეს) ეტყოდენ, ჯაზი ხარო; არ ვარო, ეტყოდა.

დედამთილი მეტყოდა, ხუთი ლარჭები მომიკდაო. მოზობლებმა მეტყოდენ, ქივო შენი დედამთილი ჯაზიავო და ლარჭებ გიყლარჭავსო. მე დედამთილი ზორ მიყვარდა და არ იქსო, ვიტყოდი.

ახორშიც შედის ჯაზი, ცხენის თმებ დაპნნიდა, გამუშუებებდა ცხენ, არონიავდა; იტყოდენ „ბისმილა“, ახორის კარ დუუყრაო. მოზობელ ილიას დუუჭერია ახორში, დუუკავებია, ამას უთქმია:

„– არ გამამჟღავნო, შენ ახორში აღარ'ნა შევიდუო!“

დილაე ჩვედოდენ, ცხენი დაოფლილი იყო, იმით მიხედებოდენ.

ჯაზები ღარჭების ჯიგარ ამეიღებდენ და შეჭამდენ.

ერთ ასკერში ბიჭი ყავ, ბიჭმა მექთეფი გამუშუგზავნა. უბეში ჩადებული მექთეფით იარება. მარობაში, გაღმა ერთი სახლი იყო, იქ მოზობელთან წასულა ჯაზობაზე, თავანში ასულა და იქ გავარდნია მექთეფი. იკითხენ და მიხდენ:

„– ოო, ის ნენეე ჩვენთან ჯაზობაზე მევდაო და გავარდნიაო“.

### 3.3.

ერთი თანე ქალმა, კაცის უკან შეშას ვჭრიდითო და ღარჭმა დეინივლა აკვაწნითო და ქალი მისულა, რო ჯაზი შიგნიდან ენიკება, ქალი – გარედან:

„– დიგინახვე, ნუ იმაღვიო!“

მემრე უთქვამს:

„– შენ არ გამამჟღავნოვო, თორემ ღარჭს მოგიყლარჭავო კიდევო!“ – და გაქცევლა.

მან არ გამამჟღავნა. ღარჭს პირში სისხლი ქონდა. ჯიგერი უნდა ამიელო. ახლა ასკრობა მეიხადა.

### 3.4.

ჯაზიები დემესიენ

და ჩემ თავზე იბრუნიან;

ტანს მჩხლიტამენ, მიჩქმიტავენ,

ღმერთო, მომეხმარია!

### 3.5.

შეთან ვერ დეინახ, დაკარგულია. შეთანნი კაცია, კაციც გახდება, ყველა სურეთში შევა, ყველამფერი იქამს: ნამოკრის, ავადეული გახდის, დააბეჩავს. იტყვიან, შეთანმა დააბეჩაო.

### 3.6.

სუფრა არ გადაფერთხოთ, შეეთნები, ფერები გაგკრავსო და ჭკვაზე შეგშლიანო, გადაგკრავსო.

შუადღემდე არ დაგავოო, არ შეიძლებაო.

მელოგინე ყოფნაში ყაი ნანასთან მისულა ახირბასანი (ფერი, შეთანნი), ანეებოდა. შენ ვერ დეინახავ, იმან ხედავს.

ფერი ქალიც არი, კაციც. ახირბასანი კაცია.  
კაცი ფერმა თუ გადაკრა, კაც აკითხიო, ქალი ფერმა თუ გადაკრა, ქალ აკითხიო და ცხენის ფუშვებ აჭმევენ. ფერები ეტყვიან, კაი საჭმელიაო, აჭმევენ.

### 3.7.

ფერი კაციც არი, ქალიც არი. ფერები გაგადელებენ, გეიარ, ნახვალ ღელიებში. უბისმილო წყალ გადაასხმი, ფერები მოვლიან. იმა ვერ დეინახავ, ყორიებში, ღელიებში სხედან, – გონჯ აერებში.

მე ერთი ემიას ქალი მყავდა, აბლა ვეტყვით ახლა; წელნად მეტი კაი იქნებოდა, კაი ქალი იყო, ფერებმა გაადელეს; იარებოდა ჯოხი დაკავებული, გურჯულა ავინებდა. სალამომდი იარდა; ხან გიცნავს, ხან ვერ გიცნავს.

იმის ფერი იყო მუსლიმან ფერი. ხოჯიებმა ასე უთხრეს:

„– ეს ფერი მუსლიმანი ფერია, კითხვით არ წავა, კითხვა არ დეეშველებაო, მოკდენამდე მასთან უნდა იყოსო“.

### 3.8.

#### ფერები

ფერები ძველათ აქ უცოცხლიან, მომკდარან. ძველებური ნაცოცხლავი არიან. სალამოზე გარეთ მოფსი, დაბერდები, ნაკერის – ინსანის სისხლი წყალი გახდება, ავადეული გახდება.

ფერების ნასაქმი საქმე იმფერი იქნება: დეინახო, გგონია, ინსანია; ფეხები უკნისკენ აქვა; ქალიც არის, კაციც არის; სხვა ვერ გეერჩევა იმათიდან; ფერებზე ქორნილდებიან, ვერ გეერჩევიან.

ერთი ქალი იყო, შავშეთელი, დაქორნილებულა; ყამეთი წუულიან... ხოჯას გუურჩევია, უკითხია და გუურჩევია.

### 3.9.

#### ალი

ხალხი იტყოდენ აა, თუ ღარჭი დეინჩობოდა, ალი დეეცაო. ფეხები, ტიტყირები, ფჩხილები გუშუავედებოდა, იტყოდენ, ალი დეეცაო. ალი და ჯაზი აანია. ოჯალიდან ჩამუაო ალი და ღარჭ დაარჩობსო. აკვანზე ბადე მქონდა გადახურილი ორმოცი ათავებამდე; ცოცხ მივადებდით აკვანზე, რო ალი არ მოვიდესო.

### 3.10.

#### კონჭოლიზი

კონჭოლიზია, ფეხები უკულმა აქ. ხან ქალი გეჩვენება, ხან – კაცი, ხან – ძალი... გაგადელებს. თვალები დიდვანი აქო.

ხებაში ერთი კაცი იყო, იმან თქვა, „ღამეში ჩემმა ამხანავმა დუგუნში წემიყვანაო, საჭმელები იყო ბევრიო, ვჭამდითო. გათენდა, კოვზი არა და ხელში ქვა მიჭირავო და მთელი ღამე მ-ს ვჭამდი, თურმეო; კონჭოლიზმა ქნაო“.

### 3.11.

კონჭოლოზები მოვლენო და გუგუმებში ჩააფსამენო და გუგუმებ დავხურავთ.

ცხვარი თუ მყავან, მეცყვანდით, დილა დედის, უფროს დუულაპარაკნელა ცხვარ სიმინდ და პურ გადაყარიდით.

ერთიცა ხმელ სიმინდ, სირსვალი ჩავყრიდით, მოვხარშევდით.

თეჯრებეს ვიქმოდით, ვინმეს დავანდობდით ქი, შენ მოდიო; რამეს მივართმევდით, ტათლისა.

### 3.12.

#### ყარაყულა

...არ იკითხავ, არ ილოცავ, ყარაყულა შეგნდება, გახრობს. უკითხავ, წევა. ცდინავს, ვერ ექანები, გახრობს, ის არი ჯაზი და შეეთანი!

## 4. სამონადირეო მითოსი

### 4.1.

#### ავჯი ხიტირი

ავჯი ხიტირი ყოფილა უნინ, ჯეილანებ კლავსა. ერთიც შეხედა, ქი ერთ დღე ერთი ბებერი მოიდა, დამჯდარა, ჯეილანებ წველის, უკნიდან ჯეილანებ წველის. ერთმა დაარტყა ტრინკი, ბახრაჭი (კოჭობი) ნუუქცია. უთხრა:

– ავჯი ხიტირის ხელში გეარე!

– ხელები მიგახმეს! – უთხრა ჯეილანმა.

ავჯი ხიტირი ყურ უგდებს, ავჯი ხიტირ ესმის ბებერი ლაპარაკი. დრახს! – გააყრევინა, გააგორა, მოკლა!

ხელები გუუხმა იქა, ხელები გუუხმა კაცსა...

### 4.2.

ჩემი ბაბა ავჯი იყო. ჩემ ბაბას ბაბას უთქმია, ქი ნადით და კვარი მეიტანეთო. ორი ძმანი ნასულან (ბაბა და ბიძია). იქ დათვი მალარაში ყოფილა. იქიდან კარში გამოსულა, ბაბასთვინ ქლიკზე უკბენია, უუნენვინა მალლითკენ.

ბიძიას ხელში ნალდი ჰქონებია, ქლიკზე დუუცხია, ქლიკი მუუჭრია. ბაბა გუუგდია იმ დათვსა, ბიძიასთვინ უკბენია. ბაბასაც ხელში ნაჯახი ჰქონებია და დათვის თავზე დუუცხია ყური ძირში. დათვი გადაგორებულა. გუუგდიან დათვი და სახლში მისულან. აქიდან 3-4 კაცი ნასულან მემრე, ი დათვი უნახიან. ბიძია და ჩემი ბაბა სამი თვე ლოგინში დანოლილან.

### 4.3.

გეეგი ცოდვა არი, არ მოკლებენ. ყოჩი თუ არი, მოკლებენ, ისიც – ხანდახან; გოგო თუ არი, არ მოკლებენ. თუ მოკლებენ, ოჯახი უენისკენ ნავაო.

### 4.4.

ქლასქურს ავჯი ნასულა გეეგი მოკლაზე და მუუკლია კაც; ედა მისულა ქი, ნაკლები დუუნახია.

### 4.5.

კატა ირ არ მეიკლება. მეზობელმა გეექნია ქვა, კატა მოკლა. ერთი თვე არ გეუარა, შვილი მუუქტა.

შველიც არ მეიკლება. იმა ფეხში ბამბა აქო, სუნი აქო.

## 5. დიდი წარღვნის ლეგენდა

### 5.1.

ნუხ ფელამბერ ღმერთმა უთხრა, ქი:

– ერთი გემი გააკეთე, ხალხი მეიცრიე, ჩაყარე შიგანა!

ნუხ ფელამბერმა უთხრა:

– რა, რა იქნაო?

– ეს ხალხი ბევრ ცოდვას იჯებიან, იმი ბარზე ყველანი წყალში ჩავლუპონაო.

მაშინა ი ხალხი მეიცრია; ასე უთხრა ახლა:

– ღმერთი იძახის, გაჭკვიანდითო!

იმათმა ქი არ დეიჯერეს, ხალხმა არ დუუჯერა ნუხ ფელამბერს.

ვინცხამა ქი დაჰყვა ნუხ ფელამბერსა, ისინი დააჯდუმლა გემზე. იმის მერე მოგვდა ქვეყანა, სულ ყველა წყალი გახდა. მის შვილმა არ დაჯდა. იმან უთხრა:

– შვილო, მოდი, მეიკლებიო!

იმან არ დეიჯერა, მის შვილმა და ქალმა.

– გავალ ტყეზე, წყალი იქ ვერ ამოვაო!

– რალა იქნას ახლა ესენიო? – ნუხ ფელამბერი და ღმერთი ლაპარაკობენ.

– რა'ნა იქნას, გემი ეივსო, ტულეტი გახდაო! – ნუხმა უთხრა.

ღმერთმა უთხრა:

– მეგეხმარები, წამალ გიგიჩენო!

ღმერთმა ხორა მიცა. დეიწყეს ფხანა. იმის მერე წევდა გემში, ერთ კაცმა წევდა, ფსილიკში ჩავარდა, ამ დეიბანა, ფხანა გათავდა. მერე წევდა, ხალხ უთხრა:

– მე ასე გავკეთდი ქი.

სულყველა წევდა, გამოლოკეს, ჩიჩგსავეთ გახდა გემი.

წყალი ტყეზეც გევდა. გემიც იქ გევდა. ხელი მიცა, მოდიო, კიდენ არ წევდა.

ისინი იქ დეილუპეს. იმის მერე წყალი უსელეფ წევდა, გემი დაჯდა, აღრი-დაღარიში დაჯდა. მათი საქმელი დეელიენ. დრამ-დრამი რაცხა დარჩა, თელი მეინიეს ყველამფერი, ქვაბის შიგანა ჩაყარეს, გახდა აშურა. იმ ბარზე იტყვიან აშურასა.

მერე ცოცხალი დარჩენ.

### 5.2.

ნუხ ფელამბერ ხებერი მოსლია, დუნა წყალმა'ნა მეიცვასო. გემის აკეთებდენ. ერთი დედაბერი ყოფილა, უნიკევდა ძეს, უძახდა მეგემ, ქი დუნა წყალმა მეიცვას'და, მეც გემში ემიყვანეთო, არ მევიყლარჭოვო. იმათ პასუხი მიცეს, თამამო. დამიწყნიან. დუნა წყალმა მეიცვა, ი დედაბერი დარჩა. წყალი ქი გაშრა, დედაბერი მონახეს. დედაბერმა გაკითხა ქი:

– როის'ნა წემიყვანოთ გემშიო?

ამათაც უთხრეს:

– ჩვენ შენი თავი დამიწყედენ; რა იქნა შენი ფური, არ მეიყლარჭაო?

დედაბერმაც უთხრა, ქი:

– მე არაფერი გამიგნიაო. ერთ დღეს ფური სველი მოიდა, ფეხები სველი ქონდა, მეტი სხვა რამ არ გამიგნიაო.

იმ გემში თელ ჰაივანებიდან აუღიან. თავგმა, მეგემ, გემი გამოჭრა. გემი წყალმა ეილო. ბობოლი იმ დელუქზე გამეენყო, გადაარჩინა გემი.

აშურაც იქიდან დარჩენილა: საჭმელი ქი აღარ დარჩენილა, თითო ჭაჭვი აუღიენ, რაცხა ქი დარჩენილან (სიმინდი, ლობიო, ინჯისყური, ყურძენი... სულ შვიდი თავი), მოუყრიან, მოუხარშავენ; ყველას დუურიგავთ... აშურას თვეში ინარშება, მარა ისეც ეხარშავთ.

## 6. ტოტემისტური ლეგენდა

### 6.1.

#### დათვი

ყავარჯი დედე ყავარი გაძრომისთინ წესულა ტყეში, ხეზე ჩუუსვია სოლა. ცოტა გუუპია დილისთინ. ღამეში დათვი მოსულა, თამაშში ცხვირი შეჭუჭყვია.

დილას დედე წესულა. დედესა დათვი მუურჩენია. ერთი საათის მემრე დათვ ფიჭა თაფლი მუუტანია.

## 7. ჰადისური ლეგენდები

### 7.1.

#### ყურბანი

ერთ კაც ბავშვი არ ყოლებია. უთქმია:

– ღმერთო, თუ შვილი მეყოლება, ყურბანად დავკლავო!

სიზმარში დეინახა:

– შენ თქვი, ყურბანი დავკლაო და რატომ არ დაკალიო?

ტყეში წევდა შვილის დასაკლავად და ვერ დაკლა. ამ დროს ღმერთიდან ყოჩი ჩამოვდა და ამის შემდეგ ცხვარი გახდა ყურბანი.

### 7.2.

#### ლუყმან ჰეკიმი

ლუყმან ჰეკიმი ისე დიდი კაცი ყოფილა ქი, ერთი კაცი მომკდარა, წამლები გუუყეტებთან; იმ კაცთან მიდის, გავაცოცხლო'ნაო, ამა ღმერთ უთქმია, ქი:

– მომკდარი კაცი არ'ნა გაცოცხლდეს, მოკდომილი იყოს'ნაო!

ჯებრაილი გუუგზავნია:

– იმ კაც შენი ფრთა მოჰკიდე, წამლები გააყრევიეო!

გუუყრევიეობია.

მოკვდომა არ იყოს, ჩვენ, ინსნები, ერთმანებ შევჭამო!

### 7.3.

ფორთაში ერთი ზიარეთი მდებარეობს. იმ ზიარეთის უკან მუხის ტყე არის. იმ მუხას ტყეში იყო გველეშაპი – გველი. ამ დიდი გველის შიშით სოფლელები ვერ ადოდნენ ამ მუხას ტყეში. იფიქრეს, იფიქრეს, რა უნდა გავაკეთოთო და საბოლოოდ მოიძახეს წმინდა ალი.



წმინდა ალი ჩამოვა მეომარი მეგობრებთან ერთად ბერთაში. წმინდა ალი და მეგობრები ზიარეთში დაიბანაკებენ. წმინდა ალი სოფლებს კითხვა, რომ ეს გელი რომელ ადგილზეა. სოფლები ეტყვიან საცხოვრებელი ადგილს. ამის შემდეგ წმინდა ალი ნავა ამ გელის ნადირობისთვის და სოფლებს ეტყვის, რომ ჩემთვის ეს ნადირობა ადვილი არ არის, იმიტომ ჩემი მეგობრები აქ დარჩენ. და ნავა გელის მოკვლასთვის.

წმინდა ალი გელის საცხოვრებელი მღვიმეში იპოვს და გელი დაიწყებს გაქცევას. წმინდა ალი დაიწყებს გელის დევნას. ამ დევნას გამო დაშორდებიან სოფლიდან. წმინდა ალი გელს დადევნებს ფორთის ფლატომდე. იქედან გელი გარბის გულ თაშინინ (ვარდის ქვა). იქ წმინდა ალი გელის უკნიდან ქვას გასრულებს, მაგრამ გელს ვერ დაცხებს.

(ადრე ეს გულ თაშებს ადგილიდან ქვებს სოფლები წაიღებდნენ სახში და სანყობი-სამზარეულოში დადებდნენ, რომ სიუხვე მოიდეს). წმინდა ალი ქესიქ თეფეს მიახლოვდება, რომ გელმა ქესიქ თეფიდან გარბის. წმინდა ალი გელის უკნიდან ხმალი გასროლა და ეს ხმალი დაჭრა გელი და ქესიქ თეფეც. იმის შემდეგ ამ ადგილს სახელი დარჩა ქესიქ თეფე.

ამ დრო განმავლობაში წმინდა ალისგან ამბავი არ მოვა სოფელში. სოფლები ეტყვიან, რომ გელმა ჭამა წმინდა ალი და იფიქრეს, თუ ეს გელმა ჭამა, რატომ უშედეგოდ მოვლით წმინდა ალის მეგობრებს და ერთ საღამოს ეს წმინდა ალის მეომარი მეგობრები ძილში დაჭრეს და მოკლეს. იმ ზიარეთში რომ საფლავებია, წმინდა ალის მეომარი მეგობრები არის.

#### 7.4.

გვეერნიკში ერთი გველეშაპი იყო. ეს გველეშაპი ყოველდღიურად ჩამოვა და ჩვენი ეკლესიის წვერი ახალგაზრდას მიყვანს და ჭამს.

წმინდა ალი ჩამოვა გვეერნიკში და მაცხოვრებლები ხალხი ეს გველეშაპის ამბავს მოახსენენ. წმინდა ალი მაშინ ეტყვის:

– სად არის ეს გველეშაპის საცხოვრებელი ადგილი, მაჩვენეთ!

მაცხოვრებელი ხალხი ეტყვის:

– არსებობს ქვემოთ ტყე, იმ ადგილს სახელი ნაკერეე ამოხენ. ნაკერეეში არის გველეშაპის ბუდე.

წმინდა ალი ცხენზე დაჟდება და ნავა ნაკერეეში. იქ შეხვდება გველეშაპს. გველეშაპი რომ ხედავს წმინდა ალის, გაქცევა დაიწყებს. ამის შემდეგ წმინდა ალი გველეშაპის უკნიდან ხმალი გასროლა. ეს ხმალი დაჭრა გველეშაპი და იმის გვერდით მდებარე მთას ზევით ნაწილიც დაჭრა.

## 8. ლეგენდა მონანიე კაცისმკვლელზე

### 8.1.

#### კარაბაბა

უნინ ერთ კაცი, კარაბაბას, დოქსანდოქუში კაცი მუჟუკლია. უთქმია:

– მე გუნაქარი, რა'ნდა ვქნაო? ყარფუზი დავარიგო, გელენ-გეჩეს ვაჭამოო.

ერთი კაცი მოვა ახლა, სუნდულში მივა, გოგო-ბიჭი მოშალოს'ნა, დუგუნი'ნა მოშალოს! კაცმა უძახის:

- ჰად მიხვალ, დადექი, ყარფუზი ჭამეო!  
არ დადგა. თოფი ანია, ესხრიკება.
- მე ჩემი აჯელი მაქ, გოგო-ბიჭი'ნა მოვშალოვო!  
გახტუნხან დაადვა თოფი, მოკლა.
- ახლა დოქსან დოქუშ მოვკალო!  
ერთი სელვის ტალი დაარგა, ქოქი ზეითეკენ დაარგა.
- ამან თუ გეიგნა, მე მაშინ სევაბი მაქო.  
გეიგნო.
- სევაბი ვარო, – თქვა.

## 9. ლეგენდები ზიარეთზე

### 9.1.

#### გოგომეზერი

თაზე, კარჩხლის აქეთ, ერთი ბიჭი და გოგო იყვენ მომკდარი და იქ იყო იმა-თი მეზერი. იქ ქალი, კაცი წევდოდენ, სიზმარი ნახულობდენ; ბავშვი რომ არ ყავთ, ავათ რომაა, ყისმეთი ნახულობდენ.  
ძველებმა ასე იტყოდენ, იმ ადგილ „გოგომეზერი“ ერქვა. ძველებმა იძახიან, ევლები იყვენო.

### 9.2.

#### ზიარეთი

ზიარეთი თაზეა, ჩვენ თაზე. თას გოლბაში ქვია. ხალხი წევდოდენ, დეიძი-ნებდენ, სიზმრებ დეინახავდენ. გასათხოვარი გოგვები (აშულარები) და თავი-ანთ საბედოს დეინახავდენ.  
ქართლას ზეგანშიც არის ზიარეთი. იქაც დეიძინებენ უშვილო ქალები, გა-სათხოვარი გოგვები და სიზმრებ ნახავდენ, თავიანთ საბედოებ დეინახავდენ.

### 9.3.

#### ზიარეთი

წმინდა ალი მეომარი მეგობრები ყავდა; ხმალით ომობდენ ერთად. წმინდა ალი და მეომარი მეგობრები ჩამოვლენ ფორთაში. წმინდა ალი მეომარი მეგობრები აქ, ფორთაში, დატოვებს და წადის თამარასთან. იქ, თამარასთან, ზო-გიერთი რამეზე შესახებ შეთანხმებიან. იქედან წმინდა ალი დაბრუნდება ფორთაში, რომ ხედავს, მეომარი მეგობრები მოკლული არიან.  
– ვინ მოკლა ეს ჩემი მეგობრებიო?  
სოფლელი ამბობს, რომ სომეხები და ებრაელებიო.  
წმინდა ალი მკვდარები აქ, სოფლის უკან დებარე ტყეში, დამარხებს. იმის შემდეგ ამ ადგილის სახელი ზიარეთია.

### 9.4.

ჰაჯის ერთი შვილი ყავდა. ეს ბიჭი დააეადებული იყო. შემდეგ ეს ჰაჯის შვილი გაიზარდა და ცოლი მოიყვანეს, მაგრამ ეს კაცი ადრე კვდება. ამ კაცის ცოლი მოიყვანეს მისი ძმა.

მე ზიარეთში, ქესიქ თეფვეში, ნავედი. ჩემთან ერთად იყო ბავში, მეგობარი, ძმის ცოლი. ამ ზიარეთში დავიძინე და ძილში სიზმარი დავინახე. ამ სიზმარში დავინახე: ჰაჯის შვილი მოვიდა ჩემთან და „აქ რას აკეთებთ?“ მეც უთხარი, რომ ბერთაში არსებობს უამრავი გვალვა და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. ამის შემდეგ ეს ჰაჯის ბიჭი მითხრა, რომ „შენი ზიარეთი მიღებულია, შენ ნადი სოფელში“. მეც იმ წუთში გაიღვიძე და სოფელში მივდიოდი, დაიწყო წვიმა, მაგრამ როგორ წვიმს, როგორ წვიმს, როგორ წვიმს... სოფლამდე თავიდან ბოლომდე სველი გავხდი.

ერთხელ კიდევ ზიარეთში მივედი, რა მინდოდა, გამიმართლა.

ადრე აქ ქართველები (გურჯები) ცხოვრობდნენ. ზიარეთში მდებარე საფლავები ვინების არის, არ ვიცი.

### 9.5.

მე ახალგაზრდობაში ავადყოფი ვიყავი. იმიტომ რომ კურნალობა მინდოდა, ნავედი ზიარეთში. იმ დღეს ზიარეთში მივედი, რომ ძალიან სიმრავლე იყო, ვერ დავიძინე. იქ, ზიარეთში, გივერდზე თხილის ხეები იყო. იქ არავინ არ იყო. იმ თხილის ზირზე დავიძინე და სიზმარში დავინახე ერთი კაცი. ეს კაცის დიდი ხელი ჰქონდა. ამ დიდი ხელში თიხის თასი (ჭიქა) ჰქონდა. ამ თიხის ჭიქით ჩაასხა წყალი ჩემ თავში და მითხრა, რომ შენი წამალი ეს წყალი არისო. შემდეგ ნავიდა.

იმის შემდეგ გაიღვიძე და სოფელში ჩავედი. ეს ამბავი სოფელში მოვყვი. სოფელები მითხრეს, რომ შენი წამალი ჩერმიქის წყალია ალბათო. მე იმის შემდეგ მივედი ჰასან ყალეს ჩერმიქში, ზუსტად 17-ჯერ ნავედი და გავკეთი.

ერთხელ ჩემი ძმასთვინ ზიარეთში მივედი იმიტომ, ჩემი ძმა მაშინ ძალიან ავად იყო. ძმა ანკარაში კურნალობდა. ძმას ეს ავადყოფობა ძალიან მაინტერესებდა და ნავედი ზიარეთში. ზიარეთში დავიძინე, სიზმარში დავინახე, რომ ჩემი ძმა სოფელში ჩამოსულა. ძილიდან გიიღვიძე და სოფელში ჩამოვედი. სამი დღეს შემდეგ ზმის ცხედარი ჩამოიტანეს.

მე ზიარეთში ორჯერ მივედი, ორივეს გამიმართლა.

### 9.6.

ზიარეთში თუ ცხვარი, ცხენი გასიზმრებს, სურვილი აგისრულდება; თუ სიზმარში ხარი ხედავს, მაშინ სახემნიფოსთან კარგი საქმე იქნება; თუ სიზმარში სარჩელის ფორმიანი ადამიანი ხედავს, სურვილი აგისრულდება; თუ სიზმარში ძაღლი ხედავს, სურვილი არ აგისრულდება.

## 10. ლეგენდები თამარ დედოფალზე

### 10.1.

#### თამარა დედოფალი

დილაი რომ ავდგებოდით, დედა მეტყოდა, თამარა დედოფალი დაგანახოო. შოვალ თეფეს რომ შევხედავდი, ორი ქვა იყო: ერთი მაღალი, ერთი დაბალი. დაბალი – თამარა დედოფალი, მაღალი – მისი ქმარი. მემრე, შველობაზე რომ ნაველთ, ქვები ვნახე: დახაზული მხრები, გულ-მკერდი, ჩაცმული ლამაზი, თვალი, მუზლი – ნელზიით.

### 10.2.

გალახურას მთებში ზიარეთია. იქ მეზერია, თამარას მეზერი. ამ მთაში გამოქვაბულია და იქ ორი ოთახია, ფანჯარაც აქ. თამარას დროში იქიდან წყალი მოიყვანა სოფლებში: ომანაში, ავანაში, ქართლაში...

თამარას საფლავი შვიდ ადგილზე არისო, იტყვიან. ვინმემ არ უნდა იცოდეს. ერთმა იცოდა, ვინც ჩაფლა, ისიც მოკლეს.

ორმოცი წელი თამარა აქ ცხოვრობდა. თამარას დროს, მაშინ, ეს თელი ადგილები საქართველო ყოფილა!

### 10.3.

სოფლის თავში მთაა, თეთრობი; იქ ზიარეთია. ერთი თამარი დედოფალი ყოფილა, მომკდარა და იქ ჩუჟულიან; ზორ უნინ, ახლობით არ არი. იქ ვინცხა წახვალ, დერდი გექნება, დაიძინებ, სიზმარ წახვ და გაკეთდები, იმგვარა გააკეთებ საქმეს.

### 10.4.

თამარა დედოფალი ერთ მეზერში ჩაფლეს, მარტოა დამარხული.

### 10.5.

ჩემი ბებია განუცხადებდა თამარას შესახებ: თამარა დოდოფალი ქოროხის ხეობაში ავაშენიათ სარწყავი არხები. ძალიან უყვარდა თამარა დოდოფალი ბებია და ხშირად თამარა დოდოფლის ეს არხების ამბავს ლაპარაკობდა.

### 10.6.

იშხან, ფარხალ და ოშვანქ ექლესიების გაკეთება თამარ მეფესთან ძნელი არ იყო, მაგრამ სარფიეთში აშენებული წყლის არხი მეფე თამარას ბიუჯეტი შეირყა. ამ უბანი ფარხალის ღელეს ნაპირზე გზას გავლით ძალიან მაღლას ჩანს. გარშემო მთიანი, ვინრო მიწები ბაბილის ვენახს ბალებ გავს. ფერდობებზე ქვის კედელი გაკეთებულია და ამ ბალებში ფერმები კეთდებოდა. ამ უბანში წყალი მოტანის გულისთვინ თამარა იძულებული იქნება თმის ჩაშლას, თმის ძვირფასი სამკაულებები გაყიდავს ამ წყლის არხის გამო. ამ წყლის არხს ძალიან ციცაბო კლდეს ჩამოტანს. ეს წყლის არხი ადამიანები ახლაც კიდევ აღფრთოვანებულა. თამარას ამის გამო შემდეგ ზოგი სოფლელი მას სიყვარულს ავუსხენენ და თამარას ქორნილს შესთავაზეს. თამარა გაბრაზდება და სოფლელებს წყევლის.

სოფლელები და გარემო სოფლელები ეს წყევლას ვერ მოშორდებიან და ყველა ზაფხულზე გაკეთებული ბალის კედლები ზამთარში მთლიანად დაინგრევა. ეს დანგრევის ამბავი ახლაც გრძელდება... ამ ამბავის გამო კარგი კედლის გამკეთელი ოსტატები არიან.

### 10.7.

ორი ქვეყანა და ორი სამეფო არსებობდა. ამ ქვეყნების ერთის მეფე იყო თამარ მეფე (თამარ დოდოფალი). თამარ მეფე ძალიან ლამაზი და ძლიერი იყო. მიორე ქვეყნის მეფეს თამარ მეფე ძალიან შუუყვარდება და ეს მიორე ქვეყნის მეფე თამარ მეფეს ცოლად მოყვანა უნდა, მაგრამ თამარ მეფე წინააღმდეგი იყო. ამის გამო ეს მეფე თამარ მეფეს გამაცხადა ომი, მაგრამ ომი წააგებს. თამარ მეფეს არმია გაუმარჯვებს. ამ ომის შემდეგ მიორე მეფე მივა დევნილობაში.

## 10.8.

### ჰაზრეთი ალი და თამარა

ჰაზრეთი ალი ქალაქ მედინაში და თამარა ბერთაში. თამარა ააშენა ციხე. ესენი სამი ძმები იყვნენ: თარიქი ზენგი, თომარი ზენგი, თამარი ზენგი. თარიქი ზენგი – ფორთას მეფე, თომარი – შავშეთის მეფე და თამარა ბერთას მეფე იყო.

ჰაზრეთი ალი კან ციხეში წავა. კან ციხეში ყოფილი მეფე წმინდა ალის შეეკითხვა, როგორ ვიბრძოლოთ და როგორი აქვს ხმალი. ჰაზრეთი ალიმ უპასუხა:

– მე ვარ დიდი მეომარი და ჩემი ხმალი სამოცდაათი მეტრი არის“.

ჰაზრეთი ალი თამარას წერილი გაგზავნებს. წერილში წერს, რომ იქ თუ მოვალ, ომის შემდეგ მაჰმადიანი იქნებით, თუ ნებით იქნებით?

თამარა წერილს უპასუხა:

– ქალაქი მედინა სადაა, არტანუჯი-გევერნიკი სადაო! ფეხით ექვსი თვის საგზაო.

ჰაზრეთ ალი ეს წერილი ეიღებს, რომ ცხენზე დაჟდება და მივა თამარასთან. ჰაზრეთი ალის რომ ხედავს თამარა, ტუჩები აფეთქდება და სისხლის დენა ყბის წვერიდან.

ამის შემდეგ თამარა ლებულობს მუსულმანობას.

## 10.9.

ჩვენ სოფელს ასლამდე ერთი ღელე არის. იმ ღელესთან ქედი არის. იმ ქედის სამხრეთშიდები ქვა დებარეობს. ამ ქვა ადამიანს გავს და ამ ქვის ადამიანს ხელში ორი მეტრი მრგვალი თევში იჭირავს.

თამარას (თამარ მეფეს) ეკლესიას გაკეთებისთვის სამი მდინარეებიდან ეკლესიას ქვები ჩამოტანეს.

ქვები გამოზიდვის დროს ეკლესიას ზოგიერთი ქვა მოპარეს ან დამალეს. ეკლესიას ოსტატი მშენებლობა დაასრულა, რომ ზოგიერთი ქვები არ არსებობს. ოსტატმა ძალიან გაბრაზდა და ამ მუშებს ეჩხუბება. ამის შემდეგ შეკვეთით ქვების პოვნისთვის გაგზავნის.

მუშები მიდიან გზაზე. ეს ქვა ძალიან კარგად მოჭრილი და იშვიათი იყო. ეს დამალული და მოპარული ქვასთან მივლენ მუშები, რომ გზაში შეხდება გველშაპი.

თამარა იქ მუშებს საჭმელი მუუტანს და ხედავს გველშაპს; ძალიან შეეშინდება, ღმერთს თხოვს, რომ ქვა გაეხდეს; ებნევა და ქვა ხდება.

სოფლის შესავალში არსებული ქვა თამარა არის.

## 10.10.

ობიზიდან ჩამოდის გალავან ოსტატი თავის მონაფის სანახავად, რომ როგორ მიმდინარეობს ფორთას ეკლესიას საამშენებლობა. ფორთას ეკლესიას რომ ხედავს ასე ლამაზი, დიდი და ცოტა დროში გაკეთებულია, ძალიან ეჭვიანობს და იმ წუთში მოკდება. ოსტატი გალავან სადაც მოკდება, იქაც დამარხავენ. იმ ადგილს ამბობენ ჯერ კიდევ გალავანს.

გალავან ოსტატი ამბობს, რომ:

მე ვიცხოვრე სამი ათასი წელი,  
ჩემი შვილი იცხოვრა ათასი წელი;  
თუ ვიცოდი, რომ სიკვდილი არებობს,  
არ დააყენებდი ქვას ქვაზე.

## მანვილსიტყვაობა

1.

ნასრეთი ხოჯამა მეგემ ლოცულობს ხის ძირში; ხოჯამა ლოცულობს, ხის წვერშიც კაცია, ვერ ხედავს. რომ გაათავა ლოცვა, ანია ხელეები:

– ღმერთო, ჩემი ლოცვა ყაბული ქენიო!

ეძახის, ხის წვერში რო კაცია:

– არ ვყაბულობო!

– ღმერთო, ჩემი გუნაები ყაბული ქენიო!

– არ ვყაბულობო!

ხოჯას გონია, ციდან მეძახისო. უთხრა:

– არ ყაბულობ და ზათი აბდესუფლებელი ვლოცულობდიო!

2.

ნასრეთინ ხოჯას მანონი და ნიორი ჭამვა მეტი ნდომებია. ერთ დღეს მანონი იყო, ნიორი არ იყო; ერთ დღეს ნიორი იყო, მანონი არ იყო; ერთ დღესაც ორივენი იყო, ნესრეთი ხოჯა არ იყო.

3.

ნასრეთინ ხოჯა ღარჭებ აკითხავს.

– ხოჯავო, – უთხრეს, – ბაქლავა მუაო, ბაქლავა!

– მე რა მჭირიაო?!

– ხოჯა, შენ სახლში მუა!

– შენ რა გჭირიაო?!

4.

ხოჯა მივა, მეგემ, უყვარს ერთი გოგო.

გოგოს მამამ ეიყვანოს'და ყურბანი, ხარი.

ხოჯამ უთხრა:

– ფადიმე, შენი ყურბანი ვიქნებო!

გოგომა უთხრა:

– გაცოცხლოს, ნლეულ ხარი დეგვეკლა'ნაო!

5.

ნასრეთინ ხოჯას მეოთხე ქალი მუუყვანია. არ მოწონებია. დილას ქალი ამდგარა, უთქმია:

– ხოჯავ, ვის დევენახვო?

– მე არ დემენხვო და, ვისაც გინდა, დევენახვო!

6.

ხოჯამ მოზობლიდან ქვაბი ითხოვა. მიცემისან პატინა ქვაბიც მუუცემია. მოზობელმა უთხრა:

– ხოჯავო, ერთი ქვაბი მოგეციო, შენ ორი ქვაბი მომეციო?

ხოჯამ უთხრა:

– შენმა ქვაბმა დასვაო.

მივიდა კიდე, მოზობელმა დიდი ქვაბი მიცა. ხოჯამ არ მუუტანა. მოზობელი მივიდა და უთხრა:

– ხოჯავო, ჩემი ქვაბი მომიტანეო!

– შენი ქვაბი მოკდაო.

– ქვაბი მოკდება თუო?!

– დასმა რომ დეიჯერეო, მოკდენას რატომ არ ჯერობო?!

7.

ნასრეთინ ხოჯამა ეზან კითხულობს, ჰემდა ზორ მირბის შეირ.

– რატომ ასე იჯებო?

იძახის ქი:

– შეეთანებო ეზანი გეიგონებენო, შორ ნავლენო და იმ ბარზე მოვრბო.

8.

ნასრეთინ ხოჯას სახლი დუუცლიან, მოუპარნიან, თელი რამე წეუღიან, სახში შიჩ არაფერი დუუგდიან, ქურდმა რამ არ გუუგდია. ახლა ნასულა, სახში რამ არ არი.

– რასოე ასე იჯებო? – უთქმიან.

ნესრეთი ხოჯას უთქმია:

– ამასო, ქურდსავო, ყაბაათი არ მიაქ ქვეითო.

9.

ნასრეთი ხოჯა მოზობელთან წევდა დადგომაზე. საჭმელი არ მიართვა. უთქმია:

– საჭმელი რა იქნაო?

– ქვაბი დავადგი, ადულდეს'ნაო.

– რა'ნა ადულდეს, ცეხლი არააო.

– ცეცხლი გაღმა ეკიდებო.

– იქიდან აქ ქვაბი ადულდება თუო?

– ადულდებაო, – მოზობელმა, – არ'ნა მოგართვა, იმისთინო!

10.

ქლასქურ მანქანას ჭვირთი წუუღია. ერთ დედაბერ უთქმია:

– ამდონი ჭვირთი ამეტანა, მომრეველი იქნებო! – და მოლი დუუღვია, მანქანამა ჭამოსო.

უცადა, უცადა, ქი მანქანამ არ ჭამს. დედაბერი ჭკვიდან ნოსხანი ყოფილა.

11.

გურჯისტანმა და ამერიკამ სავაში იჯებიან. გურჯებმა იძახიან, ილლე'ნა მევეკოთო. გურჯებსაც ბომბა დეელიენ.

– მევეკოთ, მევეკოთ, იძახითო და რა ...'ნა ვესროლოთო?

ამერიკასაც უთქმია:

– ჩვენ სავამი გავაგდოთო; ამეებსაო რა ... ბომბი ქონიათო!  
მუუგიან ჩვენებს.

12.

ერთი კაცი დიდ კაცთან მივიდა:

– საქმე მინდაო!

იმასაც არ უნდა მიცემა.

– მე შენ ერთ რაცხა გაგკითხო, თუ გააგენი, გამუშაო'ნაო.

თირენები დუუნახვებია, თითით უჩვენებს:

– ესენი რა არივო?

ე კაცსაც უთქმია:

– თირენებია, რა არიო!

– ვერ გააგენივო! თირენიაო, მაგრამო რისი თირენებიაო, ჭვირთისა თუ ხალხი ნიკავს, ისა თუ ქომურის თირენებიაო. არ'ნა ეგილო საქმეშიო!

– თამამო, – კაც უთქმია, წესულა, შამოტრიალებულა, უთქმია:

– მე შენ რაცხა'ნა გეგკითხო, თუ ვერ გააგენი, ემილო'ნაო.

– გამკითხეო.

– ქალების ორი ფეხი შიანში რომ არი, რა არიო?

კაცსაც უთქმია:

– მ...ი, რა'ნა იყოსო.

იმასაც უთქმია რო, მ...იო, მაგრამ დისო, დედისო თუ ებესიო?

კაც უთქმია:

– თამამ, ეგილო'ნაო, გააგენიო!

13.

მეგემ ერთი ხოჯამა ვააზი იჯება, იძახის:

– ქალებს არ ურტყათ, ქალი რომ სახლში არ იყოს, სახლ ნეში არ ექნებაო!

ერთმა კაცმა უთხრა, რო:

– თლათ რომ ჩენიდან ლაპარიკობ, ერთ ქალებიდანაც ილაპარიკეო!

ხოჯამაც უთხრა, რო:

– პანა მიეცადევიო, იმათაც დედები'ნა დუუტ...თო!

14.

ერთ კაც ძროხა ყოლია იმსო ავადეული, იმსო ავადეული, რომ უთქმია:

– ღმერთო, ე ძროხა თუ გემიკეთავ, ონბეშგუნ'ნა ვიმარხვო!

ახორში ჩესულა დილაა, ძროხა გაკეთებულა. ონბეშგუნ იმარხა. ონალთი-გუნ ჩედა, ძროხა გაცვეთილა.

– მე ეს არ დავთლი, ღმერთო, ძროხა ყურბანი'ნა დავთვალო, ბედიავა ვი-მარხევიო, რემეზანში'ნა ჩამავვარდეო, ძროხას ყურბანს'ნა დავათვალო!

15.

მეგემ ერთი კაცი არაბათი მიდის შორ. პოლისმა დააყენა გზაზე, შუუხედა მეგემ, თეელი მეტი კაა დაწერილებია. პოლისმა უთხრა:



– მე შენ ბევრი ფარა მოგცენაო. რა'ნა ქნა ე ფულიო?“

– მე ელიეთი'ნა ევლოო.

– რაივო? ელიეთი თუ არ გაქ, რაის არაბააო?

ქალმა უთხრა:

– ამას ყურზე არ დუუხედოო, ნასმავიაო, რახი უსმიაო.

პოლისი შეიშალა. უკნიდანაც ერთმა ქალმა წამოყო თავი:

– მე თქვენ გითხარით, მოპარილი მანქანით არ წვედეთო!

შეიშალა პოლისი.

მეორემაც თავი წამოყო და იკითხა:

– სინორი არ გედევიარეთ თუო?

პოლისები თლა შეიშალა...

## 16.

ერთი ქალი არაბაში ჩამჯდარა, ღარჭი ანოვს, ღარჭმაც წოვს. უძახის ღარჭს:

– მონოვე, მონოვე, შენ თუ არა, შოფერმა'ნა მონოვოსო!.. – უთხრა ექვს-ათ პირ.

შოფერმაც უთხრა რო:

– თუ'ნა მოვწოვო, მოვწოვო, ზათე მოვედითო!

## 17.

ერთი კაცი მივა, თლათ ფული ითხოვს, აართმევს, არ აძლევს უკან. მეგემ ერთი დღე დაჭირდა, კიდე იმასთან მივა. ქალმა უძახის:

– არ ნახვიდუო, ართმულეები არ მიეციო, სხვა არ მოგცემს ფულიო!

კაცმა:

– ილლა მომცემსო!

ქალმა:

– არ მოგცემსო!

ეს კაცი წევდა და თხოვს. იმა არ აძლევს. ქალმაც უსმენს უჩუმარაჲ. მეგემ კაცმა უთხრა:

– ხელი-ფეხზე გაკოცებო, ეს ფული მომეციო!

მიცა. წევდა კაცმა სახში. მეგემ ქალს უთხრა:

– თქვი, არ მომცემდა, მომცაო!

ქალმაც უთხრა:

– არ შეგრცხვავო? ასე უთხარი, ხელი-ფეხზე გაკოცებო და იმითვინ მოგცაო!

კაცმაც უთხრა:

– მე ხელი-ფეხზე გაკოცო'ნა უთხარ, იმანო ტ...ზე მაკოცოს, ეს ფული კიდე არ'ნა მივცეო!

## 18.

ერთი ქალი მუცლიანი, ორსული, არაბაში ჩამჯდარა. შოფერსაც მეგემ არაბა იზლი მიყავს. ქალმა უძახის:

– ჭო, ნელა ნაჲ, შოფერო, ჩემთინ არა, ამისთინო! – მუცელზე იდებს ხელს.

სამი-ოთხი პირ, მეგემ, ასე უთხრა. ქალ შინაჲ უჩანს, რომენ უთხრა, „ჩემთინ არა, ამისთინო“; შოფერმაც უთხრა:

– შენ თავი მეიკრიფე ჩემთინ არა, ამისთინო! – თითით შარვალზე ანიშნა.

19.

ერთ სოფელში თუთუნი იჯებოდა. იმსოე წვიმა უნდა თუთუნს, რო ხმება, თუთუნები ხმება. მეგემ ერთმა ქალმა თქვა, რო:

– ძიავო, იმსოე ყური მეფხანებაო, რო წვიმის ყურიო.

იმსოე განვიმდა, იმსოე განვიმდა, თლათ თუთუნები დატება.

გამოლმიდან კაცი უძახის:

– ფადიმეე, შენ ყურებში ჩაგაჯვი! თქვი, განვიმდიო და თუთუნები დატებეო!

20.

ორი კაცი – თემელი და დურსუნი – სახლი აკეთებენ ამხანაგებმა. თემელმა ყურზე ყალემი ჩამეიდება. მეგემ დურსუნს ხელიდან თულულა გუფვარდა და თემელს ყური მონყდა. დურსუნმა ნახა ამის ყური.

– ა, თემელ, შენი ყურიო, – უთხრა.

– მაგ ჩემი ყური არაა, ჩემი ყურს ყალემი ქონდაო!

21.

რიზელი თემელი ყოფილა. დაკიდონ'ნა, თოკვი'და გამუზბან, დაყლარჯო'ნდა, სკამი გამულონ'ნა ქვეიდან.

თემელის უთხრეს, ქი:

– თემელვო, რამ სათქმელი გაქვან ჩვენზეო?

– ეს ჩემზე თებრზე იქნავსო, სხუა არ ვიზამ ამ საქმესო!

22.

ქლასქურ კაცები ნასულან გეიგი მოკლისთინ. მუუკლიან. შეხედენ, ფებებზე ქი ნალები ქონებია დაბეგილი.

– კაცო, ეს ვირიავო, ნალები დაბეგილი აქო! – ერთს უთქვამს.

– კაცოვო, მუსამა დაბეგა და ღმერთმა ვერ დაბეგავდაო?

ედა, ვირი უჭმიან. ამისთინ ვირიმჭამელ უძახიან.

23.

დათვ ესროლეს, დაჭრილი გახდა. მაშინ კუ შეხდა.

– ჯო, რა გექნა, ფებზე სისხლი გაქო?

– ავჯებმა დამმართა ეს საქმეო.

კუმ უთხრა:

– ჩვენი ბიჭები იყნენ სანადიროთ, იმათ ხო არ დაგმართეს მაგრეო?

დათვი გაბლუზდა.

– ე გაჭრილ ავერ არ მიზამს, მაგრამ შენმა სიტყვამ მომკლა ზათინო!

24.

სტალინი არხადაშების ერთათ ოდაში იყო. არხადაშებს უთქვამთ, დემოკრატია ვაიაო. სტალინი გაგულიანებულა და უთქვამია:

– მომიყვანეთ ერთი ქათამიო!

ნასულან და მუუყვანიან. ცოცხალი ქათამი გუუბუმპლია, ოდაში გუუგდია. ქათამს უჭყავლია, უჭყავლია, ბახტი, გასაქცეველი ჟერები არ ალი და ოდას ქოშეში დახუზულა. სტალინსა თითო-თითო სიმინდი დუუგდია, ერთი ჭაჭვიც მისი

სკამის აარზე დუუყურია. ქათამი თითო-თითო წაყოლია სიმინდ, მის ფეხებში მისულა, დანოლილა, იშტე.

– ინსენებიც ასე არიან: გააუმპლე, გააუმპლე, ორი მარცვალი დუუდვე, კი-ლომ ფეხებში მეგეხვევიანო!

ხალხი ერთნაირია, გალუმპე, გალუმპე, ორი თანა სიმინდი მიეცი, წამოგყვება!

25.

მაჭახლელს ბეთმეზი უუღია, გუდაში უუვსია, მიაქ: „ბლუყ, „ბლუყ“, – იძა-ხის ბეთმეზი.

– შენაო, მე მიმაქ და ბლავი ვარო? – გაბღეზდა, გუუყარა დანა, გუუფინა ბეთმეზი.

შაშემა დეეხვია: „ჭუხ“, „ჭუხო...“

– შენ ჭუხ და მე არაო?

გამუუსხრიკა. გაფრინდა შაშევი. თავი ვერ დეეკავა და მაჭახლელი გუუფრ-ინდა ხრამში... იქ დუუფლიან.

26.

გველია, იქა მარილი დათესეს. გათოვდა, გაყინა. მოვიდენ, მოვიდენ ნახეს:

– ოო, ამოსულაო! ნავიდეთ, თორბა-მორბა მოვტანოთ, წველოთო!


იმათ მოსლამდე მზე ამოვდა, გააშრო ყინვა.

– რაცხამ შიგვიჭამაო!.. აჯაბა, რა ჭამსო?

გაბრაზდენ. დუუცვიან. მკალი მოსულა, დააჟდა ერთ ძმას შუბლზე.

– აგერააო, – თითით აჩვენა ძმას, ნიშაეთი უქნია.

მეორემ დააჩუხა: „ბაქ!“ – კალი მოკლა, ძმაიც... მისი ძმა მუუკლია!..



ექსპედიციის წევრები, 2014 წ.

## საბავშვო ფოლკლორი

### 1. სააკვნო

1.1.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინოს აკვანაში!  
ჩემი ზამეთი ნანაჲ,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს ჩემი გააურებმა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
ნენეჲ არა, ბაბოჲ არა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს აკვანაში.  
ნანი, ნანი, ნანაჲ!..

1.2.

ნანი, ნანი, ნანაჲდა!  
დეიძინოს ჩემი ლარჭი,  
გეიზარდოს ნენეთ,  
ბაბაჲთ, დიდი ნენეთ!  
დედე'ნა მოვდეს,  
შექერი'ნა მუუტანოს,  
დიდი დედე'ნა მოვდეს,  
შექერი'ნა მუუტანოს!  
გეიზარდოს'ნა ჩემი ლარჭი,  
ღმერთმა მიცოცხლოს, გამჩენელმა!  
ნანი, ნანი, ნანაჲდა!

1.3.

ნანი, ნანი, ნანაჲ.  
დეიძინოს ჩემი გააურმა,  
ნანი, ნანი, ნანაჲ!  
დეიძინოს, გეიზდესა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ.  
გეიზდეს და კაცი გახდესა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ!

1.4.

დეიძინოს და დეიძინოს,  
გეიზდეს ჩემი ბიჭი,

დიდი კაცი გახდეს!  
დედაზე, მამაზე  
კარგი შვილი იყოს!

1.5.

ნანი, ნანი, ნანაჲ!..  
დეიძინე, მალ ადექი,  
კაჲ გეიზარდე!  
ნანი, ნანი, ნანაჲ!..

1.6.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინოს ჩემი ლარჭი!  
ტურამ არ შეგჭამოს!..  
კიდენ დაგაქორნილავს  
შენი ბაბაჲ.

1.7.

#### ნანდალიკო

ნანი, ნანი, ნანდალიკო,  
დეიძინე და გეიზდიო!  
შენი ნენეჲ ჩვენსას იყო.  
შენ გაქებდა, მართალ იყო.  
ნანი, ნანი, ნანდალიკო!..

1.8.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ნანი, ნანი, აკვანსა!  
ნანი, ნანი, ნანაჲ!

1.9.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
მოვა შენი ნენეჲ!..

1.10.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დეიძინე კაკანაჲ!..

1.11.  
ნანი, კუკულო, ნანი,  
დეიძინე, წევდეთ ყანაში!

ტურამა შეჭამოს შენი ანაჲ!..

1.12.  
ნანი, ნანი, ნანაჲ,

1.13.  
ნანი, ნანი, ნანასა,  
თავვი მიაქ კატასა.

## 2. სალალო და შესაქცევარი

2.1.  
წი, წი, წიპოლია,  
საქათმეში ქორწილია;  
არ მიჭმია, არ მისმია,  
გულუ, გულუ, გულუ...

2.2.  
**თამაში**  
ცერაჲ თითი: – მშიაო!  
საჩვენებელი თითი: – რა ვჭამოთო?  
შუანაჲ თითი: – ღმერთის მოცემულიო!  
არათითი: – მევეპაროთო, – უთქმია.  
ნეკა: – ვეტყვიო!..

## 3. ლექსები ფრინველებსა და ცხოველებზე

3.1.  
მამალაჲ და მამალაჲ,  
ჩემი დიდი მამალაჲ!  
სამი ქალი ქონდა.  
ჩემი დიდი მამალაჲ  
ძალღმა წეიყვანა,  
ბაღნები მარტო დარჩა.  
მამალაჲ და მამალაჲ,  
ჩემი დიდი მამალაჲ!..

ქათამი: – ხარმა დახნა.  
მელა: – ხარი ჰად არი?  
ქათამი: – დანამ დაკლა.  
მელა: – დანა ჰად არი?  
ქათამი: – უსთამ წეილო.  
მელა: – უსთა ჰად არი?  
ქათამი: – უსთამ მოკტა.  
მელა: – ტოტები მოქხთა!

3.2.  
ქათამი: – ყი, ყი, ყი!..  
მელა: – ქათამო, ჰა ყივი?  
ქათამი: – ჯინჭარში.  
მელა: – შენი კაცი ჰად არი?  
ქათამი: – ხიდზე გეიარა.  
მელა: – ხიდი ჰად არი?  
ქათამი: – წყალმა წეილო.  
მელა: – წყალი ჰად არი?  
ქათამი: – მიწამ დააშრო.  
მელა: – მიწა ჰად არი?

3.3.  
მამალი: – ყი, ყი, ყი!..  
მელა: – მამალო, ჰა ყივი?  
მამალი: – ჯინჭარში.  
მელა: – რა გაცვია?  
მამალი: – ბაბუჩი.  
მელა: – ვინ იგილო?  
მამალი: – ალამ.  
მელა: – ალა ჰად არი?  
მამალი: – ხიდზე გეიარა.  
მელა: – ხიდი ჰად არი?  
მამალი: – წყალმა წეილო.

მელა: – წყალი ჰად არი?  
მამალი: – ძროხამ შესვა.  
მელა: – ძროხა ჰად არი?  
მამალი: – დანამ დაკლა.  
მელა: – დანა ჰად არი?  
მამალი: – უსთამ წეილო.  
მელა: – უსთა ჰად არი?  
მამალი: – უსთამ მოკტა.  
მელა: – იმის ჭლიკები მოგხთა!

### 3.4.

– შავმა კატამ ჰად ნევედაო?  
– ლელეში ჩევედა.  
– ლელე ჰად არიო?  
– ძროხამ მოსვაო.  
– ძროხა ჰად არიო?  
– ცაში ევედაო.  
– ცამა რა იქნაო?

– ცულმა მოჭრაო.  
– ცული ჰად არიო?  
– დიმიკარქაო, ვერ ვნახულობო!

### 3.5.

მე შენ რატომ დამეყვე,  
ნადი, ჩემო სამურამ!  
ხორც მოგიგდებ ძვალიანს,  
ჭამა-ჭამით ნადი!

### 3.6.

...იხვსა, ბატსა და ქათამსა  
კი გაეკარი კიბილი;  
ერთიც უკან მევიხედე,  
მომდევეს ბატონიშვილი;  
თოფიც მაგრათ მოგვიშხუნა,  
ზედაც დავასხი ტვინი.  
ვოიორერა, ვოიდელა და ვარალააა...

## 4. ცოცხალი ტყუილი

### 4.1.

ტაროსმა მეიშავებდა,  
ზიურში ნადი ვქენეო;  
სკიპუნტური მოვხარშე,  
ერთ თორბით იოდი ვქენეო;  
თავგი კუდი ჩავალბე,  
ჩაროლის ღვედი ვქენეო;  
უკანა დანარჩენები  
მოვხრაკე, წვადი ვქენეო;  
ჩემი დიდი მუცელი  
საფქვილეს კოდი ვქენეო.

### 4.2.

ბათუმ თელი გავაბი,  
ხოფადან ღესა ვქენეო;  
ნამოვდე ნალინები,  
დენიზი სუსა ვქენეო;  
ცხვარი დავკალ ფეხიდან,  
ყურები ქესა ვქენეო;  
მე გურჯები ზოვლ მიყვარს,  
ჰერალდა ყეზა ვქენეო.  
მათი გულობაა გადავვარდები!..

### 4.3.

ტილების ასკერი  
შემეხვია უბეში;  
ჭერიდან გადმოვადგე,

მოკვალ მათი ბინბაში.

ენა ფურცლად მომექცა  
ლამაზების ქებაში;  
სკამზე ცეცხლი დავანთე,  
მიველ, დავჯექ სობაში.

### 4.4.

ჩემ დედეს დედეა მეა  
მიყვარდა ძმასავენე;  
ბაბოს დაბადვა მახსოვს  
დღევანდელ დღესავენე;  
უნინ ქი ღარჭი ვიყავ,  
წყალ ვსვემდი დოსავენე;  
ახლა რომ კაცი გავხდი,  
თლათ ვარა ხრკოსავენე.

### 4.5.

ოფოფდა ამან-ამან,  
ღენგა, დეოლანძა გულმა!  
კუკული ვერ გამეღო  
ბიბის ვენახში ბალმა.  
რა ეზიეთით გახმა  
წინ ხეჭეჭურა სხალმა!  
ავჯობაზე ნაველი,  
ნადირი გახდა შველმა!  
ფერდები შემამტრია,  
ტრინკი მომკიდა წყილმა!

აშა ესთიაროლი  
დუნა დურდუქუე ელმა...

4.6.

დეფვიცავ, ტყვილ არ ვიტყვი

ჭადი ქვილის თორბაზეო:  
სკამზე ცეცხლი დავანთე,  
მიველ, დავჯედ სობაზეო;  
იმხრევეში თავი ჩავეყ,  
ქუნქულასი ბამბაზეო.

5. საღაღობო

5.1.

ერთმა კაცმა ქორნილი ქნა  
ფეხდამწვარი წინილითა;  
თაგემა პურს ეუბნება,  
კატა კტება სიცილისგან.

ჩემი გოგოს ავწევ,  
დაგამტრევ, გაგაგ ზავნ!  
შინ წეხვალ!  
ვოო, ხახა, ჩიტვი-ბუტი!..

5.2.

– ვოო, ხახა, ჩიტვი-ბუტი,  
ჩემი გოგო მეტი ბეჭი.  
– შენი გოგოს ავწევ,  
ძალღებიდანაც გევიარ,  
ცხენზე დავუდები, წევალ!  
– შენ ჩემი გოგოს ვერ აწევ,  
ძალღებიდანაც ვერ გევიარ,  
ძალღები შიგიჭამენ!  
ცხენზეც ვერ დავუდები,  
წრის გიგიქნევს!  
მეც დიგიკავებ.

5.3.


ერთმა თქვა:  
– ვინ დამალა?  
– პატინამა!  
– მიცხოს კოტინამა!

5.4.

ხვალ არაფა, ზეგ ბაჲრამი,  
ჭამე კატის აირანი!

5.5.

ქათამი ჭრიახ-ჭრიახ,  
ნიფხავი ხელით მიაქ.



ფორთის სამონასტრო კომპლექსი





პროფესორები – თინა შიოშვილი და მამია ფაღავეა  
ყარაგოლის ეროვნულ პარკში, 2014 წ.



პროფესორი თინა შიოშვილი და ბსუ-ს დოქტორანტი მემედ-ალი ქესკინი  
ყარაგოლის ეროვნულ პარკში, 2014 წ.



ნაწილი მეხამე  
**უენიუენეი**  
**და**  
**ვანეანთეი**



## პრომის ლექს-სიმღერები

### 1. ნადური

1.1. მთქმელი ჰესიბე ალფაი (მამისეული გვარია მენთეში), 62 წლის, მცხოვრები დაბა მურღულში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 5 აგვისტოს დაბა მურღულში.

დაბ.: თ. შიოშვილი, „კლარჯული ხალხური მარგალიტები“. – უ. „ჭოროხი“, №6, ბათ., 2014, გვ. 70; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

1.2. მთქმელი ნურიე ილდირიმი, 54 წლის, მცხოვრები სოფ. ქართლაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქართლაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, „კლარჯული ხალხური მარგალიტები“. – უ. „ჭოროხი“, №6, ბათ., 2014, გვ. 70; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705;

1.3. მთქმელი ასიე ალფაი (ჩხეიძე), 60 წლის, მცხოვრები სოფ. მადენში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს სოფ. მადენში.

მთქმელის განმარტება: „– უნინ იყო, ნად იქმოდა მოყრილი გოგვები“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

#### ვარიანტი:

ა

მარწყვებმა თვალი ქნესა,

დღეს მაისის შვიდია.

გოგვები გაჩელტილან,

ე რა დიდი ნადია!

ახლა ნეგიყვან, ჰამა

ტადაჲ ჩემზე დიდია.

მთქმელი შერაფეთთინ თურანი (გოგიტიძე), 73 წლის, მცხოვრები სოფ. მადენში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს სოფ. მადენში.

მთქმელის განმარტება: „– მაისის შვიდზე შვიდი თუთა გადმოვარდება. შვიდ მაისის ნვიმა თმებზე კააა, გეეზდებაო. შვიდ მაისზე ზოგ რამიებ დავთესავთ“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“ – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 151.

1.4. მთქმელი ფატყუმე გორმიში (ჰაჯოლლი), 95 წლის, მცხოვრები სოფ. ერეგუნაში (ერენქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 30 ივლისს სოფ. ერეგუნაში (ერენქოი).

მთქმელის განმარტება: „– მღერინან ნადის დროს“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“ – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 152; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

1.5. მთქმელი ემო დურმში (შაქიროლლი), 61 წლის, მცხოვრები სოფ. ებრიკაში (ერენქოი). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 30 ივლისს სოფ. ებრიკაში (ერენქოი).

მთქმელის განმარტება: „– სიმინდის ნადი გვექონდენ და ჩვენი ემიაშვილი მოვიდა და ეს თქვა“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

1.6. მთქმელი ემრიე ეფენდოლლი, 62 წლის, მცხოვრები სოფ. ავანაში (ავჯილარი). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 4 აგვისტოს სოფ. ავანაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

1.7. მთქმელი სემაჰათ შექირი, 68 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. მურღულში (სირეთიე). კლარჯი მუჰაჯირების შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს, სოფ. მურღულში (სირეთიე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 705.

1.8. მთქმელი სინან დემირი, 60 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში (ქოჯაელი). კლარჯი მუჰაჯირების შთამომავალია. ჩაინერა სელჩუქ აქინმა (52 წლის) და გადმოგვცა 2013 წლის 10 ივლისს ქ. გოლჯუქში.

დაბ.: თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „ჩვენებურთა ხალხური მარგალიტები“ – ყ. „ჭოროხი“, №5, ბათ., 2013, გვ. 84; თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „მუჰაჯირთა ფოლკლორი“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. IX, ბათ., 2014, გვ. 156; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

1.9. მთქმელი მიერეე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში (ბარდახლი მაჰალე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში.

მთქმელის განმარტება: „– ნადში იტყოდენ, ყანის თოხნაში. ნადში გაიყოფიან, ერთი თერეფი „ჰეამოს“ იტყოდა, მეორე თერეფი სიტყვებ იტყოდა“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“ – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 153; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

### ვარიანტი:

ა

იაამო, ჰეამო,

ჰეამოლა, ჰეამო!

მთქმელი ემინე ოზგანი (ჭიპოლლი//ჭიპაშვილი), 75 წლის კლარჯი მუჰაჯირების შთამომავალია. მცხოვრები საქარიას პროვინციის საფანჯას რაიონის სოფ. ისტამბულდერეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს სოფ. ისტამბულდერეში.

1.10. მთქმელი აიშე შეიხოლლუ (თაიში), 74 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 31 ივლისს, სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი).

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 152; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

1.11. მთქმელი სემაჰათ შექირი, 68 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. მურლულში (სირეთი). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს სოფ. მურლულში (სირეთი).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

#### ვარიანტი:

ერა ზორ მომემშია,  
საჭმელი მომიტანე!..

მთქმელი ფატყუმე გორმიში (ჰაჯოლლი), 95 წლის, მცხოვრები სოფ. ერეგუნაში (ერენქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 30 ივლისს სოფ. ერეგუნაში (ერენქოი).

მთქმელის განმარტება: „ვიცოდით ნადები სიმინდის რჩევნაში, რთვიხან, მოთხრაზე, სამარგელში, პური მოთიბვაზე“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 153.

1.12. მთქმელი შაბან გუმანიძე, 79 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში. ჩაინერა მამია ფალავამ 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში.

1.13. მთქმელი შაბან გუმანიძე, 79 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში. ჩაინერა მამია ფალავამ 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში.

მთქმელის განმარტება: „ვიცინებდით, ვიმასხრებდით, რაცხა გინდებიან, ვიძახდით. თესვიხან ვიმღერებდით კაცები, ჩერგინხან ქალები იტყოდენ“.

ჩამწერის განმარტება: „ყანაში ნადი ორად იყოფოდა. ერთი „ვოჰოას“ იტყოდა, მეორე გარკვეულ ტექსტს ან ამგვარ ამოძახილებს“.

## 2. სამკალი

2.1. მთქმელი ჯვალად დილდარი (დილდაროლუ), 68 წლის „გარმონჯი“, მცხოვრები ქოჯალის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბალაბანში. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან მარადიდიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 12 ივლისს სოფ. ნუსრეთიში (თათარქოი).

მთქმელის განმარტება: „– სიმინდი გარჩევინან ვმღერობდით“.

დაბ.: თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „ჩვენებურთა ხალხური მარგალიტები“. – ჟ. „ჭოროხი“, №5, ბათ., 2013, გვ. 84; თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „მუჰაჯირთა ფოლკლორი“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. IX, ბათ., 2014, გვ. 156; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

2.2. მთქმელი ნაფეი ჩელიქი, 60 წლის, მცხოვრები ქოჯალის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბორჩხაში (ჰამიდიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს სოფ. ბორჩხაში (ჰამიდიე).

მთქმელის განმარტება: „– ნადში ვმღერობდით ღარჭობაში პური ჭრაში. ნადი იყო სიმინდი გარჩევანში, ყანი თოხნაში, თხილი კრეფაში, სიმინდი ტეხვაში, პური ჭრაში“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706.

2.3. მთქმელი ხატიჯე ილმაზი (ქესკინოლი), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი), გამოთხოვილია სოფ. დევსკელიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი). მთქმელმა სიმღერით შეასრულა ტექსტი.

მთქმელის განმარტება: „– პური ჭრაში მღეროდენ, ყანაში ნადი იყო“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 154-155; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 706-707.

2.4. მთქმელი სულთან ოზი (ძველი გვარია ჩაუშოლი), 80 წლის, მცხოვრები ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფ. ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიჰიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან ბორჩხიდან (გურბინიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 18 ივნისს სოფ. ქოჩბაირში.

მთქმელის განმარტება: „– უნინ იყო ხერტლის ნადი, სიმინდი ნადი – სიმინდი მარგლა, პური ჭრისა. უნინ საჩეჩელი იყო, მატყლი ჩეჩევიდით, კირისთავი იყო. „ხვალ ნადი მაქო, პური ჭრაში ნამოხვიდეთ ნათო“, – გოგუებ ასე ეტყოდენ. პურ მანგალით ვჭრიდით, ღელოგით ვჭრიდით, უმღერიან“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

2.5. მთქმელი ომერ დურუ, 75 წლის, მცხოვრები ქოჯალის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბორჩხაში (ჰამიდიე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს სოფ. ბორჩხაში (ჰამიდიე).

მთქმელის განმარტება: „– ნადებზე იმღერავდენ. ღარჭი ვიყავ, იქიდან მახსოვს“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

### ვარიანტები:

ა

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი ნაილ დემირელი (ბენდეროლლი), 74 წლის, „გარმონჯი“, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნიმეთიეში (ძველი სახელია მეყყიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან ცოცხოზიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 11 ივლისს სოფ. ნიმეთიეში (მეყყიე).

ბ

მოიდა პურის საქარი,  
თავზე გადაგაჭარი!

მთქმელი ჰაალით ჯებეჯი, 85 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუსრეთიეში (თათარქოი). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები, მთქმელის სიტყვით, „კატაფხიდან მოიდნენ, რუსი მოვდაო“. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 12 ივლისს სოფ. ნუსრეთიეში (თათარქოი).

მთქმელის განმარტება: „– ყანებში, პურის ჭრაში, სიმინდი მარგლაში ნადვიქმოდით. პური ჭრაში ვმღერობდით“.

ბ

მოვდა პურის საქარი,  
თავზე გადამაჭარი!

მთქმელი მელაათ ქიბარი, 76 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს ერთ-ერთ უბანში – ბიჩქიდერე მაჰალეში. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან მარადიდიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს, სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერე მაჰალეში.

2.6. მთქმელი ნაილ დემირელი (ბენდეროლლი), 74 წლის, „გარმონჯი“, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნიმეთიეში (ძველი სახელია მეყყიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან ცოცხოზიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 11 ივლისს სოფ. ნიმეთიეში (მეყყიე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

2.7. მთქმელი ბეიჰან აქინი (იმაოლლი), 63 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნიმეთიეში (ძველი სახელია მეყყიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 11 ივლისს სოფ. ნიმეთიეში (მეყყიე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

2.8. მთქმელი მელაათ ქიზარი, 76 წლის, მცხოვრები საქარის პროვინციის გეივს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერე მაჰალეში. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან მარადიდდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერე მაჰალეში.

დაბ.: თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „ჩვენებურთა ხალხური მარგალიტები“. – ჟ. „ჭოროხი“, №5, ბათ., 2013, გვ. 84; თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „მუჰაჯირთა ფოლკლორი“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. IX, ბათ., 2014, გვ. 156; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

2.9. მთქმელი სულეიმან ბაიდინი (კამკამიძე), 80 წლის, მცხოვრები სოფ. ბაშქოში (თავისოფელი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 1 აგვისტოს სოფ. ბაშქოში (თავისოფელი).

მთქმელს ლექსი დასწავლილი აქვს მამისაგან.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 154; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

### 3. წველისა

3.1. მთქმელი ემინე ოზთურქი (სალიროლი). მამისეული გვარია მელიქოლი, 46 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 707.

3.2. მთქმელი ვეფსიე ილდიზი (ძველი გვარია ჰაჯოლი, მამისეული გვარია ბაირამოლი), 86 წლის, მცხოვრები სოფ. ერეგუნაში (ერენქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 6 აგვისტოს სოფ. ერეგუნაში (ერენქოი).

მთქმელის განმარტება: „– ამ სიტყვებით მუუფერებდით ძროხას“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

#### ვარიანტი:

ჰა, ნინი, ჰა, ნინი,  
ჭლიკი არ დამარტყა,  
მოვნელო!..

მთქმელი ფატყუმე გორმიში (ჰაჯოლი), 95 წლის, მცხოვრები სოფ. ერეგუნაში (ერენქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 30 ივლისს სოფ. ერეგუნაში (ერენქოი).



მთქმელის განმარტება: „– ძროხას მიუმღერებდი“.

დაბ.: თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 153.

3.3. მთქმელი საბრიე გურსული (პავლიაშვილი), 65 წლის, მცხოვრები სოფ. ფეთეჟოში (გურბინი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 1 აგვისტოს, სოფ. ფეთეჟოში (გურბინი).

მთქმელის განმარტება: „– ძროხას მუუმღერავ“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

3.4. მთქმელი სულთან ოზი (ძველი გვარია ჩაუშოდლი), 80 წლის, მცხოვრები ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფ. ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიჭიე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან ბორჩხადან (გურბინიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 18 ივლისს სოფ. ქოჩბაირში (საალიჭიე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.



სოფ. ქლასკური, 2013 წ.

პროფესორები – მაია ბარამიძე და მაგია ფაღავა  
ქლასკურელ შენოლ თაბანან

## პატრიოტული ლირიკა

1. ავტორ-მთქმელი ნიზათ ოზთურქი, 66 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ზამთრობით ცხოვრობს ქ. სტამბულში. ძველი გვარია თიკნაძე. იმის დასტურად, რომ ეს ლექსი მისი გამოთქმულია, გვითხრა: „ჩემი დაწყობილი ვითხრა, ამის დამწყობელი მე ვარ“. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დაბ.: თ. შიოშვილი, „კლარჯული ხალხური მარგალიტები“. – ყ. „ჭოროხი“, №6, ბათ., 2014, გვ. 73; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

### ვარიანტი:

გალმა-გამოდმა სოფელი  
ჭოროხმა გამყარენ შუაში...

მთქმელი ემინე ოზთურქი (სალიროლლი), 45 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 5 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

მთქმელმა ლექსი ბოლომდე ვერ გაიხსენა.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

2. ავტორ-მთქმელი ნიზათ ოზთურქი, 66 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ზამთრობით ცხოვრობს ქ. სტამბულში. ძველი გვარია თიკნაძე. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დაბ.: თ. შიოშვილი, „კლარჯული ხალხური მარგალიტები“. ყ. „ჭოროხი“, №6, ბათ., 2014, გვ. 73; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

3. მთქმელი ჰაჯერ ილმაზთურქი (შამილოლლი), 80 წლის, მცხოვრები სოფ. დევსქელში (ქაინარჯა). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 2 სექტემბერს სოფ. დევსქელში (ქაინარჯა).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

4. მთქმელი აიშე გორმეზი (ჰელიმოლლი), 85 წლის, მცხოვრები სოფ. ჯივანში (ჯვანი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 29 ივლისს სოფ. ჯივანში (ჯვანი).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

## ფილოსოფიური ლირიკა

1. მთქმელი ალთუნ თაბანი, მამისეული გვარია შამლოღლი, 84 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში (არალიქი), წინწკალაშვილების უბანში. გამოთხოვილია მურღულიდან. მეტსახელად ეძახიან „ოქრო ნენეს“. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 2 აგვისტოს სოფ. ქლასკურში (არალიქი).

დაბ.: თინა შიოშვილი, „კლარჯული ხალხური მარგალიტები“. – ჟ. „ჭოროხი“, №6, ბათ., 2014, გვ. 72; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

### ვარიანტი:

თავზე ააზმა მბურია,  
არის ერთი ფელები;  
სიკტილი თუ არ არი,  
ჰად არიან ძველები?!

მთქმელი რესმიე ჩავდარი (სალიხოლოლიკოლალიოღლი), 60 წლის, მცხოვრები სოფ. ჯივანში (ჯვანი). ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 29 ივლისს სოფ. ჯივანში (ჯვანი).

2. მთქმელი მემედ სერთოღლუ, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში (ძველი სახელია დოშემე). სოფლის მუხტარი. ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2013 წლის 10 ივლისს სოფ. ნუზჰეთიეში (დოშემე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

3. მთქმელი სინან დემირი, 60 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში. ჩაინერა სელჩუქ აქინმა (52 წლის) და გადმოგვცა 2013 წლის 10 ივლისს ქ. გოლჯუქში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 708.

4. მთქმელი ნიზათ ოზთურქი, 66 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ზამთრობით ცხოვრობს ქ. სტამბულში. ძველი გვარია თიკნაძე. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

5. მთქმელი ხასან პავლაძე, მცხოვრები სოფ. გურბინში. ჩაინერა მამია ფავლავამ 2007 წლის 1 აგვისტოს სოფ. გურბინში.

## სატრფიალო პოეზია

1. მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წკირმონეთის უბანში (ბარდახლი მაჰალე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, წკირმონეთის უბანში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

ვარიანტები:

ა

ჭოროს ნაფოტი მოაქ  
სელვის ჩამონათალი;  
გოგოვ, მოა და მითხარი  
არის შამონათვალი!

მთქმელი მერიემ კაპრამანი, 61 წლის, მამისეული გვარია უზუნამედოლლი, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 6 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

ბ

ჭოროს მოაქ ნაფოტი  
სელვის ჩამონათალი;  
გოგოვ, მოდი, მითხარი  
არის ჩამონათვალი!

მთქმელი ნიმეთ ოზთურქი (სალიროლლი), 73 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 6 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

გ

ჭოროს მოაქ ნაფოტი  
სელვის ჩამონათალი;  
ჩიტო, მოდი, მითხარი  
არის შამონათვალი!

მთქმელი საალი გუნაი (ემირიძე), 76 წლის, პენსიონერი, ფრანგული ენის სპეციალისტი. მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). მუშაობდა ქ. სტამბულში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 5 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დ

ჭოროს ნაფოტი მოაქ  
სელვის ჩამონათალი;  
წედი, ჩიტო, მოა, მითხარ  
არის შამონათვალი!

მთქმელი აიშე თურანლი. მამისეული გვარია კოტრევეანოლი. 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილი 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში.

**2**  
ჭოროხ მიაქ ნაფოტი  
სელვის ჩამონათალი;  
ჩიტო, დექ, მოა, შენ მითხარ  
აარის შამონათვალი!

მთქმელი მუთებერ თურანლი, მამისეული გვარია ლამაზოლი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილი 2013 წლის 5 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

**3**  
ჭოროხს მოაქეს ნაფოტი  
სელვის ჩამონათალი;  
მოდი, ჩიტო, მითხარი  
აარის შემონათვალი!

მთქმელი ნაბიე ილმაზთურქი, 55 წლის, მცხოვრები სოფ. დევსქელში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 2 აგვისტოს სოფ. დევსქელში.

**ზ**  
ჭოროხს მოაქეს ნაფოტი  
სელვის ჩამონათალი;  
უმუდო, მოა, მითხარი  
აარის შამონათვალი!

მთქმელი აიშე გონჯალოლი, 64 წლის, მამისეული გვარია საღიროლი, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილი 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

**თ**  
ლელეს ნაფოტი მიაქ  
სელვის ჩამონათალი;  
ნაა, ჩიტო, მოა, მითხარი  
აარის შემონათვალი!

მთქმელი ალთუნ თაბანი, 84 წლის მამისეული გვარია შამლოლი, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. გამოთხოვილია მურდულიდან. მეტსახელად ეძახიან „ოქრო ნენეს“. ჩაინერა თინა შიოშვილი 2014 წლის 2 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში.

**ი**  
ლელეს მოაქ ნათალი –  
ჩალმის ჩამონათალი;  
მე არ დამეინყდება  
აარის შამონათვალი.

მთქმელი რუყიე ილდირიმი, 80 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ყარაფინარში. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, წინაპრები მოსულან ბორჩხადან, სოფ. ქლასკურიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს სოფ. ყარაფინარში.

**კ**

ჭოროხ ნაფოტი მააქესდა  
დანის ჩამონათალი;  
მოდ, ჩიტო, მითხარი  
აარის შამონათვალი!

მთქმელი ლალე ჩელიქი (ბეგოსანი), 58 წლის, მცხოვრები სოფ. ფეთექოიში (გურბინი). ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ფეთექოიში (გურბინი).

**ლ**

ჭოროხ ნაფოტი მოაქ  
ნავის ჩამონათალი;  
მოდ, ნაფოტო, მითხარი  
აარის ჩამონათვალი!

მთქმელი ხატიჯე ილმაზი (ქესკინოლი), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი). გამოთხოვილია სოფ. დევსქელიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი).

**მ**

ჭოროხ ნაფოტი მოაქესა  
ნავის ჩამონათალი;  
ჯანო, მოდი, მითხარი  
აარის შამონათვალი!

მთქმელი საბრიე გურსუი (პავლიაშვილი), 65 წლის, მცხოვრები სოფ. ფეთექოიში (გურბინი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 1 აგისტოს. სოფ. ფეთექოიში (გურბინი).

**ნ**

ჭოროხ ნაფოტი მააქსა  
ნავის ჩამონათალი;  
ჩიტო, მოდი, მითხარი  
აარის შამონათვალი!

მთქმელი შერაფეთთინ თურანი, მცხოვრები სოფ. ისკებში (მადენი). ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს, სოფ. ისკებში (მადენი).

მთქმელის განმარტება: „– უნინ, ჩვენ დროსა, ვიფერხულებდით, მოვთლიდით. ინვევ ვინცხასა, ვინცხები მოგივლენ“.

**ო**

ჭოროხ ნაფოტი მიაქეს  
ნავის ჩამონათალი;  
მოდ, ჩიტო, მითხარი  
აარის ჩამონათვალი!

მთქმელი ჰესიბე ალფაი (მამისეული გვარია მენთეში), 62 წლის. მცხოვრები დაბა მურღულში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 5 აგვისტოს დაბა მურღულში.

მთქმელის განმარტება: „– ჩემი ბაბო რამიზი (მურადი) იმღერებდა“.

**პ**

ჭოროხსა ნაფოტი მოაქვსა  
ნავის ჩამონათალი;  
მოდი, ავრუმ , მითხარი  
აარის ჩამონათვალი!

მთქმელი ნერიე იეთიში (ძველი გვარია თავდგირიძე), 77 წლის, მცხოვრები სოფ. ბაშქოიში (თავისოფელი). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 1 აგვისტოს სოფ. ბაშქოიში (თავისოფელი).

**ჟ**

ჭოროხ ნაფოტი მოაქ  
ნავის ჩამონათალი;  
შენ გაღმა და მე გამოღმა,  
აარის ჩამონათვალი!

მთქმელი ნურიე ეფენდოლი (ფაღავა), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ავანაში (ავჯილარი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 4 აგვისტოს სოფ. ავანაში (ავჯილარი).

**რ**

ჭოროხ ნაფოტი მიაქ  
აარის ჩამონათალი;  
ჩიტო, მოდი, მითხარი  
აარის ჩამონათვალი!

მთქმელი ნურენ ილმაზთურქი, 42 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 31 ივლისს, სოფ. ბუჯურში (აქანთაშქოი).

მთქმელის განმარტება: „– ნადებზე იმღერებდენ“.

**ს**

ჭოროხ ნაფოტი მიაქსა  
აარის ჩამონათალი;  
მოდი, ჩიტო, მითხარი  
აარის შამონათვალი!

მთქმელი სევინ ილდიზი, 55 წლის, მცხოვრები სოფ. ერეგუნაში (ერენქოი). ზამთრობით ცხოვრობს ქ. იზმითში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 6 აგვისტოს სოფ. ერეგუნაში (ერენქოი).

**ტ**

წყალს ნაფოტი ჩამოაქ  
ააროს ჩამონათალი;  
მოდი, ჩიტო, მე მითხარ  
ააროს ჩამონათვალი!

მთქმელი ათენ ოზბაირალი, 40 წლის, მცხოვრები სოფ. თხილაზროში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 4 აგვისტოს სოფ. თხილაზროში.

უ

ჭოროხ ნაფოტი მოაქ  
აარის ჩამონათალი;  
მოა და, ჩიტო, მითხარი  
აარის ჩამონათავალი!

მთქმელი სელვინაზ დურმაზი, 82 წლის, მცხოვრები სოფ. ორჯში (ამბარლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 4 აგვისტოს სოფ. ორჯში (ამბარლი).

ფ

ჭოროხ ნაფოტი მოაქ  
ჩამის ჩამონათალი.  
მოდ, გოგო, გითხრა  
აარის გამონათავალი.

მთქმელი მერიემ კაპრამანი, 61 წლის, მამისეული გვარია უზუნმამუდოლი, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 6 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

ქ

ჭოროხ ნაფოტი მოაქს  
ფიცრის ჩამონათალი;  
ჩიტო, სელამი მითხარ  
გულოს შემონათავალი.

მთქმელი ერდოლან აიდინი, მცხოვრები სოფ. ხეპაში. ჩაინერა შუშანა ფუტკარაძემ.

დაბ.: შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993, გვ. 314.

ლ

ჭოროხ ნაფოტი მიაქს  
ვისი ჩამონათალი?  
მოდ, ერთი მითხარი  
აარის შემონათავალი!

მთქმელი მეთთინ სერთასლანი, 64 წლის, მცხოვრები იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფ. ჰაირიეში. წინაპრები მოსულან ბორჩხიდან. ჩაინერა გიორგი მახარაშვილმა 2014 წლის წლის 14 ივლისს სოფ. ჰაირიეში.

ყ

ჭოროხ ნაფოტი მიაქ  
სელვის ჩამონათალი...

მთქმელი გულთენ გიული (ქასუნოლი), 61 წლის, მცხოვრები სოფ. შუბანში (ოთამალე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 6 აგვისტოს სოფ. შუბანში (ოთამალე).



## ჟ

ჭოროხ ნაფოტი მააქვან,  
ნანიდა, ნანიდა!..

მთქმელი ჯემალ დემირი (ზოლდაშოლლი), 81 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფ. ალაჩამში (ძველი სახელია თეშეგიგი). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან (მურლულიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 11 ივლისს სოფ. ალაჩამში.

2. მთქმელი ფატმან ყავაზი, 67 წლის, მცხოვრები საქარის პროვინციის ჰენდეის რაიონის სოფ. ლუთფიეში (ქოშქოი). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს სოფ. ლუთფიეში (ქოშქოი).  
დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

3. მთქმელი აიშე გონჯალოლი, 64 წლის. მამისეული გვარია საღიროლი, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 3 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

4. მთქმელი გულთენ გიული (ქასუნოლი), 61 წლის, მცხოვრები სოფ. შუბანში (ოთამალე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 6 აგვისტოს სოფ. შუბანში (ოთამალე).

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

5. მთქმელი ალთუნ თაბანი (მამისული გვარია შალოლი), 84 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში გამოთხოვილია მურლულიდან („– მე მურლულელაა ქალი ვარო“, – გვითხრა). მეტსახელად ეძახიან „ოქრო ნენეს“. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 2 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

## ვარიანტები:

### ა

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მიკაკანავს;  
ჰარო რო მომაგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ფატმა თურანლი, 45 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 5 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

### ბ

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;

ჰარო ქი მომაგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ჰაჯერ ილმაზთურქი (შამილოლი), 80 წლის, მცხოვრები სოფ. დევსქელში (ქაინარჯა). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 2 აგვისტოს სოფ. დევსქელში (ქაინარჯა).

მთქმელის განმარტება: „– ნადის სიმღერაა“.

**ბ**  
გალმა თეთრი დედალი  
გამოლმა მოკაკანებს;  
ჰარო ქი მომაგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი საბრიე გურსუი (პავლიაშვილი), 65 წლის, მცხოვრები სოფ. ფე-თექოიში (გურბინი). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 1 აგვისტოს სოფ. ფეთექოიში (გურბინი).

**დ**  
გალმა თეთრი დედალი  
გამოლმა გამოკაკანებს;  
ჰარი ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

დაბ.: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, „კლარჯული მასალები“. – ბსუ ჰუმანი-ტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სა-მეცნიერო კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. VI, ბათ., 2009, გვ. 275.

**ე**  
გალმა შავი ქათამი  
გამოლმა გუუკაკანავს;  
იაროჲ მომაგონდება,  
გულში შემაკანკალავს.

მთქმელი ისა კარა (თეთრაძე), 50 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასქურში. ჩა-ინერა თინა შიომვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასქურში.

**ვ**  
გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
გოგოჲ ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ჯესურ ათამანი (ჩაუშოლი), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ებრიკა-ში (იბრიქლი). ჩაინერა თინა შიომვილმა 2013 წლის 10 აგვისტოს სოფ. ებრიკაში (იბრიქლი).

**ზ**  
გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მიკაკანავს;

შენ ქი მომაგონდები,  
გულმა ემიკაკანავს.

მთქმელი ჯვალალ ქილიჩი, 60 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ცოცხოზაში. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბორჩხაში.

**თ**  
გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
კაცი ქი მომგონდება,  
გული გამაკანკალავს.

მთქმელი იხსან ილმაზთურქი, 46 წლის, მცხოვრები სოფ. დევსქელში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 2 აგვისტოს სოფ. დევსქელში.

**ი**  
გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
აარო, შენ ქი დიგინახავ,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ფადიმე ბაირალლი, 58 წლის, მცხოვრები სოფ. ახალდაბაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 10 აგვისტოს სოფ. ახალდაბაში.

**კ**  
გალმა თეთრი ვარია  
გამოლმა მუუკაკანავს;  
ააროჲ მომაგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი აიშე თურანლი. მამისეული გვარია კოტრევანოლი. 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, წინწკალაშვილების უბანში.

**ლ**  
გალმა კარში ქათამი  
გამოლმა მოკაკანობს;  
აარი ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ნეზაჰათ დემირალი, 49 წლის, მცხოვრები სოფ. იბრიქლიში, მარმარწმინდას//მამანწმინდას უბანში (ამ უბანში არის უძველესი ეკლესია, რომელსაც მარმარწმინდას//მამანწმინდას ეძახიან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 3 აგვისტოს სოფ. იბრიქლიში.

**მ**  
გალმა შავი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;

ააროჲ მომაგონდება,  
ჲერზე გამაკანკალავს.

მთქმელი მიერიე ქესუმი, 78 წლის, მცხოვრები სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში (ბარდახლი მაჰალე). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, ნკირმონეთის უბანში.

**ნ**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
ჩემ აარის დევნახავ,  
გული ემიკანკალავს.

მთქმელი აიშე გორმეზი (ჰელიმოლლი), 85 წლის, მცხოვრები სოფ. ჯივანში (ჯვანი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 29 ივლისს სოფ. ჯივანში (ჯვანი).

მთქმელის განმარტება: „– ამ სიმღერას მღერიან შავშეთში, იმერხევეში და მაჭახელში“.

**ო**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმისკენ კაკანობს;  
ააროს ქი დევინახავ,  
გული გამიკაკანობს.

მთქმელი ვილდან ერქილიჩი (კუტუნოლლი), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ქართლაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 აგვისტოს სოფ. ქართლაში.

**პ**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმა მოკაკანავს;  
ოჲ, ქი შენ დიგინახავ,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ისაყ აფინჯოლლი (დურმიშიძე), მცხოვრები სოფ. ადაგულში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2007 წლის 3 აგვისტოს სოფ. ადაგულში.

**ჟ**

გალმა თეთრი ქათამები  
გამოლმა მოკაკანავს;  
მე შენ რომ დიგინახავ,  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ოსმან ერდოლანი, 45 წლის, მცხოვრები ქ. ბორჩხაში. მუშაობს ყარაგოლის ეროვნული პარკის დაცვაში, გაიზარდა სოფ. დევსქელში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 1 აგვისტოს ყარაგოლის ეროვნულ პარკში.

**რ**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოლმით უკაკანავს;  
შენი ერთი დანახავა  
გული გემიკანკალავს.

მთქმელი მერიემ ერქილიჩი (კუტუნოლი), 64 წლის, მცხოვრები სოფ. ქართლაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 აგვისტოს სოფ. ქართლაში.

**ს**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოღმა მოკაკანობს;  
ჩემ სევდულ რომ დევნახავ,  
გულში გამაკანკალებს.

მთქმელი ზეკაი გიონენჯი (ბაირამოლი) მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ჰამიდეში (ძველი სახელია ბორჩხა). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა ნიაზ ზოსიძემ 2013 წლის 8 ივლისს სოფ. ჰამიდეში (ბორჩხა).

**ტ**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოღმა მოკაკანავს;  
სევდული დევნახე,  
ფერინდე გამაკანკალავს.

მთქმელი რუყიე ილდირიმი, 80 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ყარაფინარში. წინაპრები მოსულან ბორჩხიდან (სოფ. ქლასკურიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს სოფ. ყარაფინარში.

**უ**

გალმა თეთრი ქათამი  
გამოღმა მოკაკანობს;  
ჩემი თავი თუ გინდა –  
გულში გამაკანკალავს.

მთქმელი ჰავა საზლი, 76 წლის, მცხოვრები სოფ. ერენქოიში (ერეგუნა). ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 30 ივლისს სოფ. ერენქოიში (ერეგუნა).

6. მთქმელი მერიემ ერქილიჩი (კუტუნოლი), 64 წლის, მცხოვრები სოფ. ქართლაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 აგვისტოს სოფ. ქართლაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

### ვარიანტები:

**ა**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ფეხი ტალახიანი

მთქმელი მეჰმედ გუნეი (ფალაზოლი), 76 წლის, მცხოვრები იალოვას პროვინციის არმუთლუს რაიონის სოფ. ჰაირიეში. წინაპრები მოსულან ბორჩხიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 14 ივლისს სოფ. ჰაირიეში.

მთქმელის განმარტება: „– რუსები მოსულან და დედები ნამოსულან“.

**ბ**

ღელე-ღელე ჩვეიარე,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ფეხებტალახიანი.

მთქმელი სონერ (სიმონ) ოზნელიქი (სულხანაშვილი), 33 წლის, მცხოვრები სოფ. ებრიკაში (იბრიქლი). ზაფხულობით მუშაობს სოფ. ქლასკურში, პანსიონატ „ლაფერაში“. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 8 აგვისტოს სოფ. ქლასკურში, პანსიონატ „ლაფერაში“.

**გ**

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი ფატმან ყავაზი, 67 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფ. ლუთბიეში (ქოშქოი). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 17 ივლისს სოფ. ლუთბიეში (ქოშქოი).

**დ**

ღელე-ღელე ივიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ფეხი ტალახიანი.

მთქმელი ემინე ოზთურქი (სალიროღლი). მამისეული გვარია მელიქოღლი, 45 წლის, მცხოვრები სოფ. მარადიდში (მურათლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 5 აგვისტოს სოფ. მარადიდში (მურათლი).

**ე**

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი აჰმედ ყადიოღლუ, 58 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბორჩხაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს სოფ. ბორჩხაში.

**ვ**

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი სემია ჯოშანე, 50 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფ. ქართლაში (ბიჩქათიქი). წინაპრები, მოსულან კლარჯეთიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 19 ივლისს სოფ. ქართლაში (ბიჩქათიქი).

მთქმელის განმარტება: „- ართვენ კარტლა სოფელია, იქიდან აქ მოსულან, კარტლა დუურქმინ“.

**ზ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
კოჭი ტალახიანი.

მთქმელი ზეპრა დააჯი, 50 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის ქეთელის რაიონის სოფ. საიფიეში (ძველი სახელია ბაიდინი). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან (მურღულიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 11 ივლისს სოფ. საიფიეში.

**თ**

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი ნაადი გუმრუქი, 52 წლის, მცხოვრები ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფ. ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიე). წინაპრები მოსულან ბორჩხიდან, სოფ. გურბინიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 18 ივლისს სოფ. ქოჩბაირში.

მთქმელის განმარტება: „– გურბინის დათეები ვართ ჩვენ“.

**ი**

ღელე-ღელე გევიარე,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
კოჭიტალახიანი.

მთქმელი ზაიდე შენი, 65 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ქომურჯუქადში. წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან, სოფ. ბაშქოიდან (თავისოფელი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ყარაფინარში.

**კ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ბალაღვიანი;  
ერთი ფაცო დევნახე  
ხელ-ფეხტალახიანი.

მთქმელი ისკენდერ ოზერი (ძველი გვარია მაზმანოღლი), 65 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფ. ორჰანიეში (ძველი სახელია ხატილა). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან, სოფ. ხატილადან, როგორც მთქმელმა განმარტა, რუსების გამო. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 11 ივლისს სოფ. ორჰანიეში (ხატილა).

**ლ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე  
ლოყატალახიანი.

მთქმელი მელაათ ქიბარი, 76 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში. კლარჯე მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში.

**მ**

იდენტური ვარიანტი.

მთქმელი ნაილ დემირელი (ბენდეროღლი), 74 წლის, „გარმონჯი“, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნიმეთიეში (ძველი სახელია მეყყიე). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან (ცოცხობადან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 11 ივლისს სოფ. ნიმეთიეში (მეყყიე).

**6**

ღელე-ღელე ივიარე,  
ღელე ბალახიანი;  
ერთი გოგო დვენახე  
ლოყატალახიანი.

მთქმელი ჯვალალ ქილიჩი, 60 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ცოცხოვში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 8 ივლისს ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ბორჩხაში.

**ო**

ღელე-ღელე ჩევიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი გოგო დვენახე  
ლოყატალახიანი.

მთქმელი თახსიმ ქარამაქი, 69 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფ. ჩუბუქლუბალაში (ბაალაქი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 12 ივლისს სოფ. ჩუბუქლუბალაში (ბაალაქი).

**პ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი გოგო დვენახე  
ბუკიტალახიანი.

მთქმელი სუნდუზ ოზთურქი, 59 წლის, მცხოვრები სოფ. ბაგინში (ბალჯიქი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 7 აგვისტოს სოფ. ბაგინის საზაფხულო საძოვარზე.

**ჟ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი გოგო დვენახე  
ურბატალახიანი.

მთქმელი ფატმა შაჰინი, 52 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ლუთფიეში (ბეგოღლი). ჩაინერა გიორგი მახარაშვილმა 2013 წლის 11 ივლისს სოფ. ლუთფიეში (ბეგოღლი).

მთქმელს ლექსი ბავშვობაში გაუგონია. სხვა ლექსები ვერ გაიხსენა და თქვა: „– გინდება, მაშინ არ მოგგონდება“.

**რ**

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ტალახიანი.



ერთი პრატი დევნახე  
ტოტიტალახიანი.

მთქმელი ჯემალ დემირი (აოლდაშოლლი), 81 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის სოფ. ალაჩამში (ძველი სახელია თეშვიგე). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან (მურლულიდან). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 11 ივლისს სოფ. ალაჩამში (თეშვიგე).

7. მთქმელი ფურკან თემიზჯე, 18 წლის, მცხოვრები საქარას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფ. ავანაში (იქბალიე // სითმაფუნარი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 13 ივლისს სოფ. ავანაში.

ლექს-სიმღერა სრულდება ნადების დროს ორპირულად.

მთქმელის განმარტება: „– ნადებზე სიმინდ გაარჩევენ. ბიჭები, გოგუები ერთმანებ უყურებდენ. ბიჭებმა გამოიმთქმევდენ“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

8. მთქმელი მოესერ ილდირიმი, 40 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ყარაფინარში. წინაპრები მოსულან ბორჩხიდან, სოფ. ქლასკურიდან. ჩაინერა გიორგი მახარაშვილმა 2014 წლის 15 ივლისს სოფ. ყარაფინარში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 709.

9. მთქმელი რუყიე ილდირიმი, 80 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის მუსტაფა ქემალფაშას რაიონის სოფ. ყარაფინარში. წინაპრები მოსულან ბორჩხიდან, სოფ. ქლასკურიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს სოფ. ყარაფინარში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 710.

**ვარიანტები:**

ა

ღელე-ღელე ევიარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე,  
კოჭიტალახიანი.

მთქმელი სულთან ოზი (ძველი გვარია ჩაუშოლლი), 80 წლის, მცხოვრები ბალიქისერის პროვინციის გონენის რაიონის სოფ. ქოჩბაირში (ძველი სახელია საალიე). წინაპრები მოსულან კლარჯეთიდან, სოფ. გურბინიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 18 ივლისს სოფ. ქოჩბაირში.

ბ

ღელე-ღელე ევვარე,  
ღელე ტალახიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე  
ბუკიტალახიანი.

მთქმელი მელაჰათ ასლანი, 38 წლის, მცხოვრები სოფ. თხილაზორში (ზორლიქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 4 აგვისტოს სოფ. თხილაზორში (ზორლიქოი).

10. მთქმელი აიშე იაფუზი, 38 წლის, მცხოვრები სოფ. ოზმალში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ოზმალში.

მთქმელმა ტექსტი სიმღერით შეასრულა.

დაბ.: თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „კლარჯული ზეპირსიტყვიერება“. — ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათ., 2014, გვ. 147; თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. — კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 710.

### ვარიანტები:

ა

ჩაველ ჰაფუზის სახლში,  
ერთი გოგო გამოიდა კარში.  
არ მოვალ მე, არ გუდუარ მე!  
საყვარელი რა იყო,  
არ ვიცოდი მე,  
ისიც მოვდა ჩემ თავში.  
შემცივდა, შემცივდა,  
ვერ მოვალ მე!  
ჩემეხუტე კისერში,  
შემცივდა, შემცივდა მე!  
გახსენ ხელეხი,  
ჩემეხუტე კისერში,  
შემცივდა, შემცივდა მე!

მთქმელი აიშე შეიხოლლუ (თაიში), 74 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ბუჯურში.

ბ

ჩავედი წყალის თავზე,  
ერთი გოგო მოვდა ჩემ თავზე!  
სევდა რა იყო, არ ვიცოდი,  
იმან მიმიყვანა ჩემ თავზე.  
ვერ მოვალ მე,  
ვერ წავალ მე!  
ყველა ლამაზ გოგეებ  
ვერ შევხედავ მე!

მთქმელი მელაათ ბალჯი (თაფლიძე), 30 წლის, ხოჯას ცოლი, მცხოვრები სოფ. თხილაზორში (ზორლიქოი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2007 წლის 4 აგვისტოს სოფ. თხილაზორში.

ბ

სევდა რა იყო, არ ვიცოდი,  
ისიც მოვდა ჩემ თავზე!  
არ მივალ მე, არ შევხედავ მე,  
იმის გოგო არ მინდა მე!

მთქმელი შაახზე ბოლქვაძე (მამისეული გვარია ააზიჯი), 51 წლის მცხოვრები სოფ. ტრაპენში (თარაქლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 5 აგვისტოს სოფ. ტრაპენში (თარაქლი).

**დ**  
სევედა რა იყო, არ ვიცოდი,  
ისიც მოვდა ჩემ თავზე!  
არ მოვალ მე, არ ჩევეზუტავ მე,  
იმის გოგოს არ მინდა მე!

მთქმელი ჰაირიე ქააა, 68 წლის, მცხოვრები სოფ. ტრაპენში (თარაქლი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 5 აგვისტოს სოფელ ტრაპენში (თარაქლი).

11. მთქმელი ნაზიმ ალთუნთაში, 69 წლის, მცხოვრები სოფ. ქართლაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 4 აგვისტოს სოფ. ქართლაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 710.

12. მთქმელი ხასან ქალიონჯუ (ხაბაიზეშვილი//ხაბაძე), 74 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში (ძველი სახელია დოშემე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, ნინაპრები მოსულან მურღულიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 10 ივლისს სოფ. ნუზჰეთიეში (დოშემე).

მთქმელის განმარტება: „– ჩემ ბიძას, მეჰმედ ქალიონჯუს, უთქმია. აქედან გადასულან სხვა მეელეში. ნადი ყოფილა თუთუნის სხმაში. გოგო მონონებული ხქონია. ხიდიდან გადავარდნილა, სისხლი მოდის, გონია, ოფლი მაქავაო; გუუ-ხოცნია, დამჯდარა, სიმღერა დუუნყია“.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 710.

### ვარიანტები:

**ა**  
იქიდან აქ გადმოველ,  
აჯაფ, სული მთქერსა თუ?  
ჩვენ – ძმები, თქვენ – შილები,  
მეეხიზემეთავთ ბერსა თუ?

მთქმელი სანჯან ქალიონჯუ, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში (ძველი დოშემე). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია. ჩაინერა ნინაზ ზოსიძემ 2013 წლის 10 ივლისს. სოფ. ნუზჰეთიეში (დოშემე).

მთქმელის განმარტება: „– ნადში, სიმინდი რჩევნაში, ორ ძმას, რომელთაც მამა ყოლიათ ავადმყოფი, ორი დისთვის დუუმღერებიათ“.

დაბ.: თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „მუჰაჯირთა ფოლკლორი“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. IX, ბათ., 2014, გვ. 157; მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მამია ბარამიძე, „კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“ ტ. IX, ბათ., 2014, გვ. 195.

ბ

იქიდან აქ გადმუელ,  
აჯაფ, სული მთქერსა თუ?  
ჩვენ – ძმები, თქვენ – შილები,  
მუუხიზმეთავთ ბერსა თუ?

მთქმელი ხაირეთდინ სერთოლლი (ცერცვოლლი), 70 წლის, მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფ. ნუზჰეთიეში (დოშემე). ჩაინერა მამია ფალავამ 2013 წლის 10 ივლისს სოფ. ნუზჰეთიეში (დოშემე).

დაბ.: მამია ფალავა, „ექსპედიციის დღიური“. – აჭარა, წარსული და თანამედროვეობა (კრებული II), ბათ., 2015, გვ. 189.

13. მთქმელი მელაათ ქიბარი, 76 წლის, მცხოვრები საქარას პროვინციის გეივს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 710.

#### ვარიანტი:

დღე ღამე, ღამეც ღამე,  
არ თენდება, ღამაზავ!  
მე ბითუმ შენთინ ვტირი,  
შენც ტირი თუ, ღამაზავ?  
მევეყროთ, ერთათ ვიყოთ  
შენი სახში, ღამაზავ.

მთქმელი მელაათ ქიბარი, 76 წლის, მცხოვრები საქარიას პროვინციის გეივს რაიონის სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 18 ივლისს სოფ. ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდერეში.

14. მთქმელი ჰესიბე ალფაჲ (მამისეული გვარია მენთეში), 62 წლის, მცხოვრები დაბა მურღულში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 5 აგვისტოს დაბა მურღულში.

დაბ.: თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“, ბათ., 2016, გვ. 711.

15. მთქმელი აიშე შეიჰოლლუ (თაიში), 74 წლის, მცხოვრები სოფ. ბუჯურში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 31 ივლისს სოფ. ბუჯურში.

